

აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
თბილისის სასულიერო აკადემია

ენრიკო გაბიაშვილი

**კველი ქართული ორიბინალური
სასულიერო მწერლობა და
თხზულებათა დარგობრივი
ბიბლიოგრაფია**

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის
გამომცემლობა

თბილისი 2015

*ვეუძღვნი წემი კოლეგებისა და
მეგობრების ნათელ ხსოვნას*

რედაქტორი: ანა ჭუმბურიძე

© ენრიკო გაბიაშვილი. 2015.
ISBN 978-9941-9258-7-0

K. KEKELIDZE NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS
TBILISI THEOLOGICAL ACADEMY

ENRIKO GABIDZASHVILI

Old Georgian Original Ecclesiastical
Literature and
Bibliography of Different Branches
of the Compositions

TBILISI THEOLOGICAL ACADEMY AND SEMINARY
PUBLISHING HOUSE

TBILISI 2015

НАЦИОНАЛЬНЫЙ ЦЕНТР РУКОПИСЕЙ ИМ. АКАД.К. КЕКЕЛИДЗЕ
ТБИССКАЯ ДУХОВНАЯ АКАДЕМИЯ

ЭНРИКО ГАБИДЗАШВИЛИ

ОРИГИНАЛЬНАЯ ДРЕВНЕ-
ГРУЗИНСКАЯ ДУХОВНАЯ
ЛИТЕРАТУРА И ОТРАСЛЕВАЯ
БИБЛИОГРАФИЯ
СОЧИНЕНИИ

ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИССКОЙ ДУХОВНОЙ АКАДЕМИИ И
СЕМИНАРИЙ

ТБИССИ 2015

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი – „ორიგინალური ქართული სასულიერო მწერლობა და თხზულებათა დარგობრივი ბიბლიოგრაფია“ – არის რიგით მეშვიდე წიგნი, რომლითაც მთავრდება ნათარგმნი და ორიგინალური სასულიერო მწერლობის ძეგლების სრული მიმოხილვა მწერლობის დარგების მიხედვით და თითოეული თხზულების ბიბლიოგრაფიების ციკლი. ეს ბოლო წიგნი აჯამებს ორიგინალური მწერლობის შესწავლაში ქართული ფილოლოგიური მეცნიერების დღემდე მიღწეულ შედეგებს. ამასთანავე, პირველად მიეწოდება დაინტერესებულ მკითხველს თითოეული ორიგინალური მწერლობის დარგის, თითოეული კონკრეტული თხზულების ბიბლიოგრაფია.

2004-2013 წლებში ჩვენი ავტორობით გამოქვეყნდა აღნიშნული თემატიკის ექვსი წიგნი საერთო სახელწოდებით: ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, რაც გულისხმობს ძველი ქართული ნათარგმნი მწერლობის ცალკეული დარგების მიმოხილვას და თითოეული დარგის ყოველი თხზულების ხუთპუნქტიანი ბიბლიოგრაფიის შედგენას. თითოეულ წიგნში შესულია ძველი მწერლობის ერთი ან რამდენიმე დარგი, იმის მიხედვით, თუ რა მოცულობისაა მასალა:

1. ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, თბილისი, 2004 (425 გვ.): წინასიტყვაობა (საერთო ყველა მომდევნო წიგნისათვის), გვ. 5-8; შესავალი – გვ. 9-12; ნარკვევი ნათარგმნი ჰაგიოგრაფიის შესახებ, გვ. 13-115; თხზულებათა ბიბლიოგრაფიები – 1182 ერთეული, გვ. 116-361; საძიებლები: 1. ავტორთა; 2. მთარგმნელთა; 3 ხელნაწერთა, გვ. 362-373; სამეცნიერო ლიტერატურა (მხოლოდ ნათარგმნი ჰაგიოგრაფიის შესახებ), გვ. 380-420; რეზიუმე ინგლისურ და რუსულ ენებზე, გვ. 421-424; შინაარსი, გვ. 425.

2. ქართული ნათარგმნი ასკეტიკა და მისტიკა, თბილისი, 2006 (390 გვ.); შესავალი, გვ. 9-14; ნარკვევი, გვ. 15-82; ბიბლიოგრაფია – 1129 ერთეული, გვ. 83-355; საძიებლები: 1. ავტორებისა; 2. მთარგმნელებისა; 3. მთხრობელებისა; 4. თხრობის ობიექტებისა; 5. ხელნაწერებისა, გვ. 356-373; სამეცნიერო ლიტერატურა, გვ. 374-383; რეზიუმე ფრანგულ და რუსულ ენებზე, გვ. 384-385; დამატება (წინა წიგნის შეცდ. გასწორება), გვ. 386-389; შინაარსი, გვ. 7.

3. ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა, თბილისი, 2009 (579 გვ.); შესავალი, გვ. 7-13; ნარკვევი, გვ. 14-60; ბიბლიოგრაფია – 1878 ერთეული, გვ. 61-504; საძიებლები: 1. ავტორებისა; 2. მთარგმნელებისა; 3. ხელნაწერებისა, გვ. 505-548; სამეცნიერო ლიტერატურა, გვ. 549-575; რეზიუმე ინგლისურ და რუსულ ენებზე, გვ. 576-579; შინაარსი, გვ. 5.

4. ქართული ნათარგმნი ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, აპოკრიფები, თბილისი, 2009 (486 გვ.); ბიბლიოლოგია, გვ. 5-218: შესავალი, გვ. 7-10; ნარკვევი, გვ. 11-74; ბიბლიოგრაფია – 227 ერთეული, გვ. 75-147; საძიებლები: 1. ბიბლიურ პირთა და სახელთა; 2. ხელნაწერთა, გვ. 148-159; სამეცნიერო ლიტერატურა, გვ. 160-207; შინაარსი, გვ. 6. ეგზეგეტიკა, გვ. 219-362: შესავალი, გვ. 221-225; ნარკვევი, გვ. 226-248; ბიბლიოგრაფია – 227 ერთეული, გვ. 249-326; საძიებლები: 1. ავტორთა, 2. მთარგმნელთა; 3. ბიბლიურ პირთა; 4. ხელნაწერთა, გვ. 327-344; სამეცნიერო ლიტერატურა, გვ. 345-362; შინაარსი, გვ. 220. აპოკრიფები, გვ. 363-480: შესავალი, გვ. 365-368; ნარკვევი, გვ. 369-390; ბიბლიოგრაფია – 229 ერთეული, გვ. 391-452; საძიებლები: 1. პირთა (ბიბლიურ ავტორთა, მთარგმნელთა); 2. ხელნაწერთა, გვ. 453-470; სამეცნიერო ლიტერატურა, გვ. 471-480; შინაარსი, გვ. 364; წიგნს ბოლოს ერთვის: რეზიუმე ინგლისურ და რუსულ ენებზე, საერთო სამივე დარგისათვის, დამატება (მესამე წიგნის შეცდომების გასწორება და დამატებები), გვ. 483-486.

5. ქართული ნათარგმნი ლიტურგია, ჰიმნოგრაფია, თბილისი, 2011 (520 გვ.). ლიტურგია, გვ. 5-239: შესავალი, გვ. 7-11; ნარკვევი, გვ. 12-90; ბიბლიოგრაფია – 414 ერთეული, გვ. 91-212; საძიებლები: 1. ავტორთა; 2. მთარგმნელთა; 3. ხელნაწერთა, გვ. 215-229; სამეცნიერო ლიტერატურა, გვ. 230-239; შინაარსი, გვ. 6. ჰიმნოგრაფია, გვ. 241-518: შესავალი, გვ. 241-244; ნარკვევი, გვ. 245-273; ბიბლიოგრაფია – 897 ერთეული, გვ. 274-489; საძიებლები: 1. ავტორთა; 2. მთარგმნელთა; 3. ხელნაწერთა, გვ. 500-509; სამეცნიერო ლიტერატურა, გვ. 510-518; ორივე დარგის საერთო რეზიუმე ინგლისურ და რუსულ ენებზე, გვ. 519-520.

6. ქართული ნათარგმნი კანონიკა, დოგმატიკა-პოლემიკა, თბილისი, 2013 (332 გვ.). კანონიკა, გვ. 5-148: შესავალი, გვ. 9-11; ნარკვევი, გვ. 12-79; ბიბლიოგრაფია, 235 ერთეული, გვ. 80-137; საძიებლები: 1. ავტორთა; მთარგმნელთა; 3. ხელნაწერთა, გვ. 138-141; სამეცნიერო ლიტერატურა, გვ. 142-148; შინაარსი, გვ. 7. დოგმატიკა-პოლემიკა, გვ. 149-330: შესავალი, გვ. 153-155; ნარკვევი, გვ. 156-186; ბიბლიოგრაფია-461 ერთეული გვ. 187-299; საძიებლები: 1. ავტორთა; 2. მთარგმნელთა; 3. ხელნაწერთა, გვ. 301-307; სამეცნიერო ლიტერატურა, გვ. 308-330; შინაარსი, გვ. 151. რეზიუმე ორივე დარგისათვის ინგლისურ და რუსულ ენებზე, გვ. 331-332.

აღვნიშნავთ იმასაც, რომ ექვსწიგნეულმა სახელმწიფო პრემია დაიმსახურა.

ქართული ორიგინალური საეკლესიო მწერლობა ბერძნულ-ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის მემკვიდრეა და მის ღვთისმეტყველების თხზულებებზე დაფუძნებული მწერლობაა, თუმცა ქართული ქრისტიანული მწერლობა განვითარების პროცესში თავის ეროვნულ თვითმყოფადობასაც ავლენდა.

ორიგინალური მწერლობის თხზულებათა ბიბლიოგრაფიის სტრუქტურა ზემოაღნიშნული ბიბლიოგრაფიების ანალოგიით არის შედგენილი, თუმცა ორიგინალურს დაემატა მეექვსე პუნქტი (რიგით მესამე) –

თხზულების ავტორის პუნქტი. ამის საშუალებას იძლეოდა ის ვითარება, რომ ქართული მწერლობის თითქმის ყველა დარგის თხზულების ავტორის ვინაობა ცნობილია, ნათარგმნიდან კი სრულად მხოლოდ ქადაგებათა ავტორებია ცნობილი, ხოლო დანარჩენებისა – ნაკლებად.

ამასთანავე, თუ ნათარგმნი ძეგლების ბიბლიოგრაფიებმა ექვსი წიგნი მოიცვა, ორიგინალურმა – მხოლოდ ერთი წიგნი, მიუხედავად იმისა, რომ მასში ორიგინალური სასულიერო მწერლობის ყველა დარგის თხზულებებია შესული.

წიგნში მწერლობის თითოეული დარგი წარმოდგენილია დამოუკიდებელ ერთეულად თავიანთი შესავლით, ნარკვევით, ექვსპუნქტიანი ბიბლიოგრაფიით, საძიებლებით, სამეცნიერო ლიტერატურით.

პირველი ნაკვეთი—ჰაგიოგრაფია, მოიცავს ორიგინალური ჰაგიოგრაფიის შემდეგ ნაწილებს: 1) შესავალს, 2) ნარკვევს, რომელიც მიმოიხილავს ორიგინალური ჰაგიოგრაფიის ყველა რედაქციის (კიმენური, მეტაფრასული და სენაქსარული) თითოეული თხზულების ძირითად საკითხებს, წარმოდგენილს მათი წარმოშობის ქრონოლოგიის შესაბამისად, 3) თხზულებათა ბიბლიოგრაფიას, წარმოდგენილს ექვსი პარაგრაფით: §1 თხზულების სახელწოდება თანამედროვე ენაზე, რომელიც განსაზღვრავს ბიბლიოგრაფიის დალაგებას ანბანის რიგზე; §2 თხზულების სახელწოდება ხელნაწერში წარმოდგენილი სათაურის მიხედვით; §3 თხზულების ავტორი; §4 თხზულების ტექსტის დასაწყისი ფრაზა, ან წინადადება (ერთნაირი სახელწოდების თხზულების გასამიჯნავედ); §5 თხზულების შემცველი ყველა ხელნაწერი – ფონდის ნუმერაციის, თარიღისა და ხელნაწერთა პაგინაციის ჩვენებით; §6 „შენიშვნა“ – თხზულების გამოცემები, რედაქციებისა და თხზულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. ამ ექვსი პუნქტიდან საკუთარი სათაური მხოლოდ მეექვსეს აქვს – „შენიშვნა“, რადგან ის რამდენიმე მონაცემს აერთიანებს, ხოლო დანარჩენი პარაგრაფები აღარ დაეასათაურეთ (1. სათაური; 2. სახელწოდება; 3. ავტორი; 4. თხზულების დასაწყისი; 5. ხელნაწერი) ტექსტის გადატვირთვის შიშით (თუმცა ისინი ადვილი ამოსაცნობია). 4) საძიებლებს (1. ავტორთა; 2. ხელნაწერთა). 5) სამეცნიერო ლიტერატურას (მხ. ორიგინალური ჰაგიოგრაფიისათვის). 6) რეზიუმეს ინგლისურ და რუსულ ენებზე (ყველა ნაკვეთისათვის საერთო, დაერთვის წიგნს ბოლოს). ზუსტად ასეთი შედგენილობისაა დანარჩენი ნაკვეთიც – ჰომილეტიკა, პიმნოგრაფია, ეგზეგეტიკა, დოგმატიკა-პოლემიკა, კანონიკა, ასკეტიკა.

როგორც ვნახეთ, მწერლობის დარგების ჩამონათვალში არ არის დასახელებული ბიბლიოლოგია და აპოკრიფები, აგრეთვე ფილოსოფია. ბიბლიოლოგიაში ორიგინალური თხზულების დაწერა ნებისმიერ ენაზე გამორიცხულია, რადგან ბიბლიოლოგიის კანონიკური წიგნები ერთხელ და სამუდამოდ დაიწერა ებრაულ (ძველი აღთქმა) და ბერძნულ (ახალი აღთქმა) ენებზე. იგივე ითქმის აპოკრიფების შესახებ: ბიბლიური აპოკრიფები ნაწილი ებრაულად(ადრინდელი) და ნაწილი

ბერძნულად (შედარებით გვიანდელი) დაიწერა, მათი ავტორების აზრით, ბიბლიურ „გამოტოვებულ“ თუ „გამორჩენილ“ თხრობათა შესავსებად. მათ არაკანონიკური უწოდეს ბიბლიური კანონიკური წიგნების საპირისპიროდ და ისინი მამათა მიერ დაწერილად და სასარგებლოდ მიიჩნიეს (ათანასე დიდი, დიდი სჯულიკანონი გვ.471). ორიგინალურ აპოკრიფად შეიძლება ჩაითვალოს „მოთხრობა ძუელთაგან წერილთა... ყოვლად წმიდისათეს ღმრთისმშობილსა მარიამისა, ოდეს წილხუდა ქუეყანა ქართლისა და მუნ მისლვად ეგულეობდა...“ (ქუთ.97,1802წ, 147r-156v), მაგრამ რადგან ის ერთადერთა, ცალკე არ გამოვეყავით და „შეეუერთეთ“ პაგიოგრაფიას (§102ა). რაც შეეხება ფილოსოფიურ თხზულებებს, ისინი ჩვენ ჩაერთეთ დოგმატიკაში (რადგან აღიარებულა, რომ „ღვთისმეტყველება ფილოსოფიის (სიბრძნისმოყვარეობის) ნაწილია, ესე იგი დოგმატიკა ქრისტიანული ფილოსოფიაა (სიბრძნისმოყვარება).

წიგნს თავში ერთეის „წინასიტყვაობა“, რომელშიც წარმოდგენილია მთელი წიგნის მიზანდასახულობა, დანიშნულება და ბიბლიოგრაფიების შედგენის პრინციპები, ხოლო ბოლოს ერთეის რეზიუმეები მთლიანად წიგნისათვის ინგლისურ და რუსულ ენებზე.

წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს სასულიერო და საერო სასწავლებლების მოსწავლეებს და სტუდენტ ახალგაზრდობას, სასწავლებლებისა და უნივერსიტეტების პედაგოგებს, მეცნიერ-ფილოლოგებს და საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველოლოგებს ძველი ორიგინალური მწერლობის უკეთ გაცნობაში და ძველ ქართულ ხელნაწერებში და სხვა წყაროებში გაბნეული საჭირო ცნობების მოპოებაში.

ამ წიგნზე მუშაობაში (დასაწყის ეტაპზე) მონაწილეობა მიიღო ნუგზარ პაპუაშვილმა, რომელმაც მოიძია მასალები იონა ხელაშვილის თხზულებათა შესახებ. ერთობლივი ნაშრომის გეგმა დაფინანსების მიზნით წარვადგინეთ რუსთაველის ფონდში. ნაშრომმა კონკურსში ვერ გაიმარჯვა და ჩვენი თანამშრომლობაც შეწყდა.

ბოლოს, მინდა მადლობა ვუთხრა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლებს, უპირველეს ყოვლისა ეთერ ბერუაშვილს, რომელმაც ტექსტის კორექტურასთან ერთად მისი ენობრივ-სტილისტური შეცდომებიც გასწორა, აგრეთვე, ხათუნა ბაინდურაშვილს, ხათუნა გაფრინდაშვილს, ციციანო გულედანს და ნათია მიროტაძეს, მანუჩარ გუნცაძეს, რომლებმაც დახმარება გამიწიეს წიგნის ელექტრონული ვერსიის მომზადებასა და სასტამბოდ გამართვაში. მადლობას მოვახსენებ წიგნის რედაქტორს – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს ანა ჭუმბურიძეს გასათვალისწინებელი შენიშვნებისათვის.

கே ர கி றி கி ரு ர ஐ றி ர

შ ი ნ ა ა რ ს ი

ქართული ორიგინალური პაგიოგრაფიული მწერლობა (ნარკვევი)....	11
ორგინალურ პაგიოგრაფიულ თხზულებათა ბიბლიოგრაფია.....	76
საძიებლები: 1. ავტორთა; 2. ხელნაწერთა.....	115
სამეცნიერო ლიტერატურა ქართული ორიგინალური პაგიოგრაფიის შესახებ.....	119

ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიული მწერლობა¹

(ნარკვევი)

ქართული ჰაგიოგრაფიის დასაწყისს, მართალია, ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, კერძოდ კი მოწამეთა ღვაწლის ამსახველი კრებული (შესაძლებელია კრებულებიც კი) უსწრებს (შუშანიკის წამებაში მოხსენიებული „წიგნი მოწამეთანი“), მაგრამ V ს. ბოლო მეოთხედში „შუშანიკის წამების“ დონის თხზულების შექმნა ორიგინალური ჰაგიოგრაფიის არსებობის უკვე გარკვეულ ტრადიციას გვაფიქრებინებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს თხზულება ქართული წერილობითი მემკვიდრეობის ჩვენამდე მოღწეულ პირველ ძეგლად არის მიჩნეული. ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობა ისევე, როგორც ბიზანტიური, წმინდანთა „წამების“ უანრით იწყება, თუმცა მათ შორის განსხვავება უანრის წარმოშობის მიხედვით თაობაზე თვალსაჩინოა.

ბიზანტიაში წმინდანის თაყვანისცემის გაჩენა უკავშირდება ახლად წარმოშობილი ქრისტიანული აღმსარებლობის მიმდევართა მოწამებრივი აღსასრულის ფაქტებს ბერძნულ-რომაული წარმართული იმპერიის წიაღში, რაც გახდა საყუძველი ამ მოწამეთა ღვაწლის აღწერისა „მარტიელობათა“ სახით. ქართული „წამებანი“, მართალია, ბიზანტიურ „მარტიელობათა“ თარგზე შეიქმნა, მაგრამ მისი წარმოშობის მიზეზი წარმართობა არ ყოფილა. ქართული ჰაგიოგრაფია, რომლის დასაწყისი მხოლოდ „წამების“ უანრითაა წარმოდგენილი, წარმოიშვა საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ: მირიან მეფის ეპოქაში, როდესაც წერილობითი წყაროებით იწყება ქრისტიანობის დამკვიდრებისათვის მცდელობა ქართულ წარმართულ ქვეყანაში, არც მოწამეობრიობის ფაქტებია ცნობილი და არც ქრისტიანთა დევნის შემთხვევებია ნახსენები. პირიქით, თვით ნანა დედოფლის გაქრისტიანების ამბავი ამ ახალი მოძღვრებისადმი ხელისუფალთა ლოიალურ დამოკიდებულებას მიუთითებს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ საქართველოში საბოლოო დამკვიდრებამდე ქრისტიანობას წარმართობის ტრადიციების დაძლევა მოუხდებოდა და ეს პროცესი არ შეიძლება უმტიკუნეულო ყოფილიყო, მაგრამ ეს არ არის ქართული ჰაგიოგრაფიის წარმოშობის მიზეზი. საქმე ისაა, რომ თუკი მოხდა ცალკეუ-

1 ძირითადად ეყრდნობით ჩვენსავე ნარკვევებს: ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიული მწერლობა“ და “ორიგინალური ჰაგიოგრაფიული მწერლობის სოციოგრაფიული საკითხი“ რომლებიც დაიბეჭდა წიგნი “წამების“ I ტომში, თბილისი, 2010, გვ.145-206 (წიგნის სარჩევში, სტამბის შეცდომით, არის გვ. 206-254), და გვ. 255-292 (ასევე, შეიქმნა სარჩევი-292-321); ასევე, ჩვენს წიგნს “ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია“, თბილისი, 2004, და სამეცნიერო ლიტერატურის სიაში მითითებულ სხვა ავტორების შრომებს.

ლი შემთხვევა მოწამეთა დასჯისა, ეს უფრო რელიგიის ისტორიის და პაგიოლოგიის კუთვნილება იქნებოდა და არა პაგიოგრაფიისა, რადგან პაგიოგრაფია ფაქტებზე შექმნილ თხსულებათა ერთობლიობაა და არა თვით ფაქტი.

„წამებათა“ ჩვენამდე მოღწეულ ორიგინალურ თხსულებათა მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქართული მარტიროლოგიური ჟანრის წარმოშობის მიზეზი არ შეიძლება ქვეყნის შიდაპოლიტიკურ და შიდარელიგიურ დაპირისპირებაში ვეძიოთ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ბერძნულ-რომაულ იმპერიაში. მისი წარმოშობის ერთადერთი საფუძველი ჯერ მასდენ, ხოლო მოგვიანებით მაჰმადიან დამპყრობელთა მიერ საქართველოში დამკვიდრებული სიტუაციის შედეგად ამ ორი მხარის რელიგიური და ეროვნულ-პოლიტიკური ინტერესების მკვეთრ დაპირისპირებაში არის საძებარი. სწორედ ამ დაპირისპირების შედეგად დასჯილითა და აღსრულებულთა ისტორიულად დადასტურებულ ფაქტებზე აღმოცენდა ქართული ორიგინალური პაგიოგრაფია თავისი თავდაპირველი ჟანრით - „წამებით“ (მიუხედავად იმისა, რომ პირველი მოწამეები ეროვნებით არ იყვნენ ქართველები—შუშანიკი, ვესტათი, რაქდენი, ნეოფიტე, აბო, აბიბოსი, მაგრამ იყვნენ ქართლის სახელმწიფოს მკვიდრნი და ქართული ეკლესიის შეილნი და ეკლესია მათ ქართველებად მიხნევდა).

სწორედ მარტიროლოგია აღმოჩნდა ქართულ პაგიოგრაფიაში ყველაზე ხანგრძლივად მოქმედი ჟანრი, დაწყებული V ს-ით და დამთავრებული XVIII ს. მიწურულთ, რადგან საქართველოს მისი არსებობის მანძილზე დამპყრობელი, მისი პოლიტიკური და რელიგიური დამოუკიდებლობის მტერი და მოშურნე ყოველთვის გამოუღეველად ჰყავდა.

ასეთია ძირითადი განსხვავება ბიზანტიური და ქართული პაგიოგრაფიული მწერლობის მარტიროლოგიური ჟანრის წარმოშობაში. რადგან ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ორიგინალური პაგიოგრაფია ვერ შეიქმნებოდა ბიზანტიური მწერლობის გავლენის გარეშე, უნდა ვთქვათ იმის შესახებაც, რომ ქართულმა პაგიოგრაფიამ ძირითადად უარი თქვა თავისი პირველწყაროს მიერ მოწოდებულ ბევრ ტრაფარეტზე და მწერლობის ეს დარგიც საკუთარ ეროვნულ ინტერესებს დაუქვემდებარა. სწორედ ეს არის ამ ორი მწერლობის განმასხვავებელი მეორე ნიშანი. ბიზანტიური პაგიოგრაფია თითქმის დაცლილია ეროვნული თვითშეგნებისაგან, რაც ბერძნულ-რომაული იმპერიის მრავალეროვნული შედგენილობითა და ქრისტიანული სარწმუნოების კოსმოპოლიტიკური ბუნებით უნდა იყოს განპირობებული და ზოგადად ქრისტიანობის აპოლოგეტიკას წარმოადგენს, ხოლო ქართულ პაგიოგრაფიას გასდევს ეროვნული თვითშეგნების მომენტი. ქართულ მწერლობაში წმინდანების სიტყვასა და საქმეში ქრისტიანული იდეოლოგიისათვის თავდადება შერწყმულია ეროვნული და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინტერესების დაცვასთან, ქრისტიანული რწმენის დაცვა მათთვის ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვასთან არის გადაჯაჭვული.

ბერძნულ-ლათინური და აღმოსავლური ქრისტიანული მარტიროლოგიური ლიტერატურისა და „ცხოვრება-მოქალაქეობის“ ჟანრის თხსულებ-

ბების დიდი ნაწილი სასწაულმოქმედებათა მაგალითებით არის სავსე, რაც მკითხველის ქრისტიანული სარწმუნოების ყოვლისშემძლეობაში დარწმუნების ერთ-ერთი საშუალებაა. ამ მხრივ ქართული ჰაგიოგრაფია გარკვეულ თავშეკავებას იჩენს, განსაკუთრებით კი „წამებანი“: ნათლის სვეტის დაშვება მოწამის გვაშუე ან წამების ადგილზე, შეიძლება ითქვას, ყველაზე დიდი სასწაულია ქართულ მარტიროლოგიაში. შედარებით მეტია სასწაულების რაოდენობა (განსაკუთრებით ველური ცხოველებისა და ფრინველების “ჰუმანურობით”) ჰაგიოგრაფიის მეორე, „ცხოვრება-მოქალაქეობის“ ჟანრში, მაგრამ მათაც არაფერი აქვთ საერთო ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის ზოგიერთ წარმოუდგენელ ფანტასტიკურ-ზღაპრულ ეპიზოდებთან. ჩანს, ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებების ავტორები ანგარიშს უწყედნენ ქართველი მკითხველისა და მრევლის რაციონალურ ბუნებასა და ფანტასტიკურ-სასწაულებრივი ამბებისადმი გარკვეულ უნდობლობას, ამიტომ დაიმკვიდრა ქართულმა ჰაგიოგრაფიულმა თხზულებებმა სანდო ისტორიულ წყაროთა რეპუტაცია.

ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად უძველეს აღმოსავლურ ქვეყნებში (სირია, ეგვიპტე და სხვ.) წარმოიშვა ასკეტური მოღვაწეობის უჩვეულო ფორმები, რაც შემდეგ ბერძნულენოვან ქრისტიანულ სამყაროშიც გავრცელდა, როგორცაა შესვეტეობა და სალოსობა. მართალია, მოღვაწეობის ეს ფორმები მოგვიანებით საქართველოშიც ჩნდება (სვეტების არსებობა და „მესვეტის“ წოდება, აგრეთვე ქართულ საისტორიო წყაროებში რამდენიმე ქართველი „სალოსის“ მოხსენიება), მაგრამ არცერთი მათგანი არ გამხდარა ქართული ჰაგიოგრაფიული „ცხოვრება-მოქალაქეობის“ საგანი. ეს მომენტიც განასხეავენს ქართულ ჰაგიოგრაფიას ბიზანტიურ და სხვა ქრისტიან ხალხთა ჰაგიოგრაფიული მწერლობისაგან.

ჩვენ ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის უმთავრეს თავისებურებებს შევხებით, რადგან უფრო წერილმანი დეტალების წარმოჩენა ძალიან შორს წაგვიყვანდა, თუმცა ნაწილობრივ მათაც შევეხებით, როდესაც კონკრეტულად ვისაუბრებთ ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის ორი მთავარი ჟანრის „წამებათა“ და „ცხოვრება-მოქალაქეობის“ თითოეულ თხზულებაზე ცალ-ცალკე.

ნაწილი პირველი

„წამება – მარტვილობანი“

მარტიროლოგიური ჟანრის თხზულებები ქართულ ორიგინალურ ჰაგიოგრაფიას მისი არსებობის მთელ მანძილზე გასდევს – იწყება ის მარტიროლოგიური თხზულებით („შუშანიკის წამება“ – V ს.) და მთავრდება მარტიროლოგიური თხზულებით („შიო გარეჯელის“ წამება – 1799 წ.), რაც განპირობებულია საქართველოს ისტორიის უმძიმესი პოლიტიკურ-რელიგიური მოვლენებით. ქართული ეკლესიის პირველი მოწამეების გამოჩენა, რომელთა შესახებაც ჰაგიოგრაფიული თხზუ-

ლებები შეიქმნა, ემოხევეა აღმოსავლეთ საქართველოში მასდენური სარწმუნოების აღმსარებელი სპარსელების ბატონობის პერიოდს და ქრისტიანობისა და მასდენობის დაპირისპირების შედეგი იყო. ზოგიერთი მათგანის „წამება“ თვითმხილველი ავტორის დაწერილია (შუშანიკისა (V) და ვესტათი მცხეთელის (VII.) „წამებები“), ზოგი, მართალია, მასდენების მიერ იწამა (რაჟდენი Vს., აბიბოს ნეკრესელის VIIს.), მაგრამ მათ შესახებ წამებები გაცილებით გვიან შეიქმნა (პირველისა— XVIIIს., მეორისა — IXს.).

მეორე ეტაპი „წამებების“ შექმნისა უკავშირდება მოვლ საქართველოს ტერიტორიაზე მაჰმადიან არაბთა წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების ისტორიას და იწყება იგი ჰაბო თბილელისა და ნეოფიტე ურბნელის მარტივობებით (VIIIს. II ნახევარი) და გრძელდება ამ ბრძოლებში დაღუპულ მეფეთა (არჩილი) და მთავართა (დავით და კონსტანტინე; კონსტანტი კახი, გობრონი) შესახებ შექმნილი წამებებით, ზოგი თანამედროვე ავტორის (ჰაბოს— VIIIს.; კონსტანტი კახის—IXს.; გობრონის—X ს. დასაწ.), ზოგიც გვიანდელი ავტორისა (დავით და კონსტანტინე—XIIს.; არჩილი—XVIIIს.), ნეოფიტე ურბნელი (XVIIIს.).

მესამე ეტაპი მარტივოლოგიურ თხზულებათა დაწერისა უკავშირდება აღმოსავლეთ საქართველოში სპარსელი მაჰმადიანების შემოსევებს და მათ მიერ წამებულ მეფე-დედოფალთა (ქეთევანი, ლუარსაბი) და მთავართა (ბიძინა, შალვა, ელიზბარი) შესახებ შექმნილ „წამებებს“ ამ მოვლენებზე ოდნავ გვიან მოღვაწე ავტორების (გრიგოლ დოდორქელი, ბესარიონ ორბელიაშვილი) მიერ.

ამიტომ, ქვემოთ „წამებებს“ მათი გმირების მოღვაწეობის ზემოთ აღნიშნული ეპოქების მიხედვით დაავალაგებთ და არა, თქვათ, თხზულებათა დაწერის ქრონოლოგიური პრინციპის მიხედვით.

ქრისტიანული სარწმუნოების ზოგადსაკაცობრიო დანიშნულების მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანების კანონიზაცია ხდებოდა მოწამის არა ეროვნული კუთვნილების მიხედვით, არამედ მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე მის მიერ გაწეული ღვაწლის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ პირველი მოწამეები ეროვნებით არაქართველები იყვნენ, გაწეული ღვაწლისათვის ეკლესია მათ ქართველ წმინდანებად მოიხსენიებდა. მართლაც, შუშანიკი სომეხი ქრისტიანი მთავრის ქალიშვილი იყო, ვესტათი მცხეთელი ირანიდან ჩამოსული სპარსელი მასდენი და მცხეთაში ქრისტიანად მონათლული, რაჟდენიც გაქრისტიანებული სპარსელი მასდენი გახლდათ, ხოლო აბიბოს ნეკრესელი მასდენური სარწმუნოების შეურაცხყოფისთვის დასჯილი სირიელი ბერი იყო, რომელიც საქართველოს ეკლესიის ეპისკოპოსი გახდა. ასევე არაბების მიერ წამებული ჰაბო ტფილელი და ნეოფიტე ურბნელი ეროვნებით არაბები იყვნენ. ნეოფიტეც საქართველოს ეკლესიის ეპისკოპოსი გახდა.

პირველი ეროვნებით ქართველი მოწამეები არიან არაბთაგან VIIIს. I ნახევარში წამებული დავითი და კონსტანტინე, არგვეთის მთავრები, თუმცა მათ შესახებ „წამება“ მოგვიანებით (XIIს.) შეიქმნა. ამის შემდ-

გომ მარტიროლოგიური თხზულებები მხოლოდ ეროვნებით ქართველი მოწამეების შესახებ იწერება.

ქვემოთ წარმოდგენილი თითოეული თხზულების განხილვისას წინამდებარე ნაშრომის სპეციფიკის გამო ყოველი „წამების“ მხოლოდ ძირითადი ისტორიულ-ტექსტოლოგიური საკითხები იქნება წარმოდგენილი ძალზე შეკვეცილი სახით, რადგან თხზულებაში წამოჭრილ მრავალ საინტერესო ლიტერატურულ თუ წყაროთმცოდნეობით ზოგჯერ საკამათო საკითხზე მსჯელობა შეუძლებელი იქნება.

I. მაზდენ სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველი ქართული ჰაგიოგრაფიის მარტიროლოგიური. ძეგლები (V-VI სს)

1. შუშანიკის წამება

„წამებად წმიდისა შუშანიკის დედოფლისაჲ“ არის ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის ჩვენამდე მოღწეული პირველი ძეგლი. ეს თხზულება, რომელიც V ს. მეორე ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოს სარწმუნოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების რეალურ მდგომარეობაზე მოგვითხრობს, საერთოდ ძველი ქართული ორიგინალური მწერლობის პირველ ნიმუშად ითვლება.

თხზულებაში აღწერილი მოვლენები ვითარდება აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ ნაწილში, სომხეთის საზღვართან, ქალაქ ცურტაეში, ჰერეთის პროვინციის ცენტრში, სპარსეთის მეფის მიერ აქ დანიშნული მოხელის, ვარსკენ პიტიახშის კარზე, რასაც საფუძვლად უდევს სარწმუნოებრივ ნიადაგზე აღმოცენებული დაპირისპირება ვარსკენსა და მის მეუღლე შუშანიკს შორის. შუშანიკი, სომხეთის ცნობილი მხედართმთავრის ქალიშვილი, რომელიც ქრისტიანულ ტრადიციებზე იყო აღზრდილი, ვერ შეურიგდა ქრისტიანი მეუღლის მაზდენობას, რაც ვარსკენმა ნებაყოფლობით მიიღო სპარსეთის შაჰთან ერთ-ერთი სტუმრობის დროს იმ მიზნით, რომ შაჰის მხარდაჭერა მოეპოვებინა ქართლის მეფესთან დაწყებულ პოლიტიკურ ბრძოლაში, და სასახლე მიატოვა – ქრისტიანობის მოდალატე ქმარს გასცილდა. მეუღლეებს შორის წარმოშობილ სამკედრო-სასიცოცხლო დაპირისპირებას შუშანიკისათვის სარწმუნოებრივი საფუძველი მქონდა, რადგან მისი რწმენით, რაც სახარებისეულ მოძღვრებას ეფუძნებოდა, ქრისტიან ქალს არ მქონდა უფლება ქრისტიანობის უარყოფელ და გამაზღვანებულ ქმართან ეცხოვრა, ხოლო ვარსკენს ცოლის ურიობა და ოჯახური ტრადიციების ხელყოფა პირად შეურაცხყოფად მიაჩნდა. მართალია, თხზულებაში არ ჩანს, რომ ვარსკენს მოეთხოვა შუშანიკისათვის მაზდენობაზე მოქცევა, მაგრამ ის რომ ამას შეეცდებოდა ფაქტია, რადგან მან აღუთქვა შაჰს ცოლ-შვილის გამაჰმადიანება და კონფლიქტის პერიოდში მან შვილების მიმართ ეს შეასრულა.

ვარსკენის ყოველგვარი მცდელობა: თხოვნა, იძულება, სასტიკი ცემა, არაადამიანური ტანჯვა-წამება ამო გამოდგა – შუშანიკი ქმარს არ დაუბრუნდა და ციხეში შვიდწლიანი პატიმრობის შემდეგ გარდაიცვალა. ქრისტიანული რწმენის დაცვისათვის აუტანელი ტანჯვა-წამების მოთმენისათვის და საბოლოოდ სიცოცხლის გაწირვისათვის შუშანიკი ქართული ეკლესიის წმინდანი გახდა და ამ ღვაწლის უკვდავსაყოფად მისი „წამება“ შეიქმნა.

„შუშანიკის წამების“ უდიდესი ღირსება მის მხატვრულ-კომპოზიციურ და ენობრივ-სტილისტურ დახვეწილობასთან ერთად მის ფაქტოლოგიურ უტყუარობაშიც გამოიხატება, რადგან თხზულება დაწერილია ამ ამბების თვითმხილველისა და თანამონაწილის, შუშანიკის სულიერი მოძღვრისა და ვარსკენის კარის ეკლესიის ხუცესის – იაკობის მიერ. თხზულება უნიკალურია ქართულ პაგიოგრაფიაში სწორედ იმით, რომ ავტორი იაკობ ხუცესი თავად არის მისი ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი და თხრობა თავიდან ბოლომდე პირველ პირში მიმდინარეობს. იგი ყოველთვის შუშანიკის გვერდით არის მისი წამებისა და გაჭირვების დროს, უამებს ფიზიკურ და სულიერ ტანჯვას, ანუგეშებს და ამხნევეს მას.

„შუშანიკის წამება“ იაკობს 475-482 წლებს შორის დაუწერია, რადგან პირველი თარიღი შუშანიკის გარდაცვალების თარიღია, რაც შესაძლებელია დადგინდეს თვით თხზულებაში მოცემული ქრონოლოგიური მონაცემებით, ხოლო მეორე – ვარსკენის მკვლელობისა, რაც თხზულებაში არ არის ნახსენები, ე. ი. თხზულების დასრულებისას ვარსკენი ცოცხალია, წინააღმდეგ შემთხვევაში იაკობი ამ ფაქტს უყურადღებოდ არ დატოვებდა, რადგანაც შუშანიკიც ამბობს ვარსკენის შესახებ: „მიაგოს მას უფალმან“...

„შუშანიკის წამების“ სომხურ ვერსიას, რომელიც იაკობის ქართული ტექსტის გადამუშავებას წარმოადგენს, ზოგიერთი ისეთი დეტალი შემოუნახავს (სპარსეთის მეფის – პეროზის სახელი, შუშანიკის მესამედ წამების აღწერა, ვარსკენის შეილის წყალში დახრჩობის ამბავი და სხვა), რაც არ არის ქართულ ტექსტში, რაც სხვა არგუმენტებთან ერთად მიზეზი გახდა სამეცნიერო ლიტერატურაში მტკიცებისა, რომ „შუშანიკის წამებაში“, რომლის უძველესი, ჩვენამდე მოღწეული ტექსტი დაცულია XI ს. დასაწყისის ხელნაწერში (A-95, პარხლის მრავალთავი, სხვა ხელნაწერები მხოლოდ XVIII ს-ისაა), დაწერის დღიდან დასახელებულ ხელნაწერამდე გარკვეული ცვლილებები განიცადა. თითქოს ამას გამოხატავს თხზულების პაგიოგრაფიული ძეგლისათვის უჩვეულო დასაწყისიც: „და აწ დამტკიცებულად გითხრა თქვენ აღსასრული წმიდისა და ნეტარისა შუშანიკისი“. ამიტომ ზოგიერთი ვარაუდით თხზულებას ან დასაწყისი აკლია, ან სულაც მთელი პირველი ნაწილი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს თხზულება იმდენად არატრაფარეტული, არასტანდარტული ძეგლია, რომ ეს დასაწყისი საეკლესიო ბუნებრივი ჩანს ასეთი ორიგინალური და თავისთავადი თხზულებისათვის. ავტორს, ბუნებრივია, შინაგანი განცდა და შეიძლება, შიშიც ჰქონდა, თუ როგორ დასრულდებოდა

შუშანიკის მოწამებრივი გზა: გაუძლებდა კი ის ბოლომდე სოფლის მკაცრ გამოცდას, თუ ვერ აიტანდა ტანჯვას, შეილებთან განშორებას და დაწყებოდა ვარსკენის ნებას (ტყუილად კი არ ეკიონება იაკობი შუშანიკს „ვითარ გეგულების, მითხარ მე, რადთა უწყობი და აღეწერო შრომამ შენი“, ხოლო მან მრქუა მე: „რამსა მკითხავ ამას?“ და მე მიუგე და ვარქუ მას: „მტკიცედ სდგაა?“), ან ვარსკენი დიდსულოვნად მისცემდა მას თავისუფალი არჩევანის უფლებას. ორსავე შემთხვევაში იაკობისათვის აღარ დადგებოდა შუშანიკის „წამების“ დაწერის საჭიროება, მაგრამ იაკობის ყოველგვარი ეჭვი უსაყუძელო შეიქმნა: შუშანიკი შეეწირა სარწმუნოების ინტერესებს და იაკობმაც თავისი თხზულება ამ განცდების გამომხატველი ფრაზით დაიწყო: „და აწ დამტკიცებულად გითხრა თქუენ აღსასრული...“. „შუშანიკის წამება“ ერთადერთი თხზულებაა ქართულ პაგიოგრაფიულ ლიტერატურაში, რომლის მთავარი მოწამე-პერსონაჟი აღესრულა, მართალია, ხანგრძლივი ტანჯვა-წამებით და ციხის უმძიმესი პირობების შედეგად, მაგრამ მანაც ბუნებრივი სიკვდილით, განსხვავებით ქართული ეკლესიის დანარჩენი მოწამეებისაგან, რომელთაგან უმეტესობა თავისმოკვეთით დასაჯეს, ზოგი მდინარეში დაახრჩევს, ზოგი ცოცხლად დამარხეს ან ჯვარზე გაკრული დაისრეს, ან კიდევ ჩაქოლეს, ზოგიც თოკით მოაშთეს.

„შუშანიკის წამება“ გამორჩეული ქართული მარტიროლოგიური თხზულებაა თუნდაც იმით, რომ მისი მთავარი გმირი არ არის პაგიოგრაფიისათვის დამახასიათებელი ტრადიციებით წარმოდგენილი პიროვნება, ის რეალური, ცხოვრებისეული ადამიანია, თავისი დადებითი და ზოგჯერ სანოთირო თვისებების გამოვლენით. უარყოფითი გმირიც რეალურად წარმოდგენილი ადამიანია, თავისი პრინციპების დამცველი, გულქვა და სასტიკი, თუმცა ზოგჯერ ადამიანური და ლმობიერი.

თხზულებაში შესანიშნავი მხატვრული ფერებით და ლაკონური ენობრივ-სტილისტური საშუალებებით ასახულია საქართველოს ამ კუთხის პოლიტიკური, სოციალური და ეთნოგრაფიული ცხოვრების ნიუანსები და ბუნების სურათები.

არცერთ პაგიოგრაფიულ ძეგლზე არ დაწერილა იმდენი წიგნი და სამეცნიერო სტატია, არცერთი პაგიოგრაფიული ტექსტი არ გამოცემულა იმდენჯერ, არც ერთ ქართულ პაგიოგრაფიულ ნაწარმოებს არ გამოუწვევია უცხო ქვეყნების სამეცნიერო წრეებში ისეთი კამათი და აჟიოტაჟი, რაც „შუშანიკის წამების“ ირგვლივ ხდებოდა.²

2 აქ მხოლოდ რამდენიმე მოცემას, თარგმანს და მონოგრაფიას დავასახელებო: 1) ილ. აბულაძე, მარტილობა შუშანიკისა, ქართული და სომხური ტექსტები, გამოკვლევა, თბ., 1938; 2) ძვ. ქართ. აგიოგრაფიული ლიტ. ძეგლები, I, თბილისი, 1963, გვ. 11-29. 3) ე. ჭლიძე, ძველი ქართული სასულიერო მწერლობა, I, თბილისი 2005, გვ. 5-308 (ტექსტი, თარგმანი თანამედროვე ქართულზე, გამოკვლევა-კომენტარები). 4) ივ. ჯავახიშვილი, შრომები, VIII, გვ. 56-65; 5) კ. კეკელიძე, ძვ. ქართ. ლიტ. ისტ., 1980, 113-122; 6) P. Peeters, *Passio nobilie dominae Susanicae* (ლათინური თარგმანი ქართ. და სომხური ტექსტებისა) *Analecta Bollandiana* t. 53, და I-II III-IV, 1935. 7) D. F. Lang, *Lives and Legends of the Georgian Sante* (ინგლისური თარგმანი), London, 1956, p. 44. 8) Кекелидзе, Яков Цуртавели, *Мученичество Шущаника*, Тбилиси, 1979.

2. ევსტათი მცხეთელის მარტვილობა

მორე უძველესი ქართული მარტიროლოგიური ძეგლი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, არის VI ს. II ნახევარში დაწერილი და ჩვენამდე მხოლოდ XI ს. ხელნაწერით (H-341) შემორჩენილი „მარტვილობა და მოთმინებაა წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ“ (სხვათა შორის, ეს ერთადერთი მარტიროლოგიური თხზულებაა, რომლის სათაურში იხმარება „მარტვილობა“ და არა „წამება“).

თხზულება დაწერილია მასში აღწერილი ამბების თანამედროვის მიერ, რაც ჩანს ერთადერთ ფრაზაში, „რომელმანმე მათგანმან ნებითა ღმრთისაჲთა შეისუნა ჟამად-ჟამად და რომელნიმე ცოცხალ არიან“, თორემ ანონიმი ავტორი მესამე პირით თხრობაში საერთოდ არ ჩანს.

თხზულებაში მოთხრობილია თავგადასავალი ერთი ახალგაზრდა (30 წლის) სპარსელი მაზდეანი კაცისა, გვირობანდაკისა, რომელიც მცხეთაში ჩამოსულა იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთ საქართველო და მათ შორის ქართლიც მაზდეანი სპარსელების ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა და იქ მეფობა გაუქმებული იყო. აქ მას შეუსწავლია ხელობა („მეკამლეობა“ - მეწაღეობა), მოსწონებია ქრისტიანული სარწმუნოება, რომელსაც იგი ჯერ კიდევ სპარსეთში გასცნობია, უკვირდებოდა და სწავლობდა მას, ხოლო ბოლოს მონათლულა კიდევ სამოელ ქართლის კათალიკოსის ხელით და უწოდეს მას ევსტათი. ეს პროცესი, ჩვენი აზრით, დააჩქარა ახალგაზრდა ქრისტიან ქართველ ქალთან ნაცნობობამ, რაც მათი ქორწინებით დამთავრდა (და არა ისე, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში არის წარმოდგენილი - დაქორწინდა, ეყოლა შვილები და შემდეგ მოინათლა). მალე მცხეთაში მცხოვრებმა სპარსელმა მაზდეანებმა ევსტათის გაქრისტიანების ამბავი მცხეთის ციხისთავს მოახსენეს, ხოლო მან ევსტათი სხვა გაქრისტიანებულ შვიდ სპარსელთან ერთად თბილისის მარზპანის სამსჯავროზე გაგზავნა. ამ დროს მარზპანი შაჰის კარზე გაიწვიეს და გამგზავრების წინ მან ქართლის კათალიკოსისა და დიდებულების თხოვნით პატიმარი ექვსთვიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლა. სამი წლის შემდეგ ევსტათი კვლავ დაასმინეს ახლად ჩამოსულ სხვა მარზპანთან, რომელმაც ბევრი თხოვნა-მუქარის შემდეგ, რომ ევსტათი დაბრუნებოდა მაზდეანობას, მიზანს ვერ მიაღწია, ბრძანა მისი სიკვდილით დასჯა თავისკვეთით და მისი გვამის ქალაქკარეთ გადაგდება. ღამით ქრისტიანებმა ევსტათის გვამი მოიპარეს და მისი ანდერძის თანახმად მცხეთაში დაასაფლავეს.

თხზულებაში მოთხრობილი ამბების ქრონოლოგიური საზღვრების დასადგენად მონაცემები თვით ძეგლში არის მითითებული: თხრობა იწყება 541 წლით (სპარსეთში ხოსრო პირველის მეფობის მეათე წელს მცხეთაში ევსტათის ჩამოსვლა) და მთავრდება 545 (ა. პარნაკი - ივ. ჯავახიშვილი) ან 551 წლით (კ. კეკელიძე³; ევსტათის სიკვდილით დასჯა). ე.ი. ავტორი ევსტათის თავგადასავლის ფონზე აგვიწერს

3 კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ. I, თბ., 1980, გვ. 509-511.

VII. შუა წლების ქართლის უმეყოდ დარჩენილი სამეფოს (მეფობა სპარსელმა დამპყრობლებმა გააუქმეს 526 წელს) პოლიტიკურ, საეკლესიო და კულტურულ მდგომარეობას. დაწერილია არცთუ მაღალი მხატვრულ-სტილისტური ენით, მაგრამ შინაარსობრივად დატვირთული, ფაქტების სიუხვით გამორჩეული ეს თხზულება ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა იმდროინდელი ისტორიული წყაროთმცოდნეობითი მასალების დეფიციტის ფონზე: უზენაეს ხელისუფლებას განასახიერებს სპარსეთის შაჰის მიერ დანიშნული მარზპანი, რომლის რეზიდენცია თბილისშია, ხოლო რეგიონალურ ხელისუფლებას – მარზპანის დანიშნული სპარსელი ციხისთავები. სასამართლო საქმეები მხოლოდ მარზპანის პრეროგატივაა. ქართული ეკლესიის საქმეებში, რომელსაც განაგებს ქართლის კათალიკოსი, სპარსელები არ ერევიან. შინაურ საქმეებში მონაწილეობენ და ფორმალურად განაგებენ ქართველი მოხელე-დიდებულები: ქართლის პიტიახში და ქართლის მამასახლისი. ქრისტიან მორწმუნეთაგან იდევნებიან მხოლოდ რენეგატი სპარსელები, ვინც მასდენობა უარყო და ქრისტიანული ნათლისღება მიიღო.

საინტერესოა თხზულებაში აღწერილი საყოფაცხოვრებო სურათებიც: იგრძნობა მცხეთაში მცხოვრები სპარსელების სიმრავლე, რომლებიც მართავენ მასდენურ დღესასწაულებს. მათი ძირითადი ნაწილი ხელოსნები და წვრილვაჭრები იყვნენ. როდესაც ეესტათი მეორედ დააპატიმრეს და თბილისში მიჰყავდათ, იგი გამოემშვიდობა ოჯახის წევრებს და „მონა-მხეველთა“ თვისთა, რამაც ქართულ ისტორიოგრაფიაში წარმოშვა ეჭვი, რომ ამ ეპოქაში ხელოსანსაც კი შეეძლია საკუთარი მონა-მხეველები ჰყოლოდა (ივ. ჯავახიშვილი, შრომები, I, 1979, გვ. 321). არადა, ჩვენი აზრით, ამ ფაქტის ახსნა მარტივად შეიძლება: ეესტათი ჩაესიბა შეძლებულ ოჯახში, რომლის თაეკაციც, ე.ი. მეუღლის მამა, უკვე გარდაცვლილი იყო. ასე გახდა იგი „მონა-მხეველთა“ პატრონი. საინტერესოა აგრეთვე ერთი დეტალიც: თხზულებაში სამჯერ არის საუბარი ჯერ დასასჯელი, ხოლო შემდეგ დასჯილი ეესტათის გეამის ქალაქბარეთ დაგდებაზე „შესაჭმელად მკეცთა (ან ძაღლთა) და მფრინველთა“. ამ ფაქტს მიიჩნევენდენ დამსჯელთა სისასტიკისა და დასჯილისადმი უდიერად მოპყრობის ნიმუშად. სინამდვილეში აქ და ყველა იმ ქართულ „წამებაში“, რომლებიც მასდენანობის დროს ეხება („რაუდენის წამება“, „აბიბოს ნეკრესელის წამება“) მსგავსი მოქმედება ასახავს მიცვალებულის დასაფლავების მასდენანურ წესს, რაც მათი რწმენით მზის სხივების ქვეშ გეამის სხეულიდან სულის სწრაფ განთავისუფლებას და ზეცაში ასვლას აჩქარებდა, ხოლო მიწაში დაფლვა ამ პროცესს ხელს უშლიდა.⁴ ამას ადასტურებს აგრეთვე ნათარგმნ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში („ეპიფანე კვიპრელის ცხოვრება, V ს.) აღწერილი მსგავსი ეპიზოდიც.

4 ე. გაბიაშვილი, მასდენანობის კვალი ზოგიერთ ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში, სექტიცხოვლობისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის (11-13X, 1995) მასალები, თბ. 1998წ.

„ევესტათი მცხეთელის მარტვილობა“ მსგავსებას იწენს უძველეს ბიზანტიურ მარტიროლოგიურ ძეგლებთან (როგორც ვთქვით, ქართული თხზულების სათაურიც ამას მოწმობს). თხზულებაში მოხსენიებული ორმოც სებასტიელ მოწამეთა ამბავი მათ შესახებ შექმნილი მარტვილობის ამ დროისათვის ქართულად თარგმანზე უნდა მიუთითებდეს. საინტერესოა თხზულების სხვა წყაროებიც: თხზულებაში გადმოცემული ძველი და ახალი აღთქმის წიგნების შინაარსი ხშირად არ ემთხვევა ბიბლიის კანონიკური წიგნების შინაარსს. ფიქრობენ, რომ აქ მოტანილია სირიული, ან სპარსული, შესაძლებელია ქართულიც, ე.წ. თარგუმები – ბიბლიური წიგნების შინაარსის პერიფრაზულ-კომენტირებული ტექსტები. თხზულებას უსარგებლია აგრეთვე აპოკრიფული თხზულებით: „დაბადებისთვის ცისა და ქუეყანისა და ადამისათვის“.⁵

როგორც ვთქვით, „ევესტათი მცხეთელის მარტვილობის“ ტექსტის შემცველი უძველესი ხელნაწერი XI ს-ისაა, ხოლო დანარჩენი რვა – XVIII ს. ამასთანავე თხზულების თავდაპირველ ტექსტს ხარვეზის გამო ფურცელი უნდა აკლდეს თხრობის დასასრულის ცოტა წინ. ცხადია, ეს ხარვეზი გვიანდელ ხელნაწერებშიც არის.

ბოლო ხანებში გამოითქვა ვარაუდი, რომ ევესტათი მცხეთელის მარტვილობა დაწერილი უნდა იყოს VIII ს. I ნახევარში (ხოლო II ფარეზის (590-628)⁶ და არა ხოლო I, ანუ შირვანის (531-578⁷) დროს⁷, რის მტკიცებასაც ალბათ უფრო მკვეთრი არგუმენტები დასჭირდება.

თხზულების ქართული ტექსტი რამდენჯერმე გამოიცა: 1. მ. საბინინისა, „საქართველოს სამოთხე“, ს.–პეტერბურგი, 1882, გვ. 313-322; 2. ძველი ქართული პაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1963, გვ. 30-45 (ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით); 3. ე. ჭელიძისა, ძველი ქართული საეკლესიო მწერლობა, I, თბილისი, 2005, გვ. 309-479 (ტექსტი, თარგმანი თანამედროვე ქართულ ენაზე, გამოკვლევა-კომენტარები). თხზულება ითარგმნა: რუსულად (М. Сабини, Полное жизнеописание святых груз. церкви, II, СПб, 1872), გერმანულად (ივ. ჯავახიშვილის მიერ: Das Martyrium des Heiligen Eustatius von Mzcheta – ფურნალში: პრუსიის სამეფო ლეცნ. აკადემიის მოამბე, ბერლინი, 1901, XXXVIII, 875-912. ძირითადი ლიტერატურა: ივ. ჯავახიშვილი, დასახ. თარგმანის წინასიტყვაობა, დაწერილი ა. პარნაკთან ერთად, მისივე ძველი ქართული საისტ. მწერლობა, შრომები, VII, გვ. 66-70; კ. კეკელიძე, ძვ. ქართ. ლიტ-ის ისტორია, I, თბ., 1980, გვ. 508-515; მ. ჩხარტიშვილი, მარტვილობა... ევესტათი მცხეთელისა... (წყარომცოდ. გამოკვლევა), თბ. 1991, გვ. 33-53, ს. კაკაბაძე, ევესტათი მცხეთელის ცხოვრება, საისტ. კრებული, III, 1928, 76-80.).

5 ე. გაბიაშვილი, ევესტათი მცხეთელის მარტვილობა (ნარკვევი), საქ. ლიტ. მცოდნეობის აკადემიის შრომები, V, თბ. 2007წ.

6 მ. ჩხარტიშვილი, მარტვილობა ევესტათი მცხეთელისა (წყარომცოდნეობითი გამოკვლევა), თბ. 1991, გვ. 33-59.

7 კ. კეკელიძე, ძველი ქართ. ლიტ. ისტორია, გვ. 512-515.

3. რაჟდენის წამება

რაჟდენი ითვლება საქართველოს ეკლესიის პირველმოწამედ (ისევე, როგორც მთელ ქრისტიანულ სამყაროში პირველმოწამედ ითვლება სტეფანე დიაკონი). საკვირველი ის არის, რომ V ს. I ნახევარში წამებული წმინდანის შესახებ მარტიროლოგიური თხზულება პირველად (ყოველ შემთხვევაში, ჩვენამდე მოღწეულთა შორის) დაიწერა XVIII ს. I ნახევარში. ბესარიონ ორბელიშვილის, აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის თხზულება, რომლის სრული სათაურია „წამება და ღვაწლი წმიდისა დიდისა მოწამისა რაჟდენისი, რომელი იწამა ჟამთა დიდისა მეფისა ვახტანგისათა სპარსთა მიერ ქართლსა შინა, სოფელსა შინა წრომს“, ეფუძნება იმ ძველ მატყანეს, როგორც ავტორი აღნიშნავს, რომელშიც აღწერილი იყო „სიმკნე და მოთმინება“ რაჟდენისა, თუმცა დღეისათვის მოწამის შესახებ ძველი წყაროებიდან რამდენიმე ფრაზამ მოაღწია, ისტორიკოს ჯუნანშერის (XIX ს.) სახელით ცნობილი ვახტანგ გორგასალის ისტორიიდან: რაჟდენი ყოფილა სპარსელი მაზდეანი, ვახტანგ გორგასალის მომავალი მეუღლის, სპარსეთის შაჰის ქალიშვილის აღმსრდელი, მამამჟუძე. იგი აღსაზრდელს ჩამოჰყოლია ქართლში და აქ მიუღია ქრისტიანობა. ის ქართველების მხარეზე იბრძოდა სპარსელების შემოსევების დროს. ერთ-ერთი შეტაკების დროს ის სპარსელებს ტყვედ ჩაუგდიათ და სპარსული სარწმუნოების ღალატისათვის სიკვდილით დაუსჯიათ ქ. წრომში (ჯვარზე გაკრული რაჟდენი მოისართა სამიზნე ყოფილა; უნებურად გაგვახსენდება წმ. სებასტიანე) დაახლოებით, 463-464 წწ. მოწამის გვაში ქრისტიანებმა მოიპარეს და საიდუმლოდ დამარხეს, ხოლო შემდგომ, დაწყნარების ჟამს ვახტანგს მისი ნეშტი გადაუსვენებია ახლად აშენებულ ნიქოზის საეპისკოპოსო ეკლესიაში.

ბესარიონს, რომლის წყაროს შეადგენდა „ძველნი მატყანენი... და მიმოგანთესულობანი ესეითართა უწყებათანი“, რიტორიკული ენაწყლიანობით განუერცია მოპოვებული მწირი დოკუმენტური მასალა და ერცელი მარტიროლოგიური თხზულება შეუქმნია მოწამის შესახებ, რომელიც ავტორის სიტყვებით: „დასაბამი მოწამეთა რაჟდენისა, არა თუ სახითა ყოველთა მოწამეთა დასაბამად ვთქუ, არამედ ჩუენთა ამთ და ქართველთა შორის გამობრწყინებულთა მოწამეთა დასაბამი იქმნა სანატრელი ესე... პირველ ამის ნეტარისა არა ვისი სმენილ არს მარტულთაჲმ ქუეყანასა ამას საქართველოსასა (ძეგლები, V, გვ. 66).

„რაჟდენის წამების“ ქართული ტექსტი (ბესარიონის ავტორგრაფული ხელნაწერი – S-3269, XVIII ს. I ნახ.) ორჯერ გამოიცა, პირველად – 1882 წ. საქ. სამთხვეში, გვ. 169-179 და მეორედ – ძვ. ქართ. შავიოვრ. ძეგლები, V, 64-79, ხოლო მისი ლათინური თარგმანი შეასრულა P. Peeters-მა (Analecta Bolondinna, t. 33, 1914, 305-317, გამოკვლევა 294-305). ლიტერატურა: კ. კეკელიძე, ძვ. ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1980, გვ. 351; მ. ქავთარია, ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, ხელ. ინსტ. მოამბე, I, 1959, გვ. 90-93; მისივე, ძეგლები, V, 195-197; ივ. ლოლაშვილი, ქართული წიგნისა და მწიგნობრობის სათავეებთან, თბ., 1978, გვ. 72-78.

4. აბიბოს ნეკრესელის წამება

აბიბოს ნეკრესელი ერთ-ერთია სირიიდან აღმოსავლეთ საქართველოში VI ს. შუა წლებში მოსულ იმ 13 მონაზონთაგან, რომელთა სახელებს უკავშირდება პირველი მონასტრების დაარსება აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, და ერთია იმ ორთაგან, ვისაც წილად ხვდა ეპისკოპოსობის პატივი (აბიბოსს-ნეკრესის ეპარქიისა, ხოლო ისეს – წილკნისა), და ერთადერთი, ვინც მათ შორის მოწამის გვირგვინით შეიმკო.

აბიბოს ნეკრესელმა შეურაცხყო მასდენ სპარსთა სიწმინდე: წყალი დაასხა და ჩააქრო მათი რიტუალური ცეცხლი, რისთვისაც იგი ჩაქოლეს, „ქეით განტყინეს“ ქ. რეხში, მარსპანის სამსჯავროს გადაწყვეტილებით. ეს ფაქტი მომხდარა VI ს. II ნახევარში, ხოლო თხზულება, სავარაუდოდ, მხოლოდ IX ს-ში დაიწერა და კიდევ უფრო გვიანდელი (XIII ს.) ხელნაწერით არის მოღწეული, თუმცა საფიქრებელია, რომ ამ ძეგლის IX ს. ავტორმა უფრო ძველი წყარო გამოიყენა, არ არის გამორიცხული – წამებისდროინდელიც. მოღწეული თხზულების ავტორად ტრადიციულად IX ს. ქართლის კათალიკოსს – არსენ დიდს ასახელებენ. ეს თხზულება ერთადერთი, XIII ს. ნაკლები ხელნაწერით (A-199) არის მოღწეული, თუმცა მისი ნაკლები ნაწილის აღდგენა შესაძლებელია, რადგან რამდენიმე გვიანდელმა ხელნაწერმა (A-130; A-170 და სხვ.) შემოგვინახა თითქმის იგივე ტექსტი, მცირეოდენი ფრაზეოლოგიური ცვლილებებით და ეპილოგის დართვით. ამ გვიანდელ ტექსტს ხშირად აბიბოს ნეკრესელის მეტაფრასული რედაქციის „წამებასაც“ უწოდებენ, თუმცა სინამდვილეში ეს ძეგლი X ს-ში არსენ II ქართლის კათალიკოსმა (955-980წწ.) არსენ დიდი კათალიკოსის (IX ს. II ნახ.) მიერ დაწერილი შემონახსენები აბიბოს ნეკრესელის წამების ტექსტი ოდნავ შეასწორა და მის მიერ შექმნილ იოანე სუდანხელისა და მის მოწაფეთა (შოი მღვიმელი, დავით გარეჯელი) საერთო თხზულებაში ჩართო ბოლო ნაწილად და ამიტომ წინა ნაწილებთან დასაკავშირებლად ეპილოგის დართვა გახდა საჭირო.⁸

აბიბოს ნეკრესელის ძველი რედაქციის ტექსტი პირველად მ. ჯანაშვილმა გამოაქვეყნა თავის საეკლესიო მუშუუმის ხელნაწერების აღწერილობაში, წ. III, 1902, გვ. 25-28. მეორედ – ს. კაკაბაძემ, საისტ. კრებულში, წ. V, 1924, გვ. 239-246. უფრო კრიტიკულია ბოლო ორი გამოცემა: ილ. აბულაძისა, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, 1954, 188-196 (ერცველი, გვიანდელი ტექსტის პარალელურად); ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1963, გვ. 240-248 (ორივე პარალელურად). იხ. აგრ. ს. ყუბანეიშვილის ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946, გვ. 167-169 (უძველესი რედაქცია). ლიტერატურა: ილ. აბულაძის დასახ. გამოცემა;

8 ე. გაბიძაშვილი, ასურელ მოღვაწეების „ცხოვრებათა“ ე.წ. არქეტაიპების უროიერთ-მომართობისათვის, მაკნე, ელს, №4, 1982, გვ. 61-67.

კ. კეკელიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში შემოსვლის შესახებ, ეტიუდები, I, 1956, გვ. 19-50; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1928, გვ. 324-347 და სხვ. მრავალი.

II. მაჰმადიან არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველი ქართული მარტივოლოგიური ჰაგიოგრაფიის ძეგლები (VIII-Xსს.)

1. ჰაბო ტვილელის წამება

„წამებად წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესისა ჰაბოდსი, რომელი იწამა ქართლს შინა, ქალაქსა ტვილისს, ჳელითა სარკინოზთაჲთა, გამოთქუმული იოვანე ძისა საბანისი ბრძანებითა ქრისტეს მიერ სამოელ ქართლისა კათალიკოსისაჲთა“ პირველი „წამებაა“, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში არაბთა ბატონობის პერიოდში დაიწერა. თხზულების სათაურშივეა დასახელებული და ჩვენც გავიმეორებთ, რომ „წამება“ დაუწერია მოწამის თვითმხილველსა და თანამედროვეს იოვანე საბანის ძეს („...სანატრელითა მით ქრისტესმიერითა სიყუარულითა შემიყუარე მე, ვიდრე იყავ სოფელსა ამას შინა ჩუენსა“), რასაც ადასტურებს სამოელ ქართლის კათალიკოსი, თხზულების დამკვეთი („შენ თუთ უწყი სანატრელისა ამის ახლისა მოწამისა ჰაბოდსი, რომელი დღეთა ამათ ჩუენთა იმარტულა“), 786-790წწ.-ში, რადგანაც ჰაბოს მარტივილობის თარიღი – 786 წელი, თვით თხზულებაშია დასახელებული, 790 წელი სამოელის გარდაცვალების თარიღია, ხოლო მან რომ იოვანეს მიერ დასრულებული თხზულება მიიღო, ეს ფაქტი თხზულების შესავლიდან – იოვანეს სამოელისადმი საპასუხო ეპისტოლიდან ჩანს. იოვანე საბანის ძის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი, თუმცა დამკვიდრდა აზრი, რომ იგი საერო პირი უნდა ყოფილიყო, რაც ერთადერთი გამონაკლისი იქნებოდა ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში, მაგრამ სინამდვილეში იოვანეც სასულიერო პირი უნდა იყოს, რადგან საეკლესიო კანონმდებლობით „არა უწყს ერისკაცსა საეროდ აღძრვად სიტყუსაჲ, ანუ სწავლად ერისაჲ“ (დიდი სჯულისკანონი, VI კრ. 64-ე კანონი, გვ. 394-395). თხზულებამ დაწერისდროინდელი ხელნაწერით ვერ მოაღწია, მაგრამ წამების ტექსტი შემოგვინახეს IXს. (A-1109; A-19) და Xს. (Ath.8; Sin.11, A-95) ხელნაწერებმა.

ჰაბო, ეროვნებით არაბი ჭაბუკი, როგორც მსახური, თბილისში ჩამოაყვლია ნერსე ქართლის ერისთავს, რომელიც არაბებს დატუსადებული ჰყავდათ ქ. ბაღდადში და 3 წლის პატიმრობის შემდეგ გამოუსტუმრებიათ. აქ იგი, მოხიბლულა ქრისტიანული სარწმუნოებით და ფარულად დადიოდა ეკლესიაში. ხელახალი დაპატიმრების შიშით ნერსე ხაზარეთში გახიზნულა და თან ჰაბოც წაუყვანია. აქ მან მიიღო ნათლისღება და ეკლესიურად გაქრისტიანდა.

ერთხანს ჰაბო თავის ქრისტიანულ მოღვაწეობას აგრძელებდა აყხ-ასუტოში, სადაც ნერსეს ოჯახი იყო თბილისიდან გახიზნული და სადაც ჩავიდა ნერსე ხასარეთიდან ჰაბოს თანხლებით. აქ ჰაბოს უკვე შექმლო უშიშრად გამოემჟღავნებინა თავისი ქრისტიანული მრწამსი, რადგან ამდროინდელი აყხასუთი იყო „სავსე ქრისტეს სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკედრად იპოვების სასლვართა მათთა“ (ძეგლები, I, 59).

ქართლში პოლიტიკური სიტუაციის ნორმალიზებამ შესაძლებელი გახადა ნერსეს თბილისს დაბრუნება და გაქრისტიანებული აბოც მაჰმადიან თანამეცემე არაბთა გარემოცვაში მოხვდა. მათი დაბესღების შემდეგ იგი ამირას სამსჯავროს წინაშე წარდგა, მაგრამ სტეფანე ერისმთავრის ძალისხმევით ამჯერად გადარჩა სასჯელს და გაათავისუფლეს, მაგრამ მეორედ დასმენის შემდეგ იმის შიშით, რომ მას მიმბაძველები არ გამოსჩენოდა, ჰაბო საპყრობილეში ჩააგდეს, ხოლო რადგან ჰაბოს ვერც სიმდიდრის დაპირებამ შეაცვლევინა გადაწყვეტილება და ვერც ტანჯვა-წამებამ, პატიმრობის მეცამეტე დღეს, ნათლისღების დღესასწაულზე, 6 იანვარს მას თავი მოჰკვეთეს, გვამი კი დაწვეს და ცხერის ტყავში გახვეული ნეშტი მტკვარში გადააგდეს, რათა იგი მორწმუნეთა თაყვანისცემის საგანი არ გამხდარიყო.

ქართლში გაბატონებული არაბთა თვისტომის გაქრისტიანება და ქრისტეს სარწმუნოებისათვის სიცოცხლის გაწირვა მძლავრი არგუმენტი იყო თხზულების ავტორის – იოვანე საბანისძის ხელში არაბთა ზემოქმედების წნეხის შედეგად შეშინებულ და რწმენაშერყეულ ქართველებში ქრისტიანული რელიგიის განსამტკიცებლად. ეს არგუმენტი მან ბრწყინვალედ გამოიყენა და შექმნა ეროვნული პათოსით აღსავსე პირველი პაგიოგრაფიული თხზულება, რომელშიც მაღალმხატვრულ-ალეგორიული და რიტორიკულ-პათეტიკური ხერხებით აუწყა მრევლს, რომ კარს მომდგარი სახელმწიფოებრივი და სარწმუნოებრივი კატასტროფა ქრისტიანული რწმენის მხოლოდ მტკიცედ დაცვით შეიძლება ავიცილოთ თავიდან. თხზულების კომპოზიცია ორიგინალურია და ანალოგი არ მოეპოვება ქართულ პაგიოგრაფიაში. მთლიანობაში „ჰაბოს წამება“ ძველი ქართული მწერლობის რამდენიმე დარგის სინთესს წარმოადგენს: თხზულება იწყება დამკვეთის ეპისტოლითა და ავტორის საპასუხო ეპისტოლით დაკვეთის შესრულების შესახებ, შემდეგ ჩამოთვლილია თხზულების ოთხი თავის სახელწოდება. I თავი წარმოადგენს ქადაგების ფორმით მრევლის დამოძღვრას, თუ რას ნიშნავს დამპყრობელთა მონობისას შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის დროს ქვეყნისა და ხალხისათვის ახალი მოწამის – ჰაბოს გამოჩენა და ქრისტესთვის თავდადება. მეორე და მესამე თავები, ჩვეულებრივი, ოღონდ ოსტატურად დაწერილი მარტივოლოგიური პაგიოგრაფიის ძეგლია, რომელშიც ქართლის, ხასარეთისა და აყხასუთის ქვეყნების საინტერესო პოლიტიკური და ეთნოგრაფიული დეტალების ფონზე მოთხრობილია ჰაბოს ბედდადიდან თბილისში ჩამოსვლა, გაქრისტიანება და ბოლოს დასჯა (სხვათა შორის, ერთ-ერთ ძველ ხელნაწ-

ერში ჰაბოს წამება მხოლოდ II და III თავებით არის წარმოდგენილი). მეოთხე თავი პომილეტიკური შესხმის, ანუ ქების პირველი ქართული ნიმუშია, აგებული ე.წ. „გიხაროდენ“-ის თარგზე.

იოვანე საბანისძე თავისი თხზულების დასაწერად, ჩვეულებისამებრ, უხეად უხმოვს სხვადასხვა წყაროს და ოსტატურად იყენებს მათ თავისი თხზულების ძირითადი დებულების წარმოსაჩინად. მათ შორის მრავლადაა ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან მოხმობილი ციტატები, თუ მათი პერიფრაზები. სხვა წყაროებიდან იგრძნობა ორიგინალური ჰაგიოგრაფიული ძეგლებით - „შუშანიკის წამებით“ და „ეესტათი მცხეთელის მარტვილობით“ - სარგებლობის კვალი. ნათარგმნიდან - „ორმოც სუბასტიელ მოწამეთა მარტვილობით“, „სტეფანე პირველმოწამის მარტვილობით“. განსაკუთრებით თვალში საცემია „ჰაბოს წამების“ პირველ თავში წარმოდგენილი ქრისტეს სიმბოლური ეპითეტების ჩამონათვალი და მათი კომენტარი თითქმის სიტყვა-სიტყვით აღებულია ეპიფანე კვიპრელის „აღესებისათუს“ ქართული თარგმანიდან (ილ. აბულაძე, შრომები III, თბილისი, 1982, გვ. 128-139).

„აბო ტვილელის წამება“ მრავალჯერ არის გამოცემული, მათგან დავასახელებთ უმთავრესს: პირველი გამოცემა - დ. ჩუბინაშვილი, ქრესტომათია, პეტერბურგი, 1863, გვ. 19-23; კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, 1935, გვ. 55-80; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1964, გვ. 46-81: ე. ჭელიძე, ძველი ქართული საეკლესიო მწერლობა, I, თბილისი, 2005 წ. გვ. 1045-1150 (ტექსტი, თარგმანი თანამედროვე ქართულზე, გამოკვლევა - კომენტარები). თარგმნილია რუსულად: М. Сабинин, Полное жизнеописание святых груз. церкви, I, 1871, с. 166-178; К. Кекелидзе, Памятники древнегрузинской агиографической литературы, Тбилиси, 1956, с. 31-60 (აგრ. ეტიუდები, XII, 1973, 104-128); გერმანულად: K. Schultze, Das Martyrium des heiligen Abo von Tiflis, Texte und Untersuchungen, N. Folge, XIII, 4. Leipzig, 1905; ინგლისურად (პერიფრაზული) D. Lang, The Martyrdom of Abo, the perfumer from Baghdad, Lives, p. 115-133; იტალიურად: გ. შურდაიასი, La spiritualita Georgiana: martirio di Abo santo e biata martire di Joane Saba nize, Roma, studium, 2003. ლიტერატურა: ზემოდასახელებულ გამოცემათა წინასიტყვაობა და გამოკვლევები: კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტ. ისტორია, I, 1980, 129-192; ივ. ჯავახიშვილი, შრომები, VIII, თბილისი, 1977, გვ. 76-85; P. Peeters, Les Khazars dans la Passion de s. Abo de Tiflis, Analecta Bollandiana, T. LII, fascicule 1-2, Bruxelles, 1934, 23-28.

2. არჩილ მეფის წამება

„წამებად წმიდისა და დიდებულისა არჩილისი, რომელი იყო მეფე ქართლისა“, ასახავს VIII ს. II ნახევარში არაბების ბატონობას ქართლში. ის ერთადერთი მარტიროლოგიური თხზულებაა ქართულ მწერლობაში, რომელიც ჩვენ შემოგვინახა არა ჰაგიოგრაფიულმა კრებულებმა, არამედ

ქართულმა საისტორიო მატრიანემ - „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებმა. „ქართლის ცხოვრების“ ამ ნაწილის მინაწერები ერთმანეთის საპირისპირო ცნობებს შეიცავეს „არჩილის წამების“ დაწერის დროისა და ავტორის საკითხებში: თხზულების დასაწყისის წინა ფურცელზე ასეთი მინაწერია: „ესე არჩილის წამება და მეფეთა ცხოვრება და ნინოს მიერ ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა“, ხოლო თხზულების ბოლოს წერია: „წიგნი ესე წამებისა მისისა იპოვა ესრეთ სულ მცირედ აღწერილი, რომელ ეამთა შლილობითა ჯერისაებრ ვერვის აღწერა. ხოლო წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჯამითი ჯამად, ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე (ე.ი. არჩილის წამების ჩათვლით - ე.გ.) აღწერა ჯუნანშერ - ჯუნანშერიანმან, ძმისწულის ქმარმან წმიდისა არჩილისმან, ნათესაემან რევისმან, მირიანის ძისამან...“ (ქართ. ცხ., გვ. 248). ამიტომ მკვლევართა აზრები გაყოფილია და საბოლოოდ ასეთი კომპრომისია დაშვებული, რომ ლეონტი მროველმა უკვე არსებული მოკლე თხზულება ჯუნანშერისა ჩართო თავის ისტორიოგრაფიულ შრომაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „არჩილის წამების“ მოკლე ტექსტთან უნდა გაერთიანდეს თხრობა სტეფანოსის (აბოს წამებაში მოხსენიებული ქართლის ერისმთავრის), ქეთა მისისა და არჩილის მეფობასთან დაკავშირებული ტექსტიც, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ უშუალოდ უძღვის წინ „არჩილის წამების“ ცალკე სათაურით გამოყოფილ ტექსტს. მით უმეტეს, რომ ორივე ნაწილის ერთ-ერთი ძირითადი თემა „დაფლული საგანძურის“ ძიებას ეხება, ე. ი. მათ შორის უშუალო შინაარსობრივი კავშირია. ამ შემთხვევაში თხზულება არამცთუ მოკლე, არამედ საკმაოდ სოლიდური მოცულობის იქნება.

არჩილი, ქართლის მეფე VIII ს. შუა წლებიდან, 787წ. უწამებია არაბთა მხედართმთავარს ასიმს, რადგან მან არ უარყო ქრისტიანობა და არ მიიღო მამადიანობა. ეს მომხდარა 20 მარტს. დაუკმაძალავთ პირველი მეფე-მოწამე კახეთში, არჩილისავე აშენებულ ეკლესიაში.

თხზულება გამოცემულია „ქართლის ცხოვრების“ ტექსტთან ერთად (I, 245-248) XV-XVIII სს. ხელნაწერების მიხედვით (Q-795 XV ს.; Q-207, XVI, II ნახ.; S-30, 1633-1646) და სხვ. აგრეთვე ძვ. ქართ. აგიოგრაფიული ლიტ. ძეგლები. III, 208-212; თარგმნილია რუსულად (M. Сабинин, Полное жизнеописание святых груз. церкви, III, 1873, с. 71-84). ლიტერატურა: დ. ჯანაშვილი, მეფე მირი და მისი ძმა მეფე არჩილი II, მოწამე, ნობათი, 1884, №10-12, გვ. 472-477; კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ. I, თბ., 1980, გვ. 241-243; ე. ხოშტარია-ბროსე, ლეონტი მროველი და ქართლის ცხოვრება, თბ., 1996, გვ. 67-81.

3. დავით და კოსტანტინეს წამება

„წამება და ღუაწლი წმიდათა და დიდებულთა მოწამეთა დავით და კოსტანტინესი, რომელნი იწამნეს ქუეყანასა ჩრდილოეთისასა სანახებსა არგუთისასა, საბრძანებელსა ქართველთასა...“ აღწერს 737-741

წლებში მომხდარ ამბებს, თუმცა ანონიმი ავტორი გაცილებით გვიანდელი მწერალია – არა უადრეს XI ს. მიწურულისა, ან XII ს. დასაწყისისა. დავითი და კონსტანტინე არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის პირველი მსხვერპლნი არიან, რომელთა შესახებ, მართალია, მოგვიანებით, მაგრამ მაინც შეიქმნა „წამება“. დავითი და მისი უმცროსი ძმა კონსტანტინე, არგვეთის მოაგრები, მეთაურობდნენ ქართველთა იმ ჯარს, რომელმაც სასტიკი ბრძოლა გაუმართა მომხდურებს, მაგრამ მტრის სიმრავლემ იძალა და ქართველები დამარცხდნენ, ხოლო ძმები ტყვედ ჩაყარდნენ. მაჰმადიან არაბ მხედართმთავარს უნდოდა, რომ ასეთი მამაცი მებრძოლები თავის მხარეზე გადმოუბირებინა და დავითისა და კონსტანტინეს გამაჰმადიანებას ეცადა. ხანგრძლივი სარწმუნოებრივი კამათის შემდეგ, რომელშიც თითოეული მხარე საკუთარი სარწმუნოების უპირატესობის დამტკიცებას ცდილობდა, ძმების მტკიცე ქრისტიანულმა აღმსარებლობამ და მაჰმადიანობის ცრურწმენის მხილებამ მურვან ყრუ მოთმინებიდან გამოიყვანა და მათი სიკვდილით დასჯა ბრძანა. ლოდ-მოიბჟული მოწამეები მდ. რიონში დაახრჩეს, ხოლო მათი გვამები მორწმუნეებმა მურვან ყრუს მიერ დანგრეული ეკლესიის სარდაფში, ცარიელ ლუსკუმაში ჩაასვენეს. სწორედ ამ ადგილას ბაგრატ IV-მ მათი სახელობის ტაძარი ააგო და მონასტერი დაარსა (დღევანდ. „მოწამეთა“), როგორც ეს აღწერილია წინამდებარე „წამებაში“.

სამეცნიერო ლიტერატურაში ეს თხზულება მათი „წამების“ დაკარგული ძველი ტექსტის მიხედვით დაწერილად მიიჩნევა („ეითარცა გვისწავიეს ესე ძუელთა უწყებათაგან“), მაგრამ წყაროებიდან ამოკრეფილი მასალა, ვფიქრობთ, მაინცდამაინც ამ მოწამეთა კიმენური „წამების“ არსებობას არ უნდა ნიშნავდეს, ხოლო თხზულება, რომელიც მომხდარი ამბებიდან დაახ. 350 წლის შემდეგ იწერება, რა თქმა უნდა, რაღაც წყაროებს ეყრდნობა. ამიტომ, ჩვენი აზრით, ეს თხზულება პირველად დაიწერა ამ სახით და მისი დაწერის მიზეზი სწორედ ბაგრატის მიერ მათი სახელობის ეკლესიის მშენებლობის დასრულების შემდეგ მასში დავით და კონსტანტინეს წმიდა ნაწილების გადასვენება უნდა იყოს, ე.ი. XI ს. ბოლოს. თხზულება XIII-XIV სს. ხელნაწერმა შემოგვინახა (Q-762; დანარჩენები – XVIII ს.); გამოცემათაგან აღსანიშნავია – პირველი 1882წ. (მ. საბინინის „საქ. სამოთხე“, გვ. 323-330) და უკანასკნელი – 1971წ. (ძეგლები III, გვ. 248-262). თარგმნილია რუსულად (М. Сабинин, დასახ. ნაშრომი, I, 154-165). ლიტერატურა: ცნობილ მწერალს, გიორგი წერეთელს დაუწერია ნარკვევი მათ შესახებ „კვალში“, №45 და №46, 1893; კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1980, გვ. 538-539. ე. გაბიძაშვილი, ძეგლები IV, 154-60.

4. კონსტანტი კახის „წამება“

„ცხოვრება და წამება წმიდისა მოწამისა კონსტანტისი ქართველისა, რომელი იწამა ბაბილონელთა მეფისა ჯაფარის მიერ“ მოგვიტო-

რობს არაბთა სარდლის – ბულა თურქის ლაშქრობის შესახებ საქართველოში 853 წელს თბილისის არაბი ამირის საჰაკის დასასჯელად, რომელმაც ხალიფასაგან დამოუკიდებლობა მოინდომა.

ქართლის დიდებული აზნაური კოსტანტი, სედწოდებით კახი, ამირას მომხრეთა დასში ირიცხებოდა და ბრძოლაში დატყვევებული ხალიფის კარზე ქ. სამარაში წარგზავნეს, სადაც მას ქრისტიანობის უარყოფის მოთხოვნაზე სასტიკი უარის შემდეგ თავი მოჰკვეთეს იმავე 853 წელს.

თხზულების ავტორის ვინაობა უცნობია, თუმცა იგი მომხდარი მოვლენების თანამედროვეა: „აღვწერე ცხოვრება და წამება... კოსტანტისი, რომელი იყო დღეთა ჩუენთა“, მაგრამ არა თვითმხილველი, უფრო მეტიც: იგი საზღვარგარეთ, ალბათ საბერძნეთში მოღვაწე ქართველია, როგორც ამას აღნიშნავენ ივ. ჯავახიშვილი და კ. კეკელიძე, რადგან თხრობის დრო საბერძნეთში თეოდორა დედოფლისა და მისი ძის მიქაელის მეფობის პერიოდით არის მითითებული, ამასვე ადასტურებს ბიზანტიის მეფეთა მიერ მოწერილი ეპისტოლე კოსტანტის ოჯახისადმი საქართველოში. ჩვენი მხრით დავამატებთ, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე ქართველთა მისამართით ქართულ და უცხოურ წყაროებში ხშირად იხმარება „ქართველი“, როგორც ეს ამ თხზულების სათაურშია (შდრ. „ილარიონ ქართველი“, „პროხორე ქართველი“, „პეტრე ქართველი (ან იბერიელი) და სხვ. მრ.). თხზულება მცირე მოცულობისაა და ფაქტების არცთუ სიუხვით გამოირჩევა, მაგრამ იგი არ არის ფაღსიფიცირებული და არასანდო წყარო, როგორც ამის წარმოჩენასაც ცდილობს პ. პეტერსი⁹, რაც კ. კეკელიძემ ამომწურავი არგუმენტებით უარყო¹⁰.

„კოსტანტი კახის წამების“ ხელნაწერები ძალზე გვიანდელია – უძველესი 1713 წლისაა (A-130). გამოცემათაგან დავასახელებთ: 1. მ. საბინინისა, „საქ. სამოთხე“, ს.–პეტერბურგი, 1882, გვ. 363-370; 2. ს. ყუბანეიშვილისა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია I, თბილისი, 1946, გვ. 73-80; 1. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბილისი, 1963, გვ. 164-172. თარგმნილია რუსულად: ნ. ვაჩნაძისა და კ. კუციას მიერ: Житие и мученичество св. мученика Костантина Грузина (ქართ. ტექსტთან ერთად), Тб. 1978; ლათინურად: P. Peeters, Passio S. Constantini Hiberi (ქართ. ტექსტი ლათინური თარგმანით), Acta Sanctorum, Novemberis, t. IV 1925, 544-560. ლიტერატურა სქოლიოში მითითებულია და გამოცემების წინასწიტყვაობათა გარდა: ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, შრომები, VIII, გვ. 86-90; კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია I, თბ., 1980, გვ. 520-522.

9 P. Peeters, Des Constantino Martyre in Babilonis... Acta Sanctorum, Novemberis, Iv, 1925, 541-554.

10 კ. კეკელიძე, კოსტანტი კახის მარტილობა და ვინაობა, ეტიუდები... I, თბ., 1956, გვ. 138-146.

5. გობრონის წამება

„წამებად წმიდისა მოწამისა გობრონისი, რომელი განიყვანეს ყველის ციხით“ ტბეთის პირველი ეპისკოპოსის—სტეფანე მტბეეარის მიერ დაწერილი თხზულებაა, რომელშიც აღწერილია არაბი ამირას— აბულკასიმის 914 წლის სომხეთსა და სამხრეთ საქართველოში ლაშქრობის ამბავი. მოთხრობილია, თუ როგორი წინააღმდეგობა გაუწიეს არაბთა ლაშქარს ყველის ციხის დამცველმა 128 მეციხოვნემ და მათმა მეთაურმა გობრონმა (ანუ მიქაელმა). ციხის 28 დღიანი ალყისა და აღების შემდეგ ისინი დაატყვევეს, ხოლო მაჰმადიანობის მიღებაზე მტკიცე უარის გამო ყველანი მახვილებით აკუწეს 914წ.

თხზულება სტეფანე მტბეეარმა აშოტ ერისმთავრის (ზედსახელად კუხის) დაეალებით დაწერა 914-918წწ. (ბოლო თარიღი აშოტის მკვლელობის წელია). ეს არცთუ ვრცელი თხზულება, განსაკუთრებით მისი შესავალი ნაწილი, საღვთისმეტყველო შინაარსის განყენებული მსჯელობებია და საღვთო წერილის ციტატებით არის წარმოდგენილი. ავტორის აზრი არაბების მიერ სომხეთის მოხრებისა და, საერთოდ მტრის შემოსევებისა და ქვეყნის აწიოკების შესახებ პროვიდენციულია. თხზულება დიდი მხატვრული ღირსებებით ვერ გამოირჩევა, მაგრამ იგი მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს თვითმხილველი ავტორის მიერ დანახული და მკითხველისათვის წარმოდგენილი იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებისა და საომარ მოქმედებათა გასაცნობად. თხზულებაში ანტისომხური ტენდენცია ჩანს.

„გობრონის წამების“ ტექსტი მხოლოდ გვიანდელმა ხელნაწერებმა შემოგვინახა, მათგან ყველაზე ადრინდელი მხოლოდ 1713 წლისაა (A-130), დანარჩენები— XVIII ს. სხვადასხვა წლებისა. პირველად გამოსცა მ. საბინინმა 1882წ. „საქართველოს სამოთხეში“, გვ. 393-400; ს. ყუბანეიშვილმა — 1946წ. „ქრესტომათია“, I, გვ. 80-85. ყველაზე კრიტიკულია ბოლო გამოცემა: „ძეგლები“ I, თბილისი, 1963. გვ. 172-183. თარგმნილია რუსულად М. Сабинин, Полное жизнеописание святых груз. церкви, II, 1872, с. 57-63. ლიტერატურა: ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, შრომები, VIII, 1977, გვ. 117-120; კ. კეკელიძე, ძველი ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1980, გვ. 145-146. ელ. ცაგარეიშვილი, მიქელ-გობრონი ქართულსა და სომხურ საისტორიო მწერლობაში, ხელნ. ინსტ. მოამბე, I, 1959, გვ. 127-144.

III მაჰმადიან სპარსთა წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველი ქართული მარტიროლოგიური ძეგლები (XVI-XVIII სს.)

1. ქეთევან დედოფლის წამება

„წამებაჲ ყოვლად დიდებულისა მოწამისა დედოფლისა ქეთევანის“ პირველი მარტიროლოგიური თხზულებაა, რომელმაც ასახა აღმოსავლეთ საქართველოში სპარსელთა XVII-XVIII სს. შემოსევების შედეგად დატრიალებული ტრაგიკული მოვლენები. თხზულების ავტორია გრიგოლ დოდორქელი (ვახვახიშვილი), დავით გარეჯის უდაბნოს დოდოს მონასტერში XVII-XVIII სს. მიჯნაზე მოღვაწე ბერი. მართალია, ავტორს მომხდარ ამბებს საუკუნეზე მეტი აშორებს, მაგრამ ეპიზოდებს ისეთი ცოცხალი ფერებით და თხრობის დახვეწილი ოსტატობით აღწერს, რომ თვითმხილველი გეგონება. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიის ეს როული, პოლიტიკური ინტრიგებით დახლართული და ეროვნული დამოუკიდებლობის უინით გაუღენთილი მონაკვეთი ისეთი დამაჯერებლობით არის გადმოცემული გრიგოლ დოდორქელის თხზულებაში, რომ იგი მემატინანეთა და ისტორიკოსთათვის ამ პერიოდის შესწავლისათვის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ იქცა.

თხზულებაში აღწერილი და ისტორიულად მომხდარი ეს სისხლიანი ფაქტები საქართველოს ისტორიის კიდევ ერთი საშინელი, ტრაგიკული ფურცელია. ქეთევანის ცხოვრების ტრაგედია მისი კახეთის სამეფოს დედოფლად გახდომისთანავე დაიწყო: ჯერ მეუღლე გარდაეცვალა (1602წ.), შემდეგ კახეთის ტახტისათვის ბრძოლას თავისი მცირეწლოვანი შვილი, ტახტის კანონიერი მემკვიდრე თეიმურაზი განარიდა და სპარსეთის შაჰის-აბასის კარზე გაგზავნა. ტახტისათვის ბრძოლა კი მართლაც სისხლიანი გამოდგა: შაჰის კარზე გაზრდილმა და გამაჰმადიანებულმა კონსტანტინემ, გარდაცვლილი კახეთის მეფის ძმამ, შაჰის მხარდაჭერით კახეთის ტახტის მოცილვე მამა და ძმა მოაკვლევინა (1605წ.) და „ქართველი კაენის“ სახელი დაიმკვიდრა, ტახტი დაიკავა, მაგრამ აჯანყებულმა კახელებმა ქეთევანის მეთაურობით კონსტანტინე და მისი დამქაშები აკუწეს. შაჰი იძულებული გახდა 16 წლის თეიმურაზი კახეთის მეფედ დაესვა (1606წ.). ამ დროს ქვეყნის საქმეს ქეთევანი განაგებდა.

შედარებით მშვიდობიანი წლები მალე დამთავრდა. 1614 წელს შაჰ-აბასი კახეთს შემოესია და მძევლად აიყვანა ქეთევანი და თეიმურაზ მეფის ორი მცირეწლოვანი ვაჟი. ესეც არ იკმარა და თეიმურაზის დატყვევება მოინდომა, მაგრამ რადგან ეს ვერ მოახერხა (თეიმურაზი იმერეთში გაიხიზნა), კახეთი სასტიკად ააოხრა და მოსახლეობის დიდი ნაწილი სპარსეთს წაასხა (დღესაც ცხოვრობს იმ ქართველთა შთამომავლობა სპარსეთში, ფერეიდანის პროვინციაში, მათი რიცხვი რამდენიმე ათასია), მათ კარ-მიდამოებში კი სპარსელები ჩაასახლა.

შაჰ-აბასმა თეიმურაზის უშედეგო დევნის ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჯერ მისი მცირეწლოვანი ვაჟები დაასაჯურისა, რასაც ერთმა ვერ გაუძლო და მოკედა, ხოლო მეორე შეიშალა (თუმცა მოხუცებულობამდე იცხოვრა), შემდეგ ქეთევანის ჯერი დადგა: ათწლიანი პატიმრობის შემდეგ, 1624 წელს შაჰმა იგი შირაზის მფლობელს გაუგზავნა მოთხოვნით: ან გაემამადიანებინა იგი, ან ტანჯვა-წამებით მოეკლა. დედოფალმა უყოყმანოდ სიკვდილი არჩია და ცეცხლითა და მახვილით უსასტიკესი დაწვა-დაჭრის შედეგად, რაც შემზარავად აქვს აღწერილი ავტორს, იგი აღესრულა 1624წ. 13 მაისს. ქეთევანის წმინდა ნაწილები ქრისტიანებს ჯერ დედოფლის მიერ აშენებულ ეგვიპტურში დაუმარხავთ, მაგრამ ისინი კათოლიკეებს მოუპარავთ და ფარულად დაუსაფლავებით თავიანთ ეკლესიაში, რადგან დაუნახავთ, რომ დედოფლის წმინდა ნაწილები სასწაულებს ახდენდა. მალე, ავტორის თქმით, კათოლიკეთა ერთ-ერთ მღვდელს ღვთის ჩაგონებით დედოფლის წმინდა ნაწილთაგან „სოგი რომელნიმე ნაწილინი“ (თავი, მარჯვენა ფეხი) ძღვნად ჩაუტანია თეიმურაზისათვის და მთელ ქრისტიანულ საზოგადოებას დიდი პატივით დაუკრძალავს ალავერდის ტაძარში. მალე სპარსეთიდან დედოფლის დანარჩენი ნაწილებიც ჩამოუტანიათ და დაკრძალულისათვის შეუერთებიათ.

ქეთევან დედოფლის ღვაწლი პირველად აღწერია მისი „წამების“ თვითმხილველს, მაგრამ მან ჩვენამდე ვერ მოაღწია. ფართოდ აისახა ეს თემა საერო ლიტერატურაში: ჯერ თეიმურაზმა მიუძღვნა პოემა თავისი დედის თავდადებას, შემდეგ არჩილ მეფემ ჩართო თავის „გაბაასებაში“. ფართოდ გამოეხმაურნენ ქეთევან დედოფლის წამების ფაქტს XVII-XVIII სს. ქართველი და უცხოელი მემატრიანეები და ისტორიკოსები, კათოლიკური სამყაროს ქრონისტები და მწერლები, შეიქმნა მხატვრული და დრამატული თხზულებები.

ქეთევან დედოფლის გრიგოლ დოდორქელისეული „წამება“ კი პირველად გამოვლინდა და გამოიცა მხოლოდ 1949 წელს (ტრ. რუხაძე, ახლად აღმოჩენილი „ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა“, ლიტერატურული ძიებანი, V, გვ. 248-267, ტექსტი და გამოკვლევა); მეორედ გამოიცა 1989წ.—ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტ-ის ძეგლები, V, გვ. 5-32 ტექსტი და გამოკვლევა (მ. ქავთარიას გამოკვლევა გვ. 136-165). ორივე გამოცემა ეყუძნება XVIII ს. ხელნაწერებს (A-130, 1713წ.; S-3269; A-170, 173წ.). ლიტერატურა, გარდა ზემოთ დასახელებულისა: კ. კეკელიძე, ძვ. ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1980, გვ. 342-343; რ. გულბენკიანი, ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ, თბილისი, 1987წ. (თარგმნილია ფრანგულიდან); ანტონ ბაგრატიონი, მარტირია, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტ-ის ძეგლები, VI, 1980, გვ. 12-35 (ქეთევანის „წამების“ ტექსტი); 446-457 (მ. ქავთარიას გამოკვლევა).

2. ლუარსაბ მეფის წამება

„ლუაწლი წმიდისა და სანატრელისა მოწამისა და მეფისა ლუარსაბისი, რომელი იწამა შაჰ-აბაზ უსჯულოდსა მიერ სპარსთა მეფისა“ არის ბესარიონ კათალიკოსის (ორბელიშვილის) მიერ XVIII ს. I ნახევარში დაწერილი მარტიროლოგიური თხზულება, რომელშიც მოთხრობილია ქართლის სამეფოს XVI-XVIII ს. ისტორიული მოვლენები, რომლებიც ვითარდებოდა ქეთევანის „წამებაში“ გადმოცემული, კახეთის სამეფოში მომხდარი მოვლენების პარალელურად, თითქმის დროის იმავე მონაკვეთში. ამიტომ არის „ქეთევანის წამებაში“ შეტანილი მთელი მონაკვეთი ლუარსაბ მეფის წამების შესახებ, ხოლო „ლუარსაბის წამება“-ს ატყვია „ქეთევანის წამებით“ სარგებლობის უდავო კვალი.

თხზულებაში საინტერესოდ აისახა ისტორიულ-პოლიტიკური სურათები, რომლებიც ბევრ რამეში არ ეთანხმება ოფიციალურ ისტორიულ ცნობებს და ამ მხრივ საინტერესო კითხვას სვამს: ვის მხარეზეა სინამდვილე?

ლუარსაბ მეფე შაჰ-აბაზის მზაკერულ პოლიტიკურ ინტერესებს შეეწირა. მოტყუებით სპარსეთში 1614წ. ჩაყვანილი მეფე ხანგრძლივი პატიმრობის შემდეგ შირაზის (ქეთევანის წამების ადგილი) ციხეში მშვილდის საბლით მოაშთვეს 1622წ. 1 მარტს, რადგან მან სასტიკი უარი თქვა ქრისტიანობის უარყოფასა და მამამდიანობის მიღებაზე.

თხზულების რიტორიკული შესავალი პომილეტიკურ ელფერს ატარებს, ხოლო ისტორიული ამბების გადმოცემაში ავტორი უამთაღმწერლის როლში გვევლინება.

„ლუარსაბის წამების“ ხელნაწერები თხზულების დაწერის დროინდელია (S-3269; A-170), ხოლო მათ საფუძველზე გამოცემული „წამების“ ტექსტი ჯერ 1946წ. დაიბეჭდა ს. ყუბანეიშვილის „ქრესტომათიაში“, I, 407-416, ხოლო მეორედ 1989წ. – ძველი ქართ. აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებში, V, გვ. 33-49. ლიტერატურა გარდა გამოცემათა წინასიტყვაობებისა: მ. ქავთარია, ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, ხელნ. ინსტ. მოამბე, I, 1959, 86-93; კ. კეკელიძე, ძვ. ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1980, გვ. 353.

3. ბიძინას, შალვას და ელისზარის წამება

„შესხმა წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელისზარისი და უწყებაჲ წამების მათისა“ – ბესარიონ კათალიკოსის (ორბელიშვილის) XVIII ს. I ნახევარში შექმნილი მარტიროლოგიური თხზულება მოგვითხრობს სპარსელ დამპყრობელთა წინააღმდეგ კახეთის 1659 წლის აჯანყებისა და მისი მეთაურების სიკედილით დასჯის ისტორიას იმავე წლის 18 სექტემბერს სპარსეთში, ქ. არდალანში.

აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური და ფიზიკური განადგურება XVII საუკუნის სპარსთა შაჰების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო,

რომლის უშუალო განხორციელება 1614 წელს შაჰ-აბას I-მა კახეთზე გამანადგურებელი შემოსევებით დაიწყო და გადამწვარ-გადაბრუნებული მიწიდან მოსახლეობის უდიდესი ნაწილის სპარსეთში გადასახლებითა და მათ ადგილზე თურქმენი (ულუსთა) ტომების ჩამოსახლებით დამთავრდა შაჰ-აბაზ II-ის მიერ, რაც ქრისტიანი ქართველების გამაძმადინებას, ან მათი სახსენებლის ამოშლას ითვალისწინებდა. სწორედ ამ პროცესების ჩაშლას და მოძალადეთაგან ქართლ-კახეთის განთავისუფლებას ისახავდა მიზნად 1659 წლის აჯანყება, რომელმაც გარკვეულწილად ჩაშალა სპარსელთა გეგმები, მაგრამ დამსჯელი ზომებისა და ქვეყნის კიდევ ერთხელ აოხრებისაგან თავიდან აცილების მიზნით აჯანყების მეთაურებმა გადაწყვიტეს ნებაყოფლობით წარმდგარიყვნენ შაჰის სამსჯავროს წინაშე და საკუთარი სისხლის ფასად გადაერჩინათ ქვეყანა აოხრებისაგან. ბესარიონ ორბელიშვილი არცთუ ისე დიდი ხნით იყო დაცილებული თხზულებაში მომხდარი ამბებიდან და შეეძლო სარწმუნო ცნობები შეეტანა „წამებაში“. ეს განსაკუთრებით შეეხება მის დასკვნით ნაწილს, რომელშიც კახეთის აჯანყების გმირების ნეშტთა სპარსეთიდან საქართველოში „წელთა არამცირედთა“ შემდეგ გადმოსვენება და იკორთის მონასტერში, ერთ სამარეში დაკრძალვა არის აღწერილი (რადგან მათი ნაწილების გარჩევა შეუძლებელი იყო).

თხზულება, როგორც სათაურიდანაც ჩანს, ნახევრად ჰომილეთიკური და ნახევრად ჰაგიოგრაფიული ძეგლია, დაწერილი საკმაოდ მაღალი რიტორიკული სტილით და ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით. სამი მოწამე-პატრიოტის თემა საერო ლიტერატურაშიც აისახა (აკაკი წერეთლის „ბაში-აიუკი“), როგორც სამშობლოსათვის თავგანწირული ეროვნული გმირები. თხზულების ტექსტი გამოქვეყნდა 1882წ. მ. საბინინის მიერ „საქ. სამოთხეში“, გვ. 599-609 და 1989წ. ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, IV, გვ. 49-63 XVIIIს. I ნახ. ხელნაწერების (S-3269 და A-170) მიხედვით. ლიტერატურა: მ. ქაეთარიას დასახ. ნაშრომი, გვ. 86-93; კ. კეკელიძე, I, თბ., 353-354.

ნაწილი მეორე

„ცხოვრება – მოქალაქობანი“

ქართულმა მარტიროლოგიურმა თხზულებებმა, მართალია, უდიდესი როლი შეასრულეს ქართველი ხალხისა და ეკლესიის ეროვნულ-სარწმუნოებრივი ერთიანობის საქმეში, ქართული ლიტერატურის ჩამოყალიბებასა და კულტურის ისტორიის ფორმირებაში, მაგრამ ქართულ ჰაგიოგრაფიაში ცენტრალური ადგილი მაინც „ცხოვრება-მოქალაქობის“ ჟანრს უჭირავს. სწორედ ამ ჟანრში დაიწერა ის ჰაგიოგრაფიული თხზულებები, რომლებიც გარკვეულწილად განსაზღვრავენ ქართული საეკლესიო მწერლობის ზოგადქრისტიანულ მნიშვნელობას და წელიწადის მსოფლიო ცივილიზაციაში.

ჰაგიოგრაფიის ორ ძირითად ჟანრად – „წამებად“ და „ცხოვრებად“ დაყოფის საფუძველი არა მარტო წმინდანის აღსრულების გარემოებაა („წამებაში“ – მოწამებრივი სიკვდილი, „ცხოვრებაში“ ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ ბუნებრივი აღსასრული), არამედ წმინდანობის მოპოებისა და ღმერთის საუფლოსთან მიახლოების ორი განსხვავებული გზა: 1) ჰაგიოგრაფიული მწერლობის იდეალი – მოწამეობა (ქრისტეს წამების მიბაძვით) და 2) ყოველდღიური მოუღლეი სარწმუნოებრივი შრომისა და ღოცვის გზა – ანუ „ყოველსა ჟამსა იწამებოდეს სახელისათვის ქრისტესისა“, „ყოველთა დღეთა ეწამებიან და შრომათა თვისთა შემატებენ“ და ასე ბუნებრივი სიკვდილის მოსვლამდე (ქრისტეს მიწიერი ცხოვრების მიბაძვით). „წამებისა“ და „ცხოვრების“ ჟანრის ქართულ თხზულებათა შედარებისას ვლინდება, რომ „წამების“ მთავარი პერსონაჟები ძირითადად საერო პირები (ორი მღვდელ-მოწამის გარდა) არიან, ხოლო „ცხოვრების“ – მხოლოდ სასულიერო პირები და თან ბერ-მონაზვნები, რითაც თითქოს ხაზგასმულია, რომ საერო პირს მხოლოდ მოწამებრივი გზით შეუძლია გახდეს წმინდანი, ხოლო სასულიერო პირისათვის ორივე გზა არსებობს – მოწამეობაც და მოღვაწეობაც.

„წამება“ ჩვეულებრივ, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოთხრობილ ერთპლანიან, სწორხაზოვან სიუჟეტზე აგებული თხზულებაა, რომლის ცენტრალური მომენტი მოწამის ცხოვრების უკანასკნელი პერიოდის აღწერაა და თითქმის არაფერია ნათქვამი, ან ძალიან ცოტა, მის განვლილ ცხოვრებაზე. ამ ფაქტის ახსნა ალბათ იმით შეიძლება, რომ ავტორის დაინტერესება თავისი გმირით მხოლოდ მისი მოწამებრივი აღსასრულის შემდეგ ხდება, ან კიდევ ცოტა ხნით ადრე, როცა იგი მოწამებრივ გზას დაადგება, მაგრამ მას საკმარისი ცნობები არა აქვს წამებამდე წმინდანის მიერ განვლილი ცხოვრების, მისი დეტალების, ეპიზოდების შესახებ, რაც აყალიბებს მომავალი მოწამის მტკიცე ხასიათს.

განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს „ცხოვრება-მოქალაქეობეში“. მომავალი წმინდანის მოღვაწეობა მიმდინარეობს ბერ-მონაზონთა თვალწინ, მათ შორის შეიძლება იყოს მომავალი ავტორიც და მისთვის „ცხოვრების“ ეპიზოდებისა და მოვლენების დეტალური აღწერა სიძნელეს არ წარმოადგენს. საინტერესოა ერთი მაგალითი ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის ისტორიიდან, რომელიც „ცხოვრების“ ავტორობის საკითხს შეეხება: ცნობილი საეკლესიო მწერლის და მღვდელმთავრის ეპიფანე კვიპრელის „ცხოვრების“ დაწერაში მონაწილეობა მიიღო სამმა ავტორმა: თავისი მოძღვრის „ცხოვრებას“ ფარულად წერდა ეპიფანეს მოწაფე იოანე ხუცესი, მაგრამ იგი დააუადდა და გარდაიცვალა. სიკვდილის წინ მან თავისი საიდუმლო გაანდო ეპიფანეს მეორე მოწაფეს – პოლიბიოსს და სთხოვა მას გაეგრძელებინა ეპიფანეს „ცხოვრების“ წერა იმ ადგილიდან, სადაც მან შეწყვიტა თხრობა. პოლიბიოსმაც ვერ დაამთავრა „ცხოვრება“, რადგან იგი განაწესეს კვიპროსიდან მოშორებულ (ეგვიპტეში) სამწყსოს ეპისკოპოსად, ხოლო ეპიფანე, კონ-

სტანტინოპოლიდან კვიპროსს მიმავალი, ნაეში გარდაცვალებული ისე დატოვა მოწაფემ კონსტანტის ქალაქის ეკლესიაში, რომ ვერ დაესწრო მოძღვრის დაკრძალვას, რადგან ეს პროცესი სხვადასხვა მიზეზით გაჭიანურდა (115 წლის ეპიფანეს სხეულს თავლით სავეე ჭურჭელში ინახავდნენ). პოლიბიოსს აინტერესებდა მოძღვრის დაკრძალვის პროცესია, დღე და ადგილი, ამიტომ ეპისტოლე გაუგზავნა ეპიფანეს ადგილზე ხელდასხმულ ეპისკოპოს საბინეს და სთხოვა ეპიფანეს „ცხოვრების“ ამ უკანასკნელი მომენტის აღწერა. საბინემ შეასრულა თხოვნა და საკმაოდ ერცლად აღწერა „ცხოვრების“ ეს მონაკვეთი. ასე დაიწერა ეპიფანეს „ცხოვრება“ სამი ავტორის მიერ, რაც უნიკალური შემთხვევაა ჰაგიოგრაფიული მწერლობის ისტორიაში.

„ცხოვრების“ ავტორი შეიძლება თავისი გმირის თანამედროვე არ იყოს, მაგრამ იგი ცნობებს აგროვებს წმინდანის უახლოეს გარემოცვაში, რომელთათვის ცნობილია ამ მოღვაწის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთელი გზა. კომპოზიციურად „ცხოვრება“ უმეტესად მრავალპლანიანი თხზულებაა, რაც მის მოქმედ პირთა სიმრავლით და მათთან დაკავშირებული ეპიზოდების სიუხვით აიხსნება. ერთი ეპიზოდიდან მეორეზე გადასვლა და ეპიზოდების მონაცვლეობა „ცხოვრების“ ავტორის ერთ-ერთი მხატვრული ხერხია.

როგორც ვთქვით, ქართული „ცხოვრება-მოქალაქეობა“ ძირითადად მონაზონთა ღვაწლს გადმოგვცემს, ე.ი. ჰაგიოგრაფიული მწერლობის ამ ჟანრის წარმოშობა ისევე, როგორც ბიზანტიურ საეკლესიო მწერლობაში, საქართველოში სამონასტრო ცხოვრების დასაწყისთან არის დაკავშირებული და, საფიქრებელია, VI ს. II ნახევარში სირიიდან აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოსულ ცამეტ სირიელ მამათაგან ყველაზე ცნობილი მონასტრების დამაარსებელთა კოლექტიურ ან თითოეულ მათგანზე იმავე ხანებში დაწერილ „ცხოვრებებს“ გულისხმობს, რომლებმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია, თუმცა მაინც აისახა ჩვენამდე მოღწეულ შედარებით გვიანდელ (IX-X ს.), მათ შესახებ შექმნილ „ცხოვრებად და მოქალაქეობად... იოვანე ზედაზნელისა და მოწაფეთა მისთად“-ში.

სამხრეთ საქართველოს კლარჯეთისა და სამცხის პროვინციებში შექმნილი ორი დიდებული მონასტერი გახდა ორი შესანიშნავი „ცხოვრების“- გრიგოლ ხანცთელის „ცხოვრებისა“ და სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ შექმნის წყარო.

სამონასტრო კერათაგან ყველაზე გამორჩეულმა საზღვარგარეთულმა ათონის მთის ქართველთა მონასტერმა კიდევ სამი საუცხოო „ცხოვრება-მოქალაქეობის“ ჟანრის თხზულება გვაჩუქა: ილარიონ ქართველის, ეფთვიმე მთაწმიდელისა და გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრებები“.

ამ სამ სამწერლობო კერაში შექმნილი „ცხოვრება-მოქალაქეობის“ ჟანრის თხზულებათა შედარება გეიჩვენებს, რომ ისინი ჰაგიოგრაფიის ამ ჟანრის განვითარების სამ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ეტაპს ასახავენ, რაც მდგომარეობს თითოეული მათგანის ეპოქასთან დაკავშირებულ მიზანდასახულობაში.

შემოდანიშნულ სამონასტრო საქმიანობის ამსახველი „ცხოვრება-მოქალაქეობის“ სქემაში არ ჯდება პირველი ქართული (ყოველ შემთხვევაში, ჩვენამდე მოღწეულ ძეგლთაგან) „ცხოვრება“ (LXს.), რადგან იგი სამონასტრო ცხოვრების ჩასახვასე ადრინდელ ვითარებას აღწერს – აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანული რელიგიის გავრცელებისა („მოქცევაჲ ქართლისაჲ“) და მისი მთავარი შემოქმედის – წმ. ნინოს ცხოვრების („ცხოვრებაჲ ნინოსი“) ეპიზოდებს მოგვითხრობს. უნდა გაეთვალისწინოთ ერთი ნიუანსიც: ნინოს ცხოვრების „მოქცევისეული“ ვარიანტი საფუძვლად დაედო ნინოს ცხოვრების სხვა რედაქციებსაც (ოთხი თხზულება), მაგრამ მათ ე.წ. მეტაფრასულ თხზულებათა რიგში განვიხილავთ სხვა მსგავს თხზულებებთან ერთად.

„ცხოვრება-მოქალაქეობათა“ ქართულ გალერეაში უნდა განვიხილოთ, როგორც ორიგინალური თხზულება, პეტრე იბერიის ანუ ქართველის „ცხოვრებაც“, მიუხედავად იმისა, რომ ეს თხზულება, როგორც თვით ძეგლშია აღნიშნული, ქართულად თარგმნილია XIII-XIVსს. სირიული ენიდან, მიუხედავად იმისა, რომ იგი სირიული სამწყვსოს ეპისკოპოსი გახდა.

I. „მოქცევაჲ ქართლისაჲ და ცხოვრებაჲ წმიდისა ნინოსი“

ქართული მწერლობის ჩვენამდე მოღწეული ყოველგვარი წერილობითი ძეგლი მხოლოდ ქრისტიანული შინაარსისაა.

სწორედ ქრისტიანობის აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებისა და მისი დამკვიდრების პირველ ხანებს ეძღვნება პირველი ქართული „ცხოვრების“ ჟანრის თხზულება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და მასში ჩართული წმ. ნინოს „ცხოვრება“.

ისევე, როგორც პირველი ქართული მარტიროლოგიური თხზულება „შუშანიკის წამება“, პირველი ქართული „ცხოვრების“ ჟანრის თხზულებაც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ძალზე ორიგინალური და განსხვავებულია ამავე ჟანრის სხვა ძეგლებისგან. უპირველესად განსხვავებულია თხზულების დასათაურება, მისი ძნელად აღსაქმელი კომპოზიციური სტრუქტურა და მისი ჟანრობრივი შინაარსის განსაზღვრა: ისტორიკოსთა აზრით, იგი არის ისტორიულ-ქრონიკალური წყაროთმცოდნეობითი ძეგლი, ხოლო ფილოლოგთა განსაზღვრით, ჰაგიოგრაფიული თხზულება ფორმით, შინაარსითა და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ელემენტებით დატვირთული. საქმე ისაა, რომ გარდა მისი სათაურის ისტორიოგრაფიულობისა, თხზულების პირველი ნაწილი ისტორიული ქრონიკაა, რომელიც წარმოგვიდგენს აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიის წარმართულ პერიოდს ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობითა და მის მიერ სამეფო დინასტიის აქ დამკვიდრებით დაწყებულს და მირიან მეფით დამთავრებულს (იგი 27-ე მეფეა). წარმართ მეფეთა სია უმეტესად გაერცობილია თითო-ოროლა ფრაზით, მათი საქმიანობის ცალკეული დეტალებისა და მათი სალოცავი კერების აღმართვის მოხსენიებით.

მე-18-დან 26-ე მეფის ჩათვლით მხოლოდ მეფეთა სახელებია ჩამოთვლილი. მირიან მეფის ქრისტიანული მოღვაწეობა და ნინოს ცხოვრებისა და სამისიონერო მოღვაწეობის საკმაოდ ვრცელი აღწერა აგრძელებს ქრონიკის თხრობას და არ ჩერდება ნინოს და შემდეგ მირიან მეფის გარდაცვალებაზე, არამედ განაგრძობს უკვე ქრისტიან მეფეთა და მათ თანამედროვე მთავარეპისკოპოსთა (ვახტანგ გორგასლამდე) და შემდეგ კათალიკოსთა ჩამოთვლას თითქმის წარმართ მეფეთა სიის მსგავსად, ოღონდ მათთან შედარებით ღვაწლის უფრო ვრცელი აღწერით და ამგვარად მოდის სტეფანოზ ქართლის ერისთავამდე (მცხეთის ჯვარის ეკლესიის აღმაშენებელი – VI ს.) და კათალიკოს ევნონამდე. ამის შემდეგ მხოლოდ ჩამოთვლილია უმეფობის ხანის კიდევ II ერისმთავარი (სრულდება აშოტ კურაპალატით, +826წ. და მისი ძით გუარამით, +882წ.), რომელსაც შენიშნავს ახლავს: „დიდნი ერისთავნი ესთენ იყვნეს“, ხოლო კათალიკოსთა ასეთივე „შიშველი“ სია თავფაჩანაგით დაწყებული, ჩამოთვლის ცხრა ცოლოსანს და ცხრამეტ უცოლო კათალიკოსს (არსენით დამთავრებული). ესაა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ისტორიული ნაწილი, რომელიც წინ უძღვის „ნინოს ცხოვრების“ ვრცელ თხზულებას. ამის შემდეგ თხრობა იწყება ისევ ნინოს შესახებ – მისი აღსასრულთან მიახლოების ეპიზოდით და დიდებულ ქალთა თხოვნით, რომ ნინოს ეამბნა თავისი ცხოვრებისა და ღვაწლის შესახებ, რომლის ჩასაწერად მოემზადნენ სალომე უჯარმელი და პეროქაერი სიენიელი. ამის შემდეგ არის დასათაურებული თხზულების ეს ნაწილი: „ცხოვრებაჲ წმიდისა ნინოჲსი“ და ნინო იწყებს თხრობას და პირველ პირში ეს თხრობა მოიცავს ნინოს ქართლში შემოსვლის, კერპების დაღწევისა და სამეფო ბაღში მისი დამკვიდრების აღწერას. ამის შემდეგ თხრობას აგრძელებს სიდონია და მამამისი, აბიათარ პურიათა მღვდელყოფილი, შემდეგ იაკობ მღვდელი. ბოლოს დართული აქვს მცხეთის ჯვრის აღმართვის დამოუკიდებელი თხრობა (მხოლოდ შატბერდულში), მირიან მეფის წიგნი ნინოს გარდაცვალების გამო და მისივე ანდერძი. აი, ასეთია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-სა და მასში ჩართული „ნინოს ცხოვრების“ სიუჟეტური წყობა და შინაარსის სქემა. თუ გავითვალისწინებთ, რომ „მოქცევაჲს“ ნინოს „ცხოვრების“ ნაწილი, მიუხედავად სიუჟეტური გაურკვევლობისა და ზოგიერთი ეპიზოდების განმეორებებისა, მხატვრული გემოვნებით, ეროვნულ-კულტურული სულისკვეთებით დაწერილი თხზულებაა და უნდა ვიფიქროთ, რომ ის უპირველესად ჰაგიოგრაფიული ძეგლია და შემდეგ წყაროთმცოდნეობითი. რაც შეეხება სათაურს, მართალია, თხზულებაში ცენტრალური ადგილი ნინოს ღვაწლის ასახვას უჭირავს, მაგრამ სათაურში აისახა უმნიშვნელოვანესი – ქვეყნის ცხოვრების ისტორიული შემობრუნების ფაქტი, ნინოს ღვაწლის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი, ხოლო „მოქცევაჲს“ ისტორიის სისრულით წარმოდინებამ მოითხოვა ქრონიკულ-დოკუმენტური ხასიათის ექსკურსიც და „მოქცევაჲს“ შემდეგ ქრისტიან მეფე-მთავართა და მღვდელმთავართა მოღვაწეობის კონსპექტის დართვა ამ თხზულების დაწერის მომენტამდე (IX ს. II ნახევრამდე).

„ნინოს ცხოვრების“ ტექსტის რედაქციათა სიმრავლეს თვით „მოქცევის“ უდიდესი მნიშვნელობა და ამ ფაქტის მიმართ საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეპოქაში ავტორთა და საზოგადოების ოფიციალური ნაწილის განსხვავებული დამოკიდებულება იწვევდა. ჩვენ ამჯერად მხოლოდ „მოქცევაჲს“ ვეხებით, მაგრამ უნდა ვთქვათ მთავარი, რომ ეს ძველი დაიწერა IX ს. II ნახევარში (რა თქმა უნდა, გაცილებით ადრე არსებული წერილობითი წყაროების საფუძველზე) გრიგოლ პართეველის ადრინდელ წყაროებში საქართველოს განმანათლებლად უმართებულოდ მოხსენიების კვალის მოშლის მიზნით (კ. კეკელიძე).

ამ რედაქციულ განსხვავებას არა მარტო „მოქცევაჲ“-ს ბაზაზე შექმნილი ნინოს „ცხოვრებანი“ ვერ ასცდა, არამედ თვით „მოქცევაჲ“-ს ტექსტიც, რომელიც ორი ძველი ხელნაწერით არის შემონახული: უძველესია ე.წ. შატბერდის – 937-976წწ. კრებულში (S-1141) შეტანილი ტექსტი, ხოლო ე.წ. ჭელიშური (ჭელიშის ეკლესიისა - რაჭაში) უფრო გვიანდელი (H-600, XIV-XV სს. აქ ნინოს ცხოვრება სათაურით გამოყოფილი არ არის), ორივე ნუსხა მეტ-ნაკლებად ნაკლებია, ფრაზოლოგიურად საკმაოდ განსხვავდება, არის სხვაობა ეპიზოდებშიც, მაგრამ საერთო თხრობაში ერთმანეთს ავსებენ (შთაბეჭდილება რჩება, რომ ჭელიშური ტექსტი უფრო ძველია და გამართულიც) და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ამ ვარიანტს შატბერდულ-ჭელიშურ რედაქციას უწოდებენ.

თხზულების ანონიმ ავტორს წყაროთა ფართო სპექტრით უსარგებლია, რომელთაგან, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია გრიგოლ დიაკონის „მცირე იგი მოკლედ აღწერილი იგი წიგნი ქართლისა მოქცევისაჲ“ (VII-VIII სს.), რომელიც, ჩვენი აზრით, საფუძვლად უნდა დასდებოდა ძირითადად „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს პირველ ნაწილს (ქრონიკის აქ მოტანილზე ვრცელ ქრონიკულ ნაშრომთან ერთად), თუმცა მისი გამოყენების კვალი თხზულების მეორე ნაწილშიც ჩანს („აღმართებაჲ პატიოსნისა ჯუარისა მცხეთისაჲ და მერმე კუალად გამოჩინებაჲ“ (შატბერდული, თავი 11). ავტორს აგრეთვე გაუკეთებია ქართლის მოქცევის შესახებ გაბნეული ცნობების კომპოზიცია (ბერძნული, სომხური, ასურული, სპარსული და სხვ.) და უსარგებლია საისტორიო ლეგენდური და აპოკრიფული ლიტერატურით, აგრეთვე – სახარებით.

ავტორი წარმოაჩინს ნინოს როლს საბერძნეთში ქრისტიანობის კანონიზაციაში და საკუთარი ქვეყნის სოგიერთ უპირატესობას ქრისტიანულ სამყაროში.

„მოქცევის“ ტექსტის გამოცემათა და სამეცნიერო ლიტერატურის სიმრავლიდან დავასახელებთ ზოგს: 1. ე. თაყაიშვილის გამოცემა, Опис. рукоп. бнблиотеки `общества распространения грамотности, т. II, с. 708-815 (ორივე რედაქცია); 2. ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 81-163 (ორივე). 3. „შატბერდული კრებული X საუკუნისა, გამოც. ბ. გიგინეიშვილისა და ე. გიუნაშვილისა (შატბერდული ტექსტი,

ნაკლული ადგილები შეესებულა ჭელიშურით), თბ., 1979, გვ. 320-253. თარგმანები: რუსული: მ. ჯანაშვილისა СМОНПК, вып. 28, 1900, 1-116 (შატბერდული). ინგლისური: M. Wardrop, studia Biblica and Ecclesiastica, V., Oxford, 1900, 1-88 (შატბ.). გერმანული: G. Potsch, Bedi Kartlisa, XXXIII, Paris, 1975, 288, 337 (შატბერდ.). ლიტერატურა: კ. კეკელიძე, ქართლის მოქცევის მთავარი საკითხები, ეტიუდ., IV, 252-292. მისივე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1980, 523-532. ივ. ჯავახიშვილი, შრომები, VIII, 1977, 103-111. ე. ხოშტარია-ბროსე, VIII ს. ქართ. მატთანე და მისი კვალი, „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ და „ქართლის ცხოვრებაში“, წიგნში: ლეონტი მროველი და ქართლის ცხოვრება, თბ., 1996, 47-65; მ. ჩხარტიშვილი, ქართ. პაგიოგრ. წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები – „ცხოვრება წმიდა ნინოსი“, თბ., 1987. ზ. ალექსიძე, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ახლად აღმოჩენილი სინური რედაქციები, თბილისი, 2007.

II. ასურელ მამათა „ცხოვრების“ ძველი რედაქციები

„ცხოვრება-მოქალაქობათა“ შექმნის ძირითადი წყარო როგორც ბიზანტიურ, ისე ქართულ საეკლესიო მწერლობაში, როგორც ვთქვით, სამონასტრო ცხოვრების ორგანიზაცია და ბერ-მონაზონთა გამორჩეული ნაწილის მოღვაწეობა იყო. ქართულ სინამდვილეში ეს პროცესი VII ს. შუა წლებიდან დაიწყო აღმოსავლეთ საქართველოში სირიიდან ჩამოსული იოანე ზედაზნელისა და მისი 12 მოწაფის მიერ ქართლისა და კახეთის სხვადასხვა კუთხეში მონასტრების, უფრო ზუსტად კი სადასაყუდებლო – განდევილობის შესაფერისი ადგილების შერჩევით, რასაც მალე ამ ადგილებში ადგილობრივი ბერმონაზვნული „ცხოვრება“ მოჰყვა. საერთო აზრით, უძველესი „ცხოვრება-მოქალაქეობანიც“ მაშინვე თუ არა, VI ს-თან ახლო ხანებში უნდა შექმნილიყო, თუმცა დღეს ამ მოღვაწეთა შესახებ პაგიოგრაფიული თხზულებები მხოლოდ IX ს-დან მოგვეპოვება – აბიბოს ნეკრესელის „წამება“, რომლის შესახებ საუბარი ჩვენ მარტიროლოგიური პაგიოგრაფიის განხილვისას გეჭონდა. რაც შეეხება დანარჩენებს, სრული პაგიოგრაფიული თხზულება დაიწერა მხოლოდ იოანე ზედაზნელის, შიო მღვიმელისა და დავით გარეჯელის შესახებ, ხოლო ზოგიერთი დანარჩენთაგან მეტ-ნაკლები სისრულით მოიხსენიებიან დასახელებულთა „ცხოვრებებში“, რომელთა შესახებ ჩვენამდე მოღწეული თხზულებები X ს. II ნახევარში დაუწერია არსენ II კათალიკოსს (955-980). სამეცნიერო ლიტერატურაში იაონე ზედაზნელის, შიო მღვიმელისა და დავით გარეჯელის ამ „ცხოვრებებს“ ე.წ. არქტიპებს უწოდებენ (ს. კაკაბაძე), ამ პირთა შესახებ დაწერილ უძველეს თხზულებებზე მიანიშნებდა და ყველა სხვა, მოგვიანო „ცხოვრებების“ ანუ მეტაფრასული რედაქციების წყაროდ ასახელებენ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ე.წ. არქტიპები ანუ სირიელ მამათა შესახებ ჩვენამდე მოღწეული „ცხოვრებათა“ უძველესი რედაქციები, ერთმანეთთან ტექსტუალურად მჭიდროდ დაკავშირებული თხზულებ-

ბებია და ისინი ერთ მოლიან ძეგლად უნდა გავიანზროთ, რომელსაც ეწოდება „ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედასნელისა და მოწაყეთა მისთაჲ, რომელთა განანათლეს ქუეყანაჲ ესე ჩრდილოეთისაჲ“ (ძეგლები, I, გვ. 191-248)¹¹, ხოლო მასში გამოიყოფა ცალკე დასათაურებული თავები: 1) „ცხოვრება და მოქალაქეობა ღირსისა მამისა ჩუენისა შიოენი და ევაგრესი“; 2) „ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა მამისა ჩუენისა დავით გარეჯელისაჲ“; 3) „წმიდისა მღვდელმოწამისა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისა, რომელიც იწამა ცეცხლისმსახურთა მიერ ქართლს...“.

ამ დებულების მტკიცება ზემოდასახელებულ ნაშრომშია წარმოდგენილი, მაგრამ აქ მაინც მოვიხმობთ რამდენიმე ძირითად არგუმენტს:

იოვანე ზედასნელის ცხოვრებას რომ აგრძელებს „შიოს ცხოვრება“, ეს ჩანს: 1) იოვანეს გარდაცვალებისა და დასაყვალავების ეპიზოდი წარმოდგენილია არა იმ მონაკვეთში, რომელიც კონკრეტულად იოვანე ზედასნელის მოღვაწეობას ეხება, არამედ „შიოს ცხოვრების“ თითქმის ბოლოს. 2) „შიოს ცხოვრება“ იწყება: „ხოლო ნეტარი ესე და ღმრთიეგანბრძნობილი მამაჲ ჩუენი წმიდაჲ შიო მოვიდა წინამძღუარობითა სულისა წმიდისაჲთა და დაემკვიდრა დასავალით კერძო დედა-ქალაქსა მცხეთას. არც ერთი ჰაგიოგრაფიული თხზულება არ შეიძლება დაიწყოს „ხოლოთი“. ამ კავშირით შეიძლება დაიწყოს წინა ტექსტის გაგრძელებად ნაგულისხმევი ტექსტი. მას შეიძლება დაეკისროს ახალი თავის, ანდა ახალი აბზაცის დაწყების ფუნქცია. 3) იგივე უნდა ეთქვას დავით გარეჯელის „ცხოვრების“ შესახებაც, რომელიც ზუსტად ისევე იწყება, როგორც შიოს „ცხოვრება“: „ხოლო ესე წმიდაჲ მამაჲ ჩუენი დავით წარვიდა ადგილთა უდაბნოთა და ურწყულთა სჯად თავისა თუსისა“. „ხოლო“ აქაც მიუთითებს, რომ დავით გარეჯელის „ცხოვრება“ აგრძელებს შიო მღვიმელის „ცხოვრებას“. 4) შიოს გარდაცვალების ეპიზოდი საერთოდ არ არის შიოს „ცხოვრებაში“, რაც ჰაგიოგრაფიული თხზულებისათვის უპრეცედენტო შემთხვევა იქნებოდა, მაგრამ აქაც მოულოდნელობა გველის: შიოს გარდაცვალების შესახებ საუბარია „აბიბოს ნეკრესელის“ წამების იმ შედარებით ვრცელ რედაქციაში, რომელსაც მცირედენი ფრაზეოლოგიური ცვლილებებით გადმოუტანია აბიბოს ნეკრესელის ძველი (IX ს.) რედაქციის ტექსტი და მისთვის ეპილოგივით შიოს გარდაცვალების ამბავი დაურთავს. „აბიბოს ნეკრესელის წამების“ ეს რედაქცია რომ იოვანე ზედასნელისა და მისი მოწაფეების ღვაწლის ამსახველ საერთო თხზულებაში მოიაზრება, ამაზე თვით „წამების“ დასაწყისი მეტყველებს: „ხოლო ჯერ-არს, რაჲთა მცირედ შუეა შემოვიდოთ ცსენებაჲ წმიდისა და უბიწოესა მღვდელთ-მოძღუარისა და მოწამისაჲ...“ ჯერ ერთი, აქაც – „ხოლო“, მეორეც, პირდაპირაა ნათქვამი, რომ მოთხრობაში უნდა ჩავერთოთ – „შუეა შემოვიდოთ ცსენებაჲ“-ო.

11 ე. გაბიძაშვილი, ასურელი მოღვაწეების „ცხოვრებათა“ ე.წ. არქეტიპების ურო-იერომიმართებისათვის, მაცნე, ელს, №4, 1982 .

ამრიგად, ეჭვი არ არის, არსენ II კათალიკოსმა ერთი თხზულება დაწერა (შესაძლებელია, ძველი წყაროების გამოყენებით), რომელიც იოვანეს და მის განსაკუთრებით გამორჩეულ მოწაფეთა ღვაწლს ასახავდა და არა ცალ-ცალკე ოთხი თხზულება.

ამგვარად, სირიელ მოღვაწეთა შესახებ შექმნილ და ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ერთიან თხზულებას ჩვენ ტრადიციის მიხედვით ცალკეული შემადგენელი ნაწილების მიხედვით განვიხილავთ, ხოლო მათ საფუძველზე შექმნილი მეტაფრასული თხზულებების შესახებ ამ რედაქციის სხვა თხზულებებთან ერთად ვისაუბრებთ.

1. იოვანე ზედაზნელის ცხოვრება

თხზულება იწყება იოვანეს შუამდინარეთიდან, კერძოდ, ქ. ანტიოქიის მიდამოებიდან ქართლში ჩამოსვლით და მცხეთის ახლოს დამკვიდრებით, ხოლო შემდეგ მცირე უკუსვლაა გაკეთებული და მოთხრობილია მისი სირიაში მოღვაწეობის პერიოდზე. სულიწმიდის შთაგონებით მოწაფეებთან ერთად მათი ქართლს გამომგზავრება, მცხეთას მოსვლა, სვეტიცხოვლის აღმართის „მოქცევაა ქართლისადეულო“ ვერსიაა. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ იოვანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების „ცხოვრება“ წყაროდ იყენებს IX ს. ბოლოს დაწერილ თხზულებას და სანდოდ წარმოადგენს თხზულების სათაურში მითითებული ავტორის ვინაობას „ხოლო აღწერა არსენი ქართლისა კათალიკოსმან...“, რომელსაც X ს. შეეძლო თავის თხზულებაში შემოეტანა თავისი საკათალიკოსო საყდრის – სვეტიცხოვლის აღმართის ეპიზოდი. იოვანე თავის მოწაფეებთან ერთად ზედაზნის მთაზე (მცხეთის მახლობლად) დაემკვიდრა, იქ ჩაბუდებულ უკეთურ ძალთა ღვთის ძალით საოტებლად. შემდეგ მან მოწაფეები დაგზავნა ქართლისა და კახეთის სხვადასხვა კუთხეში, თვითონ კი დარჩა იქ მოწაფე ელიასთან ერთად, ებრძოდა ეშმაკის სახით მოვლენილ წარმართებს და ახდენდა სასწაულებს. იოვანეს დაბერებაზე, მოუძღვრებაზე, ანდერძ-დამოძღვრაზე, დასაფლავებასთან დაკავშირებულ სასწაულზე საუბარია არა აქ, არამედ შიო მღვიმელის ცხოვრების ბოლოს.

2. შიო მღვიმელის და ევაგრეს ცხოვრება

შიო მღვიმელის „ცხოვრების“ მონაკვეთი ამ თხზულებაში იწყება, როგორც წინა თხრობის, იოვანეს „ცხოვრების“ გაგრძელება, სადაც ნათქვამი იყო, რომ „ხოლო აწ ნეტართა მოწაფეთა მისთათჳს ვიტყოდით“, ანდა „ხოლო სხუანი შემდგომად ამისსა მოვიტყენნეთ“, „ხოლო ნეტარი ესე ... შიო მოვიდა წინამძღვრობითა სულისა წმიდისადთა და დაემკდრა დასავალით კერძო დედა-ქალაქსა მცხეთას“. მოთხრობილია

მის დღედაღამ ლოცვაზე, ევაგრე ციხედიდელი მთავრის დამოწაუებაზე, ძმათა გამრავლებაზე, მრავალ სასწაულზე (განსაკუთრებით, კარაულთა და მგლის ურთიერთობაზე), აქ ჩართულია საკმაოდ ვერცელი თხრობა ისე წილკნელის შესახებ, იოვანეს, ისე და შიოს მიერ სასწაულთა დემონსტრირებაზე, შემდეგ შიოს მღვიმეში ჩაჯდომაზე, იოვანეს გარდაცვალებაზე. შიოს გარდაცვალების ამბავი აქ არ არის ნახსენები (ეს ეპიზოდი არის აბიბოს ნეკრესელის შედარებით ვერცელ „წამებაში“).

3. დავით გარეჯელის ცხოვრება

მესამე, ცალკე სათაურით გამოყოფილი ნაწილი იოვანე ზედაზნელისა და მის მოწაფეთა „ცხოვრებიდან“ არის „ცხოვრება და მოქალაქობე წმიდისა მამისა ჩუენისა დავით გარეჯელისა“, რომლის დასაწყისი, შიო მღვიმელის „ცხოვრების“ მსგავსად, წინა ტექსტის გაგრძელებად წარმოგიდგება და „ხოლოთი“ იწყება: „ხოლო ესე წმიდა მამა ჩუენი დავით წარვიდა ადგილთა უდაბნოთა და ურწყულთა სჯად თავისა თვისისა...“ და მოგვითხრობს თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად გარეჯის უდაბნოში დამკვიდრების, ირემთა მიერ მათი გამოკვების, ეშაპის მოკვლის, მოწაფეთა გამონაზუნების და დოდოს მიერ დოდორქის მონასტრის დაარსების ამბებს. ბუბაქარ ბარბაროზის დასჯისა და შემდეგ შეწყალების ეპიზოდში დავითის სასწაულთმოქმედების საღვთო ძალმოსილებაზეა მინიშნება. ვერცელი ეპიზოდი ეთმობა დავითის წასვლას იერუსალიმში წმინდა ადგილების მოსალოცად, საიდუმლოებით მოცულ დავითის საქციელს, რომ მან ვერ გაბედა იერუსალიმში შესვლა და უკან დაბრუნდა იერუსალიმიდან წამოდებული მადლით (ქეთ), აღწერილია მის მიერ აღსრულებული სასწაულები (წყაროს დატბობა) როგორც სიცოცხლეში, ასევე გარდაცვალების შემდეგ (ბრმის განკურნება და სხ.).

4. აბიბოს ნეკრესელის წამება

მოულოდნელად არსენ II კათალიკოსის თხზულების „იონანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების ცხოვრების“ მეოთხე ნაწილი სამი ნაწილისაგან განსხვავებული ჟანრის თხზულებაა. „აბიბოს ნეკრესელის წამების“ ის ტექსტი, რომელიც თითქმის მთლიანად იმეორებს აბიბოს „წამების“ უფრო ძველ (IX ს.) ტექსტს, ოღონდ ზოგჯერ ცვლის მის ფრაზეოლოგიას და უმატებს მას ეპილოგს, რომელშიც შიოს გარდაცვალებაზეა საუბარი, რაც არ იყო აღნიშნული თვით შიოს „ცხოვრებაში“. ამასთანავე აბიბოსის „წამების“ ეს ტექსტი იწყება „ხოლოთი“, რაც გულისხმობს, რომ ეს არის არა დამოუკიდებელი თხზულება, არამედ წინა თხრობის გაგრძელება: „ხოლო ჯერ არს, რაფთა

მცირედ შუეა შემოვიღოთ ცსენებად წმიდისა და უბიწოისა მღვდელ- მოძღუარისა და მოწამისაჲ“. თხზულების ავტორი ხანგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა, „მოღვაწე – მოქალაქეთა“ გვერდით ვაცსენოთ. „მოწამეც“, ე.ი. მათ შესახებ თხრობაში ჩაერთოთ „მოწამის ხსენებაც“ („რადთა მცირედ შუეა შემოვიღეთ ცსენებად მოწამისა“). რადგან ჩვენ გეჰქონდა საუბარი „აბიბოს ნეკრესელის „წამების“ ტექსტზე, ხოლო ეს ტექსტი შინაარსობრივად არ განსხვავდება წყაროსაგან, ამჯერად მისი შინაარსის გადმოცემისაგან თავს შევიკავებთ.

უკველესი ხელნაწერი, რომელმაც შემოგვინახა იოანე ზედაზნელის, შიო მღვიმელის და დაეით გარეჯელის ძეგლი, კიმენური რედაქციის „ცხოვრების“ A-199, XII-XIII სს. იერუსალიმის ჯვარის ქართული მონასტრის ხელნაწერთა გამოცემათაგან აღნიშნავს ორ უმთავრესს: 1. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრ. წიგნთა ძეგლი რედაქციები გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1955 წ.; 2. ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, I, თბ., 1963, 191-248. ლიტერატურა: ილ. აბულაძის გამოცემის წინასიტყვაობა, კ. ეკელიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, ეტიუდები I, 1956, გვ. 19-50; ივ. ჯავახიშვილი, შრომები, I, 1979, გვ. 389-415. ს. კაკაბაძე, ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები, საისტ. კრებული, წიგ. I-ის დამატება, 1928, 1-18; ზ. ალექსიძე, აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის შესწავლის ტექსტოლოგიურ-ქრონოლოგიური საკითხები, ქრისტიანული კაეკასია, I, თბილისი, 2010, გვ. 411-426. ე. გაბიძაშვილი, ასურელ მოღვაწეების „ცხოვრებაჲ“-ს არქეტიპების ურთიერთმიმართებისათვის, მაცნე, ელს. №4, 1982 (გვ. 62-67); Peradze G, Die Anfänge des Mönchtums in Georgien, Cotha, 1927, 1-14; Pötsch G, Arsens Brief und Vita Johannes von Zedazeni, Bedi Kartlisa, XXXIX, 1921; Martin-Hisard B., Les Treiso sis Pères. Formation et évolution d'une tradition hagiographique géorgienne (VI-XII). I. p. Reveu des études géorgiennes et caucasiennes, n. I, 1985, p. 141-168.

5. წარმართობის ამსახველი პაგიოგრაფიული თხზულებები

ათონის მთის ქართული მონასტრის X ს. ერთ ხელნაწერს (Ath.8) დაუცავს ორი მოკლე პაგიოგრაფიული თხზულება: „წამებაჲ ყრმათა წმიდათაჲ რიცხუთ ცხრათაჲ, რომელი იყვნეს სულითა ძმანი ნათლის-ღებითა წმიდისაგან ემბაზისა, ხოლო შობილ იყვნეს თავის-თავისა დედისაგან თვისისა“ და „წმიდათა ყრმათა ორთა ძმათა დაეითისი და ტირიჭანისი“. ეს ხელნაწერი XIX ს. I ნახევრამდე არ იყო ცნობილი საქართველოში (ამ დროს ჩამოიტანეს ამ ხელნაწერიდან გადაწერილი პირი, ამიტომ ვერ მოხვდა ეს თხზულებები ანტონ I-ის „მარტირიკაში“). ეს ხელნაწერი თუ მოლიანად არა, მისი შემადგენელი გარკვეული ნაწილი შეიცავს არა მარტო სომხური ორიგინალური პაგიოგრაფიის ნიმუშთა რამდენიმე თარგმანს, არამედ ბიზანტიური-

დან სომხურად თარგმნილ თხზულებათა ქართულ თარგმანებსაც (ხელნაწერი დამზადებულია სამხრეთ საქართველოში, ხოლო შემდეგ ჩატანილია ათონზე). ამდენად, ბოლომდე გარკვეული არ არის ეს თხზულებები თავიდანვე ქართულად დაიწერა თუ სომხური ენიდან ითარგმნა.

სამეცნიერო ლიტერატურაში მინეულაია, რომ ეს ორი თხზულება დაწერილია ტაოში სომეხი ქალკედონიტის მიერ ქართულად.

არცერთი მათგანი არ ჯდება ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა სტილში („კოლაელთა წამება, რომელიც ტაოში, სოფ. კოლაში მტკერის სათავეში გადმოგვცემს მცირეწლოვანი ქრისტიანი ბავშვების დახოცვის ამბავს წარმართი მშობლების მიერ, „დავითისა და ტარიჭანის წამება“ კი— ტაოში სომეხი წარმართი ბიძის მიერ ქრისტიანი დისწვილების დახოცვას მემკვიდრეობის მიღების მიზნით). თუ პირველი თხზულება არცერთ სახელს არ ასახელებს გარდა „მტკურისა“ და „კოლასი“, რაღაც ამორფულ, ეროვნულობისგან დაცლილ თხზულებას წარმოადგენს, მეორე მხოლოდ სომხური ყოფის გამოიმხატველია და ქართული სინამდვილის არცერთი მინიშნებაც არ არის მასში. ჩვენ გეგონია, რომ ისინი თარგმნილი თხზულებებია, თუმცა სომხური მწერლობის ისტორიაში მათი კვალი დღეს აღარ ჩანს (გამოცემები, ... ძეგლები, I, 1963, გვ. 183-185 (კოლაელები); გვ. 186-191 (დავით და ტირიჭანი); Н. Марр, Тексты и разыскания... V, 1903, с. 55-61 „კოლაელთა“ ქართ. ტექსტი რუს. თარგმანით); ილ აბულაძე, ქართ. და სომხ. ლიტ. ურთიერთობა IX-XI ს. 1944, გვ. 178-186 (ორივე): ლიტერატურა: გამოც. შესავალში, აგრ. ივ. ჯაფახიშვილი, ძვ. ქართ. მწერ. გვ. 34-36; 37. Н. Марр, Из поездки на Афон, ЖМНП, 1889, Март, с. 21-22.

III. სამხრეთ საქართველოში სამონასტრო მშენებლობის ამსახველი ჰაგიოგრაფიული „ცხოვრების“ ჟანრის თხზულებები

გრიგოლ ხანცთელის მიერ სამხრეთ საქართველოში, კერძოდ კი კლარჯეთში საფუძველჩაყრილმა სამონასტრო მოღვაწეობამ, რომელიც ახალი ეტაპი გახდა ქართული ეროვნული საეკლესიო-სამონასტრო აღორძინების საქმეში, მალე ფესვები გაიდგა ჯერ ტაოსა და შავშეთში, ხოლო შემდეგ სამცხე-ჯავახეთიც მოიცვა. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ საზღვარგარეთის ყველა, IX-X-XI სს. წარმოქმნილი სამონასტრო-სამწიგნობრო კერა გრიგოლ ხანცთელის საეკლესიო ტრადიციებზე იყო აღმოცენებული და იქ ამ ტრადიციებს ან გრიგოლის უშუალო მოწაფეები, ანდა მოწაფეთა მოწაფეები ამკვიდრებდნენ.

ქართული მწიგნობრობის განვითარების თითქმის მთელი სიმძიმე საქართველოს ფარგლებში IX-X სს. სწორედ სამხრეთის მონასტრებზე

მოდის. აქ სხვადასხვა მწიგნობრულ კერებში დამზადებულმა უნიკალურმა ხელნაწერებმა ნათარგმნი და ორიგინალური ლიტერატურის მრავალი პირველხარისხოვანი ძეგლი შემოგვინახა, მაგრამ მათ შორის მაინც უნდა გამოვყოთ ორიგინალური პაგიოგრაფიის ორი უმნიშვნელოვანესი თხზულება – „ცხოვრება და მოქალაქეობა ღმერთშემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისაჲ სერაპიონისი“ და, განსაკუთრებით, „შრომაჲ და მოღვაწეობა ღირსაჲ ცხოვრებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ, ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებლისაჲ და მის თანაჲ ჳსენებაჲ მრავალთა მამათა ნეტართა“. გრიგოლის დაარსებულ მკაცრ სამონასტრო ცხოვრებაში რომ ყოველდღიური საქმიანობისა და მოქმედების ტრადიცია ჩამოყალიბდა, რაც ეკლესია-მონასტრების შენების სწრაფვაში, განათლებულ სასულიერო პირთა მომზადებაზე ზრუნვაში, საეკლესიო წიგნთა გადაწერა-გამრავლებაში და ბიბლიოთეკების შექმნასა და მსგავს საქმიანობაში გამოიხატებოდა, ეს კარგად ჩანს გრიგოლის „ცხოვრების“ სათაურიდანვე – „შრომაჲ და მოღვაწეობა... აღმაშენებელისაჲ...“.

1. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება

ქართული პაგიოგრაფიული მწერლობის შედევრი გრიგოლ ხანცთელის „ცხოვრება“, დაწერილი გიორგი მერჩულის მიერ 951 წელს, გრიგოლის გარდაცვალებიდან (გარდაიცვალა 102 წლისა) 90 წლის შემდეგ, არა მარტო მხატვრულ-ესთეტიკური ლიტერატურის ბრწყინვალე ნიმუშია, არამედ VIII-X სს. საქართველოს სახელმწიფოებრივი და საეკლესიო სტრუქტურათა ჩამოყალიბებისა და მათი ურთიერთობათა სასულიერო და ეროვნული ინტერესების ამსახველი უტყუარი მატრიანეც.

ამ თხზულების არსებობის შესახებ ცნობილი გახდა მხოლოდ 1845 წელს, დაწერიდან თითქმის 900 წლის შემდეგ, როდესაც იერუსალიმის ჯვარის ქართული მონასტრის ხელნაწერებში ნიკო ჩუბინაშვილმა გამოაგლინა მისი შემცველი, ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი XI-XII სს. ხელნაწერი (Ier.2), ე.ი. დაკარგულია ამ თხზულების შემცველი X-XI სს. ხელნაწერები, რომელთა არსებობაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება, თუ გავითვალისწინებთ გრიგოლის უსაზღვრო ავტორიტეტსა და პოპულარობას და მისი მოწაფეთა მოწაფეების სურვილს, პირადად ჰქონოდათ მათი დიდი მოძღვრის „ცხოვრების“ ეგზემპლარი (აღბათ, ასეთი მოწაფეთა მოწაფის ჩატანილია გრიგოლის „ცხოვრების“ ერთ-ერთი ხელნაწერი იერუსალიმში, საიდანაც გადაწერილმა ზემოდასახელებულმა ხელნაწერმა გვიხსნა იმ სიცარიელისაგან, რაც შეიქმნებოდა ქართულ პაგიოგრაფიულ მწერლობაში ეს ხელნაწერიც რომ დაკარგულიყო).

სრულიად ახალგაზრდა გრიგოლმა, ქართლის ერისმთავრის ნერსეს ოჯახში გაზრდილმა კაცმა, უარი თქვა ბრწყინვალე საერო კარიერაზე, რომელიც მას ელოდა, და სამ თანამოაზრესთან ერთად არაბების

მიერ განადგურებულ და გაუკაცრიელებულ კლარჯეთს მიაშურა, რათა სამონასტრო ცხოვრების აღორძინებითა და სულიერების განმტკიცებით გვერდით დასდგომოდა სამხრეთ საქართველოში გაღვიპებულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების მატარებელ ხელისუფალთა ერთიანი და თავისუფალი საქართველისთვის ბრძოლაში.

გიორგი მერჩულის მიერ წარმოდგენილი გრიგოლ ხანცთელი, „სუცისა კაცი და ქუყყანისა ანგელოზი“, სულიერების აპოლოგეტი, ადამიანის სულის სისპეტაკის, მისი ხორციელი ვნებებისაგან განთავისუფლებისა (რაც ღმერთთან მიახლოების უმთავრესი საწინდარია) და ამ გზაზე ყოველგვარი დაბრკოლების წინააღმდეგ ბრძოლის მქადაგებელი, პირადი მაგალითითაც ამას ასახიერებდა.

ეს ძირითადი პრინციპი იყო ამოსავალი, როდესაც მან მონაზვნობის მძიმე გზა აირჩია, როდესაც „უდაბნოთა ქალაქის მყოფელი“ ქართული კულტურისა და მწიგნობრობის უმნიშვნელოვანესი კერების – ეკლესია-მონასტრების აშენება-დაარსების საქმისათვის თანამოაზრეებს იკრებდა, როცა მის და მის მოწაფეთა მიერ დაარსებული მონასტრების სიმრავლეში მკაცრ საეკლესიო შინაგანაწესს აყალიბებდა, როცა თავის მრავალ მოწაფეთაგან რჩეულთ დამოუკიდებელი მონასტრების დაარსების უფლებას რთავდა, ან საეკლესიო იერარქიაში მამამთავრობის (ეპისკოპოსობის, კათალიკოსობის) გზას ულოცავდა, როცა მეფე-მთავართა ხორციელი ვნებებით დამძიმებულ ცხოვრებაში ერეოდა და თან ხალხის თვალში მათი ავტორიტეტის შენარჩუნებისათვის იღვწოდა, როცა მისი ზრუნვის ქვეშ მყოფთა სულიერი სრულყოფის მიზნით სასიკეთო მაგალითებს თვითონ და მოწაფეთა დახმარებით კონსტანტინოპოლისა და იერუსალიმის ეკლესია-მონასტრებში ეძებდა.

გრიგოლმა, როგორც უმაღლეს ფეოდალურ ოჯახში გაზრდილმა კაცმა, სადაც მან ყოველმხრივი განათლება მიიღო, როგორც სასულიერო, ისე საეროც, კარგად იცოდა ადამიანის სულიერი აღზრდის ფასი და მის მრავალმხრივ საქმიანობაში მთავარი მის მიერ დაარსებულ მონასტრებში (ხანძთა, შატბერდი და სხვ.) მწიგნობრობისა და ლიტურგურული საქმიანობის გავრცელება იყო. ამიტომ ტაო-კლარჯეთის სალიტურგურო სკოლა, რომლის ფუძემდებელი გრიგოლია, ქართული მწერლობის ისტორიაში, მართლაც, გამორჩეულია.

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების მთავარი მიზანი იყო საქართველოს ერთიანი ეკლესიის საფუძვლების ისეთი განმტკიცება, რომ მას შეძლებოდა პოლიტიკურად შესუსტებული ქვეყნის სულიერი წინამძღოლი ყოფილიყო და ერთიანი ეკლესიის შესაბამისად ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში ქართულ ეკლესიას გადამწყვეტი როლი შეესრულებინა. მთელ თხზულებას წითელი ხაზით გასდევს იდეა, რომ უმაღლეს სულიერებაზე აღმოცენებული სამონასტრო ძმობა არის არა მარტო სამეფო ხელისუფლების ძლიერების ქვაკუთხედი, არამედ მისთვის ზნეობისა და სამართლიანობის მასწავლებელი და მათ საქმეებზე ღმერთთან შუამავალი. თხზულების ავტორი ღრმად არის დარწმუნებული, რომ ეკლესიის სულიერებისა და ხელისუფალ-

თა მატერიალურ ღირებულებათა ერთიანობა ეროვნული ერთიანობისა და დამოუკიდებლობის გარანტიაა („აწ ჩუენთანა არს ვორციელი კეთილი და თქვენ თანა არს სულიერი კეთილი და ესე შეეზავენით ურთიერთას“ – ათქმევიწებს იგი დიდებულ აზნაურს – გაბრიელ დაჟანაშულს) და ამ ერთიანობის მიღწევაში მნიშვნელოვანი ღვაწლი მონაზვნობას ეკუთვნის („სარწმუნონი და ჭეშმარიტნი მონაზონნი ქუეყანასა ზედა არავეისსა კელმწიფებასა ქუეშე არიან“). მართალია, ეკლესია ყორმალურად არ ერევა სახელმწიფოებრივ საქმეებში, მხოლოდ მისი ზნეობრივი საფუძვლების კონტროლს სჯერდება, მაგრამ მაინც იგრძნობა უპირატესობის მომენტი („დიდებულო მეუფეო, შენ ქუეყანისა კელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე ზეცისა და ქუეყანისა და ქუესკნელთად... უფროდს ჩემსა ჯერ არს სმენად სიტყუათა მისთად, რომელმან ბრძანა, ვითარმედ ვერვის კელმწიფების მონებად ორთა უფალთად“). უპირატესობას გრძნობს გრიგოლი და მისი ძმობა სამრევლო ანუ თეთრ სამღვდელოებასთანაც, რადგან გრიგოლი მისთვის შეთავაზებულ ეპისკოპოსობას „ვორციელ დიდებად“ თვლიდა. თხზულებაში წარმოდგენილი სასულიერო და საერო პირთა უმდიდრესი გაღერვა, მათი ურთიერთობათა წარმოჩინება და მდიდარი ტოპონიმია მას უმნიშვნელოვანეს წყარომცოდნეობით ძეგლად წარმოგვიდგენს.

გიორგი მერჩულის თხზულება გამოირჩევა სადა, მარტივი ენით, ვირტუოზული სტილით, გამოყენებული წყაროების სიუხვით, სიუჟეტის რეალისტური და დრამატული განვითარებით, მხატვრულად დახვეწილი სახეებით, საინტერესო სიუჟეტური ეპიზოდების სიმრავლით, სიუჟეტურ თხრობაში სასწაულების ოსტატურად ჩართვის უნარით, ადამიანურ სისუსტეთა შემცველი ეპიზოდების იდეოლოგიური მრწამსის გამოხატვისათვის გამოყენებით, ბუნების სურათების სიუხვით და მტკერმეტყველების ნიმუშებით.

მართალია, გვიან (1845წ.), მაგრამ მაინც გამოვლინდა ეს ყველასათვის უცნობი თხზულება, თუმცა ცნობა მისი აღმოჩენის შესახებ მხოლოდ 1889 დაიბეჭდა, თხზულების პირველი გამოცემა ტექსტის რუსული თარგმანის დართვით კი მხოლოდ 1911 წელს განახორციელა ნიკო მარმა (Тексты и разыскания по армянско-грузинской филологии, кн. VII, с. 1-82). 1949წ. პ. ინგოროყვამ გამოსცა ქართული ტექსტი ვრცელი გამოკვლევით (გიორგი მერჩულე, „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“. დედანი აღადგინა და გამოკვლევა დაურთო პ. ინგოროყვამ, თბ., 1949.). შემდეგი გამოცემა განხორციელდა 1963წ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ავტორთა კოლექტივის მიერ ილ. აბულაძის ხელმძღვანელობით (ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტ-ის ძეგლები, I, 248-319); 1986 და 2003წლებში დაიბეჭდა წიგნი: იაკობ ხუცესი, შუშანიკის წამება. გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, თბილისი, 1986, (გამოც.), 2003 (II გამოც.), გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრების“ ტექსტი გამოსაცემად მოამზადა კ. დანელიამ. ჯერჯერობით ბოლო გამოცემა ეკუთვნის ე. ჭელიძეს: ძველი ქართული საეკლესიო მწერლობა, I, გვ. 480-995 (ტექსტი, თარგმანი თანამედროვე ქართულ ენაზე, გამოკვლევა და კომენ-

ტარები). დანარჩენ გამოცემებში ტექსტი ალაგ-ალაგ შემოკლებულია (ქრესტ. I, და სხვ.) თხზულება თარგმნილია, როგორც აღენიშნეო რუსულად, აგრეთვე ლათინურად P. Peetersის მიერ (Anal. Bole and, t. 36-37, 1917-1919წწ., გვ. 216-309).

ლიტერატურა: დასახელებულ გამოცემებზე დართული გამოკვლევები, აგრეთვე: კ. კეკელიძე, ქართული. მწერლობის ისტორია, I, გვ. 152-157; ივ. ჯაფახიშვილი, შრომები, VIII, გვ. 121-131; ვ. მალაყერიძე, გიორგი მერჩულე – გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, წიგნში: საუბრები ქართ. ლიტერ-ზე, თბ., 1992, გვ. 89-143; გ. ფარულაევა, მხატვრული სახის ბუნებისათვის ძვ. ქართულ პროზაში, თბილისი, 1982.

2. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება

კლარჯეთში წარმატებულმა სამონასტრო აღმშენებლობამ კეთილი მაგალითის როლი შეასრულა და ეს პროცესი სამცხეშიც დაიწყო კლარჯეთში დაბადებული, იქ მონაზვნად შემდგარი სერაპიონის მეთაურობით, რომელმაც ზარზმაში დაარსებული მონასტრის მიხედვით „ზარზმელის“ ზედწოდება დაიმკვიდრა. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, რომელიც IXს-ში ზარზმის მონასტრის დაარსების შესახებ მოგვითხრობს, Xს. I მეოთხედში დაუწერია სერაპიონის ძმისწულს-ბასილი ზარზმელს, რომელიც ზარზმის მონასტერში სერაპიონის გარდაცვალების შემდეგ მოსულა და ბიძამისის თანამედროვეთაგან და მის მოწაფეთაგან შეუკრებია ცნობები თხზულების დასაწერად. თხზულებას, რომელიც ჩვენამდე ერთადერთი, XVI ან XVIIს. ხელნაწერით არის შემორჩენილი (A-69) და მისი არსებობაც მხოლოდ XXს. დასაწყისში გახდა ცნობილი (მ. ჯანაშვილის წყალობით), თავდაპირველი სახით არ მოუღწევია – ჩანს მოგვიანებით (დაახ. XIს-მდე) შეტანილი ინტერპოლაციები (თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ აზრს თხზულების მეტაფრასულობის შესახებ ვერ დავეთანხმებით – ტექსტში შეტანილი ყოველგვარი ფრაზეოლოგიური თუ კომპოზიციური ცვლილება გადამეტაფრასებად არ ჩაითვლება.

თხზულებაში აღწერილი მოვლენებისა და შესაბამისად ავტორის მოღვაწეობის ქრონოლოგია დიდი აზრთა სხვადასხვაობის საგანია: ზოგისთვის ეს VI-VIIIსს.-ია, ზოგისთვის – IX-Xსს.. პირველთათვის ამოსაველია თხზულებაში სერაპიონის მოძღვრის, მიქაელ პარეხელის შიო მღვიმელის (VIს.) მოწაფედ დასახელება, ხოლო მეორეთათვის გიორგი მაწყვერელის მოღვაწეობის დრო: ერთი მხრივ, ის სერაპიონის თანამედროვეა და ბასილის თხზულებაში მის მონათხრობს სერაპიონის შესახებ დიდი ადგილი უჭირავს, მეორე მხრივ, გიორგი მერჩულე მას „საყვედურობს“, რომ მან არ აღწერა გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება (გრიგოლი 861 წელს გარდაიცვალა, ე.ი. მას შეეძლო „ცხოვრების“ 861 წლის შემდეგ დაწერა). ჩვენნი აზრით, მეორე არგუმენტი უფრო დამაჯერებელია და თხზულების ქრონოლოგიაც IX-Xსს.-ით უნდა განისაზ-

ღეროს (Xს. იმიტომ, რომ სერაპიონის (+900) ღვაწლის აღწერის შემდეგ თხრობა გრძელდება Xს. ზარზმის სერაპიონის შემდგომი ოთხი წინამძღვრისა და ზარზმის ახალი, დიდი ეკლესიის მშენებლობის შესახებ).

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ შეიძლება არ გამოირჩეოდეს თავისი მხატვრული აქსესუარებით, თუმცა თხზულებაში არცთუ იშვიათია მოქნილი ფრაზეოლოგიის ნიმუშები, ბუნების მშვენიერებისა და სამცხის იმდროინდელი ყოფის ცოცხალი, რეალისტური სურათების დახატვა. თხზულება ფასდაუდებელ ლიტერატურულ, სოციალურ, პოლიტიკურ და საყოფაცხოვრებო, სამონასტრო-საეკლესიო ცხოვრების ისეთ ცნობებს შეიცავს, რაც სხვა წყაროებით არ არის ცნობილი: მაგ. მხოლოდ ამ ძეგლს დაუცავს ცნობა, რომ „მიქელ პარეხელის ცხოვრება“ მის მოწაფეებს აღუწერიათ მისი გარდაცვალების შემდეგ (მას ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ, ჩანს, ეს „ცხოვრება“ წყაროდ გამოუყენებია ბასილ ზარზმელს). ცნობა ოპიზის პირველმამულებელთა შესახებ. ცნობები „ჩორჩანელთა“ ფეოდალური სახლის ისტორიის შესახებ („ჩორჩანელები“ იგივე „ჩორდვანელთა“ ტაოს გადასახლებულთა საგვარეულო – ეფთვიმე მთაწმიდელის უახლოესი წინაპრებია – ე. მეტრეველი, ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბ., 1996, გვ. 52-57). ცნობები გიორგი მაწყვერელზე – აწყურის ეპისკოპოსზე და მწერალზე, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამ თხზულებაში პირველად ჩანს სოციალური საკითხების მთელი სპექტრი, სოციალურად „დაბალი“ და „მაღალი“ კლასები და მათი დამოკიდებულება ეკლესიასთან, უფრო ზუსტად, მონაზვნობასთან. თხზულებაში რეალისტურად არის ნაჩვენები, როგორ წინააღმდეგობას აწყდებოდა სერაპიონის მონაზონთა ძმობა სამცხის სხვადასხვა სოფლებში მონასტრის მშენებლობის მცდელობის დროს. თხზულებაში აღწერილი სასწაულები, ერთი მხრივ (მზის გაჩერება, რათა მონაზვნებს რაც შეიძლება მეტი ტერიტორიის შემოვლა შეეძლებოდათ, რადგან გიორგი ჩორჩანელის ნებით მათ შეეძლოთ საკუთრებაში ჰქონოდათ ტერიტორია, რის „გარეშემოვლას“ მონაზვნები ერთი დღის განმავლობაში – მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე მოასწრებდნენ) ღვთის მონაზვნებისადმი კეთილგანწყობას გამოხატავს, მეორე მხრივ, ღვთის რისხვას მონაზვნებისადმი უღიერი დამოკიდებულების გამო (ტბის ნაპირის გარღვევა და სოფლების წალექვა). თხზულების ძირითადი თემა ზარზმის მონასტრის ძველი, ხოლო ბოლოს ახალი, დიდი ეკლესიების მშენებლობის აღწერაა.

თხზულების ძირითადი გამოცემები: 1. მ. ჯანაშვილისა, ქართული მწერლობა, II, 1909, 1-49; 2. კ. კეკელიძისა, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, 1935, გვ. 147-184; 3. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1963, გვ. 319-147; 4. ე. ჭელიძისა, ძველი ქართული საეკლესიო მწერლობა, I, თბილისი, 2005, გვ. 959-1044 (ტექსტი, თარგმანი თანამედროვე ქართულზე, გამოკვლევა და კომენტარები).

თარგმანები: რუსული – К.С. Кекелидзе, Памятники др. груз-ой агиогр. литературы. Тб. 1956, 76-100; ლათინური – P. Peeters, Histoires monastiques georgiennes, An. Boll. t. 36-37, 1917-1919, p. 168-207; ლიტერატურა (უძირ-

ითადესი): გამოცემებში წარმოდგენილი გამოკვლევები, აგრეთვე: კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ. I, 1980, გვ. 146-152; 5. ივ. ჯავახიშვილი, შრომები VIII, თბ. 1977, გვ. 132-141. ა. ბოგვერაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების თარიღისათვის, მაცნე, საქ. მეცნ. აკად. საზოგად. მეცნ. განყოფ. ორგანო, 1964, №3, 50-69. მ. ლორთქიფანიძე, ადრინ. ხანის ქართ. საისტ. მწერლობა, თბ. 1966. ნ. ვაინაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, როგორც საისტორიო წყარო, თბ. 1975. მ. ჩხარტიშვილი, „ცხოვრება და მოქალაქობა ვმ. სერაპიონ ზარზმელისა“, თბ. 1994, გვ. 54-83. ჯ. ჭელიძე, როდის დაიწერა „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“?, საღვთისმეტყველო კრებული, I, 1991, გვ. 188-214. მისივე: ძველი ქართული საეკლესიო მწერლობა, I, (ორიგინალური ჰაგიოგრაფიის ტექსტები თარგმანებით და კომენტარებით), თბილისი, 2005 (1156გვ.).

IV. ათონის მთის ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა ციკლი

ათონის მთაზე, საბერძნეთის ქალკედონის ნახევარკუნძულზე Xს. შუა წლებში ქართველთა მონასტრის (ივირონი) დაარსება უდიდესი მოვლენა იყო ქართული კულტურისა და მწიგნობრობის ისტორიაში, რადგან ამ ხიდით საქართლო უშუალოდ დაუკავშირდა საბერძნეთს და დაიწყო მისი უზარმაზარი ქრისტიანული კულტურული მემკვიდრეობის ათვისება. ათონის ქართველთა მონასტრის დაარსებამდე ამ საქმეში პირველი ილარიონ ქართველი იყო, რომელმაც საბერძნეთის რამდენიმე მონასტერში (კონსტანტინოპოლი, მაკედონია, თესალონიკი) იღვაწა, რომში—ორი წელიწადი, ხოლო მცირე აზიის ოლიმპზე (ულუმბია), ბითინიაში ხუთი წელი დაყო და საფუძველი ჩაუყარა იქ ქართული დიასპორის დაარსებას. ეს წამოწყება გააგრძელეს ათონის ქართველთა მონასტრის დამაარსებლებმა — მამა-შვილმა იოანე და ეფთვიმე მთაწმიდელებმა, ხოლო ცოტა მოგვიანებით — გიორგი მთაწმიდელმა. სწორედ ქართული კულტურის ამ უდიდესი წარმომადგენლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ შეიქმნა ათონის სამწიგნობრო კერაში სამი შესანიშნავი ჰაგიოგრაფიული ძეგლი, სამი „ცხოვრება“: „ცხოვრება და მოქალაქობა ვმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისა“, „ცხოვრება მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთუმისი და უწყება მის მოქალაქობისა მათისა“ და „ცხოვრება და მოქალაქობა ვმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა“. საინტერესოა ამ პირთა საეკლესიო ურთიერთკავშირი, რომელიც გამოხატულია თითოეული მათგანის ღვაწლის აღწერის მემკვიდრეობითობაში: ილარიონის პირველი „ცხოვრების“ აღწერა ეფთვიმე მთაწმიდელს მიეწერება, ეფთვიმეს „ცხოვრება“ გიორგი მთაწმიდელმა დაწერა, ხოლო გიორგი მთაწმიდელისა — გიორგი მცირემ.

სამივე თხზულება ქართველ მონაზონთა საზღვარგარეთის სამწერლობო კერებში მოღვაწეობის ძირითადი წყაროა.

1. ილარიონ ქართველის ცხოვრება

ილარიონ ქართველის (+875წ.) სახელთან დაკავშირებულია ბიზანტიურ ქრისტიანულ კულტურასთან საქართველოს დაახლოების ახალი ეტაპი, რაც აისახა მისი მოღვაწეობის შესახებ დაწერილ თხზულებებში „ცხოვრება და მოქალაქობა ვმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისაჲ“, რომლის ავტორად ტრადიციულად ეყთვიმე მთაწმიდელს ასახელებენ.

„ცხოვრების“ მიხედვით „ბასილი პროტოასკრიტმან და ფილოსოფოსმან და ღირსმან მონაზონმან აღწერა ცხოვრება ვმიდისა ამის, ვითარცა ისწავა მოწაფეთაგან ვმიდისათა კაცთა უტყუველთა და ჭეშმარიტთა“ (ძეგლები, II, გვ. 37). თითქოს ეს ორი ცნობა ერთმანეთთან წინააღმდეგობაშია, მაგრამ თეოფილე ხუცესმონაზონის მოწმობა, რომელმაც ილარიონის მეტაფრასული „ცხოვრება“ დაწერა, ნაწილობრივ გეიხსნის ვითარებას: „ცხოვრებაჲ... ილარიონის... ქებითაცა შესხმისაჲთა პატივცემულ იქნა ბრძანებითა ბასილი მეფისაჲთა ბასილის მიერ მონაზონისა, რომელი დიდად განთქმულ იყო და ბრწყინვალე სიბრძნითა“ (ძეგლები, III, გვ. 247-248). კიმენური და მეტაფრასული „ცხოვრებებიდან“ ჩანს, რომ ბერძენ მონაზონსა და პროტოასკრიტ ბასილს ბასილი იმპერატორის დავალებით ილარიონის რომანას მონასტერში (კონსტანტინოპოლთან) დასაფლავებაზე წარმოუთქვამს ე.წ. ენკომია, ანუ შესხმა-ქადაგება (რა თქმა უნდა, ბერძნულ ენაზე), ხოლო ამ „შესხმის“ ჩანაწერის საფუძველზე ეყთვიმე მთაწმიდელს თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ დაუწერია ილარიონის „ცხოვრება“.

ილარიონი კახეთის წარჩინებული ფეოდალის შვილი ყოფილა, ახალგაზრდობაშივე მონაზუნად აღკვეცილა და ერთხანს დაეითვარეჯაში მოღვაწეობდა, შემდეგ იერუსალიმში წასულა წმინდა ადგილების მოსალოცად, უკან დაბრუნებულს კი დედათა და მამათა მონასტრები აუშენებია (მემკვიდრეობით მიღებული ქონებით). მალე მან უცხოეთში მოღვაწეობა გადაწყვიტა და ბითონიაში, მცირე აზიის ოლიმპოს მთაზე მონასტერში დაემკვიდრა, სადაც 5 წელი გაატარა. შემდეგ იღვაწა კონსტანტინოპოლში, მაკედონიაში, ორი წელი იმყოფებოდა რომში, დაბრუნდა საბერძნეთში, ქ. თესალონიკეში, სადაც იგი გარდაიცვალა 53 წლის ასაკში. ილარიონი მეტად პოპულარული ყოფილა ყველგან, სადაც კი მას უმოღვაწია. „ცხოვრებაში“ მრავალი სასწაულია აღწერილი, რითაც მისი ნათელმხილველობისა და „სენთაგან განკურნების“ ნიჭია წარმოდგენილი. მისი პოპულარობის დამადასტურებელია ის, რომ ბასილი იმპერატორმა (867-886) ილარიონის წმინდა ნაწილები თესალონიკიდან ფარულად, ღამით გადმოასვენა კონსტანტინოპოლში, რადგან ადგილობრივმა მოსახლეობამ ამბოხი მოაწყო, რომ ილარიონი თესალონიკიდან არ გადაესვენებინათ. კონსტანტინოპოლის მახლობლად ბასილი იმპერატორმა სპეციალური მონასტერი ააშენა, სადაც ილარიონი დაკრძალეს. მან მოიპია ილარიონის ქართველი მოწაფეები, ამ მონასტერში დაამკვიდრა, რამაც საფუძველი ჩაუყარა

კონსტანტინოპოლში პირველ ქართულ მონასტერსა და სამწიგნობრო კერას, რომელმაც შემდგომში თავისი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის განვითარების საქმეში. ილარიონის საბერძნეთში დიდი პოპულარობის საჩვენებლად „ცხოვრებაში“ ჩართულია ეპიზოდი, რომ ამ მონასტრის ქართველ ბერებს ბასილი იმპერატორმა თავისი ორი ვაჟი მიუყვანა ქართული ენის შესასწავლად.

თსხულება, რომელიც „დაწერილია უაღრესად გამართული და ამავე დროს მხატვრული ენით, საუკეთესო ნიმუშია ეფთვიმეს ორიგინალური მხატვრული პროზისა. მასში გამოსჭვივის ეფთვიმეს ღრმა ეროვნული შეგნება და სიამაყის გრძნობა იმის გამო, რომ ბიზანტიელთა ზეიმი ილარიონის პიროვნების გარშემო საქართველოსადმი მიძღვნილი ზეიმი“ (კ. კეკელიძე, ბარამიძე, ძვ. ქართ. ლიტ-ის ისტორია, 1987, გვ. 110).

ილარიონ ქართველის კიმენური ანუ თავდაპირველი ქართული „ცხოვრება“, რომელიც IX ს. ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის საყურადღებო წყაროა, საფუძველი გახდა ილარიონის „ცხოვრების“ სხვა რედაქციების შექმნისა (მეტაფრასულის, შემოკლებულის და სენიაკსარულისა).

ეფთვიმესეული ილარიონის „ცხოვრების“ უძველესი ტექსტი დაცულია, ე.წ. 1074წ-ის ათონის კრებულში (A-558) და ტექსტის პირველი გამოცემაც ამ ხელნაწერის მიხედვით შესრულდა (ათონის ივერიის მონასტრის 1074წ. ხელნაწერი ალაპებით, მ. ჯანაშვილის გამოცემა, ტფილისი, 1901, გვ. 69-108). მეორე გამოცემაც A-558 ხელნაწერის მიხედვით შესრულდა: ძველი ქართ. აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, თბ. 1967, გვ. 9-37.

თარგმანები: ლათინურად - P. Peeters. Vita et mores... Hilarionis Hiberi, Anal. Bollandiana, t. 32, Bruxelles, 1913, p. 243-269.

ლიტერატურა: კ. კეკელიძე, ნაწყვეტი ქართ. აგიოგრაფიის ისტორიიდან, ეტიუდები, ძვ. ქართ. ლიტ-ის ისტორიიდან, ტ. IV, გვ. 134-158; მ. დოლაქიძე, ილარიონ ქართველის ცხოვრების ძველი რედაქციები, თბილისი, 1974, გვ. 37-57; 68-77. X. Лопарев, Греческие жития VIII и IX веков, Византийский Временник, XVIII, Петроград, 1914, с. 56-63; P. Peeters, დასახ. გამოცემის წინასიტყვაობა. Martin-Hisard, La Peregrination du moine Géorgien Hilarion an IX Siecle, Bedi Kartlisa, 39, Paris, 1981, p. 101-198.

2. იოანე და ეფთვიმე მთაწმიდელების ცხოვრება

საბერძნეთში, ათონის მთაზე, პირველი ქართული დამოუკიდებელი მონასტრის დამაარსებელთა— იოანე და ეფთვიმე მთაწმიდელების მოღვაწეობისადმი მიძღვნილი „ცხოვრება“, რომელიც 1042-1044 წლებში დაუწერია ამავე მონასტრის წინამძღვარს და ქართული კულტურის ერთ-ერთ გამოჩენილ მოღვაწეს—გიორგი მთაწმიდელს, ქართული პაგიოგრაფიული მწერლობის შესანიშნავი ძეგლია. იგი არის ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობის X-XI სს. მონაკვეთის უმნიშვნელოვანესი ცნობების შემცვე-

ლი დოკუმენტი. თხზულება, რომელიც იოანესა (+1005წ) და ეფთვიმეს (+1028წ.) გარდაცვალების შემდეგ (1044წ.) დაიწერა, იმითაც არის საყურადღებო, რომ იგი არ შემოიფარგლება იოანეს და ეფთვიმეს მოღვაწეობით და მომდევნო ორი ათეული წლის განმავლობაში ქართულ-ბიზანტიურ დრამატულ ურთიერთობათა ვითარებასაც წარმოადგენს.

იოვანემ, დაეით კურაპალატის ერთ-ერთმა მხედართმთავარმა, მეფის სამსახური მიატოვა, ოჯახიც დატოვა და კლარჯეთის ოთხთა მონასტერში ბერად აღიკვეცა, ხოლო მალე მცირე აზიის ოლიმპოს მთის მონასტერში დამკვიდრდა. მან აქ გაიგო, რომ მისი შეიდიოდე წლის ეპიშეილი ეფთვიმე კონსტანტინოპოლში იმპერატორის კარზე მძევლად მოხვედრილა. იოვანემ გამოითხოვა შეილი და ოლიმპოს მთაზე მიიყვანა. ბითინიიდან მამა-შეილი 965წ. ათონის მთაზე მისულა და ათანასე ათონელის ლავრაში დამკვიდრებულა. აქ მათ ბევრი გამოჩენილი ქართველი ბერი შეუერთდა: არსენი ნინოწმიდელი ეპისკოპოსოფილი, იოანე გრძელიძე და დაეით კურაპალატის ცნობილი მხედართმთავაროფილი თორნიკე (მონაზვნობის სახელი იოანე) – იოვანე მთაწმიდელის ღვიძლი ძმა და ეფთვიმეს ბიძა. ყველა ეს მოღვაწე ათონზე იოვანე მთაწმიდელის ავტორიტეტმა ჩამოიყვანა. ამ დროს ბიზანტიის სამეფო კარს აუმხედრდა მხედართმთავარი ბარდა სკლიაროსი, რომელმაც იმპერიაში კრიტიკული ვითარება შექმნა. ბასილი ბიზანტიის იმპერატორმა დახმარებისათვის დაეით კურაპალატს მიმართა, ხოლო მან ქართველთა 12000-იანი ჯარის მეთაურობა უკვე მონაზვნად შემდგარ თავის მხედართუფროსს – თორნიკეს სთხოვა. თორნიკე იძულებული გახდა დაეთმო ბიზანტიისა და ქართველთა მეფეებისა და საკუთარი ძმის იოვანეს დაჟინებული თხოვნისათვის და ქართველთა ჯარს ჩაუდგა სათავეში. მალე ამოხება ჩაახშეს და თორნიკე დიდი ალაფით და იმპერატორის საჩუქრებით ათონის მთაზე დაბრუნდა.

ათანასეს ლავრაში მომრავლებულმა ქართველმა ბერებმა იოანე მთაწმიდელის მეთაურობით გადაწყვიტეს თორნიკეს მიერ მოპოვებული საფასით საკუთარი მონასტერი აეშენებინათ. სწორედ ამ მონასტერში, რომელიც ერთ-ერთი გამოჩენილი იყო ათონის მთის სამონასტრო იმპერიაში (აქ ქრისტიანული სარწმუნოების სხვადასხვა წარმომადგენელთა მიერ აშენებული 20-ზე მეტი მონასტერია განლაგებული), დაიწყო თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა ქართული მწერლობისა და კულტურის ერთ-ერთმა უდიდესმა წარმომადგენელმა – ეფთვიმე მთაწმიდელმა. მან ბრწყინვალედ შეასრულა მამის დავალება: „შეილო ჩემო! ქართლისა ქუეყანაჲ დიდად ნაკულეუჲან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნი აკლან... აწ იღუაწე, რაითა განამრავლო, სასყიდელი შენი ღმრთისაგან“, და არ არის სასულიერო მწერლობის არც ერთი დარგი, რომლის უმნიშვნელოვანესი თხზულება ეფთვიმეს არ ეთარგმნოს. ხოლო მის ორიგინალურ შრომაზე ილარიონ ქართველის “ცხოვრების” შესახებ უკვე ვილაპარაკეთ. მას ქართულიდან ბერძნულ ენაზე უთარგმნია „სიბრძნე ბალავარისა“ და ე.წ. „აბუკურა“ ანუ „მიქაელ საბაწმიდელის წამება“ და რამდენიმე შრომაც დაუწერია ბერძნულად.

გიორგი მთაწმიდელის მიერ შექმნილი თხზულება მოგვითხრობს არა მარტო ათონის ქართველთა მონასტრის დაარსების ისტორიას და ეფთვიმე მთაწმიდელის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ, არამედ აქ აღწერილია ათონის მთაზე მოღვაწე მრავალი ქართველი მონასტრის საქმიანობა, ნაამბობია ეფთვიმეს უდიდეს ავტორიტეტზე ათონის მონასტრების წინამძღვართა შორის და კონსტანტინოპოლის სამეფო კარზე, ეფთვიმეს მიერ შემოღებულ მკაცრ, მაგრამ სამართლიან სამონასტრო დისციპლინაზე, უკეთურთა მიერ მისი მოკვლის რამდენიმე მცდელობაზე, მის სასწაულმოქმედებებზე და ა.შ.

თხზულება უადრესად საინტერესო დეტალებს გვაცნობს ბიზანტიის პოლიტიკური ცხოვრების ისტორიიდან, ეფთვიმეს შემდგომი წინამძღვრის – გიორგის პოლიტიკური დაპირისპირების შესახებ ბიზანტიის სამეფო კართან, მის გადასახლებას და სიკვდილს. აქედან იწყება ბერძნების მიერ ქართველ მონაზონთა ათვალწუნება, მათი ათონიდან განდევნისა და ქართველთა მონასტრის დასაკუთრების მცდელობა, რაც თხზულებაში საკმაოდ დრამატულად არის აღწერილი.

გიორგის მიერ ამ თხზულების დაწერის ერთ-ერთი მიზანიც ის იყო, რომ საქვეყნოდ გამოემსუერებინა ქართველთა ნამოღვაწარი ათონზე, „ხატად ცხოველად და ძეგლად პირმეტყუელად“ მომავალი თაობებისათვის და რომ ბერძნებს არ შექლებოდათ მათი ღვაწლის წაშლა და მონასტრის დასაკუთრება: „რადთა ესევეითარი ბოროტი, რომელი მოაწიეს მათ ზედა ბერძენთა, არა დაევიწყებულ იქმნას“.

„იოანეს და ეფთვიმეს ცხოვრება“ რომ მრავალი წყაროს საფუძველზეა შექმნილი, ამას თხზულების ავტორიც ადასტურებს: ის თითქმის ყველა მათგანს ასახელებს. მათ შორის მნიშვნელოვანია ბერძენთა ძალმომრეობის „მოსაკსენებელი“, რომელიც ათონის ქართველთა მონასტრის ძმობამ სვიმეონ წინამძღვრის დროს (1041-1042) დაწერა და გიორგიმ თავის თხზულებაში უცვლელად შეიტანა.

გიორგი მთაწმიდელი თავისი დიდი წინამორბედების ნაღვაწს ამაღლებული პატრიოტული პათოსით და სიამაყის გრძნობით წარმოგვიდგენს: რომ ქართულ კულტურას შეუძლია მეტოქეობაც კი გაუწიოს ბიზანტიურ კულტურას, რომ ათონის მთის მონასტერთა წინამძღვრები ყოველთვის რჩევას ეფთვიმეს ეკითხებოდნენ, რომ ათანასე დიდმა თავის ლავრის მეურვედ ჯერ იოანე დანიშნა, ხოლო შემდეგ ეს მოვალეობა ეფთვიმეს დააქისრა. ავტორი თითქოს გვეუბნება, რომ ქართველებს კრიტიკულ მომენტში შეუძლიათ გადაარჩინონ ბიზანტიის იმპერია (ბარდა სკლიაროსის აჯანყება), საფრთხე შეუქმნან ბიზანტიის არასასურველ იმპერატორს (რომანოზ არგირას და გიორგი I წინამძღვრის ისტორია), რომ ქართველებმა არა მარტო ააშენეს ათონის მთაზე ყველაზე დიდი, დანარჩენებზე უდიდესი მონასტერი, არამედ უხვად ეხმარებოდნენ შესაწირავებით არა მარტო ათანასეს ლავრას, არამედ სხვა მონასტრებსაც (მაგ. ლათინთა მონასტერს და სხვ.), რომ ეფთვიმემ გაამდიდრა თავისი შემოქმედებით ბერძნული საეკლესიო ლიტერატურა და ა. შ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თხზულების საოცრად დახვეწილი, დარბაისლური და მხატვრული ენა, ისტორიულად ცნობილ მოღვაწეთა რეალისტურად დახატული პორტრეტები, მოხდენილი შედარებები და გამოთქმები.

„იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრების“ ხელნაწერებიდან (9) ყველაზე ძველია ათონის ქართველთა მონასტერში გადაწერილი 1074წ. ხელნაწერი (A-558), ე.წ. ათონის კრებული, რომლის მიხედვით არის გამოცემული ეს თხზულება 1901წ. (მ. ჯანაშვილის მიერ: ათონის ივერიის მონასტრის 1074წ. ხელნაწერი აღაქებით). აგრ. გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი, გამოსაცემად მოამზადა ივ. ჯავახიშვილმა, თბილისი, 1946წ. ძველი ქართ. აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, თბ., 1967, გვ. 38-100 (თხზულების პირველი გამოცემა: დ. ნუბინიშვილი, ქართ. ქრესტომათია, სპბ., 1846, გვ. 241-255; და მ. საბინინისა 1882წ., „საქ. სამოთხე“, გვ. 401-432 – არაკრიტიკულია).

თარგმანები: რუსული – М. Сабинин, Житие... Иоана и Ефимия, Пол. жизнеописание святых груз. церкви, II, 1872; ლათინური - P. Peeters, Histoires monastiques georgiennes, Vita... Iohannis atque Euthumii..., Anal. Boll. t. 36-37, 1917-1919, p. 13-68.

ლიტერატურა: დასახ. გამოცემათა წინასიტყვაობანი, ივ. ჯავახიშვილი, გიორგი მთაწმიდელი, შრომები, VIII, 1977, გვ. 142-151; კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ-ის ისტორია, I, 1980, გვ. 184-187; 231-232; მისივე, ათონის ლიტ. სკოლის ისტ-დან, ეტიუდები, II, 1945, 218-236; ნ. ბერძენიშვილი, ათონის კრებულის რედაქცია, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XI-B, 1941, 25-40; ელ. მეტრეველი, ნარკვევები ათონის კულტ.-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბ., 1996, გვ. 5-149. მისივე, ათონის ქართველთა მონასტრის საალაქე წიგნი, თბ., 1998, გვ. 13-91; მ. მაჩხანელი, იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელების ბერძნული „ცხოვრება“, თბ., 1982; ივირონი – 1000, თბ., 1083. П. Успенский, История Афона, III, Киев, 1877; А. Натроев, Иверский монастырь на Афоне, Тифлис, 1908.

3. გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება

„ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა“ ათონის ქართულ სამწიგნობრო კერაში შექმნილი კიდევ ერთი ჰაგიოგრაფიული ძეგლია, დაწერილი გიორგი მთაწმიდელის განუყრელი მოწაფის – გიორგი ხუცესმონაზონის, ანუ როგორც მას უწოდებენ, გიორგი მცირის მიერ 1066-1068წწ. (პირველი თარიღი არის გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალებისა, ხოლო მეორე – თხზულების დამკვეთის – გიორგი მთაწმიდელის მოძღვრის, გიორგი შეყენებულის გარდაცვალებისა). მოწაფეს თავისი სახელგანთქმული მოძღვრის საკადრისი „ცხოვრება“ დაუწერია. თხზულება ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის უბადლო ძეგლია, როგორც საუკეთესო ნიმუში ძველი ქართული მხატვრული პროზისა, ასევე ფასდაუდებ-

ლი მატინანა XII. ქართულ-ბიზანტიური სახელმწიფოებრივი და კულტურული ურთიერთობებისა.

თხზულება იწყება ავტორის ეპისტოლით, საიდანაც ჩვენ ვიგებთ, რომ გიორგი მთაწმიდელის მოძღვარს, შავი, ანუ საკვირველი მთის დაყუდებულ ბერს – გიორგი შეყენებულს, რომელიც მოესწრო თავისი მოწაფის გარდაცვალებას, ორჯერ მიუწერია ეპისტოლე გიორგი მცირისათვის, რათა მას აღეწერა გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრება“, რადგან იგი თავისი მოძღვრის ყოველდღიური მოღვაწეობისა თუ მოგზაურობის მონაწილე იყო. ჩანს გიორგი მცირისათვის მსგავსი თხოვნით ბევრს მიუმართავს, მათ შორის იოვანე ჭყონდიდის ეპისკოპოსსაც, მაგრამ ავტორის თავმდაბლობის დასაძლევად გადამწყვეტი გიორგი შეყენებულის თხოვნა აღმოჩნდა, რომელსაც ავტორი სოხოვს მის მიერ დაწერილი თხზულების ნაკლოვანებანი მან სრულყოს. უცნობია, გიორგი შეყენებულმა ისარგებლა თუ არა ავტორის მიერ მინიჭებული უფლებით, მაგრამ თხზულება რომ ჰაგიოგრაფიული მწერლობის შედევრია, ეს უდავოა.

თხზულების რიტორიკულ შესავალში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თხრობა ეფთვიმე მთაწმიდელის ქართული მწიგნობრობისა და ქართველთა განათლების საქმეში დაუფასებელი ღვაწლის შესახებ: „რომელმან უმეცრებისა იგი საბურველი მოსძარცუა გონებათაგან ჩუენთა... ნაკლულევანებად ენისა ჩუენისაჲ ადავსო“. ამ საქმის გასაგრძელებლად გიორგი მთაწმიდელის მოვლინებას ღვთიურ განგებას მიაწერს. როგორც გიორგიმ „დიდისა ეფთჳმეს ცხორებაჲ აღწერა სახედ და ხატად სათნოებისა მომავალთა ნათესავისათუს“, ასევე „ყოველი სახე ცხორებისა მისისაჲ (ე.ი. გიორგის) აღწეროთ შობით მისით და ვიდრე აღსასრულამდე“.

„ცხოვრების“ მოწმობით გიორგი მთაწმიდელი ჯერ კიდევ დაბადებამდე ღვთისადმი იყო მიძღვნილი და დაბადებიდან (1009წ.) შეიდიწლისა ტაძრისის (სამცხე) დედათა მონასტერში მიიყვანეს აღსაზრდელად, სადაც მისი უფროსი და თეკლა (ქალთა შორის პირველმოწამე თეკლას საპატივცემულოდ მისი სახელის მატარებელი) მოღვაწეობდა, ხოლო სამი წლის შემდეგ, ე.ი. 10 წლის გიორგი ხახულის მონასტერში გადაიყვანეს და ბიძებს (მამის ძმებს) გიორგი მწერალსა და საბა მონაზონს ჩააბარეს განსასწავლად. აქ იგი ილარიონ თუალელის მოწაფე გახდა და ისეთი ცნობილი მოღვაწეების მზრუნველობის ქვეშ მოექცა, როგორიც იყო ხახულის მონასტრის იმდროინდელი წინამძღვარი მაკარი და ბასილი ბაგრატის ძე (ბაგრატ III-ის ძე), შემდგომში ათონის ქართველთა მონასტრის ცნობილი მოღვაწე, ეფთვიმესადმი მიძღვნილი პირველი საგანლობის ავტორი. ცოტა ხნის შემდეგ ბიძამისმა გიორგი მწერალმა პატარა გიორგი ბაგრატ III-ის სიძის ფერისის ჯოჯიკის ძის ოჯახში წაიყვანა, სადაც იგი კარის მოძღვრად მიუწვევიათ. ერთი წლის შემდეგ ფერისის ჯოჯიკის ძე ბასილი ბიზანტიის იმპერატორის ბრძანებით სიკდილით დაუსჯიათ ღალატის საბაბით, ხოლო ოჯახი 1022წ. კონსტანტინოპოლში გადაუსახლებიათ.

მათ გაჰყოლიან ბიძა-ძმისშვილიც და გიორგის საფუძვლიანი განათლება მიუღია იქ ცხოვრების 12 წლის განმავლობაში. 1034წ. ყველანი დაბრუნებულან და გიორგის ისევე ხახულის მონასტრისათვის მიუშურებია. იგი იქ 25 წლის ასაკში მონაზუნად აღკვეცილა. ორი წლის შემდეგ გიორგი სირიაში, შავ მთაზე სვიმეონ მესვეტის მონასტერში დამკვიდრებულა და გიორგი შეყენებულის მოწაფე გამხდარა. შემდგომში სამი წელი რომანაწმიდის მონასტერში იღვაწა, შემდეგ მოძღვრის თანხმობით იერუსალიმის წმიდა ადგილები მოილოცა. როცა დაბრუნდა, მოძღვრისავე მითითებით 1040წ. ათონის ქართველთა მონასტერში დამკვიდრდა ეფთვიმეს მთარგმნელობითი მოღვაწეობის გასაგრძელებლად. აქ მან გაიარა გზა უკანასკნელი მსახურიდან ათონის მონასტრის დეკანოზობამდე, ხოლო 1044წ. მონასტრის წინამძღვრად აირჩიეს. აქ 1042 წლიდან იწყება მისი ლიტერატურული მოღვაწეობის დიდი გზა: ჯერ ორიგინალური ჰაგიოგრაფიული თხზულებით – „იოანე და ეფთვიმე მთაწმიდელების ცხოვრებით“, შემდეგ კი მრავალი ფუნდამენტური ბერძნული საეკლესიო წიგნის თარგმნით. რადგან მონასტრის წინამძღვრობა მას დიდ დროს ართმევდა და თარგმანებისათვის დრო აღარ რჩებოდა, დატოვა ათონი, შავ მთაზე დაბრუნდა და იქ გააგრძელა თარგმანებზე მუშაობა. მისი ავტორიტეტი იმდენად გაიზარდა მწიგნობრობითა და ანტიოქია-კონსტანტინოპოლის პატრიარქებთან საეკლესიო საქმეებზე კამათით, რომ ბაგრატ IV-მ იგი საქართველოში მოიწვია საეკლესიო საქმეების მოსაგვარებლად. მან ბაგრატთან 1060 წელს მოაღწია და 5 წლის განმავლობაში მრავალ საეკლესიო რეფორმას ჩაუყარა საფუძველი. ამასთანავე არ ერიდებოდა მეფისა და დიდებულთა კრიტიკასა და სასულიერო პირთა მხილებას. 1065წ. მან ათონის ქართველთა მონასტრის მონაზონთა რიცხვის გასამრავლებლად შეაგროვა 80 ობოლი და ლატაკი და ათონისაკენ გაემართა, მაგრამ კონსტანტინოპოლში გარდაიცვალა იმავე წლის 29 ივნისს. აქედან იგი ათონის ქართველთა მონასტერში გადაუსვენებიათ.

გიორგი მთაწმიდელის ღვაწლი ქართული მწერლობისა და, საერთოდ, ქართული კულტურის განვითარებაში, რაც წარმოდგენილია „ცხოვრებაში“, მართლაც განუზომელია: თითქმის არ დარჩენილა ქართული მწერლობის დარგი, რომლის განვითარებაშიც მას დიდი წვლილი არ შეეიტანოს: ბიბლიოლოგიაში მან თარგმნა ფსალმუნნი, სახარება-ოთხთავი, სამოციქულო(გარდა „ამოკალიფსისა“); აპოკრიფებიდან - „ავგაროზი“, იოსებ არიმათიელის „სახარება“; ეგზეგეტიკიდან – ბასილი დიდის „ექუსთა დღეთათუს“, გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისათვის“, მისივე „თარგმანებაჲ ქებაჲ-ქებათაჲსა“, და სხვ; დოგმატიკაში – სხვადასხვა ავტორების „სარწმუნოების სიმბოლოს“ შესახებ მთელი ციკლი და სხვა მრავალი. ლიტურგიკაში - „დიდი სვინაქსარი“, „სახარებაჲ გამოკრებილ-საწელიწდოჲ“, „თუენი ათორმეტნივე“, „დიდი პარაკლიტონი“, „დიდნი მარხუანი“, „დიდი კურთხევანი“. ამ კაპიტალურ თხზულებებთან ერთად სხვა მრავალი ლიტურგიკული შრომაც; ჰომილეტიკაში - „წიგნი თეოდორე სტუდიელისაჲ. სწავლანი დიდთა მარხვათა

საკითხაენი“ (57 სიტყვა), გრიგოლ ნოსელისა და სოფრონ იერუსალიმელის და ნექტარი კონსტანტინოპოლელის „სოგიერთი ჰომილია და „შესხმა“; ჰაგიოგრაფიაში – თეოდორე ტირონის მეტაფრასული წამება და სასწაული, ღვთისმშობლის დაუჯდომელი (626წ. კონსტანტინეპოლის აგარინელთაგან მოცვის ამბები), და სხვ.; კანონიკაში – მრავალი სტატია საეკლესიო სამართლის საკითხებზე და ა.შ.

გიორგის ორიგინალურ თხზულებათაგან „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაზე“ ვისაუბრეთ. მას რამდენიმე ჰიმნოგრაფიული კანონიც დაუწერია (ეფთვიმე ათონელზე, იოდასაჲ ინდოელზე) შეუქმნია აკროსტიქონი იამბიკოებიც. მის მიერ დაწერილი ანდერძ-მინაწერები მისი შრომების ხელნაწერებზე, ქართული მწერლობის სხვადასხვა საკითხებზე, ფასდაუდებელი განძია ქართული კულტურისა და მწერლობის ისტორიისათვის.

გიორგი მცირის თხზულება „ცხოვრებად და მოქალაქობად... გიორგი მთაწმიდელისად“ მაღალმხატვრული ჰაგიოგრაფიული ძეგლისა და უმნიშვნელოვანესი წყაროთმცოდნეობითი ნაშრომის ერთიანობაა. თხზულება „გეგმის მხრივ მკვეთრად მოხაზული და გამისწული, მწყობრად და თანამიმდევრულად დალაგებული, ზედმეტი დეტალებისაგან თავისუფალი მოთხრობაა, გადმოცემული საზეიმო, მხატვრული ენით. ღრმა აფორიზმებისა და სენტენცია-გნომებისა და მარტივად ჩამოყალიბებული მეცნიერული ხასიათის ცნობებთან ერთად თხზულების პოეტური მხარე, სიმდიდრე მისი მოხდენილი შედარებების, მეტაფორებისა და ეპითეტებისა განსაკვიფრებელია, მისი მჭევრმეტყველური პათოსი... მაჩვენებელია ავტორის უდავო ნიჭისა...“ (კეკელიძე, ბარამიძე, ძვ. ქართ.; ლიტ-ის ისტორია, თბილისი, 1987, გვ. 123-124).

თხზულების უძველესი ტექსტი დაცულია XI ს. ერთ ხელნაწერში (S-353, გვ. 3-66). დანარჩენი ხელნაწერები გვიანდელია – XVIII საუკუნისა. თხზულება პირველად დ. ჩუბინიშვილმა გამოსცა: ქართული ქრესტომათია, სპბ, 1846, 255-301. მეორედ – მ. საბინინმა: „საქ. სამოთხე“, სპბ, 1882, გვ. 437-488 – ორივე მათგანი არაკრიტიკულია – გამოცემულია გვიანდელი ხელნაწერების მიხედვით.

„ცხოვრება“ უძველესი ხელნაწერის მიხედვით გამოსცა მ. ჯანაშვილმა: ათონის ივერიის მონასტრის 1074წ. ხელნაწერი ადაკებით, ტვილისი, 1901, გვ. 279-350. კრიტიკულ-მეცნიერული გამოცემა განხორციელდა ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა ერთი ჯგუფის მიერ ილ. აბულაძის ხელმძღვანელობით: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, თბილისი, 1967, გვ. 106-207. (ს. ყუბანეიშვილის მიერ ქრესტომათიის I, 1946, გამოცემული ტექსტი, გვ. 190-214 შემოკლებულია; ივ. ლოლაშვილის 1991წ.გამოცემა იმეორებს ხელნაწერთა ინსტიტუტის გამოცემას ისევე, როგორც „საუნჯის“ I ტომში დაბეჭდილი ტექსტი).

თარგმანები: რუსულად: М. Сабинин, Полное жизнеописание святых грузинской церкви, II, СПб, 1872, 161-212; ლათინურად: P. Peeters, Histoires monastiques Géorgiennes, Analecta Bollandiana, t. 36-37, Bruxelles, 1917-1919, p. 74-159.

ლიტერატურა: ზემოთ დასახელებული ზოგიერთი გამოცემის შესავალი, აგრეთვე, კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1980, გვ. 213-235; ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, ტფილისი, 1919, გვ. 135-185; ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, VIII, 1977, გვ. 152-157; პ. ინგოროყვა, ძველი ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, „მნათობი“, 1939, №10-11, გვ. 232-235; ნ. ბერძენიშვილი, ათონის კრებულის რედაქცია, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XI-B, ტფილისი, 1931, გვ. 25-40; ჯ. აფციაური, გიორგი მცირის გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება, თბილისი, 1980; ივ. ლოლაშვილი, გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება, თბილისი, 1991; К. Кекелидзе, Конспекттивный курс древне-грузинской литературы, Тифлис, 1939, с. 51-82; Ф. Успенский, История Афона, т. III, Киев, 1877; А. Натроев, Иверский монастырь на Афоне, Тифлис, 1908; მისივე Краткая история Афоно-Иверского Монастыря по грузинским источникам, 1884.

V. პეტრე ქართველის (იბერის) ცხოვრება

„ცხოვრებად და მოქალაქობად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა პეტრე ქართველისაჲ, რომელი იყო ძე ქართველთა მეფისაჲ“ მოგვიტხრობს V საუკუნის ქართველი უფლისწულის, ვარაზ-ბაკურის ძის მურვანოსის პეტრეს სახელით მონაზვნად აღკვეცასა და პალესტინა-სირიაში მის მოღვაწეობაზე ჯერ მონასტრებში, შემდეგ კი სირიის ქ. ლაზაში (მაიუმი) მის ეპისკოპოსად ხელდასხმისა და შემდგომი საქმიანობის შესახებ.

თხზულება, ქართული ვერსიის ანდერძის მიხედვით, სირიულ ენაზე დაუწერია მის ქართველ მოწაფეს, ზაქარიას (რიტორს) მოძღვრის გარდაცვალებიდან (+488წ.) ახლო ხანებში, ხოლო ქართულად უთარგმნია (დაახლ. XIII ს.) მაკარი მღვდელს (მესხს). რადგან თხზულებაში გეხედება ისეთი დეტალები, რაც V ს. გაცილებით გვიანდელი წარმოშობისაა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ პეტრეს ცხოვრების ქართული ძეგლი არ არის მხოლოდ თარგმანი, არამედ იგი გადმოიკეთებული უნდა იყოს და ამიტომ განვიხილავთ მას, როგორც ორიგინალურ თხზულებას.

პეტრე (ერისკაცობაში მურვანოსი) ქართლის მეფის ვარაზ-ბაკურის ოჯახში დაიბადა 412წ. და ბიზანტია-ქართლის პოლიტიკური ურთიერთობიდან გამომდინარე 424წ., 12 წლისა ბიზანტიის იმპერატორ თეოდორე მცირის კარზე კონსტანტინოპოლში აღმოსნდა მძევლად. იქ მან კარგი განათლება მიიღო და შეისწავლა ბერძნული ენა.

რამდენიმე წლის შემდეგ პეტრე მსახურ იოანე საჭურისთან ერთად კონსტანტინოპოლიდან იერუსალიმში გაიპარა და იქ ისინი მონაზვნად აღიკვეცნენ.

თხზულებაში მეტად მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული იერუსალიმში V ს. შუა წლებში ქართველ პილიგრიმთა და იქ დამკვიდრე-

ბულ მონაზონთა შესახებ. პეტრემ და იოანემ იერუსალიმში მიმავალი ქართველებისათვის „აღაშენეს სახლი სასტუმროდ ქალაქსა შინა და განუსუენებდეს მომავალთა ძმათა ქართველთა და ბერძენთა“, ხოლო შემდეგ „წარვიდეს უდაბნოდ, შეკრიბნეს ძმანი მრავლად და აღიშენეს მონასტერი“ (ძეგლები, II, 229-231). აქედან ისინი იორდანეს უდაბნოში წავედნენ, მდ. იორდანეს ნაპირზე და „იშენეს მონასტერი“ (იქვე), შემდეგ პეტრე, იოანე და მათი მოწაფეები ეგვიპტეში გადასულან და „სურვიელ იქნეს უდაბნოსა მას და გამოარჩიეს ადგილი და აღაშენეს ეკლესია და გარემოვს მონასტერი“. ამის შემდეგ „კუალად მოიქცეს იერუსალიმადე და კუალად აღაშენეს ქალაქსა შინა სახლი სასტუმროდ და იწყეს შენებად ეკლესიისა... და კეთილად განასრულეს და მძსახურებდეს უწყინოდ ყოველთა ძმათა მომავალთა და გლახაკთა და უცხოთა“ (გვ. 235-36).

პეტრეს ასეთი ფართო სამონასტრო მშენებლობის თხრობაში, რომელიც მან ჩაატარა იერუსალიმში და პალესტინის სხვა ადგილებში, აგრეთვე ეგვიპტეში, ჩართულია პეტრეს მიერ ჩადენილი მრავალრიცხოვანი სასწაულები, წინასწარმეტყველებანი, რამაც მას ისეთი პოპულარობა და სახელი მოუტანა, რომ მრევლის მოთხოვნით და პატრიარქის იძულებით პეტრე მაიუმის (იგივე ღაზის) ეპისკოპოსი გახდა (პატრიარქის წარგზავნილებმა იგი მოძებნეს უდაბნოში, მის მიერ აშენებულ ერთ-ერთ მონასტერში და რომ არ გაქცეოდათ, შეკრეს და ისე წამოიყვანეს, ხოლო გზაში ღამისთევის დროს მას უნდოდა შენობიდან გადმომხტარიყო და ფიზიკურად დაესახიჩრებინა თავი, რომ ეპისკოპოსად არ ეკურთხებინათ, მაგრამ ეს ჩანაფიქრი ვერ შეასრულა უფლის გამოცხადებით).

პეტრეს ეპისკოპოსობის წლები დაემთხვა ბიზანტიის იმპერიაში მართლმადიდებელ-ქალკედონიტთა და მონოფიზიტ-მწვალებელთა დაპირისპირებას და თითოეული მათგანის მოკლევადიანი თუ ხანგრძლივი წარმატება იმაზე იყო დამოკიდებული, თუ ბიზანტიის ამა თუ იმ იმპერატორს ვისი მხარე ეჭირა. პეტრე ქართველი ქართულად თარგმნილ თხზულების მიხედვით ქალკედონის IV მსოფლიო კრების დოგმატის მომხრედ არის წარმოდგენილი, თუმცა წყაროების მიხედვით იგი მონოფიზიტი უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, თხზულებაში მოთხრობილია, რომ მწვალებლობის მოძალების დროს პეტრეს კათედრა დაუტოვებია და თავის მოწაფე ზაქარიასთან ერთად (აქ თხრობა ზაქარიას პირით მიმდინარეობს... „მრქუა მე: „შვილო ზაქარია, აღდეგ და წარვიდეთ უცხოთა ქუეყანასა“) მოგზაურობდა და თავის კათედრას, რომელიც მარკიანე იმპერატორის (ქალკედონის კრების მოწვევის ინიციატორი) სიკვდილის (+457) შემდეგ დატოვა, ლეონ დიდის გამეფების შემდეგ (457-474) დაუბრუნდა. თხზულებაში პეტრეს მოგზაურობა სასწაულების აღსრულების სიმრავლით და საინტერესო ეპიზოდებით გამოირჩევა. გარდაიცვალა პეტრე 65 წლისა, როგორც ეს თხზულებაშია ნათქვამი, ე.ი. 477წ. ქართულ და ევროპულ

სამეცნიერო წრეებში გამოითქვა აზრი, რომ პეტრე იბერი არის ავტორი ფსევდო-დიონისეს სახელით ცნობილი შრომებისა.

პეტრე ქართველის ცხოვრების თავდაპირველი ვერცელი რედაქციის ტექსტი (არსებობს ვრცელისაგან გაკეთებული შემოკლებული ვარიანტიც) დაცულია XV ს. ერთადერთ ხელნაწერში (H-1760) და მისი მიხედვით (მოკლეს პარალელურად) პირველად გამოსცა ნ. მარმა (რუსული თარგმანიტურთ): Палестинский сборник, т. XVII, вып. 1896, с. 59-78; მეორე გამოცემა: ს. ყუბანეიშვილი, ძვ. ქართ. ლიტ-ის ქრესტომათია, I, 256-272 (ვრცელი); მესამე – ძვ. ქართული აგიოგრაფიული ლიტ-ის ძეგლები, II, გვ. 213-263 (ორივე რედაქცია); მეოთხე – ივ. ლოლაშვილისა, არეოპაგიტული კრებული, თბ., 1983, გვ. 117-158 (ორივე).

თარგმანები: რუსული, ნ. მარისა – ზემოდასახელებული; გერმანული, R. Rabe, Petrus der Iberer. Ein Charakterbild für Kirchen und Sittengeschichte des fünften Jahrhunderts, Leiflig, 1895.

ლიტერატურა: დასახ. გამოცემათა წინასიტყვაობები; აგრ.: კ. კეკელიძე, ქართ. ლიტერატურის ისტორია, I, 1980, გვ. 334; ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია, I, 1928, 198; აკ. გაწერელია, პეტრე იბერიელის ბიოგრაფიის საკითხები, „მნათობი“, №3, 1970, გვ. 139-169; მისივე, ისევე პეტრე იბერიელის „ცხოვრების“ გამო, „მნათობი“, №8, 1971, გვ. 141-167. ნ. მელიქსეთ-ბეგი, სომხ. ეპისტ. წიგნის ახალი ვარიანტი და პეტრე იბერიელის მოწაფე იოანე მაიუშელი, მუზ. მოამბე, XI-B, 1941, გვ. 41.

VI. ბოლოდროინდელი ჰაგიოგრაფიული თხზულებები

აქვე შევხებით XVIII-XIX სს-ში შექმნილ რამდენიმე თხზულებას: გაბრიელ მცირე, ცხოვრება სქემოსან ონისიფორესი, რომელიც მოგვითხრობს გარეჯის მონასტრის XVIII ს. ბოლო მეოთხედის მონაზვნის შესახებ, დაწერილი 1786-1787 წწ. (ხელნ. ბოდლერ. №8, გამოც. ძეგლები, V, 109-122), კ. კეკელიძე, ისტორია, I, გვ. 371-376. მისივე „მოკლე თხრობა პორფირისათვის“, ახალგაზრდობაშივე გარდაცვლილი თავისი მოწაფის შესახებ (ხელნ. ბოდ. №8; გამოც. ძეგლები, V, გვ. 122-125; ლიტ. ორივეზე ივ. ლოლაშვილი, მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის გვ. 55-57 (აქვეა გამოცემული ორივე ტექსტიც, გვ. 4-150; 150-151). სპირიდონ გრძელიშვილი, „ცხოვრება... ქრისტესია მონაზონისა“ მოგვითხრობს გარეჯელი ბერის საინტერესო ცხოვრებას, თხზულება დაწერილია 1880 წ. (მიხეილ-გობრონ საბინინის დაეალებით; ხელ. H-40; 1892 წ. გამოც. ძეგლები, V, გვ. 125-136; ლიტერატურა, იქვე, გვ. 200)

ნაწილი მესამე

ქართული ჰაბიობრაჟიის მეტაფრასული და სხვა რელაქციის თხზულებები

ჰაგიოგრაფიაში მეტაფრასული მიმდინარეობის ჩამოყალიბება ბიზანტიის საეკლესიო მწერლობაში მოხდა და მას კონკრეტული მიზნები ჰქონდა: საეკლესიო კალენდრის თანამიმდევრობით, დაწყებული სექტემბრის თვიდან, ლიტერატურულ-ესთეტიკური ფრაზეოლოგიის თვალსაზრისით დაეხვეწა ის ჰაგიოგრაფიული თხზულებები, უპირველეს ყოვლისა, ის უძველესი „მარტიელობები“, რომელთა შექმნა ახლად ფეხადგმული ქრისტიანული სარწმუნოების დამკვიდრებისათვის თავდადებულ და სიცოცხლეშეწირულ მორწმუნეთა ღვაწლის აღწერას ემსახურებოდა სხვა მორწმუნეთა სამაგალითოდ, მაგრამ უმეტესწილად შემთხვევითი, გაუნათლებელი ენთუზიასტების მიერ იყო დაწერილი პრიმიტიული, ანუ, როგორც წყაროებში არის ნათქვამი, „მარტივი და ლიტონი“ ენით და შუა საუკუნეების (X-XI სს) ბიზანტიელთა რიტორიკულ და სტილისტურ მოთხოვნებებს ვერ აკმაყოფილებდა. ამასთანავე ხანგრძლივი (II-X სს) დროის განმავლობაში ამ „მარტიელობათა“ ნაწილი ირყენებოდა და მახინჯდებოდა, ხშირად შეგნებულად, მწვალებელთა მიერ თავიანთი აზრების მათში შეტანის შესაბამისად. X ს. ბოლოს (980 წ.) სეიმეონ ლოლოთეტის მიერ სისტემურად დაწყებული ეს საქმე ითვალისწინებდა ძველი მარტიელობების ენის ფრაზეოლოგიურ-სტილისტურ დახვეწას, ტერმინოლოგიური ხარვეზებისაგან ტექსტის განწმენდას და ა.შ., რასაც „მეტაფრასირება“ (ბერძ. μεταφρασις-დან) ეწოდა, ხოლო მის შემსრულებელს – სეიმეონ ლოლოთეტს – სეიმეონ მეტაფრასტი.

ქართული მეტაფრასული მწერლობის წარმოშობის საჭიროება გაჩნდა სულ სხვა მიზეზებით და მას არ ჰქონია სისტემური ხასიათი, როგორც ბიზანტიურ მწერლობაში. ქართული მწერლობის ისტორიაში არავის უცდია უძველესი ქართული კიმენური ჰაგიოგრაფიული თხზულებების – შუშანიკის, ევსტათი მცხეთელის, აბო ტფილელის და სხვა „წამებათა“ გადამეტაფრასება, რადგან მათი ენობრივ-სტილისტური სრულყოფილება ამას არ საჭიროებდა (მხედველობაში არ გვაქვს ანტონ I „მარტირიკა“, რომელიც XVIII ს. II ნახევარში შეიქმნა და რომელსაც სულ სხვა მიზნები ჰქონდა). თითოეული ქართული მეტაფრასული თხზულების გაჩენას თავისი დამოუკიდებელი მიზეზი აქვს, რომელსაც თითოეული მათგანის განხილვისას აღვნიშნავთ.

ვერ ჩავთვლით მეტაფრასულად აბიბოს ნეკრესელის ვრცელ წამებას, რომელიც ფაქტობრივად აბიბოსის მოკლე, ძველი (IX ს) წამების განმეორებაა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ არსენ II კათალიკოსის (955-980 წწ.) მიერ შეტანილ მციროდენ ფრაზეოლოგიურ ცვლილებებს და „წამების“ ბოლოს ეპილოგის დართვას, მაგრამ ამ ცვლილებას ის

მიზანი ჰქონდა, რომ აბიბოსის „წამება“ ასურელ მამათა საერთო თხზულებაში ჩაერთო. ამასთანავე Xს. შუა წლებში ქართული მეტაფრასტიკის შესახებ საუბარი ანაქრონიზმია, ეს მიმდინარეობა ამ დროს ბიზანტიაშიც არ იყო.

ქართული მეტაფრასული თხზულების პირველ ნიშნად შესატყვისი კიმენური თხზულების არსებობას მივიჩნევთ, ხოლო ამათ რიცხვს ვერ მივაკუთვნებთ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მეტაფრასულად მინიშნულ იმ თხზულებებს, რომლებსაც მცირეოდენი ინტერპოლაციები კი განუცდიათ, მაგრამ მათი კიმენური რედაქციები არ ჩანს (სერაპიონ ზარშმელი, დავით და კონსტანტინე).

1. ლეონტი მროველის „მოქცევაჲ მირიან მეფისა და მის თანა ყოველისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულის მიერ“

ცნობილ მემკვიდრეებსა და რუისის Xს-ის II ნახევრის ეპისკოპოს-ლეონტი მროველს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტი, რომლის მთავარი, მეორე ნაწილი ნინოს „ცხოვრებას“ წარმოადგენს, გადაუმუშავებია არა მეტაფრასული ჰაგიოგრაფიის პრინციპების მიხედვით, არამედ სპეციალური მიზნისათვის: თავის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ში, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ ნაწილია, კერძოდ კი „მირიან მეფის ცხოვრების“ იმ ნაწილში, სადაც მოაერდება მისი, როგორც წარმართი მეფის საქმიანობა და იწყება ქართლში ნინოს მისიონერული მოღვაწეობა, მას ჩაურთავს „მოქცევაჲ მირიან მეფისა... ნინო მოციქულის მიერ“ და ამ ისტორიულ თხზულებაში „მოქცევისეული“ ნინოს „ცხოვრება“ ამ მიზნისათვის გადაუმუშავებია: პირველი პირის თხრობა მესამე პირის თხრობით შეუცვლია, ცვლილებები შეუტანია ფრაზეოლოგიაშიც, ზოგი რამ გამოუტოვებია, ზოგიც სხვა წყაროებიდან შეუტანია და, რაც მოაგარია, შეუცვლია თავისი ძირითადი წყაროს კომპოზიცია, ზოგიერთი თავისი თხრობის თანმიმდევრობა. ამიტომ ლეონტის შრომას რომ მეტაფრასული ვუწოდოთ (მისი კლასიკური გაგებით), გაჭირდება, თუმცა ძველი წყაროს საფუძველზე ახალი თხზულების შექმნა სახეზეა.

ლეონტის მიერ ჰაგიოგრაფიული თხზულების „გაისტორიებული“ ტექსტი მხოლოდ „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებს დაუცავს (იხ. „ქართლის ცხოვრება“, გამოცემული ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 72-128).

ლიტერატურა: ივ. ჯავახიშვილი, შრომები, VIII, 1977, გვ. 187-188; კ. კეკელიძე, ძვ. ქართ. მწერლობის ისტორია, I, 1980, გვ. 236-242; ე. თაყაიშვილი, „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“, 1908, გვ. XV-XXV; ე. ხოშტარია-ბროსე, ლეონტი მროველი და „ქართლის ცხოვრება“, თბ., 1996, გვ. 82-93.

2. არსენ იყალთოელი (ბერი), „ცხოვრება და მოქალაქობა და ღუაწლი წმიდისა და ღირსისა დედისა ჩუენისა ნინოისი, რომელმან ქადაგა ქრისტე, ღმერთი ჩუენი, ქუეყანასა ჩრდილომხასა და განანათლა ნათესავი ქართველთა“

არსენის (XII ს.) მიერ ნინოს შესახებ მესამე თხზულების, ნამდვილად მეტაფრასული „ცხოვრების“ დაწერასაც კონკრეტული მიზეზი ქონდა: როგორც ავტორი წერს, „მოქცევისეული“ ნინოს ცხოვრება და ლეონტის „ნინოს ცხოვრება“ კომპოზიციის თვალსაზრისით სრულიად უვარგისი იყო ეკლესიაში საკითხავად და მოსასმენად: „წმიდანო მამანო და ძმანო, ესე ნეტარისა ნინოის „ცხოვრება“ შეუწყობლად და განბნეულად „ქართლის მოქცევისა თანა და „ჰამბავსა მეფეთა-სა“ თანა აღრეულად სწერია... გარნა წინ-უკუნა და უკუნა-წინ, იგივე და ერთი პირი. და ამისთვის საეკლესიო მკითხველთათვის ფრიად საწყინო იყო და მსმენელთათვის უკმარ და ვერ საცნაურ“ და მის მიერ ჩატარებულ საქმიანობასაც გვამცნობს: „... არცა შემომატებია, არცა დამიკლია, არამედ ძალი სიტყვსა და გამოცხადება საქმისა მოკლედ და მარტივად წარმომთქუამს და მრავალკეცსა და მასვე თანააღრეულობასა ჰამბავისასა თანა-წარკვილ ვარ და უკუეთუ რამე შესავლად თხრობისა, ანუ ადგილ-ადგილ შესაკრავად სიტყვსა სიტყუად გუკმარია, იგიცა საღმრთოთა წიგნთაგან და წმიდათა მიერ თქუმულისაგან არს“. ჩვენი აზრით, არსენ იყალთოელის ამ სიტყვებში ჩანს ქართული მეტაფრასტიკის მთელი პროგრამა. მას თავის თხზულებისათვის ორივე მთავარი წყარო გამოუყენებია, თუმცა ისინი კომპოზიციურად და ფრაზეოლოგიურად მთლიანად შეუცვლია. ასეთი თხზულება სამი ხელნაწერით არის შემონახური (A-707, XII-XIII; Q-762, XIII-XIV; A-518, 1708წ.), რომელთა მიხედვითაც იგი არის გამოქვეყნებული: პ. კარბელაშვილის მიერ, ტფილისი, 1902, გვ. 3-52; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტ. ძეგლები, III, თბილისი, 1971, გვ. 7-51.

ლიტერატურა: კ. კეკელიძე, ძვ. ქართ. ლიტ-ის ისტორია, I, 1980, გვ. 311-313; ივ. ლოლაშვილი, მეტაფრასული „ნინოს ცხოვრების“ ავტორის ეინაობისათვის, მაცნე, ელს, №4, 1974, გვ. 7-18; ც. ქურციკიძე, „ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციის წყაროს საკითხისათვის, საქ. აკად. მოამბე, XI, VI, №1, 1967, 269-275.

3, ცხოვრებამ წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაზნელისაჲ, რომელი ბრძანებითა ღმრთისაჲთა და წინამძღურობითა სულისა წმიდისაჲთა მოივლინა ქუეყანით შუამდინარით ქუეყანად ქართლისად ათორმეტთა მოწაფეთა მისთა წმიდათა თანა (განაახლა და განაერცო წმიდამან [მამამან] ჩუენმან ქრისტეს მიერ არსენი კათალიკოზმან

ამ მეტაფრასული თხზულების აღწერის მიზეზი თვით ამ თხზულების შესავალშია ნათქვამი: ზედაზნის მონასტრის წინამძღვარს მიქაელს (XII ს. I ნახევარი) მიუმართავს ამ თხზულების ავტორისათვის თხოვნით, რომ მას დაეწერა თავისი მონასტრის დამაარსებლისა და პირველი წინამძღვრის შესახებ დამოუკიდებელი „ცხოვრება“ და ამისათვის მისი „ცხოვრების“ შესახებ მოპოვებული მასალაც „ქართად წუელილი“ მიუწოდებია. ეს უნდა იყოს ჩვენს მიერ განხილული „იოვანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების ცხოვრება“, რომლის პირველ ნაწილს იოვანე ზედაზნელის „ცხოვრება“ შედგენს. მიქაელს, როგორც ჩანს, არ აკმაყოფილებდა მოკლედ აღწერილი იოვანე ზედაზნელის „ცხოვრება“, რომელიც ამავე დროს გაერთიანებული იყო თავის მოწაფეთა „ცხოვრებებთან“ და მოინდომა მონასტერში ჰქონოდა მონასტრის დამაარსებლის ვრცელი და გამოცალკეებული ცხოვრება. თხზულების სათაური, ჩვენი აზრით, ფსევდოეპიგრაფიკულია და იმეორებს ძველი, ე.წ. არქეტაიპის ავტორის – ქართლის კათალიკოსის არსენის სახელს. წყაროსთან შედარებით მეტაფრასულ „ცხოვრებას“ დამატებული აქვს ვრცელი რიტორიკული და თეოლოგიურ-დოგმატიკური სენტენციებით გადატვირთული შესავალი.

არქეტაიპის ტექსტი, რომელსაც ბევრ შემთხვევაში თითქმის ზუსტად იმეორებს მეტაფრასული „ცხოვრება“, ზოგჯერ ალაგ-ალაგ გაერცობილია და ფრაზეოლოგიაც შეცვლილია, ზოგჯერ მთელი პასაჟებია დამატებული (მაგ. იოვანეს მიერ მოწაფეთა დამოძღვრა). მეტაფრასული თხზულება, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ ერთადერთი ნუსხით (Q-795, XV ს. – ანა დედოფლისეული ნუსხა) არის ცნობილი, ბოლონაკლულია.

გამოცემულია: ასურულ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკვლევებითა და ლექსიკონით გამოსცა ილ. აბულაძემ, თბილისი, 1995, გვ. 2-68 (ყველა რედაქცია); ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტ-ის ძეგლები, I, 1963, გვ. 191-212 (მეტაფრასი არქეტაიპის პარალელურად).

ლიტერატურა: ილ. აბულაძე, გამოცემის წინასიტყვაობა და გამოკვლევა; კ. კეკელიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქროლში მოსვლის შესახებ, ეტიუდები, I, 1956, გვ. 190-50; G. Pötsch, Arsens Brief und Vita Iohanes von Zedazeni, Bedi Kartlisa, 39, 1921. აგრ. იხ. ლიტერატურა ასურულ მამათა „ცხოვრების“ ძველ რედაქციებთან (აქვე, ზემოთ)

4. იოანე ზედაზნელის მეორე მეტაფრასული ცხოვრება

ეს თხზულება სიტყვა-სიტყვით იმეორებს პირველი მეტაფრასული „ცხოვრების“ გრძელ სათაურს და ფსევდოეპიგრაფიკულ ცნობას ავტორის შესახებ, თუმცა ტექსტობრივად მიჩვენება არა მას, არამედ „არქეტიპულ“ ცხოვრებას, მაგრამ სიუჟეტურ თანხვედრასთან ერთად აერცობს წყაროს ტექსტს შესავლით, თითქმის მოლიანად ცვლის წყაროს ფრაზეოლოგიას და აერცობს მას. ჩანს, რომ პირველი მეტაფრასული „ცხოვრება“ არ გაერცვლებულა (როგორც ვთქვით, ცნობილია მისი ერთადერთი და ისიც ბოლონაკლული „ქართლის ცხოვრებისეული“ ნუსხა) და ამიტომ მეორე მეტაფრასული „ცხოვრების“ ავტორისათვის მისი არსებობა უცნობი უნდა ყოფილიყო (ყოველ შემთხვევაში იგი მას არ იყენებს, მიუხედავად ამ ორი თხზულების სათაურების და ქვესათაურების სიტყვა-სიტყვით დამთხვევისა).

ამ თხზულების ხელნაწერები გვიანდელია, XVII ს. მიწურულისა (A-160) და XVIII ს. (A-130, A-170 და სხვ.), მაგრამ თხზულება XI ს-ს II ნახევრის ძეგლად არის მიჩნეული.

გამოცემები: ილ. აბულაძისა, ზემოდასახ. გამოცემები; ძვ. ქართ. ლიტ-ის ძეგლები, III, 1971, გვ. 83-107 (მ. საბინინის 1882წ. გამოცემა, „საქ. სამოთხე“-ში, გვ. 193-208, არაკრიტიკულია).

ლიტერატურა: ილ. აბულაძის, დასახ. გამოცემის შესავალი; კ. კეკელიძე, ძვ. ქართ. ლიტ-ის ისტორია, I, 1980, გვ. 533-536.

5. „ცხოვრებაჲ და საკვირველებანი წმიდისა და ნეტარისა

შიოძისნი, რომელ იყო ანტიოქიადთ შუამდინარისაჲთ,

ხოლო მოიწია ქუეყანად ქართლისა და დაემკვდრა სარკინისა

მღვმესა, რომელი ესე აღწერა ღირსმან მარტვრი,

პირველ რომელსა ეწოდა იოანე, რომელი იყო

მოწაფეთაგანი წმიდისა იოანესთა კონსტანტინეპოლით“

ეს მეტად ვრცელი სათაურის მქონე მეტაფრასული თხზულება შიო მღვიმელის შესახებ, რომლის სათაურში მოხსენიებული ავტორი მარტვრი, ისევე როგორც იქვე მოხსენიებული მისი მოძღვარი „იოანე კონსტანტინეპოლით“, სამეცნიერო ლიტერატურაში სრულიად გაურკვეველი პირებია, ძირითადად ეყრდნობა შიოს ე.წ. არქეტისს, (ცნობილია, რომ შიოს კიმენური ცხოვრება შიოს სარკინეში დამკვიდრებით იწყება), ხოლო მეტაფრასულ თხზულებაში აღწერილი არცთუ მოკლე შესავლის შემდეგ მოთხრობილია შიოს ბაეშეობა, მშობელთა ვინაობა, შიოს სამონაზვნო მოღვაწეობის დასაწყისი სირიაში იოვანეს (შემდგომში ზედაზნელის) კურთხევით და მშობელთა თანხმობით 20 წლის ასაკში, 20 წელი სირიაში მოღვაწეობა და შემდეგ იოვანესთან ერთად ქართლს გამომგზავრება, კათალიკოსის რჩევით

მათი ზედასნის მოაზრება დამკვიდრება და პირველ ხანებში სხვა მოწაფეებთან ერთად იქ მოღვაწეობა. თუ წყარო შიოს სირიაში ცხოვრებისა ჩვენთვის უცნობია (ან შეიძლება ავტორის ფანტაზიის ნაყოფიც იყოს) შიოს ქართლს გამომგზავრებისა და ზედასენზე მისი ყოფნის შესახებ წყარო უეჭველად იოანე ზედასნელის კიმენური „ცხოვრებაა“.

შიო მღვიმელის მეტაფრასულ „ცხოვრებასთან“ ერთად უნდა ვახსენოთ ერთი თხზულება - „სასწაულნი შიოჲსნი“, რომელიც, როგორც თხზულებაშივეა ნათქვამი, სხაეადსხვა წყაროდან ამოუკრებია იოანე კათალიკოსს („ძე დიდისა პატრიკოსისა ვაჩესი“), ძველ ქართულ მწერლობაში სრულებით უცნობ პირს. შეიძლება ითქვას, რომ ეს „სასწაულნი“ რატომღაც სრულიად უგულებელყოფილია და შეუსწავლელი (გამოც. ილ. აბულაძისა, „ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების“ წიგნთა ძველი რედაქციები, თბ. 1955).

შიო მღვიმელის მეტაფრასული ცხოვრება, რომელიც ყველაზე ვრცელი თხზულებაა ქართულ მეტაფრასულ თხზულებათა შორის, წყარო გამხდარა შიოს მეტაფრასული მეორე, გვიანდელი თხზულებისათვის, რომელიც ზოგჯერ სიტყვა-სიტყვით, უმეტესად პერიფრაზულად იმეორებს, ადგილ-ადგილ ამოკლებს კიდევ შიოს პირველ მეტაფრასულ „ცხოვრებას“. მისი დაწერა XVII-XVIII სს. შიოს თაყვანისმცემლის მხოლოდ ლიტერატურული ვარჯიშის შთაბეჭდილებას ტოვებს (ძე. ქართ. აგიოგრ, ლიტ-ის ძეგლები, III, 1971, გვ. 267-291; ერთადერთი ხელნაწერი -ლენინგ. H-22).

შიოს მეტაფრასული (პირველი) ცხოვრება პირველად გამოსცა მ. საბინინმა, „საქართველოს სამოთხე“, სპბ, 1882, გვ. 219-264; ილ. აბულაძემ 1955წ. ზემოდასახ. გამოცემაში, გვ. 69-143 (შიოს კიმენური ცხოვრების პარალელურად); ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, თბ., 1971, გვ. 107-170 (გამოცემები ეყრდნობა შიო მღვიმელის მეტაფრასულ „ცხოვრებას“, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში XIII ს. I ნახევრის ძეგლად არის მიჩნეული (კ. კეკელიძე, „ისტორია, I, გვ. 537), ხოლო ჩვენამდე მოღწეული უძველესი ხელნაწერი მხოლოდ XVII ს. მიწურულისაა (A-160), დანარჩენი - XVIII ს. (A-130; A-170). ლიტერატურა იხ. ასურელ მამათა კიმენურ და მეტაფრასულ რედაქციის თხზულებებთან.

6. „ცხოვრება და მოქალაქობა დიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დავით გარეჯელისა“

დავით გარეჯელის მეტაფრასული „ცხოვრება“, რომელიც ანონიმ ავტორს დაუწერია „იძულებითა... ზოგადისა მამისა, სულთა მწყემსისა ონოფრესითა“, განსხვავებით დავითის კიმენური, ე.ი. „არქეტიპული“ ცხოვრებისაგან, იწყება შესავლით, სადაც წარმოდგენილია მეტაფრასული „ცხოვრების“ დაწერის მიზეზები და მიზნები, ამ „ცხოვრების“

დაწერის მაიძულებლის ვინაობა, დავითის სირიაში მოღვაწეობის, ასე ვთქვათ, „შეკოწიწებული“ ეპიზოდები იოანე ზედასნელის „ცხოვრებათა“ საფუძველზე და მხოლოდ ამის შემდეგ მიჰყვება იგი თავის ძირითად წყაროს, დავითის კიმენურ „ცხოვრებას“, იმეორებს მის ეპიზოდებს პერიფრაზულად და დედანთან შედარებით გაცილებით ვრცლად, სიტყვაამრავლობით და ხშირად ახსენებს ამ წყაროს.

რადგან სამეცნიერო ლიტერატურაში (კ. კეკელიძე, ... ისტორია, I, 1980, გვ. 534) დავითის მეტაფრასულ „ცხოვრებაში“ მოხსენიებული „მწყემსი ონოფრე“ გაიგივებულია ათონის მთის ქართველთა მონასტრის ალაპებში ნახსენებ „დიდ ბერ და მოძღუარ ონოფრი გარეჯელთან“ (ელ. მეტრეველი, ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, თბილისი, 1998, გვ. 173), თხზულებაც დაწერილი უნდა იყოს XII ს. I ნახევარში, თუმცა თხზულების შემცველი ხელნაწერები XVII ს. მიწურულისა (A-160) და XVIII ს-აა (A-130; A-170 და სხვ.), რომელთა მიხედვითაც ამ თხზულების ტექსტი გამოცემულია: მ. საბინინი, „საქ. სამოთხე“, სპბ, 1882, 265-286; ილ. აბულაძის ზემოდასახ. გამოცემა, გვ. 144-187 (კიმენურთან ერთად) ძველი ქართ. აგიოგრ. ლიტ-ის ძეგლები, III, თბ., 1971, გვ. 170-207.

ლიტერატურა იხ. ასურელ მამათა კიმენურ და მეტაფრასულ ზემომითითებულ „ცხოვრებებთან“. დავით გარეჯელის მეტაფრასული „ცხოვრების“ საფუძველზე თბილელ მიტროპოლიტ რომანოზ (ერისთავს) გარეჯის მონასტერში ბერად ყოფნის დროს დაახლ. 1737-40წწ. დაუწერია მეორე მეტაფრასული „ცხოვრება“ და სხვა წყაროებითაც უსარგებლია, ზოგი რამ გარეჯის თანამედროვე სამონასტრო ცხოვრებიდანაც შეუტანია (იხ. ე. გაბიძაშვილი, რომანოზ ერისთავი და მისი უცნობი თხზულება, ხელნ. ინსტ. მრავალთავი II, 1973წ., გვ. 75-93; ტექსტი გამოცემულია, ... ძეგლები III, გვ. 201-311 (დანართში), ცენტრ. არქივის №252 (1737წ., 1040წ.) ხელნაწერის მიხედვით (ავტოგრაფი).

7. „ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა მამისა ჩუენისა ილარიონ ახლისა“

ილარიონ ახლის მეტაფრასული „ცხოვრება“, რომელიც თეოფილე ხუცესმონაზონმა დაწერა 1074 წლის შემდეგ, შედგენილია ილარიონ ქართველის ეფთვიმე ათონელისეული კიმენური თხზულების საფუძველზე მეტაფრასულ მოთხოვნილებათა მიღებული სტანდარტების მიხედვით: თეოფილეს დაუწერია ახალი შესავალი, რომლის მთავარი თემაა ქართველების მიერ ქრისტიანული სარწმუნოების მიღება. სადა, მარტივი ენით დაწერილი წყარო მას რიტორიკულ სტილში შეუმკია და განუერცია, წყაროსთან შედარებით ზოგიერთი ადგილი გამოუტოვებია, ზოგი რამ მიუმატებია და ზოგიც შეუცვლია (დეტალურად ამ ცვლილებების შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ნაწყვეტი ქართული აგი-

ოგრაფიის ისტორიიდან, ეტიუდები... IV, თბ., 1957, გვ. 145-147). მეტაფრასული თხზულების ტექსტის შემცველი ხელნაწერები გვიანდელია – XVIIIს. (A-130, 1713წ.; A-170, 1733წ. და სხვ.), რომელთა მიხედვით გამოცემულია: მ. საბინინი, „საქ. სამოთხე“, სპბ, 1882, გვ. 371-392; ძველი ქართ. აგიოგრ. ლიტ-ის ძეგლები, III, თბ., 1971, გვ. 208-248. თარგმანები: М. Сабинин, Полное жизнеописание святых груз. церкви, II, СПб, 1872, с. 105-125; А. Муравьев, Житие святых российской церкви, также иверских..., 1860, с. 159-186.. ლიტერატურა: კ. კეკელიძე, ნაწყვეტი ქართ. აგიოგრაფიის ისტორიიდან, ეტიუდები, IV, გვ. 135-184. მ. დოლიძე, ილარიონ ქართველის ცხოვრების ძველი რედაქციები, თბ., 1974, გვ. 68-77. B. Martin-Hisard, La pérégrination du moine Georgien Hilarion an IX siecle Bedi Kartilisa, 39, Paris, 1981, 101-138.

8. „დაძინება მწიდათაგანისა მამისა ჩუენისა ისე წილკნელ ეპისკოპოსისა...“

უხედაა პომილეტიკური ლიტერატურის ნიმუშები ჩართული X ს-ის „გრიგოლ ხანკთელის ცხოვრებაში“: ქება („შესხმა“) კლარჯეთის უდაბნოთა: „ღმრთისმსახურო მეფეო, დაღაცათუ ფრიად განკჳმრავლო სიტყუაჲ, ვერეჲ მისწუთების გონებაჲ ჩემი ყოველსა მას უდაბნოთა მათ სიკეთესა უწყებად შენდა, ვინაითგან წესი მონაზონებისა მათ შორის აღორძინებულ არს და უფროსად ყუაოდის და აღემატოს მომავალთა ჟამთა, არამედ ვთქუა მრავალთაგან მცირედი ესე: რამეთუ არცა ფრიადი სიცხე შესწუაჲს მათ და არცა გარდარეული სიცვიე შეაურეჲს მყოფთა მისთა, არამედ განწესებით დგას თვისსა საზღვარსა უნოტიოჲ, უხორშაკოჲ, უმიწოჲ, მუსუარჲ, რამეთუ კაცთა ნახჭანი ფერკთანი არა ოდეს თიკიან ექმნებიან სლევასა მათსა. ხოლო წყალი კეთილი და შეშაჲ ნებისმიერ უნაკლულოდ აქუს აღმოცენებულ ქეიშათა მათ შინა, ურიცხუ მალნარი და სიმრავლე წყალთა ჰამოთაჲ, ბუნებით მხიარულებად მიცემულ არს ღმრთისაგან და არს იგი უგზო და მიუვალ რადთურთით სოფლისა წესთა მცხოვრებელთაგან...“ და ა.შ. (კიდევ მთელი გვერდი)²¹, ან კიდევ, გრიგოლის ვრცელი ეპისტოლე „დათა მათ შესუენებულთა მიმართ“: „ქრისტეს მოყუარენო, წესთა მათ ამის სოფლისათა მოკლესა შინა სიყრმიტგან თქუენით, ვიდრე სიკუდილამდე მძლე-ქმნულნო ქრისტესთუს...“²², და ა.შ. მრავლად არის თხზულებაში ციტირებული გრიგოლ ხანკთელის „სწავლანი“, მაგ., გრიგოლის „სწავლა-ანდერძი“ – „შეილნო, რომელნი მცნებათაჲ პირველთაგან გესმა ჩემგან სულისა თქუენისა საცხოვრებელად დაიმარხეთ და ჰყოფდეთ მარადის საცსენებელსა ჩემისა და მე, უკუეთუ ეპოვო კადნიერების წინაშე ქრისტესა...“²³ და ა.შ. „შესხმა“ გრიგოლ ხანკთელისა, რომელსაც მისი გარდაცვალების დროს „ბანაკი ანგელოზთა

20 მ.ჯანაშვილი, Обращение Картвелинцев. XIV, 1898, 80-85; 87-93.

21 ძეგლები, I, გვ.268-270.

22 იქვე, გვ. 300-301.

23 იქვე, გვ. 315.

უფლისათადა გარე მოადგეს მას... კმაე ესმა ესე: ნუ გეშინინ მოსლვად ჩუენ თანა, მსახურო ქრისტესო, სანატრელო, რამეთუ ქუეყანისა ანგელოზსა და ზეცისა კაცსა გიწეს მეუფე ცათა ქრისტე... რამეთუ ნეტარ ხარ შენ შორის კაცთა ნეტარსა მას დიდებასა დამკვდრებად გამზადებული და მხიარული საუკუნოდ...²⁴

მსგავსი მაგალითების მოტანა შეიძლება „ეესტატი მცხეთელის წამებიდან“ (სამუელ არქიდიაკონის ვრცელი სწავლება ქრისტიანული სარწმუნოების წარმოშობისა და რაობის შესახებ²⁵; „კოსტანტი კახის მარტილობა“-ში –ეპისტოლე თეოდორა დედოფლისა კონსტანტის სახლელელებისადმი²⁶; გობრონის წამებიდან –სტეფანე მტბეუარის „შესხმა“ გობრონისა – თხზულების ბოლოს²⁷; იოვანე ზედაზნელის ცხოვრებიდან –სწავლანი მოწაფეთა მიმართ: „შვილნო, რასა სდგათ უქმად...²⁸“; შიო მღვიმელის „ცხოვრებიდან“ – „სწავლანი“ მოწაფეების მიმართ მღვიმეში დაყუდების წინ²⁹; „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებიდან“ – ბოლო თავი: „შესხმა“ სერაპიონის³⁰; „ილარიონ ქართველის ცხოვრებიდან“ – „სწავლა“ გარდაცვალების პირას მყოფი ილარიონისა თესალონიკის მთაერის მიმართ³¹; „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრებიდან“ – „სწავლა“ იოანესი მონასტრის ძმათა მიმართ: „ თქუენ სასურველნო და საყუარელნო შვილნო ჩემნო, უკუეთუ მცნებათა ღმრთისათა დამარხებად ილუაწეთ...³²; ასევე, ეფთვიმეს „სწავლა“ ძმათა მიმართ – „შვილნო! უკუეთუ მიგიშუნე მასა საქმესა ზედა, პირველად სულთა თქუენთა წარიწყმედთ და მერმე მონასტერი უწესოდ გაეა...³³; აგრეთვე, თხზულების ავტორის სიტყვები: „თუესა შინა ორგზის და სამგზის კვრიაობათა დაიუბანის ძმანი სწავლითა სულიერიითა და... წმიდათა წერილთაგან ასწავებნ მათ სარგებელსა სულსა მათთასა... ხოლო ასწავებნ მათ სიყუარულისათუს და უშფოთველობისა მონაზონთათუს და მსახურებისა...³⁴; გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებიდან – გიორგი მცირის „გოდება“ მოძღერის – გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალების გამო – „შესხმა-გოდების“ შესანიშნავი ნიმუში, იერემია წინასწარმეტყველის „გოდების“ დარი³⁵.

ორიგინალური ჰომილეტიკური თხზულების მაგალითად დაეასახელებთ აგრეთვე არა ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში, არამედ

24 იქვე.

25 იქვე, გვ.36-42.

26 იქვე, გვ. 171-172.

27 იქვე, გვ. 183.

28 იქვე, გვ. 202-204.

29 იქვე, გვ. 225-226.

30 იქვე, გვ. 346-347.

31 ძეგლები, II, გვ. 27-28.

32 ძეგლები, II, გვ. 58-59.

33 იქვე, გვ. 72-73.

34 იქვე, გვ. 76-77.

35 იქვე, გვ. 188-194.

კანონიკურ თხზულებაში – რუის-ურბნისის „ძეგლისწერაში“ წარმოდგენილ „შესხმას“, რომელიც კრების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, არსენ იყალთოელმა მიუძღვნა კრების მოწვევის ინიციატორს – დავით აღმაშენებელს: „...დავით მეფეს – მონაზონი არსენი“.³⁶

ამ ჩამონათვალთ ჩვენ გვინდა ეთქვათ, რომ ქართული ორიგინალური ჰომილეტიკური მწერლობა ორი საუკუნით ადრე იწყება, ვიდრე იოვანე ბოლნელის ქადაგებები დაიწერებოდა და რომ „ჰაბო ტყვილელის“ წამების, VIII ს. ორიგინალური ჰაგიოგრაფიის ძეგლის პირველი და მეოთხე თავები (გამოყოფილი თვით თხზულების – იოვანე საბანის ძის მიერ) დამოუკიდებელ ორიგინალურ ჰომილეტიკურ თხზულებად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში წარმოდგენილი ფრაგმენტები – VI ს. (ეესტათი მცხეთელი) – XII ს. („ძეგლისწერა“) ჰომილეტიკურ თხზულებათა ნიმუშებად.

ორიგინალურ ჰომილეტიკაში ჩვენ განვიხილეთ ორიგინალური, სასულიერო შინაარსის ეპისტოლეებიც, რადგან ახალი აღთქმის ეპისტოლეები ქრისტიანული „სწავლებისა“ და დამოძღვრის პირველი მაგალითებია. პაულე მოციქულისა და მოციქულთა კათოლიკე ეპისტოლეებში ისევე, როგორც სახარებებში, წარმოდგენილია წმინდა მამამების სწავლა-ქადაგებათა პირველწყარო.

ახალი აღთქმის ეპისტოლარული მემკვიდრეობა ჰომილეტიკური ლიტერატურის წერილობითი სახეა. მისი გაგრძელება წმ. მამათა ის ეპისტოლეებია, რომლებიც ღვთისმეტყველების საკითხების სწავლებასთან ერთად ეკლესიის კანონიკური საფუძვლების ჩამოყალიბებაში მსოფლიო კრებათა კანონმდებლობის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენენ. მხედველობაში გვაქვს ათანასე ალექსანდრიელის, ბასილი დიდის, გრიგოლ ნოსელის, თეოფილე ალექსანდრიელის, კირილე ალექსანდრიელისა და სხვათა ეპისტოლეები, რომელთა საფუძველზე მსოფლიო საეკლესიო კრებების თანხმობით მართლმადიდებლური ეკლესიის კანონიკური სამართლის საფუძვლების შექმნაში მონაწილეობა მიიღეს.³⁷

ჰომილეტიკა ძირითადად სწავლას, ქადაგებას, „შესხმას“ გულისხმობს, წარმოთქმულს ზეპირად ამბიონიდან, ხოლო სასულიერო შინაარსის ეპისტოლე – იგივეს, გაგზავნილს გარკვეულ მანძილზე წერილობითი სახით. ამასთანავე, საერთოა ისიც, რომ ქადაგება თმ-ატურად შეიძლება იყოს როგორც ზნეობრივი, უფლება-მოვალეობის საკითხების შემცველი, ასევე დოგმატიკურ-პოლემიკურიც, ეგზეგეტიკური, ე.ი. განმარტებითი შინაარსისაც და სხვ. ასევე ეპისტოლეც – ის შეიძლება იყოს როგორც სასულიერო შინაარსისა, ასევე საეროსი. სასულიერო შინაარსის ეპისტოლეც არ არის ერთგვაროვანი. ის შეიძლება იყოს ღვთისმსახურების სხვადასხვა დარგის მწერლობის

36 ე. გაბიაშვილი, რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერა, თბილისი, 1978, ფვ. 193-194.

37 დიდი სჯულისკანონი, გვ. 431-437; 448-520; 522-523; 524-542.

შინაარსისა: დოგმატიკური, დამოძღვრითი, განმარტებითი, სამკიმრის შინაარსისა და ა.შ.

რადგან ეპისტოლის შინაარსობრივი ფორმები უამრავია, ჩვენ შევეცადეთ შეგვეჩინა მხოლოდ მცირე ნაწილი სასულიერო შინაარსისა, ისიც – მეტ-ნაკლებად ცნობილი საეკლესიო მოღვაწეებისა (მაგ. ანტონ I-ისა და სხვ.).

იოანე ბოლნელის ქადაგებები. ამ ავტორის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი, გარდა იმისა, რომ ის ტიტულატურის მიხედვით ბოლნისის ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო. სამეცნიერო ლიტერატურაში არც მისი მოღვაწეობის დროა ეჭვმიუტანლად დადგენილი (ზოგი მეცნიერი მას VII ს. ავტორად მიიჩნევს, ზოგი – X ს, და ზოგიც – XI ს-სად), დაეყრდნობით უმეტესთა აზრს და მას X ს. ავტორად ჩავთვლით. მისი სახელით 14 პომილეტიკური თხზულება შემოგვინახა X-XI სს. „მრავალთაებმა“: კლარჯულმა (A-144, X ს), ათონურმა (Ath. 11, XI ს) და პარხლის (A-95, XI ს), აგრეთვე უძველესმა ხელნაწერებმა (Sin. 44, X ს და A 70, XIII ს).

„მარხვათა განწესებისათჳს“ მხოლოდ ერთი ხელნაწერით არის ცნობილი (A- 70, XIII ს.) და წარმოადგენს დიდმარხვის საკითხავთა შესავალს, რომელშიც წარმოდგენილია ნიკეის პირველ მსოფლიო კრებაზე დამსწრე 318 ეპისკოპოსის მიერ ქრისტეს აღდგომის დღესასწაულისა და დიდმარხვის დაწყების შესახებ, აგრეთვე ბზობის პარასკევს ჰერაკლე მეფის მიერ პატიოსანი ჯვარის სპარსელთაგან გამოხსნისა და მოდესტოსის იერუსალიმის საეპისკოპოსო ტახტზე აღსაყდრების შესახებ. საკუთრივ დიდი მარხვის კვირადღეების 8 საკითხავი-ქადაგება მარხვის ცალკეული დღეების სახარების თარგმანებას, ე.ი. განმარტებას ეხება: 1) დღესა ხორცით აღებისა— “თარგმანებაჲ წმიდათა მარხვათა სახარებისაჲ, ფარისევლისა მისთვის და დედაკაცისა ცოდვილისა, რომელმან სცხო ნელსაცხებელი უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა” (ლუკა, 7,36-50; 2) კურიაკე დღესა ყველით აღებისა, თარგმანებაჲ სახარებისაჲ—“ ეკრძალეთ, ქველის საქმესა” (მათე, 6,2-34; 3) მესამესა კურიაკესა, სახარებაჲ ლუკაისი— “და იყენეს ყოველნი მეზუერენი და ცოდვილნი” (ლუკა, 15,1-10); 4) მეოთხესა კურიაკესა— “სახარებაჲ ლუკაისი” (ლუკა, 11,11-13; 18,2-14); 6) მეექუსესა კურიაკესა— “თარგმანებაჲ სახარებისაჲ: კაცი ვინმე გარდამოვიდოდა...” (ლუკა, 10,30-37); 7) მეშუდესა კურიაკესა— “სახარებაჲ ლუკაისი—კაცი ვინმე იყო მდიდარი...” (ლ. 16,19-31); 8) კურიაკესა მეშვიდესა— “შესლვისათჳს უფლისა იერუსალიმად” (მათე, 21,1-9; მარკოზ, 11,1-11; იოანე 12,12-15). როგორც სახელწოდებებიდან ჩანს, ეს ქადაგება-საკითხავები პომილეტიკასთან ერთად ეგზეგეტიკური მწერლობის თხზულებებიცაა. ჩამოთვლილი ქადაგება-თარგმანება მრავალთაებში A-144, X ს., A-95, XI ს., Ath. 11, XI ს. და Sin. 44, X ს. ხელნაწერებშია წარმოდგენილი.

იოანე ბოლნელის ავტორობით არის ცნობილი აგრეთვე ქადაგებები:

1) „ახალკურიაკისათვის“ (A-144, Xს), რომელშიც მოთხრობილია თომა მოციქულის მიერ მეკდრეთით აღდგომილი ქრისტეს ხილვა, განკაცების საიდუმლო – ქრისტეს ქალწულ მარიამისაგან შობა (იოანე 20, 24-29).

2) „ფერისცვალების საკითხავი“ (A-144, Xს., Ath. 11, XIს) პირველ ხელნაწერში შეტანილია იოანე ეპისკოპოსის სახელით, ხოლო მეორეში – იოანე ბოლნელის სახელით, ტექსტი ორივე ხელნაწერში ერთი და იგივეა და წარმოადგენს ქრისტეს თაბორის მთაზე ფერისცვალებისადმი მიძღვნილ ქადაგებას.

3) „საღვურებისათვის წმიდათა ეკლესიათა, რომელსა ჰყოფენ იერუსალიმს“ (Ath. 11, XIს), რომელიც გულისხმობს იერუსალიმის სამი ეკლესიის კურთხევას: 13 და 14 სექტემბერს აღინიშნებოდა კონსტანტინე დიდის მიერ აგებული აღდგომისა და კათოლიკონის კურთხევა, 15 სექტემბერს კი – წმიდა სიონის ტაძრისა.

4) „მღვდელთმოდღუართათვის“ (A-95, XIს; Ath. 11, XIს). ჰომილია წარმოადგენს საზოგადოარ წმიდა მღვდელმთავართა შესხმას, რომელიც პარხლის მრავალთაეში იოანე ბოლნელს მიეწერება, ხოლო ათონის მრავალთაეში – იოანე ოქროპირს.

5) „ღვნის მსუმელთათვის და მომთრეალეთათვის“ (A 70, XIIIს). ჰომილია, რომელიც იოანე ბოლნელის სახელითაა წარწერილი, პროფ. თ. ჭყონიას აზრით წარმოადგენს იოანე ოქროპირისა და ეყრემ ასურის ჰომილიების ნაზავს.³⁸

სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანი“. როგორც ვთქვით, ორიგინალური ჰომილეტიკური მწერლობის აღორძინება XVII საუკუნიდან, ე.ი. იოანე ბოლნელის შემოქმედებიდან შეიძინა საუკუნის შემდეგ იწყება, სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანით“, რომლებიც მას, როგორც ჩანს, გარეჯის იოანე ნათლისმცემელის მონასტერში ბერ-მონაზონთა წინაშე წარმოუთქვამს 1698-1710 წლებში. ამის დასტურია მისი სამი ქადაგება-სწავლანი, რომლებიც მან იოანე ნათლისმცემელს მიუძღვნა: „ნათლისმცემელის შობისათვის“, „ნათლისმცემელის თავისკუთისათვის“ და „თავის პოვნისათვის ნათლისმცემელისა“. 46 სწავლანიდან, რომელიც საბა-სულხან ორბელიანს წარმოუთქვამს ან დაუწერია და სხვადასხვა რაოდენობით არის წარმოდგენილი მათ შემცველ კრებულებში, ზოგი მისადაგებულია კონკრეტული საეკლესიო დღესასწაულებისადმი, ზოგი წარმოთქმულია მონასტრის ძმათა განსასწავლად ღვთისმეტყველებაში, უმეტესი მათგანი კი საზოგადოებრივი ინტერესების შემცველ თემატიკას ეხება, მხედველობაში გვაქვს ცხოვრებისეული მორალის განხილვა, რომლის დეფიციტმა განსაკუთრებით მძიმე შედეგები გამოიღო ქრისტიანული ზნეობის დაცემის საქმე-

38 თ. მგალობლიშვილის დაკვირვებით, ეს საკითხავი ეყრემ ასურისა და იოანე ოქროპირის ორი ქადაგების გაერთიანებას წარმოადგენს და იოანე ბოლნელის ავტორობა უნდა გამოირიცხოს. ჩვენი აზრით, შეიძლება ეს გაერთიანება მოეხდინა იოანე ბოლნელს.

ში, განსაკუთრებით XVIIIს-ში. სულხან-საბას „სწავლანის“ ეს ნაწილი განსაცდელში ჩაუარდნილი ქვეყნისა და ადამიანების დახმარების სურვილით არის განმსჭვალული. თავის ქადაგებები მას აგებული აქვს ბიბლიურ და საეკლესიო მამათა „სწავლებებზე“ დაყრდნობით და წარმოადგენს მადლობხატურული პროზის ნიმუშებს. ქვემოთ, თხზულებათა ბიბლიოგრაფიის ნაწილში ცალ-ცალკეა გატანილი საბა-სულხან ორბელიანის 46-ეე „სწავლა“ და მათი შემცველი ხელნაწერები, გამოცემები და სხვა მონაცემები, მაგრამ აქ მინც წარმოვადგენთ ცალკეულ „სწავლათა“ შემცველ ხელნაწერებს.

1. ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებში ერთადერთია A-479, 1729წ. ქ. მოსკოვში გადაწერილი ხელნაწერი, რომელიც ს.ს. ორბელიანის 46-ეე „სწავლას“ შეიცავს.

2. S-1168 (XVIIIს) წარმოადგენს ქადაგებათა კრებულს, რომელიც შეადგენინა და გადაწერა ამბროსი ნეკრესელმა და მასში შეიტანა ს.ს. ორბელიანის 5 სწავლა: „სწავლა ეკლესიისათვის“, „სწავლანი საქადაგონი ეკლესიაში უბნობისათვის“, „სწავლა აღსარებისათვის“, „სწავლა სტუმართმოყუარებისათვის“, „სწავლა მრისხანებისათვის“.

3. ქუთ. 574 (1774წ.), შერეული ტიპის კრებული, რომლის 2r-110v უჭირავს ს.ს. ორბელიანის 16 სწავლას (ივ. ლოლაშვილის სწავლათა გამოცემაში – ს.ს. ორბელიანის თხზულებანი, III, წარმოდგენილი „სწავლათა“ სიაში №1.2.3.5.8.9.10.11.12.13.14.15.16.17.18.19. ხელნაწერი ჩამოტანილია ქ. მოსკოვიდან 147r).

4. ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერში №20068 (1811წ.) შეტანილია ს.ს. ორბელიანის 44 სწავლა – აკლია „სასუფეველისა დიდებისათვის“ (33-ე) და „გიორგობის დღისა და ქართველების თათრობისათვის“ (36-ე).

5. საქ. ხელოვ. მუზეუმის ბიბლიოთეკის №379 ხელნაწერი (XVIIIს II ნახევარი), შეიცავს „სწავლათა“ სიაში წარმოდგენილ პირველ ოცდახუთ ქადაგებას და ოცდამეექვსის დასაწყის ნაწილს ხელნაწერის ბოლონაკლებობის გამო.

სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანი“ სრული მოცულობით გამოცემულია: სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. III, გამოსაცემად მოამზადა „გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბილისი, 1963, გვ. 21-223.

ანტონ I კათალიკოსის პოპილექტიკური შრომები. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ცნობები, მათ შორის იონა ხელაშვილისა, რომ ანტონ კათალიკოსმა „მრავალი ქადაგება დატოვა“ (იონა ხელაშვილი, ქადაგებანი, წინა სიტყვა, A-7 ხელნაწერი), ჩვენამდე მოაღწია ერთმა ქადაგებამ, თქმული მირქმის დღესასწაულზე: „ქადაგება-ღვთისმეტყველება ანტონი, სრულიად საქართველოს კათალიკოსისა, დღესასწაულსა მიგებებისასა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა ეკლესიასა შინა თვისსა პალატისასა: საცემელმან საიდუმლოსა ქნარისა მან სამნეტარისამან...“ ქვემოთ ჩამოვთვლით ავტორებს, რომელთა მქადაგებლური საქმიანობა

ეჭვს არ იწვევს, თუმცა მათმა ვერცერთმა ქადაგებამ ჩვენამდე ვერ მოაღწია. ამ საკითხთან დაკავშირებით გვინდა ერთი მოსასრება გამოვთქვათ: როგორც ცნობილია, ქადაგება ეკლესიაში სეპირად წარმოითქმოდა. თუკი მას არაეინ ჩაიწერდა, რა თქმა უნდა, იგი ეკლესიის ისტორიას არ შემორჩებოდა. სხვა მიზეზებთან ერთად, ეს უნდა იყოს ჩვენამდე მრავალი ორიგინალური ქადაგების მოუღწევლობისა და ანტონ I-ის მხოლოდ ერთი ქადაგების გადარჩენის მიზეზიც.

სამაგიეროდ, ნაყოფიერია ანტონ I-ის შემოქმედება ჰომილეტიკის „შესხმის“ ნაწილში. ანტონის დიდტანიანი ნაშრომი „წყობილსიტყვაობა“, დაწერილი იამბიკური ლექსით, მთლიანად შეიძლება „შესხმის“ სტილის ჰომილეტიკურ ძეგლად ჩაითვალოს, რომელიც მოიცავს ქართულ წმინდანთა, მეფეთა, მწერალ-მოღვაწეთადმი მიძღვნილ სახობრო იამბიკურ ლექსებს, ენკომიებს და ეპიტაფიებს. თხზულების I ნაწილია: „თუხ ქართველთა წმინდანთა“ (403-545 სტროფები); II – „თუხ ქართველთა რომელთაჲმე მეფეთა ჩინებულთა“ (548-642 სტროფები); III – „თუხ ქართველთა სიბრძნის-მოუყარეთა კაცთა მწიგნობართა“ (645-860 სტროფები).³⁹

ასევე, ანტონ I-ის „მარტირია“, რომელიც ქართველ წმინდანთა და იმ სომეხ წმინდანთა „წამების“ თხზულებათა 20 ტექსტს შეიცავს, რომლებიც ქართულ კალენდრებშია შეტანილი. ამავე დროს ჰომილეტიკურ კრებულადაც შეიძლება ჩაითვალოს, რადგან თითოეული მათგანის სათაურია „შესხმა და მოთხრობა ენებათა...“⁴⁰

ასე რომ, ანტონ I-ის ღვაწლი ორიგინალური ჰომილეტიკური მწერლობის განვითარების საქმეში დიდია, მიუხედავად ჩვენამდე მოღწეული მისი ქადაგებების სიმცირისა.

აქვე დაეუმატებთ, რომ ანტონ I-ის ეპისტოლური მემკვიდრეობის ძირითადი ნაწილი ჩვენ ორიგინალური ჰომილეტიკის ბიბლიოგრაფიაში შევიტანეთ.

ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელის (+1815წ.) ქადაგებანი. მიტროპოლიტი ანტონი, ჯერ ცაგერის ეპისკოპოსი (1716 წლიდან), ხოლო შემდეგ ჭყონდიდის მიტროპოლიტი (1777-1788წწ.), 1789 წლიდან უბრალო ბერად შედგა თავისივე დაარსებულ ნახარებოუს მონასტერში. სამეგრელოს მთავრის, მისი ძმის – კაცია დადიანის (171-1788წწ.) კარზე აღზრდილ ანტონს განათლება მიღებული ჰქონდა ერეკლე II-ის მიერ დაარსებულ თელავის სასულიერო სასწავლებელში. გარდა ქადაგებებისა, რომელსაც მაღალ შეფასებას აძლევდა ანტონ I კათოლიკოსი, მას საეკლესიო მწერლობის სხვა დარგებშიც მიუღია მონაწილეობა: სომხური ენიდან გადმოუკეთებია ორი თხზულება – „წიგნი ღვთისმეტყუ-

39 ძეგლი სამჯერ არის გამოცემული: 1. პლ. იოსელიანისა, (1853 წ.) 2. რ. ბარამიძისა (1972 წ.) და იუ. ლილაშელისა, ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, თბილისი, 1980.

40 ძეგლი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, VI (ანტონ I-ის „მარტირია“), გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიაშვილმა და მ. ქავთარიამ, თბილისი, 1980 (625 გვ.).

ელებითი ბრძნისა აღყურდისი“ და „ლოდიკა დიდი, დიალექტიკობა დიდი, ნაცვალმეთქუეობა დიდი“ (ანტონის დასათაურებით). ცნობილია აგრეთვე მისი „ანდერძი“, რომელიც მან ნახარებოუს მონასტრისათვის მიუცია (A 1478, 1r).

1898 წელს ქუთაისში გამოვიდა ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელის ქადაგებების, რომელთა რიცხვი 34-ია, იმერეთის ეპისკოპოსის ბესარიონის მიერ განხორციელებული პირველი გამოცემა, რომელსაც წინასიტყვაობა დაურთო თედო ჟორდანიამ. ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელის ქადაგებების ჟორდანიასეული შეფასებებიდან მოიტანთ ამონარიდს: „პირველი ღირსება ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებათა არის მათი მარტივი და ყველასათვის გასაგები მდაბიო ენა... მეორე და უდიდესი ღირსება ანტონის ქადაგებათა არის მათი საფუძვლიანობა: საქადაგებლად აღებულს საღეთისმეტყველო აზრს მქადაგებელი უხსნის მსმენელს ყოველი მხრით; ორატორს მუდამ სახეში ჰყავს წინ მდგომი მსმენელი, წამდაუწუმ მიმართავს მას კითხვით, ამ კითხვაზე პასუხს აძლევინებს მას და იქვე, თვალწინ ურღვევს ყოველგვარ ცრუსა და საეჭვო აზრებს. ამასთან, ორატორი მსმენელსაც კითხვებს აძლევინებს მქადაგებლისადმი ყოველს შემთხვევაში, სადაც კი შეიძლება რაიმე საეჭვო ან საჭოჭმანო და გამოურკვეველი დარჩეს; ეკამათება მქადაგებელს, ებრძვის მას უკანასკნელს შეძლებამდე და დასასრულს რულიად ერდევება ყველა ეჭვები და მთლად ემონება მქადაგებელის აზრთა სიღრმეს და სიცხადეს. ერთის სიტყვით, ანტონის ქადაგება ცხოველი და ხელოვნური ბაასია შორის მსმენელისა და მქადაგებელისა...; მესამე თვალსაჩინო ღირსება ანტონისა არის მტკიცეთ დგრომა საღმრთო წერილის ნიადაგზე, რაიცა დიდად მისაბაძია ახალ მქადაგებელთათვის... ანტონის ქადაგებათა იოტის ოდენა გავლენაც არ ეტყობა სხოლასტიურის სკოლისა და არცა სხვა მქადაგებელთა“.

როგორც ხედავთ, ანტონ ჭყონდიდელის სწავლანი, რომელთა რიცხვი 34-ია, თავისი შინაარსით ზნეობრივ თემებზე წარმოთქმული ქადაგებებია.

ანტონის 34-ვე ქადაგებას შეიცავს ხელნაწერები – A 719 (XIX ს); A 1478 (1831წ.); A 77 (1854წ.); H 669 (XIX ს); 30 ქადაგებას – A 1163 (1867წ.); დაზიანებული H 866 (XIX ს) ხელნაწერში 11 ქადაგებაა გადარჩენილი; H 1008 (1008წ.) და S 291 (1827წ.) შესულია ანტონის ორ-ორი ქადაგება ნიკო დადიანის ხუთ-ხუთ ქადაგებასთან ერთად. A 513 (1897წ.) და H 1775 (1824წ.) ხელნაწერები შეიცავენ ანტონის სამ-სამ ქადაგებას. ანტონის 34-ვე ქადაგება ცალ-ცალკე გატანილია ჰომილეტიკურ თხზულებათა ბიბლიოგრაფიაში.

ანტონ ჭყონდიდელის ავტორობით 2007წ. მბუკიამ გამოსცა შვიდი ქადაგება: „ანტონ ჭყონდიდელის დიდი მარხვის ქადაგებები“. ამ შვიდი ქადაგებიდან ანტონს სინამდვილეში მხოლოდ ორი ეკუთვნის და ისინი წარწერილია ანტონის სახელით და ორივე არის შეტანილი ზემოხსენებულ ბესარიონ ეპისკოპოსის 1898წ. გამოცემაში: 1. თქუმული ყოველად ნეტარისა კაცისა, ყოველადსამღდლო ანტონ ჭყონდიდის მიტროპოლი-

ტისა, დადიანის ძისა, მეოხხესა კურიაეკსა მარხუათასა, ქადაგება აღსარებისათეს: „იტყვს წინასწარმეტყუელი დიდი დანიელი – ესცოდეთ, ვიუსჯულოეთ და განესდეთო მცნებათაგან შენთა...“ (1898წ. გამოცემაში – №1); 2. თქუმელი მისიე... მეხუთესა კურიაეკსა მარხუათასა, აღსარება მღუდელთათეს: „ბრძანებს უფალ პირითა მალაქია წინასწარმეტყუელისათა: ბაგენი მღუდელთანი იწურითადენ, მეცნიერებასა...“ (1898წ. გამოცემაში – №2, სათაურით „მეცნიერებისა წურთისათეს“). დანარჩენი ხუთი ქადაგება ეკუთვნის ანტონის ძმისწულს, ნიკოლოზ დადიანს (იხ. ქვემოთ). ეს შვიდივე ქადაგება შესულია ზუგდიდის დადიანების სასახლის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის, ხელნაწერი წიგნების განყოფილებაში დაცული 1829 წლის №26/23384 ხელნაწერში – შეცდომა მოდის თ. ჟორდანიას წინასიტყვაობიდან, რომლის ნაწყვეტი ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ, რადგან მას ხელთ ჰქონდა ამ ხელნაწერიდან გადმონაწერი, რომელსაც აკლდა ნიკო დადიანის ანდერძი, იმ ხუთი ქადაგების ავტორისა, რომელიც ზემოდასახელებულ ხელნაწერშია, სადაც საუბარია, რომ ნიკო დადიანმა ეს ხუთი ქადაგება დაწერა არქიმანდრიტ გიორგი კუხალაშვილის დაეალებით.⁴¹

ნიკო დადიანის (1880-1834წწ.) ქადაგებები. ნიკო დადიანი იყო ანტონ ჭყონდიდელის ძმიშვილი, ცნობილი მემატინე, მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე (სამხედრო გენერალი). ის გამონაკლისია, როგორც საეკლესიო ქადაგებათა შემქმნელი საერო პირი, რადგან საეკლესიო კანონებით საერო პირის შემოქმედება სასულიერო მწერლობაში ყოველთვის მიუღებელი იყო. ამიტომ გავიმეორებთ ზემოთქმულს: ნიკო დადიანის წინასიტყვაობაში, რომელიც ერთვის H-1008 და S-291 ხელნაწერებს, ახსნილია, რომ არქიმანდრიტს დაუვალება მარხვის ქადაგებების დაწერა. ნიკოს თავის წიგნთსაცავში უპოვნია ანტონ ჭყონდიდელის მიერ დაწერილი ორი ქადაგება იმ თემაზე, რასაც სთხოვდა არქიმანდრიტი, თავად დაუწერია ხუთი ქადაგება და მიურთმევია მისთვის, თანაც დაურთავს წინასიტყვაობა, რომელშიც წერს: უკუეთუ ეინმე მითნო (მომიწონა) და მოინდომა გადაწერა ქადაგებისა ამის, ნუცა წინასიტყვაობასა დაუტეებთ და სახელსა ჩემსა, რადთა მქონდეს ხსონად გლახაკსა ამას და არა დაეიწყებულ ვიქმნე: „ეს წინასიტყვაობა დაცულია H-1008, 1826წ. და S291, 1827წ. ხელნაწერებში, ამდენად, ისინი წინ უსწრებენ მ. ბუკიას მიერ მის გამოცემაში გამოყენებულ ზუგდიდის მუზეუმის ნუსხას, რომელშიც წინასიტყვაობა აღარ გადასულა. აქედან მომდინარეობს მ. ბუკიას და თ. ჟორდანიას შეცდომები⁴².

41 მ. მაისურაძე, ქართული ორიგინალური პომილეტიკა, მიტროპოლიტი ანტონ (ვაგერელ-ჭყონდიდელი, კრებულში: ნარკვევები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან, I, ბიბლიოლოგია, პომილეტიკა, რედაქტორი: მთავარეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი), გამომცემლობა „აღმსარებელი“; თბილისი, 2012, გვ. 541-543.

42 მ. მაისურაძის დასახ. ნაშრომი, გვ.542.

ნიკო დადიანს დაუწერია შემდეგი 5 ქადაგება: 1. სინანულისათვის; 2. მარხვისათვის; 3. მოწყალებისათვის; 4. შურისათვის, რომელს შინა რაოდენიმე ვაქმიო ბერობისათვისცა წესთა; 5. „ვენებისათვის ქრისტესა...“ მნიშვნელოვანია 6. დადიანის სიტყვები: „... და არცა ქადაგებანი ესე იქმნას მაღალსა ყრასსა ზედა, არამედ უმეტეს დაბიოდ იქმნას შეთხ-სულ, რათა უმჯობეს იქმნას სასმენად სასოგადოებისათვის...“ დადიანის ქადაგებათა შემცველი ხელნაწერები: H-1008, 1826წ., S -291, 1827წ. (სუგდიდის მუზეუმისა).

გაიოზ მიტროპოლიტი (რექტორი) ქადაგება-სიტყვები. გაიოზი, რომელსაც განათლება რუსეთში ჰქონდა მიღებული და სასულიერო თანამდებობებიც ეკავა და რუსეთიდან მოვლინებული იყო ერეკლე II-თან პოლიტიკურ საკითხებზე მოსალაპარაკებლად, 1782 წელს თელავში სასულიერო სემინარიას ჩაუდგა სათავეში, როგორც მიანჩიათ, თავისივე ინიციატივით დაარსებულს 1758წ. თელავის სასულიერო სასწავლებლის ბაზაზე. მან ამ თანამდებობაზე მხოლოდ ერთი წელი დაჰყო. ამ პერიოდში გაიოზმა წარმოთქვა ექვსი საჯარო სიტყვა, სამი მათგანი – სემინარიის გახსნის დღეს – 1782წ. 28 მაისს. 1. „განრჩევისათვის მეცნიერებისა და უმეცრებისა“. 2. „სიტყვა, თქმული დოსითეოზ ჩერქეზიშვილის მიმართ თელავის სემინარიის დაარსების ზეიმზე“ და 3. „სიტყვა, თქმული სტუმართა და სემინარიელთა მიმართ თელავის სემინარიის დაარსების ზეიმზე“,⁴³ ხოლო სემინარიის გახსნის წლისთავეზე – 1883წ. 28 მაისს „სიტყვა, თქმული სტუმართა და სემინარიელთა მიმართ საჯარო პაექრობაზე“.⁴⁴ ქადაგების სტილის ეს ოთხი სიტყვა მჭევრმეტყველების სანიმუშო მაგალითებია. მეხუთე სიტყვა – „მოკლედ ცხადყოფისათვის საღრამატიკოთა ჰაზრთა სარგებლობისა“⁴⁵ – სამეცნიერო ტრაქტატია, რომლის I ნაწილი წარმოადგენს ერეკლე მეფის, მისი მემკვიდრის – გიორგი ბატონიშვილის და ანტონ I კათოლიკოსის შესხმა-ხობას (H 1191). გაიოზ რექტორმა მეექვსე სიტყვა წარმოთქვა სიონის ტაძარში 1783წ.: „...სიტყვა შვერთებისათვის და მყარველობისა სამეფოსა საქართველომსა რუსეთის იმპერიისა თანა წელსა 1783, აგვისტოს 20 და თანამდებობითისა მადლობისა ესოდენისათვის მოწყალებისა ღეთის, თქმული...“⁴⁶

როგორც ვხედავთ, გაიოზ რექტორის „სიტყვები“ არ არის საღვთისმეტყველო ქადაგებები, ისინი სასულიერო-სამოქალაქო შინაარსის

43 ეს სამი სიტყვა პირველად გამოსცა ნ. მოვარელიშვილმა: თელავის სემინარია და პირველი მისი რექტორი გაიოზ ნაცელიშვილი, „ივერია“, №VIII, 1881.

44 პირველი სამი „სიტყვა“ მეორედ, ხოლო მეოთხე „სიტყვა“ პირველად გამოსცა ნ. კანდელაკმა: ქართული მჭევრმეტყველება, თბილისი, 1958, გვ. 194-205.

45 გაიოზის ეს მოხსენება ჯერ დაბეჭდა ალ. ხახანაშვილმა: „მოამბე“, 1902; ხოლო გავრცობილი მასალებით შესავალ წერილთან ერთად გამოაქვეყნა ალ. ბარამიძემ: „საჯარო პაექრობა თელავის სემინარიაში“, კრებული, I, სწავლა აღზრდის ისტორია საქართველოში, 1937, გვ. 51-66.

46 გამოც. შ. ხანთაძის მიერ „დროშა“, №5, 1954, გვ. 10. ტექსტი ინახება პეტერბურგში, საჯ. ბიბლიოთეკის ხელნაწ. განყოფილებაში, №219.

მოხსენებები, მაგრამ მან მოელი ცხოვრება რუსეთში გაატარა და სასულიერო იერარქიის მაღალ საფეხურსაც მიადწია: ის იყო ჯერ სარატოვისა და პენზის ეპარქიის ეპისკოპოსი, შემდეგ კი – ასტრახანისა და სტავროპოლის მთავარეპისკოპოსი (გარდაიცვალა 1821წ. ქ. ასტრახანში). აქედან დასკვნა: მას მრავალი ქადაგება ექნებოდა წარმოთქმული, თუმცა რუსულ ენაზე. მანამდე კი არქიდიაკონი გაიოსი 1772წ. ანტონ I-ის მეშვეობით პეტერბურგში აღმოჩნდა და ჯერ ალექსანდრე ნეველის ტაძრის სემინარიაში შეუდგა სასულიერო განათლების მიღებას, ხოლო შემდეგ სწავლა გააგრძელა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში (1775-1778წწ.). ამის შემდეგ დაიწყო მან პრაქტიკული სასულიერო მოღვაწეობა და, რა თქმა უნდა, მრავალი ქადაგება წარმოთქვა რუსულ ენაზე, მაგრამ მათი წერილობითი ან ბეჭდური დადასტურება არ გვაქვს – არც რუსული დედნებისა და არც ქართული თარგმანებისა. არსებობს ქართული ხელნაწერი – A-241, რომელსაც შემოუნახავს „ქადაგებანი და მოძღვრებანი“, რომელიც გაიოსის ქადაგებათა ქართული თარგმანი ეგონათ, მაგრამ კრებული პლატონ მოსკოვის მიტროპოლიტისა აღმოჩნდა, რომელიც გაიოს რექტორმა რუსულიდან თარგმნა⁴⁷.

მიტროპოლიტ ამბროსი ნეკრესელის (1728-1815წწ.) ქადაგებები. ამბროსი ნეკრესელმა (ერისკაცობაში ზაქარია მიქაძე) სასულიერო იერარქიის რთული გზა გაიარა. საღვთისმეტყველო განათლების მიღების შემდეგ იგი ერთხანს მღვდლად მსახურობდა. დაქვრივების შემდეგ ამბროსი მონაზვნად აღიკვეცა და მალე იკორთის მონასტრის არქიმანდრიტი გახდა. 1778 წელს იგი წილკნის ეპარქიის ეპისკოპოსად აკურთხეს. 1778-1789წწ. განაგებდა მანგლისის ეპარქიას, ხოლო 1793-1815წწ. ამბროსი ნეკრესის ეპარქიის მღვდელმთავარია მიტროპოლიტის ხარისხით. მართალია, იგი ერთხანს გადადგა ნეკრესელობიდან, მაგრამ კახეთის 1812წ. აჯანყების ჩახშობის შემდეგ დაუბრუნდა კათედრას და განაგებდა მას სიკვდილამდე – 1815 წლამდე, მიუხედავად სნეულებისა და მოხუცებულობისა.

ამბროსი ნეკრესელმა ორგვარი შინაარსის ქადაგებების მდიდარი მემკვიდრეობა დაგვიტოვა—რელიგიურ-დოგმატური და ისტორიულ-კუბლიცისტური (სულ 10). როგორც ცნობილია, მრავალი ცნობილი მქადაგებლის ქადაგებებმა ჩვენამდე ვერ მოადწია. ალბათ არ ხდებოდა მათი წერილობითი ფიქსაცია. ამ მხრივ ამბროსიმ წინდახედულება გამოიჩინა და მან თავისი ქადაგებების კრებული შეადგინა, რომელშიც მისი 43 ქადაგებაა შეტანილი (S177, 1795-1808წწ.; დანარჩენი 27 ქადაგება გაბნეულია სხვადასხვა კრებულებში (A1216; A1231 (ა.ბ.გ.); A1270; H447; H692; H974; H979; S4970; H983 (სამი „შესხმა“); A1245 (ერთი „შესხმა“).

47 რ. ზარამიძე, ქართული საისტორიო და ორატორული პროზა. გაიოს რექტორი, თბილისი, 1979, გვ. 207-223.

ამბროსი ნეკრესელის ქადაგებათა თემატიკა მრავალფეროვანია: საუფლო დღეებთან და სხვადასხვა რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებული ქადაგებები, რომლებსაც ეტყობათ ანტონ I-ის სქოლასტიკური სკოლის გავლენის კვალი. მეორე მხრით, საყურადღებოა მისი პუბლიცისტური ქადაგებები, რომლებშიც ის მიმოიხილავს თანამედროვე საზოგადოებისა და თავისი სამწყსოს ზნეობრივ მდგომარეობას, ხალხში გავრცელებულ ცრუმორწმუნეობას, ქრისტიანული ზნეჩვეულების დაქვეითებას, განათლების ნაკლებობას და სხვა. თავისი ქადაგებებით ის ცდილობს ამ ნაკლის აღმოფხვრას და ქრისტიანული მორალის გაძლიერებას. ამბროსი ცდილობდა გადატაკებული ხალხი, სხვა მიზეზებთან ერთად მაჰმადიანთა თარეშით დარბეული ქვეყნის მოსახლეობა, დაერწმუნებინა, არ დაეკარგათ ქრისტიანისა და ადამიანის მაღალი ღირსება, გამკლავებოდნენ ისლამის მოძალებას და ჰქონოდათ თავიანთი გავერანებული ქვეყნის აღორძინების რწმენა. ამბროსის ქადაგებებს დიდი მორალური და აღმზრდელი მნიშვნელობა ჰქონდა მორწმუნეთათვის. ჰომილექტიკურ თხზულებათა ბიბლიოგრაფიაში ამბროსი ნეკრესელის თითოეული ქადაგება ცალკე ერთეულად არის წარმოდგენილი, მითითებულია მათი შემცველი ხელნაწერები და გამოცემები, ხოლო სამეცნიერო ლიტერატურის სიაში – სამეცნიერო წერილები.

გაბრიელ მთავარეპისკოპოსი (ქიქოძე, 1825-1896წწ.). გაბრიელმა თავდაპირველი სასულიერო განათლება თბილისის სამაზრო სასწავლებელში, თბილისის სასულიერო სემინარიაში, ფსკოვისა და პეტერბურგის სასულიერო სემინარიებში მიიღო, ხოლო 1849წ. პეტერბურგის სასულიერო აკადემია დაამთავრა. 1849-1853 წლებში მსახურობდა თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად და რექტორის თანაშემწედ, ასწავლიდა ფიზიკას და მათემატიკას, პარალელურად, კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში – საღეთო სჯულს. 1851წ. მიენიჭა მაგისტრის ხარისხი. 1856 წელს ეკურთხა მღვდელ-მონაზვნად. 1858წ. აკურთხეს დაეით გარეჯის მონასტრის არქიმანდრიტად, ხოლო იმავე წელს – გორის ეპისკოპოსად. 1860 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე (+1896წ.) გაბრიელი იმერეთის მთავარეპისკოპოსია. გაბრიელი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და საპატიო წევრი. მან საკუთარი სახსრებით თავის ეპარქიაში რამდენიმე სახალხო-სასულიერო სკოლა გახსნა, ქუთაისში დაარსა ქალთა ეპარქიული სასწავლებელი და სასულიერო სემინარია. 1858წ. პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოქვეყნდა მისი კაპიტალური ნაშრომი: „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“, რომელიც რუსეთის სემინარიებში წლების განმავლობაში სახელმძღვანელო იყო.

გაბრიელი სახელგანთქმული მქადაგებელი და ორატორი იყო. იგი ებრძოდა ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას განათლების საქმეში. მისი მრავალრიცხოვანი ქადაგებები შეიძლება თემატურად რამდენიმე ნაწილად დაეყოთ: 1. სადღესასწაულო ქადაგებები – 58;

2. დიდმარხვის მოსამზადებელი კვირიაკეების ქადაგებები – 23; 3. დიდმარხვის ქადაგებები – 45; 4. აღდგომის ციკლის ქადაგებები – 16; 5. ყოველთა წმიდათა და მის შემდგომი კვირების ქადაგებები – 5; 6. სულიწმიდის მოფენის შემდგომი კვირების ქადაგებები – 60; 7. ეგზეგეტიკური შინაარსის ქადაგებები – 11; 8. სხვადასხვა თემებზე წარმოთქმული (ძირითადად სნეობრივი) ქადაგებები – 51.

გაბრიელ მთავარეპისკოპოსის ლიტერატურული მემკვიდრეობა არ არის წარმოდგენილი ძველი ქართული ხელნაწერების ფონდებში და მხოლოდ ამ მოღვაწის პირად არქივებში არის თავმოყრილი. ჩვენი ბიბლიოგრაფიების ძირითადი წყარო კი მხოლოდ ხელნაწერებია და ამიტომ ისე დეტალურად არ არის წარმოდგენილი ბიბლიოგრაფიაში და 269 ქადაგება მხოლოდ ერთ პარაგრაფშია ასახული. გაბრიელის ლიტერატურული ნამოღვაწარი რამდენჯერმე არის გამოცემული: ქადაგებანი იმერეთის გაბრიელისა თქმულნი 1860-1870 წლებში, ტომი I; გამოცემა მეოთხე, ქუთაისი, 1913; ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, თქმულნი 1870-1884 წლებში, ტომი II, გამოცემა მეორე, ქუთაისი, 1913. ეს გამოცემა უცვლელად განმეორდა 1989 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ, ასევე ორ ტომად. 1893 წელს გამოვიდა ქადაგებათა რუსული თარგმანი: „Слова и речи Гавриила, Епископа Имеретинского, Кутаис, 1893“, ხოლო 1967 წელს კი – ინგლისურ ენაზე.

საყურადღებოა ა. ნიკოლაიშვილის მონოგრაფია გაბრიელ მთავარეპისკოპოსის დიდი ღვაწლის შესახებ, რომელშიც ის აანალიზებს გაბრიელის ქადაგებების მნიშვნელობას ისტორიულ-ლიტერატურული კუთხით (გაბრიელ მთავარეპისკოპოსი (ქიქოძე), ქუთაისი, 1990).

მღვდელ-მონაზონ იონას (ხელაშვილის, 1775-1838წწ.) ქადაგება – „სიტყვანი“. იონამ დაწყებითი სასულიერო განათლება საქართველოში მიიღო და 1800 წელს ქვაბთახევის მონასტერში ბერად აღიკვეცა. შემდეგ, ერთხანს იგი მოგზაურობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იქაური ცხოვრების გასაცნობად, ხოლო შემდეგ რუსეთში გაჰყვა ფარნაოზ ბატონიშვილს, ჩავიდა მოსკოვში და დაუახლოვდა იქ მცხოვრებ ქართველ ბატონიშვილებს. მათ იონა პეტერბურგს გაგზავნეს, როგორც ერთ-ერთ თავისი თხზულების წინასიტყვაობაში ამბობს, „საჭიროებისათვის სწავლისა“, „მეცხრამეტისა საუკუნისა მეექუსესა წელსა (1806წ.), იანვარსა ოცსა“. იქ იგი შეიკედლეს დავით, იონან და მიხეილ ბატონიშვილებმა. დავით ბატონიშვილის შუამდგომლობით და იმპერატორ ალექსანდრე პირველის ბრძანებით იგი მიიღეს ალექსანდრე ნეველის აკადემიაში 1809 წლის 24 აპრილს, ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების კლასში, რომელიც დაამთავრა 1812წ. ამავე წლის 5 ოქტომბერს იგი დიაკვნად, ხოლო 10 ოქტომბერს – მღვდლად აკურთხეს. ეს იყო იონასთვის სასულიერო იერარქიის უმაღლესი საფეხური. აქედან იწყება იონას მოღვაწეობა ბატონიშვილებისა და საქართველოს სამეფო ოჯახის დედოფლებთან მოძღვრად და მწირველ-მლოცველად. თავდაპირველად მღვდელმონაზონი იონა გამოით-

ხოვა თავის მოძღვრად დავით ბატონიშვილმა, სადაც იონამ დაპყრო „მრავალ ჟამ“; შემდეგ „ჟამ რაოდენიმე“ ის ემსახურებოდა, როგორც მოძღვარი, პეტერბურგში მცხოვრებ იმერეთის დედოფალს ანას. როდესაც თეიმურაზ ბატონიშვილმა თავის სასახლეში ეკლესია გამართა, დავით ბატონიშვილმა მას მოძღვრად იონა დაუთმო. ამავე დროს იონა „მოწაფისა თვისისა“, იმერეთის დედოფლის, მარიამის მოძღვარიც იყო. სწორედ ქართულ მეფეთა ოჯახის წევრების კარის ეკლესიებში წარმოთქვა იონამ თავისი ქადაგებების უდიდესი ნაწილი.

იონა ხელაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა ასეა აღწერილი 1832წ. 17. III იონასთვის მიცემულ „მოწმობის წერილში“: „დღე და ღამე არ დასცხრები შენ შრომისათეს და შეთხვე შენ წიგნნი საღვთისმეტყველონი, საღმრთოთა წერილთა რომელთამე განმარტებანი, ქადაგებანი სადღესასწაულონი წელიწადისა და კურიაკეთა დღეთანი, ლექსიკონი ერცელი ქართულისა ენისა, შესხმანი და სხვადასხვანი სასარგებლონი წიგნნი და ეპისტოლენი სასულიეროთა მიმართ და სიბრძნის მოყუარეთა კაცთადცა არა ატარებ დღეთა შენთა უქმად და მარადჟამ შრომობ“. იონას შრომების სია გვხვდება მისი ზოგიერთი თხზულებების ხელნაწერების პირველ ფურცელზე, სადაც სხვადასხვა ჟანრის სხვადასხვა რაოდენობის თხზულებაა დასახელებული: S-279-ში – 42 თხზულება, ხოლო H-313; S-288 და ქუთ. 224 – თითო. A-7-ში – 54 ქადაგება-მოძღვრება, რომელთაგან 10 სხვადასხვა შემთხვევის გამოა წარმოთქმული, ხოლო 44 სქოლასტიკური ქადაგება მას კვირა დღეებზე, აღდგომიდან ვნების კვირიაკემდე პეტერბურგში, დედოფალთა და ბატონიშვილთა კარის ეკლესიებში წარმოუთქვამს. ქადაგებები დოგმატიკურ-ფილოსოფიური შინაარსისაა, გაჯერებული საღვთო წერილით.

იონას ყველა თხზულება ცალ-ცალკეა შეტანილი მწერლობის დარგების მიხედვით შედგენილ ბიბლიოგრაფიებში.

იონა მღვდელმონაზვნის შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან შესწავლილია მისი პირადი არქივი: „იონა ხელაშვილის ეპისტოლური არქივი (1809-1835წწ.), შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო გ. დედაბრიშვილმა, თბილისის უნივერსიტ. გამოცემა, 2000, სერიაში ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი, VI-VII (678 გ.).

იონას ქადაგებებისა და ეპისტოლეების შემცველი ხელნაწერებია: A-7 (1837წ., გვ. 13-54); A-1145 (1817-1837წწ., 354 ფ.); ორივე ხელნაწერი შეიცავს იონას 54 ქადაგებას. H-2226 (XIX, 396 ფ.) – 1 ქადაგებას; Q-743 (1812-1819წწ. 283 ფ.) – ერთ ქადაგებას.

ზაქარია მოძღვარი (გაბაშვილი, 1707-1783წწ.). მიუხედავად იმისა, რომ იონა ბატონიშვილის თქმით „ზაქარია გაბაშვილი... იყო ძველთა ფილოსოფიისა სწავლათა შინა გამოცდილი და ღვთისმეტყველებასაცა მიწვენილი, მშვენიერი რიტორი და უცხო (ე.ი. საუცხოო) მოქადაგე...“, ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ერთმა ქადაგება-შესხმამ, რომელიც

ექლენება სოლომონ I-ის გამარჯვებას თურქებზე ხრესილის 1774წ. ბრძოლაში. ეს „შესხმა“ სადღესასწაულო მკვერმეტყველების ნიმუშია, წარმოთქმული მაღალფარდოვანი რიტორიკის სტილში. ამ „შესხმის“ წერილობითი ვერსია შემორჩენილია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ერთადერთი ხელნაწერთ – H- 926, XVIII, გამოცემულია: ქართული მკვერმეტყველება, ძეგლები და მასალები, გამოსცა ნ. კანდელაკმა, თბილისი, გვ. 190-192; აგრეთვე, ნ. კანდელაკი, ქართული კლასიკური მკვერმეტყველება, თბილისი, 1961, გვ. 280-286.

იოანე ბატონიშვილი (1768-1830წწ.). იოანე ბაგრატიონი, მეფე გიორგი XII-ის ძე, იყო განმანათლებელი და ენციკლოპედისტი, მწერალი, მეცნიერი, ლექსიკოგრაფი და სახელმწიფო მოღვაწე, ფართო განათლების მქონე პიროვნება. მამის გარდაცვალების შემდეგ გადასახლდა რუსეთში და მთლიანად მიეცა სამწიგნობრო-საგანმანათლებლო მოღვაწეობას. მისი გამორჩეული ნაშრომი „კალმასობა ანუ ხუმართსწავლა“, რომელიც დაიწერა 1813-28წწ., ენციკლოპედიური ხასიათის ვრცელი თხზულებაა. ამასთანავე, ორატორული ხელოვნების იშვიათი ნიმუშიცაა. აქ ჩართულია იოანე ბატონიშვილის „სიტყვა, მიძღვნილი გიორგი მეთორმეტისადმი ომარ-ხანის დამარცხების გამო“. ეს არის „შესხმითი“ სიტყვა, კლასიკური სახობტო ძეგლი, რომელიც ატარებს შუა საუკუნეების ქადაგებათა ნიშნებს. მასში მრავლადაა ბიბლიურ-ისტორიულ პერსონაჟთა სახეები. „კალმასობაში“ ამ სიტყვის გარდა ჩართულია მკვერმეტყველების არაერთი ნიმუში. „კალმასობა“ რამდენიმე ხელნაწერს შემოუნახავს, გამოცემულია: I. კეკელიძისა და ბარამიძის მიერ (I-II ტომები, ტფილისი, 1935 -1948. 2. ც. კახაბრიშვილისა და ც. კიკვიძის მიერ (I, 1980 (639 გვ.); II, 1991 (537 გვ.).

კირიონ II კათოლიკოს-პატრიარქი (1855-1918წწ., ერისკაცობაში – გიორგი იერემიას ძე საძაგლიშვილი). ქართული ეკლესიის მოწამე წმინდანი, საქართველოს მართლმადიდებელი სამოქალაქო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის აქტიური მოღვაწე იყო, რისთვისაც ის გადასახლეს და ამიტომ მან თავისი შეგნებული ცხოვრების მრავალი წელი იძულებით გაატარა რუსეთში. მისი სამეცნიერო შრომები, რომლებსაც კირიონი აქვეყნებდა ქართულ და რუსულ ენებზე, მიზნად ისახავდა მტკიცებას, რომ საქართველოს ეკლესია უძველესი დროიდან ავტოკეფალური იყო და უნდა აღდგენილიყო ისტორიული სამართლიანობა. კირიონისა და ბევრი სხვა გამოჩენილი საერო და სასულიერო პირის თავდადებული ბრძოლის შედეგად 1917წ. საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია დაუბრუნდა და კირიონი კათოლიკოს-პატრიარქად აკურთხეს. 1918 წლის 26 ივნისს კი კირიონ II, როგორც ფიქრობენ, ავტოკეფალიის მოწინააღმდეგეებმა მარტყოფის მონასტერში მოკლეს. მან მრავალი სამეცნიერო ნაშრომი დაგვიტოვა, შეისწავლა რუსეთისა და საქართველოს მუზეუმებში, აგრეთვე მონასტრებში დაცული დოკუმენტები და საარქივო მასალა, იყო ცნობილი მქადაგებელი, თუმცა ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ერთმა, 1897 წლის 6 იანვარს საჯაროდ

წარმოთქმული ქადაგების ბეჭდურმა გამოცემამ, რომელიც შესულია 1901 წელს გამოცემულ ქადაგებათა კრებულში: „დღესა უფლისა ჩუენისა ნათლისღებისასა“ (გადმოიბეჭდა „საღვთისმეტყველო კრებულში“, №1, სრულიად საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1985, გვ. 10-14). კირიონის სხვა ქადაგებების მოუღწევლობის მიზეზად ასახელებენ იმ გარემოებას, რომ საეკლესიო საქმეებით ძალიან დატვირთულ კირიონს დრო აღარ რჩებოდა წარმოთქმული ქადაგების ტექსტის ჩასაწერად.

კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე ოქროპირიძე (1860-1921წწ., ერისკაცობაში ლონგინოზ ოქროპირიძე). კათოლიკოს-პატრიარქი იყო 1918-1921წწ.-ში. მის ქადაგებებში იგრძნობა მჭევრმეტყველის მაღალი ხელოვნება, რაც გამოიხატება მის მიერ ერთი და იმავე აზრის ნაირგვარი ორატორული ხერხით ჩამოყალიბებით, ეპითეტების სიუხვით, ვრცელი წილსელებით, არქაიზმებით. ლეონიდეს ქადაგებები ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ნაბეჭდი კრებულებით: „ქადაგებანი ქართველი წმინდანების დღეების შესახებ“, ფოთი, 1914, გვ. 5-281. ამ კრებულის გამოცემა განმეორდა 1990 წელს საქართველოს ეკლესიის კალენდარში (ექ. კოჭლამაზაშვილის რედაქციით); კრებულში 27 ქადაგებაა წარმოდგენილი, რომელთა თემატიკას წარმოადგენს საქართველოს ეკლესიის წმინდანთა ხსენების დღეებში და საეკლესიო დღესასწაულებზე წარმოთქმული „სიტყვები“ და „მოძღვრებანი“ (აბო, ნინაობა, ანტონ მარტყოფელი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, იოანე ზედაზნელი, ექვთიმე ათონელი, არჩილი და ლუარსაბ მეფეები, გიორგი მთაწმიდელი, იოანე ათონელი (ივერის), ეესტათი მცხეთელი, რაუდენი, შუშანიკ დედოფალი, ქეთევან დედოფალი, ბიძინა, შალვა და ელიზბარი, სვეტიცხოვლობა, დავით და კონსტანტინე, კონსტანტინე ქართველის, ილარიონ ქართველის, აბიბოს ნეკრესელის, სტეფანე ხირსელის, შიო მღვიმელის წმ. ნაწილების აღმოსვენება, დავით გარეჯაში მოწყვდილთა ექვსი ათასი მოწამე).

კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია, 1861-1927წწ., ერისკაცობაში ბესარიონ ხელაია). დაწყებითი სასულიერო განათლების მიღების შემდეგ მსახურობდა დიაკვნად, შემდეგ — მღვდლად. 1896წ. შევიდა ყაზანის სასულიერო აკადემიაში და იქ ყოფნის დროს ბერად აღიკვეცა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ამბროსი აქტიურად ჩაერთო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში, რაც გახდა მიზეზი მისი დეენისა და ორჯერ რუსეთში გადასახლებისა (1905 და 1908 წლებში) სხვადასხვა ცრუ ბრალდებით. ამბროსი სამშობლოში მხოლოდ 1917 წელს დაბრუნდა, 1921 წლის 14 სექტემბერს ამბროსი მცხეთაში კათოლიკოს-პატრიარქად აკურთხეს. გარდაიცვალა ამბროსი 1927წ. და დაასაფლავეს სიონის ტაძარში. 1995წ. ამბროსი საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

ამბროსი ხელაიას ქადაგებების დიდი ნაწილი რუსულ ენაზეა წარმოთქმული 1910-1917წწ.-ში რუსეთში, ნოვგოროდის გუბერნიის ქ. სტა-

რიაი რუსას მონასტერში მისი წინამძღვრობისას, ხოლო 1917 წლიდან, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ – ქართულ ენაზე, რომლებიც წერილობითაც არის შენახული მის პირად არქივში.⁴⁸ მისი ქადაგებების რიცხვი ორასს აჭარბებს. ქადაგებები წარმოთქმულია ყველა საეკლესიო დღესასწაულთან დაკავშირებით, წმინდანთა ხსენების დღეებში, სახარებისსულ და ზნეობრივ თემებზე, აგრეთვე საეკლესიო საკითხების განმარტების მიზნით. ამბროსი ხელაიას პირად არქივში დაცულია 100-ზე მეტი სიტყვა, წარმოთქმული რომელიმე ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით, საეკლესიო პირების გარდაცვალების გამო ან სულის მოსახსენიებელ დღეებში, აგრეთვე სადღესასწაულო სიტყვები სასულიერო პირთა კუროხევის დღეებში. ეს მდიდარი პოშილეტიკური მემკვიდრეობა მალე გამოქვეყნდება.

რადგან ორიგინალური პოშილეტიკის ბიბლიოგრაფიაში ჩვენ შეგვაქვს მხოლოდ ხელნაწერ ფონდებში დაფიქსირებული პოშილეები XIX-ის ჩათვლით (ზოგჯერ XXს. დასაწყისისაც), ავტორის პირად არქივში წარმოდგენილი მასალა არ შეგვიძლია შევიტანოთ ბიბლიოგრაფიაში ცალკეულ ერთეულებად, ჯერ ერთი მისი გვიანდლობის გამო, მეორეც მათი სიმრავლის გამო (მაგ., ამბროსის პირად არქივში წარმოდგენილია ორასი ქადაგება და ასი „სიტყვა“, გაბრიელ ქიქოძის არქივში – 269 და ა.შ.), ამიტომ ასეთ ავტორებს ვუთმობთ ერთ პარაგრაფს, რომელშიც წარმოდგენილია ქადაგებათა და სიტყვათა საერთო რაოდენობა და გამოცემული კრებულები.⁴⁹

კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე; 1866-1952წწ.). დაწყებითი სასულიერო განათლების მიღების შემდეგ (1882-1888წწ.), 1892წ. მან დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია. 1893 წლიდან მსახურობდა დიაკვნად, მღვდლად, 1925წ. აკურთხეს ნინოწმიდელ ეპისკოპოსად და მიენიჭა მიტროპოლიტის პატივი. 1932წ. საეკლესიო კრებამ აირჩია საქართველოს ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქად. კალისტრატე ცინცაძეს უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში, ხოლო კომუნისტური რეჟიმის პირობებში – ქართული ეკლესიის გადარჩენის საქმეში. მან დაგვიტოვა ღრმა აზრის შემცველი ქადაგებები (დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ყოფილი ხელნაწერთა ინსტიტუტის კალისტრატე ცინცაძის ფონდში). ზოგი მათგანი ნაბეჭდი სახით არის შესული 370 ფურცლიან ტომში, მათი ნაწილი სხვადასხვა წლებში არის გამოქვეყნებული იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში. ამ კრებულში ქადაგებების გარდა შეტანილია კალისტრატეს მიერ წარმოთქმული სამგლოვიარო სიტყვები, სხვადასხვა ღირსშესანიშნავ მოვლენებთან დაკავშირებული სიტყვები

48 არქივის აღწერილობა შეადგინეს: მ. ქაეთარიამ, მ. მეტრეველმა და ი. ხოსიტაშვილმა, თბილისი, 2011.

49 მ. მაისურაძე, ქართული ორიგინალური პოშილეტიკა, წიგნში: ნარკვევები ძველ-ქართულ სასულიერო მწერლობის ისტორიიდან, I, თბილისი, 2012, გვ. 526-590.

და სხვ.³⁰(გამოც. ნ. პაპუაშვილისა, კალისტრატე ცინცაძე, ქადაგები და სიტყვები, თბილისი, 2015).

ბიბლიოგრაფიაში კალისტრატე ცინცაძის ქადაგებების საერთო რაოდენობა წარმოდგენილია ერთ პარაგრაფად, იმავე მიზეზით, რაც ვთქვით ამბროსი ხელაიასთან დაკავშირებით.

არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე (1899-1942წწ). საქართველოს ეკლესიის წმინდანი, მოღვაწეობდა საზღვარგარეთ: ჯერ სწავლობდა გერმანიაში, სადაც სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა (დაიცვა სადოქტორო დისერტაცია: „ქართულ-ბერმონაზვნობის ისტორია მისი დასაწყისიდან 1064 წლამდე. წელიწადი აღმოსავლური ბერმონაზვნობის ისტორიაში“). 1931 წლის 18 აპრილი გრიგოლი ლონდონის ბერძნულ მონასტერში ბერად აღიკვეცა, ხოლო იმავე წლის მაისში კი პარიზის ბერძნულ ეკლესიაში მღვდლად აკურთხეს. პირველი წირვა მან 1931 წლის 31 მაისს ჩაატარა მშობლიურ ენაზე პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიაში, რომლის წინამძღვრადაც ის დაინიშნა და სიცოცხლის ბოლომდე ასე მოიხსენიებოდა. 1934წ. ლონდონში, წმ. სოფიის საკათედრო ტაძარში გრიგოლს არქიმანდრიტის ხარისხი მიანიჭეს. 1942 წლის მაისში იგი ნაცისტებმა დააპატიმრეს (საბჭოთა კავშირის აგენტობის, პოლონელ იატაკქვეშელებთან თანამშრომლობის და ებრაელების გამოქომაგების ბრალდებებით). აღესრულა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში (თავი გასწირა სხვა ტუსაღების სიცოცხლის შესანარჩუნებლად). საქართველოს ეკლესიამ გრიგოლ ფერაძე 1995წ. წმინდანად შერაცხა.

გრიგოლ ფერაძის ჰომილეტიკური მემკვიდრეობიდან მოღწეულია სულ 13 ქადაგება. აქედან 11 ქადაგება გაერთიანებულია ციკლში: „შინაარსი ჭეშმარიტ მოქალაქობისა“ და წარმოადგენს „მამაო ჩვენო“-ს განმარტებებს, ხოლო ორი ქადაგება – „შობისათვის“ და „სამრევლოში შესვლისათვის“ – წარმოთქმულია პარიზის წმ. ნინოს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში ჩატარებულ პირველ წირვაზე, 1931წ 31 მაისს.

ცამეტივე ქადაგების პირველი პუბლიკაცია თვით გრიგოლ ფერაძემ განახორციელა: „ჯვარი ვაზისა“-ს პირველ სამ ნომერში (პარიზი, №1-1931; №2-1932; №3-1933).

არსებობს ცალკეული ქადაგებების პუბლიკაციების საკმაოდ დიდი რაოდენობა, რომელთაგან დავასახელებთ: თბილისის სასულიერო აკადემიის გამოცემა (რედაქტორი ს. გოგინაშვილი), 2001, გვ. 7-21; ჟურ. „თაიისუფლება“, №3, ტფილისი, 2003, გვ. 28-32 (ნ. პაპუაშვილის გამოცემა); გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 5, თბილისი, 2004, გვ. 482-486 და სხვ.ალსანიშნავია გ.ჯაფარიძის, ნ.პაპუაშვილის, თ.ჭუმბურიძის ნაშრომები გრიგოლ ფერაძის შესახებ.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ერისკაცობაში ირაკლი გიორგის ძე ღუდუშაური-შიოლაშვილი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დაიბადა 1933წ. ვლადიკავკაზში, სადაც მისი მშობ-

ლები ხევიდან გადავიდნენ საცხოვრებლად 1927 წელს. მან ჯერ ელადი-კაეკასში მიიღო დაწყებითი განათლება, შემდეგ დაამთავრა მოსკოვის სასულიერო სემინარია (1952-1955წწ.). 1956 წელს შევიდა და 1960წ. დაამთავრა ზაგორსკის სასულიერო აკადემია და დაიცვა დისერტაცია თემაზე „ათონის ივერთა მონასტრის ისტორია“. 1957წ. აღიკვეცა მონ-აზუნად თბილისის ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში; 1959წ. მღვდელ-მონაზონი გახდა; 1961 წელს მას არქიმანდრიტის პატივი მიენიჭა; 1963 წელს აკურობეს ბათუმ-შემოქმედის ეპისკოპოსად; 1967 წლიდან განაგებდა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას; 1969წ. მიენიჭა მიტროპოლიტის პატივი; 1977 წლის 23 დეკემბერს მიტროპოლიტი ილია საქართველოს ეკლესიის მეთორმეტე ადგილობრივმა კრებამ, რომელიც გაიმართა სიონის საპატრიარქო ტაძარში, კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია.

ილია II-მ თავისი პატრიარქობის 37 წლის მანძილზე, 1977 წლი-დან დღემდე მრავალ საეკლესიო, სახელმწიფოებრივ და ქართველი ხალხის საჭირობო საკითხზე იქადაგა და მრავალი საღვთისა-წაულო ეპისტოლე გამოაქვეყნა, რომლითაც დიდად შეუწყო ხელი ეკლესიისადმი ხალხის ნდობის განმტკიცებას და ქართველი მრევლის სულიერი ცხოვრების აღორძინებას. ილია II-ის შემოქმედებითი ნაღ-ვაწი 1977-2008 წლებში დაიბეჭდა სამ წიგნად, რომლებშიც შეტანი-ლია: ეპისტოლეები, სიტყვანი, ქადაგებანი. 2006 წელს გამოიცა ილია II-ისადმი მიძღვნილი კრებული „ნათელი ქრისტესი“ (I და II ტომები), რომელშიც სხვა ავტორთა აქტუალურ სტატიებთან ერთად, დაბეჭდი-ლია ილია II-ის ლოცვები და ეპისტოლეები, ხოლო 2012 წელს გამოვი-და პატრიარქის ქადაგებებიდან გაკეთებული ამონარიდების კრებული სახელწოდებით: „სულიერი მეგზური“.

ავტორ-შქადაგებლები, რომელთა ქადაგებებს ჩვენამდე არ მოუღწევია.

მიტროპოლიტ ნიკოლოზ რუსთაველის (XVII-XVIII სს) შესახებ ანტონ კათალიკოსი „წყობილსიტყვაობაში“ წერს: „ნიკოლოსის მეს-მნეს ქადაგებანი სახლსა რაჲ ჩემსა, დროსა სიჭაბუკისასა, განაკვირ-ვებდა მაღალუნობა მსმენთა, აქებდეს, ჰრაცხდეს მის დროს შინათა ყოველთა თქმულთა უმაღლეს-უმჯობესად“ (სტროფი 679). არადა ნიკო-ლოზის არც ერთი ქადაგება ჩვენამდე არ შემონახულა.

კათოლიკოს ბესარიონ ორბელიშვილის (+1737წ.) შესახებ იგივე ანტონი წერს: „ქადაგებანი შენნი, ნეტარ მამაო წრფელნი ნაუბნი, გარ-ნა მსგავსებანი ჰაველეს.. მაქსოვან, რომელი საწად იყენეს მსმენელთა“ (სტრ. 665), არც ბესარიონის ქადაგებები შემოუნახავს ხელნაწერებს.

გერმანე ხუცესმონაზონის (XVIII ს.) შესახებ ანტონ I წერს „წყო-ბილსიტყვაობაში“: „ამისნი იყენეს მსმენთად ქადაგებანი სასიამოვნო არა უმეცარ ნასიტყუ“ (სტრ. 793-794), არც გერმანეს ქადაგებანს არ მოუღწევიათ ჩვენამდე.

იობ ფიტარეთელი, ფიტარეთის მონასტრის წინამძღვრის (XVII-XVIII სს.) შესახებ ანტონი წერს „წყობილსიტყვაობაში“: „შუენიერ იყო იობ სიტყუათა შინა და სამღვდელთა წერილთა ზედმიწევნილ, .

ქადაგებანი ვისმინენ მეცა მისნი...“ (სტრ. 791), არც იობის ქადაგებებს მოუღწევიათ ჩვენამდე.

საქარია ჭიჭინაძე წიგნში „ქართული მწერლობა XIII-დან მეთექვსმეტე საუკუნემდე“, ტფილისი, 1885, ასახელებს პიმენ სალოსს (1216-1294წწ.), რომელიც აღზრდილა დავით გარეჯის უდაბნოში და რომელსაც დაუტოვებია „სიტყვანი და ქადაგებანი თაეისი, ერო წიგნად“ (ამ ცნობას უნდობლობით ეკიდება კ. კეკელიძე). ანტონი კი წერს: „... პიმენ ქადაგა ქრისტე ბარბაროსადმი.“ (წყობილ. სტრ. 774-776). არც ერთი ქადაგება პიმენისა არაა ცნობილი. მთელი წყება მქადაგებლებისა დასახელებული ჰყავს იოანე ბატონიშვილს „კალმასობაში“, კერძოდ, მის ერთ-ერთ თაეში „მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის (XV-XIXსს-ში)“:

ანტონ II კათალიკოსი (1762-1812წწ.) – „ღრმა ღმრთისმეტყველი და მოქადაგე კარგი, რომელსა ყოველთვის ძალ-უძს მოუშადებლად ქადაგების თქმა“. დეკანოზ სოლომონ ალექსის ძეს წარმოუთქვამს „სიტყვანი შესხმათანი... გიორგი მეფის ძის დავითისადმი, ოდეს მოიქცა ძლევითა აგარიანთაგან 1789წ. 29 ოქტომბერს“. ვარლამ ერისთავი, საქ. ეგზარქოსი 1811-1814წწ. – „ქმნა საუფლოთა და სხვათა დღესასწაულთ ქადაგების წიგნი, საამო სასმენი და კარგი დათხზული“. გაბრიელ, ჯვრის მამის დეკანოზი – „კარგი მწერალი და მოქადაგე კეთილი“; ეფთვიმე მჭედლიშვილი (არქიმანდრიტი) – „სათნოებითა ზედა უცხო მოქადაგე“; დეკანოზი ნიკოლაოზ ბიჭიაშვილი – „უცხო მოქადაგე, რომელმანცა მრავალი ქადაგებანი გამოთქუა“; ნიკოლაოზ ხუცესი (გაბაშვილი) – „კარგი მოქადაგე და შესხმათა შემთხზეული“; მღვდელ-მონაზონი ფილადელფოს კიკნაძეს (1794-1839წწ.) წარმოუთქვამს ქადაგება მღვდელმოქმედების შესახებ, თბილისი, 1997. დეკანოზი იერონიმე საბაგლიშვილი (კირიონ II-ის მამა); მღვდელი იოველ გამრეკელი („მოძღვრებანი მღვდლის, იოველ გაბრიელის ძის გამრეკელისა“. ტფ., 1960); მღვდელ-მონაზონი ალექსი შუშანია („მოძღვრებანი დაყუდებულის მღვდელ-მონაზონის ალექსისანი“, გამოცემა თეკლათის დედათა მონასტრისა, ფოთი, 1901); დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე; ძმები კარბულაშვილები: დეკანოზი პოლიევქტი, მღვდელი ვასილი და მღვდელი ფილიმონ.

ორიბინალურ კომილტიკურ თხზულებათა ბიბლიოგრაფია

1. აგარაკის ნაყოფიერებისათვის
სიტყუა კვირიაკესა ოცდამეექუსესა, ნაყოფიერებისათვის სრულიად
ამისი აგარაკისა
იონა ხელაშვილი (1775 – 1838 წწ.)
„კაცისა ვისმე მდიდრისა ნაყოფიერ იყო აგარაკი...“
A-7 (1837წ.), გვ. 400-405; A-1145 (1817-1837წწ.).
შენიშვნა: იხ. §4-ის შენიშვნა.

2. ადამის ექსორიობისათვის(განდევნისათვის)
სწაულა-ქადაგება ადამის ექსორიობისათვის დღესა კვირიაკესა...
ამბროსი ნეკრესელი(1728-1815წწ.)
„ღუთისა კაცთმოყვარებითისა და ჩვენდა მომართისა შეწყალები-
სათვის ერთსა მოწყალებითსა წინასწარმეტყველებასა რასამე და-
ლაღებს დავით მამა ღუთისა...“
S-177(1795-1808 წწ.);

შენიშვნა: გამოც. 1. დ. ჯანაშვილისა, ქადაგებანი და მოძღვრებანი,
თქმულნი ამბროსი ნეკრესელ ეპისკოპოსის მიერ, თბილისი, 1881, გვ.
200-207 (ქადაგების დასათაურებისას ვეყრდნობით გამომცემლის მიერ
შემოთავაზებულ დასათაურებებს); 2. მღ. გიორგი ხელაძისა, საქართ-
ველოს მახარობელი, 1868 გვ. 278-284.

3. [ავეტიქა] არქიებისკოპოსისადმი მიწერილი ეპისტოლე
მის ყოვლადუსამღვდელესობის არქიებისკოპოსს, ჩემს სარწმუნოს
მეგობარს

ანტონ I კათოლიკოსი(1788წ.)
„თქუენის ყოვლადუსამღვდელოების ეპისტოლე მივიღე...“
H-2510(XVIII), გვ. 23.
შენიშვნა: გამოც. მ. ქავთარიასი, XVIII ს. საზოგადოებრივი აზროვნე-
ბის ისტორიიდან, თბილისი, 1977, გვ. 154.

4. ათი სიტყვის შემცველი ორი მცნება
სიტყუა კვირიაკესა მეთხუთმეტესა, ათთა მათ შემცუელისა
სიტყუათა ორთა მცნებათა შინა.

იონა ხელაშვილი (1775-1838წწ.)
„აჰა, სჯულნი და ნამცნებნი ზეცისა და ქუყანისანი ურთიერთისა-
გან დიდ ფრიად განშორებულ არიან...“
A-7 (1837წ.), გვ. 301-309; A-1145 (1817-1837წწ.)
შენიშვნა: ქადაგებათა უმრავლესობა იონა ხელაშვილმა წარმოთქვა
(და დაწერა) სანკტ. პეტერბურგში მოღვაწეობის პერიოდში ქართველ

ბატონიშვილების კარის ეკლესიებში 1812- 1830წწ. ქადაგებები გამოუცემელია.

5. ალექსი მესხიშვილისადმი მიწერილი ეპისტოლე

ანტონი კათოლიკოსი-პატიოსანსა მღუდელსა, უპირატესსა ალექსისს...

ანტონ I კათოლიკოსი(1788წ.)

„ოდეს-იგი ოსიას ვისმე მიერ ახლისა...“

H-247(1756წ.), 1r-2r; S-1158(XVIII); S-1512(XVIII) .

შენიშვნა : გამოც. 1. ხელნაწერთა აღწერილობა, H-ფონდი, ტომი I, თბ.,1946, გვ.174-176. 2. მ. ქავთარიასი, დასახ. წიგნი. გვ. 130-131. აქვეა დაბეჭდილი ანტონის კიდევ ორი ეპისტოლე ალექსისადმი გვ.132-133 .

6. ამაღლებისათვის

ამაღლებას უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი ამბროსი ნეკრესელი (1728-1815წწ.)

„მრავალნი მაღალნი და ღიდ-ღიდნი საქმენი იმოქმედნა ღმერთმან და გეიწვენა ჩვენ...“

H-979 (XVIII), 20v-22v.

შენიშვნა: გამოც. მ. ჭაბაშვილისა, ამბროსი ნეკრესელი, თბილისი, 2003, გვ.182-186

7. ამბროსი კათალიკოსის ქადაგებანი

ამბროსი კათალიკოს-პატრიარქი (ხელაია; 1861-1927წწ.)

ამბროსი ნეკრესელი (1728-1815წწ.)

„მ სიხარული ესე, ღვთისმოყვარენო, დაუსრულებელითა საკვირ-
ველებითა განსაცხრომელი...“

S-177 (1895-1808წწ.)

შენიშვნა: გამოც. დ. ჯანაშვილისა, ქადაგებანი და მოძღვრებანი
ამბროსი ნეკრესელ ეპისკოპოსის მიერ, ტფილისი, 1881., გვ. 76-83.

271. ღვინისმსმელთა და მემთვრალეთათვის

ღვინის მსუმელთათვს და მემთრვალეთათვს

იოანე ბოლნელი (Xს.)

“მერმე კუალად მეგულებების მე უწყებად თქუენდა...“

A-70 (XIIIს.), 141r-143

შენიშვნა: გამოც. I.მ. ჯანაშვილისა, იოანე ბოლნელი, ქადაგებები,
ტფილისი, 1911, გვ. 82-85; 2.იე. იმნაიშვილისა, ქართული ენის ისტო-
რიული ქრესტომათია, თბილისი, 1953, გვ. 302-304

272. ყოველთა წმიდათა კვირიაკესა

ყოველთა წმიდათა კვირიაკესა

ამბროსი ნეკრესელი(1728-1815წწ.)

„თვით თავადმან ღვთისა მაღლისა გვამოვანმან სიტყვამან და სი-
ბრძენმან...“

A-1231(XIX), 2r-7v.

შენიშვნა: გამოც. მჭაბაშვილისა, ამბროსი ნეკრესელი, ქადაგებანი,
თბილისი, 2003, გვ.88-94.

273. ყოველთა წმიდათა მეორე კვირიაკესა

კვირიაკესა მეორესა შემდგომად ყოველთა წმიდათასა

ამბროსი ნეკრესელი(1728-1815წწ.)

„რაკი რომ ნათელს-ილო ქრისტემა ოცდაათისა წლისამა, მაშინთვე
იწყო ქადაგება...“

H-979 (XVIII), 25r-27r.

შენიშვნა: გამოც. მ. ჭაბაშვილისა, ამბროსი ნეკრესელი, ქადაგებანი, თბილისი, 2003, გვ.194-201.

274. ყოველთა წმინდანთა მეოთხე კვირიაკეს

კვირიაკესა მეოთხესა შემდგომად ყოველთა წმიდათასა
ამბროსი ნეკრესელი(1728-1815წწ.)

„მაღალი სიმდაბლე, საესის სარწმუნოებითა, ღმერთ მამაკაცს იესოს შემოეყარა მოწყალების სათხოვნელადა...“

H-979(XVIII), 27r-29v.

შენიშვნა: გამოც. მ. ჭაბაშვილისა, ამბროსი ნეკრესელი, ქადაგებანი, თბილისი, 2003, გვ.202-209.

275. ყოველთა წმინდანთა მეხუთე კვირიაკეს

კვირიაკესა მეხუთესა შემდგომად ყოველთა წმიდათასა
ამბროსი ნეკრესელი(1728-1815წწ.)

„ესე ყვედრება და თხოვნა ეშმაკთა კმა იყო...“

H-979 (XVIII), 43v-46v.

შენიშვნა: გამოც. მ. ჭაბაშვილისა, ამბროსი ნეკრესელი, ქადაგებანი, თბილისი, 2003, გვ.249-257.

276. ყოველთა წმიდათა შემდგომ მეშვიდე კვირიაკეს

კვირიაკესა მეშვიდედა შემდგომად ყოველთა წმიდათასა
ამბროსი ნეკრესელი(1728-1815წწ.)

„მოგვარეს მას კაცი ყრუ და ეშმაკეული...“

H-979 (XVIII), 37v-40r.

შენიშვნა: გამოც.: მ. ჭაბაშვილისა, ამბროსი ნეკრესელი, ქადაგებანი, თბილისი, 2003, გვ.233-240.

277. ყოველთა წმინდანთა შემდგომ მერვე კვირიაკეს

კვირიაკესა მერვესა შემდგომად ყოველთა წმიდათასა
ამბროსი ნეკრესელი (1728-1815წწ.)

„თუმცაღა ყოველნი საქმენი ღვთისანი ნიადაგ განსაკვირვებელნი არიან...“

A-1231(XIX), 10v-15r.

შენიშვნა: ასეთი სახელწოდების მეორე ქადაგება არის H-979(XVII-Is.), 32r-35v. ორივე გამოც.: მ.ჭაბაშვილისა, ამბროსი ნეკრესელი, ქადაგებანი, თბილისი, 2003, გვ. 95-102; 217-227.

278. ყოველთა წმინდანთა კვირიაკესა

სიტყუა კვირიაკესა ყოველთა წმიდათასა
იონა ხელაშვილი (1775-1838წწ.)

“ნუ გონებთ, ვითარმედ მოვედ მე მოფენად მშვიდობისა...“

A-7 (1837წ.), გვ. 205-213; A-1145 (1817-1837წწ.)

შენიშვნა: იხ. § 3-ის „შენიშვნა“.

279. ყოვლადწმინდისა ჩვენი მფარველობისათვის

სწავლა ყოვლადწმიდისა ჩუენ ზედა მფარველობისათვის

სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725 წწ.)

„დადგა დედოფალი მარჯუენით შენსა... –დავით იტყვს მდ(44) ფსალმუნსა შინა“

A-479(1729წ.), გვ. 515-516; ლიტ.მუზეუმ. 20068(1811წ.).

შენიშვნა: გამოც. ივ. ლოლაშვილისა, ს.ს. ორბელიანი, თბილისი, 1963, გვ.168-171.

280. შეცოდებათა მიტევებისათვის

შეცოდებათა მიტევებისათვის

ანტონ ცაგერელ- ჭყონდიდელი(+1815წ.)

„მაცხოვარი და უფალი ჩუენი იესო გვიბრძანებს...“

A-719(XIX); A-1163(1867წ.); A-1478(1831წ.); H-77(1854წ.); H-669(XIX)

შენიშვნა: გამოც. ბესარიონ ეპისკოპოსისა, ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებანი, ქუთაისი, 1898, გვ.247-258.

281. შობიდან ბრმის კვირიაკისათვის

სიტყუა დღესა შობითგან ბრმისა კვირიაკესა, რომელმან იხილა ნათელი

იონა ხელაშვილი (1775-1838წწ.)

„აწ მოსრულნო გულისმის-ყოფად ოთხთა ამათ წინადადებათაგან...“

A-7 (1837წ.), გვ. 181-188; A-1145 (1817-1837წწ.)

შენიშვნა: იხ. § 4-ის „შენიშვნა“.

281ა. შობისათვის ქრისტესი

თქუმული წმიდისა დედისა ჩუენისა ნინოისი, რომელმან ქადაგა ქრისტე ქართლსა შინა, შობილი წმიდისა ქალწულისა მარიამისაგან წმინდა ნინო(IVს.)

“აწ მოვედით და ვიხილოთ წესი წინაწარმოღებულისა ამის სიტყუსაჲ...“

A-95(XI),39r-43r; H-40(1892წ.),გვ.171-179.

შენიშვნა: წმ. ნინოს ავტორობა ფსევდო-ეპიგრაფიკული უნდა იყოს. გამოც. 1. მჯანაშვილისა, История грузинской церкви, кн.I,Обращение Картвелинцев, Тбилиси1898,стр.87-93. 2.მღვდელ ელ. ვახტანგაძისა, წმინდა ნინო, ქადაგებანი, თბილისი, 2012(36გვ.).

282. შობისათვის

სწავლითი ქადაგება ყოვლად წმიდის შობისა...

ამბროსი ნეკრესელი (1728 – 1815წწ.)

„ეხედეთ ჩვენ დღესა ამას, კეთილმორწმუნენო მსმენელნო...“

S-177 (1895-1808წწ.)

შენიშვნა: ზუსტად ასეთი სახელწოდების მეორე ქადაგებაც არის ამ კრებულში. გამოც. დ. ჯანაშვილისა, ქადაგებანი და მოძღვრებანი, თქმულნი ამბროსი ნეკრესელ ეპისკოპოსის მიერ, თბილისი, 1881, გვ. 62-69; 70-76.

283. შობისათვის უფლისა და სიმდაბლისათვის

სწავლად შობისათვის უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი, სიმდაბლისათვის

სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725წწ.)

„შენ, ბეოლემ, ქუეყანა ეგე იუდასი, არა სადა უმრწემეს ხარ მთავართა შორის იუდასსა...“

A-479 (1729წ.), გვ. 115-130; S-1168 (XVIII); ლიტ. მუხ. . 0068 (1811წ.); ხელოვნ. მუხ. 379 (XVII)

შენიშვნა: გამოც. ივ. ლოლაშვილისა, ს. ს. ორბელიანი, თხზულება-ნი, III, თბილისი, 1963, გვ. 51-55; S-1168 წყდება მე-7 სწავლიდან.

284. შობისათვის

სიტყუა შობისათვის ქრისტე ღუთისა

იონა ხელაშვილი (1775-1838წწ.)

„ხოლო იესოს შობასა ბეთლემს პურიასტანისასა...“

A-7 (1837წ.), გვ. 29-44; A-1145 (1817-1837წწ.)

შენიშვნა : იხ. § 4-ის „შენიშვნა“.

285. შურისათვის

შურისათვისა

ანტონ ცაგერელ-ჰყონდიდელი(+1815წ.)

„იტყვის ბრძენი სოლომონი: შური სიხენეშისა დააბნელებს სულსა...“

A-719(XIX); A-1163(1867წ.); A-1478(1831წ.); H-77(1854წ.); H-669(XIX).

შენიშვნა : გამოც.ბესარიონ ეპისკოპოსისა,ანტონ ჰყონდიდელის ქადაგებანი, ქუთაისი,1898,გვ. 118-128.

286. შურისათვის

კურიაკესა მეექვსესა მარხეათასა ქადაგება შურისათვის

ნიკოლოზ დადიანი (დაახ. 1746-1834წწ.)

„წინასწარმეტყუელთა შორის წარჩინებული დიდი ისაია იტყუვს : „ შურმან შეიპყრას ერი უსწავლელი და აწ ცეცხლმან შესჭამნეს წინააღმდეგომნი...“

H-1008 (1826წ.); S-291(1827წ.)

შენიშვნა: გამოც. მ. ბუკიასი, ანტონ ჰყონდიდელის დიდი მარხეის-საგალობლები, თბილისი, 2007.

287. ცოდვის გზაზე არდადგომისათვის
სწავლა ცოდვითა ზედა დაუდგრომელობისათჳს, ნააღდგომეჳს ქა-
დაგება

სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725წწ.)

„ნეტარ არს აკცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა და
გზასა ცოდვილთასა არა დადგა – დავით იტყჳს წინასწარმეტყველი
ა(1)) ფსალმუნსა შინა...“

A-479 (1729წ.), გვ. 477-498; ლიტ. მუზ. 20068 (1811წ.)

შენიშვნა: გამოც. ივ. ლოლაშვილისა, ს.ს. ორბელიანი, თბილისი, 1963, გვ. 156-160.

288. ცოდვისაგან მობრუნებისათვის

ცოდვისაგან მოქცევისათვის

ანტონ ცაგერელ-ჰყონდიდელი(+1815წ.)

„ბრძანებს უფალი პირითა ისაია წინასწარმეტყველისათა...“

A-719(XIX); A-1163(1867წ.); A-1478(1831წ.); H-77(1854წ.); WH-669(XIX).

შენიშვნა : გამოც. ბესარიონ ეპისკოპოსისა, ანტონ ჰყონდიდელის
ქადაგებანი,ქუთაისი,1898,გვ.52-62.

289. ცუდად მეტყველებისათვის

ცუდათ მეტყუელებისათვის

ანტონ ცაგერელ-ჰყონდიდელი(+1815წ.)

„იტყვის მამად ღვთისა წოდებული დავით წინასწარმეტყველი...“

A-719(XIX);A-1163(1867წ.); A-1478(1831წ.); H-77(1854წ.); H-669(XIX).

შენიშვნა : გამოც.ბესარიონ ეპისკოპოსისა,ანტონ ჰყონდიდელის ქა-
დაგებანი,ქუთაისი, 1898,გვ.236247.

290. ცხოვრებაში შესვლისათვის

სიტყუა კვირიაკესა მეთორმეტესა, რათა, რომელთა ნებაესთ
ცხოვრებასა შესლვა, იქმოდე საქმეთა ღვთისათა

იონა ხელაშვილი (1775-1815წწ.)

“მოვედით, კეთილმსახურნო, კუალადცა გულისმის-ყოფად...“

A-7 (1837წ.), გვ. 278-285; A-1145 (1817-1837წწ.)

შენიშვნა: იხ. § 4-ის „შენიშვნა“.

291. ძელის დღესასწაულისათვის

მაისსა ზ(7) ქადაგება-სწავლა ძელისა ჭეშმარიტისა...

ამბროსი ნეკრესელი (1728-1815წწ.)

„მოვედით, ქრისტეს მოყვარენო ერნო, და განვაგეოროთ იროიკო
ესე ქმნილი...“

S-177 (1895-1808წწ.)

შენიშვნა: გამოც.: დ. ჯანაშვილისა, ქადაგებანი და მოძღვრებანი,
თქმული ამბროსი ნეკრესელ ეპისკოპოსის მიერ, თბილისი, 1881, გვ. 48-55.

292. წინადაცვეთისათვის

იანუარსა ა(1) წინადაცვეთისა

ამბროსი ნეკრესელი (1728-1815წწ.)

„სახელედების ყოველთ შემოქმედს ღმერთსა იესო...“

H-979(XVIII), 46v-51r.

შენიშვნა: გამოც. მჭაბაშვილისა, ამბროსი ნეკრესელი, ქადაგებანი, თბილისი, 2003, გვ.258-264.

293. წყობილსიტყვაობა (ნაწილი V)

„თუს ქართველთა წმიდათა “

ანტონ I კათალიკოსი(1720-1788წწ.)

„განზომილებანი სიტყუანი შენაწყობნი “–შესავალი 1 სტროფი; თავი I: თთუესა სეკდემბერსა 13. „თუს წმიდისა ღიდისა მოწამისა დედოფლისა ქეთაეანისა: პშუენიან სძალსა უქმნელისა სიტყუსას...“ (8 სტროფი)

A-334(1768წ.);H-192(1781წ.);H-225(1802წ.);H-2152(1808წ.);H-2307(1800წ.); S-1(1768წ.); S-346(1768წ.) ც.არქ.325(1788წ.); S-1464(1760წ.–„სადღესასწაულ-წყობილსიტყვაობის ფრაგმენტები, მათ შორის „თუს ქართველთა წმიდათა “. დანარჩენ შვიდ ხელნაწერს აღარ ვუთითებთ.

შენიშვნა: თხზულების წარმოდგენილი ნაწილი არის ქართველ წმინდანთა „შესხმა“ - ენკომიები, გადმოცემული იამბიკური ლექსით და ამიტომ შეეიტანეთ ისინი ჰომილეტიკაში, თუმცა ერთ პარაგრაფად, რადგან ჰიმნოგრაფიაში თითოეული მათგანი გატანილია ცალ-ცალკე (სულ 28) გამოც. 1. პლ. იოსელიანისა, წყობილსიტყვაობა, ქმნილი ანტონისაგან პირველისა..., ტფილისი, 1853. 2. რ. ბარამიძისა, ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, თბილისი, 1972. 3. ივ. ლოლაშვილისა, ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, თბილისი, 1980.

294. წყობილსიტყვაობა (ნაწილი VI)

თუს ქართველთა რომელთამე მეფეთა ჩინებულთა

ანტონ I კათალიკოსი (1720-1788წწ.)

„თუ ბარბაროსთა მივერჩდე ქება-სტიხით, კვამს მაშინ ქებად ფარნაეზ მეფე დიდი “–შესავალი 2 სტროფი, თავი I: თუს მირიან I ხოსროვანისა: „ მირიან დიდსა რჩეულს...“(7 სტოფი)

A-334(1768წ.); H-192(1781წ.); H-225(1802წ.); H-2152(1808წ.); H-2307(1800წ.); S-1 (1768წ.); S-346(1768წ.); ც. არქ. 325(1788წ. დანარჩენ შვიდ ხელნაწერს აღარ ვუთითებთ.)

შენიშვნა: თხზულების წარმოდგენილი ნაწილი არის ქართველ გამორჩეულ მეფეთა „შესხმა“. ამიტომ შეეიტანეთ ის ჰომილეტიკაში, თუმცა მხოლოდ ერთ პარაგრაფში. გამოც.: 1.პლ.იოსელიანისა, წყობილსიტყვაობა, ქმნილი ანტონისაგან პირველისა, ტფილისი, 1853. 2.რ.ბარამიძისა, ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, თბილისი,

1972. 3. ივ. ლოლაშვილისა, ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, თბილისი, 1980.

295. წყობილსიტყვაობა (ნაწილი VII)

„თუხ ქართველთა სიბრძნის-მოყვარეთა კაცთა მწიგნობართა“
ანტონ I კათალიკოსი (1720-1788წწ.)

„რაბამ სატრფო არს ვსენება კაცთა ბრძენთა...“—შესავალი 1 სტროფი. თავი I: თუხ მამისა იოანე კათოლიკოსისა, ოქროპირ ზედწოდებულისა: „არა უჯამს არს ვსენება აქა მწყემსთა...“

A-334(1768წ.); H-192 (1781წ.); H-225(1802წ.); H-2152(1808წ.); H-2307 (1800წ.); S-1(1768წ.); S-346(1768წ.);ც.არქ.325 (1788წ. —დანარსენ შვიდ ხელნაწერს აღარ ვუთითებთ).

შენიშვნა: თხზულების წარმოდგენილი ნაწილი არის ქართველ მწიგნობართა და მწერალთა „შესხმა“, ამიტომ შევიტანეთ პომილეთიკაში, თუმცა ერთ პარაგრაფში. გამოც.:I.პლ. იოსელიანისა, წყობილსიტყვაობა ქმნილი ანტონისაგან პირველისა, ტფილისი, 1853. 2. რ.ბარამიძისა, ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, თბილისი, 1972. 3. ივ. ლოლაშვილისა, ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, თბილისი, 1980.

296. ხარებისათვის

ხარებისათუხ ყოვლად წმიდისა, სწავლა-ქადაგება...

ამბროსი ნეკრესელი (1728-1815წწ.)

„როდესაც ღმერთმან მოსე წინასწარმეტყველი გამოარჩია...“

S-177 (1895-1808წწ.)

შენიშვნა: გამოც. დ. ჯანაშვილიისა, ქადაგებანი და მოძღვრებანი, თქმული ამბროსი ნეკრესელ ეპისკოპოსის მიერ, ტფილისი, 1881, გვ.92-97

297. ჯვარის ამაღლებისათვის

ქადაგება- სწავლა სეკდემბერსა იდ (14) ამაღლებასა ცხოველსმყოფელისა ჯვარისასა...

ამბროსი ნეკრესელი (1728-1815წწ.)

„ამ უცხოხ ფრასისა და კეთილწყობით და ანაქსის სწავლა-ქადაგებასა ცხოველს-მყოფელის ჯვარისათუხ... დასწერს მოძღვარი ეკლესიისა იოანე ოქროპირი...“

S-177 (1895-1808წწ.)

შენიშვნა : კრებულში არის ამავე სახელწოდების მეორე ქადაგებაც. გამოც. : დ. ჯანაშვილისა, ქადაგებანი და მოძღვრებანი, თქმული ამბროსი ნეკრესელ ეპისკოპოსის მიერ, თბილისი, 1881, გვ. 34-41; 41- 48.

298. ჯვარის აღებისათვის

სიტყუა კვირიაკესა მესამე მარხვათასა, ჯუარისა აღებისათვის იონა ხელაშვილი (1775-1838წწ.)

„რა სარგებელ არს კაცისა...“

A-7 (1837წ.), გვ. 487-492; A-1145 (1817-1837წწ.)

შენიშვნა: იხ. § 4-ის „შენიშვნა“.

298. ჯვარცმისა ანუ ჯვარის დღესასწაულისათვის სიტყვა ჯვარცმისა ან ჯუარის დღესასწაულისათვის ამბროსი ნეკრესელი (1728-1815წწ.)

„ღუთისა სიტყვისა წერილთა წერთილნო...“

S-177 (1895-1815წწ.)

შენიშვნა : გამოც. : დ. ჯანაშვილისა, ქადაგებანი და მოძღვრებანი, თქმული ამბროსი ნეკრესელ ეპისკოპოსის მიერ, თბილისი, 1881, გვ. 55-61.

299. ჯოჯოხეთის სატანჯველისათვის

სწაელად ჯოჯოხეთის სატანჯველისათვის

სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725წწ.)

„ჯოჯოხეთი არს, ჰოი ცოდვილნო, უეჭველად, თუცა მრავალნი არიან, რომელნი არა ჯერან...“

A-479 (1729წ.), გვ. 151-170; ლიტ. მუზ. 20068, (1811წ.); ხელოვნ. მუზ. 379 (XVIII)

შენიშვნა: გამოც. ივ. ლოლაშვილისა, ს.ს. ორბელიანი, თხზულებანი, III, თბილისი, 1963, გვ. 61-67.

საკანონმდებლო

1. ავტორთა

ამბროსი კათალიკოსი (ხელაია) – §7.

ამბროსი ნეკრესელი – §§2, 6, 11, 17, 28, 34, 42, 48, 49, 60, 62, 63, 64, 66, 74, 77, 85, 95, 99, 101, 104, 114, 123, 128, 136, 138, 139, 143, 144, 151, 169, 172, 178, 179, 180, 188, 191, 192, 196, 197, 203, 209, 230, 239, 240, 241, 244, 245, 246, 252, 257, 267, 271, 273, 275, 276, 277, 278, 279, 284, 293, 294, 298, 299, 301.

ანონიმი – §§73, 262.

ანტონ I კათალიკოსი – §§3, 5, 9, 13, 16, 29, 30, 72, 79, 87, 88, 89, 93, 94, 102, 106, 108, 111, 118, 125, 145, 163, 182, 183, 185, 189, 190, 198, 207, 208, 217, 248, 295, 296, 297.

ანტონ ცაგარელი-ჭყონდიდელი – §§8, 10, 15, 20, 21, 39, 41, 43, 56, 82, 92, 116, 127, 142, 150, 152, 153, 160, 165, 167, 212, 227, 228, 231, 232, 235, 259, 260, 265, 282, 287, 290, 291.

არსენ იყალთოელი – §57

ბეგთაბეგი – §46

გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე) – §36

გაბრიელ მცირე – §§37, 38, 39, 195, 205, 242.

გაიოზ რექტორი – §§65, 75, 96, 140, 147, 201, 237, 238.

გიორგი მცირე – §50

გრიგოლ არქიმანდრიტი (ფერაძე) – §54

დადიანი ნიკოლოზ – §§124, 159, 229, 261, 288

დავით აღმაშენებელი – §58

დავით ბატონიშვილი – §146

დავით ტულუკაშვილი – §97

ეფრემ მცირე – §55

ვარლამ მიტროპოლიტი (ერისთავი) – §14

ვახტანგ ბატონიშვილი – §80

ზაქარია მოძღვარი (გაბაშვილი) – §234

ილია II კათალიკოს-პატრიარქი – §100

იოანე ბატონიშვილი – §§47, 244.

იოანე ბოლნელი – §§23, 32, 120, 126, 130, 158, 164, 173, 174, 175, 193, 176, 194, 214, 272.

იოანე ოსეს ძე – §12

იონა არქიმანდრიტი (ხელაშვილი) – §§1, 4, 22, 25, 26, 27, 35, 40, 44, 45, 53, 59, 67, 71, 78, 86, 98, 105, 107, 109, 117, 121, 131, 132, 133, 134, 137, 148, 155, 157, 161, 166, 184, 186, 187, 199, 200, 202, 204, 206, 210, 211, 216, 218, 219, 222, 247, 250, 253, 266, 269, 280, 283, 286, 292, 300.

კალისტრატე კათალიკოსი (ცინცაძე) – §110

კირიონ II კათალიკოსი (საძაგლიშვილი) – §§112, 181.

კონსტანტინე დიდი – §113

ლევონიდე კათალიკოს-პატრიარქი (ოქროპირიძე) – §115

ლევონიძე სოლომონ – §76

ნიკოლოზ კათალიკოსი (გულაბერიძე) – §220

ნინო განმანათლებელი – §§178, 281ა

სულხან-საბა ორბელიანი – §§19, 24, 31, 51, 52, 61, 68, 69, 70, 81, 83, 84, 90, 91, 115, 119, 122, 129, 135, 149, 154, 156, 162, 168, 170, 171, 213, 221, 223, 224, 226, 233, 236, 243, 245, 249, 251, 256, 258, 263, 264, 268, 281, 285, 289, 302.

ტიმოთე მთავარეპისკოპოსი (გაბაშვილი) – § 269.

2. ხელნაწერთა

(ფონდების აღმავალი ნომრების მიხედვით)

A

(ყოფილი საეკლესიო მუზეუმის, ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერთა ფონდი)

A-7, §§1, 4, 22, 25, 26, 27, 35, 40, 44, 59, 67, 71, 78, 86, 98, 107, 117, 121, 133, 134, 137, 139, 148, 155, 157, 161, 166, 184, 186, 199, 202, 206, 210, 211, 218, 219, 222, 247, 250, 253, 266, 269, 280, 283, 286, 292, 300. A-19 §§19,178; A-22, §§22, 292. A-70, §§126, 272. A-76, §57. A-77, §150. A-95, §§32, 120, 130, 132, 164, 176, 193, 254, 281ა; A-130, §220. A-137, §105. A-144, §§23, 120, 132, 193, 254, 255. A-170, §220. A-171, §57. A-224, §205. A-232, §§38, 242.;A-334, §§295, 296, 297. A-348, §348. A-403, §37. A-479, §§18, 19, 24, 31, 43, 51, 52, 61, 68, 69, 70, 81, 83, 84, 90, 91, 119, 122, 129, 13, 141, 142, 154, 156, 160, 162, 168, 170, 171, 213, 215, 221, 223, 224, 225, 226, 233, 236, 243, 249, 251, 256, 258, 260, 263, 264, 268, 281, 285, 289, 302. A-513, §20. A-522, §37. A-719, §§8, 10, 15, 20, 33, 41, 56, 82, 116, 127, 150, 152, 153, 165, 167, 182, 212, 227, 228, 231, 232, 235, 259, 265, 282, 287, 290, 291. A-1102, §57. A-1145, §§1, 4 22, 25, 26, 27, 35, 40, 44, 59, 67, 71, 86, 98, 107, 117, 121, 133, 134, 137, 139, 148, 155, 157, 161, 166, 184, 186, 199, 202, 204, 206, 210, 211, 218, 219, 247, 250, 253, 266, 269, 280, 283, 286, 292, 300. A-1163, §§8, 10, 15, 20, 21, 33, 41, 43, 56, 116, 127, 141, 142, 151, 152, 153, 160, 165, 167, 182, 212, 222, 227, 228, 231, 232, 235, 259, 260, 265, 282, 287, 290, 291. A-1216, §246. A-1231, §§239, 273, 279. A-1259, §§220. A-1270, §76. A-1448, §§14, 58, 73, 113. A-1478, §§8, 10, 15, 20, 21, 33, 41, 43, 56, 82, 93, 116, 127, 141, 142, 150, 152, 153, 160, 165, 167, 182, 212, 227, 228, 231, 232, 235, 259, 260, 282, 287, 290, 291.

H

(ყოფილი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერთა ფონდი)

H-18, §106. H-40, §178, 281ა. H-54, §46. H-70, §147. H-77, §§8, 10, 15, 20, 21, 33, 41, 43, 56, 82, 116, 127, 141, 152, 153, 160, 165, 167, 182, 212, 227, 228,

231, 232, 235, 259, 260, 282, 287, 290, 291. H-138, §76. H-192, §§295, 296, 297. H-198, §146. H-225, §§295, 296, 297. H-229, §96. H-247, §§5, 118. H-272, §103. H-313, §53. H-434, §97. H-669, §§8, 10, 15, 20, 21, 33, 41, 43, 56, 82, 116, 127, 141, 152, 160, 165, 167, 182, 212, 227, 228, 231, 232, 235, 259, 260, 282, 287, 290, 291. H-692, §99. H-772, §88. H-886, §§8, 15, 43. H-926, §234. H-974, §§123. H-979, §§6, 34, 42, 62, 63, 64, 85, 104, 138, 197, 203, 240, 241, 275, 276, 277, 278, 294. H-983, §§28, 74, 114. H-1008, §§8, 20, 21, 49, 124, 159, 229, 261, 288. H-1196, §58. H-1334, §§87, 102, 207. H-1460, §112. H-1748, §37. H-1775, §§8, 15, 21, 43. H-2014, §§8, 15, 43. H-2117, §12. H-2134, §47. H-2152, §295. H-2196, §244. H-2222, §105. H-2291, §238. H-2307, §§295, 296, 297. H-2853, §145. H-2510, §§3, 13, 16, 29, 30, 72, 79, 88, 89, 94, 108, 163, 183, 185, 198. H-1512, §103. H-1670, §§57. H-2152, §§296, 297.

S

(ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერთა ფონდი)

S-1, §§295, 296, 297, S-29, §8. S-50, §76. S-54, §38. S-77, §144. S-137, §45. S-177, §§2, 10, 17, 48, 49, 60, 66, 77, 95, 101, 128, 136, 143, 169, 172, 178, 179, 180, 188, 191, 196, 209, 230, 245, 252, 257, 267, 271, 284, 293, 298, 299, 301. S-288, §200. S-291, §§15, 20, 21, 43, 124, 159, 229, 261, 288. S-346, §§295, 296, 297. S-353, §50. S-388, §§45, 105, 109, 131, 200. S-410, §72. S-1113, §80. S-1145, §78. S-1158, §5. S-1168, §§19 68, 70, 135, 162, 236, 243, 285. S-1272, §125. S-1273, §72. S-1464, §295. S-1512, §§5, 88, 207. S-1532, §105. S-1779, §151. S-2436, §39. S-2600, §39. S-3244, §270. S-3650, §195. S-3726, §76. S-5374, §47

Q

(ყოფილი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ახალი კოლექციის, ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერთა ფონდი)

Q-78, §125. Q-80, §§270, 296ა. Q-81, §§187, 200. Q-720, §47.

ც.არქ.

(საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ხელნაწერთა ფონდი)

ც.არქ. 325, §§295, 296, 297.

ლიტ. მუზ.

(საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი)

ლიტ. მუზ. 20068, §§18, 19, 24, 31, 51, 52, 61, 68, 69, 70, 81, 83, 90, 91, 119, 129, 135, 149, 154, 156, 162, 168, 171, 215, 221, 223, 224, 225, 226, 233, 236, 249, 251, 256, 258, 263, 264, 268, 285, 289, 302

ხელ. მუზ.

(საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი)

ხელ. მუზ. 379, §§19, 52, 68, 69, 70, 81, 83, 91, 119, 129, 135, 154, 162, 216, 225, 226, 233, 236, 243, 251, 263, 264, 285, 302.

ქუთ.

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი)

ქუთ. 17, §57. ქუთ. 25, §57. ქუთ. 48, §270. ქუთ. 574, §§19, 68, 69, 70, 91, 122, 135, 243.

ლენინგ.

(სანკტ-პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდი)

ლენინგ. 100, §75. ლენინგ. 219, §201.

Ier.

(იერუსალიმის საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდი)

Ier. 43, §55. Ier. 44, §194.

Sin.

(სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდი)

Sin. 44, §§32, 130, 132, 254.

Ath.

(ათონის მთის ივერთა მონასტრის ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდი)

Ath. 11, §§32, 120, 130, 132, 158, 164, 173, 174, 175, 194, 214, 254, 25

სამეცნიერო ლიტერატურა ორიგინალური ჰომილეტიკის შესახებ⁵¹

აბრამიშვილი ელისო, კირიონის პირადი საარქივო ფონდი, მრავალ-
თავი, I, თბ., 1971;

ამბროსი კათალიკოს-პატრიარქი (ხელაია), “მე შევასრულე ჩემი
მოვალეობა“, ჟურნ. “მნათობი“, 1988, №10;

ამბროსი ნეკრესელი, ქადაგებანი, ტექსტები გამოსაცემად მოამზა-
და და გამოკვლევა დაურთო დეკანოზმა მიქაელ ჭაბაშვილმა, თბილი-
სი 2003.

ამბროსი ხელაიას პირადი არქივის აღწერილობა, შეადგინეს: მ.ქა-
ვთარიამ, მ. მეტრეველმა და ი.ხოსიტაშვილმა, თბილისი, 2011, გვ.32-34.

ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, გამოსაცემად მოამზადა,
გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშე-
ვილმა, თბილისი, 1980;

ანტონ ცაგარელ-ჭყონდიდელის ქადაგებანი, თ. ჟორდანიას წინასი-
ტყვაობითა და რედაქციით, ქუთაისი, 1898 (გამოიცა იმერეთის ეპისკო-
პოსის, ბესარიონის ხარჯით);

ანტონ ჭყონდიდელის დიდი მარხვის ქადაგებები, ტექსტი მოიძია,
გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო მანანა ბუკიამ, საგ-
ამომცემლო სახლი “ინოვაცია“, თბილისი, 2007;

წმ. აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი“, კრებული
შეადგინა და კომენტარები დაურთო ჯ. გამახარიათ, აფხაზეთის მეცნ.
აკადემია, თბ., 2006;

ბარამიძე ალექსანდრე, საჯარო პაექრობა თელავის სემინარიაში,
სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, მასალების კრებული, I,
1937, გვ. 51-66.

ბარამიძე ალექსანდრე, სულხან-საბა ორბელიანი - ცხოვრება და
ლიტერატურული მოღვაწეობა, 1959, გვ. 73-82;

ბარამიძე რევაზი, სარწმუნოებრივი ინდიფერენტის გამომახილი
XVIII ს-ის ჰომილეტიკაში, ძველი ქართული ლიტერატურა (XI-XVIII
სს.), თბ., 1977;

ბარამიძე რევაზი, “აღორძინების ხანის“ ქართული ჰომილეტიკის
ისტორიიდან, ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის
საკითხები, 7-8, “მეცნიერება“, 1976;

ბარამიძე რევაზი, ანტონ ცაგარელ-ჭყონდიდელის ჰომილეტიკური
მემკვიდრეობა, მაცნე, ელს, №4, 1978;

ბარამიძე რევაზი, მასალები ნიკოლოზ რუსთველის ბიოგრაფიი-
სათვის, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი ალ. ბარამიძის დაბადების

51 ესარგებლობო მ.მანისურაძის მიერ შედგენილი სამეცნიერო ლიტერატურით,
ნარკვევები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან, I, თბილისი, 2012,
გვ.583-590.

70 და სამეცნ.-კედაგ. მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი, თბ., 1974, გვ. 15-20;

ბარამიძე რევაზი, ქართული კათოლიკური ჰომილიები, ლიტერატურათმცოდნეობა, თბ., 21, 1981;

ბარამიძე რევაზი, ქართული საისტორიო და ორატორული პროზა, სულხან-საბა ორბელიანი, გაიოს რექტორი, თბ., 1979, გვ. 207-223; გვ. 90-206;

ბარამიძე რევაზი, ნარკვევები ქართული მწერლობის ისტორიიდან, თბილისი, 1990;

გაბიძაშვილი ენრიკო, ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა, თბილისი, 2009.

წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებათაგან გამოკრებილნი სწავლანი“, შეადგინეს გვ. კოპლატაძემ და გრ. რუხაძემ, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, საქ. ეკლესიის კალენდარი, თბ., 2001;

წმ. გაბრიელ მცირე, წმ. იოანე ოქროპირი, ღვთიესულიერნი სწავლანი, რომელსა ეწოდების კლიტე“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა და შენიშვნები დაურთო დაეით ჩანადირმა, თბ., 2011;

გაიოს რექტორის ცალკეულ ქადაგებათა გამოცემები: 1) მთავრელიშვილი ნ., ჟურნალი “ივერია“, №8, 1881. 2) კანდელაკი ნ., “ქართული მკვებრმეტყველება“, თბ., 1958. 3) ხანთაძე შ., ჟურნალი “დროშა“, №5, 1959. 4) მეფარიშვილი ლ., ჟურნალი “სკოლა და ცხოვრება“, თბ., 1963.

გამახარია ჯემალი, წმინდა აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, თბ., 2006;

გამახარია ჯემალი, წმიდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) 150-ე წლისთავისათვის, თბილისი, 2012.

გურგენიძე ვახტანგი, ამბროსი ხელაია, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, “წმ. მარიაშის წილხვედრი ქვეყანა“, წ. II, თბ., 199

გურგენიძე ვახტანგი, მღვდელმთავარი, მეცნიერი, განმანათლებელი (გ. ქიქოძის დაბადებიდან 160 წლისთავის გამო), საღვთისმეტყველო კრებული, 1985, 3 (რემინგტონზე ნაბეჭდი);

დარჩია მარიაში, გაიოს რექტორი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1972.

ედილაშვილი ც., გაბრიელ ეპისკოპოსი მართლმადიდებელი ქრისტიანობისა და ეკლესიის მნიშვნელობის შესახებ, “მნათობი“, 2001, №3-4.

ვარდოსანიძე სერგო, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში, თბ., “მეცნიერება“, 2001;

ვარდოსანიძე სერგო, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია საქართველოში 1800-1921 წწ-ში, თბ., “მეცნიერება“, 1980;

ვარდოსანიძე სერგო, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II, გამომცემლობა „ორთოდოქს-კიპრელი“ (საბერძნეთი), 1994;

ვარდოსანიძე სერგო, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდი, თბ., 2000;

ვარდოსანიძე სერგო, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927), თბ., 2005.

ვარდოსანიძე სერგო, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი (1921-1927 წწ.), თბ., 2009.

ვარდოსანიძე სერგო, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II, თბ., 2007.

ვარდოსანიძე სერგო, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, გამომცემლობა “ნათლისმცემელი”, თბილისი, 2008.

ვარდოსანიძე სერგო, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III (1927-1932 წწ.), თბ., 2010.

ილია II, სიბრძნით აღეპართენით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ეპისტოლენი, ნათელი ქრისტესი, საქართველო, წიგნი II, თბ., 2006, გვ. 349-862.

ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, წ. I. II, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 1997; წიგნი III, 20.

ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის სავედრებელი ლოცვები, ნათელი ქრისტესი, საქართველო, წიგნი II, თბ., 2006, გვ. 18-27.

იოანე ბატონიშვილი, კალმასობა ტ. II, 1948, გვ. 141.

იოანე ბატონიშვილი, კალმასობა: “მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის (XVI-XIX სს.), გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, “მეცნიერება”, თბილისი, 1982.

იონა ხელაშვილის ეპისტოლური არქივი (1809-1835 წწ.), შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო გულნარა დედაბრიშვილმა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000.

კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (აღსაყდრების 50-ე და გარდაცვალების 30-ე წლისთავი)“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1982, გვ. 143-162.

კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე და მისი ქადაგებები“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1990, გვ. 117-319.

კალანდარიშვილი ელისო, სულხან-საბა ორბელიანის “სწავლანი“, ჟურნალი “სკოლა და ცხოვრება“, №3, 1989.

კალანდარიშვილი ელისო, სულხან-საბას “სწავლათა“ ლიტერატურული წყაროები, ჟურნალი “სკოლა და ცხოვრება“, №2, 1989.

კალისტრატე კათოლიკოს-პატრიარქი (ცინცაძე) სრულიად საქართველოს კათოლიკოს- “ჩემი მოგონებებიდან“, თბ., 2001.

კანდელაკი ნიკოლოზი, სულხან-საბა ორბელიანი როგორც მკერამიტიკველი, ცისკარი, №10, 1959.

კანდელაკი ნიკოლოზი, ქართული კლასიკური მკვერმეტყველება, ნარკვევები ქართული ორატორული ხელოვნების ისტორიიდან, თბ., "ხელოვნება", 1961, გვ. 270-279; 287-290; გვ. 327-333.

კანდელაკი ნიკოლოზი, ქართული საელჩო მკვერმეტყველება, სულხან-საბა ორბელიანი, თბ., "ლიტერატურა და ხელოვნება, 1966, გვ. 168-179.

კეკელიძე კორნელი, პომილეტიკა, სულხან-საბა ორბელიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980, გვ. 557-558.

კეკელიძე კორნელი, ზოგი რამ სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებიდან, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, XIV, თბ., 1986, გვ. 149-151.

კეკელიძე კორნელი, სულხან-საბა ორბელიანი, "ცხოვრების გზა", "სწავლანი", ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VIII, თბ., 1962, გვ. 298-305; 330-333.

კეკელიძე კორნელი, ანტონ ცაგარელ-ჭყონდიდელი, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1980, გვ. 391-395.

კეკელიძე კორნელი, გაიოზ რექტორი, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1980, გვ. 387-390.

კეკელიძე კორნელი, კათოლიკოსი ანტონ პირველი, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1980, გვ. 372-385.

კელენჯერიძე მელიტონი, გაბრიელ, ეპისკოპოსი იმერეთისა (მისი დრო, ცხოვრება და მოღვაწეობა), ტ. I, ქუთაისი, 1913.

კვესელავა ი., ანტირელიგიური ღონისძიებანი საქართველოში 1921-25 წწ-ში, ჟურნალი "მაცნე", ისტორიის სერია, 1979, №1.

კიკნაძე ვასილი, სამარადისო შარავანდედი, კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის ცხოვრება და მოღვაწეობა, კრებული "ქრისტიანობა საქართველოში", თბ., 2000.

კიკნაძე ვასილი, ეროვნული და საკაცობრიო პრობლემათიკა XIX ს-ის ქართველი სასულიერო მოღვაწეების შემოქმედებაში (ეპისკოპოსები: გაბრიელ ქიქოძე, კირიონ საძაგლიშვილი, პეტრე კონჭოშვილი, ღეთისმეტყველების კანდიდატი მიხეილ საბინინი), თბილისი, 2009.

კირიონ II, კათოლიკოს-პატრიარქი, წერილები, სტატიები, გამოსაცემად მოამზადა ნატო ბუკიამ, თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახ.-ის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2006.

კობალაძე მ, სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანის“ ენისათვის, თსუ შრომები, ტ. 3 (142), 19.

კობალაძე მ, სულხან-საბა ორბელიანის "სწავლანის" სტილის ზოგიერთი საკითხი, მაცნე, ელს, №1, 1972.

კონჭოშვილი პეტრე, ქრისტიანულ მოძღვრებასა და სამწყსოს ურთიერთდამოკიდებულების შესახებ), "ლოგოსი" 2004, II, 56-63.

კოჭლამაზაშვილი ექვთიმე, ათონის, კლარჯეთისა და პარხლის მრავალთავთა ორიგინალური პომილეტიკის ქრონოლოგიისათვის,

საერთაშორისო კონფერენცია: “უცხოეთის ქართული მემკვიდრეობა“, მოხსენებათა თეზისები, თბ., 2011, გვ.46-48.

კუკავა თამარი, ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან (XVII-XIX სს-ის პირველი ნახევარი), თბილისი, 1967.

ლოლაშვილი ივანე, სწავლანი, თქმულნი სულხან-საბა ორბელიანის მიერ, ლიტერატურა და ხელოვნება, №28, 1949.

ლოლაშვილი ივანე, სულხან-საბა ორბელიანის “სწავლანი“ და “სამოთხის კარი“, საიუბილეო კრებული, საქ. მეცნ. აკად. გამოცემა, 1959, გვ. 135-150.

ლოლაშვილი ივანე, სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან, 1959.

მაისურაძე მანანა, მელიქიშვილი ნინო, მცირე ცნობები ქართული ნათარგმნი და ორიგინალური პომილექტიკური მწერლობის შესახებ (IV-XIX სს.), გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2006, გვ. 41-53,5.

მაისურაძე მანანა, მელიქიშვილი ნინო, ქართული ნათარგმნი და ორიგინალური პომილექტიკური ლიტერატურა, ნარკვევები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან, I, მაქსიმე აღმსარებელის სახ. საერთაშორისო სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ცენტრი, თბილისი, 2012, გვ. 263-579.

მამა ვლადიმერი (ვახტანგაძე), წმ. ნინოს ქადაგებანი, თბილისი, 2014.

მელიქიშვილი ნინო, მაისურაძე მანანა, მცირე ცნობები ქართული ნათარგმნი და ორიგინალური პომილექტიკური მწერლობის შესახებ (IV-XIX სს.), გელათის მეცნ. აკადემიის ჟურნალი, 5, 2006, გვ. 41-53.

მელიქიშვილი ნინო, მაისურაძე მანანა, ქართული ნათარგმნი და ორიგინალური პომილექტიკური ლიტერატურა, თბილისი, 2012, გვ. 263-579.

მთვარელიშვილი ნ. თელავის სემინარია და მისი პირველი რექტორი გაიოზ ნაცვლიშვილი, “ივერია“, 1881, № VIII.

მუმლაძე თ., გაბრიელ ქიქოძის რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებები, ნაწ. 1, 2, 3, თბილისი, 2005.

წმ. მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი“, კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯ. გამახარიამ, აფხაზეთის მეცნ. აკადემია, თბ., 2006;

წმ. მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) და აფხაზეთი, კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბილისი, 2007;

წმ. მღვდელმოწამე კირიონ II და აფხაზეთი“, კრებული შეადგინა და კომენტარები დაურთო ჯ. გამახარიამ, აფხაზეთის მეცნ. აკადემია, თბ., 2006.

“მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის“ (XVI-XIX სს.), გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, “მეცნიერება“, თბილისი, 1982.

ნიკოლეი შვილი ავთანდილი, გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე), ქუთაისი, 1990.

ნიუარაძე მადონა, ამბროსი ნეკრესელი (ცხოვრება და შემოქმედება), საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომი, ქუთაისი, 1971.

პავლიაშვილი ქეთევანი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წწ.-ში, თბ., 2000.

პაპროცკი პ., გრიგოლ ფერაძე - ცხოვრება და მოღვაწეობა, "ერი", №26, 1991, გვ. 8-11.

პაპუაშვილი ნუგზარი, გაბრიელ ეპისკოპოსი სასამართლო რეფორმის შესახებ, "თაეისუფლება" 2003, 9.

პაპუაშვილი ნუგზარი, გაბრიელ ეპისკოპოსი "ფარული ქურდების" შესახებ, "თაეისუფლება" 2003, 7.

პაპუაშვილი ნუგზარი, წმ. ეპისკოპოსი გაბრიელი ცილისწამების შესახებ, "თაეისუფლება" 2003, 8.

პაპუაშვილი ნუგზარი, წმ. ეპისკოპოსი გაბრიელი სარწმუნოებისა და მოქალაქეობის შესახებ, ანუ იტყოდა თუ არა იგი უარს ეკუმენიზმზე, "სოლიდარობა", 2010, 3.

პაპუაშვილი ნუგზარი, გრიგოლ ფერაძე სარწმუნოების და მოქალაქეობის შესახებ, გამოკვლევა, ბიბლიოგრაფია, ქადაგებები, შენიშვნები, დანართი, თბილისი, 2006.

პაპუაშვილი ნუგზარი, კალისტრატე ცინცაძის ცხოვრება და მეცნიერული მემკვიდრეობა, მრავალთავი, XIII, 1986, გვ. 96-113.

პაპუაშვილი ნუგზარი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1982.

პაპუაშვილი ნუგზარი, კალისტრატე ცინცაძე, ქადაგებები და სიტყვები, თბილისი, 2015.

პაპუაშვილი ნუგზარი, წმ. გრიგოლ ფერაძე და მისი პირველი ქადაგება, "თაეისუფლება", №3, 2003, გვ. 25-27.

უვანია ზ., საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მღვდელმთავარი 1917 წ.-დან, ქუთაისი, 1994.

საითიძე გოჩა, წამებული მშობელი ქვეყნისა და ეკლესიისათვის (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია), სამეცნიერო კრებული "ისტორიანი", თბ., 2007.

საქართველოს გიორგი ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმის ლეონიდე ოქროპირიძის ფონდი.

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი. რედაქტორები: ე. გაბიაშვილი, ე. კოჭლამაზაშვილი, თბილისი, 2007;

საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათალიკოს-პატრიარქ ლეონიდის ფონდი.

საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის ფონდი.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო სასოფაღო-

ბის ყოფილი მუზეუმის (H კოლექცია), ტ. II, რედაქტორი ი. აბულაძე, თბილისი, 1951.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის (H კოლექცია), ტ. I, რედაქტორი ი. აბულაძე, თბილისი, 1946.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. IV, შემდგენელი ქ. შარაშიძე, თბილისი, 1954.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის (H კოლექცია), ტ. II, რედაქტორი ალ. ბარამიძე, თბილისი, 1953.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H) კოლექცია, ტ. III, რედაქტორი ქ. შარაშიძე, თბილისი, 1948.

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ღვეთნიძე ოქროპირიძის ფონდი.

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ამბროსი ხელაიას ფონდი.

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი.

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კირიონ საძაგლიშვილის ფონდი.

სიტყვები და წერილები ყოელად სამღვდელთა აღიქვსანდრეზე, შეკრებილი და გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისგან, თბ., 1908.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ამბროსი ხელაიას პირადი არქივის აღწერილობა“, შეადგინეს მ. ქავთარიამ, მ. მეტრეველმა და ი. ხოსიტაშვილმა, თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2011.

სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. III, გამოსცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1963.

სულხან-საბა ორბელიანი, სწავლა სიმშვიდისათვის, ჯვარი ვაზისა, 2, 1978.

სხირტლაძე ს., სულხან-საბა ორბელიანის გამოუქვეყნებელი ძეგლი “სწავლა-მოძღვრებანი“, ცისკარი, №2 1959.

ფერაძე გრიგოლი, “სამრევლოში შესვლისათვის, წარმოთქმული ქართულ მართლმადიდებელ წირვაზე პარიზში, მაისის 31-ს, 1931 წ-ს“, ჯვარი ვაზისა, №1, 1931, პარიზი, გვ. 12-19. ამ სიტყვის შემდეგი პერიოდის გამოცემებია: ა) წმიდა მღვდელმონაწამე გრიგოლი (ფერაძე), “მამაო ჩვენოს“ განმარტება, ქადაგებები, ნარკვევები, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, რედაქტორი ს. გოგინაშვილი, 2001,

გვ. 7-12; ბ) “თავისუფლება“, №3, თბ., 2003, გვ. 28-32 (ნ. პაპუაშვილის პუბლიკაცია); გ) გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 5, თბ., 2004, გვ. 486-491;

ფერაძე გრიგოლი, “სიტყვა, თქმული შობას, 1931 წელს“, ჯვარი ვაზისა, №2, 1932, პარიზი, გვ. 3-6. ამ სიტყვის შემდეგი პერიოდის გამოცემები: ა) საღვთისმეტყველო კრებული, №1, თბ., 1985, გვ. 149-152 (ნ. პაპუაშვილის პუბლიკაცია); ბ) “მესხეთი“, №3, 1991, გვ. 3 (ნ. პაპუაშვილის პუბლიკაცია); გ) წმიდა მღვდელმოწამე გრიგოლი (ფერაძე), “მამაო ჩვენოს“ განმარტება, ქადაგებები, ნარკვევები, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, 2001, რედაქტორი ს. გოგინაშვილი, გვ. 76-78.

ფერაძე გრიგოლი, “შინაარსი ჭეშმარიტ მოქალაქეობის. განმარტება “მამაო ჩვენოსი“, ჯვარი ვაზისა, №3, 1933, პარიზი, გვ. 13-68. ქადაგებათა ამ ციკლის შემდეგი პერიოდის გამოცემები: ა) “ჯვარი ვაზისა“, №3, 1988, თბ., გვ. 39-45 (პირველი ოთხი ქადაგების ნ. პაპუაშვილის მიერ გადამუშავებული ტექსტის პუბლიკაცია); ბ) “კავკასიონი“, №34, 1994, გვ. 7 (მე-8 ქადაგება; ნ. პაპუაშვილის პუბლიკაცია); გ) წმიდა მღვდელმოწამე გრიგოლი (ფერაძე), “მამაო ჩვენოს“ განმარტება, ქადაგებები, ნარკვევები, შინაარსი ჭეშმარიტ მოქალაქეობის (“მამაო ჩვენოს“ განმარტება), თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, რედაქტორი ს. გოგინაშვილი, 2001, გვ. 34-74 (1933 წ-ის პუბლიკაციის გამეორება); დ) გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 5, თბ., 2004, გვ. 482-486 (პირველი ქადაგება).

ფერაძე გრიგოლი, ბიოგრაფია, “კავკასიონი“, XVI-XVII, 1972-1973, პარიზი, ტ. 108-109;

ფერაძე გრიგოლი, სულიერი ცხოვრება დღევანდელ საბჭოთა საქართველოში მხატვრული ლიტერატურის სარკეში (თარგმნა თ. ჭუმბურიძემ), მნათობი, №11-12, 1997, გვ. 147-161.

ქადაგებები უძრავ დღესასწაულისანი და მარხვან-ადესებისანი. მასალები შეკრიბა, დაამუშავა და გამოსცა ნ. პაპუაშვილმა, საღვთისმეტყველო კრებული, №1, თბ., 1985, გვ. 4-277.

ქადაგებები, თბ., 1901.

ქავთარია მიხეილი, XXს.საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან(ანტონ I-ის ეპისტოლარული მემკვიდრეობა),თბილისი, 1977.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. I-1, რედაქტორი ე. მეტრეველი, თბილისი, 1973.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტ. VI, რედაქტორი ე. მეტრეველი, თბილისი, 1969.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ახალი (Q) კოლექცია, ტ. II, რედაქტორი ი. აბულაძე, თბილისი, 1958.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტ. V, რედაქტორი ე. მეტრეველი, თბილისი, 1967.

ქართული მჭევრმეტყველება, სულხან-საბა ორბელიანი, ძეგლები და მასალები, შეკრება, ნარკვევი წაუმძღვარა და საძიებლები დაუროს ნ. კანდელაკმა, თბ., "ხელოვნება", 1958, გვ. 175-188; გვ. 193-205; გვ. 208-217.

ყუბანეიშვილი სოლომონი, ამბროსი ნეკრესელი (ცხოვრება და სალიტერატურო მოღვაწეობა), ლიტერატურული ძიებანი, III, 1946.

ცინცაძე კალისტრატე, ქვაშეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში, გამოსაცემად მოამზადა, ბოლოსიტყვა და საძიებელი დაურთო მიხეილ ქაეთარიაძე, ქართული ეკლესიის ისტორია, მასალები და გამოკვლევები, 2, თბ., გამომცემლობა "კანდელი", 1994.

ძოწენიძე ლალი, ანტონ კათალიკოსის წერილები, ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები IV, 19...გვ.

ჭიჭინაძე ზაქარია, ქართული მწერლობა XVII და XVIII საუკუნეებში, თბ., 1897.

ჭიჭინაძე ზაქარია, ქართული მწერლობა მეცამეტე საუკუნიდამ მეთექვსმეტე საუკუნემდე, თბ., 1885.

ჭყონია თორნიკე, სულხან-საბა ორბელიანის "სწავლა ჯუარცუმისათვის" და მისი აპოკრიფული წყარო, ხელნაწ. ინსტ.-ის I სამეცნ. სესიის მოსხენებათა თეზისები, 1959;

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვასილ კარბელაშვილის არქივი.

ხელნაწერთა აღწერილობა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტ. V, აღ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1949.

ჯოჯუა თემო, წმ. მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე და 1160 წელს გარეჯაში გადაწერილი ერთი უცნობი ხელნაწერი: ისტორიულ-ეთნოგრაფიული 1898. შტუდიები, V, თბილისი, 2002.

Джанашвили М., Обращение Картвельцев, XIV,

Кирион П, Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за 19-ое столетие, Тифлис, 1901.

Пальмов Ю. К сведению о личности архимандрита Гаиоза, Христианский Восток, СПб, 1913.

Хаханов А., Очерки по истории грузинской словесности, вып. 3, Москва, 1901.

Цагарели А., Сведения о памятниках Грузинской письменности, I, СПб 1894.

ക റി ന് ന ഗു രു ഹ ള് ഹ

შ ი ნ ა ა რ ს ი

ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიული მწერლობა (ნარკვევი)....	247
ორიგინალურ ჰიმნოგრაფიულ თხზულებათა ბიბლიოგრაფია.....	299
საძიებლები: 1. ავტორთა; 2. ხელნაწერთა.....	345
სამეცნიერო ლიტერატურის ორიგინალური ჰიმნოგრაფიის შესახებ	349

ქართული ორიბინალური ჰიმნობრაჟიული მწერლობა⁵²

(ნარკვევი)

ორიბინალური ჰიმნობრაჟიის ჩამოყალიბება მთლიანად ბიზანტიურ სასულიერო პოეზიასთან არის დაკავშირებული. ამიტომ თეადაპირველად ჯერ ქრისტიანულ სასულიერო პოეზიის ისტორიას შევეხებით მოკლედ, ხოლო შემდეგ განვაგრძობთ საუბარს, თუ როგორ განვითარდა ქართული სასულიერო ჰიმნობრაჟია ნათარგმნი ჰიმნობრაჟიის საფუძველზე.

დავიწყოთ იმით, რომ ქრისტიანული სასულიერო პოეზია ანუ ჰიმნობრაჟია ქრისტიანული ღეთისმსახურების, კერძოდ კი ჟამისწირვის (ლიტურგიის) მნიშვნელოვანი ნაწილია. ქრისტიანული ღეთისმსახურების აღმოცენებისთანავე, როდესაც იგი საღმრთო წერილის ანუ ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან შესაბამის დღეებზე მისადაგებული საკითხავებით ხელმძღვანელობდა, ღეთისმსახურებაში შედიოდა სასულიერო პოეტური საგალობლებიც, ოღონდ ეს გალობები შემოიფარგლებოდა ძველი აღთქმის ჰიმნებით, ე.ი. ფსალმუნური საგალობლებით, რადგან ქრისტიანული ჰიმნობრაჟია ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი. მოგვიანებით კი, როდესაც ქრისტიანული სასულიერო პოეზიის ნიშნები გაჩნდა, ისიც მთლიანად ფსალმუნის გალობებს ეფუძნებოდა. ჯერ გაჩნდა ფსალმუნის ჰიმნებზე მიმატებული ქრისტიანული სტროფები, რომელთაც „დასადებელი“ ეწოდებდა და ფსალმუნის საგალობელზე დამატებით დადებულ ჰიმნებს აღნიშნავდა. ასეთმა სტროფებმა შეინარჩუნა ფუნქცია მას შემდეგაც, რაც ჩამოყალიბდა ძირითადი ქრისტიანული გალობა – ჰიმნობრაჟიული კანონი, რომელიც ცხრა გალობისაგან შედგებოდა და თითოეული გალობის სახელწოდებაც შესაბამისი ბიბლიური წიგნიდან იყო აღებული. ჰიმნობრაჟიული კანონის თითოეულ გალობას წინ უძღოდა ან კიდევ ერთვოდა მცირე ზომის საგალობლები, რომელთა საერთო სახელწოდება ზემოაღნიშნული „დასადებელი“ ან „დასდებელი“ იყო, ხოლო დასადებელმა სტროფებმაც ერთმანეთისაგან განსხვავებული შინაარსის შესაბამისი სახელწოდებებიც დაიმკვიდრეს („უფალო ღაღაღყავსა“, „აღვივსენით-

52 ნარკვევისათვის ძირითადად ვყვრდებით: ე. მეტრეველის, ც. ჭანჭივეისა და ლ. ხევსურიანის გამოკვლევებს, რომლებიც წარმოდგენილია მათ მიერ გამოცემულ წიგნში: უძველესი იადგარი, თბ., 1980. ლ. ჯღამაიას მიერ გამოცემულ გიორგი მთაწმიდელის სექტოის „თეგნს“, თბ., 2007 და მის ამ თემაზე დაწერილ სტატიებს; ნ. სულავეას „XII-XIII სს ქართული ჰიმნობრაჟია“, თბ., 2003; მ. ქავთარაძის: ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან, XVII-XVIII სს, თბილისი, 1977; ლ. ხაჩიძის „იოანე მინჩხის პოეზია“, თბ., 1987; ე. გაბიძაშვილის „ქართული ნათარგმნი ლიტურგიკა, ჰიმნობრაჟია, თბილისი, 2011. აგრეთვე სამეცნიერო ლიტერატურის ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილ სხვა სტატიებს.

სა“, „აქებდითსა“, „სტიქრონი“, „ოხითა“ და სხვ. მათ შესახებ უფრო დაწერილებით ქვემოთ – ჰიმნოგრაფიულ კანონთან დაკავშირებით ვისაუბრებთ).

რადგან ქართულმა ორიგინალურმა ჰიმნოგრაფიამ მოლიანად გადმოიღო ბიზანტიური სასულიერო პოეზიის სტრუქტურა და შინაარსი, ჩვენ ვისაუბრებთ ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის შესახებ, რაც თავისთავად გულისხმობს ორიგინალურ ჰიმნოგრაფიას. ქრისტიანული სასულიერო პოეზია ორ ნაწილად იყოფა: 1. ლიტურგიკული ჰიმნოგრაფია, რომელიც ქრისტიანული ღვთისმსახურების ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია და 2. არალიტურგიკული ანუ ეკრძოლობითი სასულიერო პოეზია, ანუ პოეზია, რომელშიც გამოხატულია ქრისტიანი სასულიერო პირის (ზოგჯერ საერო) დამოკიდებულება ქრისტიანული დღესასწაულებისადმი, ღმერთისადმი, ღვთისმშობლისადმი, წმინდანებისადმი თუ ისტორიული ფაქტებისადმი და, საერთოდ, გამოხატულია საკუთარი სულიერი და საწარმუნეობრივი განცდები.

ნაწილი პირველი

ლიტურგიკული ჰიმნოგრაფია

სახელწოდებაც გვამცნობს, რომ იგულისხმება ლიტურგიის (ჟამისწირვის) ჩატარების დროს გამოყენებული ის საგალობლები, რომლებიც შინაარსობრივად შეესატყვისება ჟამისწირვის კონკრეტულ დღეს: ეს იქნება მარხვის ესა თუ ის ციკლი, აღდგომის დღესასწაულთა ციკლი, რომელიმე საუფლო დღესასწაული, თუ სხვა ქრისტიანული დღესასწაული, ან წმინდანის კალენდარული ხსენების დღე. ამიტომ შესაბამისი საგალობლები შეტანილია სხვადასხვა შინაარსის ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულებში: „იადგარი“, „მარხვანი“, „ზატიკი“, „თუენი“.

როგორც ვთქვით, ქრისტიანული ღვთისმსახურება აღმოცენებისთანავე ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან ამოკრეფილ საკითხავებთან ერთად (რომელიც საბოლოოდ „ლექციონარის“ სახელწოდებით დამკვიდრდა) მოიცავდა ღვთისმსახურების პოეტურ ნაწილსაც – ფსალმუნურ საგალობლებს. მომდევნო საუკუნეებში ქრისტიანული ღვთისმსახურება თანდათან მდიდრდებოდა ახალი მასალით, მათ შორის პოეტურ-საგალობელი რეპერტუარით: გაჩნდა საკუთრივ ქრისტიანული ჰიმნები, ძირითადად ერთსტროფიანი საგალობლები, რომელიც დაერთოდა ფსალმუნურ საგალობლებს, დაედებოდა მას, ამიტომ მიიღო მან „დასდებელის“ ანუ „დასადებელის“ სახელწოდება (ბერძ. ტროპარი). ბიბლიურმა საკითხავებმა ანუ „ლექციონარებმა“ ძირითადი შეესება და გადამუშავება განიცადა მაშინ, როდესაც მან ჟამისწირვებთან ერთად შეითვისა ამ რიტუალთან დაკავშირებული პოეტური „დასდებლებიც“. უძველესი „ლექციონარი“ არის ე.წ. ხანმეტი ლექციონარი, რომელიც

ჩამოყალიბდა დაახლ. V-VI სს. მიჯნაზე. ამ დროს ჯერ კიდევ არ არის სავარაუდებელი ჟამისწირვები (ლიტურგია) თავისი პოეტური სტროფებით (ტროპარებით). VII-დან პალესტინის მონასტრულ ცხოვრებაში ფეხი მოიკიდა პოეტურმა ტროპარებმა, რომლებმაც ასახვა პოვეს ლექციონარებშიც. ალბათ VII. მანძილზე უნდა ჩამოყალიბებულიყო. „ლექციონარის“ ის რედაქცია, რომელიც საყუძელად დაედო უძველესი „იადგარის“ (საგალობლების კრებული) ცალკე კრებულად გამოყოფას და რომლის პოეტური მასალა მთლიანად და უცვლელი სახით გადავიდა უძველეს იადგარში. Vს. დასასრულისათვის პალესტინაში უკვე გავრცელებული იყო ცხრა ოდიანი ბიბლიური კანონი პოეტური ტროპარებით. ლექციონარი და იადგარი ერთად შეიცავდნენ იერუსალიმური ღვთისმსახურებისათვის სავალდებულო თითქმის ყველა ელემენტს.

ამრიგად, იადგარი, რომლის ბერძნული სახელწოდებაა „ტროპოლოგიონი“, ის პირველი პიმნოგრაფიული კრებულია, რომელიც ქართულად ითარგმნა მაშინ, როდესაც ბერძნული „ტროპოლოგიონი“ უკვე შეიცავდა ცხრაოდიან პიმნოგრაფიულ კანონოს, თავისი ძლისპირებითა და ტროპარ-სტიქარონების მრავალგვაროვნებით. ჩვენამდე მოღწეული იადგარის უძველესი ხელნაწერები IX-X სს. პალესტინურ-სინური წარმომავლობისაა.

ქრისტიანული სასულიერო პოეზიის ძირითადი საყუძველია ცხრაოდიანი გალობანი, ანუ პიმნოგრაფიული კანონი, რომელსაც სქემატურად წარმოადგენთ, ხოლო უფრო ვრცლად ვისაუბრებთ პიმნოგრაფიული მწერლობის ქვემოთ წარმოდგენილი ტერმინოლოგიის მიმოხილვისას. პიმნოგრაფიული კანონი სტრუქტურულად წარმოადგენს საგალობელთა კრებულს, რომლის თითოეული გალობის (ოდის) დასაწყისი სიტყვები აღებულია ბიბლიური გალობებიდან. ცხრავე ოდა ამ დასაწყისი სიტყვებით იწოდება: I. „უგალობდითსა“; II. „მოიხილესა“; III. „განძლიერდისა“; IV. „უფალო მესმასა“; V. „ღამითგანსა“; VI. „ღაღატყავსა“; VII. „კურთხეულ არსა“; VIII. „აკურთხევედითსა“; IX. „ადიდებდითსა“.

I. გალობა, ანუ ოდა „უგალობდითსა“ – მოსეს გალობა: „უგალობდით უფალსა, რამეთუ დიდებით დიდებულ არს...“, გამოსლვათა, XVI, 19;

II. „მოიხილესა“ – მოსეს გალობა: „მოიხილე, ცაო, და ვიტყვი და ისმენდიან ქუეყანა...“, მეორე სჯული, XXII, 1-48;

III. „განძლიერდასა...“ – ანა წინასწარმეტყველის გალობა: „განძლიერდა გული ჩემი უფლისა მიერ...“, I მეფეთა, II, 1-10;

IV. „უფალო მესმასა...“ – ამბაკუმის გალობა: „მესმა, უფალო, სასმენელი შენი და შემეშინა...“, ამბაკუმ, III, 1-19;

V. „ღამითგანსა“ – ესაიას გალობა: „ღამითგან აღიმსობს სული ჩემი შენდამი, ღმერთო...“, ესაია, XXVI, 9-20;

VI. „ღაღადყავსა/ღაღატყავსა“ – იონას გალობა: „ღაღად-ყვავ ჭირსა შინა...“, იონა, II, 3-10;

VII. „კურთხეულ არსა“ – სამოა ყრმათა გალობა: „კურთხეულ ხარ შენ, უფალო ღმერთო ძმათა ჩუენთაო...“, დანიელ, III, 25-26;

VIII. „აკურთხევდითსა“ – დანიელის გალობა: „აკურთხევდით ყოველნი საქმენი უფლისანი უფალსა..“, დანიელ, III, 57-90;

IX. „ადიდებდითსა..“ – ღმრთისმშობლის გალობა: „ადიდებს სული ჩემი უფალსა..“, ლუკა, I, 46-55;

ჰიმნოგრაფიული კანონის თითოეულ გალობას, ასევე სტიქარონებსაც თავში ერთვის ტროპარი ანუ „დასდებელი“, რომელსაც „ძლისპირი“ (ბერძ. ირმოსი) ეწოდება და წარმოადგენს გალობისა ან სტიქარონის რიტმულ-მელოდიურ მოდელს ანუ „კმას“ გალობის ან სტიქარონის დანარჩენი ტროპარებისათვის, ოღონდ აქ მოტანილია ძლისპირის მხოლოდ დასაწყისი სიტყვები, ისიც შემოკლებული მინიმუმებით, ხოლო ამ ძლისპირების სრული ტექსტები წარმოადგენილია ჰიმნოგრაფიულ კრებულში „ძლისპირი და ღმრთისმშობლისანი“.

აქვე ვიტყვით, რომ უძველესი დროიდან საგალობლები აგებული იყო ოთხ „კმასზე“, ხოლო VIII-დან მათ კიდევ ოთხი, ე.წ. გვერდითი (ბერძ. პლაგალური) „კმაც“ დაემატა (ამ რეფორმას ხან იოანე დამასკელს მიაწერენ, ხან – კოზმან იერუსალიმელს). ამრიგად, იადგარი ის ნათარგმნი ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკული კრებულია, რომელმაც ჩვენამდე IX-X საუკუნეების ხელნაწერებით მოაღწია და რომელმაც შემოგვინახა საეკლესიო დღესასწაულთა და წმინდანთა ხსენების საგალობლების რამდენიმე ფენა, მათ შორის ისეთიც, რომელიც თავდაპირველი ჰიმნოგრაფიი საწყისებთან მიდის. იადგარშია პირველად წარმოდგენილი ზემოაღნიშნული ცხრაოდიანი ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკული კანონი – გალობანი, მათ შორის რამდენიმე ორიგინალურიც. იადგარში წარმოდგენილია ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის იერუსალიმური პერიოდის ლიტურგიკული პრაქტიკა, რაც აღარ ჩანს ბერძნულ ხელნაწერებში და დაიკარგა ალბათ იმ მიზეზით, რომ პალესტინური ღვთისმსახურების პრაქტიკა XI-ში შეცვალა კონსტანტინეპოლურმა პრაქტიკამ და ამ პრაქტიკის ამსახველმა ხელნაწერებმა. ამდენად, ქართულმა თარგმანმა შეიძლება აღადგინოს იერუსალიმური ღვთისმსახურების უძველესი სახე.

იადგარის ქართული თარგმანის ხელნაწერებიდან უძველესია IX ს. ე.წ. ჭილ-ეტრატის იადგარი – H 2123, დანარჩენი ხელნაწერები X ს. სხვადასხვა მონაკვეთებშია გადაწერილი (Sin. 18; Sin. 40; Sin. 41; Sin 34 (956წ.). ამის გარდა, არის XI ს. გადაწერილი II ხელნაწერი, აგრეთვე იელისა და წვირმის იადგარები (XI ს. სვანური კოლექცია) – ყველა პალესტინურ-სინური წარმოშობისა და ჩამოტანილია საქართველოში. ბოლესი, ცნობილი მიქაელ მოდრეკილის იადგარი, შედგენილი 978-988წწ. – S 425 ხელნაწერი. ჩამოთვლილთაგან პირველ ხუთ ხელნაწერზე დაყრდნობით და დანარჩენი ხელნაწერების გათვალისწინებით გამოიცა „უძველესი იადგარი“ – იადგარის პირველსახის აღდგენის მიზნით, გამოცეცა: ელ. მეტრეველი, ც. ჭანკიევი, ლ. ხეესურიანი, თბილისი, 1980 (912 გვ.)

აქვე ვიტყვით, რომ მზადდება გამოსაცემად მიქაელ მოდრეკილის იადგარი (ლ. ჯღამაია, ლ. ხეესურიანი).

„უძველესი იადგარის“ მითითებული გამოცემის მიხედვით წარმოდგენთ იადგარის სტრუქტურას:

იადგარი იწყება 25 მარტით, ხარების დღესასწაულის საგალობლებით, რომელიც წარმოდგენილია დასდებლებით: „უფალო ღალატყაესა, ვჰმაი ბ(2)“; „ოხითა, ვჰმაი გ(3) გუერდი“ შემდეგ მოდის ცხრაოდიანი პიმნოგრაფიული კანონი, კანონს მოსდევს სტიქარონები (დასდებლები): „აქებდითსა“, ვჰმაი ბ(2)“, „ოხითა, ვჰმაი ბ(2), გუერდი“; „ფსალმუნი, ვჰმაი გ(3), გუერდი“, „სიწმიდისა“. ტექსტი გრძელდება 25 იანვრით, ქრისტეს შობის დღესასწაულით, სადაც პიმნოგრაფიულ კანონს წინ უძღვის უამრავი „იბაკონი“, „დასდებელი“, „ფსალმუნი“, „ალელუა“, ხოლო კანონის თითქმის თითოეულ გალობასთან წარმოდგენილია „სხუანი“. კანონს მოსდევს „აქებდითსა“ + 3 „სხუანი“, „ოხითა“ და კიდევ რამდენიმე „დასდებელი“. მთელი წლის გამოკრებილ დღესასწაულებზე საგალობლები დაახლოებით მსგავსი სტრუქტურით არიან წარმოდგენილნი. კალენდარულ თანმიმდევრობაში ჩამატებულია მოძრავი დღესასწაულების საგალობლები განცხადების ზატიკი, დაწყებული „დღესა გ(3)“, დამთავრებული „დღესა მ(8)-ით; დიდი მარხვის – დაწყებული „კორცისა აღებასა“, დამთავრებული „მერმე შაბათს ღაზარესი“-თ; წარდგომის დღესასწაულის საგალობლები, დაწყებული „ბზობით“, „აღესებასა“, „ამაღლებამ“ – „მარტულით“ დამთავრებული. კალენდარული ნაწილის შემდეგ ერთვის „იბაკონი“ და „წარდგომანი“ სხვადასხვა დღესასწაულებზე, „დასდებელნი აღდგომისანი“ რვავე ხმისა, „დასდებელნი შესუენებულთანი ყოველთა ვჰმათა“. ეს არის იადგარის ძირითადი ნაწილის სტრუქტურა. გამოცემის დამატებით ნაწილში წარმოდგენილია: I. „დასდებელნი აღდგომისანი ვჰმაი ა(1)“; II. „დასდებელნი მარიამობისანი“; III. „დასდებელნი წმიდისა საბაჲსნი“ (5XII).

ქართული ორიგინალური პიმნოგრაფიის ლიტურგიკული პოეზიის საწყისად უნდა მივიჩნიოთ აბო თბილელის (ძველ 4 ხელნაწერში: „ჰაბო ტფილელის“) პიმნოგრაფიული კანონი, რომელიც შეტანილია იერუსალიმური წარმოშობის ე.წ. ჭილ-ეტრატის იადგარში, რომელიც პორფირი უსპენსკიმ იერუსალიმის საბა განწყმედილის ლავრიდან პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში ჩამოიტანა, ხოლო შემდეგ საქართველოში საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმში მოხდა H 2123 (IX ს.) ნომრით. დღეს ეს ხელნაწერი, რომელიც ნაწერია მრგელოვანით, ჭილისა და ეტრატის ფურცლებზე (მონაცვლეობით, როგორც ჩანს, ხელნაწერის სიმყარისათვის) და სინური კოლექციის გამოვლენამდე დიდხანს იადგარის უძველეს ნუსხად ითვლებოდა. სწორედ ამ ხელნაწერში პირველად არის შეტანილი ერთადერთი ქართული მასალა – აბო თბილელის საგალობლები – პიმნოგრაფიული კანონი თავის სტიქარონ-დასდებლებით. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს იერუსალიმური IX ს. ხელნაწერი შედგენილობის მიხედვით უფრო გვიანდელ სურათს გვიჩვენებს, ვიდრე იადგართა სინური კოლექციის (Sin. 18; Sin. 40; Sin. 41) X ს. ხელნაწერები, რადგან ჭილ-ეტრატის ხელნაწერი ახალი, ორიგინალური მასალით შეესებას გვიჩვენებს, რაც არ არის სინური

კოლექციის უძველეს იადგარებში (შესაძლებელია, ეს შეესება H 2123 ხელნაწერში მისი დედნიდან გადმოვიდა).

აბო თბილელის H 2123-ისეული საგალობლები, რა ოქმა უნდა, ქართველ პოეტს ანუ ჰიმნოგრაფს ეკუთვნის, ხოლო მათი წყარო იოანე საბანისძის მიერ დაწერილი „აბოს წამების“ ტექსტია. აბოს დღესასწაულის განგება შეიცავს შემდეგ პოეტურ მასალას: „უფალო ღაღატყავსა“, „აქებდითსა“, ორ საგალობელს („აკურთხევედითსა“ და „ადიდებდითსა“) და მონოსტროფებს („ოკითაჲ“, „კელთბანისაჲ“). მხოლოდ „ოკითაჲ“ არ ეხება „აბოს წამების“ შინაარსს, ის საკუთრივ აბოსთვის არ არის განკუთვნილი და ბერძნულ მოდელს წარმოადგენს, აღებულს ბერძნული პარაკლიტონიდან, ეს არის ზოგადად წმინდანთა შესხმა და გამოიყენება ყველა წმინდანისათვის. როგორც ელ. მეტრეველი შენიშნავს, აბოს ხსენებასთან და საგალობლებთან ერთად ქართულმა რედაქტორმა ამ ხელნაწერის გადმოწერის დროს დაუმატა ქართულ ეკლესიაში განსაკუთრებულად პოპულარული დღესასწაულები – წმ. გიორგის, თეკლას და კვირიკეს ხსენებები და მათი დღესასწაულის განგების პოეტური ნაწილი, რადგან უძველესი „იადგარის“ სხვა უძველეს ნუსხებში ეს დღესასწაულები არ არის წარმოდგენილი. არც ისაა გამოსარიცხი, რომ ეს ჩამატებები ჭილ-ეტრატის იადგარში ამ ხელნაწერის დედნიდან გადმოვიდა.⁵³

ჰიმნოგრაფიული კრებულის განვითარების შემდეგი ეტაპი არის ე.წ. I რედაქციის „თუენი“, რომელიც პალესტინურ გარემოში იერუსალიმელ მოღვაწეთა ქართულ წრეში უნდა ჩამოყალიბებულიყო იადგარის, კერძოდ მისი პირველი ნაწილის საფუძველზე, ე.ი. შეიცავდა საგალობლებს მთელი წლის უძრავ დღესასწაულთა კალენდრის მიხედვით, რომელშიც ქართული მასალა მეტი მოცულობით იყო წარმოდგენილი, ვიდრე იადგარებში. იადგარებისაგან განსხვავებით მას არ ჰქონდა მარხვა-ზატიკის მოძრავ დღესასწაულთა განგების ნაწილი. „თუენში“ ხსენებათა და დღესასწაულთა კალენდარი უფრო სრული იყო და თვეების მიხედვით ყოველდღიური ღვთისმსახურების მასალას შეიცავდა. I რედაქციის „თუენი“ შუალედური რგოლი იყო იადგარსა და გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილ და ჩამოყალიბებულ „თუენებს“ შორის, ამასთანავე გარდამავალი საფეხური იერუსალიმურ და კონსტანტინეპოლურ ღვთისმსახურების წესებს შორის და თვალნათლივ შეიცავს ღვთისმსახურების ორივე ტრადიციის ელემენტებს. I რედაქციის „თუენების“ ჩამოყალიბების თარიღად X-XI სს-ის მიჯნა არის მიჩნეული. გიორგი მთაწმიდელის „თუენი“ ჰიმნოგრაფიული საგალობლების ყველაზე სრული და სრულყოფილი კრებულია, რომლის უდიდესი ნაწილი ბერძნული ენიდან არის თარგმნილი, ხოლო ნაწილი მზამზარეული სახითაა გადმოტანილი იადგარებიდან, რომელსაც გიორგი „ქართულს“ უწოდებს, და I რედაქციის „თუენებიდან“, თუმცა ამ უკანასკნელის მასალას იგი ამოწმებს ბერძნულ წყაროებთან და საგა-

53 აბოს საგალობლები, წიგნიდან „უძველესი იადგარი“, თბილისი, 1980, გვ. 868-869.

ლობელთა ავტორების სახელსაც უწერს არშიაზე, ბერძნული თეენების („მენაიონის“) მიხედვით.

გიორგი მთაწმიდელის „თუენის“, ამ უსარმასარი მოცულობის კრებულის ძირითადი მახასიათებელია ის, რომ მან თავის კრებულში, უფრო სწორად, თეეების მიხედვით წარმოდგენილ 12 კრებულში, რომელშიც შეტანილია მთელი წლის, თორმეტივე თვის ყოველ დღეზე შესაბამისი დღესასწაულისადმი მიძღვნილი საგალობლების მთელი ციკლი – ჰიმნოგრაფიული კანონი თავისი სტიქარონ-დასდებლების სიმრავლით, მან ყოველ დღეზე, უფრო ზუსტად იმ დღეს წარმოდგენილ ზოგჯერ რამდენიმე ხსენებასთან, თავი მოუყარა და თარგმნა ყველა ჰიმნოგრაფიული კანონი თავისი მრავალრიცხოვანი სტიქარონებით, რასაც კი მიაკვლია სხვადასხვა რედაქციის ბერძნულ „მენაიონებში“, რომელიც კი წმინდანის ან დღესასწაულის ხსენების დღისათვის იყო დაწერილი. ასე გაჩნდა გიორგის „თუენებში“ ერთ დღეზე რამდენიმე ჰიმნოგრაფიული კანონი და მრავალი (ზოგჯერ ათზე მეტი) სხვადასხვა ფორმის სტიქარონ-ტროპარები.

გიორგი მთაწმიდელის „თუენის“ საგალობელთა გამორჩევა სხვა საგალობელთა კრებულისაგან კიდევ ერთი ნიშნით შეიძლება: ყველა ჰიმნოგრაფიულ გალობაში აუცილებლად არის წარმოდგენილი სტიქარონი „წარდგომაჲ“ (ლ. ჯღამაია), რაც ადრინდელ ჰიმნოგრაფიულ კრებულში იშვიათად გვხვდება. ერთი ნიშანდობლივი ფაქტიც: გიორგი ხაზგასმულად შენიშნავს: „ჩემთა გალობათა შინა თავთა (ე.ი. აკროსტიქებს) ნუ ეძებ... მე სიტყუანი (ე.ი. შინაარსი) მინებნ და არა წითელი ასონი“. ჩანს, ბერძნული აკროსტიქების შეთავსება ტექსტის შინაარსთან თარგმანის შინაარსის ხარჯზე უნდა მომხდარიყო, ამიტომ გიორგიმ შინაარსი ამჯობინა და აკროსტიქებზე უარი თქვა (თუმცა რამდენიმე მაგალითი, გიორგის მიერ აკროსტიქის თარგმნისა მაინც გვხვდება – მაგ. იოანე დამასკელის ქრისტეშობის საგალობელი).

გიორგი მთაწმიდელის „თუენებმა“ XVIII-ში შესწორებები განიცადა და დამატებებით შეივსო რუსულ მასალასთან მისი შეჯერების შედეგად (ანტონ I, ალექსი მესხიშვილი).

„თუენის“ ათონის ივერთა მონასტრის ზოგიერთი ხელნაწერი მხოლოდ სტიქარონების ჯგუფის საგალობლებს შეიცავს (Ath. 73/58; Ath. 65; Ath. 66). მათი ცალკე კრებულად არსებობა მიუთითებს, რომ გიორგი მთაწმიდელმა, ვიდრე „თუენის“ საბოლოო სახეს ჩამოაყალიბებდა, თარგმნა „თუენის“ შედგენილობისათვის აუცილებელ კომპონენტთა ცალკე არსებული ბერძნული კრებულები, მთელი წლის სტიქარონები, რომლებიც აერთიანებენ მცირე ფორმის საგალობლებს – „უფალო დადატყავსა, აქებდითსა“, საკუთრივ სტიქარონებს და „წარდგომაჲ“-ს მასალას, ხოლო შემდეგ გაანაწილა ეს მასალა „თუენებში“ ჰიმნოგრაფიულ კანონებზე. ამის თაობაზე გიორგი საუბრობს სოფიაწმიდის სტიქარონთა კრებულთან დაკავშირებით (Ath. 52-ის ანდერძი).

აღვნიშნავთ იმასაც, რომ ჩვენს მიერ შედგენილ ჰიმნოგრაფიულ თხზულებათა ბიბლიოგრაფიაში გიორგი მთაწმიდელის „თუენის“ ყვე-

ლა ჰიმნოგრაფიული კანონთა და მასზე დართული სტიქარონების მთარგმნელად ყველგან გიორგი მთაწმიდელი გვეყავს დასახელებული, რაც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოლად ზუსტი არ არის, იმის გათვალისწინებით, რომ გიორგიმ სოციერთი კანონის მასალა მსამზარეული სახით გადმოიტანა თავის „თუნეში“ იადგარებისა და I რედაქციის „თუნებიდან“, რომელთა გამოყოფა საკითხის საბოლოოდ შესწავლამდე (ამ დარგის მკვლევართა მიერ) ვერ მოეახერხეთ.

სწორედ „იადგარებში“, I რედაქციის „თუნებში“ და გიორგი მთაწმიდელის „თუნებში“ ჩნდება პირველი ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ნიმუშები და მათი რიცხვის თანდათანობით ზრდა „იადგარებიდან“ გიორგის „თუნებისაკენ“ და კიდევ მეტი ინტენსივობით უფრო მოგვიანო ხანის „სადღესასწაულოებში“ და რუსულ „Месясцелов“-ებში და „Праздничная Минея“-ებში წარმოდგენილ მასალასთან ქართული „თუნების“ შეჯერება-შემოწმების შედეგად, რომელიც ანტონ I და ალექსი მესხიშვილმა ჩაატარეს.

იადგარებიდან, ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერების მიხედვით, ყველაზე გვიანდელია და X ს. უკანასკნელი წლებით ათარიღებენ მიქაელ მოდრეკილის მიერ შედგენილ იადგარს (S 425), რომელსაც ორიგინალურ ჰიმნოგრაფიულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რადგან ამ ძეგლმა, რომელმაც ჩვენამდე, მართალია, მნიშვნელოვანი დაზიანებებით მოაღწია (თავდაპირველად მასში 1264 გვერდი უნდა ყოფილიყო, თუ არ ჩაეთვლით ძეგლის ბოლო დაკარგულ ნაწილს – არ ვიცით რამდენ გვერდს – დღეს შემორჩენილია 544 გვერდი), მაგრამ მან პირველმა შემოგვინახა X ს-ის ქართველი ჰიმნოგრაფებისა და მათი ორიგინალური პოეზიის (საგალობლების) შესანიშნავი ნიმუშები. ეს ფასდაუდებელი საქმე შეუსრულებია მიქაელს, რომლის ზედწოდებაც „მოდრეკილი“ დეთის წინაშე მოდრეკილსაც შეიძლება ნიშნავდეს და ძეგლის შექმნაში გაწეული შრომის შედეგსაც. მიქაელს, როგორც მეცნიერები ათარიღებენ, თავისი ნაშრომი 978-988წწ-ში უნდა შეექმნა შატბერდის მონასტერში, ეს ძეგლი ადასტურებს აკად. კორნელი კეკელიძის მიერ შერჩეული „შემკრებლობითი“ ტრადიციების ჩამოყალიბების მაგალითს X-XI სს ქართულ სასულიერო მწერლობაში, როდესაც სასულიერო მწერლობის ცალკეული დარგის ძეგლებს თავს უყრიდნენ კრებულებში (მაგ. ათონის ბიბლია, ყველა „მრავალთაჲი“, „იადგარები“, „თუნები“, აგიოგრაფიული კრებულები და ა.შ.)² მიქაელი ამბობს: „შეეკრიბენ საგალობელნი მესხურინი: ქართულნი და ბერძნულნი“, რომელთა შორის გარდა სხვა ქართველი ჰიმნოგრაფების თხზულებებისა, მიქაელის ორიგინალური ჰიმნოგრაფიული თხზულებებიც იგულისხმება. ამ უზარმაზარი მასალის უდიდესი ნაწილი მას თავისი ხელით გადაუწერია, მეტად დახვეწილი კალიგრაფიითა და ფაქიზი მხატვრული გემოვნებით. აქ გვახსენდება ერთი ფაქტი გიორგი მერჩულეს „ბრიგოლ ხანცთელის ცხოვრებიდან“: გიორგი წერს:

54 უცნობი რედაქცია ჰიმნოგრაფიული თუნისა, ეტიუდები... VIII, თბილისი, 1963, გვ. 32.

„რამეთუ აწ არს ხანცთას ჴელითა მისითა (ე.ი. გრიგოლის) დაწერილი სულისა მიერ წმიდისა საწვლიწდო იადგარი...“⁵⁵ ამით იმის თქმა გინდა, რომ მიქაელმა მიბაძა გრიგოლს და შატბერდის მონასტერში, რომელიც გრიგოლ ხანცთელმა ააშენა, გადაწერა თავისი კრებული, თანაც საწვლიწდო „იადგარი“, რომელიც გრიგოლმა, საფიქრებელია, თვითონ შეადგინა და თავისი ხელით გადაწერა, იმ დროს კიდევ იდო ხანცთაში (როგორც გიორგი მერჩულე წერს მის დროს „აწ არს“), ე.ი. 950-იან წლებში, რაც მიქაელის ნაშრომს რაღაც 30-35 წლით არის დაშორებული და, საფიქრებელია, მიქაელის ერთ-ერთ ძირითად წყაროსაც წარმოადგენდა (რა თქმა უნდა, მიქაელის მიერ დამატებული Xს. ქართველი ჰიმნოგრაფების საგალობლები გრიგოლის იადგარში არ შეიძლება ყოფილიყო წარმოდგენილი). მიქაელის იადგარის შედგენილობა ასეთია: ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, სათვეო ანუ საწვლიწდო ნაწილი, დასდებელნი აღდგომისანი, დასდებელნი საშაბათონი, დასდებელნი სულისანი, საუფლოთა სახმარნი ფარაფთონნი. პირველად არის წარმოდგენილი ბერძენ ჰიმნოგრაფთა გვერდით ქართველ ჰიმნოგრაფთა შემოქმედება – მიქაელ მოდრეკილი, იოანე მტბეუარი, იოანე მინჩხი, სტეფანე სანანოის ძე-ჴყონდიდელი, ეზრა, იოანე ქონქოსის ძე, ბასილი, კურდანი, გიორგი მერჩულე. აბო თბილელის ჰიმნოგრაფიული კანონიც კი, რომელიც ერთადერთი იყო უძველეს იადგარში (ჭილ-ეტრატი, H 2123, IXს.), აქაც არის შეტანილი, ოღონდ სხვა, განსხვავებული რედაქციით. მიქაელ მოდრეკილის კრებულის ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი მთლიანად ნეემირებულია, ხოლო საგალობლების – დიდი ნაწილი. მრავალრიცხოვანი ლიტურგიკული შენიშვნები, რომლებიც მიმართულია მგალობლებისა და მღვდელმსახურებისადმი, მათი დამოძღვრისა და განსწავლის მიზნით, მიანიშნებს, რომ კრებული სასწავლო დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო. ამით უნდა იყოს განპირობებული ისიც, რომ ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, რომლებიც გალობათა რიტმულ-მელოდიურ მოდელებს წარმოადგენენ, ქარაგმაგახსნილად არის წარმოდგენილი. ეს ტექსტის ხმოვანებაზე ნეემების (სანოტო ნიშნების) სწორი განაწილების საშუალებას იძლევა, რაც აუცილებელია გალობის კილოს ზუსტი ფიქსირებისათვის. მიქაელი აღნიშნავს კიდევ, რომ კრებულში შეტანილი გალობანი დაწერილია „სისწორითა კილოსადთა და უცთომელობითა ნიშნისადთა“. აქვე წარმოვადგენთ მიქაელის კრებულში შესულ Xს. ქართველი ჰიმნოგრაფების შესახებ მოკლე ცნობებს⁵⁶ და XIს. ქართველ ჰიმნოგრაფებსაც, რომლებიც, რა თქმა უნდა, არ არიან წარმოდგენილნი მიქაელის კრებულში. აქვე შევეხებით ამ ავტორთა ლიტურგიკულ ჰიმნოგრაფიას, ხოლო არალიტურგიკულ ჰიმნოგრაფიას(ე.ი.იამბიკურს) ძალინ მოკლედ მიმოვიხილავთ ბოლოს.

55 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბილისი, 1963, გვ. 282.

56 კ. კიკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1980, გვ. 171-

იოანე მინჩხი.⁵⁷ კ. კეკელიძის მითითებით, იოანე მინჩხი Xს. I ნახევრის ჰიმნოგრაფია, რომელიც მოღვაწეობდა გიორგი მეფის დროს, არა გიორგი II-ის, არამედ დასავლეთ საქართველოს მეფის— გიორგის დროს, ეყრდნობა რა Sin. 2-ში დაცული ოხსულების „გალობანი წმიდისა გიორგისნი, თქუმულნი ნეტარისა მინჩხისანი“-ზე დართულ მინაწერს: „ხოლო ესე გალობანი მას კარგსა გიორგი მეფესა, დიდსა, დიდითა ვედრებითა აღუწერებთან მინჩხისადა“. კ. კეკელიძესავე მოწმობით: დახასიათება გიორგი მეფისა იმ ზოგადი ეპითეტებით, რომელიც იქა გვაქვს, შეიძლება უფრო შეეფერებოდეს საქართველოს მეფეს გიორგი მეფეს (1014-1027წწ.), მაგრამ ამ უკანასკნელის მეფობა მინჩხისათვის მეტად ნაგვიანებია. ამიტომ ამ მინაწერში ჩვენ ვგულისხმობთ აფხაზთა მეფეს— გიორგის, რომელიც მემპტიანის სიტყვით „იყო სრული ყოველითა სიკეთითა, სიმკნითა და ახოვნებითა, ღმრთისმოყუარე იყო უმეტეს ყოველთა, მაშენებელი ეკლესიათა, მოწყალე გლახაკთა, უხვი და მდაბალი და ყოველთა კეთილითა სათნოებითა სრულ“ (ქართლ. ცხოვრ. მარიაამისეული, გვ. 229).

მიქაელ მოდრეკილის კრებულში, ლ. ხაჩიძის ბოლო გამოკვლევით და ლ. ჯღამიას ნაშრომზე დაყრდნობით, იოანე მინჩხის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა 3 ჰიმნოგრაფიულ კანონს და 8 მკირე ფორმის საგალობელს მოიცავს⁵⁸ (მანამდე კი მინჩხეული იყო, რომ მიქაელის კრებულში მინჩხს 4 საგალობელი ეკუთვნოდა). კ. კეკელიძისავე მითითებით, მიქაელის კრებულში მინჩხის მრავალრიცხოვანი საგალობლებიდან მხოლოდ მცირე ნაწილის წარმოდგენის მიზეზი უნდა ყოფილიყო შემდეგი გარემოება — იოანე მინჩხი სინას მთაზე მოღვაწეობდა და მიქაელისათვის ცნობილი არ იყო მინჩხის შემოქმედების დიდი ნაწილი.⁵⁹ ამიტომ აქ ჩვენ ჩამოვთვლით არა მარტო მიქაელ მოდრეკილის იადგარში შეტანილ მინჩხის საგალობლებს, არამედ მისი ლიტურატურული მემკვიდრეობის სხვა საგალობლებსაც, რომლებიც სხვა ხელნაწერებს შემოუნახავს.

იოანე მინჩხის საგალობლებიდან მიქაელ მოდრეკილის იადგარში მინჩხის სახელით წარწერილია 4 საგალობელი: თეოდოსი მეფისა და ექვთიმე დიდისადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონები, აღდგომის იამბიკური კანონი და აღდგომისავე „უფალო ღალატყავსა“.⁶⁰

თეოდოსი მეფის ხსენება და საგალობლები დადებულია 19 იანვარს: „თთუესა იანვარსა ით (19). ჭსენებაჲ ღმრთიე გვირგუნოსანისა მეფისა თეოდოსი მორწმუნისა სასწაულთამოქმედისაჲ. ჴმაჲ 3(1) გვერდი (S-425, 110r-11v); აქვეა მინაწერი: „იოანე მინჩხისანი, ქრისტე, განუსუენე სულსა მისსა“, ე.ი. ამ დროისათვის იოანე მინჩხი გარდაცვლი-

57 ძირითადად ეყრდნობით ლ. ხაჩიძის წიგნს „იოანე მინჩხის პოეზია“, ობ., 1987 (362 გვ.), რომელშიც გასწორებულია წინა წლებში ქართველ მეცნიერთა მიერ დაშვებული ცდომილებანი და მინჩხის შემოქმედება გამდიდრებულია აქამდე უცნობი და ავტორის მიერ მიკვლეული საგალობლებით.

58 ლ. ხაჩიძის დასახელებული წიგნი, ფვ. 37-41.

59 ძველი ქართული ლიტის ისტორია, I, გვ. 171-172.

60 ლ. ხაჩიძე, დასახ. წიგნი, გვ. 38.

ლა. ჰიმნოგრაფიულ კანონს წინ უძღვის ძლისპირი: სუფევს ღმერთი წარმართთა. უფალო ღაღატყავსა, ვჰმა ა(1) გუერდი. ოწითა. ვჰმა ა(1) გვერდი. გიხაროდენტა ზედა. კანონის I გალობა – უგალობდითსა, ძლისპირი – ეტლთა სიმრავლემ მ.“ მას მოსდევს II-IX კანონები თავისი ძლისპირებით, დასდებლების გარეშე და მთავრდება დასდებლით „აქებდითსა“, თავისი ძლისპირით. 20 იანვარს: „თოუსა იანვარსა კ(20) დასდებელნი ევოჰმი მოღუაწისანივე. უგალობდითსა. ვჰმა დ(4). ძლისპ. „სღუსა მის მეწამულისა ღელ. – II კანონი მოიხილესა ძლ. ისმენდინ ქ. და ასე შემდეგ. III-IX კანონები მხოლოდ ძლისპირებით და ასევე მთავრდება დასდებელით „აქებდითსა“ დ(4) გვერდი (S 425, 112v-113v).

თეოდოსი დიდის ჰიმნოგრაფიული კანონი მხოლოდ მიქაელ მორეკილის კრებულშია შეტანილი, ხოლო ამ კრებულში შეტანილი ევთემე პალესტინელის კანონი, სათვალავით მეორე– მინჩხისაა, ხოლო პირველი კანონი, რომელიც ამავე კრებულშია შეტანილი, თარგმნილია ბერძნულიდან და იოანე დამასკელს მიეწერება.⁶¹

იოანე მინჩხის საგალობლები მეტი რაოდენობით შესულია სხვა ჰიმნოგრაფიულ კრებულებში, განსაკუთრებით კი Sin. 5; Sin. 75; Ier. 42. აქ შეტანილია იოანე მინჩხის წმინდა გიორგის საგალობლები – აკროსტიქული, „საგალობელნი ფერისცვალებისანი“, დიდმარხვის წინა პერიოდის კვირიაკეთა (მეზუერისა და ფარისეელის, უძღები შეილის, ხორციელისა და ყველიერის – Sin. 5). Sin. 75-ში დარჩენილია საგალობლები დიდმარხვის 1, 2, 3, 4 კვირიაკებისა. „როგორც ჩანს, იოანე მინჩხს უწერია საგალობლები მთელი წლისა იმ გეგმაზე, რომელსაც აგებულია საეკლესიო წელიწადი იერუსალიმის კანონში: ჯერ „ზამთრის კანონი“– 20 დეკემბრიდან აპრილამდე, და დიდმარხვის პერიოდი, მერმე „ზაფხულის კანონი“, რომლის ნაშთად უნდა ჩაითვალოს ორი საგალობელი აღდგომისა ზატიკის პერიოდიდან, აგრეთვე წმ. გიორგისა და ფერისცვალების ჰიმნები.. ამავე კატეგორიას ეკუთვნის ალბათ „დასდებელი წმიდისა მამისა ჩუენისა შიოფის, რომელიც იოანისავე სახელითაა შენახული“ – წერს კ. კეკელიძე.⁶²

Paris-ის ნაც. ბიბლიოთეკის Georg. 5 ქართული ხელნაწერისა და Sin. 5; Sin. 75 შესწავლის შედეგად ლელა ხაჩიძემ გამოავლინა იოანე მინჩხის მანამდე უცნობი საგალობლები, ხოლო ხელნაწერებში ავტორწაუწერელი მრავალი საგალობლის იდენტიფიკაციაც შეძლო, რომელთა შორის არის მინჩხის რამდენიმე ჰიმნოგრაფიული კანონი (მათ შორის იამბიკურიც) და მრავალი მცირე ფორმის რამდენიმე ათეული საგალობელი (დაწერილებით იხ. ლ. ხაჩიძე, იოანე მინჩხის პოეზია, თბილისი, 1987).

61 ევთემე დიდის (პალესტინელის) ჰიმნოგრაფიულ კანონებთან დაკავშირებული დახლართული საკითხებისა და საკუთარი ვარაუდების შესახებ. იხ. ლელა ხაჩიძის დასახ. წიგნი, გვ. 40-45.

62 იე. ქართული ლიტ-ის ისტორია, I, გვ. 172-173; კ. კეკელიძე, ისევე როგორც ივ. ჯანაშიანი სინის მისი ხელნაწერების აღწერილობაში Sin. 75-ის ნაცვლად უნებლიედ Sin. 77 ასახელებს.

იოანე მტბევარი. Xს. ჰიმნოგრაფი იოანე ტბეთის ეპისკოპოსი იყო, რასაც ადასტურებს ტბეთის ეპისკოპოსის ტიტულატურა – მტბევარი. ტბეთის საეპისკოპო დაუარსებია აშოტ კუხს (+918წ.), ხოლო მის პირველ ეპისკოპოსად მასვე სტეფანე მტბევარი განუწესებია. ეს უნდა მომხდარიყო LXს. ბოლოს, ხოლო იოანე ეპისკოპოსობა Xს. შუაწლებისათვის არის სავარაუდებელი, რადგან ერთი ხელნაწერის მინაწერის მიხედვით 995წ. იგი აწყურის ეპისკოპოსად მოიხსენიება: „ქრისტე, ადიდე იოანე მამამთავარი. პირველ მტბევარი და აწ შენ მიერ მაწყვერელ ეპისკოპოსი, დაიწერა საყდარსა შინა ტბეთისასა, ქორონიკონსა სნე (+215+780=995წ.)“. მიქაელ მოდრეკილის კრებული (S 425) 978-988 წლებით თარიღდება და ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ იოანე მტბევარის სახელით წარწერილი საგალობლები, რომლებიც აღნიშნულ კრებულში არის შეტანილი, აღნიშნული კრებულის შედგენის თარიღზე გაცილებით ადრინდელია. მიქაელის კრებულში შენახულია საგალობელ-დასდებელთა 15 ჯგუფი, რომელიც იოანე მტბევარს მიეწერება.⁶³ საგალობელთა 14 ჯგუფი ეძღვნება დღესასწაულებს 21 დეკემბრიდან მოყოლებული 28 იანვრამდე. კ. კეკელიძის სიტყვებით „იოანე მტბევარსაც ძველებური ტიპის სტიქირარების დაწერა განუზრახავს“. ჩამოთვლილია ის დღესასწაულებიც: 1) დეკემბერი 21 – „კრება სამწყსოსი, წინამოსწაევა და სახელით ვსენებაჲ ძუელისა სჯულის მამამთავართა“ (გვ. 46-55, კ. ინგოროყვას გამოცემით); 23.XII – „წინადღესასწაულობა შობისა და ხსენება იოსებ მართლისა“ (გვ. 590); 24.XII – ორი საგალობელი ქრისტეშობის წინადღეს“ (გვ. 69-76); 25.XII – „კრება ბეთლემს, შობა უფლისა“ (გვ. 76-90); 1.I. – ორი საგალობელი „ბასილი ნეოკესარიელისა“ (გვ. 90-98; 98-102); 3.I. – „კრება იორდანეს ენკენიასა იოანე ნათლისმცემელისასა, ნათელდება უფლისა“ (გვ. 102-105); 20.I – „წმ. ეუთიმესნი“ (გვ. 105-120) (იგულისხმება ეფთვიმე პალესტინელი, დიდი); 23.I – წმ. კლიმისა (გვ. 120-129)ლ 25.I – გრიგოლ დეთისმეტყველისა (გვ. 128-134); 27.I – იოანე ოქროპირისა (გვ. 134-135); 28.I. – ყოველთა მამათა მეუღაბნოეთა (გვ. 135-142; 142-142).

მეთხოთმეტე ჯგუფისა არის „აღდგომისა“ (გვ. 142-150), რომელშიც შემკულია აღდგომა, ის წარმოადგენს ოქტოიხოსის მეორე ხმის საგალობელს.

მიქაელ მოდრეკილი. Xს II ნახევრის ქართველი ჰიმნოგრაფი, კ. კეკელიძის შეფასებით „ეს არის უდიდესი და უნიჭიერესი ჰიმნოგრაფი, რომელსაც დაუტოვებია ჩვენთვის არამც თუ თავისი შესანიშნავი საგალობლები, არამედ უზარმაზარი კრებული, რომელშიაც მოთავსებულია სხვა ავტორთა ჰიმნებიც, როგორც ორიგინალური, ასევე ნათარგმნი“⁶⁴ რომლის შესახებაც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. ამჯერად შევეხებით მის ორიგინალურ საგალობლებს. მიუხედავად მიქაელის შესახებ ბიოგრაფიული ცნობების სიმწირისა და მისი პიროვნების შე-

63 კ. ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, ტფილისი, 1913, გვ. 43-151.

64 კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 174.

სახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გაერცელებული აზრობა სხვადასხვაობისა, ერთი შეიძლება ვთქვათ, რომ ის შატბერდის მონასტრის ბერია და, როგორც ზემოთ ვთქვით, გრიგოლ ხანცთელის პიმნოგრაფიული სკოლის მემკვიდრეა და ბიბლიის 12 წინასწარმეტყველთა წიგნის ერთ-ერთი გადამწერია (წგნი გადაწერილია ოშკში).

მიქაელ მოდრეკილის საგალობლები ორგვარი შინაარსისაა: ერთია სადღესასწაულო პიმნები, სადაც ავტორი აქებს ამა თუ იმ დღესასწაულს ან წმინდანს, როგორც ეროვნულს, ქართულს, ისე სასოგადოს. მის მიერ შექმნილი დღესასწაულები უმეტესად შობის დღესასწაულის (21 დეკემბერი) და ნათლისღების „განტეებისა“ (20 იანვარი) და ამათ შორის: 24 დეკემბერი – შობის წინადღისა, 1 იანვარი – ბასილი დიდისა; 6.I – აბო თბილელისა; და ნათლისღებისანი; 6.I – ნათლისღებისანი; 17.I – ანტონი დიდისა; 22.I – ყოველთა წმიდათა ძველისა და ახლისა შჯულისი. მიქაელს შეუთხზავს თავისი საკუთარი პარაკლიტონი, ე.ი. საგალობელი ადღომისა ან კვირიაკის დღისანი, რვა ჯგუფისა, რვა ხმათა მიხედვით.

მიქაელს იამბიკოებიც დაუწერია, მაგალითად, მესამე ხმის ადღომის დასდებლები, და აკროსტიქიანი საგალობლებიც. კრებულში მიქაელის საგალობლები წარწერილია: „მიქაელი“, ხოლო ამ აკროსტიქულ საგალობელში – „დასდებელი თქუმული ორმოციისა, ათისა, ექუსასისა, ერთისა, ხუთისა და ოცდაათისა“ (გვ. 369) სათაურის პირველი ასოების რიცხვითი მნიშვნელობა გვაძლევს „მიქაელ“ (40=მ; 10=ი; 600=ქ; 1=ა; 5=ე; 30=ლ).

სტეფანე სანანოისძე-ჭყონდიდელი. სტეფანე დავით ტბელთან ერთად ცნობილია, როგორც ბერძნულიდან ქართულად მთარგმნელი ძირითადად მეტაფრასული პაგიოგრაფიული თხზულებებისა. ეფრემ მცირე წერს, რომ სვიმონ მეტაფრასტის შრომათაგან ქართულად „მთარგმნეს მცირედნი, ვითარ არს წმიდისა არტემისი და კრიტელთა და ელევთერისი, რომელნი უთარგმნიან წმიდასა მამასა დავით ტბელსა.. ეგრეთვე სანატრელსა სტეფანეს სანანოისძესა უთარგმნია საკითხავი დაუჯდომელთა და ცხორებაჲ თეოქტისტე ლეზველისა და სხუანიცა“ (A-90, 312v-313r). კ. კეკელიძეს აზრით, „სტეფანე სანანოისძე არის ცნობილი სტეფანე, ჭყონდიდის ეპისკოპოსი, როგორც ეს ჩანს მიქაელ მოდრეკილის ერთი მინაწერიდან: „სტეფანე ჭყონდიდელისა, ნეტარისანი სანანოის ძისანი“ (პ. ინგროყვას, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 151 (რნა). სტეფანე ჭყონდიდელს მიუწერია იოანე ათონელისათვის და უკითხავს: „შესაწყნარებელ არსა“ ევსევი პანფილელის წიგნი თუ არა, პასუხი გაუციათ იოანეს და მის შვილს – ეფთვიმეს („ჩუენ მიუწერეთ“), რაც მიუთითებს, რომ იგი Xს მოღვაწეა და იგივე პირია, მიქაელის კრებულში მოხსენიებული სტეფანე ჭყონდიდელი – სანანოისძეა.

უნდა ითქვას აგრეთვე, რომ რუის-ურბნისის ძეგლისწერის სინოდოკონში მათი მოსახსენებელი შეტანილია გარდაცვლილ საეკლესიო მოღვაწეთა გვერდით: „ღირსთა მამათა ჩუენტა დავით ტბელისა და

სტეფანე სანანოვსკისა საუკუნომცა არს ცხენებად და კურთხევად მათი“ (ე. გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების „ქეგლისწერა“, თბილისი, 1978, გვ. 196).

მიქაელ მორდრეკილის კრებულში შეტანილია სტეფანე სანანოვსკის ორი ორიგინალური დასდებელი: „ნათლისდებისა და წმიდისა ჰაბოვსნი“ (პ. ინგოროყვას დასახელ. გამოცემა, გვ. 151-155) და სტეფანე პირველმოწამის რითმოვანი საგალობელი, რომლის აკროსტიქში იკითხება: სტეფანე (იქვე, გვ. 156-157).

იოანე ქონქოზის ძე არის ტაო-კლარჯეთში მოღვაწე ჰიმნოგრაფი, თუმცა ბიოგრაფიული ცნობები არა გვაქვს. ის რომ Xს. მოღვაწეა, დასტურდება იმით, რომ მისი საგალობელი შეტანილია მიქაელ მორდრეკილის 978-988წწ-ში შედგენილ კრებულში: „გალობანი ქრისტეს ნათლისდებისანი და ჰაბო ისმაიტელყოფილისა ქაროველისანი“ (პ. ინგოროყვას გამოცემა, გვ. 29-45). საგალობელი იამბიკურია და შედგება 28 მუხლისაგან.

კურდანაი. Xს უცნობი ჰიმნოგრაფი, რომლის სახელს იძლევა აკროსტიქი „უფალო დაღატყაესა“ მისი საგალობლიდან, რომელიც შეტანილია მიქაელ მორდრეკილის იადგარში მეშვიდე ხმის აღდგომის საგალობლებს შორის.

ეზრა. ამ ჰიმნოგრაფის სახელით მიქაელის კრებულში შეტანილია ერთი საგალობელი ეფთვიმე დიდი პალესტინელისადმი მიძღვნილი (20 იანვარს), რომელიც აკროსტიქულია. შეიძლება აქ იგულისხმებოდეს „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ მოხსენიებული „ეზრა, ღირსი, ანჩელი მამამთავარი, ეპისკოპოსი, დიდებულთა აზნაურთა დაფანსულთა შვილი“ (ძეგლები, I). იგი იყო თანამედროვე ბაგრატ ერისთავთ-ერისთავისა, რომელიც გარდაცვლილა 966წ. კ. კეკელიძე შენიშნავს, რომ „ის არ არის უღირსი ეზრა“, რომელსაც XIIს. შეუთხზავს იოანე მთაწმიდელს ჰაგიოგრაფიული კანონი (A 558; 'ათონის კრებული“, გვ. 191-196).

ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიული მასალით შეესება გრძელდება ე.წ. I რედაქციის „თუნებში“, სადაც განსხვავებით „იადგარებისაგან“ წმინდანთა და დღესასწაულთა ჰიმნოგრაფიული მასალა და უძრავ და მოძრავ დღეთა განგება „გამოკრებილი“ კალენდრის საფუძველზეა შეტანილი, ხოლო I რედაქციის „თუნებში“ საგრძნობლად ავრცობენ უძრავ დღეებზე შეტანილ დღესასწაულთა რიცხვს, ხოლო უძრავ დღეთა დღესასწაულები უგულვებელყოფილია და ასეთი დღესასწაულები ადგილს იცვლიან მათთვის სპეციალურად შექმნილ ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულებში („მარხვანი“, „ზატიკი“ და სხვ.), თუმცა არც I რედაქციის თვენები არ შეიცავენ თვის ყველა დღეზე შეტანილ დღესასწაულებს, როგორც ეს შემდგომში გააკეთა გიორგი მთაწმიდელმა წინა ჰიმნოგრაფიული კრებულების (იადგარი, თენის I რედაქცია და სხვ.) და ბერძნულიდან ნათარგმნი მასალის საფუძველზე შექმნილ თვენებში, რომელშიც მასალა ყოველი თვის ყველა რიცხვშია წარმოდგენილი.

IX-X სს. ორიგინალური ჰიმნოგრაფიის მოკლე მიმოხილვის შემდეგ უნდა გაეიხსენოთ ის ჰიმნოგრაფები, რომელთაც ადრე შექმნილი ორიგინალური საგალობლების თემატიკა, რომელმაც განსაკუთრებულად ასახვა პოვა X ს-ის ჰიმნოგრაფიაში, განაგრძეს XI ს-შიც. მათ რიცხვს მიეკუთვნება ცნობილი სახელები: გიორგი მთაწმიდელი, ეზრა მთაწმიდელი, ბასილი ბაგრატის ძე, „გლახაკი ბასილი“, ზოსიმე (ათონელი), ეყრემ მცირე, ფილიპე. თითოეული მათგანის ღვაწლზე მოკლედ ვისაუბრებთ ქვემოთ:

გიორგი მთაწმიდელი. ქართულ ჰიმნოგრაფიაში და ლიტურგიკაში გიორგი მთაწმიდელმა უდიდესი წვლილი შეიტანა თავისი „თუნების“ შედგენა-თარგმნით და მასში თავისი ორიგინალური საგალობლების შეტანით. ამ ღვაწლზე ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ, აქ კი მის ორიგინალურ ჰიმნოგრაფიულ საგალობლებზე ვიტყვი მოკლედ.

გიორგის „თუნში“ შეუტანია თავისი ორიგინალური საგალობლები (ეფთვიმე მთაწმიდელისა (H 1710, 64r-66v) და იოდასაფ ინდოელისა (იქვე, 109-112),⁶⁵ თუმცა უფრო მნიშვნელოვანია მისი თარგმანები ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ საგალობელთა კრებულებისა: „თთუნი“, დიდნი მარხვანნი, დიდი პარაკლიტონი, „სტიქარონნი საწელიწდონი დღესასწაულისანი, რომელნი თუეთაცა თანა სწერია“, „სტიქარონი თუთავაჯნი უძლისპირონი, ვითარცა არიან ბერძნულად“, ე.ი. ძლისპირნი (ბერძნ. ირმოლოგონი); „სატიქნი მრავალფერითა კეთილითა აღსაესე“.

ეზრა მთაწმიდელი. საგალობელში, რომელიც ე.წ. ათონის კრებულში არის შეტანილი „წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ქართველისანი, რომელმან აღაშენა მთაწმიდის დიდი ლავრა ქართველთა“, ე.ი. ჰიმნოგრაფიული კანონის აკროსტიქში იკითხება „იდიდებოდენ აწ მამამ იოანე უღირსი ეზრას მიერ“. ნათელია, რომ საგალობლების, ე.ი. ჰიმნოგრაფიული კანონის ავტორი ეზრაა.

მის შესახებ არაფერია ცნობილი, გარდა იმისა, რომ ის ათონის ქართველთა მოსასტრის ბერია, რომელიც იოანესთან ერთად აქებს მის შეილსაც – ეფთვიმეს და სარგებლობს გიორგი მთაწმიდელის მიერ დაწერილი „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრებით“, ე.ი. მას საგალობელი დაუწერია 1042-1044 წლების შემდეგ, არა უგვიანეს 1074 წლისა („ათონის კრებულის“ შედგენის წელი, რომელშიც ეს თხზულება არის შეტანილი).

ბასილი ბაგრატის ძე. ბასილი, ძე ბაგრატ III-ისა, რომელიც ხახულის მონასტერში მოღვაწეობდა მაშინ, როდესაც 10 წლის გიორგი (შემდეგში მთაწმიდელი) იქ მიიყვანეს (ე.ი. 1019წ.). მას დაუწერია ეფთვიმე მთაწმიდელის საგალობლები (H 1710, 67v-70r). საუკიკრებელია, რომ იმხანად იგი უკვე ათონის ქართველთა მონასტრის მოღვაწე იყო. საგალობელი ეფთვიმეს გარდაცვალების (+1028წ.) შემდეგ უნდა იყოს

65 ელ. მეტრეველი, ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის XI ს-ში, კუშკინის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. IX.

დაწერილი და გიორგი მთაწმიდელმა იგი თავის „თოფენში“ შეიტანა 13 მაისის დღეზე (ეფთვიმეს გარდაცვალების დღე). საგალობელი დაწერილი უნდა იყოს ეფთვიმეს გარდაცვალების ახლო ხანებში, ამიტომ ის წყაროდ გამოუყენებია გიორგი მთაწმიდელს „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“.⁶⁶

ბასილი ჰიმნოგრაფი. „ათონის კრებულში“ (A 558, 1075წ.) შეტანილია საგალობლები, რომელთა აკროსტიქი ასე იკითხება: „ღმერთ-შემოსილსა ეფთვიმის გლახაკი ბასილი შეამკობს“. საგალობლები მიძღვნილია ეფთვიმე მთაწმიდელისადმი, ხოლო მისი ავტორი ბასილი უნდა იყოს – ქართველთა მონასტრის მონაზონი, რომელსაც, კ. კქქქ-ლიძის დაკვირვებით, შეუქმნია საგალობელი მანამ, სანამ „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებას“ დაწერდა გიორგი მთაწმიდელი, რადგან ის არ იყენებს „ცხოვრების“ მონაცემებს.⁶⁷ მართალია, მეცნიერი გამოორიცხავს ამ ბასილის გაიგივებას ბასილი ბაგრატის ძესთან, მაგრამ ეს საკითხი, ჩვენი აზრით, შესასწავლია.

ზოსიმე ათონელი. ზოსიმეს მიეწერება ორი ჰიმნოგრაფიული კანონი: წმ. ილარიონ ქართველისა („ათონის კრებული“, გვ. 177-186) და ეფთვიმე მთაწმიდელისა (იქვე, გვ. 202-208), რომელიც მას დაუწერია ათონის ქართველთა მონასტერში გიორგი ოლთისარის (1065-1077წწ.) მამასახლისობის პერიოდში. თითოეული გალობა ეფუძნება ამ წმინდანების „ცხოვრებებს“: ილარიონის „ცხოვრების“ ძველ, ათონურ რედაქციას, ხოლო ეფთვიმეს საგალობელი – გიორგი მთაწმიდელის თხზულებას – „ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი“. ამ ავტორის ვინაობა უცნობია, ვიცით მხოლოდ, რომ იგი თავის თავს „უღირს ზოსიმეს“ უწოდებს და რომ მას თავისი თხზულებები ვინმე იაკობ მღვდელის იძულებით დაუწერია, რომელიც იმ დროს ივერიის ლავრის დეკანოზი ყოფილა, სხვა მის შესახებ არაფერია ცნობილი.

რაც შეეხება ფილიპეს და ეფრემ მცირეს პოეტურ შემოქმედებას, განხილული იქნება ჩვენი ნარკვევის მეორე ნაწილში – არალიტურგიკულ ჰიმნოგრაფიაში, სადაც ლაპარაკია იამბიკური საგალობლების შესახებ. აქვე დაეძინთ, რომ ლიტურგიკულ ჰიმნოგრაფიაში იძებნება რამდენიმე მაგალითი, როდესაც ჰიმნოგრაფიული კანონი, ან მისი კომპონენტი დასდებლები იამბიკური პოეზიის ნიმუშებია.

ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის განვითარების შემდგომი საფეხურია XIIს., რასაც ხელი შეუწყო ქართულმა სახელმწიფოებრივმა სიძლიერემ დამასზე აღმოცენებულმა კულტურისა და მწერლობის განსაკუთრებულმა აღმავლობამ. პირველ ნათარგმნ ჰიმნოგრაფიულ კრებულებში შეტანილმა ორიგინალურმა ჰიმნოგრაფიულმა საგალობელთა და მათი ავტორების რიცხვმა, დაწყებული VIIIს-ით (იადგარები), მომდევნო საუკუნეებში თანდათან იმატა და X-XIსს-ში საგრძ-

66 ე. გაბიაშვილი, ექვთიმე მთაწმიდელის სენიქსარული ცხოვრება, ძეგლები, IV, თბილისი, 1968.

67 ძველი ქართული ლიტის ისტორია, გვ. 35.

ნობლად გამრავლდა (იადგარებში, I რედაქციის „თუნში“, გიორგი მთაწმიდელის „თუნებში“). ეს პროცესი კიდევ უფრო გაიზარდა XII-XIII სს-ში, როდესაც სასულიერო პირთა გვერდით მოღვაწეობდნენ არალიტურგიკული პოეზიის, იამბიკური პოეზიის შემოქმედნი, მეფეთა და საერო დიდებულთა წარმომადგენელნი (დავით აღმაშენებელი, დემეტრე II, თამარ მეფე).

დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“. ჩვენი სახელგანქმული მეფის, დავითის დამოკიდებულება ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისადმი და სარწმუნოებრივი მრწამსი განსაკუთრებული იყო. დავით აღმაშენებლის „ისტორიაში“ ხშირად არის საუბარი დავითის მიერ ქართულ ეკლესია-მონასტრებზე გაცემულ უშურველ ქველმოქმედებაზე, განსაკუთრებით სასდვარგარეთის ქართული მონასტრების მიმართ, საქართველოში ეკლესია-მონასტრების მშენებლობაზე გაწეულ შრომაზე და მათი ტიპიკალური მოწყობისათვის გაწეულ ამაგზე, სასულიერო მწერლობის საფუძველმდებელი ლიტერატურით მის დაინტერესებაზე (ბრძოლაში მიმავალ მეფეს თავისი სასულიერო ლიტერატურა, რომელთა შორის უპირველესი „უსალმუნი“ ანუ ქართულად „დავითნი“ იყო, ჯორ-ცხენებზე აკიდებული მიქონდა და ბრძოლის ველზე, წიგნების კითხვით გართულს ხშირად ხიფათი შექმნია). ალბათ „დავითნმა“ და ანდრია კრიტიელის დიდმა ჰიმნოგრაფიულმა კანონმა შთააგონა მას (ეს თხზულება დავითმა არსენ იყალთოელს ათარგმნინა), რომ შეექმნა „გალობანი სინანულისანი“ – ცხრა ოდიანი ტრადიციული ჰიმნოგრაფიული კანონი, რომელიც, ჩვეულებისამებრ, „დახუნძლულია“ „ტროპარ-დასდებლებით“, რომელთა ძირითადი მოტივია ზოგადსაკაცობრიო სინანულის თემის საკუთარი ცოდვილი სულის განსასჯელად წარდგენა ღმერთის, ღვთისმშობელისა და საკუთარი თავის წინაშე.⁶⁸

დავით აღმაშენებლის ჰიმნოგრაფიული თხზულების მიმართ ცხოველი ინტერესის გამოხატველია თხზულების ხელნაწერთა სიმრავლე, რომელთაგან სამი XIII ს-ისაა. ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილია „გალობანის“-ის ხელნაწერები და გამოცემები, ხოლო სამეცნიერო ლიტერატურაში – თხზულებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სტატიები.

დემეტრე მეფის იამბიკობე. დავით აღმაშენებლის ძესა და მემკვიდრეს დემეტრე მეფეს, რომელიც დამიანეს სახელით მონაზონი გახდა, მამის პოეტური ნიჭიც მიუღია ტახტის მემკვიდრეობასთან ერთად. მისი იამბიკო „შენ ხარ ვენახი“, რომელიც მან „ღვთისმშობელს

68 ამ თხზულების გამოცემები და მისი რელიგიურ-იდეოლოგიური, კომპოზიციური, მხატვრულ-ესთეტიკური საკითხების მიმოხილვა იხილეთ: 1. ლ. გრიგოლაშვილი, ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან (დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ (საკანდ. დისერტაცია), თბილისი, 1972; 2. ზ. ჭავჭავაძე, ლიტერატურისმცოდნეობა, კრიტიკა, პუბლიცისტიკა, თარგმანი, თბილისი, 1993; 3. ნ. სულავე, XII-XIII სს. ქართული ჰიმნოგრაფია, თბილისი, 2003; 4. ა. გაწერელია, სკიპტრა და საფლავი, ჯვარი ვაზისა, №1, 1989; 5. მ. კაკაბაძე, დავით აღმაშენებლისა და დემეტრე მეფის ლირიკა, „მნათობი“, №4, 1962.

მიუძღვნა“, უდიდესი პოპულარობით სარგებლობს დღესაც, როგორც საეკლესიო საგალობელი (იგი შეტანილია XVII-XVIII სს. სხვადასხვა რედაქციის სადღესასწაულოებში, „აწდა“ ტროპარად, ანუ ღვთისმშობლისანად). ამ იამბიკოს გარდა მას ტრადიციულად მიეწერება კიდევ ერთი, ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი იამბიკო და შიო მღვიმელი-სადმი მიძღვნილი კიდევ ორი იამბიკო. ყველაზე ძველი ხელნაწერი, რომელიც დემეტრეს იამბიკოებს შეიცავს, არის 1431 წლის ხელნაწერი (ქთ. 564). არსებობს დემეტრე მეფის იამბიკოთა გამოცემები, რომლებიც ძირითადად ემყარება XVIII ს. A 342 ხელნაწერს. ამდენად, საყურადღებოა ბევრად ძველი, ქუთაისის ეთნოგრაფიული მუზეუმის ხსენებული ხელნაწერი, რომელმაც დემეტრე მეფის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი კიდევ ერთი იამბიკო შემოგვინახა, რომელიც ჰიმნოგრაფიის მკვლევარმა ნესტან სულაევამ გამოაველინა. იამბიკო სახელწარუწერელია, მაგრამ შინაარსის გათვალისწინებით და დემეტრეს სხვა იამბიკოებთან სტილისტური თვალსაზრისით შედარების საყუძველზე მკვლევარმა იგი დემეტრე მეფეს მიაკუთვნა, რადგან იამბიკოში მოხსენებული „დმიტროსი“ მას ავტორად მიაჩნია.

ნიკოლოზ გულაბერის ძის „გალობანი სუეტისა ცხოველისანი“. ნიკოლოზ კათალიკოსი, გიორგი III-ისა და თამარ მეფის თანამედროვე, XIII ს. საეკლესიო მწერალია, რომელსაც დაუწერია „საკითხავი სუეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისაჲ“.⁶⁹ მის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული ბასილი ეზოსმოძღვარის ისტორიულ თხზულებაში – „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“. ნიკოლოზი, უკვე საქართველოს ეკლესიის მეთაური – კათალიკოსი, გიორგი III მეფობაში უცნობი ვითარების გამო ბერად აღკვეცილა. ჯერ ათონის მთაზე (1178-1183წწ.), შემდეგ იერუსალიმში წასულა (1183წ.) და იქ ქართველთა ჯვარის მონასტერში უმოღვაწნია, სანამ იგი იერუსალიმიდან არ გამოუწვევია თამარს (1184წ.) და ისევ კათალიკოსად არ განუშვსებია. ნიკოლოზ გულაბერის ძეს თავის ზემოდასახელებულ ისტორიულ-ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში ძირითადად ქართლის გაქრისტიანებაში წმინდა ნინოს მიერ შესრულებულ მისიონერულ ღვაწლზეა საუბარი და ქალი-მოციქულის უპრეცედენტო მაგალითი ახსნილია, ასე ვთქვათ, რუსთველისეული ფილოსოფიით: „ლეკვი ღომისა სწორია, ძუ იყოს, გინდა ხეადია“. ქართლის ღვთისმშობლის წილხედომილობისა და თამარ მეფის (პირველი მაგალითი ქალის მეფობისა) მოღვაწეობის მაგალითებით გამოხატულია ქალის კულტის ამაღლების სურვილი. ნიკოლოზს ამ საკითხავე უდართული აქვს სუბტიცხოვლობის დღესასწაულისათვის მთელი ლიტურგიკული ჰიმნოგრაფიული განგება და ჰიმნოგრაფიული საგალობლები ასეთი თანმიმდევრობით: „უფალო ღაღატყავსა“, „მკწეონი“, საკითხავეები ძველი აღთქმიდან, „სტიქარონნი“, „ოხითა“, „წარდგომანი“, საკითხავეები ოთხთავიდან, ცისკრის კანონი (აკლია მეორე გალობა „მოიხილესა“),

69 გამოც. ვ. კარბელაშვილისა, ტფილისი, 1908.

რომელშიც „ღალატყაყას“ მოსდევს „იამბიკო“ და „იკოსი“, კანონის ბოლოს „გამოაელინე“, „აქებდიოსა“, რომელიც კანონის შემადგენელი გალობა არ არის, მაგრამ ერთგვარად მის როლს ასრულებს, ყსალმუნთა საგალობლები, საკითხაეები სამოციქულოდან, ზოგ საუფლო და დიდ დღესასწაულებზე ორი ჰიმნოგრაფიული კანონია გატანილი. სეგეტიცხოვლის დღესასწაულის განგება მდიდარია ჰიმნოგრაფიული მასალით და მასში სამი ჰიმნოგრაფიული კანონია შეტანილი. ეს კანონები ყველა ნიკოლოზ გულაბერის ძის მიერ არის დაწერილი.⁷⁰

თამარ მეფის იამბიკოები. თამარის ისტორიაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ჩართულია „იამბიკო ხუთეული ოცდახუთ ლექსად“.⁷¹ „ისტორიანის“ ანონიმი ავტორის მოწმობით იგი თამარის დაწერილია. იამბიკო ცნობილია შერქმეული სახელით „ცასა ცათასა“, რომელიც არის იამბიკოს პირველი სიტყვები. მეორე იამბიკო, რომელსაც თამარს მიაკუთვნებენ არის „ქალწულებრიეთა“, რომელიც გვიანდელი, XVIII-XIX სს. ხელნაწერებითაა შემონახული.

იამბიკო „ცასა ცათასა“ დაწერილია შამქორის 1195 წლის ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად და იგი თამარს მტრისთვის წარომეული ხალიფას დროშასთან ერთად ხახულის ღეთისმშობლის ხატისათვის შეუწირავს, ისევე როგორც მემატიანე აღნიშნავს, „მსგავსად მამისა პაპისა მათისა“ (დავით აღმაშენებელი – ე.გ.), რომელმაც დიდგორის ბრძოლაში მოპოვებული ხალიფას ძვირფასი თელებით მოოჭვილი ოქროს მანიაკი ხახულის ღეთისმშობლის ხატს შესწირა.⁷² თამარის ავტორობას მრავალი მომხრე მეცნიერი ჰყავს, თუმცა დატყვებულებიც არსებობენ.

იამბიკო „ქალწულებრიეთა სისხლითა“ დაკავშირებით თამარის ავტორობის საკითხი ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში კიდევ უფრო საკამათო გახდა და საბოლოოდ გარკვეული არ არის. იამბიკოს შემცველი ხელნაწერები ძალიან გვიანდელია, ყველაზე ადრინდელი XVIII ს-ისაა (H 2955), ხოლო დანარჩენები – კიდევ უფრო გვიანდელი (S 3686, XIX ს.; S 3725, XIX ს.; A 592, XIX ს.) და ზოგ მათგანში იამბიკო თამარს მიეწერება, ზოგშიც კი – შოთა რუსთაველს.⁷³ იამბიკო მოგვითრობს თამარ მეფის დეაწლზე ხახულის ღეთისმშობლის ხატთან დაკავშირებით. ეს ხატი ხახულიდან გელათში დავით აღმაშენებლის მიერ უნდა იყოს გადმოსვენებული.⁷⁴

6. სულაეამ, რომელმაც ვრცელი მიმოხილვა მიუძღვნა XII-XIII სს. პოეზიას და ყველა ავტორის იამბიკოების თითოეული სტროფის, თი-

70 6. სულაეა, XII-XIII სს ქართული ჰიმნოგრაფია, თბილისი, 2003, გვ. 51-68.

71 ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 74-75; ხელნაწერი ქუთ. 564, 1481წ.; S 1512, 1821-1823წწ., 61v-62v; ბოლო ხელნაწერის მინაწერი იამბიკოს შოთა რუსთაველს აკუთვნებს.

72 იქვე, გვ. 74.

73 იამბიკო პირველად გამოსცა დ. ნუბინაშვილმა, 1860წ. „ქართ. ლიტერატურის ქრესტომათია“, ტ. II, ს-პეტერბ., 1846, გვ. 224.

74 რ. ყენია, ხახულის ღეთისმშობლის ხატის კარედის მოჭედილობა, თბილისი, 1972.

თოეული ტაეპის მხატვრულ სიმბოლოთა და თეოლოგიურ საკითხებს, თამარის აღიარებულ იამბიკოებთან ერთად, წარმოადგინა რამდენიმე იამბიკოც, რომლებსაც ადრინდელ მეცნიერ ფილოლოგები შეცდომით თამარს მიაკუთვნებენ.

იოანე ანჩელის „გალობანი ანჩისხატისანი“. იოანე ანჩელისლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კანონი ეძღვნება საყოველთაოდ ცნობილ ანჩის ხატს. საგალობელი აკროსტიქულია და კიდურდაწერილობა გეიმხელს საგალობლის ავტორისა და მისი ადრესატის სახელებს: „საშინელსა ანჩის ხატს უგალობ უნდოდ იოვანე ანჩელი“. „ანჩელი“ გეიწვევებს, რომ იოანე ანჩის მთავარეპისკოპოსი ყოფილა თამარ მეფის ეპოქაში, თამარის თანამედროვე, რასაც გვამცნობს ტბეთის სახარების (Q 929, XIIს) პაულე მტბევარისეული ანდერძი, რომელსაც ეს სახარება „დაუწერიებია“ სალოცველად (ჩამოთვლილია 18 პირი).. იოანე – ანჩელი მთავარეპისკოპოსისა და „ყოველთა თვსთა და ნათესავთა ჩემთათვს“.⁷⁵

ანჩის მაცხოვრის ხატის ასომთავრული წარწერა გვამცნობს: „ბრძანებითა და ნივთისა ბოძებითა.. თამარისაჲთა, მე, იოანე ანჩელმან რკინაელმან ჳელეყავ საშინელისა ამის ხატისა პატივით მოჳქედად.. მოიჳქედა ჳელითა ბეჳასითა...“⁷⁶ ე.ი. იოანემ თავისი ეპოქის უდიდესი სიწმინდე ბეჳა ოპიზარს მოაჳკერინა, ხოლო თვითონ მას საგალობელი მიუძღვნა. ეს მომხდარა, საფიქრებელია 1184-1193წწ.⁷⁷ საგალობელიც ამ დროისათვის, კერძოდ, ხატის ჩარჩოს მოჳქედვის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი. საგალობლის დაწერის საბაბი სწორედ ხატის ჩარჩოს მოჳქედვა უნდა ყოფილიყო. ხატის წარწერა 1721 წელს გადმოუტანია ხელნაწერში H 1040, 99r-109r, როგორც სარწმუნოდ ფიქრობენ, დომენტი კათალიკოსს, რომელმაც შეისყიდა ეს ხატი.⁷⁸

იოანე შავთელის „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“. იოანეს საგალობელი ჰიმნოგრაფიული კანონია, რომელსაც მეორე გალობა „მოიხილესა“ არა აქვს. შესრულებულია იამბიკოს ფორმით და აქვს აკროსტიქი ანუ კიდურდამწერლობა, რომელიც წარმოადგენს ვრცელ მიმართვა-ვედრებას ღვთისმშობლისადმი ავტორის დასახელების გარეშე.

იოანე შავთელის თხზულების მეექვსე, მერვე, და მეცხრე გალობები კლასიკური ურითმო იამბიკოს ნიმუშებია. რაც შეეხება დანარჩენ ხუთ გალობას, ისინი დატეხილი იამბიკოებია. როგორც კ. კეკელიძემ მიუთითა, ის იმითაა განპირობებული, რომ „საგალობელი აკროსტიქულია და სტროფებისა და ტაეპების რაოდენობა საკმარისი არ აღმოჩნდა აკროსტიქის წინადადებისათვის“.

75 Q – ფონდის ქართ. ხელნაწ. აღწერილობა, II, თბილისი, 1958, გვ. 356.

76 შ. ამირანაშვილი, ბეჳა ოპიზარი, თბილისი, 1956, გვ. 8.

77 იქვე, გვ. 12.

78 გამოც. 1) მ. ჯანაშვილისა, Описание рукописей церковного музея, 109; 2) ს. ყუბანეიშვილისა, ქვ. ქართ. ლიტ-ის ქრესტიომათია, თბ., 1946, გვ. 381-383; 3) ნ. სულავასი, XII-XIIIსს. ქართული ჰიმნოგრაფია, თბ., 2003, გვ. 297-300.

თხზულებამ ჩვენამდე სამი ხელნაწერით მოაღწია: ქუთ. 22, XIII, გვ. 209-212; A 518, 1708წ., 535r-539r; S 379, XIX, გვ. 155-162 (ავტორი მხოლოდ პირველ ხელნაწერშია დასახელებული).

გამოცემებიდან მხოლოდ ნ. სულავას გამოცემაში (XII-XIII სს. ქართული ჰიმნოგრაფია, თბ., 2003, გვ. 301-305) აქვს გალობას ჰიმნოგრაფიული კანონის ფორმა, დანარჩენი გაბმული ტექტით არის წარმოდგენილი (ს. ყუბანეიშვილისა, ძვ. ქართ. ლიტ-ის კრესტომათია, 1946, გვ. 384-396).

აბუსერიძე ტბელის „გალობანი წმიდათა იოანესთა“. ავტორმა ჰიმნოგრაფიული კანონი მიუძღვნა სამ იოანეს – ნათლისმცემელს, ღეთისმეტყველს და ოქროპირს. საგალობელს ძალზე გრძელი სათაური აქვს: „გალობანი წმიდისა ნათლისმცემლისანი, წმიდისა მახარებელისა და წმიდისა იოვანე ოქროპირისანი, ერთბამად შემოკრებულნი ერთმოსეხნეობისათვის და ერთმადლობისათვის, დაღაცათუ წინამორბედი არს უმეტესი ყოველთა ნაშობთა დედათაჲსა“. იგი წარმოადგენს ჰიმნოგრაფიულ კანონს, რომელიც 8 გალობისაგან შედგება, ჩვეულებისამებრ, აკლია მეორე გალობა – „მოიხილესა“. საგალობელში ერთდროულად შექებულია სამი პირი, რომლებსაც ავტორი ერთ მთლიანობაში წარმოგვიდგენს, თუმცა პარალელურად თითოეულს საკუთარი, ინდივიდუალური ნიშნებითაც ახასიათებს.

აბუსერიძე ტბელის ჰიმნოგრაფიული თხზულება სამი ხელნაწერით არის ცნობილი: A 85, 1233წ., 219r-221v; ქუთ. 22, XIII; A 1040, 1721, 109r-113v (ბოლონაკ.). თხზულება პირველად გამოიცა ბათუმში: ტბელ აბუსერიძე, გალობანი სამთა იოანეთა, გამოსაცემად მოამზადა რ. ხალვაშმა, 1993წ. მეორედ დაბეჭდა ნ. სულავამ, XII-XIII სს. ქართული ჰიმნოგრაფია, თბილისი, 2003, გვ. 306-308.

არსენ ბულმაისიძის ჰიმნოგრაფიული კანონი ეძღვნება მაცხოვრის მარტყოფის ხელთუქმნელი ხატისა (პირის) და მისი ედესიდან საქართველოში ჩამომტან ანტონ მარტყოფელის ქებას, რომლის გრძელი სათაურია: „უფალო დაღატყაეი ხატისა უხილავისაჲ ამავე გალობითა თქუმული არსენ ბულმაისიძისაგან ქართლის კათალიკოსისა.“ საგალობელი არსენს დაუწერია დიდი ფეოდალების – ვარდან და აბუსერ აბუსერის ძეოა თხოვნით, რაც აღნიშნულია არსენის საპასუხო ეპისტოლეში, რომელიც ამ თხზულებას წინ უძღვის. მითითებულ საგალობელს (A 85, XIII ს., 278v-284v) მოსდევს არსენის მეორე საგალობელი, რომელიც მიძღვნილია ასევე ამ ხელთუქმნელი ხატისადმი: „ოვთ ძლისპირნი ზესთგამოთქუმისა კველთუქმნელისა ხატისანი. ესეცა არსენისგანვე თქმულნი, კათალიკოსისა“ (285r-293). მეორე საგალობლის ბოლოს ერთვის მინაწერი: „ამის ზემოფთნი, მეოთხისა გუერდნი გალობანი ვარდანისაგან შეხუეწითა თქმულნი ამით მეორითა გალობითა განაშუენნა...“

არსენის ეს ორი საგალობელი მრავალი ხელნაწერით არის ცნობილი: A 85, 1233წ., 278v-293r მათ შორის უძველესია, ხოლო დანარჩენი ხელნაწერები სხვადასხვა რედაქციის XVII-XVIII სს-ის სადღესასწაუ-

ლობშია, რომელთაგან დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმეს: A 130, 1713წ., A 160, 1733წ.; A 170, 1743; A 425, 1718წ. და სხვ. ამ საგალობლების 6. სულავას მიერ გამოცემული ტექსტი A 85 ხელნაწერს ეყრდნობა: XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, თბილისი, 2003, გვ. 309-326.

არსენ ბულმაისიძისეს საგალობლები მიუძღვნია წმ. ნინოსა და შიო მღვიმელისადმი:

„გალობანი წმიდისა მოციქულისა ნინოისანი“, რომლის აკროსტიქი— „ქებით უგალობეთ სასოსა ჩემსა ნინოს. არსენი“, 33 სტროფისაგან შედგება (დავით აღმაშენებელის „გალობანი სინანულისანის...“ მსგავსად), რომელიც ქრისტეს ასაკის სიმბოლიკა უნდა იყოს.

ჰიმნოგრაფიული კანონი, ჩვეულებისამებრ, რვა გალობით არის წარმოდგენილი (რადგან მეორე კანონი — „მესმას“ იშვიათად არის წარმოდგენილი ქართულ საგალობლებში). თითოეული გალობა მთავრდება ღმრთისმშობლისადმი მიძღვნილი ტროპარით. ავტორი შესთხოვს იესო ქრისტეს, შეაძლებინოს მოციქულის, წმინდა ნინოს ღირსეული შესხმა: „ქრისტე, აღახვენ ძნობად ბაგენი ჩემნი ქალწულისა დედისა მოციქულისა და ქადაგისა შენისა ნინოისა შესხმად...“

წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი საგალობლების ხელნაწერი H 1349, XII, 4v-6r, არ უჩვენებს გალობათა სახელწოდებებს, ისინი მხოლოდ დანომრილია, სახელწოდებები აღდგენილია ტექსტის გამომცემლის— 6. სულავას მიერ: XII-XIII სს. ქართული ჰიმნოგრაფია, თბილისი, 2003, გვ. 326-328. გამომცემელს გამოყენებული ხელნაწერის (შიომღვიმის მონასტრის ტიპიკონი) დაზიანებული ადგილები აღუდგენია გვიანდელი ხელნაწერების მიხედვით (A 160; A 425; A 1401).

შიო მღვიმელისადმი მიძღვნილი საგალობლები, რომლებიც მხოლოდ გვიანდელი ხელნაწერებით არის მოღწეული, ლიტურგიკული დანიშნულებისაა და მოთაყვებელია სადღესასწაულოებში ყველიერის ხუთშაბათს შიო მღვიმელისადმი მიძღვნილ სხვა ჰიმნოგრაფთა საგალობლებს შორის. შიოს ხსენების დღის განგებაში ორი ჰიმნოგრაფიული კანონია და რამდენიმე მცირე ფორმის საგალობელი. ორი კანონიდან ერთი აკროსტიქულია, რომელიც გვიმხელს ავტორის ვინაობას: „არსენი ქართლის კათალიკოსი შიოს უგალობ“. შიოსადმი მიძღვნილი საგალობლები შინაარსობრივად შიოს ცხოვრების რედაქციებს ეყრდნობა. შიო მღვიმელის საგალობლები გამომცემელმა — 6. სულავამ ძირითად ხელნაწერებად A 160 — 1699 წლისა და A 425 — 1718წ. ხელნაწერები შეარჩია, მაგრამ, როგორც ის აღნიშნავს, A 176 და A 409(XVIII ს.) ხელნაწერებიც გაითვალისწინა: 6. სულავა, დასახ. ნაშრ., გვ. 333-336.

საბა სვინგლოზის „გალობანი ქრისტეს განგებულებისა და განკაცებისანი“. ამ ავტორის მხოლოდ ეს ერთი საგალობელია ცნობილი. საბას საგალობელი ეძღვნება მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის საქართველოში ჩამოტანის თემას. საგალობლის სათაურშივე მოცემულია საგალობლის ავტორის ვინაობა, დამკვეთი და თემა: „გალობანი ქრისტეს განგებულებისა და განწესებისანი, თქუმულნი ნეტარისა

მამისა საბა სუნგელოსისა, კარის ეპისკოპოსისანი, შეხუჭითა ძმისა ჩემისა ვარდანისთა, რომლის თაენი წითელთა ასომთავარნი მსიტყუელობენ: [„ქრისტე ღმრთის ხატი, მეოხ ექმენ ვარდანს“] (ხელნაწერში აკროსტიქი მითითებული არ არის).

საბას მიერ წარმოდგენილი ჰიმნოგრაფიული კანონი ცხრაოდიანი საგალობლის კლასიკური ნორმებითაა შექმნილი (თუ არ ჩაეთვლით დასდებელს – „დიდებაჲს“ სიმრავლეს).

საგალობელი ერთადერთი A 85, 1233წ., 294v-298r ხელნაწერის მიხედვით გამოსცა ნ. სულავამ, დასახ ნაშრომი, გვ. 337-341. უფრო ადრინდელ, ს. ყუბანეიშვილის გამოცემაში – ძვ. ქართ. ლიტ.-ის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946, გვ. 391-393, საგალობელი გაბმული ტექსტითაა დაბეჭდილი.

XVII-XVIII სს. ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფია⁷⁹

ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის მომდევნო ეტაპი XII-XIII სს. ორიგინალური ჰიმნოგრაფიის შემდეგ, XVII-XVIII სს.-ში ჩამოყალიბდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ XIII-XIV სს.-ში საერთოდ სასულიერო მწერლობის თითქმის ყველა სფეროში ჩაყარდნის შემდეგ XV-XVI სს. თითო-ოროლა ორიგინალური ჰიმნოგრაფიული თხზულებების შექმნას. ჰიმნოგრაფიული თხზულებები XI-მდე კრებულ-იადგარებში იყო შეტანილი, XI ს-ის I ნახევრიდან ჯერ კრებულში, რომელსაც I რედაქციის „თეენებს“ უწოდებდნენ, XI ს. – II ნახევრიდან გიორგი მთაწმიდელის რედაქციის „თთუენებს“, რაც გრძელდებოდა მომდევნო საუკუნეებშიც, თუკი XII-XIII სს. ორიგინალური ჰიმნოგრაფიის თხზულებებს განვიხილავთ. ასევე XIV ს. ნიკოლოზ ქართველთა მნათობის ჰიმნოგრაფიიდან თითქმის არაფერი შემოგვრჩენია, მიუხედავად იმისა, რომ ანტონ I წერს: ის არის „აექსონი (აეტორი) კანონთ მრავალ-აკოლოთიათა...“ „და „ქართველთ მნათობად ზედწოდებულ ჰყო საქმემ“, თუმცა იგი ასახელებს მხოლოდ ერთს: „ამან უზომოდ წემისა გარდამოსლვის დასაყენები აკოლოთია, მხურვალსავედრი ღვთისადმი ერისაგან, მაღალგამოთქმით“ (წყობილსიტყვაობა, სტრ. 779-780). მართლაც, კურთხევაწში (მოსკ. გამოც. 1826, გვ. 363-368 (552-558) მართლაც არის ასეთი თხზულება – აკოლოთია, მაგრამ ეს არის ლოცვა და არა ჰიმნოგრაფიული საგალობელი).

XVII ს. მიწურულს და XVIII ს. დამდეგს პირველად შედგა კრებული, რომელშიც მხოლოდ ქართველ წმინდანთა საკითხავები და საგალობლები იყო შეკრებილი, რომელსაც „ქართული ჰაგიოგრაფიული კრებული“ უწოდეს (ელ. მეტრეველი). კრებულში (A 160, 1699წ.), რომელიც დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვარს, ონოფრე

⁷⁹ ძირითადად ეყრდნობით მიხეილ ქეთარიას წიგნს: ძველი ქართული პოეზია XVII-XVIII სს. თბილისი, 1977.

მაჭუტაძეს შეუდგენია, წმინდანთა „წამება-ცხოვრებანი“ მათ საგალობლებთან ერთად არის წარმოდგენილი. ამ კრებულში ძირითადად ძველი ავტორების ჰიმნოგრაფიული მასალაა შესული. თანამედროვე ავტორების თითო-ოროლა ახალი სახელიც გამოიხდა. დომენტი კათალიკოსის ჰაგიოგრაფიულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულში მისი თანამედროვე ჰიმნოგრაფების რიცხვმა იმატა (A 130, 1713წ.). კიდევ მეტი ახალი სახელი გამოიხდა ბესარიონ კათალიკოსის მიერ შედგენილ (S 3269, 1720-იანი წლები) კრებულში. ამასთანავე ორივე მათგანი ეყრდნობოდა ონოფრე მაჭუტაძის შედგენილ (A 160, 1699წ.) კრებულს. დომენტი წინა პერიოდის საგალობლების ძიებას, როგორც ჩანს, გადასახლებაშიც განაგრძობდა, A 176, 1733წ. ხელნაწერის მინაწერი გვამცნობს: „ეს ღმერთშემოსილო მამაო ილარიონ, შემიწყაღე მე ფრიად უღირსი კათალიკოს-პატრიარქი ლევანის ძე დომენტი, რომელმან მრავლითა ძიებითა და სურვილითა პოვნად ღირს ვიქმენ წმიდისა ამის იამბიკოსა შენისას“.⁸⁰

ბესარიონ ორბელიშვილის კრებულში (S 3269) ჰიმნოგრაფიული ნაწილი ძირითადად A 130-დან არის აღებული, მაგრამ ძველი საგალობლების გვერდით ჭარბადაა შეტანილი ახალი, კრებულისათვის სპეციალურად დაწერილი საგალობლებიც. ამ შემთხვევაში საუბარია სასულიერო მწერლობის მხოლოდ ლიტურგიკული საგალობლების შესახებ, კერძოდ ჰიმნოგრაფიულ კანონზე (რადგან XVII-XVIII სს. არალიტურგიკული ჰიმნოგრაფიის შესახებ, რომელიც პოპულარული გახდა ამ საუკუნეებში, ქვემოთ ვისაუბრებთ, მით უმეტეს, როდესაც ძველ ლიტურგიკულ ჰიმნოგრაფიაშიც გვხვდება არალიტურგიკული საგალობლების, ე.ი. იამბიკური ჰიმნოგრაფიის გამოყენების შემთხვევები).

XVII-XVIII სს. ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარება ჰაგიოგრაფიული კრებულების გარდა დამოკიდებულია ე.წ. ლიტურგიკული კრებულების ახალ რედაქციათა შექმნა-შეცვლასზეც, პირველ რიგში კი „სადღესასწაულოს“ შემდგომ განვითარებაზე.

ჰაგიოგრაფიულ-ლიტურგიკული კრებულების შემდგომი განვითარება და სრულყოფა პროპორციულად განსაზღვრავდა ჰიმნოგრაფიის განვითარებასაც, როგორც თარგმნითის, ასევე ორიგინალურის და, მართლაც, XVII-XVIII სს-ში ყველა ქართველ წმინდანზე დაიწერა ჰაგიოგრაფიული კანონი, ხოლო ანტონ I-მა საგალობლების მთელი წყებაც კი შექმნა“.⁸¹

„სადღესასწაულო“, როგორც ტერმინი, მოგვიანო დროისაა. კ. კეკელიძის აზრით, „до XI века под именем Заტიки в грузинской церкви известна была богослужебная книга, которая по своему составу напоминала нынешнюю Праздничную Минею“.⁸²

80 მ. ქავთარია, დასახ. წიგნი, გვ. 31.

81 მ. ქავთარია, ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან, XVII-XVIII სს., თბილისი, 1977, გვ. 32-33.

82 Литургические груз-ие памятники... Тбилиси, 1908, с. XXIV.

„სადღესასწაულოს“ შესატყვისად ბიზანტიურ საეკლესიო მწერლოშაში იხმარება „ანთოლოგიონი“, სლავურ-რუსულში – „Праздничная Миняя“ და ა.შ.

უილოლოგ-მეცნიერთა წრეში „სადღესასწაულო“ გულისხმობს ისეთ ლიტურგიკულ წიგნს, რომელშიც წარმოდგენილია ჰიმნოგრაფიული და სვინაქსარული მასალა, ამასთანავე ახლავს საჭირო ლიტურგიკული მითითებანი და საკითხაეები ბიბლიური წიგნებდან და განაწილებულია კალენდარულ თვეთა რიცხვებზე, რომელიც წლის უძრავი დღესასწაულების სისტემას წარმოადგენს, ხოლო მოძრავი დღესასწაულები ჩართულია კალენდარულ ნაწილში. „სადღესასწაულო“ შეიქმნება ყოფილიყო (უმეტესად) „გამოკრებილი“ (მსგავსად ძველი იადგარებისა), თუ კრებულიდან ამოღებული არის საუფლო დღესასწაულები და იმ წმინდანების ხსენებანი, რომელთა დღესასწაულები არ შედიოდნენ დიდ დღესასწაულთა რიგში (დღესასწაულები „სადღესასწაულოებში“ აღნიშნული იყო პატარა წრეში ჩასმული ნიშნებით). აქვე უნდა ითქვას, რომ XVII-XVIIIსს-მდე, ე.ი. კრებულების ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზე, „სადღესასწაულოში“ არ იყო წარმოდგენილი წმინდანთა სვინაქსარული საკითხაეები. ამ საკითხაეების შეტანა „სადღესასწაულოებში“ ამ კრებულის განვითარების ბოლო საფეხურზე მოხდა.

ე.წ. ტრადიციული „სადღესასწაულო“ გულისხმობს კრებულის ჩამოყალიბების ყველაზე ადრინდელ პერიოდს, როდესაც მას ჰქონდა შეთვისებული თავისი წყაროს – იადგართა ელემენტები, I რედაქციისა და გიორგის „თთუნების“ გავლენას განიცდიდა, რადგან ჰიმნოგრაფიული საგალობლები „სადღესასწაულოებში“ დასახელებული ჰიმნოგრაფიული კრებულებიდან შედიოდა, ე.ი. „სადღესასწაულოებში“ შეტანილი ნათარგმნი ბიბლიური საკითხაეები და ჰიმნოგრაფიული მასალა „სადღესასწაულოსათვის“ ხელახლა კი არ ითარგმნებოდა, არამედ შემოდასახელებული კრებულებიდან ადრე თარგმნილი მასალა მზამზარეული სახით გადმოჰქონდათ, რომელსაც ემატებოდა ორიგინალური ჰიმნოგრაფიული საგალობლები წინა ჰაგიოგრაფიული კრებულებიდან, თუმცა ემატებოდა ახალიც, თანამედროვე ქართველი ჰიმნოგრაფების მიერ შეთხზული საგალობლებიც, ეროვნული წმინდანების დღესასწაულებისათვის, ასევე საუფლო დღესასწაულებისათვის და გამორჩეული უცხოელი წმინდანებისათვისაც. ტრადიციული „სადღესასწაულოების“ ჩამოყალიბების დასაწყისის დადგენა რთულია და ვარაუდით შეიქმნება XII-XIIIსს-ით განისაზღვროს (A 44, XII-XIII სს), ხოლო საბოლოო ჩამოყალიბების პერიოდად XVIIს. ბოლო უნდა ჩაითვალოს, თუმცა მისი ხელნაწერები XIXს დასაწყისამდეც კი იწერებოდა.

სადღესასწაულოს ტრადიციულ რედაქციაში XVIIIს. შეტანილი შევსება-ჩამატებათა მიხედვით მიხეილ ქავთარიამ „სადღესასწაულოს“ ხელნაწერებში გამოყო შეიდი რედაქცია: 1. ტრადიციული; 2. ბესარიონ ორბელიშვილისა; 3. დომენტი კათალიკოსისა; 4. დომენტი ჯანდიერ-

აშვილისა; 5. ეუთოვიმე ბარათაშვილისა; 6. ალექსი მესხიშვილისა; 7. ანტონ I-ისა⁸³ და დაახასიათა ისინი. თითოეული მათგანი ქართული ჰიმნოგრაფიული საგალობლების მეტ-ნაკლებ რაოდენობას შეიცავს, რომელთა ავტორების ვინაობას მოკლე ბიოგრაფიული მონაცემებით ქვემოთ წარმოვადგენთ. აქვე აღვნიშნავთ, რომ ბოლო ორი რედაქცია – მესხიშვილისა და ანტონ I-ისა ნასწორებია სლავურ-რუსული „სა-დღესასწაულოს“ („Праздничная Миня“) მიხედვით.

სულხან-საბა ორბელიანის მრავალმხრივ სამწერლობო შემოქმედებაში საეკლესიო ჰიმნოგრაფიასაც მოუპოვებია ადგილი. ეს ფაქტი გამოავლინა მიხეილ ქავთარიამ, რომელიც A 160, 1699წ. ხელნაწერში, ონოფრე მაჭუტაძის ჰაგიოგრაფიულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულში შეტანილი ერთი ჰიმნოგრაფიული კანონის ავტორად, სარწმუნო არგუმენტების მოშველიებით, სულხან-საბა ორბელიანი დაასახელა.⁸⁴ ავტორმა საგალობელი დაეით გარეჯელს მიუძღვნა დაეით გარეჯაში მონაზვნად მოღვაწეობის პერიოდში. საგალობელი წარმოადგენს ცხრაოდიან ჰიმნოგრაფიულ კანონს (არ არის II გალობა „მოიხილესა“), დაწერილს აკროსტიქულად მეოთხე ხმაზე. შინაარსობრივად საგალობელში აქცენტი ეკიდება ზნეობრივ და რელიგიურ თემებზე, ტექსტობრივად ეყრდნობა დაეით გარეჯელის „ცხოვრებას“ და ბიბლიური წიგნების ანალოგიებს (გამოც. მ. ქავთარიასი, დასახ. წიგნი, გვ. 137-142).

გრიგოლ დოდორქელი (ვახუხიშვილი) ძირითადად ცნობილია, როგორც ქეთევან დედოფლის „წამებისა“ და სახსენებელი დღის განგების („აკოლოთია“) ავტორი, ხოლო „დღის განგება“ გულისხმობს ქეთევანისადმი მიძღვნილ საგალობლებსაც. გრიგოლს მიეწერება ქეთევან დედოფლის სახელზე შექმნილი ორი ჰიმნოგრაფიული კანონი: ერთ-აკროსტიქიანი, რომლის კიდურდაწერილობაში ავტორად გრიგოლ დოდორქელი მოიხსენიება და მეორე უაკროსტიქო და ავტორის მიუთითებლად. ამ საკითხების კვლევისას მ. ქავთარიამ გრიგოლის ავტორობა უარყო მეორე საგალობელთან დაკავშირებით, რადგან როგორც მან ნათელ-ყო ტექსტოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით, მეორე საგალობელი დაწერილია გრიგოლის მოღვაწეობის დროზე დაახ. 40-50 წლით ადრე.⁸⁵ გრიგოლ დოდორქელის საგალობლის სიტყვიერი ფაქტურა ემყარება ძირითადად მის მიერვე დაწერილ „ქეთევანის წამების“ ტექსტს. გრიგოლის ჰიმნოგრაფიულ კანონს, რომელიც 8 გალობისაგან შედგება (ტრადიციულად არ არის მეორე გალობა – „მოიხილესა“), წინ უძღვის მცირე ფორმის საგალობლები: „სტიქარონი“, ჳმაჲ ა. ძლისპირი, „დიდებაჲ“ (დ) გვერდი, „იკოსი“. გალობებს არ ერთვის დასდებლები (გარდა I კანონისა) და არც კლასიკური კანონის ბოლოს დართული დასდებელი „აქებდით-სა“.

83 მ. ქავთარია, დასახ., წიგნი, გვ. 38-105.

84 იქვე, გვ. 128-142.

85 მ. ქავთარიას დასახ. წიგნი, გვ. 154-155.

ქეთევან დედოფლის გრიგოლისეული ჰიმნოგრაფიული კანონი A 130 (1713წ.) და A 170 (1733წ.) ხელნაწერების მიხედვით პირველად გამოსცა მიხეილ ქაეთარიაშვილი.⁸⁶ მანვე გამოსცა ანონიმი ავტორის ქეთევან დედოფლის უფრო ადრინდელი ჰიმნოგრაფიული კანონი, რომელშიც კანონის გალობებს (აქაც არ არის „მოიხილესა“) ახლავს დასდებლების მეტი რაოდენობა („ყოველი სასობაჲ“, „მწკნეონი“, „დიდობაჲ“, „სტიქარონი“, „ოკითაჲ“, „წარდგომაჲ“, „სხუაჲ“, „სხუაჲ იბაკოჲ“) და კანონის ბოლოს ტრადიციული დასდებელი „აქებდითსა“.⁸⁷

ბესარიონ კათალიკოსი (ორბელიშვილი) ცნობილია, როგორც გამოჩენილი მამამთავარი, საეკლესიო მწერალი და ჰაგიოგრაფი. მას დაუწერია აგრეთვე სამი ჰიმნოგრაფიული კანონი და ერთი იამბიკო.

1. „კანონი მღუდელმთავრისა, ქმნილი ბესარიონ კათალიკოსისა“ ეძღვნება ისე წილკნელს, რომელიც ბესარიონს დაუწერია „ისე წილკნელის ცხორება“-სთან ერთად, ე.ი. მას შეუქმნია ისე წილკნელის ხსენების დღის (2.XII) სრული განგება: „ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია, საგალობელი-კანონი და სეინაქსარული საკითხავი (მ. ქაეთარია).

კანონი მ. ქაეთარიას გამოცემული აქვს S 1464, XVIII, 252v-260v (A ლიტერი – ძირითადი) და S 3269 (B ლიტერი – ბესარიონის კრებული, ნაკლულია) მიხედვით.⁸⁸ ჰიმნოგრაფიული კანონის თითოეული გალობა (არ არის II – „მოიხილესა“) დასდებლების გარეშეა წარმოდგენილი, მარტო ძლისპირებით. მხოლოდ IX გალობის შემდეგ, ბოლოში არის დასდებელი „აქებდითსა“.

2. ბესარიონ კათალიკოსის მეორე ჰიმნოგრაფიული კანონი ეძღვნება „სვეტიცხოველს“ – „თუესა ოქტომბერსა ა(1), სვეტისა ცხოველისა, თქმული უფლისა ბესარიონ კათალიკოსისა“, რომელიც ზუსტად ისეთსავე სურათს იძლევა გალობებისა და მათი ძლისპირების განლაგებაზე, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ ისე წილკნელის ჰიმნოგრაფიულ კანონზე მსჯელობისას. კანონი მ. ქაეთარიაშვილი გამოსცა ალექსი მესხიშვილის კრებულში შეტანილი A 1093, XVIII, 87r-90r (A ლიტერი) და S 1464 (B ლიტერი) ხელნაწერების მიხედვით.⁸⁹

3. ბესარიონის მესამე ჰიმნოგრაფიული კანონი ეძღვნება პირველმოწამე რაუდენს, გაქრისტიანებულ სპარსელს, რომელიც ავტორს მოსალოდნელი იყო დაეწერია თავისივე თხზულების „წამება და ღვაწლი წმიდისა დიდისა მოწამისა რაუდენისი, რომელი იწამა ჟამსა დიდისა მეფისა ვახტანგისათა, სპარსთა მიერ ქართლს, სოფელსა შინა წრომს“ – სიუჟეტზე, თუმცა ირკვევა, რომ ბესარიონს ჯერ საგალობელი დაუწერია (A 130, 1713წ.), ხოლო შემდეგ „ცხოვრება“ (ვახტანგ გორგასალის ისტორიის მიხედვით) და პირველად ჩნდება ბესარიონის კრებულში (S 3269), რომელიც ერთი ათეულით მაინც გვიან არის შედგენილი, ვიდრე

86 იქვე, გვ. 159-163.

87 იქვე, გვ. 164-171.

88 იქვე, გვ. 190-194.

89 მ. ქაეთარია, დასახ. წიგნი, გვ. 194-198.

A 130, 1713 წლის ხელნაწერი. როგორც მ. ქავთარიამ გაარკვია, „ცხოვრება“ საგალობელს ემყარება და მის ფრასეოლოგიას იყენებს.⁹⁰

ბესარიონის ჰიმნოგრაფიული საგალობელი საკმაო რაოდენობის ხელნაწერით არის შემონახული. მათგან ყველაზე ძველია A 130, ხელნაწერის 1713 წლის ტექსტი, დანარჩენები შედარებით გვიანდელია (S 3269, 1720-იანი წლ. და კიდევ 4 XVIII ს. ხელნაწერი). სწორედ S 3269, 256v-260r ხელნაწერი აირჩია მ. ქავთარიამ ტექსტის გამოცემისას ძირითად ხელნაწერად, ხოლო A 130 დამხმარე ხელნაწერად გამოიყენა, თუმცა ორივე ბოლონაკლებია და ხარვეზი შეესებულება A 170, 1733წ. ხელნაწერი.⁹¹ ტრადიციულად, ბესარიონის ეს კანონიც წინა ორის სტრუქტურისაა – წარმოდგენილია 8 გალობა (ოდა; მეორე არ არის) და გალობები წარმოდგენილია დასდებლების გარეშე, მარტო ძლისპირებით. მხოლოდ ბოლო, IX გალობას ერთვის დასდებელი „აქებდითსა“.

აქვე ვიტყვით და ქვემოთ კიდევ გავიმეორებთ, რომ ბესარიონის ეს საგალობელი შეტანილი აქვთ ანტონ I-სა (S 1464) და ალექსი მესხიშვილს (A1093) თავიანთ ჰიმნოგრაფიულ „სადღესასწაულოებში“, თუმცა ორივეში ამ საგალობლებს ემატება დასდებლები.

მარიამ-შაკრინე ბაგრატიონი იყო პირველი ქართველი ჰიმნოგრაფი ქალი, ქართლის მეფის ასული, რომელიც მეუღლის დაღუპვის შემდეგ 18 წლისა მონაზუნად შედგა და მან სახელი მარიამი სამონაზუნო სახელით – მაკრინეთი შეცვალა და ალავერდის ტაძრის ენკრატისი (ე.ი. ტაძრისათვის შეწირული) გახდა. მას, როგორც კახეთის მეფის – დავითის დას, ხშირად უწევდა სამეფო დოკუმენტების შედგენა, რადგან ენდობოდნენ მის ლიტერატურულ უნარს, მაგრამ მას ჰიმნოგრაფიული საგალობლების წერისაკენ უბიძგა „დავითის“ გავლენამ და ეროვნული საეკლესიო მწერლობის აღორძინების იმდროინდელმა მისწრაფებამ.

მ. ქავთარიას დაკვირვებით, მაკრინე მონაზონს ბესარიონ კათალიკოსის დავალებით უნდა შეედგინა იოსებ ალავერდელის ხსენების დღისათვის ჰიმნოგრაფიული კანონი და მისივე სვინაქსარული ცხოვრება ბესარიონ ორბელიშვილის მიერ გარეჯის მონასტერში შედგენილი აგიოგრაფიულ-ჰიმნოგრაფიული კრებულისათვის (S 3269), რომელიც XVIII ს. 20-იან წლებში შეიქმნა. მაკრინეს შრომები ამ კრებულიდან გავრცელდა თითქმის ყველა „სადღესასწაულოში“. ანტონ I კათალიკოსი „მარტირიკაში“ წერს: „მრავალგზის ვედრებით მაწვია მე ქმიად ისტორიამ ყოვლად დიდებულითა ღუაწლითა წმიდისა დედოფლისა ქეთევანისათა დედისდამან ჩემმან, მეფისა ირაკლი პირველისა ასულმან, ღირსმან ენკრატისმან მაკრინა, მაგრა ნიადაგ ურჩ ვექქმენ...“⁹²

ანტონის სიტყვებიდანაც კარგად ჩანს მაკრინას მცდელობა თავისი წვლილი შეიტანოს დავით გარეჯის მონასტერში წამოწყებული

90 იქვე, გვ. 184.

91 იქვე, გვ. 198-202.

92 ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, VI (მარტირიკა), გამოსცეს: ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ, თბილისი, 1980, გვ. 34-35.

ეროვნული სასულიერო მწერლობის განვითარების საქმეში. მაკრინა ენკრატისს თავისი კვალი დაუტოვებია ლიტურგიკულ კიმნოგრაფიაშიც. მას შეუქმნია იოსებ ალავერდელის ორი კიმნოგრაფიული კანონი და ლეთისმშობლის საგალობელი. მაკრინე თავის საგალობლებს ძველად ნათარგმნი ძლისპირების თარგზე აკეთებს, ორიგინალური საგალობლების პოეტური ნაწილი კი გვიყვენებს, რომ მაკრინა სათქმელს კარგ პოეტურ ფორმას უძებნის.

უაქტობრივი წყაროები თითქმის არ არსებობს, ამიტომ იოსებისადმი მიძღვნილი ორივე საგალობელი და ასევე მაკრინას მიერ შედგენილი იოსების სენაქსარული „ცხოვრება“ ზოგჯერ საერთო ფრაზოლოგიასაც გვიყვენებენ,

იოსებ ალავერდელისადმი მიძღვნილი მაკრინეს კიმნოგრაფიული კანონი ხელნაწერში (H 1672, A ლიტერი) დასათაურებულია: „ოვესა სეკედნებრსა ზე(15) საგალობელნი იოსებ ალავერდელისანი“. ცხრაოდიან გალობას წინ უძღვის ბევრი დასდებელი („უფალო დაღადყავსა“, „სსუად დასდებელი“, „დიდებად“, „სტიქარონი“, „ოკითა“, „წარდგომა“), მეექვსე გალობას მოსდევს „იბაკოჲ, დ გვერდი“ და „იკოსი“, ხოლო მეცხრე გალობას – „ადიდებდითსა“. ყველა გალობას (ოდას) და ზოგიერთ დასდებელს ახლავს ძლისპირი.

ეს საგალობელი რამდენჯერმე იყო გამოქვეყნებული, მაგრამ შეცდომებით და არამეცნიერული. მეცნიერ-კრიტიკული ტექსტი გამოსცა მიხეილ ქავთარიამ,⁹³ H-1672 და S 1464 XVIII ს ხელნაწერების მიხედვით. მეორე, იოსებ ალავერდელისადმი მიძღვნილი საგალობელი აკროსტიქიანია: „მაკრინა შემსხმელი შენი, შემიწყალე წმიდაო“, ხოლო სათაურია: „სსუად კანონი, ჳმაჲ ბ(2), გვერდი“.

მხოლოდ ბოლო ოდას ერთვის დასდებლები – „ადიდებდითსა“ და „განმანათლებელი“ (S 1464-ში – „გამოავლინე“). გამოც. მ. ქავთარიასი,⁹⁴ S 1464 (ანტონ I, სადღესასწაულო) მიხედვით.

მაკრინას შემოქმედებაში ცალკე დგას „ლეთისმშობლის შესხმა“, რომელსაც აეტორი იამბიკოს უწოდებს: „ესე იამბიკოდ შესხმა მცირე მიძღვნადმცა შენდა შეწირულ არს“, თუმცა ეს 26 სალექსო სტრიქონიანი და აკროსტიქიანი „შესხმა“ იამბიკო არ არის. იგი ერთვის ს.ს. ორბელიანის „ლექსიკონის“ ერთ-ერთ ნუსხას (H 1740).

იესე ერისთავი, უფრო ზუსტად იესე ქსნის ერისთავი, კახეთის 1659 წლის აჯანყების ერთ-ერთი თავკაცის წმ. შალვა ქსნის ერისთავის შვილიშვილი იყო, რაც ჩანს მის მიერ დაწერილი იამბიკოს აკროსტიქიდან: „ქრისტეს მოწამეო შალვა, შეიწყალე ძის ძე შენი იესე“. იშვიათია შემთხვევები, როდესაც საერო პირი ქმნის საგალობლებს, რომლებსაც ლიტურგიკული გამოყენება აქვს. იესე ერისთავის უშუალო მემკვიდრენი ყოფილან XIX ს. ქართველი დრამატურგები და საზოგადო მოღვაწეები – გიორგი და დავით ერისთავები.

93 ძველი ქართული პოეზიის სათავეებთან, XVII-XVIII სს., ობილისი, 1977, გვ. 225-237.

94 იქვე, გვ. 237-242.

იესეს საგალობლების თემა, უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ-პატრიოტულია, ამასთანავე – რელიგიურ-პათეტიკური, რადგან მისი ქების საგანია ქართული ეკლესიის წმინდა მოწამენი, რომლებიც შეეწირნენ დამპყრობელ – სპარსთაგან კახეთის განთავისუფლების ბრძოლას – ბიძინა ჩოლოყაშვილი, ელიზბარ და შალვა ერისთავები.

იესე ერისთავის საგალობლები, მიძღვნილი დასახელებულ წმინდანთა შესამკობელად, არის არა ჰიმნოგრაფიული კანონი, არამედ დასდებლებით წარმოდგენილი ტროპარების ერთიანობა: „უფალო ღაღატყავსა“-ში, რომელსაც ახლავს ძლისპირი, სამივე წმინდანის შესახებაა საუბარი, შემდეგ ტროპარში – „სხუანი ელისბარისა და შალვანისნი, ჴმად დ“ ძლისპირი, ხოლო მომდევნო ტროპარში არის „დიდება ბიძინასი, გ გვერდი“, ძლისპირით.

მომდევნო „სტიქარონნი, ჴმად ჰ(1), დიდებამ, დ(4) გვერდი“, ხოლო სამი „ოკითა“ ისევე სამივე წმინდანს ცალ-ცალკე წარმოგვიდგენს – „ოკითა შალვასი, ჴმად ა(1), სხუად ოხითა, ჴმად გ(3) [ბიძინასი]; სხუად ოხითად დ(4) [ელისბარისი]“.

იესეს მეორე საგალობელი „გალობანი შუაღამისანი იამბიკონი, რომლისა თაენი იტყვიან: ქრისტეს მოწამეო შალვა, შეიწყალე ძის ძე შენი იესე“, არის იამბიკური ჰიმნოგრაფიული ორი კანონი: I გალობას მხოლოდ ბოლო გალობის შემდეგ დართულ დასდებელის „აქებდითსა“ კიდევ მოსდევს „ა(1) გვერდი წარდგომად“, „სხუად შალვასი“, ძლისპირითურთ და კიდევ „სხუად“ (ხუთტაეპიანი). ხოლო მეორე გალობის მესამე ოდას – „განძლიერდასა“ მოსდევს „იბაკოა შალვასი, დ(4) გვერდი. ძლისპირი“, შემდეგ „სხუად იბაკოა ელისბარისი, დ(4) გვერდი“, „იკოსი“, ხოლო მეშვიდე ოდას – „ღაღატყავსა“, იკოსი (ბიძინასი), ასევე „გამოაუვლინე, ჴმად ა(1) გვერდი“, „სხუად“, „აქებდითსა“ და „დიდება“.

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი-რუსთაველის შესახებ ანტონ I თავის „წყობილსიტყვაობაში“ წერს: „...აკოლოთიას გიქებ, რაიცა ჴქმენი...“. ამ სიტყვებში არ იგულისხმება ქართველ წმინდანთა დღის განგებათა სიმრავლე. მართლაც, ნიკოლოზ რუსთაველის (ჩერქეზიშვილის) ავტორობა მხოლოდ ერთ საგალობელზე – დოდო გარეჯელის ჰიმნოგრაფიულ კანონზე დასტურდება.

საგალობელი, დოდოსადმი მიძღვნილი, ნიკოლოზ რუსთაველს 1726 წლამდე დაუწერია, როგორც ამას მ. ქავთარია ფიქრობს, რადგან ყველაზე ადრეული ხელნაწერი, რომელშიც ეს საგალობელია შესული, არის A 220, გადაწერილი მოსკოვში 1726 წელს. ჰიმნოგრაფიულ კანონს, რომელსაც გრძელი სათაური აქვს – „აღვსებითგან მეშვდესა ოთხშაბათსა ჴსენებად წმიდისა მამისა ჩუენისა დოდოსი, რომელი იყოფებოდა მთასა გარეჯისასა, რომელსა ეწოდების დოდორქა, ქუეყანასა ქართლისასა“, წინ უძღვის მცირე ფორმის საგალობლები („უფალო ღაღატყავსა“, ძლისპირით „სხუანი ჴმად დ(4) მწნეონი“, „დიდება ბ(2)“ ძლისპირით, სტიქარონი დ(4), ძლისპირით, „დიდება გ(3) გვერდი“ ძლისპირით, „წარდგომად დ(4)“). შემდეგ მოდის რვა გალობა (ოდა; აკლია II – „მოიხილესა“), რომელთაგან მეექვსე გალობის („ღაღატყავ-

სა“) შემდეგ „იბაკო დ(4)“, „იკოსი“ და მეცხრე გალობა („ადიდებდით-სა“) დასდებლები ძლისპირით, „გამოაელინე დ(4) გვერდი, „აქებდით-სა“ ძლისპირით და „დიდება ა(1) გვერდი“.

საგალობელში ფაქტობრივი მასალა დოდოს ცხოვრებიდან ძუნწად არის გადმოცემული.

საგალობლის ტექსტის პირველი პუბლიკაცია ეკუთვნის მიხეილ ქავთარიას,⁹⁵ რომელიც ეყრდნობა A 152 (A ლიტერი) და A 220 (B ლიტერი) XVIII ს I ნახეურის ხელნაწერებს.

რომანოზ მიტროპოლიტი (ერისთავი) არის ავტორი A 220, 1726წ. ხელნაწერში ჩართული დოდო გარეჯელის სინაქსარული „ცხოვრებისა“ და დოდოს საგალობლებისა. ეს თხზულებები მხოლოდ ამ ხელნაწერით არის ცნობილი, ე.ი. წარმოდგენილია დოდო გარეჯელის დღის განგება, რომელიც რომანოზს შეუდგენია. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ამ ხელნაწერში არის აგრეთვე ნიკოლოზ რუსთაველის (ჩერქეზიშვილის) მიერ დოდო გარეჯელისადმი მიძღვნილი საგალობლები, ხოლო რომანოზ მიტროპოლიტის მიერ შეთხზული ამავე წმინდანის საგალობლები უცნობი იყო. იგი გამოაელინა და გამოსცა მიხეილ ქავთარიამ A 220 ხელნაწერის მიხედვით – „გალობანი წმიდისა მამისა ჩუენისა დოდოსი“.⁹⁶ ე.ი. ამ ხელნაწერში დოდოსადმი მიძღვნილი სხვადასხვა ავტორის ორი ჰიმნოგრაფიული კანონია წარმოდგენილი. თუ პირველი მათგანი ცხრაოდინ კანონებზე დართული დასდებლებით გამოირჩევა, მეორე მხოლოდ გალობებით არის წარმოდგენილი ყოველგვარი დასდებლების გარეშე.

ნიკოლოზ მაღალაშვილის შემოქმედებიდან ცნობილია მხოლოდ შიო გარეჯელისა და მასთან ერთად ლეკთაგან დახოცილი ხუთი მონაზვნის (დაახლ. 1696-1700წწ.) სახსენებელი დღის (I.VII) განგება – სინაქსარული წამება და საგალობლები, რაც ერთადერთ ხელნაწერს შემოუნახავს (A 1367). საგალობლები შედგება შეიდი მცირე ფორმის გალობისა და სრული ჰიმნოგრაფიული კანონისაგან და მისი გამომცემლის – მიხეილ ქავთარიას აზრით, „XVII ს. მიწურულის ქართულ ჰიმნოგრაფიაში ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს“.⁹⁷ ძირითად კანონს წინ უძღვის: „ა(1) გვერდი გიხაროდენი“, „დიდება“, „სტიქარონი ა(1) თუთი“, „დიდება“, „ოხითა“, „წარდგომად დ(4)“, ხოლო მეხუთე გალობას („ღაღატყავას“) მოსდევს „იბაკო“, ხ მეცხრე გალობას („ადიდებდითსა“) – „გამოაელინე“.

ანტონ I კათალიკოსის სასულიერო ჰიმნოგრაფია. ანტონის მრავალმხრივ ლიტერატურულ მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მრავალლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ საგალობლებს, რომელიც შესულია მის ერთ-ერთ საყურადღებო თხზულებაში „თვენი“, ანუ „სადღესასწაულო“ და რომელიც ნასწორებია რუსული „სადღესას-

95 მ. ქავთარია, დასახ. წიგნი, გვ. 292-306.

96 იქვე, გვ. 312-319.

97 იქვე, გვ. 119-128.

წაუღოს“ (Праздничная Миня) მიხედვით და რომელშიც თავმოყრილია მართლმადიდებელი ეკლესიის ქართველ წმინდანთა ხსენების დღეებზე წარმოდგენილი დღის განგება, უპირველესად საგალობელი, როგორც წინა დროის ავტორთა მიერ შეთხზული, ასევე თვით ანტონის შედგენილი ან შესწორებულ-შეესებული.

რადგან საკითხი შესწავლის პროცესშია (ქეთევან ტატიშვილი): რა არის ანტონის „სადღესასწაულოში“ კრებულის ავტორ-შემდგენლისა, რა არის აღებული წინა ჰიმნოგრაფიული კრებულებიდან გადმოტანილი და ეისი საგალობლები შეავსო და ჩაასწორა ანტონმა, მანამდე ჩვენ ანტონის „სადღესასწაულოდან“ ბიბლიოგრაფიაში შემოტანილ საგალობლებს და ჰიმნოგრაფიულ კანონს წარმოვადგენთ ანტონ I-ის ავტორობით, ხოლო შენიშვნაში აღვნიშნავთ, თუკი გვეცოდინება სხვა ავტორთა რომელ საგალობელში რა ცვლილება შეიტანა ანტონმა.

თვით კრებულის – „სადღესასწაულო“ ბოლო ვარიანტის შედგენისას ანტონმა მრავალი სიახლე შეიტანა წინა დროის „სადღესასწაულოებთან“ შედარებით. უპირველეს ყოვლისა, მან თავი მოუყარა ამ კრებულში ყველა, ეროვნული წმინდანებისა და საქართველოს ეკლესიის კალენდრებში შეტანილ სოგიერთი არა ქართველი წმინდანის დღის განგებებს, რაც არ იყო გაკეთებული არც ერთ მანამდე „სადღესასწაულოში“, მეორე – ანტონმა ახლად შეადგინა ქართველ წმინდანთა განგებანი, ხელახლა დაწერა მთელი რიგი საგალობლებისა, თავისი „სადღესასწაულო“ მან აიყვანა „თენის“ პრინციპამდე (სახსენებელი დღეებისა და მათი შესაბამისი დღის განგების კალენდარი შეავსო), ტიპიკალური შენიშვნები, რაც აუცილებელია „სადღესასწაულოსათვის“, მან დაურთო განგებებს ბოლოს (ძველ რედაქციებს თავში აქეთ) და ა.შ.

ახლა კი ვაჩვენებთ ჰიმნოგრაფიულ კანონის ერთ ნიმუშს, რომელიც ანტონმა თვითონ დაწერა, ხოლო დანარჩენი მის თუ სხვა ავტორის მიერ შესწორებულ-შეესებული ვარიანტის მხოლოდ ჩამონათვალში ვაჩვენებთ, რომლებიც წარმოდგენილი ნიმუშის ანალოგიური შედგენილობის იქნება. ბიბლიოგრაფიაში თითოეული მათგანი ანტონის ავტორობით იქნება წარმოდგენილი: „ამასვე დღესა (5 ოქტომბერი) მამისა ჩუენისა გრიგორი ხანძთელისა. „უფალო ღაღადყავსა ზედა დასდებელი, მუკლი ვ(6), ჳმად დ(4), მკნეონი (უფრო სრულად: „ჰიმნოგრაფიულ კანონს წინ უძღვის დასდებელი: უფალო ღაღატყავსა, დიდება, სტიქარონი). ჰიმნოგრაფიული კანონი წარმოდგენილია 8 გალობით (ჩვეულებისამებრ, აკლია II კანონი – „მოიხილესა“). დაახლოებით ასეთი შედგენილობისაა ქვემოთ მხოლოდ დასახელებული საგალობლებიც (A-388, XVIII ს. ხელნაწერის მიხედვით). ბიბლიოგრაფიაში ისინი და მათი მონაცემები დაწერილებით იქნება ასახული:

1. „თთუესა იანუარსა ით(19) ღირსისა მამისა ჩუენისა ანტონი მარტყოფელისა, ათორმეტთა მამათაგანისა“.
2. „ამასვე დღესა (18.IX) წმიდათა დიდთა მოწამეთა მოავართა ბიძინასა და ორთა ძმათა ერისთავთა ქსნისათა ელისბარისა და შალვასი“.

3. იგივე წმინდანების მეორე ჰიმნოგრაფიული კანონი (ხსენების იგივე ტექსტი).
4. „თოუესა ნოემბერსა ო(17) წმიდისა დიდისა მოწამისა მისაილისი რომელსა ეწოდა გობრონ“.
5. „ამასვე დღესა (27.VII) ღირსისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა...“
6. ამასვე დღესა (5X) მამისა ჩუენისა გრიგორი ხანძთელისა...“
7. „თოუესა იანვარსა კ(26) ცსენებაჲ წმიდისა კეთილ-მსახურისა მეფისა დავით მესამისა, ყოელისა საქართუშლოჲსა და აფხაზეთისა, ზედწოდებით აღმაშენებელისა“ (ორი კანონი დასდებლებით).
8. „თოუესა ოქტომბერსა ზ(2) აკოლოტია (დღის განგება) წმიდათა დიდთა მოწამეთა, არგუეთის მთაუართა დავით და კოსტანტინესი...“
9. „ამასვე დღესა (29.VII) მოწამეთა ეესტათი...“
10. „თოუესა მაისსა ოგ (13) მიცუალება ღირსისა მამისა ჩუენისა ევთიმი ათონელისა, მთარგმნელისა...“
11. „თოუესა ნოემბერსა ოთ(19) ღირსისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართუელისა, საკურველთმოქმედისა“.
12. „თოუესა მაისსა ზ(7) ღირსისა მამისა ჩუენისა იოანე ზედაზნელისა და ათორმეტთა მოწაფეთა მისთა...“
13. „თოუესა იულისსა ობ(12) ღირსისა მამათა ათონისათა იოანესი, მამისა ეფთიმესი და გაბრიელისა...“
14. „თოუესა ნოემბერსა ო(10) წმიდისა დიდისა მოწამისა კონსტანტინე მთაერისა...“
15. „ამასვე დღესა (28X) წმიდისა მღუდელმოწამისა ნეოფიტე ურბნისის ეპისკოპოსისა...“
16. „თოუესა იანუარსა ოდ(14) ღირსისა დედისა ჩუენისა და ქალწულისა ნინა მოციქულთა სწორისა...“
17. „თოუესა აგვისტოსა გ(3) წმიდისა დიდისა მოწამისა რაქდენისი...“
18. „ამასვე დღესა (1X) დღესასწაულსა კუართისა საუფლოსა და სუეტსა ღმრთიე-ბრწყინვალისა“.
19. „თოუესა სექტემბერსა ოგ(13) აკოლოთია წმიდისა დიდისა მოწამისა, ქართუელთა მნათობისა დედოფალისა ქეთევანისა, რომელი იყო ასული ქართუელთა მეფისა და დედოფალი კახეთისა...“
20. „თოუესა აგვისტოსა კც(28) წმიდისა დიდებულისა მოწამისა დედოფლისა შუშანიკისა, რომელი იყო ასული ქართუელთა (!) მეფისა. ესე უკუე მოიკლა ქრისტესთვს ქმრისა მიერ თვისისა...“

არალიტურბიკული ჰიმნოგრაფია

სახელწოდებიდანაც ჩანს, რომ არსებობს საეკლესიო ჰიმნოგრაფიული ლიტურატურაც, რომელსაც არა აქვს ჟამისწირვაზე, ანუ ლიტურგიაზე საგალობლის დანიშნულება. ასეთ პოეზიას კ. კეკელიძე სამოძღვრო-მოთხრობით პოეზიას უწოდებს და გამოყოფს მის ორ ძირითად ნაკადს: ჰაგიოლოგიურ-კალენდარულს, რომელიც ეფუძნება ცხრაპერიოდთან ეორტალოგიური წელიწადის საეკლესიო დღესასწაულთა და წმინდანთა ხსენების კალენდარს და ბიბლიოლოგიურ-ისტორიულს, რომელიც მოგვითხრობს ბიბლიური და ისტორიული ფაქტების შესახებ. შინაარსით იგი მრავალფეროვანია და ძირითადად გამოხატავს ავტორის პირად გრძნობებს, ემოციებს და დამოკიდებულებას აღწერილისადმი.⁹⁸ ფორმისა და სალექსო საზომით ეს პოეზია იამბიკურია, თუმცა მასში არის აგრეთვე რითმოვანი ლექსის საწყისები.

იამბიკო არის ბერძნული პოეზიის სალექსო ზომა, რომელიც ორმარცვლიან ტერფთა (იამბთა) გარკვეულ რაოდენობას შეიცავს. ეს ურითმო ლექსი სტროფულ სისტემაზეა აგებული, თითოეული ტაეპი შეიცავს 12 მარცვალს, ტაეპი გატეხილია ორ არათანაბარ (5 და 7 მარცვლიან) ნაწილად. იამბიკო ძირითადად 5 ტაეპიანია (შეიძლება შეგვხვდეს 5-ზე მეტი ტაეპიანიც, თუ ამას მოითხოვს აკროსტიქი).

ბერძნულ იამბიკურ პოეზიას უძველესი ისტორია აქვს. იგი მდიდარია არალიტურბიკული პოეზიით. ამ პოეზიის სხვადასხვა ნიმუშები დამოუკიდებელი კრებულებისა და ხელნაწერების სახით არსებობდნენ, ხოლო ქართულად თარგმნილია ცალკეული თხზულებები. ცნობილია ისეთი თარგმანები, რომელიც ძირითად თხზულებასთან ერთად არის თარგმნილი და არა სპეციალურად (მაგ. „ამბერკის საფლავსა ზედა წარწერილი“, თარგმნილია ამ წმინდანის მეტაფრასულ „ცხოვრებასთან“ ერთად;⁹⁹ გრიგოლ ღვთისმეტყველისა „მუჭლელი აღრიცხუაჲ წიგნთა“ და ამფილოქე იკონიელის „იამბიკო სელევეკიოსის მიმართ“, რომლებიც შეტანილია „დიდ სჯულისკანონში“ და თარგმნილია არსენ იყალთოელის მიერ, წარმოდგენენ ბიბლიური კანონიკური წიგნების ჩამონათვალს იამბიკურად).¹⁰⁰ ერთი სიტყვით, ქართულად ბიზანტიური იამბიკური პოეზია საკმაოდ მდიდრულად არის წარმოდგენილი ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელის და სხვათა თარგმანებში.¹⁰¹

ქართული ორიგინალური იამბიკური პოეზია X-ს-დან ჩნდება: იოანე ზოსიმეს დაუწერია პატარა იამბიკო ვინმე გიორგის სახელზე, სადაც

98 კ. კეკელიძე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბილისი, 1980, გვ. 607.
 99 კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტურატურის ისტორია, I, თბილისი, 1980, გვ. 611.
 100 „დიდი სჯულისკანონი“, თბილისი, 1975, გვ. 521-523.
 101 ე. გაბიაშვილი, ქართული ნათარგმნი ლიტურბიკა, ჰიმნოგრაფია, თბილისი, 2011.

ლაპარაკია იოანეს მიერ მოგებული (დაკეთილი) კრებულის შესახებ. ასევე ვინმე ფილიპეს დაუწერია 16-მარცვლოვანი სილაბურ-ტინური სასომით, პრიმიტიული რითმის დაცვით ღვთისმშობლის ქება. X საუკუნისაა ათონზე დაცული „სამოციქულოს“ (Ath. 42) ბიბლიოგრაფიული სტრიქონები, რომლებიც პროზაული სტრიქონების სახით არის ნაწერი, მაგრამ ნამდვილად ხუთმარცვლოვან ლექსს წარმოადგენს: „მე მიქელ მღვდელმან /სუკეპე ბერმან/ ქუბისა შეილმან ბერთას აღზრდილმან /ესე წმიდაჲ/ პავლე მოვიგა“.¹⁰² ბოლო ორ ლექსში საქმე გვაქვს არა საეკლესიო იამბიკოსთან, არამედ არა ლიტურგიკულ, მაგრამ საერო პოეზიის საზომებთან.¹⁰³ XI-დან უნდა დავასახელოთ გიორგი მთაწმიდელის ერთი პატარა, ბიბლიოგრაფიული ხასიათის იამბიკო, რომელიც მის მიერ ნათარგმნ სახარებას ერთვის მისი სახელის აკროსტიქში აღნიშვნით. უფრო პროდუქტიულია იამბიკოების წერაში ეყრემ მცირე, რომელსაც უთარგმნია ბიზანტიური იამბიკოები (უფრო ზუსტად, გადმოუკეთებია) და ორიგინალურიც საკმაო ოდენობით უწერია. არსენ იყალთოელს დაუწერია იამბიკოდ დავით აღმაშენებელის ეპიტაფია, ბიბლიოგრაფიული შენიშვნა ნიკიტა სტიტატის ერთი თხზულებისა, რომლის აკროსტიქი იძლევა ნიკიტასა და არსენის სახელებს. არსენის მიერ დაწერილი ერთი იამბიკოს აკროსტიქი ასე იკითხება: „წიგნი სამოციქულო“. კიდევ უფრო დიდი ნაყოფიერება გამოუჩენია იამბიკოების წერაში იოანე პეტრიწს, რომელსაც გაულექსავს იოანე სინელის კლემაქსი, სახელწოდებით „სათნობათა კიბე“. მას იამბიკოდ დაუწერია ორი პროლოგი: გამოკრებილი სექტემბერ-დეკემბრისა და ვრცელი – სექტემბერ-იანვრისა.¹⁰⁴ უფრო გვიანდელი ავტორებიდან (XII-XIII სს.) უნდა დავასახელოთ ისეთები, რომლებსაც ორიგინალური იამბიკური ნიმუშები შეუქმნიათ: იუზეიელი, დიმიტრი მეფე, იოანე შავთელი, არსენ ბულმაისიძის ძე და პეტრე გელათელი, რომელთა იამბიკოები წინამდებარე წიგნის ჰიმნოგრაფიულ თხზულებათა ბიბლიოგრაფიაშია წარმოდგენილი. ასევე, პოპულარული გახდა იამბიკური პოეზია XVIII-XIX სს-ში (ანტონ I, გაიოზ რექტორი და სხვა მრავალი).

ბოლოს რამდენიმე სიტყვით უნდა აღვნიშნოთ XVIII-XIX სს. საერო პოეზიის საზომებით საეკლესიო თემატიკაზე დაწერილი მრავალი ლექსი: „ანბანთქება“ უწერიათ მეფეებს, კათალიკოსებს, ეპისკოპოსებს, ბატონიშვილებს, ერისკაცებს. ძალზე გავრცელდა სასულიერო თემატიკის თხზულებათა გალექსვა, რაც ჩვენი მიმოხილვის საზღვრებში არ შედის.

ჰიმნოგრაფიის საკითხებზე მიმოხილვას დავასრულებთ ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკული კრებულებისა და ძირითადი ჰიმნოგრაფიული ტერმინების ჩამონათვალით.

102 საქმე მოციქულთა, ილ. აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1946, გვ. 021.

103 კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 608.

104 იქვე, გვ. 609-611.

ჰიმნოგრაფიული კრებულები

იადგარი (სპარს. „ხსონა“, „სახსოვარი“) – ძველი ქართული ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულის სახელწოდება. კრებულში წარმოდგენილია ღვთისმსახურებაში დაწესებული საეკლესიო დღესასწაულო და წმინდანთა ხსენების საგალობლების რამდენიმე ყენა, რომელთაგან თავდაპირველი ჰიმნოგრაფიის საწყისებთან მიდის. ამ კრებულში წარმოდგენილია ბისანტიური ჰიმნოგრაფიის იერუსალიმური პერიოდის ლიტურგიკული პრაქტიკა V-VIII საუკუნეებში. ქართულ ნათარგმნ იადგარებში შემორჩენილია ეს ლიტურგიკული პრაქტიკა, რაც აღარ ჩანს ბერძნულ ხელნაწერებში და დაიკარგა ალბათ იმ მიზეზით, რომ პალესტინური ღვთისმსახურების პრაქტიკა Xს. შეცვალა კონსტანტინეპოლურმა პრაქტიკამ და ამ პრაქტიკის ამსახველმა ხელნაწერებმა. ამდენად ქართულმა თარგმანმა შეიძლება აღადგინოს იერუსალიმური ღვთისმსახურების უძველესი სახე.

იადგარის უძველესი კრებულები, რომლებიც ხელნაწერებშია წარმოდგენილი, IX-X საუკუნეებისაა. მათგან უძველესად ითვლება ე.წ. ჰილ-ეტრატის იადგარი – H2123 IXს. დანარჩენი ნუსხები Xს. სხვადასხვა მონაკვეთშია გადაწერილი: სინის მთის ხელნაწერები იადგარის ნუსხების სოლიდური რაოდენობას წარმოადგენენ: Sin. 18, Xს. I ნახევარი; Sin. 40, Xს.; Sin. 41, Xს.; Sin. 34, 956წ., და კიდევ XIს. II ხელნაწერი. ამათ გარდა იელისა და წვირმის, აგრეთვე. შემოდასახელებული ჰილ-ეტრატის იადგარი (H2123) ყველა პალესტინურ-სინური წარმოშობისაა და ჩამოტანილია საქართველოში. და ბოლოს, ცნობილი მიქელ მორდრეკილის იადგარი, შედგენილი 979-988წწ. (S 425). იადგარის შემოდასახელებული პირველი 5 ხელნაწერზე დაყრდნობით და დანარჩენი ნუსხების გათვალისწინებით გამოიცა „უძველესი იადგარი“ – იადგარის პირველსახის აღდგენის მიზნით (ელ. მეტრეველი, ც. ჭანკიევი, ლ. ხევსურიანი, თბ, 1980 (912 გვ.) სწორედ ამ გამოცემის მიხედვით სქემატურად წარმოვადგენთ იადგარის სტრუქტურას:

იადგარი იწყება 25 მარტით, ხარუმის დღესასწაულის საგალობლებით, რომელიც წარმოდგენილია: დასადებლებით „უფალო დადატყავსა ვჰამ ბ“; „ოხითა, ვჰამ გ გვერდი“, შემდეგ მოდის ცხრაოდიანი ჰიმნოგრაფიული კანონი, კანონს მოსდევს სტრიქონები: „აქებდითსა, ვჰამ ბ“, „ოხითა ვჰამ ბ გი“, „ფსალმუნი, ვჰამ გ“, „დასადებელი“, „ალელუაჲ, ვჰამ დ გი“, „ველთა ბანისაჲ ვჰამ ა გი“, „სიწმიდისაჲ“. გრძელდება 25 იანვრით, ქრისტეს შობის დღესასწაულით, სადაც ჰიმნოგრაფიულ კანონს წინ უძღვის უამრავი „იბაკოჲ“, „დასადებელი“, „ფსალმუნი“, „ალელუაჲ“, ხოლო კანონის თითქმის თითოეულ გალობასთან წარმოდგენილია „სხუანი“. კანონს მოსდევს „აქებდითსა“ + 3 „სხუანი“, „ოხითა“ და კიდევ რამდენიმე „დასადებელი“ და ა.შ. მთელი წლის გამოკრებილ დღესასწაულებზე საგალობლები დაახლოებით მსგავსი სტრუქტურით არიან წარმოდგენილნი. კალენ-

დარულ თანმიმდევრობაში ჩამატებულია მოძრავი დღესასწაულების საგალობლები (განცხადების სატიკი, დღეთა მიხედვით დაწყებული „დღესა გ“, დამთავრებული „დღესა მ“-თი; დიდი მარხვის – დაწყ. „კორცის აღებასა“, დამთავრ. „მესამე შაბათს ლაზარეისი“-თ; აღდგომის დღესასწაულის საგალობლები, დაწყებული „ბზობით“, „აღვსებასა“ „ამაღლება“ – „მარტილიით“ დამთავრებული). კალენდარული ნაწილის შემდეგ ერთვის „იბაკონი და წარდგომანი“ სხვადასხვა დღესასწაულებზე, „დასდებელნი აღდგომისანი“ რვავე ხმისა, „დასდებელნი შესუენებულთანი ყოველთა კმათა“. ეს არის იადგარის ძირითადი ნაწილის სტრუქტურა.

გამოცემის დამატებით ნაწილში წარმოდგენილია: I „დასდებელნი აღდგომისანი კმაჲ ა“, II „დასდებელნი მარიამობისანი“, III „დასდებელნი წმიდისა საბაჲსნი“ (5 XII).

ძლისპირი (ბერძ. „ირმოსი“) – ქართული სახელწოდება ბერძნული „ირმოსისა“, რომელიც წარმოადგენს ჰიმნოგრაფიული კანონის შემადგენელ ნაწილს, მისი თითოეული გალობის (ოღის) პირველ ტროპარს, რომლის ფუნქციაა, გეაჩვენოს ის მელოდიურ-რიტმული მოდელი, რომლის მიხედვითაც იგალობება ჰიმნოგრაფიული კანონის თითოეული გალობა (ოდა). ე.ი. კანონის 9 გალობიდან თითოეულს აქვს თავისი ძლისპირი. საკუთარი ძლისპირი აქვს თითოეულ სტიქარონს, რომელიც გალობას ერთვის. მაშასადამე, ძლისპირი პიველი ტროპარია იმ სერიიდან, რომელიც ახლავს კანონის ყოველ გალობას.

ძლისპირები შედის კრებულში, რომელსაც ქართულად „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ ეწოდება, რადგან აქ თავმოყრილია გალობანისა და სტიქარონების ძლისპირები და მათი შესატყვისი ღვთისმშობელის ტროპარები. კრებულის ასეთი კომბინირებული შედგენილობა და თვით სახელწოდება მხოლოდ ქართულისათვის არის დამახასიათებელი, რადგან ბერძნულ კრებულებში ისევე, როგორც სლავურსა და რუსულში, მხოლოდ ძლისპირებია თავმოყრილი და კრებულსაც „ირმოლოგიონი“ ეწოდება.

„ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ შემონახულია X საუკუნით დაწყებული XIX ს. დამთავრებულ ხელნაწერებში, ზოგში დამოუკიდებელი კრებულების სახით, ზოგჯერ კი ასეთი კრებული იადგარისა და სადღესასწაულოს ნაწილია. X-XI სს-ის ხელნაწერებში „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ იადგარების ნაწილია, ხოლო მოგვიანო დროის ხელნაწერებში – დამოუკიდებელი კრებული. მისი ცალკე კრებულად გამოყოფა ამ კრებულში მასალის ზრდამ გამოიწვია.

ქართულ კრებულებში ისევე როგორც ბერძნულ „ირმოლოგიონებში“ ძლისპირები გაწყობილია ხმებზე და გალობებზე. ხმების აღნიშვნა ორივეგან ერთნაირია, ხოლო გალობანისა ე.ი. ოდებისა – განსხვავებული. ქართულმა ჰიმნოგრაფიულმა კანონმა შემოგვინახა გალობათა უძველესი სახელწოდებანი, რომლებიც, როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში დაკარგა ბერძნულმა.

ქართული „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ და სადღესასწაულოს გვიანდელ ხელნაწერებში ეს სახელწოდებანი რიცხვითი აღნიშვნითაა შეცვლილი.

„ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ შეისწავლა და ცალკე წიგნად გამოსცა ელ. მეტრეველმა (თბილისი, 1971, 0127+276 გვ.).

პარაკლიტონი (ბერძ. „პარაკლიტიკოს“ – ნუგეშისმცემელი) – ლიტურგიკული საგალობლების კრებული, რომელიც შეიცავდა რვა ხმაზე გაწყობილ სადაგი დღეების (ორშაბათი-შაბათი) საგალობლებს, ასევე რვა ხმაზე გაწყობილ კვირა დღეების საგალობლებს კრებულს ოქტოხოსი (ბერძნ. ე.ი. რვა ხმათა წიგნი) ეწოდებოდა.

იერუსალიმის ეკლესიის ღვთისმსახურების ამ ორი წიგნის სტრუქტურამ ქართულ სინამდვილეში განსხვავებული სახე მიიღო: ოქტოხოსში მოათავსეს პირველი ოთხი, ძირითადი ხმის საგალობლები – როგორც კვირა დღეებისა, ასევე სადაგი დღეებისაც და მან მიიღო სახელწოდება „ჴმანა“, ხოლო „პარაკლიტანში“ შევიდა ოთხი დამატებითი, გვერდითი, ანუ პლაგალური (ბერძ.) ხმის საგალობლები, რის გამოც მას ეწოდა „ჴუერდნი“.

ოთხ ძირითად ხმას VIII-დან დაემატა ოთხი დამატებითი ხმა (იოანე დამასკელის რეფორმა), ამიტომ არ ჩანს „გვერდითი“ ხმები უძველეს იადგარებში ე.ი. პარაკლიტონის მასალა.

მართალია, „გვერდითი“ ხმის ზოგი საგალობელი ქართულად IX-Xსს. ითარგმნა, მაგრამ პარაკლიტონის ვრცელი და საბოლოო რედაქცია გიორგი მთაწმიდელმა (XII ს.) თარგმნა და დამკვიდრდა ქართული ღვთისმსახურების პრაქტიკაში.

გიორგისეული თარგმანით „პარაკლიტონში“ I ხმის საგალობლები ასეა განლაგებული: კვირა დღეს – აღდგომის საგალობლები, გალობანი სამიბისანი და ღმრთისმშობლისანი, წართულნი; ორშაბათს – მთავარანგელოზთა; გალობანი ღმრთისმშობლისანი, სინანულისანი და წმიდათანი; სხუანი მთავარანგელოზთანი; სამშაბათს – ნათლისმცემლისა; გალობანი ღმრთისმშობლისანი სერობისად; სინანულისანი და წმიდათანი; სხუანი ნათლისმცემლისანი; ოთხშაბათს – ღმრთისმშობლისა და ჯუარისა; გალობანი ღმრთისმშობლისანი სერობად; ჯუარისანი და წმიდათანი; სხუანი ღმრთისმშობლისანი; ხუთშაბათს – მოციქულთანი, გალობანი ღმრთისმშობლისანი; სხუანი ღმრთისმშობლისანი; მოციქულთანი. პარასკევს – ჯუარისა; გალობანი ღმრთისმშობლისანი; სხუანი ღმრთისმშობლისანი. შაბათს – წმიდათა და სულთა; გალობანი ღმრთისმშობლისანი სერობად; სულისანი და წმიდათანი; სხუანი მოწამეთანი; წინასწარმეტყუელთა და მოწამეთანი; სხუანი სულისანი (A 93, 1r-48v). სხვა ხმების საგალობლებიც ამგვარადვეა განლაგებული. პარაკლიტონის ბოლო რედაქცია მოგვცა ანტონ I-მა (XVIII ს.), რომელსაც გიორგის თარგმანი უსწორებია ბერძნულ-სლავური პარაკლიტონების მიხედვით (დაიბეჭდა 1712წ., თბილისში).

„მარხვანი“ – ეწოდება ჰიმნოგრაფიულ კრებულს, რომელშიც თავმოყრილია დიდმარხვის პერიოდის საგალობლები ე.ი. საეკლესიო წელიწადის მოსრავი დღეებისა მეზუერისა და ფარისევლის კვირიდან დაწყებული აღდგომამდე. ამ კრებულის ქართულ ღვთისმსახურებაში დამკვიდრებამდე (XII ს.), რომლის თარგმანი ჯერ ეფთვიმე მთაწმიდელმა შეასრულა (მოკლე რედაქცია), ხოლო შემდეგ – გიორგი მთაწმიდელმა (სრული რედაქცია), დიდმარხვის საგალობლები ჯერ ქართულ ლექციონარში შედიოდა, ხოლო შემდეგ – ძველი და ახალი რედაქციის იადგარეკში.

„მარხვანის“ სპეციფიკას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მარხვის „გალობანი“ ანუ ჰიმნოგრაფიული კანონი შეიცავს არა 9 ან 8 გალობას, არამედ მხოლოდ სამს – VIII და IX – ყველა მათგანი, ხოლო მესამე გალობა დამოკიდებულია იმაზე, თუ შეიდეულის რომელი დღის საგალობელია ის: ორშაბათს – II გალობას (ე.ი. 2,8,9), სამშაბათს – III გალობას (3,8,9) და ა.შ. შაბათს – მე-7 გალობას (7,8,9). ამიტომ მარხვანს უწოდებენ „ხუედრსაც“ (იხ.) და სამსაგალობელსაც (ტრიდიონს).

ქართულ ღვთისმსახურებაში დამკვიდრებული „მარხვანის“ რედაქცია უკავშირდება კონსტანტინეპოლის სტუდიელთა მონასტერში თოედორე სტუდიელის (IX ს.) მიერ შემუშავებულ რედაქციას, რომელშიც საბაწმიდელ ჰიმნოგრაფთა საგალობლებიც არის შეტანილი. თარგმანი გიორგი მთაწმიდელმა შეასრულა (A 500, 1042წ.) „მარხვანი“, რომელშიც ანდრია კრიტელის „დიდი კანონიც“ არის შეტანილი, მესამედ უთარგმნია არსენ იყალთელს დავით აღმაშენებელის ბრძანებით, ხოლო ქართულ კილოზე გაუწყვია იოანე ქართლის კათალიკოსს, რადგან ბერძნული გალობა არ ეწყობოდა ქართულს (Sin. 70; Paris. 5).

XV-XVI სს. ქართულად უთარგმნიათ „მარხვანის“ იერუსალიმური რედაქცია, ხოლო XVII „მარხვანი“ შესწორდა სლავური თარგმანის მიხედვით და დაიბეჭდა 1741წ.

ზატიკი – ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული საგალობლების კრებული, რომელშიც შეტანილია აღდგომისა და ბრწყინვალე შეიდეულის დღესასწაულთა საგალობლები. ეს საგალობლების კრებული, როგორც ეხედაეთ, აგრძელებს „მარხვანის“ საგალობლების ციკლს და წარმოადგენს მის ანტიპოდს, რადგან „მარხვანში“ შესულია სინანულის, ცოდვების გამოსყიდვის შინაარსის საგალობლები, ხოლო „ზატიკის“ საგალობლები გადმოგვცემენ დღესასწაულის, სიხარულის განწყობას.

თავდაპირველად „მარხვანისა“ და „ზატიკის“ საგალობლები შეტანილი იყო ერთ წიგნში, რომელსაც „*ხუედრნი*“ ეწოდებოდა. მოგვიანებით ამ წიგნის საგალობლები, დაახ. XII ს.-დან, გაიყო ორ წიგნად: ერთში შევიდა დიდმარხვის საგალობლები და ეწოდა „მარხვანი“, ხოლო აღდგომის ციკლის საგალობლების კრებულს – „ზატიკი“ (კ. ეკელიძის აზრით ეს ტერმინი წარმოდგება სპარსული „აზატისაგან“ (თავისუფალი), რაც ლიტურგიკის ენაზე ნიშნავს თავისუფალ, უქმე დღეს, დღესასწაულს.

ამ ორი წიგნის ძველი სახელწოდება „ხუედრნი“ (იხ.) დარჩა როგორც ლიტურგიკული ტერმინი – საგალობლების ერთი ჯგუფის სახელწოდება.

თვენი – ჰიმნოგრაფიული საგალობლების კრებული, რომელიც შეიცავს მთელი წლის საგალობლებს დალაგებულს თვეების მიხედვით (აქედან სახელწოდება) კალენდარული დღეების თანმიმდევრობით. თვენი ძველი საგალობლოა კრებულის – იადგარის მემკვიდრეა. თუკი იადგარებში საგალობლები დღესასწაულთა შერჩეულ დღეებში გვხვდება, „თვენში“ ყველა კალენდარულ დღესუა წარმოდგენილი. ე.ი. თვენი ყოველდღიური ღვთისმსახურებისათვის არის გათვალისწინებული. ზემოთქმულიდან გამომდინარე „თვენების“ ხელნაწერები თვეთა არათანაბარ რაოდენობას შეიცავენ: ზოგ ხელნაწერში სამი თვის მასალაა წარმოდგენილი, ზოგში – ერთისა ან ორისა. იადგარიდან გამომდინარე „თვენები“, სანამ გიორგი მთაწმიდელის თარგმანში საბოლოო შინაარსს შეიძენდნენ, მანამდე შუალედური თვენების კრებულები არსებობდა, რომელსაც ფილოლოგიურ მეცნიერებაში „თვენების“ I რედაქციას უწოდებენ. ამ თვენებში წლიური კალენდრის ყოველ დღესე თითო ჰიმნოგრაფიული კანონი, ე.ი. ცხრა (ან რვა) გალობისაგან შემდგარი „გალობანი“ (ჰიმნოგრაფიული კანონი) იყო წარმოდგენილი, ხოლო გიორგი მთაწმიდელმა თითოეულ ხსენების დღესე რამდენიმე კანონი წარმოადგინა, რომელიც მან თარგმნა ბიზანტიური თვენების (ბერძ. „მენაიონი“) სხვადასხვა კრებულებიდან იმავე დღესასწაულისადმი მიძღვნილი, სხვადასხვა ავტორებისა. ასე რომ, გიორგის „თვენში“ ერთ დღესე ორიდან-ხუთამდე განსხვავებულ ჰიმნოგრაფიულ კანონს შეხვდებით.

გიორგი მთაწმიდელის რედაქციის თვენის“ თითოეული „გალობანი“ (ანუ ჰიმნოგრაფიული კანონი) ასეთი სტრუქტურისაა:

კანონს წინ უძღვის: სტიქრონი უფალო ღაღადყავსა, ძლისპირი (დასაწყისი სიტყვა), სტიქრონების ოთხი სტროფი (შეიძლება მას მოსდევდეს „სხუა“ ე.ი. სხვა სტიქრონი, ან სტიქარონები), წარდგომა, ერთსტროფი ანუ გალობა (მასაც ხშირად ახლავს „სხუა“ ე.ი. სხვა წარდგომანიც). აქვე ვიტყვი, რომ „წარდგომა“ (იხ.) გულანების გარდა იგი მხოლოდ გიორგის რედაქციის „თვენში“ გვხვდება. I რედაქციის თვენში იგი არ ფიგურირებს. ე.ი. ამით გიორგის თვენი ყოველთვის ადვილი ამოსაცნობია (იხ. ლ. ჯღამაია, გიორგი მთაწმიდელის თვენი (სექტემბერი), თბილისი, 2007, გვ. 12-14). „წარდგომა“ უშუალოდ კანონის წინაა, მას მოსდევს ჰიმნოგრაფიული კანონი, დაწყებული პირველი გალობით („უგალობდითსა“) და დამთავრებული მეცხრე გაობით („ადიდებდითსა“), ხოლო მთავრდება ბოლოს დართული სტიქრონებით („აღვიესენითსა“ და „აქებდითსა“).

გიორგი მთაწმიდელმა გარდა უშუალოდ ბერძნულიდან ნათარგმნი მასალისა, რომელიც თვენების („მენაიონის“) სხვადასხვა კრებულებიდან აიღო, მან გამოიყენა ზოგიერთი ადრე თარგმნილი საგალობელი იადგარებიდან და I რედაქციის თვენებიდანაც (მათ შო-

რის რამდენიმე ორიგინალურიც) და ყოველივე ეს შეიტანა თავის „თუენში“. სექტემბრის თვეში, რომელიც მასზე წინ ეფთვიმე მოაწმიდელმაც თარგმნა (კანონი, მხოლოდ თითო გალობით), გიორგიმ ეფთვიმეს თარგმანებიც (მცირეოდენი დამატებებით) შეიტანა.

კონდაკი – საეკლესიო საგალობლის სახეობა, რომელიც შემუშავებულია ბიზანტიელი ჰიმნოგრაფის რომანოს მელოდოსის (VI ს. I ნახევარი) მიერ. კონდაკი ჰიმნოგრაფიული კანონის წინამორბედაა, მაგრამ განსხვავება მათ შორის შინაარსობრივია. კონდაკი პოეტური კომილიაა და შედგება 18-20 ერთნაირი სტრუქტურის სტროფისაგან. დასაწყისში წარმოდგენილია მოკლე ტროპარი – პროიმონი (ბერძ.), რომელიც 2-3 სტროფისაგან შედგება. კონდაკი და პროიმონი ერთმანეთს რეფრენო უკავშირდება.

კონდაკის ჟანრის აყვავება მოდის VI-VII საუკუნეებზე. შემდგომ მას ცვლის ჰიმნოგრაფიული კანონი. ამ პერიოდიდან იწყება (VIII ს.) კონდაკის მელოდიის განვითარება და სტროფების რაოდენობის შემცირება. კანონში კონდაკი პირველი სტროფით, საკუთრივ კონდაკი და იკოსი, რომლებიც თავსდებიან კანონის VI გალობის (ოდის) შემდეგ. სრული სახით კონდაკი შემორჩენილია მხოლოდ ღვთისმშობელის „დაუჯდომელში“ (აკათისტოში). შემონახულია იგი აგრეთვე ტრიოდონში (სამფსალმუნში, სამსაგალობელში). კონდაკი სრულდება დიდმარხვის მეხუთე შაბათს ცისკარზე.

თანამედროვე მნიშვნელობით კონდაკი არის რიტმიკულ-ანტიფონური ერთსტროფიანი საგალობელი, რომელიც ჩაერთვის კანონის VI გალობის შემდეგ (იკოსის მსგავსად). იგი სრულდება ჩვეულებრივ რომელიმე დრესასწაულის ღვთისმსახურების დროს.

ჟამნი – იხ. ამავე წიგნში „ლიტურგიკულ კრებულებში“.

„სტიქარონნი საწელიწდონი დღესასწაულისანი, რომელნი თთუეთაცა თანა სწერიან“ – ეს არის სტიქარონთა (იხ.) ლიტურგიკული კრებული, რომელშიც შეტანილია გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი „თუენიდან“ ამოკრებილი სტიქარონები.

„სავედრებელ გალობათა“ წიგნი – ასე ეწოდება სპეციალური პარაკლისების კრებულს, რომელშიც შესულია სავედრებელი ან სამადლობელი ლოცვების გარკვეული წრე, და საგალობლები კერძოდ: 1. საახალწლო, 2. სწავლის დაწყებისა, 3. მეფისა და ერისა, 4. ბრძოლის დაწყების წინ, 5. აუადმყოფისა, 6. სამადლობელი, 7. უწვიმრობისა, 8. აედრის დროს, 9. წარღვნის დროს, 10. მგზავრობის წინ, 11. გემით მგზავრობის წინ, 12. ზღვის საბრძოლო ნაღის კურთხევის დროს, 13. სამხედრო დროშის კურთხევის დროს, 14. სამხედრო საჭურველის კურთხევის დროს, 15. ხომალდის კურთხევის დროს, 16. ჭის ამოთხრისა და წყლის პოვნის დროს, 17. ახალი ჭის კურთხევის დროს, 18. ქრისტეს შობის დღეს, 19. „საშინელი სრვისა“.

სხვადასხვა პარაკლისებზე სათქმელი საგალობლები წერია სამღვდელო ლოცვანში და სავედრებელ გალობათა წიგნში (გამოც. 1889წ.).

სტიქარონების კრებული. ათონის მთის რამდენიმე ქართულ ხელნაწერში (Ath.73/58; Ath.65; Ath.66), რომელთაც „თუენი“ ეწოდება, წარმოდგენილია მთელი წლის მხოლოდ სტიქარონები, რომელიც გიორგი მთაწმიდელს უთარგმნია, ასევე მხოლოდ სტიქარონების შემცველი ბერძნული კრებული, რომელსაც გიორგი ანდერძში „სოფიასმიდის სტიქარონებს“ უწოდებს. აქედან ჩანს, რომ „თუენები“ საბოლოო ჩამოყალიბებამდე გიორგის ნათარგმნი ჰქონდა სტიქარონთა ყველა სახის საგალობლები და თვენში ისინი შეიტანა კიმნოგრაფიულ კანონებზე დასართავად (ზოგი მათგანი – საკუთრივ სტიქარონები, „უფალო ღადატყავსა“ უძღვის კანონს, ხოლო „ადვიესენითსა“ და „აქებდითსა“ – კანონს მოსდევს).

კიმნოგრაფიული ტერმინები

„ადიდებდითსა“ – კიმნოგრაფიული კანონის IX გალობის (იხ.) სახელწოდება, რომელიც აღებულია ლუკას (I, 46-55) სახარებაში შესული ღვთისმშობლის გალობის დასაწყისი სიტყვის მიხედვით: „და სთქუა მარიამ: ადიდებს სული ჩემი უფალსა“. ეს გალობა ერთადერთია, რომელიც ახალი აღთქმიდან არის აღებული, დანარჩენი 8 გალობა ძველი აღთქმის სხვადასხვა წიგნიდან არის „ნასესხები“.

ავაჯი – ძველ ქართულ კიმნოგრაფიულ კრებულებში დადასტურებული ტერმინი – საგალობლის „ჯმა“, მელოდია, კილო, რომელსაც განსაზღვრავს ძლისპირი (იხ.). მისი საპირისპირო ტერმინია „თუთაუაჯი“, ე.ი. საგალობელი, რომელსაც საკუთარი მელოდია აქვს და არ არის დაწერილი ძლისპირის კილოზე.

აკათისტო (ბერძ.) – იხ. დაუჯდომელი.

„აკროსტიქი“ (ბერძ.) – ანუ კიდურწერილობა, იამბიკო, ჰიმნი ანუ ლექსი, რომლის თავიკიდური ასოები შეადგენენ სიტყვას ან მთელ წინადადებას. მისი სახესხვაობებია: ტელესტიქი – აკროსტიქს ადგენენ პოეტური ნაწარმოების სტრიქონთა ბოლო ასოები; მეზოსტიქი – აკროსტიქს ადგენენ შუა ასოები.

აკროსტიქი ჩაისახა კლასიკურ ბერძნულ პოეზიაში, ხოლო ქრისტიანული ლიტურგიკული კიმნოგრაფიის ჩამოყალიბების შემდეგ მისი ნაწილი გახდა და ქართულ ნათარგმნ და ორიგინალურ ლიტერატურაში განსაკუთრებით გავრცელდა X საუკუნიდან. მის მრავალრიცხოვან ქართულ სახელწოდებათაგან („თაენი“, „თაენი სტიხოსთანი“, „თაენი იტყვიან“, „თაეოდნი“ და სხვ.) აღორძინების პერიოდიდან დამკვიდრდა „კიდურწერილობა“.

„აკურთხევდითსა“ – კიმნოგრაფიული კანონის VIII გალობის ანუ ოდის სახელწოდება, რომელიც აღებულია ძველი აღთქმის დანიელ წინასწარმეტყველის წიგნიდან, რომელსაც „სამთა ყრმათა“ გალობა ეწოდება და იწყება ასე: „აკურთხევდით ყოველნი საქმენი უფლისანი“ (დან. III, 57-89).

„აღელუა“//აღილუია (ებრ. - აქედით უფალსა) - უფლის სადღებელი გალობა ანუ შეძახილი, რომელიც ქრისტიანულმა ეკლესიამ ებრაული ღვთისმსახურებიდან მიიღო.

ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში ეს ფრაზა იოქმის სოგიერო ფსალმუნში (104-106; 110-118; 134-135; 145-150), დაეროვის ბოლოში სხვადასხვა საგალობელს, ლოცვებს და წარმოითქმის სამ-სამჯერ, როგორც წმ. სამების დიდებისმეტყველება. მარხეათა დღეებში და მიცვალებულთა მოსახსენიებლად დაწესებულ დღეებში „ღმერთი უფალი“-ს ნაცვლად იგალობება „აღილუია“, დიდმარხვის მოსამზადებელ კვირებში 136-ე ფსალმუნზე, „აუარებდითის“ შემდეგ. „აღილუია“ ყოველთვის იგალობება სამოციქულოს საკითხავის წინ (სახარების წინ) ლიტურგიაზე.

ანტიფონი (ბერძ.) - ფსალმუნური გალობის სახე, როდესაც მგალობელთა ორი დასი მონაცვლეობით გალობს ფსალმუნის მუხლებს (გალობებს). ანტიფონები სრულდება ჟამისწირვის დასაწყისში.

ანტიფონი სამი ნაწილისაგან შედგება (სამი ანტიფონი ანუ აღსავალი). ანტიფონის პირველი ნაწილის შემდეგ, რომლის განმავლობაში მღვდელი საიდუმლო ლოცვას კითხულობს, არის მცირე კვერქსი და ასამაღლებელი. მეორე ნაწილისა და მღვდლის საიდუმლო ლოცვის შემდეგ - ისევ მცირე კვერქსი და ასამაღლებელი. მესამე ანტიფონის შემდეგ იწყება მცირე შესვლა.

ლიტურგიაზე იგალობება სამი სახის ანტიფონი: ყოველდღიური, „მომიხსენიენი“ (იხ.) და სადღესასწაულო.

I ყოველდღიური: პირველი ანტიფონია 91-ე ფსალმუნის მეორე და მესამე მუხლები, ჩასართავითურთ. II ანტიფონი - 92-ე ფსალმუნი - ჩასართავებით. III ანტიფონი - 94-ე ფსალმუნი - ჩასართავებით. ყოველდღიური ანტიფონები იგალობება ყოველდღე, თუ არ დაემთხვა რაიმე დღესასწაულს. „მომიხსენიენის“ ანტიფონები იგალობება იმ დღესასწაულებზე, რომლებზედაც სრულდება დიდებისმეტყველება და „აუარებდითი“ (იხ.). ეს ანტიფონები შედგება ფსალმუნებისაგან: I ანტიფონი - 103-ე ფსალმუნი; II - 145-ე (ერთის „დიდება“ (დიდებისმეტყველება), „აწდაა“ და „მხოლოდ შობილო ძეო...“; III - „ნეტარ იყენენი“ (მათე 5,3-12; ლუკა 23,42), რომელიც არ არის ანტიფონი, მაგრამ იგალობება, როგორც ანტიფონი (მგალობელთა ორი დასის მიერ).

3. სადღესასწაულო ანტიფონები შედგება ფსალმუნის წინასწარმეტყველური მუხლებისაგან და იგალობება: ქრისტეს შობის, განცხადების, ბზობის, აღდგომის, ბრწყინვალე შეიდეულის, ამაღლების, სულიწმიდის მოფენის, ფერისცვალების და ჯვარის ამაღლების დღესასწაულებზე.

მართლმადიდებლურ ღვთისმსახურებაში ანტიფონური გალობის შემოტანას ერთნი მიაწერენ ეგნატე ღმერთშემოსილს (ანტიოქელს +115წ.), მეორენი - ანტიოქელ ხუცესებს: ფლაბიანეს და დოიდორეს, დასაველეთის ეკლესიაში - ამბროსი მედიოლანელს (+397წ.).

აპორტიკა - გრიგოლ ნაზიანზელის 19 იამბიკური ლექსის, ე.წ. საიდუმლო ჰიმნების სახელწოდება, რომელიც უთარგმნია ეფრემ მცირეს და მას ამ ბერძნული სიტყვით იხსენიებს (A85, A109, 527-534).

„აუარებდითი“ - 135-ე ფსალმუნის ქართული სახელწოდება, რომელიც წარმოდგება ამ ფსალმუნის პირველი გალობის დასაწყისი სიტყვისაგან: „აუარებდით უფალსა, რამეთუ კეთილ, რამეთუ უკუნისამდე არს წყალობა მისი“ (მისი ბერძნული შესატყვისია „მრავალმოწყალე“ - πωλύλατος, რადგან 135-ე ფსალმუნის 26-ეე გალობა მოაერდება სიტყვებით: „უკუნისამდე არს წყალობა მისი“, ე.ი. „წყალობა“ მრავალჯერ მეორდება).

ღეთისმსახურების დროს ამ საგალობლის შესრულებისას ეკლესიის ყველა კანდელი ანთებული უნდა იყოს და მთელი ტაძარი უნდა იკმოს. „აუარებდითი“ იგალობება სახარების საკითხავეების წინ, რათა მორწმუნეთა სულები მოამზადოს სახარებისეული თხრობის მოსასმენად.

„აქებდითსა“ - საგალობლის (სტიქარონის) ერთ-ერთი სახე, ცისკრის ღეთისმსახურების მცირე ფორმის საგალობელი. სახელწოდება აღებულია 148-ე ფსალმუნის 1, 2, 3, 4, 5, 7, 13 მუხლების დასაწყისი სიტყვების მიხედვით: „აქებდით უფალსა ცათაგან, აქებდით მას მაღალთა შინა“.

„აქებდითსა“ იგალობება 148-ე ფსალმუნის გალობის შემდეგ.

„აღბეჭდულნი“ - 1. აკროსტიქის ერთ-ერთი ქართული სახელწოდება; 2. სახელწოდება საგალობელთა მთელი ჯგუფისა (კ. კეკელიძე).

„აღვიესენითსა“ - საგალობლის (სტიქარონის) ერთ-ერთი სახე, ცისკრის ღეთისმსახურების მცირე ფორმის საგალობელი, რომელიც იგალობება 89-ე ფსალმუნის გალობასთან ერთად. სახელწოდება აღებულია ამ ფსალმუნის მე-14 გალობის დასაწყისი სიტყვის მიხედვით: „აღვიესენით ჩუენ ცისკარსა წყალობითა შენითა, უფალო“.

„აღსავალთაჲ“ - იხ. გალობა აღსავალთაჲ.

„აწდა“ - დასდებული „აქებდითსა ზედა“ (კ. კეკელიძე, I, 316, 600).

გალობანი (ბერძ. კანონი) - სასულიერო შინაარსის დიდი ზომის საგალობელი, რომელიც 9 გალობისაგან ანუ ოდისაგან შედგება. გალობანის ანუ ჰიმნოგრაფიული კანონის შედგენილობა განსაზღვრულია ბიბლიური გალობებით. ჰიმნოგრაფიულ კანონში 12 გალობიდან 9 შევიდა, რომელთა დასაწყისი სიტყვებით იწოდება 9-ეე ოდა: I. „უგალობდითსა“; II. „მოიხილესა“; III. „განძლიერდისა“; IV. „უფალო მესმასა“; V. „ღამითგანსა“; VI. „ღაღატყაესა“; VII. „კურთხეულ არსა“; VIII. „აკურთხეულითსა“; IX. „ადიდებდითსა“ (იხ. თითოეული მათგანის განმარტება).

გალობანი ანუ ჰიმნოგრაფიული კანონი აგებულია ძლისპირთა და დასდებელთა (ტროპართა) თანამიმდევრობაზე, სადაც ძლისპირი არის რიტმულ-მელოდიური მოდელი მომდევნო დასდებელისათვის. ჰიმნოგრაფიულ კანონში ანუ გალობანში მეორე გალობა ხშირად გამოტოვებულია თავისი მჭიმუნვარე ხასიათის გამო. დიდმარხვის დღეების კანონში გალობანში არის ორი, სამი და ოთხი გალობისაგან შედგენილი კანონებიც (იხ. სამსაგალობელი - ტრიოდიონი).

„გალობანის“ ყოველი გალობა ანუ ოდა მთავრდება ღვთისმშობლი-სადმი მიძღვნილი დასდებლით.

გალობა – საეკლესიო და საერო საგალობლების საერთო სახელი. საეკლესიო გალობა ეწოდება ჰიმნოგრაფიული კანონის თითოეულ ოდას. კანონის გალობა შეიცავს საგალობლების სხვადასხვა სახეს: ძლიანპირებს, სტიქარონებს, იბაკოებს და ა.შ. თითოეულ მათგანს საგალობელი ეწოდება.

„გამოავლინე“ (ბერძ.) – დასდებელი (ტროპარი), რომელიც იგალობება კანონის IX გალობის (ოდის) შემდეგ და „დიდება მალათაჲს“ (იხ.) წინ ცისკრად. სახელწოდება აღებულია ფსალმუნიდან „გამოავლინე ნათელი შენი“ (42,3). ეს დასდებელი წარმოადგენს ეფდრებას ღვთისადმი, გარდაამოავლინოს ჩვენს გონებაზე ნათელი, რომ ხოტბა შეეასხათ უფალს.

„გამორჩეულნი“ – აღდგომის, ჯვარის, მოწამეთა, მღვდელმთავართა, შესვენებულთა და ღვთისმშობლის დასდებელი, რომლებიც მონაცვლეობენ 9-ოდიან კანონში.

„განიღვიძენი“ – აღსაველთა ფსალმუნები და ტროპარები, რომლებიც წინ უძღვიან საკვირაო ცისკრის სახარების საკითხავებს.

„განიცადენი“ (ბერძ.) – გალობა, რომელიც სრულდება ღვთისმსახურთა ზიარების დროს და წარმოადგენს ჟამისწირვის ბოლო ელემენტს. სახელწოდება მოდის ფსალმუნიდან, რომელიც უძველესი დროიდან იგალობებოდა იერუსალიმის ტაძარში ზიარების დროს: „განიცადეთ და იხილეთ, რამეთუ ტკბილ არს უფალი“ (ფს. 33,8).

„განსატყევებელი ტროპარი“ – ჟამისწირვაზე „ერის განტყევისას“ წარმოსათქმელი დასდებელი.

„განძლიერდასა“ – გალობანის ანუ ჰიმნოგრაფიული კანონის მესამე გალობა ანუ ოდა. სახელწოდება მომდინარეობს ბიბლიური გალობის (ანას გალობა) დასაწყისი სიტყვიდან „განძლიერდა გული ჩემი უფლისა მიერ“ (I მფვეთა 2, 1-10). ეს გალობა იგალობება სამსაგალობელის (იხ.) შემადგენლობაში მე-8 და მე-9 გალობებთან ერთად დიდმარხვის ოთხშაბათის დღეებში. „განძლიერდასა“ გალობა შედგება სამი-ოთხი ტროპარისაგან (დასდებელისაგან).

„გარდამოთქუმაჲ“ – პოეტური სტროფი, რომელიც სრულდება სახარების საკითხავების შემდეგ აღდგომის კვირიაკის ცისკრის ღვთისმსახურებაში. ეტიმოლოგიურად ეს ცნება უნდა მიუთითებდეს სასაუბრო საგალობლის სახეობას.

გერანი – ასე ეწოდება მიბაძვით საგალობლებს, სტიქარონებს, რომელთაც უმეტესად საკუთარი მელოდია აქვთ, „თითთავაჯია“ (იხ.).

„გიხაროდენი“ – მარიამ ღვთისმშობლისადმი ხარების დროს გაბრიელ მთავარანგელოზის მიერ წარმოთქმული მიმართვის დასაწყისი სიტყვა: „გიხაროდენ, მომადლებულო, მარიამ, უფალი შენ თანა. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“ (ლ. I, 28), რაც საფუძველი გახდა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი საგალობლების იმ სტიქარონ-

ებისა, რომლებიც „გიხაროდენ“-ით იწყება. „დაუჯდომელში“ (იხ.) თითოეული იკოსის (იხ.) მეორე ნაწილი შედგება 12 სტრიქონისაგან და ყოველი მათგანი იწყება „გიხაროდენ“-ით. „ღვთისმშობლისანში“ ხშირია „გიხაროდენის“ ტიპის სტიქარონები.

„გუერდი“ – ჰიმნოგრაფიული ტერმინი, რომელიც აღნიშნავს პლაგალურ (ბერძ. - გვერდითი), დამატებით ხმას (მე-5, მე-6, მე-7, მე-8) ძირითადი ხმებისაგან (პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე) განსხვავებით. მაგ., როდესაც ხელნაწერში მითითებულია „კმაჲ ა გუერდი“, ეს ნიშნავს მე-5 პლაგალურ ხმას და ა.შ.

დავითნი – ფსალმუნთა წიგნის ქართული სახელწოდება, რომელიც ასე იწოდება მათი ავტორის – ებრაელთა მეფის, დავითის საპატივცემულოდ.

დასდებელი//დასადებელი (ბერძ. ტროპარი) – საეკლესიო საგალობელი, რომელიც ქრისტიანული საგალობლების ჩამოყალიბების თავდაპირველი ეტაპის წარმონაქმნია. სახელწოდება მიუთითებს, რომ ის შეიქმნა, როგორც დასადებელი, ე.ი. დასამატებელი ფსალმუნის გალობაზე, რომელიც ქრისტიანული რელიგიის დასაწყისში ავსებდა ღვთისმსახურების პოეტურ ნაწილს, ხოლო ფსალმუნზე აღმოცენებული ქრისტიანული ჰიმნოგრაფიის შექმნა „დასდებლის“ – სტრიქონის მიმატებით დაიწყო, ხოლო მოგვიანებით ეწოდებოდა საეკლესიო დღესასწაულის განგებათა მთელ საგალობელთა მასალას.

დასდებელი (ტროპარი) ეწოდება ჰიმნოგრაფიული კანონის იმ საგალობლებს, რომლებიც მოსდევენ ძლისპირებს, იმეორებენ მის სალექსო ზომას, გალობის კილოს და შინაარსობრივად ეხმაურებიან იმ დღესასწაულის თემას, რომელსაც ეძღვნება ჰიმნოგრაფიული კანონი.

„დაუჯდომელი“ (ბერძ. აკათისტო) – ღვთისმშობლის, ქრისტეს და წმინდანების სავედრებელი საგალობელი, რომელიც ფეხზე დგომით სრულდება. თავდაპირველად „დაუჯდომელი“ მხოლოდ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ საგალობელს ერქვა (VI-VIII სს.), ხოლო შემდეგ მისი მნიშვნელობა გაფართოვდა.

ღვთისმშობლის „დაუჯდომელი“, რომელიც იგალობება დიდმარხვის მეხუთე შაბათის ცისკარზე, შედგება 25 სტროფისაგან. 13 მათგანს კონდაკი (იხ.) ეწოდება, 12-ს იკოსი. ყოველ კონდაკს მოსდევს იკოსი. თავად იკოსიც ორი ნაწილისაგან შედგება. 1 ნაწილში განვითარებულია თემა, ხოლო მეორე ნაწილი შედგება 12 სტრიქონისაგან და თითოეული იწყება „გიხაროდენით“.

„გიხაროდენით“ მთავრდება პირველი კონდაკიც, ხოლო დანარჩენი კონდაკები - „აღილუითი“.

„დიდებაჲ“ – ასე იწოდება ფსალმუნის წიგნის თითოეული კანონის ერთი სამნაწილთაგანი, რომლის შემდეგაც ითქმის: „დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა“ და სამეზის – „აღელუიაჲ“.

„დიდებაჲ“ – ხატის, ღვთისმშობლის სადიდებელი გუნდური მღერა-გალობა (ხშირად ფერხულთან ერთად) საეკლესიო დღესასწაულებ-

ზე, სახალხო დღეობებში (ალავერდობა, კვირიკობა, მარიამობა, თეთრ-გიორგობა და ა.შ.). გალობას ასრულებდა როგორც ვაჟთა, ისე ქალთა ორ-სამხმინი გუნდი.

„დიდებაზე“ სიარული გავრცელებული რიტუალი იყო. ხანგრძლივი გვალვის ან აედრის დროს ქალები ფეხშიშველა დადიოდნენ კარდაკარ „დიდების“ გალობით და „ამინდის ღვთაებას“ – ლაზარეს გვალვაში წვიმას შესთხოვდნენ, ხოლო აედარში – გამოდარებას, შეგროვილი თანხით საღვთოს ყიდულობდნენ და სწირავდნენ ლაზარეს.

„დიდება მალალთა//დიდებისმეტყველება – გალობა, რომელსაც „ანგელოზთა გალობასაც“ უწოდებენ, რადგან ეს გალობა მოესმათ მწყემსებს, რომელსაც გალობდა ანგელოზთა დასი იესო ქრისტეს შობის დროს: „დიდება მალალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშვიდობად და კაცთა შორის სათნოებად“ (ლუკა, 2,13). ამ გალობას „დიდი ღიდებისმეტყველება“ ჰქვია. მას ხან გალობენ, ხან კითხულობენ. ეს გალობა საციკლო დეტისმსახურების აუცილებელი და ბოლო აქტია. იგი სრულდება „აქებდითას“ ფსალმუნის შემდეგ, აგრეთვე ჟამისწირვაზე, ოღონდ საიდუმლოდ, ჩუმი ხმით.

„დიდი გალობანი“//„დიდი კანონი“ – ასე ეწოდება ანდრია კრიტიელის (იერუსალიმელის +720 წ.) ჰიმნოგრაფიულ კანონს, რომელიც შედგება 250 ტროპარისაგან. საგალობელი გადმოგვცემს ძველი და ახალი აღთქმის მთელ ისტორიას ზნეობრივ შეგონებათა მიზნით.

„დიდი კანონი“ იგალობება ნაწილ-ნაწილ დიდმარხვის პირველი კვირიაკის პირველ ოთხ დღეს, დიდ მწუხრზე, ხოლო მთლიანად – დიდმარხვის მეხუთე კვირიაკის ხუთშაბათს ცისკარზე. ქართულად ანდრია კრიტიელის „დიდნი გალობანი“ უთარგმნიათ სამჯერ. ეფთვიმე მთაწმიდელს შემოკლებით (Sin. 5), გიორგი მთაწმიდელს ვრცლად გადმოუღია და შეუტანია აგრეთვე ეფთვიმეს დამატებანიც და ზედმეტი ადგილებიც (იქვე). მესამე თარგმანი შეუსრულებია არსენ იყალთოელს დავით აღმაშენებლის დავალებით, ხოლო კათალიკოს იოანეს შეუქმნია მისთვის კილო, ვინაითგან ძველი კილო ქართველებისათვის უცხო იყო (Sin. 70; Ier. 67). (გამოც. ს. ყაუხჩიშვილისა, ბიზანტიური ლიტ-ის ისტორია, III, თბილისი, 1973, გვ. 285-297). ანდრია კრიტიელის „დიდი კანონის“ შთაგონებით და გავლენით შექმნა დავით აღმაშენებელმა თავისი „გალობანი სინანულისანი“ (სინანულის მოტივი გასდევს ანდრიას თხზულებასაც).

„თავედნი“ – იხ. აკროსტიქი.

„თვითავაჯნი“ – იხ. ავაჯი

„იადგარი მეხური“ – იხ. „მეხური“.

იამბიკო – ძველი ბერძნული ურითმო ლექსი, რომლის სალექსო ზომა ეყრდნობა ორმარცვლიან ტერფთა (იამბთა) გარკვეულ რაოდენობას და სტროფულ სისტემაზეა აგებული. თითოეული სტროფი შეიცავს 12 მარცვალს.

ბერძნულის გავლენით აღმოცენებული ქართული ქორეული (ერთი გრძელი და ერთი მოკლემარცვლიანი მუხლი) იამბიკო სამმარცვლიან-

ია, შედგება ხუთი თორმეტმარცვლიანი ტაეპისაგან, რომელიც გატეხილია ორ – 5 და 7 მარცვლიან ნაწილად. იამბიკოსათვის დამახასიათებელია აკროსტიქი (იხ.).

იამბიკო, როგორც ლიტერატურული კანონი, რვა საგალობლად არის გაყოფილი, თითოეულში ოთხი სტროფია, ხოლო სტროფი ხუთ, ზოგჯერ მეტ ტაეპს შეიცავს (იმის მიხედვით, თუ რამდენი ასოა აკროსტიქში).

XI-დან ქართულ იამბიკოში ჩნდება რითმა (ბორენას, დემეტრე I-ის საგალობლები). არალიტურგიკული პოეზია ძირითადად იამბიკურია.

იბაკო (ბერძ. „მორჩილება“) – საეკლესიო საგალობელი, რომელიც სრულდება ღვთისმსახურების გარკვეულ შემთხვევებში: 1. სერობაზე, კვირადღის წინასაღამოს, ჰიმნოგრაფიული კანონისა და „მამაო ჩვენო“ შემდეგ; 2. ცისკარზე ანტიფონებისა და სახარების კითხვის წინ; 3. ზოგჯერ საციხსკრო კანონის მესამე გალობის შემდეგ. „იბაკონი ათორმეტნი“ სრულდება დიდმარხვაში, მე-5 შეიდეულის შაბათის ცისკარზე, იგი ნაწილია ღვთისმშობლის დაუჯდომელის (იხ.) განგებისა.

იკოსი – საეკლესიო საგალობელი, გრძელი მუხლი, რომელიც სრულდება კონდაკის (იხ.) შემდეგ და წარმოადგენს მის დამატებას. იკოსი კონდაკზე გრძელია და შეიცავს კონდაკის თემის განვითარებას და შესხმას. იკოსები სრულდება ჰიმნოგრაფიულ კანონში VI გალობის შემდეგ, აგრეთვე „დაუჯდომელში“ (აკათისტოში). აქ თითოეული იკოსი შეიცავს 12 „გიხაროდენს“ (იხ.).

ირმოსი – იხ. ძლისპირი.

კანონი, ლიტურგიკული – იხ. ჰიმნოგრაფიული კანონი.

კონდაკი (ჰიმნოგრაფიული) – საეკლესიო საგალობლის სახეობა, მოკლე საგალობელი, რომელიც შემუშავებულია ბიზანტიელი ჰიმნოგრაფის, რომანოზ მგალობელის (მელოდოსის; VI ს. I ნახევარი) მიერ. კონდაკი პოეტური ჰომილიაა და შედგება 18-20 ერთნაირი სტრუქტურის სტროფებისაგან.

თანამედროვე მნიშვნელობით კონდაკი არის რითმულ-ანტიფონური ერთსტროფიანი საგალობელი, რომელიც ჩაერთვის ჰიმნოგრაფიულ (ლიტურგიკულ) კანონს VI გალობის შემდეგ (იკოსის მსგავსად). სრულდება ჩვეულებრივი ღვთისმსახურების დროს რომელიმე დღესასწაულზე. იგი მონაცვლეობს იკოსთან (იხ.), რომელიც ანვითარებს კონდაკის თემას და კონდაკზე ვრცელია.

„ლიტანიისაჲ“ – ეწოდება „განსატევებელ ტროპარს“ (იხ.), რომელიც იგალობებოდა „მწუხრისა“ და ცისკრის ღოცვების ბოლოს და მას მოსდევდა ეკლესიის საზეიმო გარშემოვლა. ეკლესიის გარშემოვლისას განუწყვეტლივ იგალობებოდა განტევებითი ტროპარი. ეკლესიაში დაბრუნების შემდეგ სრულდებოდა მწუხრის (ან ცისკრის) განტევება (იხ.).

„მესმასა“ – ჰიმნოგრაფიული კანონის IV გალობის ძველი ქართული სახელწოდება, რომელიც მომდინარეობს ბიბლიური გალობიდან:

„უფალო მესმაჲ სმენა შენი და შემეშინა“ (ამბაკუმ 3,1-19). ზოგიერთ კანონში IV გალობას ეწოდება „უფალო მესმაჲ“ ან „უფალო მესმასა“.

„მეხური“ – ქართული ჰიმნოგრაფიული ტერმინი, აღნიშნავს ახალი წესით დაწერილ (ან თარგმნილ) და მელოდიასთან შეწყობილ საგალობლებს. ბოლო გამოკვლევებით, გიორგი მთაწმიდელის იენისისა და სექტემბრის თვეთა „თუნების“ ანდერძებზე დაყრდნობით დასტურდება, რომ „მეხური“ მუსიკალური ტერმინია და დაკავშირებულია მეორე ტერმინთან „მეხელი“. ეს ტერმინები შეიქმნა ქართული ჰიმნოგრაფიის გარკვეულ ეტაპზე, როდესაც ძველი ტიპის „წყობილი სიტყვით“ დაწერილი საგალობლები შეიცვალა ახალი ტიპის „საგალობელთა მარცვლედით“, ანუ რითმული პროზით დაწერილი საგალობლებით.

„მიწყაღე“ – ასე იწოდება ფსალმუნთა წიგნის 50-ე ფსალმუნი, რომელიც იკითხება ღვთისმსახურების სხვადასხვა შემთხვევაში და წარმოადგენს მონანიებას ადამისა და მისი მოდგმის შეცოდებათა გამო. სახელწოდება აღებულია ამ ფსალმუნის 1 მუხლის დასაწყისის სიტყვისაგან: „მიწყაღე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყაღებითა შენითა აღვოცე უსჯულოებაჲ ჩემი“.

„მოიხილესაჲ“/„მოიხილენი“ – ჰიმნოგრაფიული (ლიტურგიკული) კანონის II გალობის ძველი სახელწოდება, რომელიც მომდინარეობს ბიბლიური გალობის დასაწყისის სიტყვიდან: „*მოიხილუ, ცაო, და ვიტყოდე*“ (II სჯული, 32, 1-52).

იოანე დამასკელის დროიდან ჰიმნოგრაფიული კანონიდან ცხრა ოდიანი კანონიდან ამოდებული იქნა II გალობა და შემდგომ იშვიათად რთავდნენ მას ჰიმნოგრაფიული კანონის შემადგენლობაში (ჩართულია, მაგ., გიორგი მთაწმიდელის ნათარგმნ „გალობანი ხარებისანი“-ში (S 4999, ფ. 273-277r). თანამედროვე ტიპიკონით ის შეტანილია მხოლოდ დიდმარხვის სამსაგალობელში ენების შეიდეულის სამშაბათს ცისკრად, ე.ი. (2,8 და 9 ოდები).

„მოსართავნი“ – ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკული ტერმინი (მისი ბერძ. შესატყვისია „ფარაფთონი“, რომელიც ამ ფორმით გვხვდება ქართულ ჰიმნოგრაფიულ ნათარგმნ ძეგლებში). „მოსართავნი“ გვხვდება მხოლოდ უძველეს იადგარებში (Sin. 1; Sin. 34, S 425).

ფარაფთონ-მოსართავნი ეწოდება საუფლო დღესასწაულებზე დამატებით სათქმელ გალობას საერთოდ. რვა ხმაზე დაწერილი ღვთისმშობლის საგალობლები წარმოადგენენ საუფლო დღესასწაულებისათვის ახლად დაწესებულ მოსართავს (ფარაფთონს), ე.ი. დამატებით მოსართავად სათქმელ საგალობელს, რომელთა ერთი ნაწილის ავტორია კოზმა იერუსალიმელი, ხოლო მისი ქართულად მთარგმნელი – მაკარი. მოგვიანო დროის ლიტურგიკულ ძეგლებში ტერმინი ფარაფთონი აღარ იხმარება, იგი ქართულმა ტერმინმა „მოსართავმა“ შეცვალა (ე. მეტრეველი).

„ოხითაჲ“ – მცირე ზომის ლირიული განწყობის დასდებელი, რომელიც გადმოსცემს ვედრებას სამებისადმი. „ოხითა“ უძველეს საგა-

ლობელთა რიცხეს მიეკუთვნება. ის უკვე არსებობს „იერუსალიმის განჩინებაში“ (VIII ს.), როგორც ლიტურგიის ერთ-ერთი ნაწილი, მწუხრისა და სამხრის ღვთისმსახურებაზე შესასრულებელი. X ს. მიქაელ მოღრეკილის იადვარში ჰიმნოგრაფიულ კანონში „ოხითა“-ს ადგილი განსაზღვრულია: კანონის წინ და „ღაღატყავას“ შემდეგ. თენის I და გიორგის რედაქციის „თვენიბიდან“ ის უკვე ამოღებულია. „ოჯითას“ საგალობელს ძლისპირი არა აქვს.

საგალობელი – იხ. გალობა.

„სამარადისო დღენი“ – შეიდეულის სადაგი დღეები („დასდებელნი სამარადისოთა დღეთანი, ახალნი კჳარულნი“ – Sin. 34, 97).

სპადუქნი – საგალობლის აღმნიშვნელი აღმოსავლური ტერმინი (კ. კეკელიძე). „აღბუჭდულნი სპადუქნი“, „სპადუქნი უცხონი ურთიერთას შეყოფილნი და განყოფილნი შეტყუებით: მსგაეცი მსგაესეებითა და თითოეული განთვისებით“ (პ. ინგოროყევა, ძე. ქართ. პოეზია, გვ. 263 (სდგ.). ტერმინის მნიშვნელობა დაუდგენელია (პ. ინგოროყევის აზრით, დაკავშირებული უნდა იყოს მუსიკალურ საკრავთან - „სპადის“ (ბერძ.).

სტიქარონი – ერთი ან რამდენიმე სტროფისაგან შემდგარი მცირე ზომის საგალობელი, რომელიც ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში ცისკრად და მწუხრზე იგალობება ფსალმუნთა საკითხაეებს შორის. სტიქარონთა სახელწოდებანი – „უფალო ღაღატყავას“, „აქებდითსა“, „აღვიესენითსა“ (იხ. თითოეული მათგანი) აღებულია შესაბამისი ფსალმუნის (140,1; 148,1; 89,14) მუხლის დასაწყისის სიტყვის მიხედვით. თვენების ჰიმნოგრაფიულ კანონებში ჩვეულებრივ „უფალო ღაღატყავას“ და საკუთრივ სტიქარონი წინ დაერთვის კანონს, ხოლო „აქებდითსა“ და „აღვიესენითს“ – მოსდევს მას. სტიქარონთა პირველ ავტორად მიჩნეულია კონსტანტინეპოლის პატრიარქი ანატოლე (V ს.). თავდაპირველად სტიქარონი იყო ფსალმუნის მოკლე მისამღერი, რომელიც აღებული იყო თვით ფსალმუნიდან და იგალობებოდა შესაბამისი ფსალმუნის მუხლის შემდეგ. მოგვიანებით სტიქარონები უფრო გრძელი გახდა და იგალობებოდა ცისკრისა და მწუხრის ღვთისმსახურებაზე, როგორც დამოუკიდებელი, საგანგებოდ შეთხზული პოეტური სტროფი.

სამეცნიერო ლიტერატურაში „სტიქარონები“ (ე.ი. მრ. ფორმა) ამ საგალობლის ყველა სახეობას გულისხმობს. უძრავ დღესასწაულებზე (თენის მასალა) საგალობელ სტიქარონს „სტიქარონ-იადვარი“ ეწოდება (თარგმნილია გიორგი მთაწმიდელის მიერ).

„სსუანი“ – ცხრაოდიანი ჰიმნოგრაფიული კანონი, რომელიც მოსდევს ძირითად, პირველ ადგილზე დაყენებულ ჰიმნოგრაფიულ კანონს. გიორგი მთაწმიდელის „თთუნში“ რომელიმე დღესასწაულზე წარმოდგენილია რამდენიმე (ზოგჯერ ოთხი-ხუთი) ჰიმნოგრაფიული კანონი. ამათგან პირველი არის ძირითადი, ხოლო დანარჩენი – „სსუანი“ (ჩვეულებრივ იკითხება ერთი კანონი).

ტროპარი (ბერძ.) – იხ. დასდებელი.

უფალო ღაღადყავსა (ღაღატყავსა) – სტიქარონის ერო-ერთი სახე, ცისკრისა და ღეთისმსახურების მცირე ფორმის საგალობელი. სახელი აღებულია 140-ე ფსალმუნის პირველი მუხლის დასაწყისი სიტყვის მიხედვით: „უფალო, ღაღად-ყავე შენდამი, ისმინე ჩემი, მომხედენ ჳმასა ლოცვისა ჩემისასა ღაღადებასა ჩემსა შენდამი“. ეს სტიქარონი იგალობება ამ ფსალმუნის გალობათა შემდეგ (იხ. სტიქარონი).

„ფარაფთონი“ (ბერძ.) – იხ. „მოსართავნი“.

„ღამითგანსა“ – ჰიმნოგრაფიული კანონის V გალობა, რომლის სახელწოდება აღებულია ბიბლიური გალობის (ისაიას გალობის) დასაწყისი სიტყვისაგან: „ღამითგან აღიმსობს სული ჩემი შენდამი, ღმერთო“ (ისაია, VI, 9).

„ღაღადყავსა/ღაღატყავსა“ – ჰიმნოგრაფიული კანონის VI გალობა, რომლის სახელწოდება აღებულია ძველი აღთქმის იონას გალობის დასაწყისი სიტყვიდან: „ღაღადყავ ჳირსა შინა...“ (იონა II, 3).

„ღმრთისმშობლისანი“ – ეწოდება ჰიმნოგრაფიული კანონის ყოველი გალობის, აგრეთვე სტიქარონების უკანასკნელ ტროპარს, რომელიც ღეთისმშობელს ეძღვება და სრულდება იმავე გალობის ან სტიქარონის ძლისპირის რიტმსა და კილოზე. საგალობელთა ქართულ კრებულებში „ღმრთისმშობლისანი“-ს ტექსტები მეტწილად დასაწყისებითაა მოცემული, ხოლო მათი სრული ტექსტები შეტანილია ძლისპირთა ქართულ კრებულებში (იხ. ე. მეტრეველი, ძლისპირნი, თბ., 1971; გ. კიენაძე, ნეემირებული ძლისპირნი).

„ღმრთისმშობელისამ“ – ეწოდება ჰიმნოგრაფიულ კანონს, რომელიც დაწერილია ღეთისმშობლის სახელზე და სრულდება ღეთისმშობლის დღესასწაულებზე. ისინი მრავლად არის წარმოდგენილი „პარაკლიტონში“ და სხვა ლიტურგიკულ წიგნებში. **„ღმრთისმშობელისამ“** ეწოდება აგრეთვე ჰიმნოგრაფიული კანონის IX გალობას (იგივე „ადიდებდითსა“), ვინაიდან ეს გალობა ღეთის მიმართ ყოველდღეა და ღეთისმშობლის მიერ წარმოთქმული სამადლობელია, რადგან უფალმა იგი გამოარჩია და აირჩია ღეთისმშობლად დედათა შორის.

„ძლისპირი“ – ჰიმნოგრაფიული ტერმინი (ბერძ. ირმოსი), ერთტაქიანი „დასდებელი“ (ტროპარი), რომელიც წინ უძღვის ჰიმნოგრაფიული კანონის ყოველ გალობას და სტიქარონს, რომელიც რიტმულ-მელოდიურ მოდელს წარმოადგენს გალობის ან სტიქარონის დანარჩენი ტროპარებისათვის.

„წარდგომამ“ (ბერძ. „პროკიმენოს“ - წინამდებარე) – საკითხაუბის (ფსალ., სახარ. საწინასწარმეტყვე., სამოციქულო) წაკითხვის წინ სათქმელი. „წარდგომათა“ მუხლები უმეტესწილად გამოხატავენ იმ საკითხაუბის შინაარსს, რომელსაც წინ უძღვიან. ამიტომ ის იმ საკითხაუბის სახელითაც იწოდება. მაგ., „სამოციქულოს წარდგომამ“. ხოლო როდესაც რომელიმე დღის ღეთისმსახურებასთანაა დაკავშირებული, ეწოდება „წარდგომამ დღისა“. მწუხრის ლოცვაზე ითქმის „წარდგომამ დღისა“. შეიდეულის თითოეულ დღეს აქვს საგანგებო სამწუხ-

რო „წარდგამა“ (მათი ნახვა შეიძლება კონდაკსა და ჟამნში), დიდი მარხვის სადავ დღეებში მდიდი მარხვის „წარდგომები“ იმ თანმიმდევრობითაა დალაგებულია, როგორც ფსალმუნშია. მთელი მარხვის განმავლობაში ასე ნაწილ-ნაწილ ხდება თითქმის მთელი ფსალმუნის გალობა. ასე რომ, „წარდგომა“ ამ შემთხვევაში არაა შინაარსობრივად დაკავშირებული მომდევნო საკითხავთან.

ყველიერის კვირიაკის, ასევე დიდმარხვის I, II, III, IV, V კვირიაკეების მწუხრზე ითქმის „დიდი წარდგომა“ (ასე ეწოდება 4 და მეტი მუხლისაგან შემდგარ „წარდგომას“). საგანგებო „დიდი წარდგომები“ ითქმის აღდგომის, თომას კვირიაკის, „მეერგახისის“ მწუხრებზე.

ცისკარზე „წარდგომა“ ითქმის მხოლოდ ღამისთვის ლოცვებზე, კვირიაკისა და დიდი დღესასწაულების წინა საღამოს.

კვირიაკეებს აქვს 8 ხმათა „წარდგომა“ (მოცემულია „პარაკლიტიონში“), დღესასწაულებს-საგანგებო სადღესასწაულო „წარდგომა“ (წერია სადღესასწაულოში).

„ჭრელი“ – ძველი მუსიკალური ტერმინი, ისეთი მუსიკალური ნაწარმოები, შექმნილი საგალობელ ტექსტებზე (ფსალმუნი, ტროპარი და სხვ.), რომელიც ტიპიკონის მიხედვით არ არის გამიზნული რაიმე ღვთისმსახურებისათვის. ასეთი საგალობლები სრულდება წირვის ბოლო ნაწილში ე.წ. „განიცადენზე“ (იხ.)

საქართველოში „ჭრელი“ განსაკუთრებით პოპულარული გამხდარა XVIII-ში. ამ დროს შექმნილა მთელი სკოლა მგალობლებისა, რომლებიც განთქმულნი ყოფილან „ჭრელის“ ზეპირად ცოდნით (ზოგ მათგანს ათასამდე ჭრელი სცოდნია – მაგ. ისააკ ხუცეს-კანდელაკი და სხვ.).

„ხუდრნი“ – ეწოდებოდა სამსაგალობელსაც (იხ.) მარხვისა და „ერგასისის“ (იხ.) შეიდეულის დღეთა ჰიმნოგრაფიულ კანონში, ალბათ იმიტომ, რომ სამსაგალობლის გალობები მოერთეოდა (იხ. მოსართავი) ხან პირველ, ხან მეორე და ა.შ. გალობებს (დღეების მიხედვით; პრინციპით 2,8,9; 3,8,9; 4,8,9 და ა.შ. 7,8,9-მდე, სადაც 2 სამშაბათია, 3 ოთხშაბათი, 4 – ხუთშაბათი და ა.შ.).

ჰიმნოგრაფიული კანონი – იხ. „გალობანი“.

ორიბინალურ ჰიმნობრაფიულ თხზულებათა ბიბლიოგრაფია

1. აბო ტფილელისა და ნათლისღების საგალობლები

თთუესა იანეარსა ზ~(7) კრებად ტიბერიასაჲე ზღვსკიდესა, დღე-სასწაულობად ნათლისღებისათუეს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა და ცსენებად ღუაწლით შემოსილისა, უძღვეელისა მოწამისა ჰაბო ისმაიტელ-ყოფილისა ქართველისაჲ. უფალო ღაღატყავსა ცმაჲ დ(4). ძღ. რაჲამს იხილე უძ.

მიქაელ მოდრეკილი (Xს.)

„ღამბადებელი დაბადებულთაჲ, ღმერთი, გარე შეუწერელი და მიუწდომელი, უხილაჲი, გამოუთქმელი, რომელმან სიბრძნით დაძაბაღა და შექმნა წყალოთაგან ქუეყანაჲ ესე.“

S-425 (978-988წწ.), 88v-90r.

შენიშვნა: გამოც. 1. პ. ინგოროყეასი, ძველი ქართული პოეზია, ტფილისი, 1913, გვ. ტ-ტიე (309-316); 2. ს. ყუბანეიშვილისა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946, გვ. 339-343; 3. ვეახარიასი, მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები, II, თბილისი, 1978.

2. აბო ტფილელის საგალობელი

თთუესა იანეარსა ზ (7) წმიდისა აბოჲსი

იოვანე საბანის ძე (VIIIს.)

ღასდებელი „უფალო ღაღატყავსა, ცმაჲ დ (4).-ჲა ღიდებული, საკურველი წმიდისა და ახოანისა ქრისტესისა აბოჲსი, რომელი-იგი ისმაიტელ იყო რჩულითა, შური აღიღო წმიდისა მოციქულისა პავლესი.“

H-2123 (X), 38r-41r

შენიშვნა: გამოც.: 1. კ. კეკელიძისა, ახალნი საგალობელნი აბო თბილელისა, ჟურნ. მწყემსი, 1905, №13-14, გვ. 3-4; 2. მისიე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, თბილისი, 1960, გვ. 414-417. 3. მისიე, Литургические грузинские памятники, Тбилиси, 1907, ст. 357-358; 3. პ. ინგოროყეასი, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, ტფილისი, 1913, გვ. ზ-ი(7-10); 4. ა. შანიძის, ჰილ-ეტრატის იადგარი, თბილისი, 1977; 5. მისიე, ძველი ქართული ენის ქრესტომათია, ტფილისი, 1935, გვ. 40-42. 6. უძველესი იადგარი (გამომც. კოლექტიე), თბილისი, 1980, გვ. 57-59. ავტორი სავარაუდოა.

3. აბო ტფილელის (და ნათლისღების) საგალობლები

[გალობანი ქრისტეს ნათლისღებისანი და ჰაბო ისმაიტელ-ყოფილისა ქართველისანი]. უგალობდითსა იოვანე ქონქოზისძისანი. ზღუაჲ უჲალი.

იოვანე ქონქოზის ძე (Xს.)

„რომელმან იორდანეს ნათლისღებითა განმანათლე, აწცა სული სიბრძნისა განმიახლე.“

S-425 (978-988წწ.), 177r-179r

შენიშვნა: გამოც.: 1. პ. ინგოროყვასი, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, ტფილისი, 1913, გვ. ლთ-მე (39-45); 2. ს. ყუბანეიშვილისა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946, გვ. 346-348

4. აბოს საგალობელი

„თოუესა იანვარსა ზ. დასდებელნი ნათლისღებისა და წმიდისა მოწამისა ჰაბოხსნი“

სტეფანე სანანოისძე (Xს.)

„ცეცხლი, რომელი სინას ეწუნა შჯულის მღებელსა...“

S-425 (978-988წწ.), 90r-91r

შენიშვნა: გამოც.: 1. პ. ინგოროყვასი, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, I, ტფილისი, 1913, გვ. რნა-რნე, (151-155); 2. ც. ჯღამაიასი, მეთუე საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფები. მაცნე/ე, 1974, 3, გვ. 59-62; 3. ვ. გვახარიასი, მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები, II, თბილისი, 1978, გვ. 179-181

5. აბოსა და ნათლისღების საგალობლები

დასდებელნი ნათლისღებისა და წმიდისა მოწამისა ჰაბოხს წიგნი მიქელ მოდრეკილი (Xს.)

„გიხაროდენ, წინამორბედო და საღმრთოესა მოსლვისა მქადაგებულო...“

S-425 (978-988წწ.), 181-185

შენიშვნა: გამოც.: 1. პ. ინგოროყვასი, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, ტფილისი, 1913, გვ. რპა-რპმ (181-188); 2. ს. ყუბანეიშვილისა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946, გვ. 339-343.

6. ანტონი დადიანისადმი მიძღვნა

მიმართვა და მიძღვნა ძმიშვილის ანტონი დადიანისადმი იამბიკურად

ნიკოლოზ დადიანი (XIXს.)

„სატრფოსა ჩემსა გიძღვნი ანტონის მშვიდსა ამას ნამხარკსა ჩემსა ღრამმატიკასა“

A-1019(1821წ.), 22v-23r.

შენიშვნა : იამბიკო ერთვის ამავე ავტორის მიერ შედგენილ „ღრამმატიკას“.

7. ანტონი დიდი მეგვიპტელის საგალობელი

თოუესა იანვარსა ო-ზ დასდებელნი წმიდისა მამისა ჩუენისა ანტონი მოღუაწისანი, ქართულნი, აღგუკდულნი აკროსტიხონნი. უფალო ღალატყაესა ჳმად დ(4) გუერდი.ედემთა ჴედა. რომელმან გარდაართხნა.

მიქელ მოდრეკილი (Xს.)

„მამისა თანამფლობელი სიტყუაჲ და თანაგამგებელი ყოვლად წმიდისა სულისა...“

S-425 (X), 108r-109r.

შენიშვნა: აკროსტიქში იკითხება: მამასა მამათასა ანტონის უგალობდეთ, ერნო. გამოც.: 1. პ. ინგოროყვასი, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, ტფილისი, 1913, გვ. სმ-სმე (240-246); 2. ვ. გვახარიასი, მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები, II, 1978.

8. ანტონი მარტყოფელის ჰიმნოგრაფიული კანონი

თთუესა იანუარსა ოთ(19) ღირსისა მამისა ჩუენისა ანტონი მარტომყოფელისა ათორმეტთა მამათაგანისა.

ანტონ I კათალიკოსი (+1788წ.).

„ისრაელი მონა-ქმნილი გამოივსენ, უფალო, მკლავითა შენითა მტკიცითა...“

S-1464 (1760წ.), 439r-442v; A221 (1787წ.), 228v-231v.

შენიშვნა: ეს საგალობელი და ანტონ I-ის სხვა ჰიმნოგრაფიული თხზულებები შესულია „თვენში“ ანუ „სადღესასწაულოში“ ასეთი განმარტებით: წინამდებარე მის ბიბლიოგრაფიაში ანტონის ავტორობით შეტანილი საგალობლები ზოგჯერ მხოლოდ ნაწილობრივ ეკუთვნის მას. ანტონი თავის კრებულში შეტანილ სხვა, ადრინდელი ავტორის ჰიმნოგრაფიულ კანონს ანუ გალობას ურთავს თავის მცირე ფორმის საგალობლებს – დასდებლებს: სტიქარონებს, ტროპარებს, ოხითაებს და ა.შ. ან ცვლის მათ, ან პირიქით – თავის კანონს ურთავს სხვა ავტორების დასდებლებს. საკითხი ჯერ შეუსწავლელია.

9. ანჩისხატის საგალობელი (აკროსტიქით)

გალობანი ანჩისხატისანი

იოანე ანჩელი (XII- XIIIსს.)

„უგალობდითსა, ვჰმად გ(3) გუერდი, „სიბრძნეო მამისაო, დასაბამო და მიზეზო კეთილისაო...“

A-1040 (1721წ.), 99r-109r

შენიშვნა: გამოც.: 1.მ. ჯანაშვილისა, Описание рукописей церковного музея, III, 1903, стр. 308-312; 2.ს. ყუბანეიშვილისა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946, გვ. 381-383. 3. ნ. სულაძისა, XII-XIIIსს. ქართული ჰიმნოგრაფია, თბილისი, 2003, გვ. 297-300. აკროსტიქში იკითხება:...საშინელსა ანჩის ხატსა უგალობ უნდო იოანე ანჩელი“.

10. აღდგომის ჰიმნოგრაფიული კანონი

„უგალობდითსა ვჰმად ა(1). ძლ. „ მხილველი... “

იოანე მინჩხი (Xს.)

„გალობითა ახლითა უგალობდეთ მომცემელსა ცხორებისასა...“

Ath.45 (XI), 15r-16r; S-425(978-988წწ.), 177v-178r.

შენიშვნა: გამოც.:ლ. ხანიძისა, იოანე მინჩხის პოეზია, თბილისი, 1987, გვ. 285-291.

11. აღდგომის საგალობლები

„დასდებელნი წმიდისა აღდგომისანი. უფალობდითსა, ვჰამ დ(4), ყოველსა მუკლსა მ(60) შეტყუებაჲ აქუს: ო-(5)-ჯერ ი-ბ(12).იამბიკონნი, თქმულნი ნეტარისა იოანე მინჩხისანი“. ძლ. „საღმრომან ნისლ...“

იოანე მინჩხი (Xს.)

„ჩემოვს დაადგრა ქალწულისა საშოსა. მეორე მიზეზი ყოველთა მიზეზთაჲ...“

A-93 (1093წ.), 127v-128v; S-425 (978-988წწ.), 218r-219r

შენიშვნა: გამოც.: I.პ. ინგოროყვასი, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, 1, თბილისი, 1913, გვ. ია-იზ (12-18); 2ვ. გვახარიასი, მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები, II, თბილისი, 1978, გვ. 435-437; 3. ლ. ხანიძისა, იოანე მინჩხის პოეზია, თბილისი, 1978, გვ. 291-299.

12. აღდგომის საგალობლები

დასდებელნი წმიდისა აღდგომისანივე, უფალო ღალატყავისა. ვჰამ გ(3) გვერდი. სხუანი.

იოანე მინჩხი (X)

„რაჟამს მოხუედი ზეცით ქუეყანად...“

S-425 (978-988წწ.), 243r-v

შენიშვნა: გამოც.: I. პ. ინგოროყვასი, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, 1, თბილისი, 1913, გვ. ით-კა (19-21); 2. ს. ყუბანეიშვილისა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946, გვ. 329-330; 3. ვ. გვახარიასი, მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები, II, თბილისი, 1978, გვ. 485-486; 4. ლ. ხანიძისა, იოანე მინჩხის პოეზია, თბილისი, 1987, გვ. 299-300

13. აღდგომის საგალობელი (აკროსტიქით)

დასდებელნი წმიდისა აღდგომისანი. უფალო ღალატყავსა, ვჰამ გ(3) გვერდი

კურდანა (Xს.)

„კაცთათვს ზეცით ქუეყანად გარდამოედ, კაცთმოყუარე...“

S-425 (978-988წწ.), 509r-510r

შენიშვნა: გამოც. პ. ინგოროყვასი, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, ტფილისი, 1913, გვ. რდ-რდჲ (164-165). აკროსტიქი „თავნი იტყვიან: კურდანაჲ“.

14. აღდგომის საგალობლები

დასდებელნი წმიდისა აღდგომისანი. უფალო ღალატყავსა. ვჰამ ბ (2), მოიხილა ნ.

იოვანე მტბევარი (XI ს.)

„რად არს საიდუმლო ესე შესაძრწუნებელი, რომელი იხილევების, რამეთუ პირველსაუკნეთა ღმერთი განკაცნა...“

S-425 (978-988წწ.), 398r-402v

შენიშვნა: ავტორის სახელი მიწერილია აშიაზე (399r). გამოც. პ. ინგოროყვასი, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, ტფილისი, 1913, გვ. რმგ- რმწ(143-148).

15. აღდგომის საგალობლები

დასდებელნი წმიდისა აღდგომისანი

მიქელ მოდრეკილი (X ს.)

„მხოლოდ შობილი ძე სიტყუად მამისა ბუნებით უნებელი...“

S-425 (978-988წწ.), 509r-ე

შენიშვნა: გამოც. პ. ინგოროყვასი, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, ტფილისი, 1913, გვ. რე-რზ (106-107). ავტორის სახელი „მქლ“ მიწერილია 500-ე გვ. აშიაზე.

16. აღდგომის საგალობლები

დასდებელნი წმიდისა აღდგომისნივე

მიქელ მოდრეკილი (X ს.)

„გამოშინდი ჳორცითა, ქრისტე ღმრთისა სიტყუაო, საუკუნითგან დაფარული საიდუმლო...“

S-425 (978-988წწ.), 515v-523v

შენიშვნა: ხელნაწერის 517-520 გვ. უადგილოდ არის ჩაკერებული. გამოც. პ. ინგოროყვასი, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, ტფილისი, 1913, გვ. რ-რთ (100-176). აკროსტიქი: “გიხაროდენ ერნო ქრისტე აღდგა სიხარული ყოველთა“. ავტორის ვინაობა “მქლ” მიწერილია 511-ე გვ-ის აშიაზე.

17. აღდგომის ჰიმნოგრაფიული კანონი

საგალობელი აღვსებისა

გიორგი მერჩულე (X ს.)

„სიტყუანი ძისა და დედისა. ნუ მწუხარე ხარ, უსძლოო, უბიწოო დედაო, მიხილო რად შობილი შენგან...“

S-425 (978-988წწ.) შენიშვნა: გამოც. პ. ინგოროყვასი, თხზულებათა კრებული, III, გიორგი მერჩულეს ავტორობა სავარაუდოა.

18. ბასილი დიდის საგალობლები

სხუანი დასდებელნი წმიდისა ბასილისნივე: ქართულნი

მიქაელ მოდრეკილი (X ს.)

„მოვედით, მორწმუნენო, მღდელთ- მოძღუარსა ქრისტესსა ერთობით შევამკობდეთ ბასილდ მღრთივ -განბრძნობილსა

S-425 (978-988წწ.), 119v-122r

შენიშვნა: გამოც. პ. ინგოროყვასი, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, ტფილისი, 1913, გვ. სა-სგ (201-203)

19. ბასილი დიდის საგალობლები

თოუესა იანვარსა ა(1) ვსენებად ღმერთ-შემოსილისა ბასილი ნეოკესარიელისა

მიქელ მოდრეკილი (Xს.)

„ნესტუსა დაპბერე საგალობელი მითა მით საღმრთოთა და კიდეთა სოფლისათა იქუნა სიტყუამან შენმან...“

S-425 (978-988წწ.), 119r

შენიშვნა: გამოც. 1. პ. ინგოროყვასი, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, ტფილისი, 1913, გვ. ს (200); 2-ვ. გვახარიათი, მიქაელ მოდრეკილის პიმნები, II, 1978.

20. ბასილი დიდის საგალობლები

სხუანი გალობანი წმიდისა ბასილისნივე

იოვანე მტბევეარი (Xს.)

„საუნჯესა ღმრთისა სიბრძნისასა და სიმღიდრესა მადლისასა და ეკლესიათა სამეუფოთა გურგუნსა, მღდელთ- მოძღუარსა ბასილის პატივესცემდეთ, მორწმუნენო...“

S-425 (978-988წწ.), 120-121

შენიშვნა: გამოცემა: პ. ინგოროყვასი, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, ტფილისი, 1913, გვ. უმ-რბ (98-102). ავტორის ვინაობა მიწერილია 120-ე გვ-ის აშიაზე.

21. ბასილი დიდის საგალობელი

თოუესა იანვარსა ა (1) ვსენებად ღმერთ-შემოსილისა ბასილი ნეოკესარიელისა თქმულნი ღმერთ-შემოსილისა იოვანე მტბევეარ ეპისკოპოსისანი

იოვანე მტბევეარი (Xს.)

„უტყუებად გონებისა ჩემისადა განკსენ, ღმრთისმეტყუელო მადლითა სოფლისადათა“

S-425 (978-988წწ.), 112r-119v

შენიშვნა: გამოც. პ. ინგოროყვასი, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, ტფილისი, 1913, გვ. უ-უშ (90-98). ავტორის ვინაობა მიწერილია 117 გვ-ის აშიაზე.

22. ბასილი დიდის საგალობელი

გალობა (ლოცვა) ბასილისათვის

გაბრიელ მცირე(+1804წ.)

„კმა დ(4)-რომელი იწოდე სეხნად სუფევისა, რაჟამს იგი სამეუფო შენდა სამღუდელო ერი, საზეპურო ქრისტესი სიბრძნით და გონიერებით დამწყსე...“

S-54(XVIII),1v.; S-4806(1799წ.),

შენიშვნა:S-4806 ხელნაწერში „გალობის“ ნაცვლად „ლოცვა“. გალობის ტექსტი წინ უძღვის კრებულს „სუფევა“.

23. ბეთლემის საგალობელი (იაზბიკო)

ბეთლემი

ფილიპე (Xს.)

“ფესუთა მათგან ოქროანთა შემკული ხარ შენ, ქალწულო...”

Sin. 59 (Xს.); Sin. 64 (Xს.)

შენიშვნა: გამოც.: 1. ნ. მარისა, *Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии*, кн. XII, ст. LVI; 2. პ. ინგოროყვასი, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, ტფილისი, 1913, გვ. ტმდ (364); 3.ს. ყუბანეიშვილისა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946, გვ. 349,

24. ბზობის საგალობლები

„ბზობისა ხუთშაბათსა. მწუხრი. სტიქარონი სხუანი. ვჰმად ბ(2) გუერდი“

იოანე მინჩხი (Xს.)

„მოგუეცა წამალი საღხინებელი...“

გეორგ-5(georg. -Paris,XIს.), 171r-175r; Sin. 5 (1072წ.); Sin.70 (XII-XIII); Sin.75 (XI)

შენიშვნა: გამოც.. ლ. ხაჩიძისა, იოანე მინჩხის პოეზია, თბილისი, 1987, გვ. 247-254.

25. ბზობის საგალობლები

“[მუქუსესა] შაბათსა. მწუხრი. დასდებელნი ბზობისანი. ვჰმად ა(1)“ იოანე მინჩხი (Xს.)

“ასულო სიონისაო, ქრისტე მოეაღს შენდა...”

გეორგ. 5 (XIს.), 183r-199v; Sin. 5 (1072წ.); Sin. 70 (XII-XIII); Sin.75 (XI)

შენიშვნა: გამოც. 1.ლ. ხაჩიძისა, იოანე მინჩხის პოეზია, თბილისი, 1987, გვ. 261-162.

26. ბიძინა, ელისბარისა და შალვა ერისთავების ჰიმნოგრაფიული კანონი

ამასვე დღესა (თთუესა სეკდემბერსა იმ(18)) წმიდათა დიდთა მოწამეთა მთავართა ბიძინასი და ორთა ძმათა ერისთავთა ქსნისათა ელისბარისა და შალვასი. უფალო დადადყავსა ზედა დასდებელი, მუჭლი მ(8), ვჰა დ(4), მკნეონი.

ანტონ I კათალიკოსი (+1788წ.)

„ძღვეისა მისაგებელი მკედართა უძღვეელთა და განკითხუამან სამღთომან წინაგანგებულ-ჰყო...“

S-1464 (1760წ.), 69v-75r; A221 (1787წ.), 14v-79v.

შენიშვნა: კანონს წინ უძღვის ორი და მოსდევს ასევე ორი დასდებელი. ეს არის ბიძინა მოწამის ჰიმნოგრაფიული კანონი: აკროსტიქი ეხება მხოლოდ მას: „ბრწყინვალე ხარ ჴსენებასა შინა, ბიძინა“.

27. ბიძინა, ელიზბარისა და შალვას ჰიმნოგრაფიული კანონი

ამასვე დღეთა წმიდათა დიდთა მოწამეთა მთავართა ბიძინასი და ორთა ძმათა ერისთავთა ქსნისათა ელისბარისა და შალვასი. სხუა დასდებელი წმიდათა ერისთავთა. ჴმა დ(4)

ანტონ I კათალიკოსი (+1788წ.)

„ძღვეისა ერისმთავრობა სიმჴნით მოიღუ, ელისბარ...“

S-1464 (1760წ.), 71r-75v; A221 (1787წ.), 74v-79v.

შენიშვნა: აქ მეორდება ზუსტად ბიძინას ჰიმნოგრაფიული კანონის სათაური, თუმცა პირველი ეძღვნება მხოლოდ ბიძინას, ხოლო მეორე — ელიზბარს და შალვას. ორივე ჰიმნოგრაფიული კანონი აკროსტიქულია და ორივეს ერთვის დასდებლები.

28. ბიძინა, შალვა და ელიზბარ. მოწამეთა ჰიმნოგრაფიული კანონი

თუესა სექტენბერსა იმ (18/IX) წმიდათა და დიდებულთა ორთა ძმათა მოწამეთა ქართველთა ელისბარ ქსნის ერისთავისა და ძმისა მისისა შალვასი და წმიდისა დიდებულისა მოწამისა ბიძინა კახისა იესე ერისთავი (XVIIIს.)

„უფალო, ღაღატყავსა ჴმაჲ დ (4) მჴნეონი. ვაჴებდეთ დღეს ჩუენ, ყოველნი ერნი ქართველთანი, ქრისტესა...“

S-3269 (1720 იანი წლ.), 224r-225r

შენიშვნა: გამოც. მ. ქავთარიასი, ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან, თბილისი, 1977, გვ. 255-258.

29. გალობანი სინანულისა

გალობანი სინანულისანი

დავით აღმაშენებელი (1073-1125წწ.)

„რომლისაცა წინაშე ჴედდადრეკილ არს ყოველი მუხლი...“

A-85(XIII,XV 188v-191v); A-290(XVIII),245v-247v.

შენიშვნა: გამოც.: 1.მ. საბინინისა, საქართველოს სამოთხე, ს.-პეტერბურგი, 1882, გვ.513-518. 2.თ. ჟორდანიასი, ქრონიკები, II, ტფილისი, 1889, გვ. 104-107). 3.ს. ყუბანეიშვილისა, ძველი ქართული ლიტერატურის ჴრესტომათია, I, თბილისი, 1946. 4. ლ.გრიგოლაშვილისა, ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან (დავით აღმაშენებლის “გალობანი სინანულისანი”),1972,;5. მისივე, დავით აღმაშენებელი, გალობანი სინანულისანი, თბილისი, 2005. 6. ზ. ჴავეჭავაძისა, ლიტერატურისმცოდნეობა, კრიტიკა, პუბლიცისტიკა, თარგმანი, თბილისი, 1993. 7. ნ.სულავასი, XII-XIIIსს. ქართული ჰიმნოგრაფია, თბილისი, 2003, გვ.272-279.

30. გიორგი მთავარმოწამის საგალობლები

თთუესა ნოემბერსა ი (10) სხუანი გალობანი წმიდისა გეორგისნი, თქუმულნი ნეტარისა მინჩხისანი თავედნი. უგალობდითსა.ჳმამა გ(3) გუერდი

იოანე მინჩხი (Xს.)

“წმიდაო ღმერთო, დამბადებელო და გამოუთქუმელო...”

Sin.2 (XI), 3r-4v, 24r-25r; Ath. 52 (XI), 47r-49v

შენიშვნა: გამოც.: 1. ივ. ჯაუახიშვილისა, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1946, გვ. 145-149; 2. ლ. ხაჩიძისა, იოანე მინჩხის პოესია, თბილისი, 1987, გვ. 335-349.

31. გიორგი მთაწმიდელისადმი მიძღვნილი საგალობლები

იბაკონი წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგისნი

გიორგი შეყენებული (XIს.)

„ჳმამა დ(4) გუერდი. არა დააკლდი ათორმეტთა მზეთა შორის მნათობთა მათ სოფლისათა

S-353 (XIს.), 86r-87v

შენიშვნა: გამოც. ელ. მეტრეველისა, ნარკვევები ათონის კულტ.-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბილისი, 1996, გვ. 314-316.

32. გიორგი მთაწმიდელის ჰიმნოგრაფიული კანონი

თთუსა იენისსა ლ (30 /VI) მიცვალება წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა

გიორგი შეყენებული (XIს.)

უფალო ღალადყავსა; დასდებელნი, ჳმამა ა (1). შენ სიტყ. “ახლად მნათობად გამოსჩნდი ეკლესიათათ და სეხნად საქმეთასა იწოდე შენ მუშაკად, ნეტარო გიორგი...”

S-3539 (XIს.), 67v-74r

შენიშვნა: გამოც. ელ. მეტრეველისა, ნარკვევები ათონის კულტ.-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბილისი, 1966, გვ. 263-282.

33. გიორგი მთაწმიდელის ჰიმნოგრაფიული კანონი

მასვე დღესა სხუანი გალობანი ამისვე წმიდისანი

გიორგი შეყენებული (XIს.)

„უგალობდითსა უკულევე- წყაროთაგან ცხოველთა და უფსკრულთა მდიდრად აღმოირიდენ სიბრძნისა მდინარენო...”

S-353 (XIს.), 74r-76v

შენიშვნა: გამოც. ელ. მეტრეველისა, ნარკვევები ათონის კულტ.-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბილისი, 1996, გვ. 282-289.

34. გიორგი მთაწმიდელის ჰიმნოგრაფიული კანონი

სხუანი გალობანი ამისვე წმიდისანი.

გიორგი შეყენებული (XIს.)

„უგალობდითსა, ვჰმად დ (4) გუერდნი. ძლ. ეტლთა მჟ. „ მონაზონთა სამკაულსა და დიდსა მნათობსა მოღუწეთასა გიორგის ვაჰებდეთ...“
S-353 (XI ს.), 76v-79v

შენიშვნა: გამოც. ელ. მეტრეველისა, ნარკვევები ათონის კულტ.-სა-განმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბილისი, 1996, გვ. 314-316.

35. გიორგი მთაწმიდელის ჰიმნოგრაფიული კანონი
სხუანი გალობანი ამისეუ წმიდისანი, ვჰმად დ (4) გუერდი
გიორგი შეყენებული (XI ს.)

„უგალობდითსა. ქუეყანასა მწყუ- მადლი ბაგეთა შენთა მიპრონის სახედ აღმომცენარე დააწოთე...“

S-353 (XI ს.), 80r-82v

შენიშვნა: გამოც. ელ. მეტრეველისა, ნარკვევები ათონის კულტ.-სა-განმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბილისი, 1996, გვ. 293-306

36. გიორგი მთაწმიდელის ჰიმნოგრაფიული კანონი

სხუანი გალობანი წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგისნივე, ვჰმად გ(3) გუერდი.

გიორგი შეყენებული (XI ს.)

„უგალობდითსა. წამსყოფისა, ღმერთო. მოვედით, მოსურნენო, წმიდათა ცსენებისანო...“

S-353 (XI ს.), 83r-86r

შენიშვნა: გამოც. ელ. მეტრეველისა, ნარკვევები ათონის კულტ.-სა-განმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბილისი, 1996, გვ. 307-314

37. გიორგი მთაწმიდელის ჰიმნოგრაფიული კანონი

ამასეუ დღესა (თთუესა იუნისსა უზ(27) ღირსისა მამისა ჩუენისა გიორგიმთაწმიდელისა. უფალო ღაღატყაესა ზედა დასდებელი ტაძრისა და ღირსისა, ვჰმად დ(4).

ანტონ I კათალიკოსი (+1788 წ.)

„ღირს არს შესხმად ესე წინა მდებარეე სადღესასწაულო, ცსენება კაცისა საკურუმლსა...“

S-1464 (1760 წ.), 665r-670r; A221 (1787 წ.), 166v-173r

შენიშვნა: კანონს წინ უძღვის 3 დასდებელი და მოსდევს ერთი - აქებდითსა ზედა დასდებელი, მუკლი დ(4), ვჰმად დ(4). აკროსტიქი: „მუშაკი ბრძენი ღირსად იქებოდინ, გიორგი“.

38. გობრონის (მიხაილის) ჰიმნოგრაფიული კანონი

თთუესა ნოემბერსა იზ(17) წმიდისა დიდისა მოწამისა მიხაილისი, რომელსა ეწოდა გობრონ. უფალო ღაღადყაესა ზედა დასდებელი, ვჰმად დ(4). რომელი იწოდე

ანტონ I კათალიკოსი (+1788 წ.)

„მადლით გამოიქმნა წოდება შენი, მოწამეო, სიმკნისათა...“

S-1464 (1760წ.), 201r-205v; A221 (1787წ.), 226r-232v

შენიშვნა: კანონს წინ უძღვის 2 დასდებელი, მესამე გალობას მოსდევს იკოსი, ერთის ორი „დიდება“ და „ჯვარღვთისმშობლისა“. ყველა გალობას ერთის ძლისპირი.

39. გრიგოლი ღვთისმეტყველის საგალობელი

თთუესა იანეარსა კე(25/ I)... დასდებელი ღმერთ-შემოსილისა გრიგოლი ღმრთისმეტყველისნი იოანე მტბეუარი (Xს.)

“მოვედით, მორწმუნენო, სულიერთა ქებითა ერთობით შევასხმიდეთ ღმრთისმეტყველებისა თავსა“

S-425 (978-988წწ.), 254r-256v

შენიშვნა: გამოც. პ. ინგოროყვასი, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, ტფილისი, 1913, გვ. რკ-რლდ (120-134). ავტორის ვინაობა მიწერილია 254-ე გვის აშიაზე (იოვანე მტბეუარისანი).

40. გრიგოლ ხანცთელის ჰიმნოგრაფიული კანონი

ამასვე დღესა (5 ოქტომბერი) მამისა ჩუენისა გრიგორი ხანძთელისა. უფალო დადადყავსა ზედა დასდებელი მუკლი ე(6), კმა დ(4), მკნეონი

ანტონ I კათალიკოსი (+1788წ.)

„ვითარცა ზეთისხილი მსხმო უდაბნოსა შინა აღაყუავენ შენ...“

S-1464 (1760წ.), 123v-124v; A221 (...), 191v-134r.

შენიშვნა: კანონს წინ უძღვის დასდებელი (უფალო დადადყავსა, დიდება, სტიქარონი), ხოლო კანონი წარმოდგენილია 8 გალობით (არ არის მეორე გალობა).

41. დავით აღმაშენებელისადმი მიძღვნილი იამბიკო

იამბიკო

არსენ იყალთოელი (XIIს.)

„როს ნაჭარმაგვეს მეფენი შეიდნი მე პურად დამესხნეს...“

A-1448(1801-1862წწ.)

შენიშვნა: ავტორი სავარაუდოა.ხელნაწერი ტარასი არქიმანდრიტის მიერ შედგენილი კრებულია.

42. დავით აღმაშენებლის ჰიმნოგრაფიული კანონები (2)

თეესა იანეარსა კე(26) ცსენება წმიდისა კეთილ-მსახურისა მეფისა დავით მესამისა, ყოელისა საქართუმლოჲსა და აფხაზეთისა, ზედწოდებით აღმაშენებელისა. მცირესა მწუხრსა ზედა დასდებელი, მუკლი დ(4), კმა 3(1). ზეცისა განწესებულთა.

ანტონ I კათალიკოსი (+1788წ.)

„ზეგარდმო ცნებითა ცხებულ იქმენ, დავით, სულისა მიერ ღმრთისა...“

S-1464 (1760წ.), 836r-839v.

შენიშვნა: კანონს წინ უძღვის: დიდება, ვმა ბ(2), დიდება, აწდა ღმრთისმშობლისა, ტროპარი, ვმა დ(4), უფალო ღაღადყავსა ზედა დასდებელი, მუკლი მ(8), ვმა ბ(2), კა გვრგვნოს., დიდება, ვმა ე(6), სტიქარონსა ზედა დასდებელი, ვმა ე(5), გიხაროდენი, დიდება, ვმა გ(3), შემდგომად ა(1) ფსალმუნებისა წარდგომა, ვმა გ(3), ქალწული დღეს, შემდგომად გ ფსალმუნებისა წარდგომა, ვმა ე(5). თანა დაუსაბამოსა, შემდგომად სადიდებელსა წარდგომა, ვმა დ(4). განეცხადე დღეს. სხუჲ კანონი წმიდისა, მუკლი მ(8), რომლისა კიდურწერილობაა: გულსავე ვიქმენ დავით, ვითარმედ ყოვლად სრულ ხარ, ვმა ბ(2). გალობა ა(1), რომელსა უგალობთ: უფალო, დიდებულ ხარ, გალობა გ(3). ძლისპირი: აღყუა. წარდგომა, ვმა ა(1), ანგელოზთა მწყობრნი. გალობა დ(4). ძლ. მთისაგან უკელოდ ღრენი გამოეკუშთე, ქრისტე...“ გალობა ე(5) ძლ. დამკსნელი ბნელისა მის...: გალობა ე(6), ძლ. ღმრთისა მიმართ, კონდაკი, ვმა მ(8). ზესთა ბრძოლისა, იკოსი, გალობა მ(8), ძლ. საკუმილი იგი. გალობა თ(9). ძლ. რომელმან ჰშეე მთიები – განმანათლებელი, რომელმან ცისა სამყარო.. აქებდითსა ზედა დასდებელი, მუკლი ე(6), ვმა დ(4). დიდება, ვმა იგივე. აწდა, ვმა იგივე.

43. დავით გარეჯელის ჰიმნოგრაფიული კანონი

„სხუანი გალობანი. დაძინებისა შენისა დიდსა დღესასწაულსა სულხან-საბა ორბელიანი (+1725წ.)

„უფალო ღაღატყავსა ვმაჲ დ (4), ზღვა უვალი. ბნელი უმეცრებისა მომპარცუე მოსურნესა შენსა, შენ, რომელისასა მაგას სახელს თარგმანებად“

A-160 (1699წ.), გვ. 493-501

შენიშვნა: გამოც. მ. ქავთარიასი, ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან XVII-XVIII სს. თბილისი, 1977, გვ. 137-142. აკროსტიქში იკითხება: „ბერსა საბაის ეხედავ და მან მყო ხე ქადაგ ძალთა შენთა“. მ. ქავთარია, „საბაის“ სახელში სულხან-საბა ორბელიანს ხედავს.

44. დავით და კონსტანტინეს ჰიმნოგრაფიული კანონი

თთუესა ოკტომბერსა ბ(2) აკოლოთია წმიდათა დიდთა მოწამეთა, არგუშთისა მთავართა დავით და კონსტანტინესი. მცირეს მწუხრად უფალო ღაღადყავსა ზედა დასდებელი, მუკლი დ(4), ვმა ე(5), გიხაროდენი.

ანტონ I კათალიკოსი (+1788წ.)

„გიხაროდენ, შეერთებულო განუყრელო რიცხვთა განყოფილებათა მკედართა ახოვანთათ...“

S-1464 (1760წ.), 117v-119v; A221 (1787წ.), 123v-197v.

შენიშვნა: კანონს წინ უძღვის 4 და მოსდევს 1 დასდებელი. კანონი აკროსტიქულია: „გალობასა ახალსა მოვართუამ მოწამეთა“.

45. დიდი ხუთშაბათის საგალობელი

წმიდასა დიდსა ხუთშაბათსა. მოიხილესა ჳმად ბ(2) გუერდი
იოანე მინჩხი (X ს.)

„ცხოვრებისა თავსა, მნათობსა საუკუნეთასა...“

გეორგ.5 (XI), 202r; Sin.5 (1072წ.); Sin.70 (XII-XIII); Sin.75 (XI)

შენიშვნა: გამოცემა: ლ. ხაჩიძისა, იოანე მინჩხის პოეზია, თბილისი,
1987, გვ. 277.

46. დიდი პარასკევის საგალობელი

დიდსა პარასკეუსა, მოიხილესა ჳმად ბ(2)გუერდი...
იოანე მინჩხი (X ს.)

„ეტყოდა უფალი ათერთმეტთა მათ...“

გეორგ. 5 (XI), 204v-209v; Sin. 5 (1072წ.); Sin.70 (XII-XIII); Sin. 75 (XI)

შენიშვნა: გამოც. ლ. ხაჩიძისა, იოანე მინჩხის პოეზია, თბილისი,
1987, გვ. 277-284.

47. დოდო გარეჯელის ჰიმნოგრაფიული კანონი

აღესებითგან მეშდესა ოთხშაბათსა ჳსენებამ წმიდისა მამისა ჩუენ-
ნისა დოდოსი, რომელი იყოფებოდა მთასა გარესჯისასა, რომელსა
ეწოდების დოდორქა, ქეუყანისა ქართლისასა

ნიკოლოზ რუსთველი (ჩერქეზიშიელი; XVIII ს.)

„უფალო ღაღატყავსა [ჳმად] ა (1) გ (3) გუერდი. ყოველი სასობა
განისმა რა კიდეთა სოფლისათა საქმენი დავით საკვირველისა...“

A-152 (1742წ.), 391r-394r; A-220 (1726წ.), 541r-546v; A-356, (XVII-
I ს.), 365r-368v

შენიშვნა: გამოც. მ. ქავთარიასი, ძველი ქართული პოეზიის ისტორი-
იიდან XVII-XVIII სს. თბილისი, 1977, გვ. 292-306

48. ეესტათი მცხეთელის ჰიმნოგრაფიული კანონი

ღლესა (თთუესა იელისსა ჳთ(29) მოწამისა ეესტათი მწუხრად უფა-
ლო ღაღადყავსა ჴედა დასდებელი, მუკლი ჳ(6), ჳმა ე(5). ღირსო მამაო
ანტონ I კათალიკოსი (+1788წ.)

„კეთილმდგომარედ მტკიცედ უბრწყინვალეს ანდამატისა შორის
უფსკრულთა ორთა ხედესა და ამასევე საქმისათა იქმენ...“

S-1464 (1760წ.), 739r-741r; A221 (1787წ.), 257r-259v.

შენიშვნა: კანონს წინ უძღვის სამი დასდებელი, ხოლო ახლავს
კანონის მესამე გალობას (წარდგომა, ჳმა მ(8). სიბრძნე), მეექვსე გა-
ლობას (კონდაკი, ჳმა ბ(2). მტკიცენი, იკოსი). კანონის აკროსტიქი
იკითხება: „კეთილდგომისა მოსახელესა ვაქებ ეესტათის“.

49. ეპისტოლე აბუსერ აბუსერის ძის მიმართ

მონა მონათა ღმრთისათა მდაბალი არსენი ამარტოლი
არსენი ამარტოლი (XIII ს.)

„დიდ არს გონიერებად ნაშობითურთ თვისით სიბრძნით, რომელი მარადის ღმრთისთა განიხილავს მის თვისთა“

A-85 (XII-XIII), 293v-294v

შენიშვნა: გამოც. :1. თ. ჟორდანიასი, ქრონიკები, II, 1901, გვ. 108-110;2. მ. ქავთარიასი (გამომც კოლექტივთან ერთად), აბუსერიძე ტბელის თხზულებათა კრებული, ბათუმი, 1998.. ეპისტოლე პასუხია აბუსერის ეპისტოლეზე და ეხება მარტყოფის ხატის საგალობლის შექმნას.

50. ეფთვიმე დიდის საგალობელი

თთუესა იანვარსა კ (20/I) დასდებელნი ეფთვიმი მოღუაწისანიე. უგალობდითსა,ჳმაჲ დ(4)

იოანე მინჩხი (Xს.)

„ქრისტესა სინჩოთგან შენით მიგიძღუანეს მშობელთა შენტა მსხუერჳლად...“

S-425 (978-988წწ.), 111v-113v; Jer. 42 (X), 251r-254r

შენიშვნა: გამოც. 1. პ. ინგოროყვასი, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, 1, თბილისი, 1913, გვ. ლა-ლმ (31-38). ამ გამოცემაში დასაწყ-“მამო ეფთიმი, მამისა შენისა მოივლინა ანგელოზი. .“; 2. ვ. გეახარიასი, მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები, II, თბილისი, 1978, გვ. 222-225; 3. ლ. ხაჩიძისა, იოანე მინჩხის პოეზია, თბილისი, 1987, გვ. 312-319,

51. ეფთვიმე მთაწმიდელის ჰიმნოგრაფიული კანონი

წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა ჩუენისა ეფთვიმე მთაწმიდელისა, ახლისა ოქროპირისა, რომელმან განანათლნა ქართველნი თარგმანებითა წიგნთა კეთილთაჲთა. უგალობდითსა, დ გვერდი. ძღ. ქუეყანასა მწყ

გიორგი მთაწმიდელი (XIს.)

„ ძირთა მათგან ღმრთის-მსახურთა აღმოსცენდი შენ, ყუაეილი საღმრთოდ...“

H-1710 (XI), 63v-66r; Jer. 12(XII) 64v.

შენიშვნა: გიორგიმ თავისი ორიგინალური თხზულება შეიტანა მის მიერ ბერძნულიდან ნათარგმნ „თუნში“

52. ეფთვიმე მთაწმიდელის საგალობელი

სხუანი გალობანი მისეე [ეფთვიმე] წმიდისანი ბასილი (XI)

„ღირს-მყვენ ჩუენ მეოხებითა შენითა...“

A-558 (1074წ.), გვ. 353-364

შენიშვნა: გამოც. მ. ჯანაშვილისა: „ათონის კრებული“, ტფილისი, 1901, გვ. 209-215

53. ეფთვიმე მთაწმიდელის საგალობელი

გალობანი წმიდისა მამისა ეფთვიმისნი

ბასილი ბაგრატის ძე (X-Xსს.)

“უგალობდითსა დ გვერდი; ეტლთა მფლობელი. საუკუნეთა შემოქმედ. მან და ძლიერებით მპყრობელმან...”

H-1710 (XI), 66r-70v

შენიშვნა: გამოც. ელ. მეტრეველისა, ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიისათვის, პედაგოგიური ინსტიტუტეს შრომები ტ. IX, გვ. 193-199.

54. ეფთვიმე მთაწმიდლის საგალობელი
სტიქარონნი წმიდისა მამისა ეფთუმესნი“
ზოსიმე ათონელი (XI ს.)

„ეითარცა სამოთხე საესე სურნელებითა...“

A-558 (1074წ.), 165v-171r

შენიშვნა: მეორე ნაწილი (“დასდებელნი“) გამოქვეყნებულია მ. ჯანაშვილის, “ათონის კრებული“, ტფილისი, 1901, გვ. 190-197.

55. ეფთვიმე მთაწმიდელის ჰიმნოგრაფიული კანონი

თთუესა მათისა ოგ(13), მიცუალეუბა ღირსისა მამისა ჩუენისა ეფთიმი ათონელისა, მთარგმნელისა. სტიქარონსა ზედა დასდებელი, ჳმა ჳ(6), სამისა დღისა

ანტონ I კათალიკოსი (+1788წ.)

„ნეტარსა ცხოვრებასა მკუდრ იქმენ, მამაო, რამეთუ აქასაგან ღუაწლთმოყუარებისა მიიცუალე განსუენებად...“

S-1464 (1760წ.), 607v-611v; A386 (XVIII), 95r-100v.

შენიშვნა: კანონს წინ უძღვის ხუთი დასდებელი, ხოლო ერთ-ვის ერთი („აქებდითსა ზედა დასდებელი, ჳმა დ(4) „იამბიკონი“). აკროსტიქი: სიხარულისა მოსახელესა ეაქებ ეფთიმის“.

56. ეფთვიმე პალესტინელის საგალობელი
დასდებელნი წმიდისა ეფთუმი მოღუაწისანა
ეზრა ანჩელი (X ს.)

„ჳა შუენიერსა დღესა, დღესასწაულსა შენსა, ნეტარო მამაო ეფთუმი...“

S-425 (978-988წწ.), 223-226

შენიშვნა: გამოც.: 1. პ. ინგოროყვასი, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, ტფილისი, 1913, გვ. რნშ –რფე (158-163); 2. ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946, გვ. 344-346. აკროსტიქი: ეზრა, ქრისტე ადიდე საურმაგ და ძე მისი მირეან, ამენ.

57. ეფთვიმე პალესტინელის საგალობელი

თთუესა იანვარსა კ(20) ... დასდებელნი წმიდისა ეფთუმისნი. ჳმაჲ ა(1) გუერდი. ძლ. გხნთა ზედა.

იოანე მტბევეარი (X ს.)

“იხარებდ უდაბნო, რომელი არა შობდ პირველ და მხიარულ იყავ სულითა...“

S-425 (978-988წწ.), 222-228

შენიშვნა: გამოც. პ. ინგოროყვასი, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, ტფილისი, 1913, გვ. რიე-რკ (115-120). ეტორის ვინაობა მიწერილია 228-ე გვ-ის აშიაზე (იოვანე მტბევეარი—თითქმის გადასულია).

58. ვარძიის ღვთისმშობლის საგალობელი (იამბიკო)

გალობანი ვარძიისა ღვთისმშობლისანი

იოანე შავთელი (XII-XIIIსს.)

უგალობდითსა ჳმად ა(1) „ზეცით მოჳმადლე ენასა ბრგუდ- მეტყუელ-სა სიტყუად სიბრძნისად, დედოფალო...“

A-518 (1780წ.) 534r-539r; S-379 (XIX), გვ. 155-162; ქუთ.22 (XIII), 209v-212v

შენიშვნა: თხზულება აკროსტიქიანია (მასში ავტორი სულიერი ტყვეობისაგან დახსნას ითხოვს...). გამოც.: 1. ს. ყუბანეიშვილისა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946, გვ.384-386. 2.სულავეასი, XII-XIIIსს. ქართული ჰიმნოგრაფია, თბილისი, 2003, გვ. 301-305.

59. ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილის შესხმა (იამბიკო)

მეფის ძის ვახტანგის შესხმა

გაიოზ რექტორი (1745- 1821წწ.)

„ ვინადღვან უკუე სიბრძნისა არარა არს უსაწადელეს ხედვსა სამყაროსა..“

S-105, 1825წ., 42r-45r

შენიშვნა : „შესხმას“ წინ უძღვის „, მისს უგანათლებულესობას, საქართუელოს მეფის ირაკლი მეორის ძეს ვახტანგს, რომელსა სხუმბრცა სახელ=ედუა ალმასხან, შესხმით უგალობ...ირიოიკოთა ამათ ორ ათეულ, ერთსა, ქალაქსა თელავს...“

60. თამარ მეფის იამბიკოები

„ ცასა ცათასა “

თამარ მეფე (დაახლ.1160-1213წწ.)

„ ცასა ცათასა დამწყებს ღმერთ-მთავრობისა... “

A-131(XVIII) და „ქართლის ცხოვრ. ყველა ხელნაწერში აგრ. A-1448(1801-1862წწ.), H-1283(XVIII), 299v-300r

შენიშვნა : გამოც. ნ.სულავეასი, XII-XIIIსს. ქართული ჰიმნოგრაფია, თბილისი, 2003, გვ.295.

61. თამარ მეფის იამბიკო

„ ქალწულებრივთა “

თამარ მეფე (დაახ.1160-1213წწ.)

„ქალწულებრივთა სისხლითა შენთაგან, სძალო... “

H-1283(XVIII),299v-300r;ქუთ.564 (1481წ.),300v-302r.

შენიშვნა : თამარის ავტორობა სავარაუდოა.გამოც. ნ. სულავეასი, XII-XIIIსს. ქართული ჰიმნოგრაფია, თბილისი, 2003, გვ. 295.

62. თამარ მეფის ქება

თამარ მეფეზედ თქმული კათალიკოს-პატრიარქისა, მეფისა ძისა ანტონისა, დაეთიან-ბაგრატიონისა

ანტონ I კათალიკოსი (+1788წ.)

„ამისსა ბროლსა ნათელსა აყიყი შუა რეოდა...“

A-1448 (1801-1862 წწ.), 17r

შენიშვნა : ხელნაწერი- ტარასი არქიმანდრიტის შედგენილი კრებულია.

63. თეოდოსი დიდის საგალობელი

„თოუესა იანვარსა ი-თ(19), ვსენებად ღმრთიუ- გურგუნოსანისა მეფისა თეოდოსი მორწმუნისა სასწაულთამოქმედისა. ჳმად ა-(1) გვერდი. ძლ. “სუყვეს ღმერთი წარმართთა.. “

იოანე მინჩხი (Xს.)

„სიბრძნით განმგებელი იესუ, სიტყუაო დაუბადებელი... „

S-425 (978-988წწ.), 110r-111r; Sin.5(XI), 110r-111v.

შენიშვნა: გამოც. I.3. ინგოროყვასი, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, I, თბილისი, 1913, გვ. კა-ლა (21-31); 2. გვახარიათი, მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები, თბილისი, 1978, გვ. 219-222; 3. ლ. ხაჩიძისა, იოანე მინჩხის პოეზია, თბილისი, 1987, გვ. 303-312; 4. ს. ყუბანეიშვილისა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946 გვ.330-333.

64. იამბიკო-წინასიტყვაობა კირილე ალექსანდრიელის „საუნჯის“ სომხურიდან თარგმანზე

შეყვანილება ანუ წინასიტყვაობა წიგნისა საუნჯისა ქმნილი ანტონის მიერ არხიუპისკოპოსისა ყოვლისა ზემოსა საქართველოსა

ანტონ I კათალიკოსი (XVIIIს,

“ყმა -ცოფიერის აპებს სამოსელს ძესა, შარავანდელსა უზადოს მიჰქდის მესესა...“

A-3(1820წ.), გვ. 1-16; H-203 (1812წ.), 1r-4r; H-466 (XVIII), 1r-7r; H-2174 (1795წ.), 1r-9v; S-157 (1811წ.), გვ. 1-12; S-363 (XVIII), გვ. 1-5; S-1182 (XIX), გვ. 1-12

შენიშვნა: შეტანილია დოგმატიკაშიც.

65. იამბიკო (აკროსტიქით)

კიბე განსთაღე გელათს ნაგები

პეტრე გელათელი (XIIIს.)

„დასთა დასცავ იყვან ზენა იღუწი რაბამ...“

A-711 (1785წ.), 105v

შენიშვნა: გამოც. I. ს. ყუბანეიშვილისა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 394; 2. ს. სულავასი, XII-XIIIსს. ქართული ჰიმნოგრაფია, თბილისი, 2003, გვ.342. რთული აღნაგობის აკროსტიქი ასე იკითხება: “კიბედ ვინაჲ ცად მიაველენ, წარმიმართე“

66. იამბიკო

პეტრე წერად ვეცად...

პეტრე გელათელი (XIII ს.)

„აჰა, შენთაცა, დიდო, იქართლეს კუალად, კიბე ხარისხთა, ცად მყვანთა, იოანნი...“

A-39 (XIII), 219v

შენიშვნა: გამოც. 1. ს. ყუბანეიშვილისა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946, გვ. 394; 2. ს. სულავეასი, XII-XIII სს. ქართული პიმნოგრაფია, თბილისი, 2003, გვ. 342.

67. იამბიკო (აკროსტიქით) ორ თავად

ეფრემ მცირე (XI ს.)

„მ ადამის ზესთ ქმნილო, დამცუელ ხატის, ფროთე ოქროვან სასოებოთ ენოსისებრ...“

A-292 (1800წ.), 406r-

შენიშვნა: გამოც. ს. ყუბანეიშვილისა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946, გვ. 363-364. აკროსტიქი: ფრიად მოძღურებისა უფსკრულთგან სრულითა მით საზომითავე სრულ ქმნილითა შემწე იქმენ დღესა განშჯისასა, რომლისათვის გხადი უნდოდ მცირე ეფრემ.

68. იამბიკო დართული თეოდორე აბუკურას შრომის “მეტყველთა მიმართ, ვითარმედ სული კაცთანი პირველვე იყვნეს ჳორცთასა” ქართულ თარგმანზე

იამბიკო, აკროსტიქი “ნიკიტა, არსენი“

არსენ იყალთოელი (XI-XII ს.)

“ნათელთა წყაროდ პირველთა ნავლად მიმართ იმსთობთ, მერმე მეორეთა ძღუანვითა...“

S-1463 (XII-XIII)

შენიშვნა: გამოც. 1. კ. კეკელიძისა, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. I, თბილისი, 1980; 2. ს. ყუბანეიშვილისა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946, გვ. 377.

69. იამბიკო “სამოციქულოს” შესახებ

და არსენი მეტყველებს ამათ იყალთოელი (იყალთელი)

არსენ იყალთოელი (XI-XII სს.)

„წმიდა -მყოფელი მითუალე საუნჯე, იყნოსე მისთა მიპრონთა სულნელებად“

A-137 (XVII ს.), 17v-18r

შენიშვნა: არსენის იამბიკო აკროსტიქით: „წიგნი სამოციქულოი“. იგი აგრძელებს ეფრემ მცირის ჯერ ნათარგმან, ხოლო შემდეგ ორიგინალურ იამბიკოებს ამავე თემაზე. გამოც. 1. ილ. აბულაძისა, საქმე მოციქულთა, თბილისი, 1960. 2. ს. ყუბანეიშვილისა, ძველი ქართული

ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946, გვ. 376-377; 3. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ-ის ისტორია, I, თბილისი, 1980, გვ. 276.

70. იამბიკო

იამბიკო

მიქაელ მოდრეკილი (X ს.)

“უბიწოთა მით ვნებითა, ქრისტე-ღმერთო განკურნენ, მჯსნელო, ვნებანი სოფლისანი...”

S-425 (978-988წწ.)

შენიშვნა: გამოც. ს. ყუბაენიშვილისა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946, გვ. 337-338.

71. იამბიკო დართული სამოციქულოს ქართულ თარგმანზე

იამბიკო

გიორგი მთაწმიდელი (XI ს.)

„დიდებულო ქრისტეს მოციქულთა თაევ ახალსა ამას ერსა საღ-მრთოჲსა...“

A-584 (XVIII ს.), 228v

შენიშვნა: გამოც. ილ. აბულაძისა, საქმე მოციქულთა, თბილისი, 1960, გვ. 024-02. აკროსტიქი: „დაესრულა პაულე, ქრისტე შეიწყალე ცოდვალი გიორგი“.

72. იამბიკო

იამბიკო

იოანე ჭიმჭიმელი (XII-XIII სს.)

“მეფე, მთავარი, სიონი და წყარონი...”

S-30 (1633-1646წწ.) S-379 (XIX), გვ. 192-193

შენიშვნა: მოთავსებულია მარიაამისეულ “ქართლის ცხოვრებაში” (S-30), ხოლო S-379-ში მიეწერება იოანე პეტრიწს (არაა გამორიცხული, რომ ჭიმჭიმელი და პეტრიწი ერთი პირი იყოს)

73. იამბიკო, დართული „სამოციქულეზე“

მე მიქაელ მღვდელმან...

მიქაელ მღვდელი (X ს.)

“მე მიქაელ მღვდელმან, ზეკეპე ბერმან ქუაბისა შეიღმან ბერთა აღზრდილმან...”

Ath. 42 (956-970 სს.), 236r

შენიშვნა: ხელნაწერი გადაწერილი ჩანს ოღმპოს მთაზე და შემდეგ გადატანილი ათონზე.

74. ილარიონ ქართველის საგალობელი

გალობანი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონისნი“

ზოსიმე ათონელი (XI ს.)

„ღმრთისა მამისა, ნათელო...“

A-558 (1074წ.), გვ. 313-323

შენიშვნა: გამოც. : 1. მ. ჯანაშვილისა, „ათონის კრებული“, ტყვილისი, 1901, გვ. 177-180; 2. ს. ყუბანეიშვილისა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946, გვ. 360-368. აკროსტიქი : „ღმერთშემოსილი ილარიონ იქებოდე დღეს ჯერისაებრ“

75. ილარიონ ქართველის ჰიმნოგრაფიული კანონი
წმიდისა და ღმრთიე-შემოსსილისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისაჲ
ანონიმი

უგალობდითსა და ზღუა უფალო, -“მოწყალებით მომხედენ მამულად, სანატრელო, და მომეც მადლი შენ...”

Jer. 124 (X ს.), 291 v

შენიშვნა: კანონს უძღვის 2 “უფალო დადატყავსა”.

76. ილარიონ ქართველის ჰიმნოგრაფიული კანონი
თოუესა ნოემბერსა ნთ(19) ღირსისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისა, საკურველთმოქმედისა კანონი, რომლისა კიდურწერილობაა: ილარიონ მნათობსა დღისასა უგალობ, ვმა 3(1).

ანტონ I კათალიკოსი (+1788წ.)

„იგალობების ღირსად დღეს ცხენება შენი, მამაო სანატრელო...“

S-1464 (1760წ.), 208r-211r; A221 (1787წ.), 233r-239v.

შენიშვნა: კანონს მხოლოდ ერთი დასდებული ერთვის (აქებდითსა ზედა დასდებული...). კანონის გალობები, როგორც სხვა შემთხვევებშიც, დანომრილია არაბული ციფრებით და არა გალობის სახელწოდებით („გალობა ა(1), „ძლისპირი“ და არა „უგალობდითსა“.

77. იოანე და გაბრიელ მთაწმიდელების ჰიმნოგრაფიული კანონი
თოუესა იულისსა ნბ(12), ღირსთა მამათა ათონისათა იოანესი, მამისა ეუთიმისი და გაბრიელისა. დიდება ვმა 3(6).

ანტონ I კათალიკოსი (+1788წ.)

„ხატად განწმედილისა მგლოვარებისა გამოსწნდით, სანატრელნო მამანო...“

S-1464 (1760წ.), 701v-706r; A221 (1787წ.), 212r-217r.

შენიშვნა: კანონს წინ უძღვის ორი დასდებული, ჩართულია: მეექვსე გალობის შემდეგ, კონდაკი, ვმა გ(3) და იკოსი, ხოლო მეცხრე გალობის შემდეგ – აქებდითსა ზედა დასდებული, მუჭლი დ(4), ვმა დ(4).

78. იოანე ზედაზნელისა და მისი 12 მოწაფის ჰიმნოგრაფიული კანონი

თოუესა მაისსა 7(7), ღირსისა მამისა ჩუენისა იოანე ზედაზნელისა და ათორმეტთა მოწაფეთა მისთა. უფალო დადადყავსა ზედა დასდებული, ვმა 8(8).

ანტონ I კათალიკოსი (+1788წ.)

„გიხაროდენ, მამათა თუალო და მონაზონთა მსუო მრავალმნათობო...“
S-1464 (1760წ.), 592r-595v

შენიშვნა: კანონს წინ უძღვის ორი, ხოლო მოსდევს ერთი („აქებ-
დითსა“...) დასდებელი. აკროსტიქი: ანბანი.

79. იოანე მთაწმიდელის საგალობელი

„თუესა იენისსა იდ (14/VI) წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ქარ-
თველისა, რომელმან აღაშნეა მთაწმიდას დიდი ლავრა ქართველოა“
ეზრა მთაწმიდელი (XI ს.)

„ჴმაჲ დ (4), მნეონი: ახალი შუენიერება ეკლესიისა ქრისტესსა...“
A-558 (1074წ.), გვ. 325-340

შენიშვნა: გამოც.: 1. მ. ჯანაშვილისა, ათონის კრებული, ტფილისი,
1091, გვ. 187-190; 2. ს. ყუბანეიშვილისა, ძველი ქართული ლიტერატუ-
რის კრესტომათია, 1, თბილისი, 1946, გვ. 355-357

80. იოანეთა (ნათლისმცემლის, მახარებლისა და ოქროპირის) საგა- ლობელი

გალობანი წმიდისა იოვანე ნათლისმცემლისანი, წმიდისა იოვანე
მახარებლისა და წმიდისა იოვანე ოქროპირისანი, ერთბამად შემოკრე-
ბულნი ერთმოსეხნიაობისათუს და მადლობისათუს, დაღაცათუ წინა-
ბუბულაშვილი ელდარი, ქართული საეკლესიო საგალობლები ეგზარხოზობის პერიოდში. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნ. კონფერ. მოხსენებები, თბილისი, 2001, 161II, გვ. 173-202.

გამსახურდია ზვიადი „ქება და დიდება ქართულისა ენისაჲ“, წიგნში: წერილები, ესეები, თბილისი, 1991, გვ. 39.

Garitte C., Un index Georgian des lectures Evangeliques Selon l'ancien zite de Iérousaem, Le Muséon Revue détudes Orientales, Louvain, 1972, p. 337-398.

გაწერელია აკაკი, ქართული კლასიკური ლექსი, თბილისი, 1981.

გოერცი ლილი, ქართველი ჰიმნოგრაფები გერმანულ ენაზე („გალობანი გიორგისანი“ და მეფე-პოეტ დემეტრე (XII ს)-ის საგალობელი „ღმრთისმშობლისა“-ის თარგმანები“, „საზრისი“, 2003, №9, გვ. 15-19.)

გორგაძე ვასილი, სასულიერო პოეტები: იოვანე საბანისძე, ივანე მინჩხი და ფილიპე (ფრაგმენტი). „მომავალი“, თსუ სტუდენტთა ჯგუფის ყოველთვიური სამეცნ., სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი, 1920, №1, გვ. 17-22.

გრიგოლაშვილი ლაურა, კ. კეკელიძე და ქართული ჰიმნოგრაფია. კრ. კ. კეკელიძე, 125, თბილისი, 2004, გვ. 32-52.

გრიგოლაშვილი ლაურა, დროის და სივრცის პოეტიკისათვის ქართულ ჰიმნოგრაფიაში, ივირონი – 1000, თბილისი, 1983.

გრიგოლაშვილი ლაურა, ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან (დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ (საკანდიდატო დისერტაცია), თბილისი, 1972.

გრიგოლაშვილი ლაურა, დავით აღმაშენებელი, გალობანი სინანულისანი, თბილისი, 2005.

გუმბერძე მეგი, ფილიპე ბეთლემელის საგალობლები, ქართველოლოგიური კვლევები... (ახალგაზრდა მკვლევარო... სამეცნ. კონფერენცია 26-27 IV, 2012წ. თბილისი, თეზისები, გვ. 28-30.

გურამიშვილი დავითი, ძის ვედრება დაუთოსაგან (იესოსადმი მიძღვნილი იამბიკო), ყუშქე, თბილისი, 2005, იანვარი-თებერვალი, №1, გვ. 25.

დავით აღმაშენებელი, გალობანი სინანულისანი, გამოსცა ლ. გრიგოლაშვილმა, თსუ შრომები, 163, ლიტ.მცოდნეობა, თბილისი, 1975, გვ. 184.

ღვედარიანი როზა, ჰიმნოგრაფია. ქრისტიანული მწერლობის საკითხები (მიმოს ცხოვრება), თბილისი, 2002, გვ. 11-17.

ღულაშვილი ეკა, სირიელ წმინდანთა ხსენებები და საგალობლები Xს. ქართული ჰიმნოგრაფიულ ხელნაწერებში. მშვენიერების ძიებაში (რ. სირაძე – 75 (საიუბილეო კრებული), თბილისი, 2012, გვ. 61-66.

თავბერიძე ილია, „შენ – ქალწულებისა გვირგვინო!“ (ღვთისმშობლის სახის მკველად მოხსენიება ქართულ საგალობლებში), „წყარო“, ლიხაური, 1993, №23, გვ. 31-36.

იმედაშვილი გაიოზ, ქართული კლასიკური საგალობლის პოეტიკის საკითხები, კრებული: „ლიტერატურული ძიებანი“, XII, თბილისი, 1959, გვ. 177-193.

ინგოროყვა პავლე, Xს. ჰიმნოგრაფის იოანე მინჩხის ავხაზეთში მოღვაწეობა, ცხოვრება და გარდაცვალება, ჯვარი ვაზისა, 1995, №1, გვ. 100 (წიგნიდან – „გიორგი მერსულე“).

ინგოროყვა პავლე, გიორგი მერსულე, თბილისი, 1954, გვ. 640-681).

ინგოროყვა პავლე, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, II, თბილისი, 1913.

ინგოროყვა პავლე, თამარ მეფის იამბიკონნი, „მნათობი“, 1941, №2, გვ. 115-153.

იოანე მინჩხის პოეზია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ლელა ხაჩიძემ, თბილისი, 1987.

იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, გამოსაც. მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბ., 1968.

კაკაბაძე მ, დავით აღმაშენებელისა და დემეტრე მეფის ლირიკა, „მნათობი“, 1962, №4 გვ. 136-143

კარბელაშვილი პოლიევქტი, ქართული საგალობლები (წიგნიდან „ქართული საერო და სასულიერო კილოები). რელიგია, 1993, №8-9, გვ. 92-95.

კეკელიძე კორნელი, ანტონ კათალიკოსის სალიტურგიკო მოღვაწეობიდან, ეტიუდები, ტ. IV, თბილისი, 1957, გვ. 175-186.

კეკელიძე კორნელი, XVIIIს. ქართ. ლიტერატურის ისტორიიდან, ეტიუდები, ტ. IV, თბილისი, 1957, გვ. 134-158.

კეკელიძე კორნელი, ქართული ლიტერატურის ისტორია (ჰიმნოგრაფია), I, თბილისი, 1980, გვ. 187-617.

კეკელიძე კორნელი, ახალი შრომა ძე. ქართული პოეზიის შესახებ, ლიტ. ძიებანი, ტ. IX, თბ., 1958, გვ. 447-461; აგრეთვე, ეტიუდები, VI, თბ., 1960, გვ. 103-119.

კეკელიძე კორნელი, Иерусалимский канонарь VII века (груз. версия), 1912.

კეკელიძე კორნელი, Литургические груз. памятники в отечественных книгохранилищах... Тбилиси, 1908.

კვირიკაშვილი ლიანა, პიმნოგრაფიული კანონის კომპოზიცია, თბილისი, 1982.

კვირიკაშვილი ლიანა, პიმნოგრაფიული კანონის რიტმული სტრუქტურისათვის (ბიზანტიური და ძველქართული პიმნოგრაფიული კანონების რიტმული მსგავსების შესახებ), თსუ შრომები, თბილისი, 1978, ტ. 183, გვ. 155-162.

კვირიკაშვილი ლიანა, იოანე მინჩისი ერთი საგალობელი, საბჭოთა ხელოვნება, 1969, №6, გვ. 26-29, საქ. მეცნ. აკად. მაცნე (ელს), 1987, №1, გვ. 174.

კენჭოშვილი ნიკოლოზი, სიტყვა „გალობა“ – ინდური წარმომადგენლისა? (პოლიექტი კარბელაშვილის აზრი სიტყვის სანსკრიტულთან კავშირზე), „კრიტიკური“, თბილისი, 2004, №11-12, გვ. 141-143.

კიკნაძე გულნაზი, ქართული ირმოლოგიონის ერთი უცნობი ფრაგმენტის შესახებ. საქ. მეც. აკად. მაცნე (ელს), თბილისი, 1990, №2, გვ. 61-65.

კიკნაძე ზურაბი. „ახლის“ გაგებისათვის „ქებაში“, კრიტიკა, 1985, I, გვ. 144-145.

კოპაძე ქეთევანი – ქართული პიმნოგრაფიის პრობლემები გაზეთ „დროების“ ფურცლებზე (ქართ. გალობის გადარჩენისათვის ბრძოლა). კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, თბილისი, 2000, №9, გვ. 133-138.

კოჭლამაზაშვილი ექვთიმე, ვინაა ავტორი წმინდა ნინოს „დაუჯდომელისა“? ლიტერატურული ძიებანი, 2000, XXI, გვ. 154-166.

კოჭლამაზაშვილი ექვთიმე, გიორგი მთაწმიდელის „თევის“ გამოცემისათვის. „წახნაგი“, თბილისი, 2009, 31, გვ. 248-355.

კოჭლამაზაშვილი თამაზი, უძველესი პიმნოგრაფიული განგება, შიო მრეიველის მოსახსენებლად, თბილისი, 2009, გვ. 316-323.

ლელონიძე გიორგი, გამოკვლევები და წერილები, 1958.

ლოლაშვილი ივანე, ს.ს. ორბელიანის ლიტ-ლი მოღვაწეობიდან, 1959.

მარი ნიკო, Мысли о религиозном пении Древнего Востока (предисловие и публикация С.Л. Гинзбурга). Литературная Грузия, 1970, №6, стр. 84-85.

მენაბდე ლევანი – ქართ. კულტურულ-საგანმანათლებლო კერების ისტორიიდან, I, მოსკოვის ქართ. კოლონიის აღმოცენება, თსუ შრომები, ტ. 96. 1963, გვ. 214.

მენაბდე ლევანი, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ. I, თბილისი, 1962.

მეტრეველი ელენე, ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის (XI საუკ., ტექსტები და გამოკვლევები), თბილისის სახ. პედაგოგიური ინსტ. შრომები, თბილისი, 1952, ტ.9, გვ. 206-218.

მეტრეველი ელენე „ათონის კრებულის“ ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიული მასალა, წიგნში: ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, თბილისი, 1998, გვ. 49-57.

მეტრეველი ელენე, ნიკოლოზ ჯუმათელი, წიგნში: ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კრების ისტორიიდან, თბილისი, 1996, გვ. 254-316 (მისი საგალობელი მიძღვნილი გიორგი მთაწმიდელისადმი).

მეტრეველი ელენე, II გალობა უძველესი იადგარის კანონში, უძველესი იადგარი, გვ. 858.

მეტრეველი ელენე „მეხელისა“ და „მეხურის“ გაგებისათვის, კრებ. შოთა რუსთაველი, ისტ. ფილ. ძიებანი, თბ., 1960, გვ. 160-177.

მეტრეველი ელენე, ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის XI საუკუნეში, პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგ. ინსტიტუტის შრომები, IX, 1952, გვ. 183-218.

მეტრეველი ელენე – ჰიმნოგრაფიული ტერმინების „ფარაფთონისა“ და „მოსართავის“ გაგებისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XVIII, 1953, გვ. 144-146.

მეტრეველი ელენე, ძლისპირნი, გამოსცა ელენე მეტრეველმა, თბილისი, 1973.

მიქაძე გივი, არსენ ბულმაისიმის ძე, ლიტერატურული ძიებანი, XV, 1963, გვ. 115-140.

მირაშვილი ნანა, პარეარდის უნივერსიტეტში დაცული XI ს. ქართული „თთუნის თავედ გალობანისათვის“, საქ. მეცნ. აკად. მაცნე (ელს), თბილისი, 1989, №2, გვ. 97-102.

მიქაძე გივი, ქართული პოეტიკის ქრესტომათია (XVIII-XIX სს.), გ. მიქაძის რედაქციით და შენიშვნები, თბ., 1954.

ნაკუდაშვილი ნინო, ჰიმნოგრაფიული რეფორმა და ქართულ ხელნაწერებში არსებული ტერმინები: „მორთული“, „ფარაფთონი“ და „მოსართავი“. ჰიმნოგრაფიული ტექსტის სტრუქტურა, თბილისი, 1996, გვ. 59-76.

ნაკუდაშვილი ნინო, ჰიმნოგრაფიული ტექსტის სტრუქტურა, თბილისი, 1996 (იხ. აგრეთვე, Ю.М. Лотман, Анализ поэтического текста), Ленинград, 1972.

ნაკუდაშვილი ნინო, ჰიმნოგრაფიული ტროპარის ტექსტობრივი დაყოფისათვის (ბიზანტიურ და ქართულ საეკლესიო საგალობელთა ფონზე), საქ. მეცნ. აკად. მაცნე (ელს), თბილისი, 1989, №3, გვ. 59-67.

ნაკუდაშვილი ნინო, რიტმისა და მეტრის პრობლემა ქართულ საგალობლებში. სკოლა და ცხოვრება, 1992, №11, გვ. 62-75.

ნიკოლოზ გულაბერის ძე „დაუჯდომელი სუეტიცა ცხოველისანი“, გამოსცა კ. კეკელიძემ, 1917.

ნინიძე ქეთევანი, წმიდა ნინო. ჰიმნოგრაფიული ხატი (ლიტ. ინსტიტუტის მეგზური), თბ., 2009, გვ. 289-306.

ოსტიაშვილი მარიკა, ქართული გალობის ერთი პრობლემის შესახებ (რვა ხმიანი გალობა), საბჭოთა ხელოვნება, 1986, №3, გვ. 75-84.

რუსაძე ტრიფონ, ქართულ-რუსული ლიტერატურულ ურთიერთობის ისტორიიდან XVII-XVIIIსს., თბილისი...

სილაგაძე აპოლონი, „ანჟამბემანი“ იამბიკოში და საერო პოეზიის ფორმებში, ლექსმცოდნეობის პირველი რესპუბ. კონფერენცია, თეზისები, თბილისი, 1996.

სირაძე რევაზი, „ცასა ცათასა“ (თამარ მეფის იამბიკო), „ლიტერატურული საქართველო“, 1993, 14 მაისი.

სულავა ნესტანი, ტაო-კლარჯეთის ჰიმნოგრაფიული სკოლის ისტორიიდან (გრიგოლ ხანცთელის „საწელიწდო იადგარი“). კრ. კორნელი კეკელიძე, 125, თბილისი, 2004, გვ. 53-67.

სულავა ნესტანი, არსენ ბულმაისიძის ძის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა, წიგნში: XII-XIIIსს. ქართული ჰიმნოგრაფია, თბილისი, 2009, გვ. 167-278.

სულავა ნესტანი, ანტონ კათალიკოსი ქართველ ჰიმნოგრაფთა შესახებ („წყობილსიტყვაობა“). ქართული ჰიმნოგრაფია: ტრადიცია და პოეტიკა, თბილისი, 2006, გვ. 171-203.

სულავა ნესტანი, XII-XIIIსს. ქართული ჰიმნოგრაფია, თბ., 2003.

სულავა ნესტანი, რუსთაველი და ძველი ქართული სასულიერო პოეზია (საკანდ. დისერტაცია), თბილისი, 1977.

სულავა ნესტანი, ნათლის ტროპიკა ქართულ ჰიმნოგრაფიაში, ლიტერატურული ძიებანი, აღ. ბარამიძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, 1983, გვ. 209-219.

სულავა ნესტანი, ანტონ კათალიკოსი, ქართველ ჰიმნოგრაფთა შესახებ. „რელიგია“, 1996, №10-11-12, გვ. 98-99.

სულავა ნესტანი, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის თემა ქართულ ჰიმნოგრაფიაში (მოხს., ლიტ. ინსტ. სამეცნ. სესიაზე, 1995 წლის დეკემბერში).

სულავა ნესტანი, არსენ ბულმაისიძის ძის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობიდან. საქ. მეცნ. აკად. მაცნე (ელს), თბილისი, 1998, №1-4, გვ. 97-123.

სულავა ნესტანი, ზოსიმე მთაწმიდელი, საქ. მეცნ. აკად. მაცნე, თბილისი, 2001, №1-4, გვ. 125-138.

სულავა ნესტანი, ნიკოლოზ გულაბერის ძის საგალობლები, რელიგია, 2000, №5-6, გვ. 10-15.

სულავა ნესტანი, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის თემა ქართულ ჰიმნოგრაფიასა და საისტორიო მწერლობაში. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, თბილისი, 2013, ტ. VII, გვ. 129-139.

სულავა ნესტან „გალობანი ანჩისხატისანი“. ჟურნ. „ბალაეარი“, თბილისი, №1-6, გვ. 27-45.

სულავა ნესტანი, დემეტრე მეფის შიო მღვიმელისადმი მიძღვნილი იამბიკო, წიგნში: XII–XIII სს. ქართული ჰიმნოგრაფია, თბილისი, 2003, გვ. 140-

სუხიაშვილი მაგდა, ბიზანტიური და ქართული ჰიმნოგრაფიის ურთიერთმიმართების საკითხისათვის, ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, თბილისი, 2012, №5, 437-439.

სუხიაშვილი მაგდა, ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიული განვითარების ზოგიერთი საკითხის შესახებ. სასულიერო და საერო მუსიკის მრავალხმიანობის პრობლემები (სამეცნ. კონფერენციის მოხსენებები – თბილ. სახელ. კონსერვატორია), თბილისი, 2001, გვ. 119-129.

ტატიშვილი ქეთევანი, აკროსტიქი ანტონ I კათალიკოსის ჰიმნოგრაფიულ მემკვიდრეობაში. კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა, თბილისი, 2001, №4, გვ. 125-132.

ტატიშვილი ქეთევანი, გრიგოლ ხანცთელის საგალობელი. საერთაშორისო კონფერენციის „ტაო-კლარჯეთი“, მოხს. თეზისები, 2010, თბილისი, გვ. 104-105.

ტატიშვილი ქეთევანი, დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი საგალობლები. VI საერთ. ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, თბილისი, 2011, გვ. 79-81.

ტბელ აბუსერის ძე, გალობანი წმიდათა იოანეთა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა. ლექსიკონი და კომენტარები დაურთო რამაზ ხალვაშმა, ბათუმი, 1992.

ტონია ნანა, ანტიკურობის რეცეფცია, X–XIII სს. ქართულ ჰიმნოგრაფიაში. ბიზანტინოლოგია საქართველოში (საერთ. კონფ.), თბილისი, 2013 (24-30 IX), გვ. 136-137.

ფიფია რუსუდანი, მარიამ ღვთისმშობლის სახე იოანე მინჩხის პოეზიაში. თსუ სოხუმის ფილიალი, მოამბე, 2004, №2, გვ. 87-88 (სერ. 8).

ფიფია რუსუდანი, ჯვარცმა უფლისა იოანე მინჩხის პოეზიაში. ცისკარი, 2000, №2, გვ. 128-129.

ფიფია რუსუდანი – ვედრება უფლისადმი იოანე მინჩხის პოეზიაში. სკოლა და ცხოვრება, 2001, №1-6, გვ. 66-69.

ფიფია რუსუდანი „ზუერი ცოდვისა“ იოანე მინჩხის საგალობლებში. აფხაზეთის მოამბე, თბილისი, 2000, №4, გვ. 154-155.

ფიფია რუსუდანი, იოანე მინჩხი მარხვის შესახებ (ბერძნულიდან ქართულად მარხვის თემაზე მინჩხის მიერ ნათარგმნი (?) საგალობლები), ჟურნ. რელიგია, 2001, №4, 5, 6, გვ. 53-59.

ქავთარია მიხეილი, დავით გარეჯის სამონასტრო-ლიტერატურული სკოლა (ჰაგიოგრაფიულ-ჰიმნოგრაფიული კრებულების დამუშავება), კრ. ნათელი ქრისტესი საქართველო, I, თბილისი, 2003, გვ. 586-594.

ქავთარია მიხეილი, ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, საქ. სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის მონაგბე, ტ. 1, 1959, გვ. 86-93.

ქავთარია მიხეილი, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, თბილისი, 1965.

ქავთარია მიხეილი, მარიამ-შაქრინას (ბაგრატიონის) საგალობლების გამოქ. „ლაშარი“, თბილისი, 1991, №4, გვ. 207-208.

ქავთარია მიხეილი, XVII-XVIII სს. ქართული პოეზია, თბილისი, 1978.

ქავთარია მიხეილი იზოლდა, ძველი ქართველი მწიგნობარი ქალები, უკრ. ქართული ენა და ლიტერატურა, I, 1974, გვ. 47-50.

ქავთარია მიხეილი, ნათლის ესთეტიკის ზოგიერთი საკითხი ქართულ ჰიმნოგრაფიაში. საქ. მეცნ. აკად. მაცნე, თბილისი, 1997, №1, გვ. 68-72.

ლაღუა ია, ბიბლიური სახისმეტყველების ზოგიერთი საკითხი ქრისტეს შობისადმი მიძღვნილ ქართულ ორიგინალურ საგალობლებში. კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა, თბილისი, 2002-2003, №5-6, გვ. 31-39.

შავიშვილი ბედისა, ზოგი რამ ძველი ქართული საგალობლების შესახებ. საბჭოთა ხელოვნება, 1978, №3, გვ. 66-71.

შანიძე მზექალა, შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა, ტექსტი და შენიშვნები, თსუ, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 11, თბილისი, 1968.

შანიძე მზექალა, ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, გამოსცა მზექალა შანიძემ, თბ., 1960.

შულღიაშვილი დავითი – რვა ხმის სისტემის სტრუქტურული თავისებურებები ქართულ გალობაში. სასულიერო მუსიკა, თბილისი, 2007, გვ. 5-21.

შულღიაშვილი დავითი, ქართული საეკლესიო გალობის ბუნებისათვის. ხელოვნება, თბილისი, 1991, №10, გვ. 108-112.

შულღიაშვილი დავითი, ქართული გალობის ქრონიკა 1861-1921 წლების პერიოდში, მთავარი რედაქტორი და შემდგენელი დ. შულღიაშვილი, თბილისი, 2015 (629 გვ.).

ცაგარელი ალექსანდრე, Сведения грузинской писменности, вып. II, СПб, 1889.

ცაიშვილი სარგისი, ქართული პოეზია, I, ს. ცაიშვილის რედაქციით, თბილისი, 1979.

ცინცაბაძე მარინე, წმ. ქეთევან დედოფლის სახე ქართულ ჰიმნოგრაფიაში. ქართველთა დიდმოწამე წმინდა ქეთევან დედოფალი, თბილისი, 2010, გვ. 85-102 (რამდენიმე ავტორის საგალობლების მიმოხილვა).

ცინცაბაძე მარინე, ძველი ქართული იამბიკური პოეზიის ისტორიიდან. ფილოლოგიური ნარკვევები, თბილისი, 1981, გვ. 79-87.

ცინცაბაძე მარინე, ქალთველი ჰიმნოგრაფი ქალი (მარიამ-მაკრინა ბაგრატიონი). კრ. „მაყელოვანი“, მცხეთა, 2011, №4, გვ. 36.

ჩოქეანია ანა, ქართული ჰიმნოგრაფიული სკოლის სათავეებთან. „ჭყონდიდელი“, მარტვილი, 2011, IX, №4(61), გვ. 18-19.

ჩიჯავაძე ოთარი, ქართული გალობის ჭრელები („მწუხრისა“ და „ცისკრის“ საგალობელთა მუსიკალური ანალიზი). საბჭოთა ხელოვნება, 1967, №12, გვ. 75-79.

ჩიჯავაძე ოთარი, მიქაელ მოდრეკილი ერთი შენიშვნის გამო, მოამბე საქ. მეცნ. აკად. მაცნე, 1957, №5, გვ. 637-640.

ჭავჭავაძე ზურაბი, XIII. ჰიმნოგრაფიის ზოგადი მიმოხილვა, ლიტერატურისმცოდნეობა, კრიტიკა, პუბლიცისტიკა, თარგმანი, თბილისი, 1993, გვ. 6-21.

ჭავჭავაძე ზურაბი, ლიტერატურათმცოდნეობა, კრიტიკა, პუბლიცისტიკა, თარგმანი, თბილისი, 1993.

ხალვაში რამაზი, „გალობანი ანჩის ხატისანი“. ანდრია პირველწოდებული საქართველოში, ბათუმი, 2011, გვ. 43-86.

ხალვაში რამაზი, „გალობანი მწველებელთა შეწვევებისანი“. ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი, ბათუმი, 2011, №11, გვ. 269-273.

ხალვაში რამაზი, „გალობანი ანჩის ხატისანი“ (საერთაშ. კონფერენცია „ტაო-კლარჯეთი“, მოხს. თეზისები, თბილისი, 2010, გვ. 109-111 (განხილულია იოანე ანჩელის (რკინაელი) გალობანი).

ხაჩიძე ლელა, პარიზული ხელნაწერი Georgia 5 და მისი სიახლენი. ლიტერატურა და ხელოვნება, №1, თბილისი, 193-203.

ხაჩიძე ლელა, იოანე მინჩხის უცნობი საგალობელი, მრავალთავი, X, თბ., 1983, გვ. 122-128.

ხაჩიძე ლელა, იოანე მინჩხის საგალობლები სინური კოლექციის ქართულ ხელნაწერებში – Sin. 5 და Sin. 75, საქ. მეცნ. აკად. მაცნე (ელს), 1983, №1, გვ. 106-124.

ხაჩიძე ლელა, იოანე მინჩხის საგალობლები ახლადგამოვლენილ ხელნაწერებში, წიგნში: იოანე მინჩხის პოეზია, თბ., 1987, გვ. 110-130 (წიგნის V თავი).

ხაჩიძე ლელა, იოანე მინჩხის საგალობლების პოეტური საზომები, ამიერკავ. ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია..., თელავი, 1982, თეზისები.

ხაჩიძე ლელა, გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანის პარიზული ნუსხა, კრებ. ივირონი – 1000, თბ., 1983, გვ. 204-287.

ხაჩიძე ლელა, სტეფანე სანანოის ძე – ჭყონდიდელი. თბილისის სახ. აკად., სამეცნ.-საღვთისმეტყველო შრომები, 2013, ტ. IV, გვ. 2000-2008.

ხაჩიძე ლელა, ქართული ჰიმნოგრაფიის სათავეებთან. თბილისის სასულიერო აკადემია, სამეცნიერო-საღვთისმეტყველო შრომები, თბილისი, 2012, ტ. III, გვ. 166-174.

ხაჩიძე ლელა. ერთი პარადოგმის შესახებ (... ღვთისმშობლის ეპითეტი „ღრუბელი სულ მცირე“ ქართულ ჰიმნოგრაფიაში). კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა, თბილისი, 2008, №8, გვ. 73-78.

ხაჩიძე ლელა, ქართული ჰიმნოგრაფიის აქამდე უცნობი ნიმუშები – „კაპრაშიულნი“. „წახნაგი“, თბილისი, 2009, №1, გვ. 267-274.

ხაჩიძე ლელა, X ს. ბიზანტიურ-ქართული ჰიმნოგრაფიული ტრადიციების შესახებ. ქრისტიანობის კვლევები, თბილისი, 2009, გვ. 165-172.

ხაჩიძე ლელა. კანონის გალობათა აღნიშვნის წესი ქართულ ჰიმნოგრაფიაში. ლიტერატურა და ხელოვნება, თბილისი, 1995, №1-6, გვ. 101-15.

ხაჩიძე ლელა „ ქართული ჰიმნოგრაფიის უძველესი ნიმუშები და არქაული ქრისტიანული ლიტერატურის ტრადიციები“ (ასურელი მამები აღმოსავლურ და დასავლურ საეკლესიო ტრადიციებში), თბილისი, 2009, გვ. 305-315.

ხაჩიძე ლელა, უცნობი ქართველი ჰიმნოგრაფი (კაპრაში), საეკლესიო ლიტერატურული კალენდარი, თბილისი, 2000, გვ. 174-184.

ხევსურიანი ლილი – სტეფანე საბაწმიდელი და ქართული მარხვანები. მოხსენება ხელნ. ინსტ. არქეოგრაფიის განყოფილების სხდომაზე 1982წ. მარტში.

ხევსურიანი ლილი, უძველესი იადგარის ვნების კვირა, უძველესი იადგარი, გვ. 775.

ხევსურიანი ლილი, უძველესი იადგარის ძირითადი ნუსხები, უძველესი იადგარი, გამოსაც. მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანიკევა და ლ. ხევსურიანმა, თბ., 1980, გვ. 693.

ხევსურიანი ლილი, უძველესი იადგარის ვნების კვირა, უძველესი იადგარი, გვ.771-779.

ჯავახიშვილი ივანე, ქართული ძვ. წარმართული საერო და შემდეგ გაჩენილი საეკლესიო მუსიკა და ბრძოლა მათ შორის, მნათობი, თბილისი, 1938, №6, გვ. 133.

ჯანაშვილი მოსე, მაკრინე ბატონიშვილი, გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1913, №868.

ჯანაშვილი მოსე, მგოსანი მეფე დავითი და მისი დაი მაკრინა, გაზ. „საქართველო“, 1919, №94, 95.

ჯანგულაშვილი სვიმონი, სამზე მეტხმიანი საგალობლები ღვთისმსახურების ქართულ ტრადიციაში. თბილისი, 2010, გვ. 470-490 (მასალები IV საერთაშორისო სიმპოზიუმისა).

ჯღამაია ლალი, ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან (გრიგოლ ხახულელი). სექტიცხოელისადმი მიძღ. I სამეცნ. კონფ., 11-13 X, 1995, გვ. 477-482.

ჯღამაია ლალი, იოანე მტბევარის საგალობლები, კავკასია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის (ზ. ალექსიძის 75 წლისადმი მიძღვ. კრებული), თბილისი, 2012, გვ. 326-336.

ჯღამაია ლალი, მეათე საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფები (სტეფანე სანანოის ძე ჭყონდიდელი). საქ. მეცნ. აკად. მაცნე (ელს), თბილისი, 1973, №4, გვ. 51-63.

ჯღამაია ლალი, კვლავ „მეხელისა“ და „მეხურის“ შესახებ, საბჭოთა ხელოვნება, №12, 1971, გვ. 70-73.

ჯღამაია ლალი, მეხურისა და მეხელის შესახებ, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, №3, 1962, გვ. 152-160.

ჯღამაია ლალი, იოდასაფის საგალობელის ახალი ვარიანტი, ხელ. ინსტ. მოამბე, ტ. III, გვ. 33-57.

ჯღამაია ლალი, „მეათე საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფები“ (ეზრა, კურდანად), მაცნე, ელს, 1973, №4, გვ. 51-63.

ჯღამაია ლალი – „იოანე მინჩხის საგალობლები მიქაელ მოდრეკილის ჰიმნოგრაფიული კრებულის მიხედვით“ (ხელნაწერი).

ჯღამაია ლალი, იოანე დამასკელის შობის საგალობლის გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანი, კრ. შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1966.

ჯღამაია ლალი, აბოსადში მიძღვნილი იოანე მინჩხის საგალობელი (ხ.ი.) მრავალთავე, 2001, №19, გვ. 13-20.

ჯღამაია ლალი, მიქაელ მოდრეკილის საგალობლები, მაცნე ელს, 1972, №2, გვ. 65-66.

ჯღამაია ლალი, მეორე გალობის საკითხი X-ის ქართველი ჰიმნოგრაფიულ კანონში, მრავალთავე (ხ.ი.) X, გვ. 116.

ჯღამაია ლალი, Xშს. ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან (გიორგი მთაწმიდელის „თუენი“, საკანდ. დისერტ.), თბ., 1966, გვ. 83-138.

კ ა ნ თ ნ ი კ ა

შ ი ნ ა ა რ ს ი

ძველი ქართული ორიგინალური და ნათარგმნი კანონიკური მწერლობა (ნარკვევი).....	361
ორიგინალურ კანონიკურ თხზულებათა ბიბლიოგრაფია.....	400
საძიებლები: 1. ავტორთა; 2. ხელნაწერთა; 3. ისტორიული საბუთებისა	413
სამეცნიერო ლიტერატურა ორიგინალური და ნათარგმნი კანონიკის შესახებ.....	415

ძველი ქართული ორბინალური და ნათარგმნი ბანონიკური მწერლობა¹⁰⁵

(ნარკვევი)

კანონიკური მწერლობის, ანუ ქრისტიანული საეკლესიო სამართლის საყუძველი ძველი და ახალი აღთქმის წიგნებია, ხოლო მის კანონმდებლობას მსოფლიო და ნაწილობრივ ადგილობრივ საეკლესიო კრებებთან ერთად უდიდეს საეკლესიო მამათა კანონიკური შინაარსის ეპისტოლეებიც ავსებენ. ამიტომ ქართული ორიგინალური კანონიკური მწერლობა მხოლოდ ბიზანტიური საეკლესიო კანონმდებლობის გადმოთარგმნას და სახელმძღვანელოდ გამოყენებას გულისხმობს, ხოლო ადგილობრივ ეკლესიას მის კრებებს და დადგენილებებს მხოლოდ დისციპლინარული და მის წილში წარმოშობილი მწვალებლობათა წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობის გამოტანა შეეძლო, ისიც ბიზანტიურ კანონიკურ კოდექსთან სრული შესატყვისობის შემთხვევაში. ამდენად, გასაგებია ორიგინალურ კანონიკურ თხზულებათა შედარებით სიმცირე. წინამდებარე საცნობარო ნარკვევში განვიხილავთ რა ორიგინალური კანონიკური მწერლობის სათავეებს, დიდ ადგილს დაუეთმობთ საერთოდ ქრისტიანული საეკლესიო კანონმდებლობის ჩამოყალიბებისა და სრულყოფის საფეხურებს და ამიტომ ჩაერთავთ ჩვენი წიგნიდან (ქართული ნათარგმნი კანონიკა, დოგმატიკა-პოლემიკა, თბილისი, 2012, გვ. 12-79) ცალკეულ მონაკვეთებს, ხოლო თხზულებათა ბიბლიოგრაფიაში წარმოვადგენთ მხოლოდ ორიგინალურ კანონიკურ ძეგლებს.

კანონიკა საეკლესიო სამართლის იმ კანონების ერთობლიობაა, რომელიც საკანონმდებლო საეკლესიო ორგანოების მიერ არის მიღებული ქრისტიანული ეკლესიის აღმოცენების დროიდან და განსაზღვრავს ეკლესიისა და სახელმწიფოს, ეკლესიის და მისი წევრების ურთიერთვალდებულებებს და ეკლესიის ორგანიზაციის, აღმსარებლობისა და დისციპლინის ყველა ნიუანსს. ამდენად კანონიკა იურიდიულ მეცნიერების ობიექტია, მაგრამ კანონიკური სამართლის ძეგლების წარმომავლობის, მათი ჩამოყალიბების წყაროების ძიება, მათი ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური და ტერმინოლოგიური საკითხების კვლევა ძველი ქართული მწერლობის ისტორიის სფეროს განეკუთვნება. ამდენად კანონიკური მწერლობის სრული შინაარსი შეიძლება

105 ვიყენებთ ჩვენსავე ნარკვევებს: ძველი ქართული კანონიკური მწერლობა წიგნიდან: ე. გაბიაშვილი, შრომები, I, თბილისი, 2010, გვ.293-321 და ნათარგმნი კანონიკური მწერლობა (გარდა თავისა: კანონიკური სამართლის წყაროები)წიგნიდან: ქართული ნათარგმნი კანონიკა... თბილისი,2012, გვ.12-13; 62-79. დამატებულია "კანონიკური მწერლობის ძირითადი ტერმინები", ძირითადად "დიდ საულისკანონზე" დართული, მ.კლავაძის მიერ შედგენილი კანონიკური ტერმინოლოგიის მიხედვით.

განისაზღვროს იურიდიულ და ისტორიულ-ფილოლოგიურ მეცნიერებათა ერთობლიობით.

ამჯერად ჩვენ შევეხებით ქრისტიანული ეკლესიის სამართლის იმ ნათარგმნ და ორიგინალურ ლიტერატურულ ძეგლებს, რომელთაც განაპირობეს ქართული კანონიკური სამართლის ჩამოყალიბება. კანონიკური სამართლის ჩამოყალიბების დრო, თუნდაც მისი საწყისი ეტაპი გულისხმობს ქრისტიანული ეკლესიის სიმწიფის გარკვეულ დონეს, ამიტომ ბიზანტიის საეკლესიო მწერლობაში პირველი კანონიკური კრებულების შედგენა ქრისტიანობის ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად აღიარების შემდეგ ხდება და მისი აღმოცენება ნიკიის I მსოფლიო კრების (325 წ.) კანონებთან წინა და მომდევნო პერიოდის ადგილობრივ კრებათა (ანკვირიის – 314; ნეო კესარიის – 314-325; აგრ. ღანგრის – 340 წ.). კანონთა შეერთებით უნდა მომხდარიყო. აქედან დაწყებული საეკლესიო კანონების კრებულთა შედგენილობა IV-LX სს. განმავლობაში იცვლებოდა მასში შესული ახალი კანონიკური მასალის (ადგილობრივი და მსოფლიო კრებების, აგრეთვე გამოჩენილ საეკლესიო მამათა შრომებიდან ამოკრეფილი კანონების) მასში შეტანის შედეგად მანამ, სანამ არ ჩამოყალიბდა ქრისტიანული ეკლესიის საბოლოო კანონიკური კოდექსი ე.წ. 883 წ. 14 ტიტლოვანი (ნაწილიანი) ნომოკანონი, რომელიც 920 წლიდან ზოგადქრისტიანული სახელმძღვანელოდ იქმნა დამტკიცებული საეკლესიო სამართლის დარგში და ითარგმნა თითქმის ყველა ქრისტიანულ ენაზე, მათ შორის ქართულადაც „დიდი სჯულისკანონის“ სახელწოდებით XI ს. მიწურულს, ან XII ს. პირველ წლებში. სანამ ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლის განხილვას შეუვლდებოდეთ, ვნახოთ კანონიკური მწერლობის რაც ტრადიციები არსებობდა საქართველოში ამ ძეგლის თარგმანებამდე.

ქართული კანონიკური სამართლის ჩამოყალიბებაში თეორიულად თავიანთი წვლილი უნდა შეეტანათ ერთი მხრით ბიზანტიური საეკლესიო მწერლობიდან ნათარგმნ კანონიკური ხასიათის თხზულებებს, ხოლო მეორე მხრით ადგილობრივ საეკლესიო ტრადიციებზე აღმოცენებულ ორიგინალურ კანონიკურ ძეგლებს, მაგრამ სამწუხაროდ IV-X სს. პერიოდის ქართული წერილობით წყაროებში როგორც პირველის, ასევე მეორის არსებობის მხოლოდ სავარაუდო კვალი-და არის შემორჩენილი.

დღეს მხოლოდ ვარაუდის დონეზე შეიძლება ლაპარაკი ძველ საქართველოში ადგილობრივ საეკლესიო კრებათა მოწვევის პერიოდულობის შესახებ (როგორც ეს ხდებოდა ბიზანტიურ საეკლესიო სამყაროში – ყველა ადგილობრივი ეკლესია ვალდებული იყო საეკლესიო კრება მოეწვია წელიწადში ორჯერ, უკიდურეს შემთხვევაში ერთხელ მაინც, რომელზედაც განიხილებოდა წლის განმავლობაში წამოჭრილი ეკლესიის ორგანიზაციული და დისციპლინარული საკითხები (დიდი სჯულისკანონი, გვ. 219-220; 252; 273, 373, 423; 159-160) – დოგმატური საკითხების განხილვა საგანგებოდ მოწვეულ მსოფლიო

საეკლესიო კრებებზე ხდებოდა), მაგრამ ასეთი კრებების მოწვევა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამოირიცხოს. ხოლო ასეთ კრებებზე კანონმდებლობის მიღება ალბათ საეკლესიო კრების რანგზე იქნებოდა დამოკიდებული – ყველა ადგილობრივი კრება კანონებს ვერ მიიღებდა და ალბათ ეკლესიის მიმდინარე წერილმან საკითხებს წყვეტდა, მაგრამ საქართველოს ისტორიაში ცნობილ განსაკუთრებული მნიშვნელობის საგანგებო საეკლესიო კრებებს რომ თავიანთი საქმიანობა „ძველისწერის ანუ კანონიკური დადგენილებების სახით არ ჩამოუყალიბებიათ, ძნელი დასაჯერებელია.

ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით ასეთი კრებები აუცილებლად იქმნებოდა მოწვეული: 1) ქართლის ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებასთან დაკავშირებით. 2) დვინის 607 წლის კრებაზე სომეხთა მიერ საქართველოს ეკლესიის მწვალებლობაში ბრალდების საპასუხოდ. 3) VIII-IX სს-მდე საქართველოს ეკლესიის ეპისკოპოსთა ცოლიანობის გასამართლებლად. მისივე აზრით, საეკლესიო კანონმდებლობით უნდა დამთავრებულიყო საეკლესიო კრებები, რომელთა მოწვევა წერილობითი წყაროებით არის დადასტურებული. ჯავახეთში IX ს. შუა წლებში მოწვეული კრება ქართლის კათალიკოსად არსენის ხელდასხმის კანონიერების განსახილველად – გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებაში ღრტილის კრება ბაგრატ IV-ის დროს).

ამრიგად, ორიგინალური საეკლესიო კანონშემოქმედებიდან XI ს. ბოლომდე ქართულ საისტორიო წყაროებს არც ერთი ძველი არ შემოუნახავს. პირველი საეკლესიო კრება, რომლის კანონმდებლობამ „ძველის წერის სახით ჩვენამდე სრულყოფილად მოაღწია არის 1105 წ. მოწვეული რუის-ურბნისის კრება.

ახლა ვნახოთ, ქართულ, ძველ X საუკუნემდე წერილობით წყაროებში არის თუ არა ცნობები ქართულად ბიზანტიური კანონიკური ძეგლების არსებობის შესახებ, რადგან თვით ამ ძეგლების თარგმანთა შემცველი ქართული ხელნაწერები არ ჩანს. სანამ ამ საკითხს შევხებოდეთ, ვნახოთ რა სახის საეკლესიო სამართლის კრებულები არსებობდა ბიზანტიურ მწერლობაში ქრისტიანობის დამკვიდრების დროიდან, რა წყაროების საფუძველზე ადგენდნენ მათ და რა ცვლილებები ხდებოდა ამ კრებულთა შინაარსობრივი შევსებისა და მათში შესული წყაროების სისტემატიზაციის შედეგად. ერთი სიტყვით, ბიზანტიური კანონიკური სამართლის რა ძეგლებისა და რა წყაროების თარგმნა იყო მოსალოდნელი ბერძნულიდან ქართულად X საუკუნემდე.

პირველ კანონიკურ კრებულს ბიზანტიურ საეკლესიო მწერლობაში „პონტოს კრებულს“ უწოდებენ, რომელიც ნიკიის I მსოფლიო საეკლესიო კრების კანონების ბაზაზე შედგა მასთან ანკვირიის (314), ნეოკესარიის (314-325 წწ.) და ღანგრის (340 წ.) ადგილობრივ კრებათა კანონების მიერთებით IV ს-ში ყველა ეს კრება პონტოს დიოცეზში იყო მოწვეული; აქედანაა კრებულის სახელწოდებაც. ქალკედონის IV მსოფლიო კრება (450 წ.) სარგებლობდა სპეციალური „კანონთა

წიგნით“, რომელიც კანონთა უწყვეტი სათვალავით შეიცავდა „პონტოს კრებულს“ და ანტიოქიის (341 წ.), ლაოდიკიის (343 წ.) ადგილობრივ კრებათა და კონსტანტინოპოლის II მსოფლიო კრების (381 წ.) კანონებს, როგორც ეს აღნიშნულია ქალკედონის კრების აქტებში. არ შემონახულა ჩვენამდე ისევე, როგორც დასახელებული ორი კრებული, არც ე.წ. 60-ნაწილიანი (ტიტლოვანი) კანონიკური კრებული, რომლის შემადგენლობა ქალკედონის კრების „კანონთა წიგნთან“ შედარებით გამდიდრებული იყო მოციქულთა, სარდიკიის (343 წ.), ეფესოს III და ქალკედონის IV მსოფლიო კრებათა კანონებით (კრებულს 535 წ. ახლოს შედგენილად მიიხსენივენ). ეს პირველი სისტემატური ხასიათის კანონიკური კრებული იყო, სადაც საეკლესიო კრებათა კანონების დასახელება დაჯგუფებული იყო 60 ნაწილად (ტიტლოსად), 60 საეკლესიო საკითხის შესაბამისად, ხოლო თვით კანონთა სრული ტექსტები წარმოდგენილი იყო კრებულის ძირითად ნაწილში. ფიქრობენ, რომ ამ კრებულში, ბოლოს დამატების სახით ერთვოდა სამოქალაქო კანონმდებლობიდან ამოკრეფილი კანონების კრებული (Collectio XXV capitulorum) ეკლესიის საკითხებზე.

პირველი კანონიკური კრებული, რომელმაც ჩვენამდე სრული სახით მოაღწია არის იოანე სქოლასტიკოსის 50-ტიტლოვანი (ნაწილიანი) სისტემატური კანონიკური კრებული, შედგენილი 566 წლამდე (ცნობები ზემოხსენებული 60-ტიტლოვანი კრებულის შესახებ სწორედ აქაა დაცული).

ამ კრებულში 60 – ტიტლოვან კრებულთან შედარებით დამატებით არის შეტანილი ბასილი დიდის მიერ ამფილოქე იკონიელის მიმართ მიწერილი II და III ეპისტოლეთა საფუძველზე შედგენილი 68 კანონი. ამასთანავე, სისტემატური ნაწილი დაყოფილია 50 ტიტლოსად (ალბათ იუსტინიანე დიდის დიგესტონების მიბაძვით). კრებულს ბოლოს ერთვის დამატების სახით იუსტინიანეს ნოველებიდან გამოკრებილი სამოქალაქო კანონების კრებული საეკლესიო საკითხების შესახებ (Collectio 87 capitulorum), რომელიც 565-578 წწ. შეუდგენია იმავე იოანე სქოლასტიკოსს.

ამ ორი კრებულის გაერთიანებით უცნობ ავტორს დაახ. 582-602 წწ. შეუდგენია ფორმითა და შინაარსით სრულიად ახალი კანონიკური კრებული „50 ტიტლოვანი ნომოკანონი“ ასეთი პრინციპით: თითოეული ტიტლოსის (ნაწილის) ქვეშ მითითებულია საეკლესიო კანონები (ტექსტის გარეშე), ხოლო შემდეგ წარმოდგენილია ამ საკითხთან დაკავშირებული სამოქალაქო კანონის სრული ტექსტი. კრებულს ბოლოს ერთვის Collectio 87 capitulorum–იდან 22 თავი, რომელიც ავტორს ტიტლოსებში ვერ გაუნაწილებია.

50-ტიტლოვანმა ნომოკანონმა დასაბამი მისცა ძირითადი კანონიკური კოდექსის პროტოტიპს – 14 ტიტლოვანი კრებულის ჩამოყალიბებას. იგი იმეორებს თავისი ძირითადი წყაროს მასალას და დამატებით შეაქვს: 419 წ. კართაგენის კრების კანონები, ბასილი დიდის კიდევ 23

კანონი და სხვა საეკლესიო მამათა კანონიკური ეპისტოლეები (დიონისე ალექსანდრიელის, პეტრე ალექსანდრიელის, გრიგოლ ნეოკესარიელის, გრიგოლ ნოსელის, ტიმოთე, თეოფილე და კირილე ალექსანდრიელის, გენადი კონსტანტინოპოლელის, მარტვილი ალექსანდრიელის). ამ კრებულის შემდგენლის დამსახურებად ითვლება დასახელებული მასალისათვის ანალიტიკური საძიებლების სისტემის ჩამოყალიბება, რაც უცვლელად გადავიდა ძირითად კანონიკის კოდექსშიც.

ამ კრებულის შინაარსობლივი შევსების გზით საბოლოოდ 883 წ. ჩამოყალიბდა 14 – ტიტლოვანი ნომოკანონი; დამატებით მასში შევიდა VI (ტრულის) და ნიკიის VII მსოფლიო კრებათა კანონები, კონსტანტინოპოლის 861 წ. და კონსტანტინოპოლის 879 წ. ადგილობრივი კრებათა კანონები. აგრეთვე ათანასი ალექსანდრიელის, გრიგოლ ნაზიანზელის და ამფილოქე იკონიელის კანონიკური ეპისტოლეები. ამასთანავე ამ კრებულის შემდგენელს მოუხდენია აღნიშნული მასალის განაწილება სისტემატური ნაწილის ტიტლოსებში (თაგებში). მასვე გადაუსინჯავს ტიტლოსებში წარმოდგენილი სამოქალაქო კანონმდებლობა: მოძველებული და ძალადაკარგული ამოუღია, ხოლო მათ ნაცვლად ახალი შეუტანია.

სწორედ 14 – ტიტლოვანი ნომოკანონის 883 წლის რედაქცია, რომელსაც ზოგჯერ პატრიარქის ნომოკანონსაც უწოდებენ და რომელიც 920 წლიდან ქრისტიანული ეკლესიის ძირითადი კანონიკური კოდექსი გახდა, არის არსენ იყალთოელის მიერ XI ს. მიწურულს, ან XII ს. პირველ წლებში ქართულად თარგმნილი „დიდი სჯულისკანონის“ ბერძნული დედანი.

არის თუა არა ბიზანტიური საეკლესიო სამართლის ზემოთ წარმოდგენილი უმთავრესი ძეგლებიდან რომელიმე მათგანის ქართულად თარგმნის შესახებ მინიშნება ან კვალი X ს. ჩათვლით არსებულ წყაროებში? (თვით ამ ძეგლების ქართული თარგმანთა ტექსტების არსებობაზე ჩვენამდე მოღწეული ქართულ ხელნაწერებში ლაპარაკიც ზედმეტია).

უძველესი ცნობა, რომელიც თითქოს ჩვენთვის საინტერესო საკითხს ეხება, არის VII ს. სომხური წყარო – „ეპისტოლეთა წიგნი“, კონკრეტულად კი კირიონ ქართლის ეპისკოპოსის ეპისტოლე აბრაამ სომეხთა კათალიკოსისადმი, რომელშიც ნათქვამია, რომ საკამათო საკითხების გადასაჭრელად მან ათარგმნინა და უგზავნის „ოთხთა კრებათა წიგნებს“. იე.ჯავახიშვილმა ამ კრებებში იგულისხმა პირველი ოთხი მსოფლიო კრების კანონები და დაასკენა, რომ „VI-VII სს. საქართველოს ეკლესიას მსოფლიო კრებების ძეგლის წერათა წიგნი ჰქონია“ (შრომები, VI, თბ. 1982, გვ. 44) და ქართული კანონიკური მწერლობის დასაწყისად დასახელებული დრო მიაჩნია (ადგილობრივი კრებათა სავარაუდო „ძეგლისწერებთან ერთად) კეკელიძემ „ოთხთა კრებათა წიგნებში“ სარწმუნოების სიმბოლო ანუ „მრწამსი“ იგულისხმა, რომელიც, მართლაც, ნიკიის I, კონსტანტინოპოლის II,

ევგესოს III და ქალკედონის IV მსოფლიო კრებებზე ჩამოყალიბდა. ეს ვარაუდი „ეპისტოლეთა წიგნის სრულ ხელნაწერში წარმოდგენილმა ამ კრებათა „მრწამსის“ ტექსტმა დაადასტურა (იხ. ეპისტოლეთა წიგნი, გამოსცა ზაქარეაძემ, თბ. 1968, გვ. 100-111), ხოლო იე.ჯავახიშვილი და კ.კეკელიძე დასახელებული ეპისტოლის მხოლოდ ნაკლებ ნუსხას იცნობდნენ).

ე.ბენეშევიჩი, რომელსაც ეკუთვნის „დიდი სჯულისკანონის“ შემცველი საეკლესიო მუხუშუმის (A) ქართული ხელნაწერთა აღწერილობის პირველი ცდა (Христ. Восток, 1914-1917, т. II და V) ფიქრობდა, რომ ეს ძეგლი ქართულად X ს-მდე ითარგმნებოდა, მაგრამ იგი არ იცნობდა გელათურ (ქუთ. 25, XII ს.) ნუსხას, რომლის ანდერძში ძეგლის მთარგმნელად არსენ იყალთოელი (XI-XII სს.) არის დასახელებული. (ამასთანავე კ.კეკელიძემ დაარღვია მისი სამი ძირითადი არგუმენტი ძეგლის – X ს-მდე თარგმნასთან დაკავშირებით. ძვ. ქართული აღწერილობა I, თბ. 1980, გვ. 562).

იე.ჯავახიშვილმა კი ეს მშვენიერად იცოდა და ამიტომ ბენეშევიჩის საწინააღმდეგოდ ჩვენამდე მოღწეულ „დიდი სჯულისკანონის“ არსენისეულ თარგმანს ვერ მიიხნევედა X ს. ადრე ნათარგმნ ძეგლად, მაგრამ მან დაუშვა შესაძლებლობა, რომ არსენისეულ თარგმანამდე უნდა არსებულიყო ამ ძეგლის IX ს. ადრინდელი თარგმანი, რომელიც მის არსებობაზე მინიშნებულია გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრების“ იმ ადგილას, რომელიც ჯავახეთის საეკლესიო კრებას ეხება და რომელიც დაახ. IX ს. შუა წლებში უნდა შემდგარიყო (სიტყვები: „*იციოთ ყოველთა კანონი სჯულისაჲ, რამეთუ არა ბრძანებს ეპისკოპოსისა და კათალიკოსისა მძლავრებით დაჯდომასა*“ – ძეგლები, I, გვ. 288, 13-15; ანდა „*წმიდათა მოციქულთა და ღირსთა მათ მღვდელთმოძღუართა განსაზღვრებულსა კანონსა შინა არავე ბრძანებულ არს ერისკაცსაჲ, ვითარმცა...*“ – ძეგლები, გვ. 289) ჯერ ერთი, ამ დროს (IX ს. შუა წლები) „დიდი სჯულისკანონის“ დედანი – 14 ტიტლ. ნომოკანონი 883 წ. რედაქციით ბერძნულადაც არ არსებობდა. ე.ი. ქართულად უნდა არსებულიყო VII ს-ის ნომოკანონის თარგმანი, მეორეც მოტანილი ზოგადი სიტყვების თქმა შეეძლოთ ამ ძეგლის ქართ. თარგმანის არსებობის გარეშეც. ასევე მყიფეა ე.ბენეშევიჩისა და იე. ჯავახიშვილის სხვა არგუმენტებიც და ვერ ამტკიცებენ X ს. ბოლომდე რომელიმე ბიზანტიური საეკლესიო სამართლის ძეგლის ქართული თარგმანის არსებობას. პირველი კანონიკური სამართლის კრებული ქართულად შეადგინა ვფთვიმე მთაწმიდელმა X ს. ბოლოს მის მიერ ბერძნული ენიდან ნათარგმნი და გადმოკეთებული თხზულებების საფუძველზე და მას „მცირე სჯულის-კანონი“ უწოდა.

ამრიგად, ქართული კანონიკური მწერლობის ისტორია უნდა დავიწყოთ, სამწუხაროდ, მხოლოდ X ს. მიწურულით და მის საფუძველზე ჩამყრელად ვფთვიმე მთაწმიდელი უნდა გამოვაცხადოთ თავისი „მცირე სჯულისკანონით“, რადგან ადრინდელი ნათარგმნი და ორიგი-

ნალურ ძეგლებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ (თუ ისინი საერთოდ არსებობდნენ; ამ შემთხვევაში ეკლესია ხელმძღვანელობდა ალბათ ბიბლიურ წიგნებში წარმოდგენილ ცალკეული დებულებებით კანონიკურ საკითხებზე, ბიზანტიური საეკლესიო კანონმდებლობის ცალკეული დებულებების ზეპირი გადმოცემებით და ადგილობრივ დაუწერელი წიგნებითი ადათ-წესებზე დამყარებული კანონმდებლობით, რომელიც საეკლესიო კანონის ძალა ჰქონდა – „გუაქუს მოცემული ჩუენდა უწერელი ჩუეულება, რომელი ძალითა სწორ არს სჯულისა“ – ბასილი დიდი, ეპის. დიოდორეს მიმართ, დიდი სჯულისკანონი, გვ. 498).

„მცირე სჯულისკანონი“. კანონიკურ კრებულს, რომელიც შეუდგენია ეფთვიმე მთაწმიდელს X ს. ბოლოს ბერძნულიდან მის მიერვე თარგმნილი და გადმოკეთებული ხუთი, ერთმანეთისაგან განსხვავებული შინაარსის კანონიკური თხზულების საფუძველზე (მსგავსი შედგენილობის კრებული არც ერთ სხვა ენაზე და უპირველეს ყოვლისა ბერძნულად არ არსებობს). ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია „მცირე სჯულისკანონის“ სახელწოდებით. სინამდვილეში ეს სახელწოდება, რომელიც მთელ კრებულს მიეცა, წარმოადგენს კრებულში შეტანილი თხზულებათაგან პირველის სათაურის მცირე მოდიფიკაციას, როგორც ეს ჩანს თვით ეფთვიმეს სიტყვებიდან: „ღირს ვიქმენ მე, გლახაკი ეფთჳმე, თარგმანებად ბერძნულისაგან მცირესა ამას რჩულისკანონსა, წმიდისა მის მეექუსისა კრებისა მიერ აღწერილსა...“ (კ.კეკელიძე, ... ისტორია I. 1980, გვ. 211) კრებულის შედგენილობა ასეთია (მცირე სჯულისკანონის ელ. გიუნაშვილის გამოცემის მიხედვით, თბ. 1977 წ.):

1. „წესი და განგებად და რჩულისკანონი მეექუსისა კრებისა და სამოცდარვათა წმიდათა მამათა, რომელნი შეკრბეს კოსტანტინოპოლეს, ახალსა პროსა, კოსტანტინე ღმრთისმსახურისა მეფისა ძე, კმისწულისა ძისა პერაკლე მეფისა“ გვ. 15-85.

2. „კანონნი შეცოდებულთანი, აღწერილნი ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანეს მიერ, კოსტანტინოპოლელ მთავარეპისკოპოსისა, რომელსა მმარხველ ეწოდებოდა“ გვ. 86-99.

3. „კანონნი შეცოდებულთანი, განწესებულნი ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე მმარხველისა მიერ, კოსტანტინეპოლელ პატრიარქისა“ გვ. 100-117.

4. „კანონნი დღითი-დღეთა ცთომათანი, ვითარცა წმიდამან ჩუენმან ბასილი განაწესნა“, გვ. 118-123.

5. „ძეგლისწერად სარწმუნოებისა, რომელი აღწერეს წმიდათა მამათა კოსტანტინეპოლეს შეკრებულთა წმიდათა ხატთა თაყუანისცემისათჳს, რომელ-ესე წარიკითხვის სოფიაწმიდას პირველსა კურიაკესა წმიდათა მარხეთასა“, გვ. 124-133.

თითოეული აქ წარმოდგენილი თხზულება, დამოუკიდებელი ძეგლია, რომელთაც ბიზანტიურ მწერლობაში თავთავიანთი დედნები შეესაბამება, მაგრამ თითოეულის ქართული თარგმანი ზოგი ძირ-

ფესვიანად განსხვავდება დედნისაგან 'სოგი კი მეტნაკლებად. ეს მთარგმნელის მიერ შეტანილი ცვლილებებია, რაც ნათელი გახდება თითოეული თარგმანის სოგადი განხილვის შედეგადაც.

მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრება, რომლის „წესი და განგებად და რწულისკანონი“ (ე.ი. კანონები) წარმოდგენილია „მცირე რწულისკანონში პირველ სტატიად, მოწვეული იყო კონსტანტინოპოლში 681 წელს კონსტანტინე პოგონატის (668-685) იმპერატორობის დროს მონოთეოლოგიური მწვალებლობის დასაგმობად, მაგრამ საეკლესიო კანონები არ გამოუტანია (ისევე, როგორც წინა, 553 წლის V მსოფლიო კონსტანტინოპოლის კრებას). ამიტომ 691 წ. იუსტინიანე II-ის ინიციატივით მოიწვიეს ქ. კონსტანტინოპოლში, ტრულის (გუმბათიან) სასახლეში საეკლესიო კრება, რომელსაც ესწრებოდა მსოფლიოს მართლმადიდებლური ეკლესიის 170 ეპისკოპოსი, VI მსოფლიო კრების სახელით დაამტკიცა 102 საეკლესიო კანონი და ამიტომ არის ეს კრება, რომელიც უფრო ხშირად სამეცნიერო ლიტერატურაში ტრულის კრების სახელით მოიხსენიება, და მისი კანონები არც თუ იშვიათად VI მსოფლიო კრების მიერ მიღებულ საეკლესიო კანონებად წოდებული (როგორც ეს წინამდებარე თხზულებაში გვაქვს).

ამრიგად, ეფთვიმე მთაწმიდელმა, როგორც თვითონ აღნიშნავს („ღირს-ვიქმენ მე, გლახაკი ესე და ნარჩევი ყოველთა მოწესეთაი ეფთვმე თარგმანებად ბერძნულისაგან ქართულად მცირესა ამას რწულისკანონსა...“), თარგმნა ქართულად VI მსოფლიო კრების ე.ი. „კანონნი კონსტანტინოპოლის გუმბადსა შინა სამეუფომესა პალატისასა შეკრებულთა წმიდათა მამათანი იუსტინიანეს ძე კეთილად მსახურისა და ქრისტეს მოყვარისა მეფისა ჩუენისა“ (ღიდი სჯულისკანონი, გვ. 365). ეფთვიმეს თარგმნილი ტექსტი რომ შეუდაროთ ამ კანონთა ბერძნული დედნის ტექსტს, ანდა ამ ტექსტის ზუსტ ქართულ თარგმანს, რომელიც XI ს. მიწურულს შეასრულა არსენ იყალთოელმა, საოცარ სურათს ენახავთ: ძნელი დასაჯერებელია მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ დადგენილი, ბიზანტიის იმპერატორისა და 170 ეპისკოპოსის (თუ მისი წარმომადგენლის) ხელმოწერილი და დამტკიცებული კანონთა ტექსტისა და მათი თანმიმდევრობის ასე შეცვლა, თანაც ამ კანონების VI მსოფლიო კრების კანონებად სახელდება:

1. ბერძნულ დედანში (და არსენის თარგმანში) VI მსოფლიო კრების კანონებს (უფრო ზუსტად „ტრულისას“) ზემოთ მოტანილი სათაურის შემდეგ წარმოდგენილია კრების მესვეურთა ვრცელი ეპისტოლე იუსტინიანე იმპერატორისადმი, რომელშიც სხვა მრავალ საკითხთან ერთად საუბარია ამ კრების მოწვევის გადაუდებელ მიზეზებზე და კრების მოწვევის ორგანიზაციაში იმპერატორის დამსახურებაზე. ეფთვიმეს თარგმანში ეს ტექსტი არ არის და მის ადგილას წარმოდგენილია VI მსოფლიო კრების (681 წ.) აქტებიდან ამონაწერები: წინა მსოფლიო კრებათა დოგმატურ და დისციპლინარულ საკითხებზე მიღებული კანონმდებლობის მიმოხილვა და მათ მიერ დაგმობილ

მწვალებლობათა და მათ იდეოლოგთა განქიქების შესახებ, აგრეთვე VI მსოფლიო კრების მოწვევის შესახებ მონოთელიტთა მწვალებლობის დასაგმობად.

2. ამ შესავლის შემდეგ ცალკე სათაურით არის გამოყოფილი „თავნი რჩულისკანონისანი“, რომლის პირველი თავი ალბათ რომელიმე გადამწერის მიერ შეცდომით არის დანომრილი, რადგან იგი წარმოადგენს მოკლე შესავალს (სულ 6 სტრიქონს) უშუალოდ კანონების ტექსტის წინ: შესავალში აღნიშნულ მწვალებლობათა და განდგომილებათა შედეგად საეკლესიო კანონებიც „დაიკნსნეს და უგულვებელ-იქმნესო და ამიტომ „განვაახლებთ და განვამტკიცებთ წესთა და კანონთა, რომელნი დაეხსნეს წმიდათა მოციქულთა და საღმრთოთა მათ დიდებულთა კრებათა...“ (გვ. 23). მის შემდეგ წარმოდგენილია მეორე თავის ტექსტი, რომელსაც შეესატყვისება ბერძნულ დედანში პირველი კანონი:

„წესი კეთილ არს ყოვლადვე, რომელი იწყებდეს სიტყუასა გინა საქმესა, რაფთა ღმრთისაგან იწყოს და ღმრთისა აღასრულოს, ვითარცა ღმრთისმეტყუელი გრიგოლ იტყუს, ვითარმედ: „დასაბამ და დასასრულ ყოვლისა საქმისა და სიტყუსა შენისა ღმერთი იყავნ“.

„წესი რჩეული ყოვლისავე სიტყუად და საქმედ დამწყებელისაჲ ღმრთისაგან დაწყებაჲ ღმრთისა თანა განსუენებაჲ არს კმისაებრ ღმრთისმეტყუელისა“.

ამის შემდეგ ეფთვიმე „ამდიდრებს“ დედანში წარმოდგენილ მხოლოდ მსოფლიო კრებათა მიერ შესრულებულ საქმიანობაში ადგილობრივი საეკლესიო კრებებისა და საეკლესიო მამათა ნაშრომებიდან საეკლესიო კანონიკურ კოდექსში შეტანილი კანონებით, რაც ბერძნულ დედანში მეორე კანონშია წარმოდგენილი და ა.შ. მხოლოდ ეს შედარებაც საკმარისია, რომ წარმოვადგინოთ თუ როგორ ცვლის ეფთვიმე თავის წყაროს. მას გამოუტოვებია დედნის 16-ე, 26-ე, 29-ე, 34-ე, 38-ე, 39-ე, 45-ე, 48-ე, 52, 63-ე, 64, 71-ე, 80-ე, 97-99-ე და 100-101-ე კანონები, ხოლო დაუმატებია თავის თარგმანში ბასილი დიდისა და სხვა მამების კანონმდებლობიდან მასალა, აგრეთვე სხვა წყაროებიდან ამოკრეფილი მასალებიდან ჩამოყალიბებული კანონები, ზოგიც მას თვითონ შეუდგენია (ტრულის კრების მიერ დადგენილი კანონები, რომლებიც ეფთვიმეს თავის თარგმანში შეუტანია, გადაკეთებულია რედაქციულადაც და ფრაზეოლოგიურად, შიგ ჩართულია ახალი მასალა და ა.შ.)

ეფთვიმეს მიერ ჩადენილი „თვითნებობის“ მიზანი გასაგებია: მან VI კრების (ტრულის) კრების კანონმდებლობის ბაზაზე შეადგინა საეკლესიო კანონთა სახელდახელო კოდექსი, რათა ნაწილობრივ მაინც ამოეხსნა ის სიცარიელე, რომელიც სუფევდა საქართველოს ეკლესიაში საეკლესიო სამართლის მხრივ.

„მცირე სჯულისკანონის“ მომდევნო სამი სტატიის ქართული თარგმანები ერთი საერთო თემატიკის ირგვლივ დადგენილ კანონმდებლობას წარმოგვიდგენს, თუმცა თითოეულ მათგანს აქვს დამოუკიდებელი სათაური ამ თემატიკის დასახელებით და მათ ავტორ-შემდგენლებზე მითითებით. პირველი ორის სათაური თითქმის იდენტურია – ორივეს „კანონი შეცოდებულთანი“ ეწოდებაო და ავტორიც ერთიდაიგივეა კონსტანტინოპოლის VI ს. პატრიარქი იოვანე, „მმარხველად“ წოდებული (582-595), თუმცა შინაარსობლივად ტექსტები განსხვავებულია და თუ აქ ორი დამოუკიდებელი თხზულება არა გვაქვს, მეორე პირველის გაგრძელებას ჰგავს. მესამე სტატია, რომელსაც „კანონი დღითი-დღეთა ცომათანი“ ეწოდება, ავტორად ბასილის ასახელებს „ვითარცა წმიდამან მამამან ჩუენმან ბასილი განაწესნა“ და ტიტულატურის მიხედვით ბასილი დიდს უნდა გულისხმობდეს. სამივე სტატიის სათაური ფსევდოეპიგრაფიკულია, რადგან არც პირველი ორი სტატიაა VI ს. ავტორის დაწერილი და არც მესამე – IV ს-ში (სხვათა შორის ე.წ. ბასილის ავტორობით წარმოდგენილი ტექსტი უთითებს წინა სტატიებზე: „და სხუათა მათ დიდთა ცოდვათა: კაცისკლვათა და მრუშებისა და მამათმავლობისა და პირუტყუებისა და მწამლველობისა და სხუათა ესევითართა კანონნი ზემოწერილნი არიან“ (მც. სჯულისკანონი, გვ. 49). თუ ეს სიტყვები ეფთვიმეს ჩართული არ არის, ამ სტატიათა ბერძნული დედნებიც ერთ კრებულში თანაარსებობას გულისხმობს. ქართული თარგმანის ტექსტში, რომელიც საგრძნობლად განსხვავდება ცნობილი ბერძნული ტექსტისაგან, რაც ეფთვიმეს მთარგმნელობით პრაქტიკაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ეფთვიმე შენიშნავს, რომ „ესე იოვანე მმარხველი... მეექუსისაცა კრებისა (რომელს გულისხმობს: 681 წ. თუ 691 წ. კრებას? – ე.გ.) შემდგომად იყო მრავლითა ჟამითა... რომელმან-იგი... ფრიად სუბუქად განაწესნა კანონნი შეცოდებულთანი უფროდს სხუათა მამათა“ (მც. სჯულისკანონი, გვ. 86 – მსგავსი შენიშვნა ბერძნულ ტექსტებს არ ახლავთ) როგორც ცნობილია ფსევდო-ავტორთა დასახელება ბერძნულ ტექსტებსაც ახასიათებთ, თუმცა ეს მხოლოდ ეფთვიმეს გამჭრიახმა თეაღმა შეამჩნია, არ შეცვალა ტრადიცია. თუმცა მან, როგორც ჩანს, ვიღაც სხვა, გვიანდელი იოანე მმარხველის არსებობა მაინც დაუშვა, თუმცა ის, რომ იგი კონსტანტინოპოლის პატრიარქადაცაა მოხსენიებული, თავის კომენტარში არ ახსენა, რადგან ასეთი პატრიარქი VIII-X სს. არ არსებულა. ბასილი დიდის ავტორობა მხოლოდ ასე შეიძლება გავამართლოთ: უცნობი რედაქტორი კრებს ძირითადად დებულებებს ბასილი დიდის ეპისტოლარული კანონმდებლობიდან („დიდი სჯულისკანონი“, გვ. 472-503) და უმატებს მას სხვა ისეთი „ცდომილებათა“ შესახებ სასჯელებს, რაც ბასილის არა აქვს თავის კანონმდებლობაში. ამიტომ დაასახელა IX-X სს. უცნობმა შემკრებელ-რედაქტორმა ამ კანონმდებლობის ავტორად ბასილი დიდი.

სამივე სტატიის კანონმდებლობა მეტ-ნაკლები სისრულით ეხება ძირითადად საეკლესიო სასჯელის შემსუბუქებას ისეთი შეცოდე-

ბა-ცთომილებათათვის როგორიცაა: ნებისითი და უნებლიე კაცისკელა, უკანონო სექსუალური კავშირები (სიძვა, მრუშობა, უსაკოთა განხრწნა), სექსუალური პათოლოგია (ჯელით დაცემა, მამათმავლობა, პირუტყვება ანუ პირუტყეთა თანა დაცემა და სხვ. მსგავს). უკანონო ქორწინებები (ნათესაებს შორის, მწვალებლებთან და სხვ.) და ა.შ.

ცნობილი ფაქტია, რომ კერძო პირის კანონმდებლობა მართლმადიდებლურ ეკლესიის სამართალში არ შეიძლება არსებობდეს, თუკი ის მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ არ არის დამტკიცებული (ასეთია საეკლესიო მამათა კანონმდებლობა), ხოლო საეკლესიო სამართლის კოდექსიდან, როგორც თემატიკურ მასალას გამოკრებდნენ და პრაქტიკული გამოყენებისათვის კრებულებს ადგენდნენ. ამიტომ არის, რომ „შეცოდებულთა კანონის“ შემდგენი ჯერ ერთი ავტორიტეტის სახელს ამოეფარა, მეორეც მას ავტორობის პრეტენზია არა აქვს: „ხოლო ესე კანონი არა ჩემ მიერ განწესებულ არიან, არამედ... წმიდათა მოციქულთა მიერ და წმიდათა კრებათა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილის მიერ“, ანდა: „აწ უკუნე ესე ზემოხსენებულნი რომელნიმე აღწერილნი რწულისკანონსა შინა და რომელნიმე უწერელნი ცოდვანი და თუ ვითარ განწესებულ არს პირველთა მამათაგან თითოეულისა ცოდვისა კანონი, ესერა აღმიწერიეს მე გლახაკსა ამას და უღირსსა“ (გვ. 98-99).

ამ სამი სტატიის საერთო თემატიკა აფიქრებინებს კეკელიძესა (ისტორია, გვ. 211) და პ.გ. ბეკს (Kirche und theologische Literatur im Byzantinischen Reich, München, 1959), რომ ეს ერთი თხზულებაა გაყოფილი სამ ნაწილად.

„მცირე სჯულისკანონის“ ბოლო ნაწილი „ძეგლისწერად სარწმუნოებისად“ არის 843 წ. კონსტანტინოპოლის ადგილობრივი კრების მიერ ხატომბრძოლობის წინააღმდეგ გამოტანილი კანონების ბერძნულიდან ეფთვიმეს მიერ შესრულებული მისთვის დამახასიათებელი თავისუფალი თარგმანი (რაც ნათელია მისი მეორე, არსენ იყალთოელის მიერ დედნის მიდევნებით შესრულებულ თარგმანთან შედარებით, რომელიც შეტანილია შიომღვიმის ტიპიკონში – H-349, XIII ს), ამასთანავე მასში ჩართულია ხატმებრძოლების წინააღმდეგ მიმართული ვრცელი ტრაქტატი, რაც არ არის ბერძნულ დედანში და, ამდენად, არსენის თარგმანშიც. ექვთიმეს თარგმანში დამატებულია კრების მოწვევის ისტორიის ამსახველი შესავალიც, რაც არ არის ბერძნულ დედანში. ბერძნული, ქართულის მსგავსი შედგენილობის კრებულები, განსხვავებით ქართულისაგან, „ძეგლისწერას“ არ შეიცავენ. ეფთვიმეს მიერ მისი „მცირე სჯულისკანონში“ შეტანა საქართველოს ეკლესიაში ხატმებრძოლების მწვალებლობის საკითხის აქტუალობით უნდა იყოს ნაკარნახევი (გაეხსენოთ რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერაში“ მოგვიანებით (1105 წ.) დაფიქსირებული კანონი ხატმებრძოლების წინააღმდეგ).

„მცირე სჯულისკანონის“ ტექსტის გამოცემა განხორციელდა ორჯერ:

1. ნ.ზაოზერსკისა და ა. ხახანაშვილის მიერ: Номоканон Иоана Постаника..., М. 1902 (გამოცემულია „კანონი შეცოდებულთანი და „კანონნი დღითი-დღეთა ცთომათანი“).

2. ელ.გიუნაშვილის მიერ (სრული კრებული, ხუთივე ნაწილი), თბილისი, 1972 წ.

„დიდი სჯულისკანონი“. მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის სამართლის ძირითადი კოდექსი – 14-ტიტლოვანი (ანუ ნაწილიანი) ბერძნული ნომოკანონის 883 წელს საბოლოოდ ჩამოყალიბებული რედაქცია XI ს. ბოლოს (ან XII ს. პირველ წლებში) ქართულად პირველად თარგმნა არსენ იყალთოელმა („პირველად“ ვამბობთ იმ იტომ, რომ ზოგიერთი მეცნიერი (ე.ბენეშევიჩი და ივ.ჯავახიშვილი) ფიქრობდა, რომ ამ ძეგლის პირველი თარგმანი X ს. ადრე შესრულდა, რაც არ გამართლდა). მთარგმნელის ვინაობა შემოუნახავეს ქართული თარგმანის ერთ ხელნაწერს – ქუთ25, XII-XIII სს. („...ქრისტიანეთა წინამძღვარი დიდი ესე და სამოქალაქო სჯულისკანონი საუკუნოდ მოკსენებულისა და ჩუენ ქართველთათჳს ფრიად ჭიროთა თაესმდებულისა არსენი იყალთოელისა თარგმნული. საუკუნოდ ყოს ღმერთმან კსენებად მისი!“ – დიდი სჯულისკანონი, გვ.431-540, სქოლიო). ძეგლის თარგმანი შესრულებულია 1105 წლამდე, რადგან ამ წელს მოწვეული რუის-ურბნისის „ძეგლისწერა“ აშკარად სარგებლობს „დიდი სჯულისკანონის“ ქართული თარგმანის ტექსტით (ამის შესახებ ქვემოთ; ორიგინალურ კანონიკურ ძეგლებს შორის „დიდი სჯულისკანონის“ აქ განხილვაც გულისხმობს მის გაელენას თითქმის ყველა ორიგინალურ კანონიკურ თხზულებაზე).

საუბარი ბერძნული დედნის ჩამოყალიბების ისტორიის შესახებ ძალიან მოკლედ ჩვენ ზემოთ გვქონდა და აქ აღარ გავიმეორებთ (იგი ყალიბდებოდა IV-IX სს. განმავლობაში) და მისი ქართული თარგმანის დახასიათებაზე გადავალთ.

„დიდი სჯულისკანონის“ ტექსტი, რომელიც ათამდე XI-XIV სს. ხელნაწერებს შემოუნახავთ, სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: 1) შესავალი ნაწილი, 2) სისტემატური ნაწილი და 3) ძირითადი, კანონთა ტექსტის ნაწილი. თითოეულ ნაწილს არც თუ მარტივი შედგენილობა აქვს, ამიტომ წარმოვადგენთ მათ.

შესავალი ნაწილის პირველ სტატიაში – „შეკრებად კანონთა საეკლესიოთად განყოფილი ათოთხმეტ ნაწილად“ – თითქოს ამ კრებულის შედგენისა და შინაარსის შესახებ უნდა იყოს საუბარი, მაგრამ მოულოდნელად „ათოთხმეტი“ მთარგმნელის (ან გადამწერის?) შეცდომა აღმოჩნდა: ბერძნული აქ $\nu \tau \iota \tau \lambda \delta$ („50 ნაწილს“) უჩვენებს, რაც მთარგმნელმა ვერ გაიგო, ვერ ამოიცნო მასში იოვანე სქოლასტიკოსის 50-ტიტლოვანი კანონიკური კრებულის შესავალი და შეცდომად მიიჩნია და რადგან იგი 14-ტიტლოვან ნომოკანონს თარგმნიდა „50“ „ათოთხმეტად“ გადააკეთა და დედნის „შეცდომა“ გაასწორა. სინამდვილეში ბერძნულ დედანში ყველაფერი სწორადაა: 14-ტიტლოვანი

კრებულის შემდგენელმა ისარგებლა იოანე სქოლასტიკოსის მიერ შედგენილი 50-ტიტლოვანი კრებულის არა მარტო შედგენილობით, არამედ გარკვეული დოზით ამ მასალის სისტემატიზაციის პრინციპითაც, ამიტომ მან საჭიროდ ჩათვალა თავისი ნაშრომისათვის დაერთო წინამორბედი კანონიკური კრებულის წინასიტყვაობაც, როგორც ეს ყველა ბერძნულ ხელნაწერშია. აქ წარმოდგენილია 50-ტიტლოვანი კრებულის შედგენის პრინციპი და შედგენილობა.

შესავალი ნაწილის მეორე სტატია „შესავალი ზანდუკისა თავთაჲსაჲ“ კი უშუალოდ 14-ტიტლოვან ნომოკანონის უძველესი რედაქციის (VII ს.) და მის საფუძველზე 14-ტიტლოვანი ნომოკანონის 883 წ. რედაქციის ფორმირებაზე მოგვითხრობს ე.ი. ეს „შესავალი“ ორი ნაწილისაგან შედგება, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში მხოლოდ 1829 წელს შეამჩნიეს (როზენკამფმა – დიდი სჯულისკანონი, გვ. 41).

ქართული ხელნაწერებიდან მხოლოდ უძველესი (A 124, XI ს.) სინგურით ყოფს ორ წინასიტყვაობას, რომელთა დაწერის დროს ორი საუკუნე მაინც აშორებს ერთმანეთს. თითოეული მათგანი თავისი კრებულის შედგენის ისტორიას, პრინციპებსა და შედგენილობას გვამცნობს.

შესავალი ნაწილის მესამე სტატია „თუ რომელთა კრებათაგან და პირთა ანუ რაოდენნი კანონნი შეკრებულ არიან აწინდელსა ამას შინა წიგნსა“ არა „ნომოკანონის“ საბოლოო რედაქციის შედგენილობას ჩამოთვლის, როგორც ეს სათაურის მიხედვით შეიძლება გვეგონოს, არამედ მისი წინამორბედი VII ს. 14-ტიტლოვანი კრებულის შინაარსს და მისი ადგილი ზემოთ მოტანილი ორი კრებულის გაერთიანებული წინასიტყვაობის პირველი ნაწილის შემდეგ უნდა ყოფილიყო და მისი გადატანა 883 წ. რედაქციის კრებულის წინასიტყვაობის შემდეგ რომელიღაც ბერძნული ხელნაწერის გადაწერის თვითნებობა და საქმეში გაუთვითცნობიერებლობის შედეგი უნდა იყოს, რაც გადმოვიდა ქართულ თარგმანშიც. სხვათა შორის მხოლოდ ამ მასალის მიხედვით შეიძლება 14-ტიტლოვანი ნომოკანონის თავდაპირველი, VII ს. შედგენილობის აღდგენა, რადგანაც მის ბერძნულ ხელნაწერებს დღეს ვეღარ ვხვდებით.

სისტემატური ნაწილი ორი განყოფილებით არის წარმოდგენილი: პირველ განყოფილებაში გაერთიანებულია 14 ნაწილი (ანუ ტიტლოსი) და თითოეული ნაწილი, რომელსაც საკუთარი სათაური აქვს, წარმოგვიდგენს საეკლესიო საკითხთა გარკვეულ წრეს, ასე ვთქვათ მთავარ თემას, ხოლო ამ ნაწილთა მეტ-ნაკლები რაოდენობის თავებში დასახელებულია ცალკეული დაკონკრეტებული საკითხები (მაგ. ნაწილი დ (4): კათაკუმეველთათუს და ნათლისღებისა: თავი ა (1): ვითარმედ არა ჯერ-არს შემდგომად ორთა შჯდელთა მარხვათაჲსა შეწყწარებაჲ ნათლისღებად. თავი ბ (2) მფუცავეთათუს, თავი გ (3) თუ ვითარ ჯერ არს ნათლისცემაჲ და ა.შ. სულ ი~ზ / 17 თავი (ამ ნაწილების გამო უწოდებენ „14-ნაწილიან დიდ სჯულისკანონს“ ანდა „14-ტიტლოვან

ნომოკანონს“). სისტემატური ნაწილის მეორე განყოფილებაში თავიდან არის განმეორებული პირველი განყოფილების მონაცემები და შემდეგ თითოეული თავის დასახელების ქვეშ წარმოდგენილია იმ კრებათა და წმ. მამათა კანონთა დასახელება, რომელიც პასუხობს ამა თუ იმ ნაწილის გარკვეულ თავში დასმულ საკითხს, ხოლო ამ კანონთა ტექსტების მოძებნა დაუბრკოლებლად შეიძლება „დიდი სჯულისკანონის“ ძირითად ნაწილში (მაგ. ავილით იგივე დ(4) ნაწილის თავი გ(3) „თუ ვითარ ჯერ-არს ნათლისცემად: მოციქულთა კანონნი მო(49), ნ(50); მეექუსისა კრებისა კანონი ნთ(59)“ და ა.შ. აქვე წარმოდგენილია ამ საკითხების შესახებ სამოქალაქო კანონმდებლობის სრული ტექსტი: „ხოლო მეთვე განწესებად მერვისა ნაწილისა პირველისა წიგნისა კოდიკონისი ბრძანებს ...“ და ა.შ. ერთ ხელნაწერში (H-1670, XII-XIV სს.) სისტემატური ნაწილის I განყოფილება არა არის (მაროლაც ზედმეტი). სისტემურ ნაწილში ქართული თარგმანის მიმართება წყაროსთან აღნუსხულია „დიდი სჯულისკანონის“ გამოცემის ნარკვევში, გვ. 48-64.

„დიდი სჯულისკანონის“ ძირითადი, მესამე ნაწილი აერთიანებს საეკლესიო კანონების ტექსტებს იმ წყაროების სახელდებით, რომელმაც ისინი დაადგინა. წარმოვადგენთ მათ შემოკლებული სათაურებით იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს „დიდ სჯულისკანონშია: „ა(1) კანონნი წმიდათა მოციქულთანი (85 კანონი), 2. ნიკეის I მსოფლიო კრება (325 წ. 20 კანონი). 3. ანკეირიის (314 წ.) ადგილობრივი კრება (25 კანონი). 4. ნეოკესარიის (314-325 წწ.) ადგილობრივი კრება (15 კან.), 5. ღანგრის (340 წ.) ადგილობრივი კრება (21 კანონი). 6. ანტიოქიის (341 წ.) ადგილობრივი კრება (25 კანონი). 7. ლაოდიკიის (343 წ.) ადგილობრივი კრება (59 კანონი). 8. კონსტანტინოპოლის (381 წ.) II მსოფლიო კრება (7 კანონი). 9. ეფესოს (431 წ.) III მსოფლიო კრება (8 კანონი). 10. ქალკედონის (451 წ.) IV მსოფლიო კრება (30 კანონი). 11. სარდიკიის (343 წ.) ადგილობრივი კრება (20 კანონი). 12. კართაგენის (419 წ.) ადგილობრივი კრება (138 კანონი). 13. კონსტანტინოპოლის (394 წ.) ადგილობრივი კრება (1 კანონი). 14. კონსტანტინოპოლის მეექვსე (ტრულის) მსოფლიო (691 წ.) კრება (102 კანონი). 15. ნიკეის (787 წ.) VII მსოფლიო კრება (22 კანონი). 16. კონსტანტინოპოლის I-II (861 წ.) ადგილობრივი კრება (17 კანონი). 17. კონსტანტინოპოლის (879 წ.) ადგილობრივი კრება (3 კანონი). 18. დიონისე ალექსანდრიელის (+265 წ.; 4 კანონი). 19. პეტრე ალექსანდრიელის (+311; 15 კანონი). 20. გრიგოლ ნეოკესარიელის (+270; 1 კანონი, ეპისტოლე). 21. ათანასე ალექსანდრიელის (+373; 2 კანონი, ეპისტოლე). 22. ბასილი დიდის (+379; 91 კანონი). 23. გრიგოლ ნოსელის (+395; 8 კანონი). 24. გრიგოლ ნაზიანზელის (+389; 1 კანონი). 25. ამფილოქე იკონიელის (+395; 1 კანონი). 26. ტიმოთე ალექსანდრიელის (+385; 15 კანონი. (კითხვა-მიგება). 27. თეოფილე ალექსანდრიელის (+412; 14 კანონი). 28. კირილე ალექსანდრიელის (+444; 7 კანონი). 29. გენადი კონსტანტინეპოლელის (+571; 1 კანონი- ეპისტოლე). 30. მარტირი ეპისკოპოსისა ანტიოქელისა (1 კანონი- ეპისტოლე). 31. ათანასე ალექსანდრიელის (+379; 1 კანონი-

ეპისტოლე; იხ. შემოთ მისივე §21). („დიდი სჯულისკანონის“ გამოცემაში ამ ძეგლის ძირითად კანონთა ტექსტების ნაწილში აღრიცხულია განსხვავებული დეტალები ქართულ თარგმანსა და ბერძნულ გამოცემებსა თუ ხელნაწერებს შორის – იხ. გვ. 64-72).

„დიდი სჯულისკანონის“ არსენ იყალთოელისეული თარგმანი მოგვიანებით, დაახლოებით XIII ს-ში გამხდარა, ასე ვთქვათ, რევიზიისა და შეესების საგანი, რასაც ამ ძეგლის ორი XIII და XIII-XIV სს. ქართული ხელნაწერები გვიჩვენებენ. საქმე ისაა, რომ არსენმა ბერძნული დედნის სისტემატურ ნაწილში წარმოდგენილი სამოქალაქო კანონმდებლობის ტექსტი სრული მოცულობით არ თარგმნა, უფრო სწორად თარგმნა მცირე ნაწილი ალბათ იმიტომ, რომ ბუერი მათგანი უკვე მოძველებული იყო და ხმარებიდან ამოღებული თვით იმდროინდელ ბიზანტიაში, ხოლო საქართველოს ეკლესიისათვის მათ პრაქტიკული მნიშვნელობა არც ექნებოდა. ამიტომ არსენმა მათი მცირე ნაწილი მაინც თარგმნა თხზულების ჩამოყალიბების ისტორიის ნიმუშების სანევენებლად და სამოქალაქო კანონმდებლობის წიგნებზე (ნოველები, დიგესტონი, კოდექსი და ა.შ.) კონკრეტული მითითება მხოლოდ აქაიქ მოგვცა (დედანში დაწვრილებით არის მითითებული თითოეული მათგანის წიგნი, მისი ნაწილი, განწესების ნომერი და ა.შ.). სწორედ არსენის მიერ უგულვებელყოფილი ეს ტექსტები ზედმიწევნითი სისრულით გადმოიღო უცნობმა ქართველმა „ქედანტმა“ მთარგმნელმა, რაც მოცულობით ვრცელ ნაშრომს წარმოდგენს (ხელნაწერი, ქუთ. 17, XIII ს. დიდი სჯულისკანონის გამოცემაში სამოქალაქო კანონმდებლობის ის ტექსტი, რაც გვიანდელი თარგმანია, პეტიტით არის აწყობილი). „დიდი სჯულისკანონის“ ტექსტზე მუშაობა ამით არ დამთავრებულა: ერთი XIII-XIV სს. ხელნაწერი (H-1670), რომელსაც ეს „შეესებული“ დიდი სჯულისკანონის ტექსტი გადაუწერია, ხელახლა შეუდარებია ბერძნული დედნის რომელიღაც ხელნაწერთან, შეუესია (პეტრესა და პაულეს სახელით ცნობილი, აპოკრიფული ორი „განწესებით“) და უსწორებია ქართული ტექსტი (განსაკუთრებით „დიდი სჯულისკანონის“ შესავალ ნაწილში). ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ხელნაწერებში „დიდი სჯულისკანონის“ სამი რედაქცია გვაქვს დაცული: 1. პირველი არსენ იყალთოელის თარგმანი (ძველი 8 ხელნაწერი) 2. ქუთ. 17, XIII ს. ხელნაწერში წარმოდგენილი და 3. H-1760, XIII-XIV სს. ნასწორები.

„დიდი სჯულისკანონი“ – ქრისტიანული ეკლესიის ძირითადი კანონიკური კოდექსის ეს ქართული თარგმანი უმნიშვნელოვანესი ძეგლია, რომლის წყალობითაც ეყუთვიმე მთაწმიდელის „მცირე სჯულისკანონით“ საფუძველჩაყრილი ქართული კანონიკური მწერლობა ქართული სასულიერო მწერლობის სრულფასოვანი დარგი გახდა. XII ს. შემდეგ არც ერთი ქართული კანონიკური თხზულება არ შექმნილა, რომელიც მის დებულებებს არ ითვალისწინებდეს. ამ ძეგლის ქართულად თარგმნა, ჩვენი აზრით, საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი საეკლესიო კრების, 1105 წელს მოწვეული

რუის-ურბნისის კრების მოწვევის თადარიგთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული და შესაძლოა, დავით აღმაშენებლის ბრძანებით არსენ იყალთოელმა იგი თარგმნა შავ მთაზე მოღვაწეობის ბოლო პერიოდში კალიოზის ქართველთა მონასტერში (რუის-ურბნისის „ძეგლისწერი“ სინოდოკონში არსენი ასე მოიხსენიება: „სჯულიერისა მოღვაწისა, არსენი მონასტრისა, კალიპოსელისა“), ჩამოიტანა საქართველოში და რუის-ურბნისის კრებამაც კანონმდებლობაში ამ ძეგლით იხელმძღვანელა (დაწერილებით ამის შესახებ ქვემოთ).

„დიდი სჯულისკანონი“ ტექსტის ჯერჯერობით ერთადერთი გამოცემა ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებმა განახორციელეს („დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ეგაბიძაშვილმა, ეგიუნაშვილმა, მდოლაქიძემ და გინუამ, გამოკვლევა და რედაქცია ეგაბიძაშვილისა, თბილისი, 1975 წ. გამოკვლევა 3-99 (რუს. რეზიუმეთურთ), ტექსტი 100-559 (რუის-ურბნისის ძეგლის წერით), ლექსიკონი – გინუასი, გვ. 560-583; იურიდიული ტერმინები – მდოლაქიძისა, გვ. 584-609; საძიებლები – ეგიუნაშვილისა, გვ. 611-625).

ბიზანტიური მწერლობის კანონიკური ძეგლების თარგმნა, რომელიც ჯერ-ჯერობით ხელმისაწვდომი წყაროების მოწმობით ეყუთვიმე მთაწმიდელმა დაიწყო და ბერძნული 14-ტიტლოვანი ნომოკანონის არსენ იყალთოელისეული თარგმანით – „დიდი სჯულისკანონით“ დაგვირგვინდა, ამით არ ამოწურულა. ამ ძირითადი საეკლესიო კოდექსის საკანონმდებლო მასალის პირდაპირი გამოყენებით, თუ მისი გათვალისწინებით საეკლესიო პრაქტიკული საჭიროებისათვის და მორწმუნეთა კერძო მოხმარების მიზნით ბიზანტიურ მწერლობაში დგებოდა პატარ-პატარა კანონიკური კრებულები სხვადასხვა, კონკრეტული „პროფილის“ საკითხების ირგვლივ, როგორც ნომოკანონის საეკლესიო კანონმდებლობიდან, ასევე მისი სამოქალაქო კანონმდებლობიდან საეკლესიო საკითხების შესახებ. ზოგი ასეთი კრებული ქართულადაც უთარგმნიათ. თარგმნილია აპოკრიფულად მიჩნეული რამდენიმე კანონიკური ძეგლიც, ზოგიერთი კრების რამდენიმე კანონის ვრცელი კომენტარი და ა.შ. ძალიან მოკლედ თითოეული მათგანის შესახებ.

„სახსნილონი სულმცირენი დიდთა რჩულისკანონთაგან გამოცემულნი“ – სახელწოდებიდანაც ჩანს, რომ საეკლესიო მარხვათა შესახებ (მათი რაოდენობა და ვადები და სხვა საკითხები) გამოკრებილია „სჯულისკანონიდან“ – კრებული (A-1096, 50-56), რომელიც ალბათ თარგმნილია, მაგრამ მასში შეტანილია ქართული მასალაც: ვრცლად არის ლაპარაკი „ალაჯორის“ (სომხური ეკლესიის) მარხვის აკრძალვის შესახებ: „ალაჯორისა კურიაკე მსგეფსამდი ხსნილი არს ყოველთა კაცთა ქრისტიანეთაგან და ვინც იმარხვიდეს ერისკაცი ჳორცითა, მოწესენი წუელითა და კუერცხითა კრულ, წყეულ და შეწუნებულ იყენენ შუდთა კრებათა მადლითა“ (კ.ეკელიძე, ... ისტორია I, გვ. 565).

„დაყენებულთა და უჯეროთა ქორწინება–მზახლობისათვის და განგდებულთა“ – მიახლოებით XIII-XIV სს. უნდა იყოს ნათარგმნი, არც

შემდგენელი და არც მთარგმნელი ცნობილი არ არის. მისი პირველი ნაწილი ამოღებულია იმპერატორ ბასილი მაკედონელის სამოქალაქო კანონმდებლობის წიგნიდან „პროხირონის“ მეშვიდე ნაწილიდან (ტიტ-ლოსიდან; ქართულ თარგმანში პირველ ნაწილს აწერია: „ტინტლოსი მეშუდე“) და გარკვეულია სამი სახე სისხლით ნათესაობისა – „აღმართი“ ე.ი. აღმავალი, „შთამართი“ ე.ი. დაღმავალი და „მგუერდილობითი“ ე.ი. გვერდითი. საუბარია ნათლისღებითი და შვილობილობითი ნათესაობის შესახებ და მათ შორის ქორწინების შესაძლებლობა–შეუძლებლობის ირგვლივ. მეორე ნაწილის სათაურია: „ხარისხისათვის ნათესაობისათა მესამისაგან წიგნისა ანასტიტუტონთასა“ ე.ი. იუსტინიანე დიდის სამოქალაქო კანონმდებლობის ძეგლის „ინსტიტუციონის“ მესამე წიგნი, რომელშიც აღწერილია ექვსი ხარისხი თითოეული ზემოდანსახელებული სისხლითი ნათესაობის სამი სახისა (A-85, 48-50. ჩამატებულია XVI ს. ხელით).

გაცილებით გვიან 1785 წ. იოანე ქსიფილინოს-პაპუწიშვილმა ბერძნული ენიდან ქართულად თარგმნა მანუელ ქსანთინოსის (XVI ს.) მიერ სხვადასხვა კანონიკური ძეგლებიდან გამოკრებილი მსგავსი თხზულება: „ქორწინებისა თავთათუს“ (A-711).

თხზულების პირველი ნაწილი, შედგენილი მათე ბლასტარის „სუნტაგმის“ მიხედვით, ეხება ნათესაობის ხუთ სახეს (სისხლის, მძახლობის, სამნათესაობის, ნათლისღების და შვილობილობის), ხოლო მეორე ნაწილში წარმოდგენილია დიაგრამები – თუ რომელ ნათესაობაში, რომელ ხარისხამდე შეიძლება ქორწინება და რომელიც თვითონ შეუდგენია ქსანთინოსს. კანონიკური მწერლობის XI ს. ძეგლად არის მიჩნეული XII ს-ში ნათარგმნი თხზულება „კითხვანი მონაზონისა ვისნიმე, რომელთა აჰსნა გამოსცა პეტრე პატრიარქმან ხარტოფილაქსმან“. ძეგლი ეხება საეკლესიო-სარწმუნოებრივი ცხოვრების ისეთ კანონიკური საკითხების განხილვას, რაც ნომოკანონში არ შესულა¹⁰⁶.

ანტონ I 1776 წ. სომხური ენიდან თარგმნა (თუ ათარგმნინა) ეფესოს III მსოფლიო კრების აქტები (A-618)¹⁰⁷. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევაა ქართულად მსოფლიო საეკლესიო კრების აქტების სრულიად თარგმნისა (ნაწყვეტები VI მსოფლიო კრების აქტებიდან თარგმნა ეფთვიმე მთაწმიდელმა და შეიტანა „მცირე სჯულისკანონის“ შესავალში და მაქსიმე აღმსარებელის „ცხოვრებაში“).

კანონიკური ხასიათისაა ლიტურგიკული ძეგლი „აღსარება კეთილთა საქმეთა წინააღმდგომად ცოდვისათა“ (A-711), რომელიც ბერძნულიდან იოანე ქსიფილონოს-პაპუწიშვილს უთარგმნია 1785 წ. თხზულება შეიღი ნაწილისაგან შედგება და თითოეულ მათგანში ის ცოდვებია ჩამოთვლილი, რომელიც წინ აღუდგება 1) სარწმუნოების კეთილ საქმეს, 2) სასოებას, 3) სიყვარულს და ა.შ. თხზულება შექმნილია მონაწილების ინსტიტუტის გასაძლიერებლად.

106 В. Бенешевич, Ответы Петра Хартофилаксы, конца XI в., Записки АН, т VIII, IV¹-14, 1909.

107 I. Rucker, Ephesinische Konzilsakten in armenisch-georgischer Überlieferung, München, 1930.

„დიდი სჯულისკანონის“ ერთადერთ XIII-XIV ს. ნუსხას (H-1670) შემოუნახავს ორი კანონიკური, აპოკრიფული თხზულების ქართული თარგმანი: „განწესებანი ... პაელესნი საეკლესიოთა კანონთათჳს“ (17 კანონი) და „განწესებანი წმიდათა მოციქულთა პეტრე და პაულესნი“ (17 კანონი – დიდი სჯულისკანონი, გვ. 226-230). ეს არის ე.წ. „მოციქულთა დადგენილებების“ რეაწიგნეულის მერვე წიგნი, რომელიც VI კრების მე-2 კანონით აკრძალულ წიგნებად არის გამოცხადებული და ბოლოს, „დიდი სჯულისკანონის“ ზოგ ხელნაწერს თავის დამატებით ნაწილში შეუტანია დაახლოებით XIII-XIV სს.-ში ნათარგმნი რამდენიმე საინტერესო კანონიკური თხზულება:

1) „კანონი მეექუსე კართაგენს შეკრებილთა... მამათა, რათა საცხებელი ხუცესთა მიერ არა იქმნებოდის“ (A-76, 251-254, XVI ს. ხელით).

2) კანონი მეშუდე კართაგენს შინა ... ძვრთა შინა შთავრდომილთა დაგებისათჳს (A-76, 255-260).

3) კართაგენის შინასა წმ. კრებისა კანონი ორმეოცდამესამე „შემნანებელთათჳს“ (A-76, 260-280).

4) კანონი სამეოცდამეცხრე წმ. მოციქულთაჲ ორშაბათ-პარასკევთათჳს (A-76, 280-299). აქ წარმოდგენილია დასახელებულ კანონთა დაწერილებითი კომენტარები¹⁰⁸.

რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერა“. პირველი საეკლესიო კრება საქართველოში, რომლის კანონმდებლობამ სრულად მოაღწია ჩვენამდე „ძეგლისწერის“ სახით, მოწვეული იყო დავით აღმაშენებლის ინიციატივითა და ბრძანებით („რომელ მოსწრავებით შემოკრებაჲ უბრძანე შენ“) 1105 წ. რუისისა და ურბნისის ეპარქიების მომიჯნავე ტერიტორიაზე („მახლობლად საეპისკოპოსთა – რუისისა და ურბნისისა“), ამიტომ იგი ცნობილია რუის-ურბნისის კრების სახელით. ამ კრების მიერ დადგენილი კანონები დავით აღმაშენებლის სახელმწიფოებრივი და საეკლესიო ფართომასშტაბიანი რეფორმების ერთი ნაწილია, რომელსაც საფუძველი უნდა დაედო არა მარტო ეკლესიის სრულყოფილი ორგანიზაციისათვის, არამედ ერის ეთიკურ-მორალური აღორძინებისათვის, რაც სახელმწიფოს პოლიტიკური ძლიერების საწინდარი იქნებოდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ კრების მოწვევისა და, თავისთავად ცხადია, მისი „ძეგლისწერის“ შედგენის თარიღად წყაროების არაპირდაპირი ჩვენების მიხედვით 1103 წელი დამკვიდრდა, მაგრამ ბოლო ხანების გამოკვლევით ამ თარიღმა ორი წლით გვიან, 1105 წელს გადაიწია¹⁰⁹.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრება არ იყო რიგითი ადგილობრივი კრება, ის „საგანგებო და განსაკუთრებული ყრილობა ყოფილა“¹¹⁰,

108 გამოცემულია კაქეელიძე, ეტიუდები IX, 1963, გვ. 31-122.

109 ეგაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, თბილისი, 1978, გვ. 14-19.

110 იეჯავახიშვილი, შრომები, VI, თბილისი, 1982, გვ. 54.

ამიტომ ეტყობა მის ორგანიზებას მრავალ დეტალში მსგავსება მსოფლიო კრებათა მოწვევის ორგანიზებასთან¹¹¹, რაც ჩანს დაეთ ალმაშენებლის ისტორიკოსის ამ კრების „ძეგლისწერის“ შეფასებაშიც: „ძეგლი შეუნიერი ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა აღწერეს მიმდგომი და მოწამე წმიდათა ათორმეტთა კრებათა“¹¹².

„ძეგლისწერის“ ავტორის საკითხის დასმა უხერხულიც კი არის, რადგან ნებისმიერი საეკლესიო კრების მიერ (მსოფლიო იქნება ის თუ ადგილობრივი) შემუშავებული კანონმდებლობა კოლექტიური, კრებაზე დამსწრე მამების განსჯის შედეგია და მათ არ შეიძლება კონკრეტული ავტორი ჰყავდეს (არავის უძებნია, მაგალითად, ნიკეის I მსოფლიო კრებაზე დადგენილი 20 კანონის ტექსტის ავტორი), მაგრამ ჩვენს შემთხვევაში გვაქვს არასტანდარტული ვითარება: „ძეგლისწერა“ არის კანონიკური ძეგლი, რომელიც აერთიანებს ოთხ ნაწილს: 1. საკმაოდ ვრცელი შესავალი წარმოადგენს ერთგვარ ტრაქტატს თეოლოგიურ-ფილოსოფიური თვალთ დანახული სამყაროს, ადამიანისა და ქრისტიანული სარწმუნოების წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორიის შესახებ. 2. კანონთა ტექსტები. 3. ქება ანუ შესხმა ცალკე გამოყოფილი სათაურით „მეფესა დაეთს მონაზონი არსენი“ 4. სინოდისკონი ანუ მოსახსენებლები: „მრავალკამიერი“ ცოცხალ, კრებაზე დამსწრე სამეფო ოჯახის წევრთა და სასულიერო იერარქიის წარმომადგენლებისა და „საუკუნო ვსენება“ გარდაცვლილთა. როგორც ვხედავთ შესავალი ნაწილი და „შესხმა“ ინდივიდუალური შემოქმედების ნაყოფია, ხოლო კანონთა ტექსტები და სინოდისკონი კი – კოლექტიური სჯაბაასისა, მაგრამ მათი აზრობრივ-ფრაზეოლოგიური ფორმულირება შესავლისა და „შესხმის“ ავტორსავე უნდა ეკუთვნოდეს, ხოლო ვინ არის ეს პირი, ჩანს „შესხმის“ სათაურში – „მონაზონი არსენი“. კონკრეტულად რომელი არსენი იგულისხმება აქ, დღემდე საკამათო გახდა – არსენ იყალთოელი, არსენ ვახუშტი, არსენ ბერი, არსენ კალიპოსელი. ჩვენი აზრით ეს არის „სჯულიერი მოღვაწე არსენ მონაზონი, კალიპოსელი“, როგორც ეს მან თავისი ხელით ჩაწერა „ძეგლისწერის“ სინოდისკონში, იგივე არსენ იყალთოელი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ იყო სირიაში, ანტიოქიის მახლობლად მდებარე შავი მთის ქართველ მონაზონთა მონასტრის, კალიპოსის წევრი და რომელმაც თარგმნა „დიდი სჯულისკანონი“ „ძეგლისწერის“ კანონების დებულებათა ძირითადი წყარო, შესაძლებელია კალიპოსის მონასტერშივე¹¹³.

„ძეგლისწერის“ შემადგენელი ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურად არის დაკავშირებული და ერთიდან მეორეზე გადასვლა ორიგინალური და ოსტატურია.

111 ე.გაბიძაშვილი, დასახელ. წიგნი, გვ. 20-28.

112 ქართლის ცხოვრება I ოპილისი, 1955, გვ. 328.

113 დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ე.გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერა“, ოპილისი, 1978 წ. გვ. 29-72.

თხზულების შესავალში მოთხრობილი ძველი და ახალი აღოქმის წიგნების მოკლე შინაარსი, ქრისტიანობის დამკვიდრების ისტორია ბიზანტიაში და საქართველოში და მის მიერ შემუშავებული საეკლესიო კანონმდებლობის ძირითადი კოდექსის შინაარსის სრული ჩამონათვალი, რუის-ურბნისის კრების მოწვევის მიზეზებისა და მიზნების წარმოჩენა, ემსახურება „ძეგლისწერაში“ წარმოდგენილი კანონმდებლობის იურიდიულ საფუძვლებების ჩვენებას და იმის ნათელიყოფას, რომ იურიდიული ნორმები აუცილებელია საზოგადოების განსაჯანსაღებლად. თხზულების შესავალში დასმულ საკითხთაგან ჩვენ განსაკუთრებით მნიშვნელოვანად გეგმივთვლით 1. აქ პირველად არის წამოჭრილი დავით აღმაშენებლის „განდგმრობის“ ანუ თეოზისის იდეა: „კეთილად ებაძვა შურსა ჩუენიცა ესე გვრგვინოსანი მრჩობილ-მარჯუნე და შეყუარებული გვრგვინი თავისა და სასურველი ძე დავით“ (გვ. 183), რაც „შესხმაში“ უფრო ნათლადაა წარმოჩენილი: „ბუნებით ღმერთი, მადლით ღმერთქმნულთა შორის“ (გვ. 194.). 2. ნინო განმანათლებელთა და-კავშირებული დეტალები. 3. ქართველთა სარწმუნოებრივი სიწმიდის თეზისი („...გარნა არათუ უბიწოებასა ქართველთა სარწმუნოებისასა ბიწი რამე შეკხებოდა, ნუ იყოფინ ესე! რა გეცრუენთ შენ, სიწმიდით მშობელო ჩუენო კათოლიკე ეკლესიო, არცა განგცეთ შენ, სიქადულო ჩუენო მართლმადიდებლობაო, რომლისა არცა განმცემელქმნილ ვართ...“). 4. საინტერესო მსჯელობის საგანი გახდა სამეცნიერო ლიტერატურაში (კეკელიძე, ივჯავახიშვილი) „ძეგლისწერის“ შესავალში წარმოდგენილი მოციქულთა, კრებათა და წმ. მამათა კანონების ჩამონათვალის ე.ი. საეკლესიო სამართლის კოდექსის შედგენილობის განსხვავება „დიდი სჯულისკანონის“ ძირითად ნაწილთან – კანონთა ტექსტებთან. ეს განსხვავება კი, მართლაც, თვალში საცემია. საქმე ისაა, რომ „ძეგლისწერა“ ამ სიას იღებს არა „დიდი სჯულისკანონის“ ძირითადი ტექსტიდან, არამედ მისი შესავალი ნაწილიდან, სადაც მოცემულია „ძეგლისწერის“ მსგავსი სია, რაც შემწინეველი დარჩათ მკვლევართ. 5. შესავალში წარმოდგენილი რამდენიმე კრების კანონთა რაოდენობა და თემატიკაც სინამდვილეს არ შეესაბამება და შეცდომების მიზეზები ჯერ კიდევ საძიებელია.

„ძეგლისწერის“ ძირითადი ნაწილი უჭირავს კრების მიერ დადგენილ კანონმდებლობის ტექსტებს, რომელიც კანონებად არ არის დაყოფილი არც ერთ ხელნაწერში და ამიტომ მათი გამოყოფა და კანონთა რიცხვის დადგენა მკვლევართა შორის უთანხმოების საგანია. ამ ძეგლის პირველ, (დ. ბაქრაძის 1863 წ.) და მეორე (თ. ჟორდანიას 1882 წ.) გამოცემებში ტექსტი კანონებად დაყოფილი არ არის. ზოგი 15 კანონს გამოყოფს, ზოგი 16-ს და ზოგიც 17-ს. უკანასკნელ გამოცემაში ტექსტის შინაარსობრივი დანაწილების საფუძველზე გამოყოფილია 19 კანონი¹⁴. კანონთა შინაარსი მრავალფეროვანია, მაგრამ ორიგინალ-

ბით გამოირჩევა პირველი კანონი, რომელსაც კანონის ფორმა არა გვაქვს და ფაქტიურად საქართველოს ეკლესიაში ჩატარებული მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილების შესახებ რეზიუმეს მსგავსი მოკლე თხრობაა: 1. „და პირველად ეპისკოპოსნი ვინმე ვერ ღირსებით შემოსრულნი პატივსა მღვდელთმთავრობისასა და უღირსნი ... განგუგუოენით ... და ნაცვალად მაოდა სხუანი დაეადგინენით...“¹¹⁵. ე.ი. არ ჩანს დასკვნითი, სასჯელის ნაწილი. დანარჩენ კანონებში მოცემულია შესრულებისათვის აუცილებელი დებულებები და მათი დარღვევისათვის შესაბამისი სასჯელის ზომები ასეთი თანმიმდევრობით: 2. სასულიერო იერარქიის ყოველ საფეხურზე ხელდასხმისათვის საჭირო ასაკი, 3. ერთი პირისათვის თითოეულ თანამდებობაზე დანიშნვებს შორის აუცილებელი შეადელი. 4. ხელდასმის წესის აღსრულება მხოლოდ გიორგი მთაწმიდელის „დიდი კურთხევის“ მიხედვით. 5. ხელდასხმისათვის ქრთამისა და „საფასის“ აღების ანუ „სიმონიის“ დაგმობა. 6. სამღვდლო ტერტელთა ხელშეუხებლობა. 7. ეკლესიის საკურთხეველის გარეთ ნათლისცემის, ქორწინებისა და მონაზონის სქემის კურთხევითა აკრძალვა. 8. გვირგვინთა კურთხევის დღესეე აუცილებლად ზიარების საიდუმლოს აღსრულება. 9. მეორე ქორწინების ანუ „მეორეთა გვრგვნთა მაკუროხეველ“ ხუცესს ეკრძალება ქორწილის სუფრაზე („სამხრად“) მისვლა. 10. ქალის საქორწინო ასაკის (12 წელი) განსაზღვრა, მანამდე კი, თუ იგი მცირეასაკოვანია, დაწინდვის რიტუალის შესრულება, თუ კი მშობლებს ეს სურთ. 11. ხორებისკოპოსის კანდიდატის მღვდელთა ან დიაკონთაგან გამორჩევის პრეროგატივა კათალიკოსისა და ეპისკოპოსების უფლებამოსილებაა. 12. მონასტრებში მოძღვართა რიცხვის განსაზღვრა. 13. „კრებულთა დასხდომისა“ (ე.ი. სუფრის გაშლის) და საეპარქო ფარდულების ეკლესია-მონასტრების ეზოებში აკრძალვების შესახებ. 14. ერთდროულად სულთა რამდენიმე შესაწირავის, „წინადაგების“ აკრძალვა ერთ საკურთხეველში რამდენიმე მღვდლის შესრულებით. 15. სომეხ მონოფიზიტთა („ხაჩეცართად“) მართლმადიდებლურად მონათვლის რიტუალის აღსრულება (რა თქმა უნდა, ვისაც სურვილი ჰქონდა), 16. ქრისტიანის სხვა რელიგიის წევრთან ან მწვალებელთან ქორწინების აკრძალვა (თუ ისინი მართლმადიდებელნი არ გახდებიან), 17. წარმომადგენლობითი („კიდეს-კიდე“) ქორწინების (როცა ჯვარისწერაზე საქმროს ან საპატარძლოს მაგივრად მისი წარმომადგენელია) აკრძალვა. 18. სოდომური ცოდვის, მამათმავლობის დასჯის უკიდურესი ზომის დადგენა („ცოცხლიე ჯოჯოხეთად შთამხდელი რისხეა“), 19. ხატთმებრძოლეობის წვალების დაგმობა.

„შესხმა. დავით მეფეს – მონაზონი არსენი“, რომლის სათაურიც სინგურით (წითელი მელნით) არის ნაწერი ყველა ხელნაწერში, დასაწყისშივე ხაზს უსვამს, რომ კრების მიერ დასხმული კანონები მეფის სამსჯავროზე გამოტანილი: „ამათდა მომართ რასა იტყვ,

რასა სიბრძნის-ჰმოყვარებ შენ?" და ეპითეტებისა და ატრიბუტების ნიაღვრის შემდეგ, რომლებითაც მეფეს მიეწერება სულიერი და უსულო ბუნების საოცრებათა ყველა თვისება, ყველა დროის მითიურ და რეალურ გამოჩენილ პიროვნებათა ყველა ღირსება, ისევე ეკითხება ამას: „საონო-უნან ესენი მყუდროებასა შენსა? განსვენებულ არსა მათ სედა სიბოროტისა სულთაჲ მღვენელი დავეთიანნი სული შენი? რომელნი იგი აწ ძღუნად მოგაროუნა შენ მწყობრმან სუნთა ამათ ნაზირეველთა სიმრავდისამან“. შეიძლება ითქვას, რომ „შესხმის“ აქ იგივე დანიშნულება აქვს, რაც მსოფლიო კრებაზე კრების მიერ ბიზანტიის იმპერატორთათვის (რომლებიც კრებათა მოწვევის ინიციატორები იყვნენ) ეპისტოლის მირთმევას, რომელშიც შეჯამებული იყო ქრისტიანობის განვლილი პერიოდის უმთავრესი მოვლენები (შეადარე „ძეგლისწერის“ შესავალს) და რომელსაც ერთვოდა კრების მიერ გამოტანილ კანონთა ტექსტები ე.ი. კრების „ძეგლისწერა“ (მაგ. ტრულის კრების (691 წ.) მიერ დასხმულ 102 კანონის ტექსტებს წინ უძღვის: „მიწერილი წმიდისა ამის კრებისაჲ კეთილად მსახურისა მეფისა იუსტინიანეს მიმართ, რომელსა შეუდგინეს მათ მიერ დასხმულნი კანონნი“ – დიდი სჯულისკანონი, გვ. 365).

„ძეგლისწერის“ IV ნაწილი, სინოდისკონი ანუ მოსახსენებლები წარმოადგენს სამეფო ოჯახის ცოცხალ წვერთა და კრების საქმიანობაში მონაწილე სასულიერო ელიტის წარმომადგენლების „მრავალყამიერს“ და საქართველოს ეკლესიის გამორჩეულ გარდაცვლილ პირთა „საუკუნო ვსენებას“. სინოდისკონი „შესხმის“ უშუალო გაგრძელებაა და ერთიდან მეორეზე გადასვლა ორიგინალურად არის გაკეთებული: მოსახსენებლები უნდა დაწყებულიყო საქართველოს მეფის „მრავალყამიერით“, მაგრამ აქ ერთი უხერხულობა შეიქმნა: დავითი კი იყო საქართველოს ოფიციალური მეფე, მაგრამ ცოცხალი იყო აგრეთვე მამამისი – გიორგი II, გადამღვარი, მაგრამ მაინც ფორმალური მეფე. აქ „შესხმის“ ავტორმა ორიგინალური გადაწყვეტილება მიიღო: მან ქება დაამთავრა კრების მონაწილეთა სახელით დავითისადმი მიმართული „ლაღადისით“: „დავით კეთილად მსახურისა და ღმრთივდაცეულისა მეფისა ჩუენისა მრავალცა არიან წლები“, ხოლო სინოდისკონი დაიწყო გიორგი მეფის მოხსენიებით, შემდეგ უმცროს-უფროსობით ახსენა მარიამ ბიზანტიის დედოფალი, დავითის მამიდა, და შემდეგ, ისევე გაიმეორა დავითის მოსახსენებელი მთელი მისი სამეფო ტიტულატურით.

სინოდისკონში, როგორც ცოცხლებში ასევე გარდაცვლილთა შორის ბევრი ცნობილი საეკლესიო მოღვაწეა მოხსენიებული: კრების თავმჯდომარე – საქართველოს პატრიარქი იოანე (საფარელი), მწიგნობართუხუცესი გიორგი მონაზონი (მაღლე – ჭყონდიდელიც), არსენ კალიპოსელი (იგივე იყალთოელი); გარდაცვლილებში იხსენიებიან: ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდლები, დავით ტბელი და სტეფანე სანანოისძე, საბა სულაისძე, ანტონ ტბელი, ეფრემ მცირე, ეფთვიმე გრძელი, მაგრამ ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის დადგენილი ვინაო-

ბა შემდეგ პირთა: ცოცხლებში მოხსენიებული „წმიდა ბერი და სულიერი მამა ჩუენი“ ევსტრატის მონაზონი, რომელიც კათალიკოსის შემდეგ მოიხსენიება, ხოლო გარდაცვლილებში – იოანე რეხუესძე, მიქაელ ჭუაძე და გიორგი ბერი.

„ძეგლისწერის“ სინოდისკონი კრების დადგენილებათა დამტკიცების ფუნქციას უნდა ასრულებდეს (რასაც ასრულებდა მსოფლიო და, სოფჯერ, ადგილობრივ საეკლესიო კრებებზე იმპერატორისა და ეპისკოპოსების ხელმოწერები).

ერთი სიტყვით რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერა“ ქართული კანონიკური მწერლობის ძეგლია, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ქართული სახელმწიფოებრივი და საეკლესიო ძლიერების საქმეში და გაელენა იქონია ქართული კანონიკური მწერლობის შემდგომი განვითარებისათვის. ამიტომ საჭიროა მოკლედ ვისაუბროთ მის წყაროებზე და განსაკუთრებით მის მიმართებაზე „დიდ სჯულისკანონთან“.

„დიდი სჯულისკანონისა“ და რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერის“ ურთიერთმიმართება.

ამ ორი ძეგლის ტექსტოლოგიური მიმართების საკითხი სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა, დაბრკოლება „დიდი სჯულისკანონის“ ტექსტის ბოლო ხანებამდე გამოუცემლობა იყო. დღეს ეს პრობლემა შესწავლილია და დასკვნაც ასეთია: „ძეგლისწერა“ ითვალისწინებს და ტექსტობრივადაც ეყრდნობა „დიდი სჯულისკანონის“ ქართული თარგმანის ტექსტს¹¹⁶. სანამ ამ დებულებისათვის დასამტკიცებლად ფაქტობრივ მასალას და სხვა არგუმენტებს მოვიტანდეთ, ვნახოთ, რა იყო ცნობილი ამ საკითხების ირგვლივ სამეცნიერო ლიტერატურაში.

კ. კეკელიძე აღნიშნა, რომ „ძეგლისწერა შედგენილია, როდესაც ქართულ ენაზე „დიდი სჯულისკანონი“ კიდევ არ იყო თარგმნილი არსენ იყალთოელის მიერ. ამით აიხსნება, რომ შედგენილობა სჯულისკანონისა, ძეგლისწერაში აღნუსხული, სხვაა ვიდრე არსენ იყალთოელის თარგმანში“¹¹⁷. კ. კეკელიძის ძირითადი არგუმენტის შესახებ მსჯელობა ჩვენ „ძეგლისწერის“ შესავალ ნაწილთან დაკავშირებით გვემონდა და ვაჩვენეთ ამ განსხვავების მიზეზი: „ძეგლისწერა“ არ გულისხმობს არსენის თარგმანისაგან განსხვავებული „დიდი სჯულისკანონის“ ქართულ თარგმანის არსებობას. (არადა ვ. ბენეშევიჩისადმი მიწერილ კერძო წერილში კ. კეკელიძე „ძეგლისწერის“ წყაროდ „დიდ სჯულისკანონს“ ასახელებს, თუმცა ეს დებულება მას არც ერთ თავის შრომაში არ შეუტანია).

ამ ორი ძეგლის მჭიდრო კავშირი ხელნაწერებშიც იგრძნობა: „დიდი სჯულისკანონის“ ყველა ხელნაწერი (ერთის გარდა) დამატების სახით შეიცავს „ძეგლისწერას“ ე.ი. ეს ხელნაწერები არც ერთი არ არის 1105 წ.-ზე ადრინდელი, მაგრამ ერთ ხელნაწერში (A-124) „დიდი

116 დიდი სჯულისკანონი, გვ. 75-81; ეგაბიძაშვილი, ... ძეგლისწერა, გვ. 44-51.

117 კ. კეკელიძე, ძე. ქარო. ლიტ. ისტორია, I, თბილისი, 1980, გვ. 311.

სჯულისკანონის“ ტექსტს არ ეროვის „ძეგლისწერა“, ვფიქრობთ, იმ მიზეზით, რომ ამ ხელნაწერის გადაწერის დროს „ძეგლისწერა“ ჯერ კიდევ არ არსებობდა ე.ი. იგი 1105 წელზე ადრინდელია (დაახლოებით XI ს. მიწურულს). ეს კი მიანიშნებს, რომ „დიდი სჯულისკანონი“ XI ს. ბოლოს შეიძლება იყოს თარგმნილი და, როგორც ზემოთ ვთქვით, შეიძლება მისი თარგმანი არსენმა შეასრულა რუის-ურბნისის კრების მოწვევის თადარიგთან დაკავშირებით, რომ კრების მიერ გამოტანილი დებულებები „დიდი სჯულისკანონის“ კანონმდებლობას დაფუძნებოდა. ხოლო „ძეგლისწერის“ დართვა „დიდი სჯულისკანონის“ ხელნაწერზე რომ იყო გამიზნული, ერთი კანონის ტექსტიც უთითებს: „ხოლო ქროთამისათვის და საფასისა, რომელსა მიიღებენ ჳელოდამსხმელნი ჳელოდასხმულთაგან ზემოთგანისა წმიდათა მოციქულთა და მამათა მოციქმისაებრ განჩინებად ვიკადრებთ ჩუენცა“ (ძეგლისწერა, გვ. 126). „ზემოთგანი“ „ძეგლისწერის“ ტექსტის წინ მოთავსებულ „დიდი სჯულისკანონის“ მოციქულთა და კრებათა კანონებს გულისხმობს ამავე ხელნაწერში. ანდა ეკლესიის ჳურჯელთა ხელშეუხებლობის კანონს (VI) „განეაწესებთ შედგომითა წმიდათა კანონთა“ ე.ი. „ძეგლისწერის“ კანონი გამოტანილია „დიდი სჯულისკანონის“ კანონმდებლობაზე დაყრდნობით. ასევე, XIII კანონით, რომელიც კრძალავს საერო პურის ჳამას ეკლესია-მონასტრებში: „წმიდათა მამათა და კრებათა მიერ განკანონების თანამდებ იქმნეთ...“ და სხვ. ზემოდასახელებულ მაგალითებში რომ „დიდი სჯულისკანონი“ იგულისხმება, ამის მტკიცე საბუთი „ძეგლისწერის“ შესავალშია წარმოდგენილი: „ესე არიან შეკრებანი წმიდათა და საეკლესიოთა კანონთანი, დაბეჭდულნი თნიერ ყოვლისა შემატებისა და მოკლებისა და მათი მეცნიერება და შედგომა და მტკიცედ პყრობა და უჳმს ყოველთა წინამძღუართა ქრისტიანობითისა მართლმადიდებლობისათა: მღდელმთავართა და მღდელთა და დიაკონთა და ჩუენ შორის მოძღუარად სახელდებულთა მათცა მონაზონთა და ერთბამად ყოველსა სავესებასა მართლმადიდებულთა ეკლესიისასა“ (გვ. 182). ეს სიტყვები რომ „დიდი სჯულისკანონის“ ქართულ თარგმანს გულისხმობს, უეჭველია, რადგან ამ ძეგლის ბერძნული დედნის ასეთი ზედმიწევნითი ცოდნა რომ ქართველ „მღდელთა და დიაკონთა“ და სხვათა მოეთხოვებოდეს, ისიც ასე კატეგორიულად, არა გვეგონია. ასევე, არც თუ იშვიათია ტექსტობრივი სიახლოვის მაგალითებიც (ძეგლისწერის ფრაზა „ვითარცა სჳმონ მოგჳ პეტრე მოციქულისაგან“ – „დიდი სჯულისკანონის“ ტექსტის თითქმის განმეორება: „ვითარცა სიმონ მოგჳ ჩემ პეტრესაგან“); ასევე, შინაარსობლივი მსგავსებაა „ძეგლისწერის“ მეხუთე კანონისა და მოციქულთა 29 კანონის ტექსტებს შორის, „ძეგლისწერის“ XIII და VI მსოფლიო კრების 76-ე კანონის ტექსტებს შორის და სხვ.

კიდევ ერთი ხელშესახები მაგალითი, რომელიც გვიჩვენებს, რომ „ძეგლისწერა“ სარგებლობს სახელდობრ „დიდი სჯულისკანონის“ ქართული თარგმანით: „ძეგლისწერის“ შესავალში ჩამოთვლილია „დიდი

სჯულისკანონის“ შედგენილობა, მათ შორის არის დასახელებული „ფილოთეოს ალექსანდრიელისა ღმრთისა გამოინებისათვის თქუ- მულისაგან“. ასეთი დასახელების სიტყვა ბერძნულ ნომოკანონშიც არის და „დიდი სჯულისკანონის“ ძირითად ტექსტშიც, მაგრამ ავტორად ყველგან თოოფილე ალექსანდრიელი სწერია, რაც ერთი და იმავე სახელის სხვადასხვა ფორმაა. მაგრამ საინტერესოა საიდან გაჩნდა „ფილოთეოსი“ ფორმა. ამ ფორმით ეს სახელი მხოლოდ „დიდი სჯუ- ლისკანონის“ შესავალ ნაწილში 14-ტიტლოვანი ნომოკანონის შემად- გენლობის ჩამონათვალში არის მოხსენიებული.

სხვა მაგალითი: „ძეგლისწერის“ მეორე კანონში დადგენილია საეკლესიო იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე კანდიდატთა ასაკობრივი ცენზი: „ეპისკოპოსი ოცდაათხუთმეტისა წლისაჲ, მღვდელი ოც- დაათისა წლისაჲ, დიაკონი ოცდახუთისა წლისაჲ და წიგნისმკითხველი რვისა წლისაჲ ჴელდასხმულ იქმნებოდინა“. არც ბერძნულ ნომოკან- ონში, არც ქართულ „დიდი სჯულისკანონში“, არც ერთ საეკლესიო კანონში არ მოიპოვება ასე თავმოყრილი ასაკობრივი მონაცემები. ერთი დეტალი ადასტურებს, რომ „ძეგლისწერამ“ ეს მასალა აიღო „დიდი სჯულისკანონის“ ქართული თარგმანის სამოქალაქო კანონ- მდებლობის ტექსტიდან: „დიდი სჯულისკანონის“ სისტემატური ნაწი- ლის I ნაწილის 28-ე თავის სამოქალაქო კანონმდებლობის ტექსტში ვკითხულობთ: „არა ჯერ არს, რაჲთა იყოს უენინეს ოცდაათი წლი- სა, რომელსა-იგი ჴელნი დაესხმოდინა ხუცად, და დიაკონი ოცდახ- უთისა წლისაჲ და წიგნისმკითხველი – რვისაჲ, ხოლო ეპისკოპოსი – ოცდათხუთმეტისაჲ“ (დიდი სჯულისკანონი, გვ. 133). ამასთანავე წიგნისმკითხველის ასაკის რვა წლით განსაზღვრა, რაც შეცდომაა, გადმოსულია „ძეგლისწერაში“ „დიდი სჯულისკანონის“ მოტანილი ადგილიდან, რადგან ბერძნულ ნომოკანონში 18 წელიც გეხედება (ათონის სინტაგმა, II, 338) და ოციც (Pitra-ს გამოცემა, II). ე.ი. არსენმა თარგმანის დროს მექანიკური შეცდომა დაუშვა, ხოლო შემდეგ ეს შეცდომა „ძეგლისწერაშიც“ გადმოიტანა.

აღბათ სხვა მაგალითების დაკენაც შეიძლება, მაგრამ მოტანილ- იც ადასტურებს, რომ „ძეგლისწერის“ უმთავრესი წყარო „დიდი სჯუ- ლისკანონის“ არსენისეული ქართული თარგმანია (სხვათა შორის არ- სენმა „ძეგლისწერაში“ ძირითადად თავისი თარგმნილი თხზულებები გამოიყენა: გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფი“, მიქაელ ფსელოსის „პირმშოსათვის“, „დღომატიკონის“ „შეწუენებანი იაკობიტთა ყოველთა ერთბუნებანიანთანი, რომელთა თანა არიან სომეხნიცა“; და, აგრეთვე, თავისი მოძღვრის, ეფრემ მცირის „უწყებაჲ მიზეხსა ქართველთა მო- ქცევისაჲ“ და სხვ.). „ძეგლისწერის“ მიერ „დიდი სჯულისკანონის“ ქართული თარგმანით სარგებლობის ფაქტი, როგორც ჩანს, შეამჩნია ამ ძეგლის ერთ-ერთმა გადამწერმა (H-1670), რომელმაც ასეთი შენიშ- ვნა გააკეთა სისტემატური ნაწილის ბოლოს: „სრულად გაქუს რიცხუ კანონთა ჴანდუქისაჲ. აქაჲთგან კითხვად იწყე სჯულთა ღმრთისათა

და შედგომად ქართველთა კრებულისათა მათვე მსგავსთა მათგან ნაკრებისათა...“.

„ქართველთა კრებულში“ უეჭველად „ძეგლისწერის“ ტექსტი იგულისხმება, ხოლო „მათგან ნაკრები“ კი გულისხმობს „ძეგლისწერის“ კანონების „დიდი სჯულისკანონის“ ქართული თარგმანით სარგებლობას.

მართალია, „ძეგლისწერა“ ჩვენამდე მოღწეული პირველი საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლია, საეკლესიო კრების მიერ მიღებული და დამტკიცებული, მაგრამ ქართული კანონიკური მწერლობის პირველ ძეგლად უნდა ჩათვალოს ეფთვიმე მთაწმიდელის „[ეპისტოლე], რომელი მიუწერა ეფთვემ დიდსა ბერსა გიორგის“ და მისი რედაქციული სახესხვაობა „კითხვა-მიგება, რომელი მოსცა თეოდორე საბაწმიდელსა ეფთვემ მთაწმიდელმან“¹¹⁸, თუმცა ორივე თითქმის იდენტურ ძეგლში ბევრი ლიტურგიკული საკითხებიცაა. უპირველესად ძეგლი (თუ ძეგლები) პირველად ძველ ქართულ მწერლობაში წარმოგვიდგენს არაკანონიკური საეკლესიო წიგნების ჩამონათვალს („წიგნნი, რომელთა ეკლესია არა შეიწყნარებს, არიან ყოველნი, რომელნი მწვალებელთა მიერ დაიწერნეს“) და კრძალავს მათ გამოყენებას, რაც ეფთვიმეს ბიზანტიასა და რომში მრავლად არსებული მსგავსი „ინდექსებიდან“ (მაგ. გელასი რომის პაპის – V-VI სს. დეკრეტალები) ეცოდინებოდა და შეუფარდებია ქართული სინამდვილისათვის. ამ ძეგლში სხვა კანონიკურ და ლიტურგიკულ საკითხებზეც არის გაცემული პასუხი: საუფლო დღესასწაულთა მუხლდრეკისა და მარხვის აკრძალვა, მოძღვართა და მოწაფეთა დამოკიდებულების რეგლამენტი, კრულების დადებისა და მოხსნის უფლებები, სქემის კურთხევა, მარხვათა შესრულების განაწესი, მამასახლისისა და დეკანოზის მოვალეობანი და სხვ. ეს ძეგლი დაწერილია ეფთვიმეს წინამძღვრობის წლებში (1005-1019 წწ.), მამამისის იოანე მთაწმიდელის გარდაცვალების შემდეგ („უწინარეს მრავლისა ჟამისა, სიცოცხლესავე მამისა ჩემისადა მოეწერა მუნით სტეფანე ებისკოპოსსა და ეკითხა...“), ე.ი. 1005 წლის შემდეგ.

1263 წ. საეკლესიო კრების ეპისტოლე დავით ულუსადმი, უფრო ზუსტად „ულტიმატუმი“ („საქართველოდსა ეკლესიათა დავპბეჯდათ, ხუცესთა დაეაყენებთ წირვისა და ნათლისა და სამკუდროთა ზიარებისაგან“) იმდენად არის კანონიკური სამართლის ძეგლი, რამდენადაც კრება მოუწვევიათ და ეს გადაწყვეტილება დაუწერიათ აღმოსავლეთ საქართველოს მეფის ულუ-დავითის (1247-1270 წწ.) მიერ საეკლესიო საკუთრების კანონმდებლობის ხელყოფის მიზეზით, რაც საეკლესიო მიწების გაყიდვა-გასაჩუქრებაში გამოიხატებოდა. აგრეთვე პროტესტის მიზეზი იყო ეკლესიის მიერ ზოგიერთი საერო და სასულიერო პირი-

118 ქართული სამართლის ძეგლები, III, გამოსცა ი.ოლოაქიძემ, თბილისი, 1970, გვ. I რედ. 5-11; II რედ. 12-18; ხელნაწერები A-737, 293-336 (XIII ს.); A-450, XVII ს. 562-569; კუკელიძე, ... ისტორია I გვ. 431-434.

საოფის დადებული სასჯელის სამეფო კარზე გასაჩივრების შემდეგ მეფისაგან მათი გაუქმება და, საერთოდ, მეფის ეკლესიისადმი მესაკუთრული დამოკიდებულება. სამწუხაროდ, ეს დოკუმენტი ბოლონაკული უნდა იყოს, რადგან ტექსტი თითქოს დასრულებულია, მაგრამ კრების მონაწილეთა ხელმოწერები არ ჩანს. არადა პატრიარქისა და მასთან შეკრებილი აღმოსავლეთ საქართველოს ეპარქიათა მწყემსმთავართა დასტური მათი ხელროვებით უნდა დამტკიცებულიყო¹¹⁹.

„სამართალი კათალიკოსთა“ – ამ სახელწოდების დაკანონებას მოითხოვდა ივ. ჯავახიშვილი („სამართალი კათალიკოსისა“-ს ნაცვლად). ძეგლი იმ საეკლესიო კრების კანონმდებლობას წარმოგვიდგენს, რომელიც დაახლოებით 1543-1549 წლებში საქართველოს კათალიკოს მალაქიას (1531-1549) და აფხაზეთის კათალიკოს ევდემონ I ჩხეტიძეს (1543-1578) მოუწვევიათ დასავლეთ საქართველოში („შეკრიბენით ყოველნი ეპისკოპოსნი აფხაზეთისანი“) იქ გაერცვლებული და დამკვიდრებული „მრავალთა უწყისობათა და უჯეროთა საქმეთა“ აღმოსაფხვრელად¹²⁰. საეკლესიო კრებამ, რომლის დადგენილებებს ყველა დამსწრე მღვდელმთავრის ხელმოწერა ერთვის, მიიღო საკანონმდებლო ტექსტი, რომელიც მუხლებად ანუ კანონებად დაყოფილი და დანომრილი არ არს, რაც, როგორც ყოველთვის მსგავს შემთხვევებში (რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერა“ და სხვ.), მეცნიერთა კამათის საგნად იქცა – რამდენ კანონად უნდა დაიყოს ტექსტი და რა პრინციპით. ივ. ჯავახიშვილის მიერ ჩატარებული ანალიზი უფრო სარწმუნო ჩანს: ტექსტი 23 კანონს შეიცავს და გამოტანილია ისეთ დანაშაულთა ამოსაძირკვად, როგორცაა: ადამიანის გაყიდვა, ეკლესიათა გაძარცვა – ხატებისა და საეკლესიო სხვა ნივთების მოპარვა-„მკრეხელობა“, კაცისკვლა, ქურდობა, მეფისადმი ღალატი, კათალიკოსისა და ეპისკოპოსის გინება, რძლის შერთვა.

კანონთა ტექსტს უძღვის მოკლე შესავალი კრების მოწვევის მიზეზებზე და ინციტატორების შესახებ. ასევე ბოლოსიტყვა დადგენილებათა აღსრულების სიკეთეზე და აღუსრულებლობის შემთხვევაში – კრულვა-წყევლა. კრების მესვეურთა მოწმობით: „დავიდევით სჯულისკანონი და ჩუენცა იმისგან გადმოვიდეთ და, რაც იმისგან არ გადმოვიდევით, ჩუენ ჩუენი მაგიერი არა შეგვიმატებია რა და სჯულისკანონიც ასე ბრძანებს“, ანდა: „ეინცა ეს მოციქულთა და წმიდა-

119 ცენტ. საარქ. სამარო. არქივი ფონდი 1448, საბუთი №6501, დედანი, ვ.ი. 1263 წ. გამოცემულია ხუთჯერ თ. ჟორდანიას, ქრონიკები II, 163-166; გ. გოზალიშვილი, საისტორიო მოამბე, I, 1925, 220-223; ივ. ჯავახიშვილი, შრომები; ი. დოლიძე, სამართლის ძეგლები, III, გვ. 161-164; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გამოსცეს თ. ენუქიძემ, ე. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილიმ, თბილისი, 1984.

120 ამ ძეგლის დამოუკიდებელი ხელნაწერები არ არის. იგი ყოველთვის ჩართულია ვახტანგ VI-ის საკანონმდებლო კრებულის ხელნაწერებში. გამოცემულია ი. დოლიძის მიერ. ქართული სამართლის ძეგლები, I, თბილისი, გამოსცა ი. დოლიძემ, 1963, გვ. 393-397 და კრებულები: სამართალი ვახტანგ VI-ისა.

თა კრებათაგან განწესებული და ჩუენ მიერ დამტკიცებული რჯული და წიგნი გაათაოს...“, რითაც „დიდ სჯულისკანონზე“ უნდა იყოს მითითებული („მცირე სჯულისკანონში“ მოციქულთა კანონები არ არის). მაგრამ გაკვირებას იწვევს სასჯელის ზოგიერთი ისეთი ზომა, რომელიც არ შეიძლება საეკლესიო კანონმდებლობაში, კერძოდ, „დიდ სჯულისკანონში“ იყოს მიღებული: ხელის მოკეოთა, დაკირვა, მამუ-ლიდან გაძევება და ა.შ. (აქ გვიან მიმატებული უცნაური ტექსტიც არის „რომელმან უბრალოდ ცოლი დააგდოს, შეწუენებულ არს წმიდა-თა მოციქულთაგან და სიკუდილითა განიპატიუოს“ – ვილაცის მწარე ხუმრობას ჰგავს!). ასეთი სასჯელების მიღება კრების მიერ, ხომ არ მიანიშნებს, რომ იგი ზოგჯერ სისხლის სამართლის საქმეებსაც იხილავდა?

„მცნებათა სასჯულოთა“ არის კანონიკური ეპისტოლე, რომელიც ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქს მიხაილს 1470-1474 წწ. მიუცია აფხაზეთის ეკლესიისათვის კათალიკოსად მის მიერ იოაკიმე ბედიელის ხელდასმასთან დაკავშირებით. მართალია, როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, ეს ეპისტოლე ბერძნულ ენაზე დაიწერებოდა, მაგრამ რადგან იგი ქართულად გამოქვეყნდა და ქართული ეკლესიის პრობლემებზე მსჯელობს, იგი ქართული საეკლესიო-საკანონმდებლო ძეგლად უნდა ჩაითვალოს¹²¹. („ესე ქარტა თქუენთუს (ე.ი. ქართველებისათვის – ე.გ.) აღესწერე“). ეპისტოლეში იგრძნობა ძველი ტრადიციის აღორძინების სურვილი, როცა საქართველოს და ამდენად აფხაზეთის ქრისტიანული ეკლესია ანტიოქიის ეკლესიაზე დამოკიდებულად ითვლებოდა.

ეპისტოლის შესავალში განსაზღვრულია აფხაზეთის საკათალიკოსოს ტერიტორია: „და ეპისკოპოზი ღიხთამერისა, ჭოროხსა აქათ, ოვსეთსა აქათ, ზღუაჲ პონტოს აქათ, სადა დიდისა ბიჭუინტისა სამზღუარი მიაწევს, ეპისკოპოზნი ამა იერუსალიმისა მარჯუენისაგან კათალიკოზისაგან იკურთხეოდინა“.

ეპისტოლის საკანონმდებლო ნაწილი მუხლებად დაყოფილი არ არის – იგი შინაარსის მიხედვით ამ ძეგლის გამომცემლებმა დაყვეს¹²².

ძეგლი იწყება მოწოდებით „მამათა და ძმათა“ მიმართ, დაემორჩილონ კათალიკოსის ღოცვა-კურთხევას, ხოლო ურჩნი, სასულიერნი და საერონი (მათ შორის მეფეთა, მთავართა და ა.შ. მისამართითაც) შეწუენებულ და წყვეულ იქნებიანო.¹²³ მომდევნო ტექსტში კი საუბარია ისეთ დანაშაულებზე, როგორცაა: პატრონისადმი ორგულობა და

121 ხელნაწერები: ცსხა ფონ. 1448. საბ. №5020, დედანი (ე.ი. XV ს.) ეტრატი, გრაგნილი, 6 კეფი, ნუსხური; Sd-2920 (ხელნაწერთა ინსტიტუტი) პირი, მხედრული.

122 ძეგლის პირველმა გამომცემელმა თ. უორდანიამ იგი 19 მუხლად დაყო: ქრონიკები, II, 294-297; ხოლო ი. დოლიძემ – 43 მუხლად: ქართული სამართლის ძეგლები, III, 221-233. არსებობს მუხლებად დაუყოფელი ტექსტის გამომცემაც: ს. კაკაბაძისა, მცნებათა სასჯულო, 1913 წ. (ცალკე ამონაბეჭდი).

123 ბოლო გამოცემაში – ი. დოლიძის, ქართ. სამართლის ძეგლები III, გვ. 223-225. ტექსტის ეს ნაწილი 7 მუხლად არის დაყოფილი.

დალატი, უკანონო ქორწინებები და მრუშობა, სიძვა, მკელელობები, მარხვის დარღვევა, უქმეთა არ დაცვა და ა.შ.

ტექსტის დიდი ნაწილი ჩვეულებრივი დამოძღვრის შთაბეჭდილებას ტოვებს და საეკლესიო სასჯელთა ნაცვლად მხოლოდ გრძელი და ზოგჯერ უცნაური წყევლა-კრულეა მოცემული. ძველში გვხვდება გამეორების შემოხვევები ერთი და იგივე საკითხზე, მცირედენი განსხვავებული შინაარსით, მსჯელობა არის ორჯერ და სამჯერ და ოთხჯერაც. მაგ. „უხუდრი ცოლის შერთვის“ შესახებ – მე-9; 35-ე 38-ე, მე-40; ოთხშაბათ-პარასკევის მარხვის შესახებ – მე-14, 37-ე 39-ე ...)

„რჯულისა და მცნების დადება კათალიკოსის მიერ გერგეტელ საყდრის შვილთათჳს“, რაც ტექსტის გამომცემელთაგან მიცემული დასახელებაა საბუთისა, მისი შინაარსიდანაა აღებული („ესე რჩული და მცნებაჲ დაგიდუ თქუენ, გერგეტელ საყდრის შვილთა“). ეს თხზულება XVI ს. საეკლესიო კანონმდებლობის მოკლე ძეგლია, მიცემული კონკრეტული ეკლესიისადმი და მისი იურისდიქცია მხოლოდ მასზე ვრცელდება. გამომცემელნი მის ტექსტს 4 მუხლად ყოფენ, რომელთაც საეკლესიო კლასიკური კანონის შინაარსი არა აქვთ: ეს უფრო მოწოდებაა ამ ეკლესიის მსახურთა და მრევლის მიმართ „რადცა სამასდაათურამეტა მამათა რჯული გააჩინეს“ (ლაპარაკია მარხვის დღეებზე) ... ასრე შეინახეთ თქუენ...“, ასევე, უქმე დღეების დაუცველობის შემთხვევაში: „რასაცა აესა უზამს (აღბათ თავის თავს?!), უბრალოდ ვიყუნეთ“. და აქვე მითითებულია უცნაურ სასჯელზე, უფრო სწორედ „ჯარიმაზე“: „თქუენ საყდრის შვილნი შემცოდე... ოთხი ათასი თანგა ქრთამი დაიურვოს“. შემდეგი „დამოძღვრა“ ასეთია: „იყუნეთ საყდრის შვილნი ერთსულობით: უფროსნი – უფროსად და უმცროსნი – [უმცროსად]; მღვდელნი – მღვდლთა წესითა და ერისაგანი – ერისაგანი წესითა“. საინტერესოა ბოლო მეოთხე მუხლი: „რომელმანცა ხუცესმან აბჯარი აიღოს, ვინცა ნახოს, წართმს და ჯურუმიცა (კონფისკაცია) აზღვევინოს ქუეყანამან“. ჩანს, რომ ასეთი „დანაშაული“ და „სასჯელი“ ადათურ, ანუ „ჩვეულებით სჯულს“ ითვალისწინებს.

1702 წელს აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს ევდემიოზთან შემოკრებილი ეპისკოპოსების საეკლესიო კრებას სამონასტრო წესისა და რიგის თაობაზე რამდენიმე კანონი (5) დაუდგენია. კანონები, ძირითადად, დავით-გარეჯის მონასტრების ბერთა სხვა მონასტრებში გადასეღას გამობს. მონასტრიდან გამოსეღა მხოლოდ მონაზონის ეპისკოპოსად ხელდასხმის ან წინამძღვრად დანიშვნასა და მსგავს შემთხვევებშია დასაშვები. ასევე აკრძალულია დასჯილი და „გამოვარდნილი“ ბერის შეწყნარება.

1748 წელს თბილისში სამეფო პალატში ერეკლე II-ის ინიციატივით მოწვეულმა საეკლესიო კრებამ ანტონ I-ის თავკაცობით აღმოსავლეთ საქართველოს ყველა ეკლესიისათვის სახელმძღვანელო 27 კანონი დაადგინა („...დაამტიცნეს და დაწერეს კანუნი ესე ქუზ (27) თავთაევონად...“). თუმცა ტექსტში კანონების ნუმერაცია არ არის

წარმოდგენილი და კანონების გამოყოფა აბსაცების მიხედვით ხერხდება. კანონები, ძირითადად, ეკლესიის შინაგანაწესს, ღვთისმსახურების რიტუალისათვის საჭირო ჭურჭელთა და ნივთთა რეგლამენტაციას, დისციპლინას, ეკლესიის შიდა მოწყობას, საეკლესიო სამოსს, სასულიერო პირთა ქორწინებასა და მსგავს საკითხებს ეხება. კრებამ აკრძალა, აგრეთვე, საეკლესიო მიწების მისაკუთრება, ეკლესიაში სისხლიანი შესაწირავი.

საინტერესოა ერთი დეტალი: კრება კრძალავს მეოთხე და მეხუთე ქორწინებებს, მაშინ, როდესაც საეკლესიო სამართლით აკრძალულია მესამე ქორწინება და მეოთხე, მეხუთე ქორწინებაზე საერთოდ არ არის საუბარი. აქ კი აკრძალვა მეოთხედან იწყება. საეკლესიო დადგენილებებს ბოლოს ერთვის ხელმოწერები: ერეკლე წერს: „წარვეწერენ“, ხოლო ანტონ I და ეპისკოპოსები „განგესაზღვრენ (ე.ი. დაეამტკიცე) და წარვეწერენ“.

1862 წ. ერეკლე II-ისა და იოსებ კათალიკოსის მიერ მოწვეულმა საეკლესიო კრებამ პუნქტობრივი დადგენილებები დაუგზავნა აღმოსავლეთ საქართველოს ეპარქიებს. დადგენილებები ორიგინალურია და შინაარსობრივადაც „შინაურული“.

„პირველი ესე რომ ეპისკოპოსმან თავის სამწყსოში უაღსარებო არავინ დააგდოს, მეორედ, ესე: საუფლოსა დღესასწაულს და კვირას წირვის მოუსმენლად ნურავის გაუშვებთ... მესამედ: თუ წმიდათ ეპისკოპოსთ თქვენთა სამწყსოთა შინა ურჩინი ვინმე გყვანდესთ, ჩვენ მოგვაჯსენოთ და ეგვეითართა ჩუენ დაესჯით...“ და ა.შ. ამ სტილში გრძელდება საუბრები იმის შესახებ, რომ ეკლესიაში დაძველებული, დამწვარი ან დანგრეული უნდა განახლდეს, ტრაპეზს ჩასაცემელი უნდა პქონდეს, ბარძიმ-ფეშხუმად გატეხილი ხის ჭურჭლის ხმარება არ შეიძლება, თუ მოხუცებული მღვდელს ტრაპეზის მსახურება არ შეუძლია, მის ბედზე ეპისკოპოსმან იზრუნოს, უცოდინარის მღვდლობა არ შეიძლება... „მეათედ: რომელიც რომ ჩვენ ვერ მოვიგონეთ, ეპისკოპოსთ მართებსთ მარადის მღვიძარე ყოფამ“. და ბოლოს ეპისკოპოსმა თავის „სამწყსოსა წმიდას ეკლესიაში შესლევა, ღვთა და პირს ჯვარის დაწერა ასწავლოს“¹²⁴.

„ეპისკოპოსთა მიმართ“. ამ ძეგლს საყოველთაოდ ცნობილი „საყოველთაო“ ან „მრგულივ მოსაველელი“ ეპისტოლის ფორმა და შინაარსი აქვს. იგი წარმოადგენს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ანტონ I-ის ეპისტოლეს გაგზავნილს ერეკლე II-ისა და თავისი სახელით აღმოსავლეთ საქართველოს ყველა ეპარქიის ეპისკოპოსისადმი, რომელშიც ერცლად არის ჩამოყალიბებული ეპისკოპოსისადმი წაყენებული ყველა მოთხოვნა, თუ როგორ უნდა ასწავლიდეს და ამოწმებდეს იგი საკუთარი ეპარქიის მღვდლებს და სხვა სასულიერო პირებს მათ

124 გამოცემულია: ი.დოლიძე, ქართ. სამართლის ძეგლები, III, გვ. 848-850; ხელნ. Ad 856 (ხელ. ინსტ.), ლეღანი ე.ი. 1762 წ.

მოვალეობათა შესრულებას. შინაარსობრივად ეს ეპისტოლე ჰგავს იოსებ კათალიკოსის 1762 წ. შემოთმობილ ეპისტოლეს ანუ დადგენილებებს, მაგრამ გაცილებით მრავალფეროვანია და კვალიფიციური. ტექსტი გამომცემლის მიერ დაყოფილია 35 მუხლად. თანაც გამომცემელი ძეგლს საკუთარ დასათაურებას აძლევს: „მცნება მღუდელთათვის“, რაც მოლად ზუსტი არ უნდა იყოს¹²⁵. ორიგინალურია ამ ძეგლში ერთი მცნება: უქმე დღეს შრომისათვის „მისი ნამოქმედი ცეცხლით დაწვან; იმ კაცს ორმაცი ჯოხი დაქრან, თუ გლეხი იყოს...“, ასეთივე სასჯელია „პირუტყვის ბოროტის სიტყვის შეგინება“. ასეთ სასჯელს საეკლესიო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. ეპისტოლეს ხელს აწერენ ანტონ კათალიკოსი და ერეკლე მეფე, რომელიც თავის ხელით უმატებს ასეთ გაფრთხილებას: „...ჩუენს ხალხს ვაფრთხილებთ: მართალია, ჩვენში ასეთი შეცოდებანი „არც ყოფილა და არც არის“-ო, მაგრამ „თუ ვინმე ამისთანა საქმის მქნელი გამოჩნდეს ან მომწამლეულნი ან კაცის შემკრუელნი, ან ... ღმრთის დიდად განმარისხებულისა და მიუტევებელის ფინთისა და მყრალისა... მამათმავლობის მქმნელნი მამალნი ანუ დედალნი – ესენი უნდა ძალისა და საანდაზოს ჯაჯებით (ტანჯვა) დაიწოცნენ“, და ავალებს ეპისკოპოსებს – ყველანი გააფრთხილონ.

კანონიკური ეპისტოლის ფორმა და შინაარსი აქვს აფხაზეთ-იმერთა კათალიკოსის მაქსიმეს მიერ 1777 წ. ორი მონასტრის წინამძღვრისადმი გაგზავნილი ეპისტოლეს, რომლის მიზანია ამ მონასტრებში, უდაბნოსა და ერკეთში კათალიკოსისადმი მორჩილება სუფევდეს და ღვთისმსახურების აღსრულება, სასულიერო პირთა საქმიანობა და საქციელი მიღებული წესების მიხედვით განისაზღვრებოდეს, უქმე დღეებში მრეელი საეკლესიო წირვა-ლოცვას არ დააკლდეს. სპეციალურად არის ყურადღება გამახვილებული მკითხავთა შეჩვენებაზე: „და ნურც მკუდარს დამარხავენ მკითხავს, არამედ ვითარცა ძალლი განცოფებული, ეგრეთ შერაცხოვნ“.

ტექსტი ეპისტოლისა გამომცემლის მიერ არის დაყოფილი 10 მუხლად¹²⁶.

ბოლოს, იმ საეკლესიო კრების შესახებ, რომელმაც 1755 წელს ანტონ I-ის ეკლესიიდან განკვეთა დაადგინა მისი კათოლიკობის გამო და 1756 წ. საეკლესიო კრების დადგენილება, რომელმაც ანტონი, მონანიების შემდეგ, აღადგინა მართლმადიდებლობაში. პირველმა კრებამ 1755 წ. 12 დეკემბერს განკვეთა მართლმადიდებლური ეკლესიისაგან მას შემდეგ, რაც თვითონ ანტონმა აღიარა გაკათოლიკება (იგი 18 თვის განმავლობაში ითვლებოდა კათოლიკედ) მის თანამოაზრეებთან, 5 მოწაფესთან ერთად. მაგრამ იმავე წლის 16 დეკემბერს მოწვეულ კრებაზე მან აღიარა შეცოდება კელწერილით და სინანულ-

125 ი.დოლიძე, ქართ. სამართლის ძეგლები, III, გვ. 871-877; ხელნ. A-317, 180-186.

126 ი.დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბილისი, 1970, გვ. 914-916.

ლის კანონით 18 თვით დასაჯეს (ე.ი. იმდენივე ხნით, რამდენი დროის განმავლობაში იგი კათოლიკე იყო), ხოლო ამ დროის გასვლის შემდეგ 1756 წ. 4 აპრილის კრებამ შეიწყინარა და წირვის უფლება აღუდგინა, კათალიკოსობა კი აღარ აღუდგინა და რუსეთში წასვლის ნება დართო. სამივე კრების განჩინება კანონიკური სამართლის ძეგლია¹²⁷.

საეკლესიო სამართლის ძეგლებზე საუბარი სრული არ იქნება, თუ აქ ჩვენ არ ჩამოვთვალეთ მაინც ის საერო კანონმდებლობის ძეგლებიც, რომლებიც მეტ-ნაკლები დოზით ეხებიან ეკლესიის ისეთ საკითხებს, რაც საეკლესიო სამართალს განეკუთვნება: „ველმწიფის კარის გარიგება“ (XIV ს.), „წესი და განგება მეფეთა კუროთხევისა“ (XV ს.), ვახტანგ VI სამართლის კრებულში შეტანილი „სამართალი ბაგრატ კურაპალატისა“ (XI ს.), გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდება“ (XIV ს.), „ბექა-აღბულას სამართალი“ (XIV ს.), ვახტანგ VI „დასტურლამალი“ (XVII ს.) და სხვ.

კანონიკური სამართლის ძეგლებად უნდა მივიჩნიოთ ის სიგელ-გუჯრები, რომლებიც სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობას აწესრიგებდნენ და, ამდენად, კანონიკურ ნორმებსაც შეიცავენ (წყალობის, ერთგულების, შეწირულობის, გამოსაღების, ფიცის წიგნები, გამოსავლის დაეთრები, იადგარები, დაწერილი და ა.შ.). აქვე შეიძლება ვახსენოთ ლიტურგიკული ძეგლები, საეკლესიო ტიპიკონები, „განგებანი“ და ა.შ., რომლებშიც ბევრი საეკლესიო სამართლის საკითხი არის განხილული. ეს თხზულებები თავმოყრილია და ერთ დიდ წიგნად გამოცემული აკად. ისიდორე დოლიძის მიერ: ქართული სამართლის ძეგლები, III (საეკლესიო კანონმდებლობა), თბილისი, 1970 (1320გვ.), რომელთაგან ჩვენი ბიბლიოგრაფიისათვის შევარჩიეთ რამდენიმე ათეული.

127 მ. ქეთარია, XVIII ს. ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან, თბილისი, 1977, გვ. 17-19; ხელნ. H-1334, 201 r-v.

კანონიკური მწერლობის ძირითად ტერმინები

1. ათენის სინტაგმა – 14-ტიტულოვანი (ნაწილიანი) ნომოკანონის ბერძნული ტექსტის (I-IV ტომები) ათენური გამოცემა (1852–1859წ.წ.).

2. ანათემა (ბერძ.) – შეწევნება, ეკლესიიდან სრული წამოშორება მიმე დანაშაულის გამო. ეკლესიის წევრი კარგავს ეკლესიასთან ერთობას, მორწმუნეებთან საერთო ლოცვისა, ყოველგვარი საეკლესიო მსახურებაში მონაწილეობისა, საიდუმლოთა ზიარებისა და მართლმორწმუნეთა სასაფლაოზე დაკრძალვის უფლებებს. შეწევნებულ პირთან არც მორწმუნეს არ ჰქონდა რელიგიური ერთობა, ხოლო სასულიერო პირს მასთან კერძო ურთიერთობაც ეკრძალებოდა. ანათემით (შეწევნებით) ისჯება: 1) ვინც მიიღებს ან გასცემს საეკლესიო შესაწირავს ეპისკოპოსის გარეშე; 2) ვინც ქალწულობას იცავს ქორწინების ზიზღის გამო; 3) ვინც უფლისათვის ქალწულების დამცველი ამპარტავნობდეს დაქორწინებულზე; 4) ვინც არ მიიღებს აღაპზე („სიყვარულის სერობაზე“) მიპატივებას ქედმაღლობით და ზიზღით; 5) ვინც მოწვევებითი ღვთისმსახურების გამო კვირა დღეს მარხულობს და ა.შ.

3. ანდერძი – 1. ხელნაწერის ძირითად ტექსტზე დართული თხზულების ან თხზულებათა კრებულის ავტორის (მთარგმნელის ან გადაწერის ან მომგებელ–შემწირველის) მიერ დართული სხვადასხვა შინაარსის ცნობების შემცველი ტექსტი. 2. იურიდიული დოკუმენტი მემკვიდრეობის, მეურვეობისა და მსგავს საკითხებზე.

4. აღაპი – 1. „სიყვარულის სერობა“, ქრისტეს საიდუმლო სერობის მოსაგონებელი პურობა, რომელიც მიზნად ისახავდა მდიდარ და ღარიბ მორწმუნეთა შორის კეთილი დამოკიდებულებისა და სიყვარულის განმტკიცებას. 2. მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად დაწესებული წირვა, პანაშედი და ტრაპეზი, „საძმო პურობა“.

5. ბასილიკები – ბასილი ბიზანტიის იმპერატორის სამოქალაქო კანონმდებლობის (ეკლესიის შესახებ) წიგნების სახელწოდება.

6. ბერძნული კანონები – მათე ბლასტრის „აღფაბეტური სინტაგმის“ მიხედვით შედგენილი კანონები ვახტანგ VI-ის მიერ თავისი ქართული სამართლის კრებულისათვის.

7. ბჭობა – სასამართლოს განხილვა.

8. გამოძიება – სასულიერო პირთა წრეში მისაღები კანდიდატის გამოცდა. კანდიდატის საქციელისა და თვისებების შესახებ მისი მოძღვრის მიერ გაცემული მოწმობა წარედგინება ეპისკოპოსს. ხელდასხმისათვის პრესვიტერთა საბჭო განიხილავს ამ მოწმობას. ამოწმებს კანდიდატის თეოლოგიურ განათლებას და იძიებს, არსებობს თუ არა მისი მიღების დამაბრკოლებელი მიზეზი. ამის შემდეგ კანდიდატი გადის საიდუმლო აღსარების პროცედურას, აღსარების მიმდებარე სულიერი მამა კანდიდატს აძლევს ეპისტოლე–მოწმობას, რომელშიც აღნიშნულია, რომ კანდიდატი სასულიერო ხარისხის ღირსია. მოწმობა საჯაროდ იკითხება ეკლესიაში ხელდასხმის წინ.

9. განბჭობა – გასამართლება

10. განკანონება – ეპიტიმია (ბერძ.), სასჯელის დადება საეკლესიო წესების მიხედვით. ეპიტიმია აკისრებს დამნაშავეს საეკლესიო სამსჯავროს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შესრულებას.

11. განკვეთა – საეკლესიო სასჯელი სასულიერო პირთათვის. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის სასულიერო პირი კარგავს მღვდელმსახურებისა და დამოძღვრის უფლებას, მღვდელმსახურის სახელს და პატივს. მისი სახელი ამოიშლება სასულიერო დასის სიდიდან, სადაც ის შეტანილი იქნა მისი ხელდასხმის დროს, და ჩაირიცხება ერისკაცად. განკვეთა გრძელდება სამუდამოდ და განკვეთილი ვეღარ გახდება სასულიერო პირი. ასეთი სასჯელით ისჯება: ხუცესი, რომელიც ცალკე აღმართავს საკუროთხეველს და არ დაემორჩილება თავის ეპისკოპოსს; ვახშის ამღები მღვდელმსახური; იუდეველებთან ერთად მმარხველი ან მედღესასწაულე მოყვასი; სასულიერო პირი, რომელიც გამოისაჭურისებს თავს, ან ილოცებს განკვეთილთან ერთად და სხვა.
Нарвеков В., Номоканон патриарха Фотия, Казань, 1899.

Смирнов К., Обзорение истории первого вселенского Никейского собора, Ярославль, 1888.

Ткешелов М., Исследования по грузинскому праву, Вып. 1, Семейное право, Москва, 1802.

Ханик К., Грузинский Великий Номоканон и славянская версия Кормчей XIV титулов, Восточная рукописная книга и Балканы (Тезисы докладов, Тбилиси, 1989).

Beveregius G., Codex canonum ecclesiae primitivae vindicatus ac illustratus, London, 1678.

Bickell I., Geschichte des kirchenrechts, I, 1843.

Brosset Mari, Notice sur un Nomocanon géorgien (სჯულისკანონი), manuscript du Musée Asiatique de l'Académie Impériale des Sciences (n. 103a), B. Ac. t. XIX, 1874, col. 337-374, mélanges. t. VII, 1876, p. 113-168 (ბროსე მარი, ცნობა ქართული სჯულისკანონის შესახებ. მეცნ. აკად. სააზიო მუზეუმის ხელნაწერი №103a).

Bibliotheca Juris canonici...Opera et studio G. Voelli et H. Justelli, I, Paris, 1663.

Das konzil von Chalkedon, herausgegeben von Grillmer A. und Bacht H., I-III, 1951-1954.

Juris ecclesiastici graecorum historia et monumenta...curante J. B. Pitra, II, Romae, 1868.

Massen F., Geschichte der Quellen und Literatur des canonische Rechts, I, Gratz, 1870.

Hefele C. I., Conciliengeschichte t. XII, Freiburg, 1873-1887.

Rucker J., Epesinische konzilakten in armenisch-georgischen uberlieferung, München, 1930 (112 გვ.) (რუკერი იოზეფ, ეფესოს კრების აქტების სომხურ-ქართული ვერსიები).

Zacharia von Lingental, Die grichischen Nomokanones, Sankt. Peterburg, 1877.

ს ზ კ ვ ო ო კ ს

შ ი ნ ა ა რ ს ი

ორიგინალური ქართული ასკეტიკურ-მისტიკური მწერლობა და სამონასტრო ცხოვრების ორგანიზაციის საკითხები (ნარკვევი).....	423
ორიგინალურ ასკეტიკურ თხზულებათა ბიბლიოგრაფია.....	449
საძიებლები: 1. ავტორთა; 2. ხელნაწერთა.....	459
სამეცნიერო ლიტერატურა ასკეტიკა - მისტიკის შესახებ.....	461

ორიბინალური ქართული ასკეტიკურ- მისტიკური მწერლობა და სამონასტრო ცხოვრების ორგანიზაციის საკითხები

(ნარკვევი)

სამონასტრო ცხოვრების ფორმების არსებობა ქრისტიანულ სამყაროში უშუალო საფუძველი გახდა ქრისტიანული იდეოლოგიის ასკეტიკურ-მისტიკური მწერლობის ჩამოყალიბებისათვის. ასე იყო ბიზანტიურ სასულიერო მწერლობაში და ასე მოხდა მისგან მომდინარე და მის მსგავსად ჩამოყალიბებულ ქართულ სასულიერო მწერლობაშიც.

ბიზანტიური იმპერიის ფარგლებში წარმოშობილმა ქრისტიანულმა საეკლესიო ორგანიზაციამ და ქრისტიანული სასულიერო მწერლობის დარგებმა, რა თქმა უნდა, პირდაპირი გაელენა მოახდინა ახლად მოქცეული ქვეყნის ეკლესიის მოწყობისა და სასულიერო მწერლობის ჩამოყალიბების პროცესებზე.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა აზრი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ქართლსა და კახეთში პირველი მონასტრები დაარსეს სირიიდან VI ს. შუა წლებში ჩამოსულმა მონაზვნებმა. ეს მონასტრები თავდაპირველად განდევილ ბერთა სამყოფელი იყო, ხოლო შემდგომ, ამ ბერთა სიცოცხლეშივე, იქ მისული მონაზვნობისა და დამოწაფების სურვილმა, ადგილობრივი მოსახლეობის თანდათანობით შეკრებამ ეს ადგილები ხალხმრავალ მონასტრებად აქცია.

მაგრამ ჩნდება ეჭვი, რომ აღმოსაელეთ საქართველოში VI საუკუნეში ჩამოყალიბებულ და სამხრეთ საქართველოში VIII ს-ში განვითარებულ სამონაზვნო ცხოვრებას – ორივეს წინ ხომ არ უსწრებდა ადგილობრივ წარმოშობილი განდევილ ქრისტიანთა ცხოვრება?

ამ ეჭვს ბადებს რამდენიმე მაგალითი:

1. „შუშანიკის წამებაში“ ნათქვამია, რომ ცურტაეში „ეპისკოპოსი იგი სახლისაჲ მის პიტიახშისაჲ, რომელსა სახელი ერქუა აფოც, არა მუნ იყო, არამედ კაცისა ვისაჲმ წმიდისა ვანად მისრულ იყო კითხვად რაჲსაჲმე სიტყუსა და მეცა, ხუცესი დედოფლისა შუშანიკისი თანა ვჰყვანდი ეპისკოპოსსა მას“ (ძეგლები I, გვ. 13). ეინ შეიძლება იყოს ეს „წმიდა კაცი“, ვისთანაც ეპისკოპოსი მივიდა „კითხვად სიტყუსა“ – რჩევის მისაღებად? ეს არ შეიძლება იყოს წარმართი მისანი. ქრისტიანი ეპისკოპოსი არ მივიდოდა მასთან, ისიც ქრისტიანი მოწმის ხუცესის თანხლებით. თან იაკობი წერს, რომ ეს კაცი არის „წმიდა კაცი“, ე.ი. ქრისტიანი. სად მივიდა ეპისკოპოსი? - „ვანად“. ლექსიკონებში „ვანი“ განმარტებულია ასე: სახლი, სამყოფი (სამყოფელი), მონასტერი; ჩვენი აზრით, ეს არის „სამყოფელი“, რადგან „მონასტრის“ არსებობა V ს-ში ცოტა ნაადრევად გვეჩვენება, ხოლო „სახლი“ ოჯახის მნიშვნელობით „წმიდა კაცთან“ მიმართებით საეჭვოა. „სამყოფელი“ კი ჩვენ გვგონია

განდევლის, დაყუდებულის საცხოვრებელი, სენაკი. აქედან დასკვნა: ეპისკოპოსი აფოცი, რჩევის მისაღებად მივიდა „წმიდა“ განდევილთან. გვახსენდება მრავალი მაგალითი ბიზანტიური ჰაგიოგრაფიიდან, მაგ.: განდევილი ტიმოთე ანტიოქიელი მესექტის „ცხოვრებიდან“, როდესაც მასთან რჩევის მისაღებად მიდიოდა თეოდორიტე ანტიოქიის პატრიარქიც (777-794წწ.) კი (კ.კეკელიძე, ეტიუდები, VI, გვ. 362).

2. „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ აღწერილია, რომ ახალგაზრდა გრიგოლი თანამოაზრებთან ერთად ჩავიდა ხანცთას და მის მიდამოებში მოინდომა მონასტრის დაარსება. მან იქ იპოვა მოხუცებული განდევილი ხუედიოსი, რომელიც დიდი ხნის წინ დაეყუდა აქ და როცა შეიტყო იქ მონასტრის დაარსების სამზადისი, სთხოვა გრიგოლს მის (ხუედიოსის) გარდაცვალებამდე ეს საქმე არ დაეწყო, რომ ამით სინუმეს შეჩვეული განდევლისთვის სიმშვიდე არ დაერღვია. ეს ხდებოდა VIII-ში. თუ მოხუცებული ხუედიოსის ასაკსაც გამოვსაჯავთ, ჩნდება ეჭვი, რომ VIII საუკუნის დასაწყისში ამ მხარეში განდევილობა დიდი ხნის ტრადიცია იყო, ვფიქრობთ VII-დან არსებობდა (სოგიერთი მოსაზრებით ოპიზაში, რომელიც Vს. დაარსებულად მიაჩნიათ, მონასტერი იყო. მონასტრისთვის თუ ეს ნაადრევი თარიღია, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ თავიდან აქ განდევილობის არსებობაზე.

3. IV-V საუკუნეებიდან საქართველოდან იერუსალიმისკენ დაძრულ პილიგრიმთა სიმრავლე, რომელთაგან ბევრი სამოღვაწეოდ დარჩა იერუსალიმისა და სირიის მონასტრებში ვფიქრობთ, გულისხმობს საქართველოში განდევილობის ამ პერიოდში არსებობას.

ქართულ სინამდვილეში თხრობა სამონასტრო მშენებლობის შესახებ მხოლოდ სირიელი მამების მოღვაწეობით იწყება. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით. ეს ცნობები დაცულია სირიელი მამების წინამძღვრის— იოვანეს „ცხოვრების“ ყველაზე ადრინდელი, კიმენური რედაქციის ძეგლში— „იოვანე ზედაზნელისა (იოვანეს „ზედაზნელი“ ეწოდა საქართველოში მისი საცხოვრებელი მთის - „ზედაზენის“ მიხედვით) და მის მოწაფეთა ცხოვრება“. ამ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში, სხვადასხვა თავებში მოთხრობილია, თუ როგორ დაარსდა ჯერ ზედაზენის, შემდეგ კი შიომღვიმისა და გარეჯის მონასტრები იოვანე ზედაზნელის, შიო მღვიმელისა და დავით გარეჯელის მიერ.

თავდაპირველად იოვანე და მისი 12 მოწაფე ქართლის კათალიკოსის— ეულაიოსის მიერ მცხეთის სვეტიცხოველში კურთხევისა და ზედაზენის მთაზე ერთად დამკვიდრების შემდეგ იოვანემ „ინება მარტოებით ცხოვრებად“ და მისი ბრძანებით ქართლისა და კახეთის კუთხეებში სამოღვაწეოდ დამკვიდრებით დაიწყო მისი 10 მოწაფის განდევილური ცხოვრება (დანარჩენმა ორმა მოწაფემ ქართლის კათალიკოსის ბრძანებით საეპისკოპოსო ხელდასხმა მიიღო წილკნისა და ნეკრესის ეპარქიებში), ხოლო იოვანე თავის ერთ მოწაფესთან— ელია დიაკონთან ერთად ზედაზენზე დარჩა და სიკედილამდე სხვა არავინ დამოწაფებია (ყოველ შემთხვევაში, „ცხოვრების“ მიხედვით ასე ჩანს). „ცხოვრებაში“

დადასტურებულია განდევილობის დამახასიათებელი ერთი მომენტიც: „ხოლო შენებად ადგილისად მის არა ინება, არამედ მარტოდ მყოფობად აღირჩია, რამეთუ პოვა მუნ ქუაბი (გამოქვაბული) რამდე მცირე და მუნ შინა აღასრულა მწირობად მისი... (ძეგლები, I, 213). რაც შეეხება დანარჩენ მოწაფეებს, „ცხოვრების“ მიხედვით ცალკე თავები ეძღვნება შიოსა და დავითს. შიო მარტო დაეყუდა მცხეთის ახლო მდებარე მღვიმეში (ამიტომ მას შიო მღვიმელი ეწოდა) და დაიმოწაფა ადგილობრივი მთავარი ევაგრე. თავიდან შიო უარსე იყო, რადგან განდევილური მოღვაწეობა სურდა, და მხოლოდ ევაგრეს დაჟინებული თხოვნისა და მისთვის მიცემული გამოსაცდელი დაეაღებების შესრულების შემდეგ დაიმოწაფა იგი. ხოლო მომდევნო ხანებში, შიოს სიცოცხლეშივე ეს „დასაყუდებელი“ მრავალმონაზვნთან მონასტრად იქცა. ასევე დავითმა, რომელიც კახეთში, გარეჯაში მარტო დამკვიდრდა (ამიტომ მას დავით გარეჯელი ეწოდა), მალე დაიმოწაფა ადგილობრივი ლუკიანე (თუმცა იმისი დამოწაფების ამბავი მოთხრობილი არ არის). დროთა განმავლობაში არა მარტო დავითის სამყოფელი ჩამოყალიბდა მონასტრად ადგილობრივი მოსახლეობიდან იქ მონაზვნად აღკვეცის მსურველთა მომრავლების შედეგად, არამედ დავითის სიცოცხლეშივე დაარსდა დოდორქისა და ნათლისმცემლის მონასტრები. იოვანე ზედაზნელის დანარჩენ მოწაფეთაგან განდევილური, ხოლო შემდეგ სამონასტრო ცხოვრების შესახებ „ცხოვრებაში“ მხოლოდ მინიშნებით არის საუბარი ზოგიერთ მოწაფეთა სახელების კონკრეტულად დასახელების გარეშე. იოვანე ზედაზნელის „ცხოვრების“ მიხედვით პირველი შეგონება, რომელიც მან მოწაფეებს სამოღვაწეოდ წასვლის წინ შეახსენა, იყო: „ნურარა გიყუარს, ძმანო, უფროდ ღმრთისა. შუებასა და უძღვებასა განეშორებით, რამეთუ შუებისა მიერ და საჭმელისა იშუა ურჩებად იგი ადამისი, რომელი ნაშობთა მისთა ზედა დადგრომილ არს... უკუთუმიცა მცნებად იგი მარხვისად დაემარხა, არამცა უფლებულ იყო ჩუენდა ხრწნილებად და სიკუდილი“ (ძეგლები, I, გვ. 203). მეორე შეგონება მისი „მომთვრალეობის“ წინააღმდეგ იყო მიმართული: „ხოლო ღვნისთვს ნამეტნავ არს სიტყუადცა, რამეთუ არა არს მონაზონთად, ეინადთან პაელე მოციქულმან ძირად და მოქმედად სიბოროტისად თქუა – ნუ დაითვრებით ღვნითაო, რომლისაგან არს სიბილწე და წამალი არს მაკუდინებელი და დედად გულისთქუმათა ბოროტთა“ (ეფეს. მიმართ, 5,16). სამონასტრო და საეკლესიო ცხოვრების ერთ აუცილებელი დეტალის შესახებაც არის საუბარი: იოვანეს „წარმოუტანნეს ქუეყანი თუსით ნაწილნი წმიდათა მოწამეთანი და წარგზავნასა მას მოწაფეთა მისთასა მისცა ნაწილთა მათგან, რადთა მათითა მადლითა იცეპოდიან ყოველთაგანვე საფრკეთა ეშმაკისათა, და დაიმჭირნა თავისა თუსისა თანა...“ უნდა შევახსენოთ მკითხველს, რომ ეკლესიისა და მონასტრის დაფუძნება უძველესი დროიდან მხოლოდ მოწამეთა „წმიდა ნაწილებზე“ იყო შესაძლებელი.

იოვანე ზედაზნელის მიერ დამოძღვრილი შიო „მოვიდა წინამძღვრობითა სულისა წმიდისათა და დაემკდრა დასაელით კერძო

დედაქალაქსა მცხეთას. და პოვა ჴევი ღრმა ფრიად ფიცხელი, უდაბ-
ნოდ და ურწყული და ნაკლულუვანი ყოველთა საცმართაგან. და პაერი
ზაფხულისად ფიცხელ და ეგრეთვე ჴამორისად უფიცხელეს...“ ასეა
დახასიათებული ამ ადგილის გარემო პირობები, რომელსაც განდევნი-
ლობის მსურველი შიო ირჩევს ხორცისა და ხორციელი ნებების და-
სათრგუნად და სულისა და სულიერების განსამტკიცებლად: „და პოვა
მუნ მცირე ქუაბი (მღვიმე) და დაჯდა მას შინა დაყუდებით სასოებითა
ღმრთისა მინდობისაჲთა, ჴელ-ყო საქმესა ამას და სიკუდილად მისცა
თავი თვისი მისთვის, რომელმან არაოდეს უგულებელს ყვის მოსაენი
მისნი“. აქ კარგად არის ჩამოყალიბებული განდევნილობის არსი. შიოს
განზრახვა, სიცოცხლის ბოლომდე იცხოვროს განდევნილის ცხოვრე-
ბით, გამჟღავნებულია მის პასუხში ევაგრეს შეკითხვაზე: „რად ხარ,
ანუ ვინაჲ?“ - „კაცი ვარ უცხოჲ და ქრისტეს მოსაენი და ვარ ქუაბსა
ამას შინა მცირესა, რაჲთა დაყუდებით აღვასრულნე ღღენი ცხოვრე-
ბისა ჩემისანი და ესრეთ უშფოთველად სათნო-ვეყო ღმერთსა“. მაგრამ
ის იძულებულია ჯერ ევაგრე, ციხედიდის მთავრის დაჟინებულ თხ-
ოვნას, მასთან დარჩეს და დაემოწაფოს მას, დაუთმოს, ხოლო შემდეგ
მისი მოწაფეობის მსურველებს სიჯიუტეს დაემორჩილოს და მონას-
ტერი დააარსოს. შიო მიმართავს ევაგრეს: „შვილო ევაგრე, უწყოდე,
რამეთუ ამიერითგან განმრავლებად არიან ძმანი უდაბნოსა ამას შინა.
ამისთვისცა ჯერ-არს, რაჲთა ეკლესიაჲ აღვაშენოთ, სადაცა გუბრძანოს
ჩვენ უფალმან“. და უფლის მიერ ნაჩვენებ ადგილას (რაც აღწერ-
ილია „ცხოვრებაში“) დასცა სათხარი... წმიდამან შიო და აღაშენეს
ეკლესიაჲ... და ვითარცა განმრავლდეს ძმანი, საცმარ იყუნეს მათთვის
საქედარნი მეტურთენი მოსაღებელად საზრდელისა და წყლისათვის...“
(ძეგლები, I, გვ. 220). მხოლოდ სიცოცხლის ბოლო წლებში შეისრულა
მან თავდაპირველი განზრახვა: დამოძღვრა მონასტრის ძმანი, წინამძ-
ღვრად ევაგრე დაუდგინა, ხოლო თვითონ მოძღვრის, იოვანე ზედაზ-
ნელის ნებართვის შემდეგ წავიდა კათალიკოსთან და მისგან მიიღო
კურთხევა დაყუდებით ცხოვრებაზე ღრმა ორმოში, უფრო სწორედ, სპე-
ციალურად ამოთხრილ მშრალ ჭაში ჩაჯდა გარდაცვალებამდე.

მოტანილ მაგალითში ჩვენ ეხედავთ მონასტრების დაარსების
ანალოგიურ შემთხვევას, როგორც ჩვენ ზემოთ წარმოვადგინეთ,
როდესაც ანტონ დიდისა და პახომი დიდის მოღვაწეობას შეეხებთ¹²⁹.
შიოს დაყუდების წინ ასწავებდა ბერი (ე.ი. იოვანე ზედაზნელი): “რაჲთა
გონებამცა კორცთავე თანა შეაყენოს და ყოველი ზრუნვაჲ ქუეყნიერი
განაგდოს, ვითარცა მკუდარმან, დაფულუმან და დაფარულმან, რა-
მეთუ ესე არს კანონი დაყუდებით ცხოვრებულთაჲ“ (ძეგლები, I, 225).
აქ ლაკონურად არის წარმოდგენილი განდევნილობის ძირითადი არსი.

დაყუდების წინ მან დამოძღვრა მონასტრის ძმანი და მონასტერში
მოღვაწეობის „პროგრამა“ წარუდგინა, უქადაგა „სწავლანი“ ამქვეყნი-

129 ე. გაბიაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, თბილისი, 2004, გვ. 54

ური ცხოვრების წარმავლობაზე და საუკუნო სასუფეველის წარუვალობაზე. შიოს „სწავლანი“ შეიძლება დაეახასიათოთ „სწავლანის“ იმ ნიშნებით, როგორც შექმნეს ბიზანტიური სასულიერო მწერლობის განთქმულმა მონაზონმა მამებმა, რომელთა დიდი რაოდენობა თარგმნილია ქართულად და რომლის ძირითადი თემაა მონაზონთა სულიერი ცხოვრებისა და მოღვაწეობა-ვალდებულებათა სწავლება.

დავით გარეჯელის შესახებ „ცხოვრებაში“ ნათქვამია: „ხოლო ესე წმიდა მამა ჩუენი დავით წარვიდა ადგილთა უდაბნოთა და ურწყულთა სჯად თავისა თვისისა, რაჲთა წუთ ერთითა ჭირითა მოიპოოს საუკუნოდ იგი და წარუვალ შეუბად და განსუენება...“ ე.ი. დაეყუდა. მაგრამ აქაც გამოჩნდნენ მისი მოწაფეობის მსურველი და, როგორც ზემოთ ვთქვით, მათ დავითის კურთხევით გამოთხარეს ქვაბები და დააარსეს მონასტრები (მაგ., დოდომ – დოდორქის მონასტერი).

იოვანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების „ცხოვრებაში“ ნათქვამია: „ხოლო აწ ნეტართა მოწაფეთა მისთათს ვიტყოდეთ, რომელნი განათლდეს მადლითა საღმრთოთა და სხუანიცა განანათლნეს და მონასტერნი აღაშენეს... რომელთა თვითოულად მოთხრობად ვერ ძალგვც. ერთმან მოწაფეთაგანმან, სახელით თათა, ქუეშე ძირსა მის მთისასა (იგულისხმება ზედაზენი) აღაშენა მონასტერი, რომელსა შინა განმრავლდეს მონაზონნი...“ მანამდე კი ნათქვამია: „ხოლო ეზდრიოს ჭალაკსა სამთავეისისასა... დაეყუდნეს... და მოვიდოდეს ქრისტეს მორწმუნენი წმიდათა მათ ბერთა და მათ მიერ განსწავლულნი და სულითა აღშენებულნი წარვიდიან სახედ თვსად...“ ხოლო მათი ნაწილი რჩებოდა მათთან და ასე იქცეოდა “სადაყუდებელი” – მონასტრად.

იოვანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების „ცხოვრებაში“, როგორც ვნახეთ, ასახულია სასულიერო მწერლობის ორი ძირითადი დარგის თხზულების ნიშნები: 1. იგი პაგიოგრაფიული თხზულებაა „ცხოვრება-მოქალაქეობის“ ჟანრისა, რადგან აღწერს ქართული ეკლესიის წმინდანთა ღვაწლს, რაც თხზულების დასახელებაშიც კარგად ჩანს. 2. თავისი შინაარსით ის ასახავს ბერ-მონაზონთა ცხოვრების ფორმებს – განდეგილობიდან სამონასტრო ცხოვრებაზე გადასვლის პერიოდს, რაც თხზულებას ასკეტიკის დარგს მიაკუთვნებს. ამჯერად სწორედ ამ თხზულების მეორე მხარე გვიანტიერესებს, რადგან კარგად ჩანს განდეგილობიდან მონასტრების მშენებლობაზე გადასვლის დრო. იოვანემ თავისი მოღვაწეობა დაიწყო და დაამთავრა მცირე გამოქვეაბულში, მას მონასტერი არ დაუარსებია, ეკლესიები (ორი) იმ ტერიტორიაზე მისი გარდაცვალების შემდეგ აშენდა. იმავე დროს ყველა მისმა მოწაფემ (გარდა აბიბოს ნეკრესელისა და ისე წილკნელისა, რომლებიც ეპისკოპოსები გახდნენ) მოღვაწეობა დაყუდებით, ე.ი. განდეგილობით დაიწყო, მაგრამ თავისივე სიცოცხლეში მათი “სამყოფელები” ხალხმრავალ მონასტრებად იქცნენ.

ამით იმის თქმა გვინდა, რომ, როდესაც ჩვენ ქართულ ორიგინალურ ასკეტიკურ მწერლობაზე და სამონასტრო მშენებლობაზე ვსაუბრობთ,

წყაროდ ისევე პავიოგრაფიულ „ცხოვრება-მოქალაქეობებს“ მიემართავთ, სხვა წერილობით წყაროებში ამაზე თითქმის არაფერია ნათქვამი.

მიუხედავად იოვანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების ცხოვრებას და შიო მღვიმელის განდევილობასთან დაკავშირებით წარმოდგენილ ერთ დადგენილ წესს განდევილურ-მონაზვნური ცხოვრების ორგანიზაციის საკითხში: შიომ ჯერ წინამძღვარს მიმართა ნებართვისათვის, მისი თანხმობის მიღების შემდეგ კი ეწვია ქართლის კათალიკოსს და მისგანაც მიიღო თანხმობა.

ბიზანტიური საეკლესიო მწერლობიდან ცნობილია, რომ სამონასტრო ცხოვრების ქრისტიანული სარწმუნოების აღიარებისა და დამკვიდრების შემდეგ მონასტერში მოღვაწე ბერი, თუ კი დაყუდება-განდევილობას გადაწყვეტდა, მას ნებართვა უნდა აეღო იმ ეპისკოპოსისგან, რომლის ეპარქიაშიც ეს მონასტერი შედიოდა და მონასტრების დაარსება-მეურვეობის ფუნქცია მისი მოვალეობა იყო. ეს წესი მოგვიანებით მსოფლიო მეექვსე საეკლესიო კრებამაც დაამტკიცა (ქალკედონის IV მსოფლიო კრების მეოთხე და მერვე კანონები; კონსტანტინეპოლის VI მსოფლიო კრების ორმოცდამეერთე კანონი). ასევე ეს ფაქტი შიოს განდევილობის შემთხვევაშიც არა გვეგონია ქრისტიანობის უადრეს პერიოდში განდევილობის საკითხი ასეთი ორგანიზაციული გზით გადაჭრილიყო. ქრისტიანთა დენის პირობებში განდევილობა იძულებითი ნაბიჯი იყო, ხოლო თუ იყო ნებაყოფლობითი – გასაიდუმლოებული, მალული იყო.

მომდევნო საუკუნეების ქართული ცხოვრება-მოქალაქეობები კი მდიდარ ცნობებს გვაწვდიან არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც დაწყებული მონასტრების მშენებლობის შესახებ, თუმცა იშვიათად განდევილობის შემთხვევებიც გვხვდება.

გრიგოლ ხანცთელიის „ცხოვრება“ მონასტრების მშენებლობის უფრო ვრცელ სურათს აღწერს სამხრეთ საქართველოში, კლარჯეთის მთიანეთში. გრიგოლისა და მისი მოწაფეების ღვაწლი ამ საქმეში შთამბეჭდავია. თხზულების ავტორი გიორგი მერჩულე აღწერს თითოეული მონასტრის აშენებასთან დაკავშირებულ საინტერესო ეპიზოდებს, მათ შინაგანაწესს, რომელიც ძირითადად პალესტინაში არსებული საბა განწმენდილის ლავრის ტიპიკონის მიხედვით შედგენილი წესებით ხორციელდებოდა, მონასტერში დანერგილ მწიგნობრულ საქმიანობას მორჩილებლად და მყარებულ მონაზონთა აღზრდის მკაცრ წესებს, იქ აღზრდილ სახელგოვან მონაზონთა და საეკლესიო იერარქთა მთელ პლიადას, რომელთა ღვაწლი ქართული საეკლესიო ისტორიისათვის განუსომეღია.

გრიგოლ ხანცთელიის „ცხოვრება“ წარმოგვიდგენს სამონასტრო ცხოვრების ახლებურ ორგანიზაციას, რომელსაც ახასიათებს აქტიური ურთიერთობები გარე სამყაროსთან (რაც ნაკლებად აქტუალური იყო იოვანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების მიერ დაარსებული მონასტრებისათვის), რომელიც ერევა სამოქალაქო და სახელმწიფო საქმიანობაში, ცდილობს დაუწესოს მათ სულიერი და მორალური ქცევისა და მოქმედების ნორმები.

სწორედ სულიერი სწავლების ასეთი გაკეთილების შედეგი იყო მონასტრების მშენებლობის აქტიური მხარდაჭერა, რომელიც გამოიჩინა ტაო-კლარჯეთის ხელისუფლებამ და ფეოდალ-აზნაურობამ: ხანცთის, შატბერდის, წყაროსთაის, ბერთის, მიძაპორის, ნეძის, კვირიკეწმიდის, უბისის, ბანას, ხახულის, ოშკის, პარხლის, ოპისის, დოლიყანისა და ბარეთელთას მონასტრები და სხვ.

თითოეული მონასტერი მონაწილეობას იღებდა ქართველთა საგანძურის – სასულიერო მწერლობის, მათ შორის ასკეტიკა-მისტიკური დარგის, ორიგინალური და ნათარგმნი თხზულებების შემცველი ხელნაწერების შედგენისა და გადაწერა-გავრცელების საქმეში. თხზულების ერთ თავში ვკითხულობთ: „ხოლო ნეტარი მამა გრიგოლ თუსით აგარაკით მარტო მთამოვიდოდა ხანცთას და მგზავრ სელასა ზეპირით წმიდისა მამისა ეფრემის თქმულთა საკითხავთა იტყოდა გოდებით ტირილსა შინა“. ჩანს, ეფრემ ასურის (+373წ.) ასკეტიკურ-მისტიკური თხზულებების ქართული თარგმანები VIII საუკუნისათვის უკვე არსებობდა, გაცილებით ადრე, ვიდრე ჯერ ეფთვიმე მთაწმიდელმა X ს. ბოლოს რამდენიმე მისი სწავლა თარგმნა (A-1704), ხოლო შემდეგ ეფრემ მცირე (XI ს.) თარგმნიდა ეფრემ ასურის ასკეტიკური თხზულებების ორ კრებულს – „ეფრემ პირველისა“ და „ეფრემ მეორეს“ (ორივე კრებული ერთად შემდეგ ხელნაწერებში: A 154(XVII); A166(1710წ.); A196 (XVII-XVIII); A673 (XII); ქუთ. 8(XVI).

ეფთვიმესა და ეფრემის თარგმანებზე აღრინდელი თარგმანებიც არსებობს, რომელთა შემცველი ყველაზე ძველი ხელნაწერები შეიძლება იყოს IX-X სს. Sin.97 (ივ. ჯავახიშვილის აღწერილობით). გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრების“ ცნობა ეფრემ ასურის თხზულებათა ქართულ თარგმანებს მინიმუმ ერთი საუკუნით „აქელებს“. აქვე ვიტყვი, რომ გრიგოლ ხანძთელის აქტიური მცდელობით ხანცთის მიდამოებში, მერეში პირველი დედათა მონასტერი დააარსა დედა ფებრონიამ, რომელშიც მონაზვნად აღიკვეცა გრიგოლის დედა, რომელიც შეიღის სანახავად იყო ჩასული ხანცთას. ამ დედათა მონასტრის მღვდელი მატო გრიგოლის მიერ იყო მივლინებული ხანცთის მონასტრიდან (მღვდელი მონაზონი მამაკაცი წირავდა დედათა მონასტერში და ეს ჩუქვლებრივი წესი იყო, რადგან მონაზონ – დედას მღვდელობის ე.წ. წირვის ნატარების უფლება არ ჰქონდათ).

ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი სამონასტრო ცხოვრების ისტორიიდან: გრიგოლისა და მისი მოწაფეების გამოზრდილმა მონაზვნებმა მონასტრების ქსელს საფუძველი ჩაუყარეს არა მარტო საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ სამოღვაწეოდ მიემგზავრებოდნენ საზღვარგარეთ, უცხოეთში და ჯერ „სტუმრის სტატუსით“ მოღვაწეობდნენ იერუსალიმის, შავი მთის (სირია), ათონის მთისა და სხვა ადგილების მონასტრებში, ხოლო შემდგომ ზოგჯერ საკუთარ ქართულ მონასტრებსაც აარსებდნენ. ის მონაზვნები ძირითადად ტაო-კლარჯეთიდან, შავშეთიდან და სამცხიდან იყვნენ წასული, რომლებიც გრიგოლ ხანძთელის ახლო თუ შორეული მემკვიდრეები იყვნენ. ისინი საზ-

ღვარგარეთ აარსებდნენ ქართულ მონასტრებს გრიგოლის მიერ ჩამოყალიბებული სამონასტრო ტრადიციების მიხედვით (საზღვარგარეთის ქართული მონასტრების შესახებ მოკლედ ქვემოთ ვისაუბრებთ). გრიგოლის “ტფილისიდან” ფარულად გამგზავრება თავის სამ თანამოაზრესთან ერთად იოვალისწინებდა არა განდევილური ცხოვრების დაწყებას, არამედ მონასტრის დაარსებას და ამისთვის იწყეს ადგილის შერჩევა ხანციოის მიდამოებში და როდესაც შესაფერისი ადგილი იპოვეს, აღმოჩნდა, რომ იქ დაყუდებული იყო “ჴედიოისი”, რომელმაც სთხოვა მათ, რომ ეს საქმე მისი მოახლოებული სიკვდილის შემდეგ დაეწყოთ, რადგან განდევილის ახლოს ხალხმრავალი მონასტრის არსებობა დაარღვევდა მის სულიერ მყუდროებას.

ეს შემთხვევა, რომელიც ჴემოთაც აღვნიშნეთ, მოვიტანეთ შემდეგი ვარაუდის გამოსათქმელად: სამხრეთ საქართველოში სამონასტრო ცხოვრების დასაწყისს წინ უსწრებდა განდევილების დაყუდებული ცხოვრება და რომ ხედიოისი არ იქნებოდა პირველი და ერთადერთი განდევილი კლარჯეთისა და სხვა რეგიონის ტერიტორიაზე. ე.ი. სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ისე როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც ვნახეთ, სამონასტრო ორგანიზებული ცხოვრებას წინ უსწრებდა ასევე განდევილური ცხოვრება.

მეორე პაგიოგრაფიული თხზულება, რომელიც მთლიანად სამონასტრო მშენებლობასა და ცხოვრების წესებს ეთმობა, ოღონდ არა ტაო-კლარჯეთში, არამედ სამცხეში, არის „სერაპიონ ჴარზმელის ცხოვრება“, რომელიც გაკვრით აღწერს კლარჯეთში დაბადებული კაცის – სერაპიონის განდევილურ ცხოვრებას ოპიზის მონასტერში IX ს-ში პარეხში (კლდის ნაპრაღი) დაყუდებული მონაზვნის მიქაელ პარეხელის მოწაფე, ხოლო შემდეგ, მოძღვრის ბრძანებით სამცხეში მოსული და იქ ჴარზმის მონასტრის დამაარსებელი (აქედან ჴედწოდებაც). სერაპიონის აღმშენებლობითი ღვაწლი მის მიერ დაარსებული მონასტრის – იოანე ნათლისმცემლის ეკლესიას გულისხმობს, ხოლო ჴარზმის მონასტრის ცენტრალური ტაძარი მისი ანდერძის მიხედვით აშენდა მისი გარდაცვალების შემდეგ, მონასტრის მესამე წინამძღვრის დროს.

თხზულებიდან ჩანს, რომ ისევე, როგორც ხანძათში, ოპიზაშიც სამონასტრო ცხოვრებას წინ უსწრებდა განდევილური „დაყუდებით“ ცხოვრება. მიქაელ პარეხელი, რომელიც თხზულებაში საკვირველთმოქმდი შიო მღვიმელის, მოწაფედ სახელდება, პირველია, ვინც პარეხელად იწოდება, რადგან მან აირჩია განდევილობის სახე – კლდის ნაპრაღში – პარეხში ცხოვრება. მისი ერთ-ერთი მოწაფე, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში მასთან, ან მეზობელ პარეხში ცხოვრობდა და განდევილი იყო, გახდა ჴარზმის ხალხმრავალი მონასტრის დამაარსებელი და წინამძღვარი. ვერ ვიტყვი, რომ მიქაელი იყო ამ მიდამოებში ან საერთოდ პირველი პარეხელი, შესაძლებელია, განდევილობის ეს სახე მიქაელამდეც არსებულიყო.

თხზულებაში აღწერილია საინტერესო ეპიზოდები მონასტრის დაარსების ირგვლივ, თუ როგორი თანადგომა და გულუხეობა გამოიჩინა ადგილობრივმა მთავარმა მონასტრის მშენებელთა მიმართ, თუ როგორ იყო მონდომებული, საუკეთესო და ერცვლი ადგილი შეეთავსებინა მათთვის, თუ როგორ აუხსნა სერაპიონმა თავისი უარი, რომ მონასტერი უნდა აშენებულიყო იმ ადგილას, რომელიც მისმა მოძღვარმა – მიქაელ პარეხელმა გამოცხადებით იხილა.

საინტერესოა, რომ მონასტრის პირველი ეკლესია აშენდა იმ ქვებით, რომელიც ადრე არსებული ეკლესიის ნანგრევებს წარმოადგენდა, რომელიც ხანდაზმულობის გამო დაფარული იყო მიწითა და ეკალ-ბარდით და მშენებლობასთან შედარებით ახლოს მდებარეობდა. აქედან დასკვნა: ამ ადგილზე ძალიან დიდი ხნის წინ ეკლესია არსებობდა, რომელიც მიწისძვრისაგან დაინგრა. თუ ეს იყო სამრევლო ეკლესია, ის იმდროინდელი უნდა ყოფილიყო, როდესაც ეს ადგილები დასახლებული იყო (ე.ი. არსებობდა სოფელი), ან იქ ადრინდელი მონასტრის ეკლესია უნდა ყოფილიყო, ე.ი. იმ ადგილებში სამონასტრო ცხოვრება უნდა არსებულიყო სერაპიონის სამცხეში გამოჩენაზე გაცილებით ადრე. საინტერესოა მონასტრის ადგილის სახელწოდებაც – „ზარზმა, რომელიც სიტყვა-სიტყვით ასეთი შინაარსისაა - „ზარი“ და „ზმა“: „ზარი საშინელ ამბავს აღნიშნავს, ხოლო „ზმა“ ქმნას. ეს საშინელი ამბავი კი ასეა აღწერილი „ცხოვრებაში“: როდესაც მთავარმა გიორგი ჩორჩანელმა სერაპიონს შესთავაზა, რომ მონასტრის საკუთრებაში იმ ტერიტორიას მისცემდა, რომელსაც ისინი შემოვილიდნენ მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე. გზაში სერაპიონს და მის ორ თანამგზავერ მონაზონს აბრკოლებდნენ მათდამი მტრულად განწყობილი ადგილობრივი ადამიანები: ჯერ წისქვილთან, ხოლო შემდეგ ტბასთან. უკუქცეულებმა გზაში შეიტყვეს, რომ ტბის ნაპირი გასკდა, დაიცალა და ნიაღვარმა წალეკა წისქვილი და იქ მყოფნი, ე.ი. მოხდა საშინელი ამბავი – დიდი უბედურება, „ზარზმა, ე.ი. ახდა ის, რაც სერაპიონმა თქვა ადრე: „ადრე იხილო მოსაგებელი კაცთა ამათ შფოთის-მოყუარეთა“ (ძეგლები, I, 332).

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“, გარდა ზარზმის მონასტრის ძველი და ახალი ეკლესიების მშენებლობისა, დასახელებულია სერაპიონის ძმის- იოვანეს მიერ სერაპიონის ბრძანებით დაარსებული მონასტერი ყველის ხეობაში, იოვანე წმიდის სახელწოდებით, რომელსაც მეურვეობას უწევდა სერაპიონი და ასწავლიდა თავის ძმას იოვანეს მონასტრის განგებას. თხზულებაში საუბარია, რომ ზანავეში „მონასტერი შუენიერი შენ არს, რომლისა-იგი იყენეს პირველნი აღმაშენებელნი ამასჲო და ქურდია“.

ასკეტიკური მწერლობის ნიმუშებად უნდა მივიჩნიოთ ის „სწავლებანი,“ რომლის ტექსტები თხზულებაში წარმოდგენილია მიქაელის მიერ თავისი მოწაფე სერაპიონის დამოძღვრაში, ასევე სერაპიონის დიალოგებში და სწავლებებში მის მიერ დაარსებული მონასტრის ძმებთან.

უმოთ განხილული „ცხოვრება-მოქალაქეობანი“ ასახავს საქართველოს ფარგლებში არსებული ასკეტიური ცხოვრების VI-IX სს. პერიოდს და ამ „ცხოვრებებში“ წარმოდგენილ სამონაზვნო სწავლებათა მაგალითებს, ხოლო ის „ცხოვრება-მოქალაქეობანი“, რომლებიც ქართველ მონაზონთა საზღვარგარეთ მოღვაწეობას ასახავს, ქართული ასკეტიკის ნაწილია და მოგვიტოვებს მათ ღვაწლის შესახებ ქართული მონასტრების დაარსებისა და სამწერლობო კერების შექმნის საქმეში.

დავიწყებთ ქრონოლოგიური რიგით: „ილარიონ ქართველის ცხოვრებით“. ილარიონმა მოღვაწეობა ანუ მონაზვნური ცხოვრება დაიწყო გარეჯის უდაბნოში, იმ გამოქვაბულში, რომელშიც თავის დროზე ცხოვრობდა დავით გარეჯელი, ხოლო შემდეგ მონაზვნობა განაგრძო საზღვარგარეთ, ბიზანტიაში.

ჯერ კიდევ ბავშვობაში მისმა მამამ შეამჩნია ბავშვის მიდრეკილება ღვთისმოსაობისაკენ და სოფლის ახლოს ააშენა მონასტერი. შეკრიბა მონასტერში ცხოვრების თექვსმეტი მსურველი და ჩააბარა მათ ილარიონი. რადგან მამამისი ხშირად აკითხავდა მას მონასტერში, ხოლო ილარიონს განმარტობული ცხოვრება სურდა, იგი გაიპარა მონასტრიდან, მივიდა დავით გარეჯის მონასტერში და შევიდა ერთ მცირე მღვიმეში. ამ დროს იგი თოთხმეტი წლისა იყო. ილარიონი აკვირებდა იქ დამკვიდრებულ მონაზვნებს თავისი ღვთისმოსაობით და განსწავლულობით, მან დაიმოწაფა და „შეიწყნარა“ თერთმეტი მონაზონი. მალე რუსთავეის ეპისკოპოსმა მღვდლად აკურთხა, მაგრამ, როდესაც იგი სახელგანთქმული გახდა, მასთან მომსვლელთა სიმრავლემ ის აიძულა ამ სამოღვაწეო ადგილს გასცლოდა. მან დადგინა თავის ნაცვლად წინამძღვრი, ხოლო თვითონ მონასტრის ორ ძმასთან ერთად იერუსალიმს მიაშურა და შეიდი წელი ცნობილი საბა განწმენდილის ლავრაში იღვაწა. გამოცხადებით მას ღვთისმშობელმა სამშობლოში დაბრუნება უბრძანა. კახეთში დაბრუნებისას მან შეიტყო მამისა და ძმის გარდაცვალების შესახებ. ილარიონმა ააშენა მამათა მონასტერი და იქ სამოცდათექვსმეტი მონაზონი შეკრიბა. შემდეგ, დედამისს აუშენა „ვანი კეთილი“ და შეიყვანა დედა თუსი...“ ე.ი. ააშენა დედათა მონასტერი, შემდეგ ორი ძმის თანხლებით „წარვიდა მოხილვად პირველთა მათ მონასტერთა“, ალბათ მამამამისისა და თვითონ მის მიერ დაარსებული მონასტრები; ხოლო როდესაც მას ეპისკოპოსად ხელდასხმა მოუნდომეს, ისევ საზღვარგარეთ – კონსტანტინეპოლს გაემგზავრა, მიაღწია ულუმბოს(ოლიმპის) მთას და მცირე ეკლესიაში დაემკვიდრა თავის ორ მოწაფესთან ერთად.

ილარიონმა ხუთი წელი დაყო ულუმბოს მთაზე, ხოლო შემდეგ, როცა იქ ჩავიდა კიდევ სამი ქართველი პილიგრიმი, დაავალა მათ „აწ თქვენ აღაშენეთ მცირე სენაკი ყორისად“ (ძეგლები, II.), ხოლო თვითონ ერთ მოწაფესთან (ისაკი) ერთად კონსტანტინეპოლში ჩავიდა, იქიდან კი – რომში. იქ ორი წელი დარჩა და შემდეგ თესალონიკში წავიდა და მრავალი სასწაულის ასრულების შემდეგ ხალხმა ქალაქიდან აღარ გაუშვა, ხოლო მთავარმა მას აუშენა ეკლესია და მალე მასთან მოსუ-

ლი მრავალი ილარიონის ხელით მონაზუნად აღიკვეცა, რომლებმაც მონასტერი დაარსეს. რამდენიმე სწის შემდეგ ილარიონი 53 წლის ასაკში თესალონიკეშივე აღესრულა.

ილარიონს სასწაულებმა ისე გაუთქვა სახელი, რომ იმპერატორმა ბასილი მაკედონელმა მისი წმიდა ნაწილები ჯერ კონსტანტინეპოლში გადაიტანა და სამეფო პალატებში დაასვენა თავისი ლუსკუშიო, სანამ კონსტანტინეპოლის ახლოს, რომანაში არ ააშენა მონასტერი ქართველებისათვის – ულუმბოს მთაზე დარჩენილი ილარიონის სამი მოწაფისათვის, რომლებიც ჩამოვიდნენ სამეფო კარზე იმპერატორის თხოვნით და მის შვილებს ქართულ ენას ასწავლიდნენ, ხოლო შემდეგ დაემკვიდრნენ ახლადაშენებულ მონასტერში და ილარიონის ნეშტიც იქ გადაასვენეს.

როგორც ვხედავთ ილარიონ ქართველის სახელთან საქართველოში (კახეთში) და საზღვარგარეთ (ულუმბო, თესალონიკი, რომანა) ათეულამდე მონასტრის დაარსებაა დაკავშირებული.

უფრო მასშტაბური და მნიშვნელოვანია ათონის მთაზე (საბერძენეთი) ქართველ მონაზონთა მიერ დაარსებული ქართველთა მონასტერი თავისი მრავალრიცხოვანი ეკლესიებითა და სენაკებით, რაც აღწერილია XI ს. შუა წლებში გიორგი მთაწმიდელის მიერ მათი მშენებლობის შესახებ დაწერილ თხზულებაში „ცხოვრებად მამისა ჩუენისა იოვანისი და ეფთემესი და უწყებად ღირსისა მის მოქალაქობისა მათისად“ (ხელნაწერი A-558, 1074წ. გვ. 5-130). ამ პაგიოგრაფიულ თხზულებაში მოთხრობილია, რომ ათონის ქართველთა მონასტრის დამაარსებელმა იოვანემ, დავით კურაპალატის ერთ-ერთმა მხედართმთავარმა, მეფის სამსახური დატოვა (დავით მეფის ნებართვით), მიატოვა ოჯახიც (ცოლ-შვილი) და კლარჯეთის „ოთხთა ეკლესიაში“ – მონასტერში ბერად აღიკვეცა, ხოლო მალე ახლობლებისა და მნახველთაგან თავი რომ დაედწია, საზღვარგარეთ წავიდა სამოღვაწოდ და მცირე აზიის ოლიმპოს (ულუმბოს) მთაზე დამკვიდრდა (სადაც გაცილებით ადრე – IX ს-ში ილარიონ ქართველი თავის ქართველ თანამოღვაწებთან ერთად ცხოვრობდა 5 წლის განმავლობაში. თვალში საცემია, რომ სახესუა სამონაზვნო ცხოვრების მემკვიდრეობითობა: ილარიონი გარეჯის მონასტერში იმ მღვიმეში შედგა IX საუკუნეში, რომელშიც VII ს-ში დავით გარეჯელი ცხოვრობდა, ხოლო იოვანე X ს-ში მივიდა და დაემკვიდრა იმ მთაზე, სადაც IX ს. ილარიონმა დააარსა ქართველთა მცირე მონასტერი). მალე იოვანემ შეიტყო, რომ მისი 7 წლის ვაჟი – ეფთემემ იმ მძევალთა რიცხვში იყო, რომლებიც ბიზანტიის იმპერატორის კარზე ჩაიყვანეს, დავით კურაპალატთან პოლიტიკურ საკითხებზე მოლაპარაკებასთან დაკავშირებით. იოვანე ჩავიდა კონსტანტინეპოლში და იმპერატორისაგან გამოიხსნა შვილი, დაბრუნდა ულუმბოს მთაზე, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ გადაწყვიტა, რომ გარიდებოდნენ იქაურობას, მოზღვავებულ თაყვანისმცემლებს და ორიენი ათონის მთაზე მივიდნენ და ათანასე ათონელის სახელგანთქმულ ლავრაში დამკვიდრდნენ.

მას შემდეგ, რაც ათანასეს მონასტერში თავი მოიყარეს იოვანესთან მოღვაწეობის მსურველმა მონაზვნებმა (მათ შორის მისმა ხორციელმა ძმამ – თორნიკემ, რომელსაც მონაზვნობაში იოვანე ეწოდა, აგრეთვე არსენ ნინოწმიდელმა, ეპისკოპოს-ყოფილმა, იოვანე გრძელის ძემ), ქართველებმა გადაწყვიტეს: „არა ჯერ არს ჩუენი მონასტერსა შინა ყოფად, რამეთუ სხვანიცა მოგუმარობენ და გარე-შექცევაჲ შეუძლებელ არს. და ესრეთ განზრახვითა მამისა ათანასესითა ლაერისაგან განშორებულად, ვითარ მილლიონ ერთ (1000 ნაბიჯი), უდაბნოსა შუენიერსა წმიდისა იოვანე მახარებლისასა ეკლესია აღაშენეს და სენაკები, და მუნ იყოფებოდეს მრავალ-ჟამ, ვითარცა ანგელოზნი ღმერთისანი“, ე. ი. დააარსა მონასტერი ათანასეს ლაერასთან ახლოს (ჩვენ გვგონია, რომ ათანასე ათონელმა ქართველებს მონასტერი აუშენა თავისი ლაერის ფარგლებში), სადაც ქართველი მონაზვნობა მოღვაწეობდა „მრავალ ჟამ“, ე. ი. დიდხანს.

ამის შემდეგ ბიზანტიაში პოლიტიკური მოვლენები, რომელმაც უშუალო გავლენა მოახდინა ქართულ მონაზვნობაზე, ასე განვითარდა: დაიწყო ძალაუფლების მოპოვებისათვის აჯანყება მმართველი მთავრობის წინააღმდეგ. ოფიციალურად ხელისუფლება კი ეპყრა ორ მცირეწლოვან ძმას, მაგრამ ფაქტიურად ქვეყანას მათი რეგენტები, დედოფალი და მამინაცვალი განაგებდნენ. გაჭირვების ჟამს, მათ დამხარებისათვის დავით კურაპალატს მიმართეს, ხოლო შუამავლობა ქართული მონასტრის წინამძღვარს იოვანეს და მის ძმას, მონაზონ იოვანე - თორნიკეს სთხოვეს. დიდი უარის შემდეგ თორნიკე ჩავიდა დავითთან (მას არ უნდოდა სამოქალაქო საქმეებში ჩართვა), საიდანაც დაბრუნდა 12.000-კაციანი ლაშქრით, რომლის სარდლობა თორნიკეს, როგორც გამოცდილ სარდალს, დავითმა სთხოვა. ქართული ჯარის მცდელობით აჯანყებულები დამარცხდნენ, მათი მეთაური ბარდა სკლიაროსი დაატყვევეს, ხოლო თორნიკე მონასტერში დაბრუნდა იმპერატორთა აღურაცხელი საჩუქრებით და სიმდიდრით, ამასთანავე ომში მოპოვებული დიდძალი ალაფით. მათ ნაწილი ათანასეს ლაერასა და სხვა მონასტრებს შესწირეს, ხოლო უდიდესი ნაწილით ათონის მთაზე, ხმელთაშუა ზღვის ნაპირას, ერთ-ერთი ულამაზესი მონასტერი ააშენეს. ეს მონასტერი გახდა ქართული მწერლობის უდიდესი კერა X-XI სს-ში, რომელმაც იოვანე მთაწმიდელის მცდელობით და ეფთვიმე მთაწმიდელის მთარგმნელობითი მოღვაწეობით საქართველოს ეკლესია გაამდიდრა ბერძნული ენიდან თარგმნილი სასულიერო ლიტერატურით და უკვე არავის არ შეეძლო გაემეორებინა იოვანეს სიტყვები: „ქართლისა ქუეყანაჲ დიდად ნაკლულოვან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლან...“ არ არის სასულიერო მწერლობის არცერთი დარგი, რომ ეფთვიმეს არ ეთარგმნოს ამ დარგის უმნიშვნელოვანესი თხზულება. მათ შორის არის ასკეტიკურ-მისტიკური მწერლობის მრავალი ძეგლიც, რომელთა შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ.

საინტერესოა თხზულებაში აღწერილი მონასტრის სამეურნეო

საქმიანობა: ვენახები და ბაღები, მიწათმოქმედება და ზღვაოსნობა და ა.შ., რომელსაც თავიდან მონასტრის ქართველი ძმობა უძღვებოდა, მაგრამ მეურნეობის გაზრდასთან ერთად გაჭირდა მისი მოვლა მარტო ქართველთა ძალებით, რამაც გამოიწვია მონასტერში ბერძენი მუშახელის მომრავლება და ბერძენ მონაზონთა შეწყნარება მონასტერში. ამ მოვლენებმა მომდევნო წლებში მონასტერში მაცხოვრებელ ქართველებსა და ბერძენებს შორის შინააშლილობა გამოიწვია, რასაც მოყვა ქართველი მონაზუნების შევიწროება, მონასტრის წინამძღვრების რეპრესიული ხელისუფლების მხრიდან, ხოლო XVI საუკუნეში – მონასტრიდან ქართველების გამოძევება.

ბოლოს, რამდენიმე სიტყვა ათონის ქართველთა მონასტრის წესდების შესახებ. მონასტერი ზოგადცხოვრებულთა ანუ კენობიტური იყო. ყველაფერი საერთო საკუთრებაში იყო, ტანსაცმელიც კი: თხზულებაში აღწერილია ასეთი შემთხვევა: ერთმა მთავარდიაკონმა, რომელიც „ღირსი კაცი“ იყო და „არამცირედი საფასე მიეცა მონასტრისთვის, თვისი სამოსელი, რომელი დაედვა ეკლესიასა, არა ჰნებავენ, რადთამცა ვინმე შეიმოსა იგი თვნიერ მისსა“. ერთ დღეს ეფთვიმეს „ენება...შეწირვად უსისხლომსა მსხუერპლისა და უბრძანა სხუასა ვისმე მთავარდიაკონსა“, რომ იგი შემოსილიყო ზემოხსენებული მთავარდიაკონის კუართით. ხოლო მან ეფთვიმეს უთხრა: „ნუჟკუე შეწუხნეს ძმად იგი, რამეთუ არა ჰნებაეს, რადთამცა ვინმე შეიმოსა კუართი მისი“. მან იხმო მონაზონი და ჰკითხა: „გნებაეს, რადთა შეიმოსოს ძმამან მან კუართი შენი და ჰმსახუროს საკურთხეველსა ჩუენ თანა?“ როდესაც ეფთვიმემ დაინახა, რომ მთავარდიაკონი შეწუხდა და არ უნდოდა, რომ მისი კუართი სხვას ჩაეცვა, მან აღასრულა ჯამისწირვა და იხმო მთავარდიაკონი და განუმარტა მისი საქციელი, გაახსენა მისი ქრისტიანული საქციელი, რომ სულის ხსნისათვის მან დატოვა სოფელი, მშობლები, ახლობლები. ბოლოს კი უთხრა: „და ჯერ გინსს, შეილო, რადთა მაგის ყოვლისა მადლი და სასყიდელი წარიწყმინდო კუართისა ამის შენისათუს?“ მაშინვე ბრძანა „მოღებად ცეცხლისა და თვისთა კელითა შთაგდო კუართი იგი ცეცხლსა“ (ძეგლები, II, გვ. 77-78).

გიორგი მთაწმიდელი თავის თხზულებაში დიდ ადგილს უთმობს ეფთვიმეს მიერ მონასტერში დადგენილ მკაცრ წესებს და 42 პუნქტად ჩამოთვლის მას. ჩვენ მხოლოდ რამდენიმეს შევეხებით: მონასტერში თუკი მოხდებოდა უწესრიგობა, ფიცხელი შფოთი, გინა წუერთა დაგლეჯად, გინა მიმთხვევად“, ეფთვიმე გაჯავრების გარეშე, „ჰამოდთა სიტყუთა დაიუბნის წიგნთაგან და ზეპირით“, რომ თუ ეს საქმე დაუსჯელად ჩაივლის „პირველად სულთა თქუნთა წაიწყმედთ, მერმე მონასტერი უწესოდ გავა“ (ვარიანტი- იქმნების)... უკუეთუ უწუროვლად მიგიშუნე, უწყოდეთ, ვითა მას საუკუნესა მწარედ განისჯებით“. ხოლო „წუროვნა“ იყო სასჯელის ასეთი პროცედურით ჩატარება: „სამამოს მიიყუანნის და უბრძანის განროხმად და ძმამან მან თაყუანის-სცის და განართხის თავი თვისი. და ერთი ძმად თავსა უმჭირავენ და ერთი

ფერტა“ და ერთთა ჩოკათა ზედა მიამთხვან ღუედიოთა: რომელსამე ლ(30) და რომელსამე მ(40) და რომელსამე სამოცი“ – დანაშაულის სიმძიმის მიხედვით. დასჯილები მუხლმოდრეკით პატიებას სოხოვდნენ წინამძღვარს, ხოლო იარებს ლოგინში იშუშებდნენ“, ზოგი ორი კვირა და ზოგიც– სამი. ეფთვიმე მიდიოდა მათ სანახავედ და ანუგეშებდა (ძეგლები, II, გვ. 72-73, პ.12).

ასაკეტიკურია „სწავლანი“, რომელსაც ეფთვიმე მიმართავდა მონა-ზონთა დასამოძღვრად ორჯერ, ხან სამჯერ თვეში: „ასწავებნ მათ სარგებელსა სულთა მათთასა... ხოლო ასწავებნ მათ სიყუარულისათუს და სიმდაბლისა, მორჩილებისათუს და კრძალულებისა, მისლვისათუს ეკლესიად და სხუათა ყოველთავე წესთა კრებულისათა მკურნალედ აღსრულებისათუს“ (ძეგლები, II, გვ. 76-77, პარაგ. 21).

კიდევ უფრო მრავალფეროვანია სამონასტრო ცხოვრების სურათები, მწიგნობრული საქმიანობა და სამონასტრო მშენებლობის აღწერა პაგიოგრაფიულ-ასაკეტიკურ ძეგლში „ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა“ (ხელნ. S-353, XI). თუ ეფთვიმე ბავშვობიდან გარდაცვალებამდე მოლიანად ჩართული იყო მხოლოდ ათონის სამონასტრო იმპერიაში (ათონის მთაზე 20-ზე მეტი ქრისტიანული, ოღონდ სხვადასხვა ენოვანი მონასტერი არსებობდა, რომელთა წინამძღვრების დიდი ნაწილი ეფთვიმესთან მიდიოდა რჩევა-დარიგების მისაღებად) მიმდინარე პროცესებში, გიორგი მთაწმიდელი უფრო „მოძრავი“ იყო და მისი სახელი დაკავშირებულია როგორც სამცხის მონასტრებთან (დედათა და მამათა), ასევე კლარჯეთის, შავი მთის, იერუსალიმის და ათონის ქართველთა მონასტრებთან: „მოვიკსენნე წიგნნი, რომელნი მას ნეტარსა უთარგმნიან... რამეთუ არა თუ მთაწმიდას და შავ მთასა ოდენ თარგმნა... არამედ სამეფოსა (ე.ი. კონსტანტინეპოლს), გზასა სულუმბარიას, ანტიოქიას, სემეონ წმიდას და კალიპოსს და სხუათა ესევეითართა ადგილთა“. მათ შორისაა გიორგის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი თეოდორე სტუდიელის ასაკეტიკურ-მისტიკური შინაარსის „სწავლანი“ – დიდი მარხვისა და აღდგომის ციკლის საკითხავები.

პირველი მონასტერი, სადაც 7-10 წლის ასაკში იზრდებოდა გიორგი, იყო სამცხის დედათა მონასტერი – ტაძრისი, სადაც მისი უფროსი და თეკლა იყო მიყვანილი, ხოლო სამიოდე წლის შემდეგ გადაიყვანეს ხახულის მონასტერში, სადაც მისი მამის ძმები მოღვაწეობდნენ. აქ გაატარა გიორგიმ ბავშვობის რამდენიმე წელი მოძღვრების გარემოცვაში, აქვე დაბრუნდა უკვე მოწიფული გიორგი კონსტანტინეპოლიდან, სადაც იგი 12 წლის განმავლობაში ცხოვრობდა, როგორც იქ იძულებით გადასახლებული, დასჯილი მთავრის ოჯახის მოძღვრის (თავისი ბიძის) დამხმარე და 25 წლისა აქ აღიკვეცა მონაზვნად. შემდეგი მონასტერი, სადაც გააგრძელა მოღვაწეობა გიორგიმ საზღვარგარეთ, შავ მთაზე (სირია) მდებარეობდა: ხახულიდან გიორგი გაიპარა და შავ მთაზე, სეიმეონ საკვირველმოქმედის მონასტრის ახლოს,

მთის ნაპარალში დაყუდებულ გიორგი შეყენებულს დაემოწავა, რომელმაც იგი დასამკვიდრებლად რომანაწმიდის მონასტერში გაგზავნა.

აქ გიორგი სამი წლის განმავლობაში ცხოვრობდა „სიმდაბლითა და მორჩილებითა“ და გიორგი შეყენებულის ხელით 30 წლის ასაკში „მონაზონებისა მოღვაწებაჲ სქემისა გურგვნითა“ იკურთხა. გიორგის მიერ იერუსალიმის მოლოცვის შემდეგ მოძღვარმა იგი მთაწმიდის ქართველთა მონასტერში გაგზავნა ეფთვიმეს მთარგმნელობითი საქმიანობის გასაგრძელებლად, სადაც მან ჯერ მღვდელმონაზონის პატივი მიიღო, შემდეგ დეკანოზისა და ბოლოს – მონასტრის წინამძღვრისა. ამ პერიოდში გიორგიმ რამდენიმე მნიშვნელოვანი ძეგლი თარგმნა ბერძნულიდან, ამასთანავე შექმნა „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“ – ათონის ქართველთა მონასტრის აშენებისა და იქ ქართველ მონაზვნობის ორგანიზაციისა და სალიტერატურო ღვაწლის ისტორია აღწერა.

გიორგი რამდენიმე წლის შემდეგ ჩავიდა კონსტანტინეპოლში, იმპერატორისაგან ნებართვა აიღო, დატოვა ათონის მონასტერი და შავ მთას დაუბრუნდა.

ამ დროს ანტიოქიაში ბაგრატ IV-ის დედა – მარიამი ჩავიდა და იერუსალიმის მოსალოცად ემზადებოდა, მაგრამ გიორგისა და ანტიოქიის პატრიარქის რჩევით, რომ „სარკინოზეთში“ გამგზავრება სახიფათო იყო დედოფლისათვის, მისი სახელით იერუსალიმში ქართული მონასტრისათვის შესაწირავის ჩასატანად დედოფალმა გიორგი გაგზავნა. ამ დროს იერუსალიმში პროხორე ჯვარის ქართულ მონასტერს აშენებდა და ეს შესაწირავი მას ძალიან გამოადგა, ხოლო გიორგის სთხოვა მონასტრისათვის თავისი ნათარგმნი თხზულებები გამოეგზავნა.

იერუსალიმიდან დაბრუნებულმა გიორგიმ გააგრძელა მთარგმნელობითი საქმიანობა, ის ხან სვიმეონწმიდის მონასტერში იღწვოდა, ხან კიდევ კალიპოსის ქართველთა მონასტერში.

ამ დროს ანტიოქიის პატრიარქმა თეოდოსმა, რომელიც დაარწმუნეს, რომ შავ მთაზე მოღვაწე ქართველი მონაზვნები „არა მართლმადიდებელნი იყვნეს“ და მწვალებლები, და სთხოვეს იქ მყოფი „ვითარ სამეოცი კაცი, რომელნი ქართველად სახელ იღებენ თავთა თესთა“, გაესახლებინა შავი მთის მონასტრებიდან, საქმეში გასარკვევად ითხოვა რომელიმე ბერძნულის მცოდნე მონაზვნის მასთან მიყვანა. მათ „უნდა თუ არა, აღიარეს, ვითარმედ – ჰე, არსთი ვინმე მონაზონი ღრამატიკოსი და ბერძნულთა წიგნთა ქართულად თარგმნის“.

პატრიარქის ბრძანებით გიორგი მთაწმიდელი მის წინაშე წარდგა და შეკითხვებზე პასუხებში „იწყო წარმოთქმად მართლისა სარწმუნოებისა ესრეთ, რომელ განაკვირვნა მსმენელნი... მაშინ პატრიარქმან ბრძანა... ვიეთნიმე ნაკლულოვანებასა სწამებდეს ქართველთა, და აჰა ესერა მრავალთა სახითა უზუშთაეს იპოვნეს ჩუენსა“... ხოლო „მეტროპოლიტნი და ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი ანტიოქიისანი... წმიდასა ამას ქებაჲ შეასხეს“. ამ ამბების შედეგად სვიმეონ მესვეტე უმცროსის

მონასტერში ქართველებს ჟამისწირვის უფლება მიეცათ, რაც მანამდე არ ჰქონიათ (ძეგლები, II, გვ. 151).

გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრებაში“ კიდევ ერთი ქართული მონასტრის შესახებ არის საუბარი: „... მოირწყენს ეკლესიანი შაეისა მთისანი წიგნთა მისთა მდინართა სულთა განმანათლებელთა, რამეთუ ყოველთა მონასტერთა გარდაიწერნეს, და უფროდ ყოველთაგანსა დიდად იღუაწა სულითა კურთხეულმან ანტონი ლიპარიტ ყოფილმან და თუსისა მონასტრისა ბარლამწმიდისათუს დააწერინა და წმიდასა ამას ბერსა (ეი. გიორგის) დიდად პატივ უპყრა და ნუგეშინის-სცა და თუსისა მონასტრისაგან გაკუეთილი შეუქმნა და სიმტკიცე თუსითა ჰკელითა დაუწერა და შეუნიერი ქებად და მადლობად დაწერა მას შინა ღუაწლითა და შრომითა მისთათუს“.

ბაგრატ მეფემ, დედამისმა მარიამ დედოფალმა (რომელმაც მონაზუნად კურთხევა გიორგის ხელით მიიღო), ბაგრატის ძემ გიორგიმ და სამეფო კარის დიდებულებმა დიდი თხოვნის შემდეგ დაიყოლიეს გიორგი, რომ ის საქართველოში ჩამოსულიყო „რამთა იკუროხნენ და განათლდნენ მის მიერ“. ბაგრატი ხუთი წლის განმავლობაში აწესრიგებდა ქართული ეკლესიის საქმიანობას, ცხოვრობდა ჭყონდიდს (ჭყონდიდელი ეპისკოპოსი მისი მოწაფე იყო), შემდეგ გრიგოლ ხანცთელის თანამებრძოლის, ქრისტეფორეს მიერ დაარსებულ ნეძვის მონასტერში, ხოლო ბოლოს, ყველაზე დიდხანს გრიგოლ ხანცთელის მიერ დაარსებულ შატბერდის სახელგანთქმულ მონასტერში.

საქართველოში ყოფნის დროს „ამან განათლებულმან ღმრთისა მიერ ყოველნივე ცხადნი და დაფარულნი უწესობანი განაძარტნა, რამეთუ პირველად ყოვლისა აღლესა მახვლი მხილებისად მეფეთა მიმართ მრავალთა უწესობათათუს უშიშად და თვალუხუაყად...ეგრეთეე მონაზონთა და მოწესეთა და ყოველსა ერსა შემსგავსებულთა სწავლითა განანათლებდა, უსწავლელთა სწავლიდა...“

ყოველივე გიორგი მთაწმიდელის მიერ ნამოქმედარი ქვეყანაში სულიერების აღორძინებას ისახავდა მიზნად, მაგრამ მან მოიმოქმედა ისეთი რამ, რასაც ანალოგი არ მოეპოვებოდა მართლმადიდებელ სამყაროში: ეს იყო ერთი მხრივ უდიდესი კუმანური და ქველმოქმედების აქტი, ხოლო მეორე მხრივ — ათონის ქართველთა მონასტრის მომავალი სიძლიერისა და სიმტკიცის გარანტი. საქმე ისაა, რომ გიორგის საქართველოში ყოფნის დრო დაემთხვა საშინელი შიმშილობის ბოლო პერიოდს: „რომელნი... ენინ ოდენ სიყმილისა სიკუდილსა დაუშთეს... მას ოდენ ჟამსა მიეიწიენით ჩუენ აღმოსავლეთს... თუცა ვინ დაშთომილ იყო... შორის სიკუდილისა და ცხორებისა მყოფ იყო“ (ძეგლები, II, გვ. 169) წერს გიორგი მცირე — გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფი. გიორგიმ შეაგროვა 80 სული ზოგი ქალაქებიდან, ზოგი დაბათაგან, „სხუანი უდაბურთა ადგილთა პოენა, სხუანი მონებისა უმწარესისა ცხორებისაგან იკსნნა რომელთაგანთა წუთ არცა მარჯუენე უწყოდეს, არცა მარცხენე, არამედ მოქენე იყენეს სძესა დედისასა საზრდელად...“

ხოლო სხუანი მეორესა მას ჰასაკსა შინა შესულნი... ყრმად სახელდებულნი... მესამენი მესამესა მას ჰასაკსა შინა სიჭაბუკისასა მოსარდნი... ხოლო მეოთხენი განწყობილნი ხუცესთა და მოხუცებულთა და ბერთანი... ხოლო სხუანი კუალად შეიღოთა თუსთა თანა დადგეს... და შეუდგეს წმიდასა მას“. შეკრებილთა შორის იყვნენ „დისწულნი ორნი და შეილნი მათნი, ყრმანი მცირენი“. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ფაქტია, გიორგიმ 80 ადამიანი ამოგზაურა მეტად საშიში გზით – ახალქალაქიდან სამი დღით გაასწრო ქალაქის აოხრებას მაჰმადიანთაგან, „ხოლო ჩუენ წარმოემართენით ნაეთა, მრავალნი ღელეანი და აღძრვანი ზღვისანი გუეკუეთნეს მრავალ დღე... რომლისა აღწერად სიტყუსა ნამეტნაე არს“. ამასთანავე ამდენი ადამიანების გამოკვება ამ გრძელ გზაზე „მრავალ დღე“ მართლაც ძნელი წარმოსადგენია. გიორგიმ კონსტანტინეპოლში ჩაიყვანა ისინი და ათონის მთაზე უნდოდა მიეყვანა, რათა მონასტრის ძმობა გაემრავლებინა, რადგან გიორგის იქ წინამძღვრობაზე ადრე დაწყებული იყო ბერძენთაგან ქართველების ათონიდან განდევნის პროცესი. გიორგის უნდოდა „ესოდენი ესე სიმრავლე შეიღოთა თუსდა, ვითარცა ცხოართა პირმეტყუელთა, წმიდასა მამასა ჩუენსა ეფთუმეს მიუძღუანნეს და შინაგან ბაქისა მისისა დაამკვდრნეს“ და თვითონაც მოაწმიდას დაუბრუნდებოდა (ის ხომ დიდი ხანია შვე მთაზე მოღვაწობდა), მაგრამ ეს სურვილი ნაწილობრივ აუსრულდა: ათონის მონასტრისათვის წამოყვანილი შეესება კი ჩავიდა მონასტერში უკლებლად, მაგრამ მათთან ერთად გიორგი მთაწმიდელის მხოლოდ ცხედარი ჩაიტანეს: კონსტანტინეპოლში საქართველოდან ჩასვლისთანავე, ორიოდ დღეში, გიორგი უეცრად გარდაიცვალა და მხოლოდ მისმა ნეშტმა იძოვა განსასვენებელი თავისი დიდი მასწავლებლისა და კუშირის – ეფთვიმე მთაწმიდელის გვერდით.

პროხოროე ქართველმა, იერუსალიმში კლარჯეთიდან XI ს. შუაწლებში ჩამოსულმა მონაზონმა, რომელიც საბა განწმედილის ლავრაში მოღვაწეობდა, ჯვარის დიდებული მონასტერი ააშენა და მასში სამოღვაწეოდ 80 ქართველი ბერი შეკრიბა, ალბათ ძირითადად საბას ლავრაში თანამოღვაწე თანამემუღეთაგან და წმინდა მიწაზე დააარსა უმნიშვნელოვანესი ქართული სამონასტრო-მწიგნობრული კერა. ყოველივე ეს აღწერილია, სამწუხაროდ, პროხორეს მოკლე, ე.წ. სეინაქსარულ „ცხოვრებაში“, ვრცელი თხზულება მის ღვაწლზე არ დაწერილა.

ბოლო პაგიოგრაფიულ-ასკეტიკური თხზულება, რომელშიც აღწერილია უძველესი ქართული სამონასტრო მშენებლობა საზღვარგარეთ, არის „ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა პეტრე ქართველისა, რომელი იყო ძე ქართველთა მეფისა“, ძეგლი, რომელიც სირიული ენიდან ქართულად თარგმნა მაკარი მღვდელმა (მესხმა), XIII-XIV სს-ის მოღვაწემ. არადა პეტრე იბერიელი, ანუ ქართველი V სუკუნის მოღვაწეა: ჯერ სამონასტრო მშენებლობის ინიციატორი პალესტინასა და ეგვიპტის უდაბნოებში, ხოლო შემდეგ კი სამრევლო ეკლესიის ეპისკოპოსი დახაში. ამ ბუნდოვანებას ნათელი

მოუფინება თუ კი ჩვენ მცირე კომენტარს გავაკეთებთ „ცხოვრების“ ტექსტზე დაყრდნობით: ქაროლის მეფემ ვარაზ-ბაკურმა ერთგულების ნიშნად მიქელად თავისი 12 წლის ვაჟი მურვანოსი ბისანტიის იმპერატორს თოდოსი მცირეს (408-450წწ) გაუგზავნა. მალე მურვანოსი გაენდო ვინმე საჭურისს და ისინი ღამით გაიპარნენ კონსტანტინეპოლიდან და ფაოერაკების შემდეგ იერუსალიმში ჩავიდნენ, სადაც ერთ-ერთ მონასტერს შეეფარნენ. მონასტრის წინამძღვარმა, რომიდან მოსულმა ყოფილმა მეფემ პიპინოსმა, ისინი მონაზუნებად აკურთხა: მურვანოსს ეწოდა პეტრე და საჭურისს – იოვანე. იქ მოღვაწეობაში პეტრე 25 წლის გახდა. პეტრემ და იოვანემ ააშენეს „სახლი სასტუმროდ ქალაქსა შინა და განუსუენებდეს მომავალთა ძმათა ქართველთა და ბერძენთა“ (ძეგლები, II, გვ.). ამის შემდეგ ისინი გავიდნენ პალესტინის უდაბნოში „და შეერიბნეს ძმანი მრავლად და აღაშენეს მონასტერი თავისა თვისისათს“ (ძეგლები, II, გვ. 260). ანასტასი პატრიარქმა პეტრე და იოვანე ხუცესებად აკურთხა, ისინი დაბრუნდნენ მონასტერში და „სრულყო შენებად წმიდისა მის ეკლესიისა და მონასტრისა და შეკრიბნა მას შინა ძმანი მრავალნი, ყოველნივე მოღუაწენი, და განუჩინა მათ წესი და კანონი და დაუდგინა მათ წინამძღურად კაცი ღმერთშემოსილი და წმიდაა. და პრქვიან მონასტერსა მას ქართველთა მონასტერი“ (ძეგლები, II, 260-261). ამის შემდეგ ისინი წავიდნენ „იორდანისა პირსა, ადგილსა უდაბნოსა, და იშენეს მონასტერი“ (იქვე, გვ. 261).

აქედან პეტრე „და მოწაფენი მისნი და იოანეცა ნეტარი წარვიდა ეგვიპტედ, სანახებთა სკიტისათა“. მოელნეს უდაბნო, მონახულეს მეუდაბნოე მამები და „სურვიელ იქმნეს უდაბნოსა მას და გამოარჩიეს ადგილი და აღაშენეს ეკლესიამ და გარემოხს მონასტერი და მოიყვანეს ეპისკოპოსი და აკურთხეს ეკლესიამ“ (იქვე, გვ. 262). რამდენიმე დღის შემდეგ პეტრე და იოვანე იერუსალიმში ჩავიდნენ და „აღაშენეს ქალაქსა შინა სახლი სასტუმროდ და იწყეს შენებად ეკლესიისა“.

ზემოხსენებული ქართველთა მონასტერი, რომელიც პეტრემ და იოვანემ ააშენეს, მეორედ იხსენიება თხზულებაში, როდესაც გარდაცვლილი იოვანე საჭურისი იქ დაასაფლავეს (იქვე, გვ. 263).

ამის შემდეგ თხზულებაში მისი სურვილის წინააღმდეგ პეტრეს ეპისკოპოსად კურთხევის ამბებზე და მწვალებელთა მიერ შექმნილ ფათერაკებზეა საუბარი, თუმცა დაწყენარების შემდეგ „მიიქცა პეტრე თვისსა საყდარსა და სამწყსოსსა... და გარე ქალაქისა აღაშენა მონასტერი და ეკლესიამ შეუნიერი და შეკრიბნა ძმანი მრავალნი და განუწესა მათ წესი და კანონი სულიერი და საღმერთო“ (გვ. 266).

თხზულების ავტორი – ზაქარია ჩნდება პეტრეს ეპისკოპოსობის შესახებ თხრობაში: „ხოლო ვითარცა გულისწმა ყო ნეტარმან ზაკუა მათი, და რამეთუ მოკვლად ენება, მრქუა მე: „შვილო ზაქარია, ადგე და წარვიდეთ უცხოსა ქუეყანასა“. ცხადია, ზაქარია რიტორმა, ქართველმა კაცმა, თავისი მოძღვრის ბიოგრაფია სირიულ ენაზე დაწერა, რადგან პეტრე სირიის ქალაქ ღაზას (მაიუმის) ეპისკოპოსი გახდა და ქართულ ენაზე დაწერილ პეტრეს „ცხოვრებას“ მრევლი

ვერ წაიკითხავდა, მაგრამ მაინც საკვირველია, რატომ ვერ თარგმნეს იგი ქართულად 8-9 წლის განმავლობაში. პეტრემ, როგორც ჩანს, ბოლომდე შეინარჩუნა ყოველივე ქართული, სირიულად დაწერილ მის „ცხოვრებაში“ „პეტრე ქართველის“ მოხსენიება ხშირად გეხედება და თუ მის მიერ პალესტინის უდაბნოში პირველად დაარსებულ მონასტერს „ქართველთა მონასტერი“ დაერქვა, ჩანს მის ძმობას ძირითადად ქართველი მონაზვნობა შეადგენდა. ასე უნდა ყოფილიყო პალესტინაში და ეგვიპტეში დაარსებულ მონასტრებთან დაკავშირებითაც: „სანატრელი პეტრე და მოწაფენი მისნი... წარვიდა ეგვიპტედ, სანახებთა სკიტისათა“... ეს „მოწაფენი“, ცხადია, „ქართველთა მონასტრის“ ძმათა ნაწილი იქნებოდა.

ჰაგიოგრაფიული კიმენური რედაქციის თხზულებების გვერდით არ შეიძლება არ ვახსენოთ პროხორე ქართველის სინაქსარული „ცხოვრება“, რომელიც მოკლედ აღწერს მის მიერ იერუსალიმში ჯვარის ქართველთა მონასტრის მშენებლობის ამბავს („მოკლედ აღწერს“ იმიტომ, რომ პროხორეს შესახებ ვრცელი ცხოვრება, რომელსაც შეეძლო უფრო ვრცლად მოეთხრო მშენებლობის ამბები, არ დაწერილა): პროხორე (სოფი ხელნაწერის მინაწერი—გიორგი-პროხორე) კლარჯეთის წყაროსთავის მონასტრიდან ჩამოვიდა იერუსალიმში (აღბათ წმინდა ადგილების მოსალოცად) და, როგორც ხშირად ხდებოდა, დარჩა იქ და საბა განწმედის ლაერაში განაგრძო მონაზვნური მოღვაწეობა და „დაყენა მას შინა წელნი მრავალნი... და ამისა შემდგომად ღმრთისა განგებითა იწყო შენებად მონასტრისა, მახლობლად იერუსალმს, დასავალით კერძო, რომელსა უწოდიან ჯუარისა მონასტერი. და აღაშენა და განასრულა და შეამკო ეკლესიად ყოელითა სამკაულითა.“ (ძეგლები...IV, გვ.345-346). პროხორეს შეუკრებია 80 მონაზონი, აღბათ პალესტინაში მოღვაწე ქართველ მონაზონთაგან, რომელთა უდიდესი ნაწილი საბას ლაერიდან იქნებოდა, „და განუჩინა მათ წესი და კანონი მონასტრისა და მსგავსადევე წმიდისა საბაის ლაერისა...“

ამრიგად, ქართული ორიგინალური ასკეტიკის მიმოხილვაში ჩვენ ძირითადად შევეხეთ ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის „ცხოვრება-მოქალაქობის“ უანრში წარმოდგენილ თხზულებებს, რომლებიც იმავდროს ქართველ ასკეტ-განდევითა და ასკეტ-მონაზონთა მოღვაწეობის ამსახველია და ისიც დასაწყისიდან XI საუკუნის ჩათვლით.

რაც შეეხება ორიგინალურ ქართულ ასკეტიკურ-მისტიკურ მწერლობას, ისეოს, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ ბიზანტიურ საეკლესიო მწერლობის ნიმუშების ქართული თარგმანებით (მონაზონ მამათა „სწავლანი“, განდევილ მუღაბზოეთა და მონაზონ-მოღვაწეთა „პატერიკული თხრობანი“) XIIს-მდე თითქმის არ გვაქვს, თუ არ ჩავთვლით ერთ VII საუკუნის „სწავლას“: „სინანულისათუს და სიმდაბლისა“, რომლის ავტორი — მარტიერი მონაზონი საბაწმიდელი კ. კეკელიძეს უცხოეთში მოღვაწე ქართველ მონაზვნად მიაჩნია, თუმცა ჟ. გარიტი მას სირიელ მონაზვნად, ხოლო მის თხზულებას, რომელიც ქართულ ხელნაწერებშია (A-56. Sin.36 და სხვ.), სირიულიდან თარგმნილად თვლის.

შვეიცდებით ამ ჟანრის ორიგინალურ თხზულებათა სიმცირეს ასეთი ახსნა მოეუძებნოთ: პატერიკული ლიტერატურა ვერ შეიქმნა საქართველოში განდევნილურ-მონასტრული ქსელის სიმცირის გამო, შედარებით ბიზანტიურისაგან, რომელიც პალესტინურ-გევიპტურ-სირიული განდევნილობისა და მონასტრული ცხოვრების ოკეანეს წარმოადგენდა და მათი მოღვაწეობით მრავალი საეკლესიო მწერალი იყო დაინტერესებული, რომელთა ჩანაწერები გახდა საფუძველი პატერიკული ლიტერატურის შექმნისა. ქართული ორიგინალური განდევნილობისა და მონაზონთა ღვაწლის ასახვა „ცხოვრება-მოქალაქობის“ ჟანრის პაგიოგრაფიულმა ძეგლებმა შეითავსა.

რაც შეეხება ასკეტიკურ-მისტიკური სწავლების გზით მონაზონთა დამოძღვრას, მორჩილებს, მოვალეობათა და დისციპლინარული ქცევის წესების განსაზღვრას, ამ მხრივაც პერიფერიული ქრისტიანული ეკლესიის მონასტრების მამების ინიციატივები შეზღუდული იყო იმ დებულებებით, რომელთაც მსოფლო საეკლესიო კანონმდებლობა კარნახობდა. მაგ., მეექვსე მსოფლიო კრება თავისი 64-ე კანონით ადგენს: „... განწესებასა შეუდგეთ, ძმანო ესე წესიერებად დაიცავით, რომელიმე ჩუენგანი იყავნ ყურ, რომელიმე ენა... რომელი ასწავებდინ, ხოლო რომელიმე ისწავებდინ... ნუ ყოველნი ვართ ენაგამზადებულ, ნუ ყოველნი მოციქულ, ნუ ყოველნი წინასწარმეტყველ, ნუ ყოველნი გამოვსთარგმანებთ“. ამ დებულებამ, რომელიც მიღებულია პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლის (XII, 12, 27) გრივად ღვთისმეტყველის განმარტების საფუძველზე, გვეუბნება, რომ სწავლების უფლება აქვს ბიზანტიური ეკლესიის გამოჩენილ მამებს და მეუდაბნოე ასკეტებს, რომლებმაც თავიანთი სამწერლო მოღვაწეობით მოიპოვეს ეს უფლება, ხოლო დანარჩენებს, მათ შორის პერიფერიულ ეკლესიებს, უფლება აქვთ, რომ „ისწავლიდეს კეთილად მორწმუნეობით“, ე.ი. იყოს „ყურ“ და ასწავლიდეს ბიზანტიელ გამოჩენილ მამათა სწავლებებს. ამავე საკითხზე საუბარი ამავე კრების მე-19 კანონში: “ ვითარმედ უკმს წინამძღუართა ეკლესიისათა ეპისკოპოსთა ყოველსა შინა დღესა, ხოლო უფროსდა კურიაკესა, ყოვლისავე სამღვდლოდსა მწყობრისა და ყოვლისა ერისა სწავლად სიტყუათა კეთილად მსახურებისათა საღმრთოდსა წერილისაგან გამოხუშითა ჭეშმარიტებისა გულისკმის-ყოფითა და სამართალთადათა და არა გარდასლვითა ეგერა დასხმულთა საზღვართადათა, ანუ ღმერთშემოსილთა მოცემისადათა. არამედ უკეთუ წერილებრივიცა აღიძრა სიტყუად, ნუცა სხუებრ თარგმნიან მას, თუნიერ ვითარ-იგი მნათობთა ეკლესიისათა და მოძღუართა აღწერილთათუსთა მიერ გარდამოსცეს და უფროსდა ამათ შინა აჩუენებდინ კეთილად გამოცდილებასა თუსსა, ვიდრედა თუსთა სიტყუათა შეწყობასა ზედა...” (დიდი სჯულისკანონი, გვ. 380-381). ამ დებულებებმა ყურად შეზღუდა ქართველ საეკლესიო მწერალთა შემოქმედება საერთოდ და ამ შემოხვევაში ასკეტიკურ-მისტიკური და ჰომილეტიკური მწერლობის დარგებში.

ქართული ორიგინალური ასკეტიკურ-მისტიკური მწერლობის აღორძინება ძალიან გვიან, XVIII-ში დაიწყო. ქართველი მღვდელმთავერების ქადაგებებში სხვა სწავლებებთან ერთად სამონასტრო სწავლებებსაც ეთმობოდა ადგილი. ამ მხრივ დავასახელებთ მამამთავერებს: ანტონ I, ამბროსი ნეკრესელს, იონა ხელაშვილს, კირიონ II, ამბროსი ხელაიას, გაბრიელ ქიქოძეს, ლეონიდე I, კალისტრატე ცინცაძეს და სხვ. დღეს ამ ტრადიციებს აგრძელებს მისი უწმინდესობა ილია II.

ორიგინალური ასკეტიკურ-მისტიკური მწერლობის ეს მოკლე მიმოხილვა უნდა დავამთავროთ ჩვენებით, თუ როგორ აისახა ეს თემა ქართულ ორიგინალურ კანონიკურ სამართლის ძეგლში – რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერაში“.

პირველი ჩვენამდე სრულად მოღწეული რუის-ურბნისის 1005 წლის საეკლესიო კრების კანონმდებლობაში ასახულია სამონასტრო ცხოვრების რამდენიმე შემთხვევა, რაც აქტიური ჩანს დავით აღმაშენებლის ეპოქის საეკლესიო-სახელმწიფოებრივ საქმიანობაში:

„ძეგლისწერის“ მესამე კანონში, რომელიც განსაზღვრავს საეკლესიო იერარქიის გარკვეულ საფეხურზე ხელდასახსმელ კანდიდატთა დაწესებულ ასაკობრივ ცენსს, ჩართულია: „ხოლო მონაზონთა, რომელნი მღვდლობად და ეპისკოპოსობად მომავალ იყვნენ, პირველად სრულიად მონაზუნად დიდითა სქემითა უბრძანებთ განსრულებასა და ესრეთა მღვდლობად მოსლვასა“ (რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერა“, გვ. 101). ე.ი. თუკი ეპისკოპოსობის კანდიდატი მონაზონია, მას აუცილებლად ნაკურთხი უნდა ჰქონდეს „დიდი სქემა“ (ანუ „დიდი მზარა“).¹³⁰

მეშვიდე კანონში მონაზონი რამდენჯერმე ფიგურირებს: საკურთხევის გარეშე (ამ შემთხვევაში საუბარია მონასტრის ეკლესიის საკურთხეველზე) არ შეიძლება არც მონაზვნის სქემის კურთხევა და მონაზვნის ეპისტოლით კურთხევა. ალბათ, საუბარია იერარქის მიერ ეპისტოლით გამოთქმულ თანხმობაზე – მონაზუნად აღკვეცასთან დაკავშირებით მონასტრის ეკლესიის საკურთხეველში. ეს კანონი აგრეთვე ხუცეს-მონაზონს უკრძალავს ქორწინების გვირგვინ-

130 აქ ჩვენი აზრით, საქმე ეპისკოპოსად ხელდასახმის ზიზანტიური კანონმდებლობისგან განსხვავებულ ტრადიციასთან. მსოფლიო და ადგილობრივ საეკლესიო კრებათა დადგენილებებით ეპისკოპოსებს და პატრიარქებს ირჩევენ პირდაპირ „დიდი სქემით“ ნაკურთხ მონაზონთაგან, ისიც სამუქვაშიოდ, ე.ი. ეპისკოპოსებად ვერ აკურთხებდნენ მღვდლებს, ხოლო პატრიარქად – ეპისკოპოსებს. ამასთანავე არ შეიძლებოდა ეპისკოპოსის ერთი ეპარქიიდან მეორეში გადაყვანა, ეპისკოპოსის პატრიარქად ხელდასახმა (გაეიხსენოთ გრივოდ ღვთისმეტყველის კონსტანტინეპოლის პატრიარქობიდან გადაყენებასთან დაკავშირებული აშლილობა, რადგან იგი მიანდომო ნაზიანზის ეკლესიის ეპისკოპოსად). ეს ტრადიცია ზიზანტიაში დაინერგა, ადგილი არ ჰქონდა ეკლესიაში კარიერისტულ მისწრაფებებს. „ძეგლისწერის“ ეს კანონი გულისხმობს საწინააღმდეგო ვითარებას – ხუცესს გარკვეული წლების მსახურების შემდეგ შეეძლო ეპისკოპოსი გამხდარიყო. დღევანდელი საეკლესიო კანონმდებლობით ნებადართულია ეპისკოპოსის მიერ რამდენიმე ეპარქიის გამოცვლა, ხოლო ეპისკოპოსის კათალიკოს-პატრიარქად აღსაყდრება.

ის კუროხევეს, ხოლო „ერისაგანსა მღვდელსა“, ე.ი. თეთრი სამღვდელოების მღვდელს, მონასტონის კუროხევის რიტუალის ჩატარება ეკრძალება. ორივე აკრძალვა გასაგებია, რადგან პირველ შემთხვევაში ხუცეს-მონასტონს, რომელსაც უქორწინებლობის აღთქმა აქვს დადებული, ვერ ჩაატარებს ქორწინების რიტუალს, ამასთანავე ქორწინება არ შეიძლება მონასტერში ჩატარდეს. ალბათ, იგულისხმება ის, რომ ქორწინების სახლში ჩასატარებლად ზოგჯერ იწვევდნენ მონასტონს. მეორე შემთხვევაში სამრევლო ეკლესიის მღვდელს არავითარი შეხების წვრტილი არა აქვს მონასტონის კუროხევესთან.

მეორემეტე კანონი კრძალავს მონასტრებში მოძღვრობის სტატუსის მქონე მონაზვნების სიმრავლეს: „...მოძღვრად წოდებულთა მათ მონაზონთა ფრიადი და აღურიცხველი არს სიმრავლე და ერთსა მონასტერსა შინა ხუთნი და ათნი მრავალგზის ოცნი და ოცდაათნი იპოებიან“. ასეთ მოძღვრებს „შტატიანი“ თანამდებობები ეჭირათ მონასტერში, მათ ხელმძღვანელს ქვეყნის მასშტაბით მოძღვართ-მოძღვარი ეწოდებოდა და საეკლესიო იერარქიაში კათოლიკოსის შემდეგ ყველაზე საპატიო ადგილი ეჭირა. რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ დაადგინა, რომ მხოლოდ დიდ მონასტრებშია დასაშვები ორ-ორი მოძღვრის ყოფნა, დანარჩენში თითო-თითოც საეპარქისია. ამასთანავე, დაადგინა, რომ „უმღვდელოსა არა ჳელეწიფებოდის განმკითხველობად სულთა“... მხოლოდ ეპისკოპოსს, მღვდელს (ე.ი. მღვდელ-მონაზონს) და დიაკონს მიიწინევს კანონი მოძღვრობის ღირსად.

ბოლოს შევნიშნავთ, რომ სამონასტრო წესი და განგება წარმოდგენილია ტიპიკონებში, რომლებიც ეძლეოდა მონასტერს დაარსებისთანავე, მათ შორის საქართველოშიც და რომელიც შედგენილი იყო რომელიმე ბიზანტიური განთქმული მონასტრის ტიპიკონის მიხედვით (მაგ., იერუსალიმის ქრისტეს საფლავის, იერუსალიმის საბა განწმედელის, შავი მთის სვიმეონ საკვირველმოქმედის მონასტრის, კონსტანტინოპოლის წმიდა სოფიის ეკლესიის, თეოდორე სტუდიელის მონასტრის, ათანასე მთაწმიდელის ლავრის ტიპიკონები და სხვ.). ე.წ. ქტიტორული მონასტრის ტიპიკონები მოიცავდა მონასტრის წეს-განგებებს, შედგენილს ზემოხსენებული რომელიმე ტიპიკონის მიხედვით, თუმცა მასში გათვალისწინებული იყო მონასტრის დამაარსებელი პატრონის – ქტიტორის პირადი ინტერესებიც.

საქართველოს ეკლესია უძველესი დროიდან იერუსალიმის ქრისტეს საფლავის ეკლესიის ტიპიკონით სარგებლობდა. გრიგოლ ხანცთელის დროინდელი, მის მიერ დაარსებული მონასტრები – საბა განწმედელის ლავრის ტიპიკონით, XI-დან ქართული ეკლესია კონსტანტინოპოლის სოფია წმიდის ტიპიკონს ეყრდნობოდა. დავით აღმაშენებლის მიერ განახლებული და აშენებული მონასტერი – საბა განწმედელის ტიპიკონის შავი მთის სვიმეონ მესვეტე უმცროსის მონასტრის რედაქციის ტიპიკონი, ამავე დროს შიო მღვიმის მონასტერი ქტიტორული იყო, ისევე როგორც ვარძიის ქვაბთა მონასტრის ტიპიკონი.

ორიგინალურ ასკეტიკურ თხზულებათა რიცხეში ჩვენ შევიტანეთ ეფთვიმე მოაწმიდელის ერთი ასკეტიკური შინაარსის თხზულება, რომელიც მას ბერძნულად დაუწერია თავისი მოწაფის— ბერძენი მონასონის თხოვნით, რომელშიც მას არამარტო თავისი მოწაფის, არამედ, საერთოდ, მონასვენური ცხოვრება-მოღვაწეობის სრული დებულება ჩამოუყალიბებია. ეს თხზულება შემდეგ უთარგმნიათ ქართულად სახელწოდებით: “წესი, თუ ვითარ ჯერ-არს ცხოვრებაჲ დაყუდებულისაჲ, გინა მარტოდმყოფისაჲ”. თხზულება სამი ნაწილისაგან შედგება: დაყუდებულის ქცევის ზოგადი საზღვრები, ლოცვის “რეპერტუარი” და მონასონთათვის დასაშვები საჭმლისა და სასმელის ნორმები. ამ თხზულების ქართული თარგმანი ერთადერთი ძალზე გვიანდელი ხელნაწერით არის მოღწეული(ც.არქ.177,1902წ, 10v-14v), თუმცა ამ ხელნაწერის გადამწერი ირწმუნება, რომ მან ეს თხზულება ათონის მთის ივერთა მონასტრის ერთი ძველი ხელნაწერიდან გადმოწერა (არ უთითებს—რომლიდან). უფრო სრულად ეს საკითხები ქართული სამონასტრო ცხოვრების ისტორიამ უნდა წარმოადგინოს, რომელიც ჯერჯერობით არ დაწერილა.

ორიგინალური ასკეტიკური მწერლობა, რომელიც სათავეს იღებს ბიზანტიის სირიული წარმოშობის ასკეტური ცხოვრებიდან (სირიელი მამები, რომლებიც ტრადიციულად ითვლებიან აღმოსავლეთ საქართველოში მონასვნობის დამყუძნებლად, სირიიდან VI ს. მოვიდნენ ჩვენში; თუმცა გაცილებით ადრე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან პალესტინაში ჩასული მონასვნები (პილიგრიმები) მოღვაწეობას იწყებდნენ იქაურ მონასტრებში, ხოლო ზოგჯერ, მოგვიანებით საკუთარ მონასტრებსაც კი აარსებდნენ), მართალია, საზრდოობდა ნათარგმნი ლიტერატურით, მაგრამ მის დონეს ვერ მიაღწია. ამიტომ უპირიანი იყო წინამდებარე მიმოხილვაში ნათარგმნი ასკეტიკური მწერლობაც წარმოგედგინა, მაგრამ თემის სივრცელის გამო თავი შეეიკავეთ, რადგან ჩვენს წიგნში— ქართული ნათარგმნი ასკეტიკა და მისტიკა, თბილისი, 2006, გვ.15-82, ამ თემაზე ვრცლად გვაქვს საუბარი, თუმცა ძალიან მოკლედ აქაც წარმოვადგენთ ასკეტიკის ძირითად თხზულებებს თითო ხელნაწერის მითითებით, ორ ნაწილად: “სწავლანი წმიდათა მამათანი” და “თხრობანი წმიდათა მამათანი”:

1. სწავლანი წმიდათა მამათანი

ამონა მონაზონის (მეგვიპტელის; +357წ.) სწავლანი, Sin.35, 907წ., 43v. 44r ანტონ დიდის (მეგვიპტელის; +356წ.) სწავლანი (ასკეტიკური ეპისტოლეები), S-35, 907წ.

ბასილი დიდის (+379წ.) ასკეტიკონი (“სამოღვაწეო წიგნი“), A-132, XII, 1r-184v.

გრიგოლ ნაზიანზელის (ღმრთისმეტყველის; +390წ.) “სწავლანი სულიერნი“ (ასმუხლედნი), A-1, XI, გვ. 877-908.

დიადოხოს ფოტიკელის (+480წ.) “თავნი ასკიტიკანი ასნი“, A-60, XIII, გვ. 87-13

დოროთეოს მონაზონის (VI ს.) სწავლანი სამონაზენონი, Ath. 41, XI, 42r-45v.

ეგნატე ანტიოქელის (+115წ.) 12 ეპისტოლე, A-55, XI, 405r-430v.

ევაგრე პონტოელის (IV ს.) ასკეტიკურ-მისტიკური თხზულებები, Sin.35, 907წ., 26v-38r.

ეფრემ ასურის (+373წ.) ასკეტიკონი (ძველი და ახალი თარგმანები), Ath.9, 977წ.; A-1104, 1047 წ. (გვ). A-154, XVIII, 1r-266r; A-673, XIII-XIV, 1r-214r (ახ.)

თალასე მონოზონის (“ჩემებით დაყუდებული“; VII ს.) “ოთხასეული“ (მოკლე სენტენციები მონაზენობის თემებზე), A-55, XI-XII, 394v-403v..

თეოდორე სტუდიელის (+826წ.), “სტოდიერი“ (სამონაზენო სწავლათა კრებული), A-500, 1042წ.).

თეოფანე კესარიელის ასკეტიკურ-მისტიკური სწავლანი, A-1101, 1047წ., 176r-183v

იოანე ოქროპირის (+407წ.) “ასკეტიკონი“, A-143, XII ს.

იოანე სინელის (VI ს.) “კლემაქსი“ (კიბე; სამონაზენო სწავლათა კრებულის ქართული თარგმანები), Sin.35, 907წ., 144r-174r; Jer.20, XII-XIII, 1r-260r; A-39, XIII, 1r-217v (იამბიკური);

ისააკ ასურის (იგივე საჰაკ მონაზონი; VIII ს.) “სწავლანი მოღუაწეებითნი“, A-35, X, (ნაკლ.); A-1705, 1824წ. (სრული)..

მაკარი მეგვიპტელის (+390წ.), ასკეტიკური სწავლანი, Ath.21, 1030წ., 106r-121v.

მარკოზ მონაზონის (განშორებული; V ს.) სწავლანი, Sin.35, 907წ., 80r-84v; A-60

მაქსიმე აღმსარებელის (+662წ.) ასკეტიკურ-ზნობრივი სწავლანი (შესულია მრავალ კრებულში—A-39, XIII, 300-328; A-5, XVII, 1r-10; A-126, XVIII, 282-302v; A-296, XI, გვ. 35-374 და სხ.

ნილო სინელის (V ს.), ასკეტიკურ-მისტიკური “ღნომნი სწავლანი“, A-60, XIII, 285r-2291v.

აკვე ჩამოვთვლით ავტორებს, რომელთა თითო-ოროლა სწავლა შემოუნახავს ქართულ ხელნაწერებს (იხ. ეგაბიძაშვილის “ქართული

ნათარგმნი ასკეტიკა და მისტიკა, თბილისი, 2006 – თხზულებათა ბიბლიოგრაფია, გვ.83-355). აბრაამ მონაზონი, არსენ მონაზონი, ბარსანოფი და იოანე (ასკეტიკურ საკითხებზე 79 “კითხვა-მიგების“ ავტორები), ბასილი ანკვირიელი, გრიგოლ ნოსელი, ეფთვიმე მთაწმიდელი, ზოსიმე მონაზონი, ესაია ხუცესი, კასიანე პროპაგანდისტი, მარტვირი მონაზონი, პიმენი. სვიმეონ მესოპოტამიელი, სტეფანე მძოვარი.

2. თხრობანი წმიდათა მამათანი

“ლაგსაიკონი“ პალადი ჰელენეპოლელისა (+430წ., პატერიკული კრებული (მეუდაბნოე განდგეილ-მონაზონთა ცხოვრება-თხრობანი), A-143, XII, გვ. 157-374. “სამოთხე“(ლიმონარი) იოანე მოსხისა(+619წ.) ,, ასკეტიკურ თხრობათა კრებული, Sin.36, 925წ.

“დილოლონი“ გრიგოლ რომაელისა(+604წ.), “დილოგები იტალიელი მამების ცხოვრებებსა და სულის უკუდავების შესახებ“, A-1103, XII.

ფილოთეონ ისტორია“ (თეოდორიტე კვირელისა (458წ.) “თხრობა ანტიოქიის მიდამოებში მცხოვრები 30 მონაზონის შესახებ—ერთი თავი, ერთ მონაზონს ეძღვნება.

“სწავლანი წმიდათა მამათანი “ –სისტემური პატერიკი (ნაკლული—13 თავი),A-35,X.

“სწავლანი შუენიერნი წმიდათა და ნეტართა მამათანი“— იგივე პატერიკული კრებული, ოღონდ სხვა თარგმანი და სრული(25(26) თავი,A-1105, XI.

“სწავლანი მამათა სკიტელთანი გამოკრებულნი“—ანბანური პატერიკი, თხრობები დალაგებულია მთხრობელთა სახელების ანბანურ რიგზე, Sin.35, X.

“გამოკრებულნი სადაფთვე სიტყუანი წმიდათა მამათანი“—სისტემური პატერიკი, რომელიც შინაარსით უფრო“სწავლანის“ ტიპისაა, Sin,17, X-XI, 261r-348v.

“ სინელ მამათა სწავლანი და საკურველებანი “—პატერიკი სინური ხელნაწერების ახალი კოლექციიდან №67,წარმოადგენს კომპილაციას სხვადასხვა ხელნაწერიდან.

ბოლოს, ასკეტიკაში გაუცნობიერებელი მკითხველისათვის ჩამოეთვლით ამ მწერლობის ძირითად ტერმინებს:

ანაქორეტები— განდგეილობის ერთ-ერთი სახე.

ანბანური პატერიკი— ,, მამათა თხრობანი “ ანბანის რიგზე.

აპოთეგმატა (აპოთეგმატა)—ასკეტთა გამონათქვამთა, სხვადასხვა სენტენციების, ანდაზებისა და ა.შ. შემცველი კრებული.

არქიმანდრიტი— დიდი მონასტრის(ლავერის) ან რამდენიმე მონასტრის წინამძღვარი.

ასკეტიკა—ასკეტიზმის შემსწავლელი სასულიერო მწერლობის დარგი.

ასკეტიკონი—ასკეტურ სწავლათა შემცველი კრებული.

განდევილობა —მონაზვნობის წინამორბედი ყოირმა.

განდევილი—დაუსახლებელ ადგილებში („უდაბნოში“) განმარტობული (დაყუდებული) მორწმუნე.

დაყუდება — განდევილობის ერთ-ერთი სახე.

დაფარული — საიდუმლო, მისტიკური.

ეპისტოლე — აქ: ასკეტიკური შინაარსის წერილი მონაზონთა მიმართ.

„თქმული“ — ზეპირად წარმოთქმული სიტყვა, ქადაგება.

იკონომოსი — მონასტერში სამეურნეო საქმეთა ხელმძღვანელი.

მღუმარენი — მღუმარების აღთქმის მიმდევარი მონაზონი და მონასტრის ძმობა.

მესვეტეები — განდევილობის სახე, საგანგებოდ აღმართულ სეუტზე მუდმივად მაცხოვრებელი.

მისტიკა — სასულიერო მწერლობის დარგი, დაფარული სულიერების ძიება.

მონაზონი — ორგანიზებული ძმობის წევრი მონასტერში.

მონასტერი — მონაზონთა მუდმივი სამოღვაწეო და საცხოვრებელი ადგილი.

მღვიძარენი — განდევილობის ერთ-ერთი სახე, მღვიძარედ ყოფნის აღთქმა დადებული.

მძოვარენი — განდევილობის ერთ-ერთი სახე, როდესაც მხოლოდ ბალახეულით სასრდობდნენ.

პარეხი — განდევილის საცხოვრებელი კლდის ნაპრაღი.

პატერიკი — განდევილ მონაზონთა მოკლე თხრობათა კრებული, აგრეთვე მამათა ცხოვრება-წამებათა კრებული.

სალოსები — „უფლისათვის სულელი“, მოხეტიალე მონაზონთა ცხოვრების წესი.

„სულთმარგებელი თხრობანი“ — განსაკუთრებული სულიერების შემცველი ასკეტიკური თხრობა.

უდაბნო — დაუსახლებელი („უდაბნები“), განდევილების სამკვიდრებელი ადგილი.

„შიშველ-მართალი“ — განდევილობის სახე, შესამოსლად — საკუთარი თმა.

წინამძღვარი — მონასტრის უპირველესი პირი, „მონასტრის მამა“.

ხუცეს-მონაზონი — მღვდელი მონასტერში.

ორიბინალურ ასკეტიკურ თხზულებათა ბიბლიოგრაფია

1. ანტონ ჭყონდიდელის ანდერძი

მის მიერ აშენებულის ხარების ღვთიშობლის მონასტრის სახელსეღ დაშთენილი

ანტონ (კაგერელ-ჭყონდიდელი(+1815წ.)

„პირველ დასაბამით არს ჩვეულება შეწირვისა ესევეთართა შეწირვითა...“

A-1379 (1903წ.),1r-7r.

შენიშვნა : ანდერძი გადმოწერილია ხარების მონასტრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ ნიკიფორეს 1873წ. 8 იანერის ნუსხიდან.

2. გაბრიელ მცირის „ბეჭედი“, დართული კრებულზე „გურგუნი“

ღმრთიე შეენიერნი თხრობანი სულისა ფრიად სარგებელნი ეწოდების გურგუნი...“

გაბრიელ მცირე (XVIII ს.)

„ღვთიე-სულიერსა ამას წიგნსა ეწოდების გურგუნი ამათ ესევეთართა მიზეზთათვს, რამეთუ ვითარცა გურგუნი პატოსანი შემკობილ არს...“

A-228 (XVIII), 194r; A-341 (XIX), გვ. 373; A-427 (1797წ.),133v-134r; A-537 (XVIII), გვ. 119; A-723 (1797წ.), გვ. 197; S-2331 (1803წ.)

შენიშვნა: გაბრიელი „ბეჭედში “ ანუ ბოლოსიტყვაობაში განმარტავს კრებულის სახელწოდების სიმბოლურ ხასიათს. გამოც.: ვ. კარბელაშვილისა, ...გვირგვინი, ტფილისი, 1892-1895 წწ.

3. „გვირგვინი“ (ასკეტიკური კრებული)

ღმრთიეშენიერნი თხრობანი, სულისა ფრიად სარგებელნი, რომელსა ეწოდების გურგუნი

გაბრიელ მცირე (XVIII ს.)

„თავი ა. მღვდელმოქმედებისათვს და საიდუმლო გამოცხადებისა თხრობა...ღმერთი, რომელი სიყვარული არს. ნამდვილევ, რომელი ეგოს სიყვარულსა...“

A-228 (1795), 1r-193v; A-341 (XIX),1r-171r; A-427 (1797 წ) 1r-133v; A-537 (XVIII); A-723 (1797წ.; S-1380 (XIX), გვ. 1-311; S-2331 (1803), გვ. 1-195

შენიშვნა: კრებულში შეტანილი მასალა შერჩეულია გაბრიელ მცირის მიერ სხვადასხვა დროს თარგმნილი ასკეტიკური თხზულებებიდან, ნათარგმნ მეუღაბნოეთა ცხოვრება-სიტყვებიდან. გაბრიელის ავტორობა გამოიხატება კრებულის შედგენაში. გამოც.: ვ. კარბელაშვილისა, „გვირგვინი“, ტფილისი, 1892-1895 წწ.

4. გიორგი მთაწმიდელის (ათონელის) ცხოვრება (კიმენური)¹³¹
ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა
გიორგი მთაწმიდელისა

გიორგი მცირე (XI ს.)

„ვსენებად მართალთად ქებით აღესრულების-ო,— იტყოდა ბრძენი
სოლომონ შესხმასა მას შინა მართალთასა...“

A-130 (1713წ.) ფ. 171-215; A-170 (1733წ.) ფ. 106-132; H-611 (XVIII), გვ. 101-207; H-1672 (1740წ.), ფ. 151-201; H-1777 (XVIII), ფ. 1-4 (ბოლო ნაწილი); H-2077 (1736წ.), ფ. 99-123; S-353 (XI), ფ. 3-66; S-3637 (1838წ.), ფ. 102-126; Q-48 (1839წ.), ფ. 3-53; Q-49 (1838წ.), ფ. 4-51; ლენინგრ. M-21 (1842წ.), ფ. 112-147

შენიშვნა: გამოც. 1. მ. საბინინისა, საქართველოს სამოთხე, ს.- პეტერბ., 1882, გვ. 437-488; 2. მ. ჯანაშვილისა, ათონის ივერთა მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით, ტფილისი, 1901, გვ. 279-351; 3. ს. ყუბანეიშვილისა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946, გვ. 180-214 (შემოკლ.); 4. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, თბილისი, 1967, გვ. 101-207

5. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება

შრომად და მოლუაწებად ღირსად ცხოვრებასა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისა ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებელისა, და მის თანა ვსენებად მრავალთა მამათა ნეტართა

გიორგი მერჩულე (X ს.)

„მოცემულ არს [სიბრძნისა ძირი] კეთილისა მიზეზისა ქრისტუს მიერ, ღმრთისა ყოველთასა...“

Jer.2(XI), ფ. 156-229

შენიშვნა: გამოც. 1. ბ. მარისა, Георгий Мерчули, Жизнь св. Григория Хандзтийского, грузинский текст, введение, перевод с дневником поездки в Шавшию и Клардж ию, Петербург, 1911(Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VII, с. 1-82. 2. ს. ყუბანეიშვილისა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946, გვ. 99-156 (შემოკ.); 3. პ. ინგოროყვასი, გიორგი მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა..., თბილისი, 1949; 4. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბილისი, 1963, გვ. 248-319; 5. იაკობ ხუცესი, შუშანიკის წამება. გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გამოც. ზ. სარჯველაძისა, ელ. გიუნაშვილისა და კ. დანელიასი, I გამოც. თბილისი, 1986წ; II გამოც. თბილისი, 1999, გვ. 84-178; 6. ეჭელიძისა, ქართული საეკლესიო მწერლობა, I (ტექსტი, თარგმანი, კომენტარი), თბილისი, 2005, გვ. 479-958. თარგმანები: რუსული: ნ. მარისა,

131 ოსხულებები, რომლებიც ქართული ეკლესიის წმინდანების—განდგილ-მონაზუნების „ცხოვრება-წამებებს“ აღწერს, აგიოგრაფიულ დარგს განეკუთვნება, მარგამ თავისი შინაარსით ისინი ასკეტის დარგსაც უნდა მიეკუთვნოთ.

სემოდასახ. გამოცემა, გვ. 83-151; ლათინური: P. Peeters, Histoires monastiques Georgiennes..., Analecta Bollandiana, t.26-27, 1917-19; 216.

6. დავით აღმაშენებლის ანდერძი, მიცემული შიო-მღვიმის მონასტრისადმი 1123წ.

თავსდებითა ღმრთისადთა მე დავითს მიწყეის
დავით აღმაშენებელი (XI-XII სს.)

„ჟამსა ჩემსა შირვანსა ზედა განმაროვისასა შევევედრე შეწვენად ჩემდა...“

ფოტოპირი—დედანი (XIIს.) დაკარგულია.

შენიშვნა: გამოც.: 1.თ. ჟორდანიასი, ქრონიკები..., I, ტფილისი, 1892, გვ. 312; 2. მისივე, მეფის წმიდა დავით აღმაშენებლის ანდერძი, შიომღვიმიზდა მიცემული 1123წ., ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და „ ძეგლი “ ვაჰანის ქვაბთა, თბილისი, 1896, გვ. 14-19. 3. მისივე, Завещание царя Давида Возобновителя, данное Шио-Мтвимской лавре в 1123 г., Тифлис, 1895(34стр 4. ვსილოგავასი, ქართული ისტორიული საბუთები, თბილისი, 1984, გვ. 53-59; 4. მისივე, ჯვარი ვაზისა, 1985, I, გვ. 66-68.

7. დავით გარეჯელის ცხოვრება (კიმენური)

ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა მამისა ჩუენისა დავით გარეჯელისა და

არსენ II კათალიკოსი(Xს.)

„ხოლო ესე წმიდა ჩუენი დავით წარვიდა ადგილთა უდაბნოთა და ურწყულთა სჯად თავისა თვისისა...“

A-833 (XII-XIII), 27v-31v(ბოლ.ნაკლ.); H-1336 (1769წ.), 152v-179 r.

შენიშვნა: გამოც. 1. ს. კაკაბაძისა, ასურელ მამათა ცხოვრებათა არქტიპები, საისტორიო კრებული, I, ტფილისი, 1928, გვ. 36-42; 2. ყუბანეიშვილისა, ძეგლი. ქართული ლიტერატურის კრესტომათია, I, თბილისი, 1946, გვ. 163-167; 3. ილ. აბულაძისა, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძეგლი რედაქციები, თბილისი, 1955, გვ 144-187; 4. ძეგლი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბილისი, 1963 (64), გვ. 229-240.

8. განდგეილის (დაყუდებულის) ანუ მარტოდმყოფის ცხოვრების წესი წესი შუენიერი და პატიოსანი, განწესებული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ეფთვიმი ქართველისა, თუ ვითარ ჯერ-არს ცხოვრება დაყუდებულისა და გინა მარტოდმყოფისა, რომელი ესე დაუწერა ნეტარმან ბერმან ვისმე სულიერსა მოწაფესა თვისსა

ეფთვიმე მთაწმიდელი(+1028წ.)

“სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, ვინადაცა დაყუდებისა წესითა გსურის ცხოვრება და ესერა მიგითხრობ...“

ცენ. არქ. 177, 1902წ., 10v-14v.

შევიშვნა: თხზულება ეფთვიმეს ბერძნულად დაუწერია ბერძენი სულიერი მოწაფის თხოვნით, ხოლო შემდეგ უთარგმნიათ ქართულად. ხელნაწერი ძალიან გვიანდელია, თანაც-ერთადერთი. გამოც. კ. კეკელიძისა, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, XIII, თბილისი, 1974, გვ.18-25.

9. “ვანის(ვაჰანის) ქვაბთა“ მონასტრის ტიპიკონი

ვაჰანის ქვაბთა განგება

მხარგრძელი (თმოგველი, XIIIს. ქტიტორი)

“[მონასტერსა ფრიად მცირესა]...აღვიშენე მონასტრად ვრცელი.]

Ad -933, 1204-1283წწ.

შენიშვნა: კლდეში ნაკვეთი მონასტრის უძველესი ფენა არის VIIIს. ეკლესია. IX-XIსს. მონასტერი გაუფართოვებიათ. 1204-1283წწ.მას ფლობდნენ თმოგვის ფეოდალები და ქტიტორებს განუწესებიათ “განგება-ტიპიკონი“.გამოც.1ლ. მუსხელიშვილისა, ვაჰანის ქვაბთა განგება(XIIIს.), ტფილისი, 1939, გვ. 61-91. 2.თ. ჟორდანიასი, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და ძველი ვაჰანის ქვაბთა, ტფილისი, 1896. 3.ი.დოლიძისა, ქართული სამართლის ძეგლები,თბილისი, 1970. 4.ი. ტალახაძისა, ვაჰანის ქვაბთა განგება, თბილისი,2009. გვ.193-215.

10. ილარიონ ქართველის ცხოვრება (კიმენური)

ცხოვრებამ და მოქალაქობამ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისა

ეფთვიმე მთაწმიდელი (X-XI სს)

„ბრწყინვალმ არიან და ყოვლად შუნიერ სიტყუანი წმიდათა წერილთანი, რომელნი- იგი აღიწერნეს მადლითა სულისა წმიდისადათა...“

A-558 (1074წ.),ფ.134-180. შენიშვნა : ეფთვიმეს ავტორობა საეარაუდოა. გამოც. 1. მ. ჯანაშვილისა, ათონის მონასტრის 1074წ. ხელნაწერი ადაპებით, ტფილისი, 1901, გვ. 69-108; 2. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, თბილისი, 1967, გვ. 9-37. თარგმანი: ლათინური: P. Peeters, Vita et mores Sancti beatique patris nostri Hilarionis Hiberi, Analecta Bollandiana, t. 32, pp.236-269.

11. ილარიონ ქართველის მოკლე ცხოვრება

შემოკლებული თხრობამ ესე ღირსისა მამისა ჩუენისა ილარიონისი ანონიმი

„ წმიდამ ილარიონ ქართუელი ლაერასა წმიდისა საბადესა მიიწია.. “
ქუთ. 97(1802წ.), 157r-182v

შენიშვნა : ასკეტიკური კრებულიდან.

12. იოვანე და ეფთვიმე მთაწმიდელების (ათონელების) ცხოვრება

ცხოვრებამ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთუმესი და უწყებამ ღირსისა მის მოქალაქობისა მათისა, აღწერილი გლახაკისა გეორგის მიერ ხუცესმონაზონისა

გიორგი ხუცესმონაზონი (XI ს.)

„კურთხეულ არს ღმერთი, რომელსა ყოველთა კაცთაჲმ კნებაჲს ცხორებაჲ...“

A-130(1713წ.), ფ.143-168;A-170(1733წ.), ფ.87-103; A-176 (1743წ.), ფ.169-194; A-558(1074წ.), ფ.3-65; H-1413(1788წ.), ფ.2-45; H-1672(1740წ.), ფ.112-144; H-2077(1736წ.), ფ.85-99; S-3637(1838წ.), ფ.84-100;ლენინგრ. M-21(1842წ.), ფ.92-112.

შენიშვნა: გამოც. 1. მ. საბინინისა, საქართველოს სამოთხე, ს-კეტერბურგი, 1882, გვ.401-432;2.მ.ჯანაშვილისა, ათონის ივერიის მონასტრის 1074წ. ხელნაწერი აღაპებით, ტფილისი, 1901, გვ. 1-68. 3.ივ.ჯავახიშვილისა, ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი, თბილისი, 1946, გვ.13-61. 4. ს. ყუბანეიშვილისა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946,გვ.177-180 (შემოკლ.); 5.ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, ილ. აბულაძის რედაქტორობით, თბილისი, 1963, გვ.85-100. თარგმანები: რუსული – მ.საბინინისა, Полное жизнеописание святых грузинской церкви, II, 1872, с. 127-160. ლათინური_P. Peeters, Histoires monastiques Georgiennes, Vita beati patris nostril Iohannis atque Euthummii ...Analekta Dollandiana, t. 36-37, 1917-1919, pp. 13-66

13. იოვანე ზედაზნელის ცხოვრება(კიმენური,მოკლე)

ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ზედაზნელისა და მოწაფეთა მისთაჲ,რომელთა განანათლეს ქუეყანაჲ ესე ჩრდილოეთისაჲ

“ესე ნეტარი მამაჲ ჩუენი იოანე იყო ქუეყანით შუამდინარით,კერძოთაგან ანტიოქისათა...”

არსენ II კათალიკოსი (955-980წწ.)

A-199, XII, 10r-13r

შენიშვნა: გამოც. 1. ს.კაკაბაძისა, ასურელ მამათა ცხოვრებათა არქტიპები,საისტორიო კრებული, I წიგნის დამატება, 1928, 928, გვ.1-18; 2.ილ. აბულაძისა, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, თბილისი, 1955, 2-67 (მიჩნეულია ძირითად რედაქციად წარმოდგენილი Q-795-ის –ნამდვილად მეტაფრასტული ტექსტის გამონაკრებად).3.ილ. აბულაძის რედაქტორობით გამოცემული, “ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბილისი, 1963, გვ. 19-229 (აქაც კიმენური ტექსტი ერცელი რედაქციის ტექსტის გამონაკრებად არის მიჩნეული და მის პარალელურად გამოცემული) 4.ს. ყუბანეიშვილისა,„ქრესტომათია, I, თბილისი, 1946, გვ.157-159 (შემოკლებული).

14. კალმასობა (ანუ ხუმართსწავლა)

კალმასობა იოანე ხელაშვილისა იპოდიაკონისა... წარგზავნილ იქმნა ქართლის სოფლებსა შინა საკალმასოდ, რომელსა შეხვდა გზასა

სედან სურაბა ღამბარაშვილი და შეამხანაგდნენ ერთად მოსარეწე-
ლად პურისა.

იოანე ბატონიშვილი (1768-1830წწ.)

„ოდეს გაემგზავრა ბერი იოანე, იხილა მდოეხსა...“

H-2134 (1828წ., 383რ-761რ; H-2153 (1828წ.), 7რ-36ვ; H-2170 (1828წ.), 1რ-382ვ;
S-5374 (1828წ.), 1რ-119ვ; S-5375 (XIX), 2რ-64ვ (ნაკლ.); Q-577 (XIX), 7რ-9რ
(ნაკლ.); Q-720 (1828წ.), 1რ-175ვ

შენიშვნა: კალმასობა, ასკეტიკური ტრადიციისა და ეწოდება მონა-
ზონთა მსვლელობას, –ჩამოვლას მოსახლეობაში სარწო- საკვების შეგ-
როვების მიზნით. გამოც.: I. პურ. “ცისკარი“, ტ. I, 1862წ., ტ. II, 1867-1868წწ.;
2. კ. კეკელიძისა და ა. ბარამიძის რედ. ტ. I, 1936, 1948; 3. ც. კახაბრიშ-
ვილისა და ც. კიკვიძისა, ტ. I, 1990, II, 1992 (ნაგულისხმევია 4 ტომად)

15. “კლიტე“ (ასკეტიკური კრებულები)

წმიდათა შორის მამასა იოანე ოქროპირის... თქუმულთაგან ღმრ-
თივ-სულიერნი სწავლანი, რომელსა ეწოდების კლიტე

გაბრიელ მცირე (XVIII ს.)

„სწავლა ა. სარწმუნოებისათვის მართლისა.– ღმერთი, მაცხოვარი
ჩვენი უფალი დიდებისა, იესუ ქრისტე, მსახურთ- მოძღვარი უბრძანებს
წმიდათა თვისთა მოწაფეთა...“

A-227 (179წ.), გვ. 1-269; S-127 (1794წ.), გვ. 1-240

შენიშვნა: კრებულში შესულია იოანე ოქროპირის „ასკეტიკონის“
ქართული თარგმანიდან გაბრიელ მცირის მიერ ამოკრეფილი თხზუ-
ლებები.

16. მიქაელ პარეხელის ცხოვრება

სწავლანი, ნიშნი და სასწაულთმოქმედებანი ღირსისა მამისა ჩუე-
ნისა მიქელ პარეხელისა

ბასილი პარეხელი (IX ს.)

„ესე ნეტარი მამად ჩუენი მიქაელ იყო ქუეყანისა შავშეთისა... „

ხელნაწერი დაკარგულია

შენიშვნა: მიქაელ პარეხელის ცხოვრება, რომელიც აღუწერია მის
მოწაფეს, ბასილი პარეხელს, დაკარგულია. ცნობა მის შესახებ დაცუ-
ლია გრიგოლ ხანცთელისა და სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებებში“,
რომელთა მიხედვით მისი „ცხოვრების“, ასე ვთქვათ, რეკონსტრუირე-
ბას შეეცადა კ. კეკელიძე ეტიუდები ძველი ქართული ლტერატურის
ისტორიიდან, ტ. XIII, თბილისი, 1974, გვ. 6-10.

17. ონისიფორეს ცხოვრება

ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა
სქემოსან ონისიფორესი გაბრიელ მცირე(+1802წ.)

„ღმერთმთავარმან სულმან ჭეშმარიტებისამან, რომელნი იტყოდის
ჩუენ შორის, ვითარცა მომცეს პირი და სიბრძნე...“

ბოლღე 8 (XVIII), გვ. 193-220

შენიშვნა: გამოც.: 1. ივ. ლოლაშვილისა, მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათს, თბილისი, 1983, გვ. 142-150; 2. ე. გაბიძაშვილისა და მ. ქავთარიასი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, V, 1989, გვ. 109 -122

18. პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი

ტიპიკონი პეტრიწონის ქართველთა მონასტრისა

გრიგოლ ბაკურიანის ძე(+1086წ., ქტიტორი)

„ღიდებაჲ მაცხოვარსა, მხოლოსა ღმერთსა ჩუენსა,მამასა დაუსაბამოსა და ძესა მისსა...და... წმიდასა სულსა მისსა...“

ხელნაწერი: კუნძულ ხიოსისა (საბერძნეთი)№1598, XIII, შეიცავს ქართულ (გვ.146-298) და ბერძნულ (გვ. 1-1450) ტექსტებს (აქედან არის გადაწერილი ქ. სოფიის(ბულგარეთი) სახალხო ბიბლიოთეკაში დაცული პატარა ტანის ხელნაწერი (ქალაღდზე), დაახლ. XIX ს. 70-80-იან წლებში.

შენიშვნა : გამოც.1. მ. თარხნიშვილისა, Typicon Georgii Pacuriani, ed. Michael Tarxnichvili (Textus versio), Lowen, 1954; 2. ა. შანიძისა, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი (ტიპიკონის ქართული რედაქცია), თბილისი, 1971(390გვ.; ბერძნული რედაქციის ტექსტი – ს.ყაუხნიშვილისა); 3. ი. დოლიძისა, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბილისი, 1970, გვ.35-105.

19. „სამოთხის ყვავილი“(ასკეტიკური კრებული)

ღვთივ განათლებულნი თხრობანი, სულისა ნაყოფიერი ყოველნი, რომელსა ეწოდების სამოთხის ყვავილი

გაბრიელ მცირე (XVIII ს.)

„თავი ა. სიმდაბლოსათს და სიმშვიდისა ქრისტეს მსგავსისა თხრობა სულიერი... ღვთივ-სულიერნო შეილნო აღმოსავლეთისა ეკლესიისანო...“

A-244 (1797წ.), 3r-225r; A-588 (1813), გვ. 204; A-852 (1797), გვ. 221; S-128 (1796), გვ. 1-407

შენიშვნა: კრებულის მასალა შერჩეულია და ამოკრებული იოანე მოსხის “ლიმონარიდან” ანუ “სამოთხიდან” გაბრიელ მცირის მიერ. გამოც.: ე. კარბელაშვილისა, „ სამოთხის ყვავილი“, ტფილისი, 1896.

19ა.სამონასტრო წესი და რიგი, დადგენილი 1702წ.საეკლესიო კრების მიერ

განჩინება საეკლესიო კრებისა სამონასტრო წესისა და რიგის თაობაზე

„ სახელითა სახიერისა, არსება-დაუბადებელისა ღმრთისა...“

Ad 340, დედანი(6 მუხლი, ეხება დავით გარეჯის მონასტრების მონაზონებს–დაყოფა გამომცემლისეულია).

შენიშვნა : გამოც. ი. დოლიძისა, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბილისი, 1970, გვ. 633-635.

20. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება

ცხოვრება და მოქალაქობა ღმერთშემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი

ბასილი ზარზმელი (Xს.)

„ფრიად უკუე შუენიერისა და მრავალსაწადელისა და საღმრთოისა ქებისა და ბრწყინვალედ შესხმისა ღირს არიან მოყუარენი ღმრთისანი...“

A-69 (XVII), გვ. 238-272

შენიშვნა: გამოც. : 1.მ. ჯანაშვილისა, ქართული მწერლობა, II, 1909, გვ. 1-49; 2. კ. კეკელიძისა, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, 1935, გვ. 147-184.; 3. ს. ყუბანეიშვილისა, ძველი. ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946, გვ. 96-98 (ტექსტი შემოკლ.);

4. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1963(64), გვ. 319-347; 5. ნ. ვანაძისა, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, როგორც საისტორიო წყარო, თბილისი, 1975, გვ. 150-186; თარგმანები: რუსული: კ. კეკელიძისა, Памятники древнегрузинской агно:рафической литературы, Тбилиси, 1956. с. 76-100; იგივე: ეტიუდები, XII, გვ. 139-163. ლათინური: P. Peeters, Histoires monastiques géorgiennes. Vita et mores theophori beati patris nostri Serapionis., Analecta Bollandiana, t. 36-37, 1917, p. 168-207.

21. ქრისტეფორე გარეჯელის ცხოვრება

ცხოვრება და მოღვაწება სანატრელისა მამისა ქრისტესია მონაზონისა, რომელი შემდგომად წოდებულ იქმნა ქრისტეფორედ, რომელიცა სცხოვრებდა მოღვაწებით უდაბნოსა შინა მრავალმთის იოანე ნათლისმცემლისასა, გარესჯად წოდებულისა, თავსა ყარისასა

სპირიდონ გრძელიშვილი (XIXს.)

“უარსოსა არსებად დამწყებლო, მიუწომელო, აუგებელო და ყოველთა არსთა მაარსებელო...”

A-1036 (1880წ.), 10r-22v; A-1076 (XIX), 2r-12v; H-40 (1892წ.), გვ. 214-225

შენიშვნა: გამოც.: ე. გაბიძაშვილისა და მ. ქავთარიასი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, V, 1989, გვ. 125-136

22. ფილოთონ ისტორიის ქართული თარგმანის შესავალი თეოდორიტე კურელის “ფილოთონ ისტორიის” შესავალი ეფრემ მცირე (XIს.)

„ამას წიგნსა ეწოდების ფილოთონ ისტორიამ, რომელ არს ღმრთისმოყუარებითი თხრობა...“

A-682 (XII-XIV), 91v-43v; A-689(XI-XII), 187r-v;

შენიშვნა: გამოც. თ. ჟორდანიასი, ქრონიკები...II, ტფილისი, 1897, გვ. 40-42; 2.დ.თვალთვაძისა, ეფრემ მცირის კოლოფონები, თბილისი, 2009, გვ. 213-215.

23. ღვთისმშობელის მთაწმიდის პორტაიტისის ხატისათვის

პატიოსნისა და დიდებულისა მთაწმიდის პორტაიტისისა ხატისათვის, რომელ არს თარგმანებით კარის ღმრთისმშობელი

ანონიმი

„წელთა დღეთა უკეთილმსახურებისა... კოსტანტინესათა..“

A-1448(1801-1862წწ.), 27v.

შენიშვნა: თითქმის იგივე ტექსტი მეორდება ხელნაწერის 77r-80v.

24. შიო მღვიმელისა და ევაგრეს ცხოვრება (კიმენური)

ცხოვრებად და მოქალაქობად ღირსისა მამისა ჩუენისა შიოისი და ევაგრესი

არსენ II კათალიკოსი (Xს.)

„ხოლო ნეტარი ესე და ღმერთიე განბრძნობილი მამად ჩუენი წმიდად შიო მოვიდა წინამძღურობითა სულისა წმიდისაითა და დაემკედრა დასაეღით კერძო დედაქალაქსა მცხეთას“

A-199 (XII-XIII), ფ. 21-28; H-1336 (1769წ.), ფ. 164-171; Jer. 36 (XIII-XIV), ფ. 123-129

შენიშვნა: გამოც.: 1.ს. კაკაბაძისა, ასურელ მამათა ცხოვრებათა არქტიპები, საისტორიო კრებული, I წ-ის.დამატება, 1929, გვ. 26-36; 2. ილ. აბულაძისა, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, თბილისი, 1955, გვ. 69-143; 3. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1963 (64), გვ. 217-229

25. შიო მღვიმელის სასწაულები

თხრობად სასწაულთათჳს წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა შიოისთად, რომელი-ესე სხუათა მიერ აღწერილი ადგილ-ადგილ ერთად შემოკრიბა ბასილი კათალიკოსმან, ძემან დიდისა პატრიკისა ეანესმან ბასილი კათალიკოსი (ეანეს ძე; XIIს.)

“მეუფემან დიდებისამან იესუ ქრისტემან, ჰეშმარიტმან ღმერთმან, რომელმან ინება ვსნად კაცთა ნათესავისად...”

H-1371 (XVII-XVIII), 1r-118v (ბოლონაკლ.); S-4621 (XVIII), 49v-66r

შენიშვნა: გამოც. ილ. აბულაძისა, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, თბილისი, 1955, გვ. 199-213

26. შიომღვიმის მონასტრის წინამძღვრის რიგი

“ უდაბნოს წინამძღვრის რიგი“(მინაწ. “თაეი აკლდა“)

მამა სვიმეონი(XIIს.)

“...ვითარცა ქრისტეს ღვთისაგან და ყოვლად წმიდისა დედოფლისა ღვთისმშობელისაგან გამორჩეულ არს თქუენდა წინამძღურად..“

მცხეთის №232(ფრაგმენტი)

შენიშვნა:გამოც.თ. ჟორდანიასი, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და “ძეგლი“ ვაჰანის ქვაბთა,თბილისი, 1896,გვ.19-21. გამომცემლის აზრით “ის დაწერილია ანუ “გაჩენილი“ მამის სვიმეონისაგან.ეს სვიმეონ უნდა იყოს სვიმე ბედიელ-ალავერდელი, რომელსაც დავით აღმაშენებელმა...მიანდო გამგეობა შიომღვიმის ლაერისა“.

Ad 721, პირი,XVII.

შენიშვნა: გამოც. 1. თ.ჟორდანიასი, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, 1896, გვ. 20-21; 2. ი. დოლიძისა, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბილისი, 1970, გვ.633-635.

27. შიომღვიმის მონასტრის ტიპიკონი

ტყუიკონი საეკლესიო მსახურის წესისა და კეთილ განგებულისა წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა საბაძს ლავრისა, რომელი-ესე ესრეთვე იქმნების სხუათადაცა ყოველთა მონასტერსა შინა პალესტინისასა

არსენ იყალთოელი(მთარგმ. -XI-XIIსს.).

„განგებად ღამისთევისადა...“

H-1349 (XIIIს.)

შენიშვნა : გამოც. ე. კოჭლამაზაშვილისა და ე. გიუნაშვილისა, ტიპიკონი შიომღვიმის მონასტრისა, თბილისი, 2005. ტიპიკონს თავში ერთეის შიომღვიმელის სვინაქსარული „ ცხოვრება “ (2r-v) და წმ. ნინოს საგალობლები.

28. ჯვარის მონასტრის აღაპები

აღაპები ჯვარის მონასტრისა(ტიშენდორფისეული ნუსხის მიხედვით)

„ კორციელსა პარასკევსა მწუხრი პანაშვიდი ძმათა “

P-126(ლაიპციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერის ხელნ.ინსტიტუტის ფოტოპირი)

შენიშვნა : გამოც 1.ნ.მარისა, აღაპნი, პეტერბ., 1914, გვ. XXV-XXVIII;2.ელ. მეტრეველისა, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის თბილისი, 1962 გვ.72-78.

29. წესი და განგება უცნობი მონასტრისა

უცნობი მონასტრის წესი და განგება

„ ...თუ ვინმე დაიმჭიროს თუთომსა მეტი მოძღვარი და მოწაფე, ორნივე კიდევ გაისხნენ მონასტრით შეუნდობელად. “

ხელნაწერი აღარ ჩანს

შენიშვნა : გამოც.1. ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქ.ისტორიისათვის, I, 1914, გვ.71-73. 2. ი. დოლიძისა, ქართული სამართლის ძეგლები III, თბილისი, 1970, გვ.132-134.

ს ა ძ ი ე ბ ლ ე ბ ი

1. ავტორთა

ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელი §1
არსენ II კათალიკოსი §§ 6, 9, 17
ბასილი ზარზმელი § 15
ბასილი კათალიკოსი § 18
ბასილი პარესელი § 12
გაბრიელ მცირე §§1, 2, 11, 13, 14
გიორგი მერჩულე § 4
გიორგი მთაწმიდელი § 8
გიორგი ხუცეს-მონაზონი (მცირე) § 3
დავით აღმაშენებელი §5
ეფთვიმე მთაწმიდელი § 7
ეფრემ მცირე §20
იოანე ბატონიშვილი § 10
სპირიდონ გრძელიშვილი §16
ანონიმი § 2. 21

2. ხელნაწერთა

A

(ყოფილი საეკლესიო მუზეუმისა, ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერთა ფონდი)

A-69 §§— 1, 5); A-130 §§ 3, 8; A-170 §§ 3,8; A-176 § 8; A-199 §§ 9, 17; A-227 § 11; A-228 §§ 2, 19; A-244 § 14; A341 §§ 2, 19; A-427 §§ 2, 19; A-537 §§ 2, 19; A-55 §§ 7, 8; A-588 § 14; A-682 § 20; A-689 § 20; A-723 §§ 2, 19; A-833 § 6; A-852 § 14; A-1036 § 16; A-1076 § 16; A-1379 § 1; A-1448 § 21 .

H

(ყოფილი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერთა ფონდი)

H-40 § 16; H-1336 §§ 6, 17; H-1349 §27; H-1371 § 18; H-1413 § 8; H-1672 §§ 3, 8; H-1777 § 3; H-2077 §§ 3, 8; H- 2134 § 10; H-2153 § 10; H- 2170 § 10;

S

(ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერთა ფონდი)

S-127 § 11; S-128 § 14; S-353 § 3; S-2331 §§ 2, 19; S-3637 §§ 3, 8; S-4621 § 18; S- 5374 § 10; S- 5375 § 10;

Q

(საქ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ახალი, ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერთა ფონდი)

Q-577 § 10; Q-720 § 10;

Jer.

(იერუსალიმის საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდი)

Jer.2 § 4; Jer.36 § 9, 17;

ბოდლ.

(ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბოდლეს ქართულ ხელნაწერთა ფონდი)

ბოდლ. §§ 8, 13;

ლენინგრ.

(სანკტ.პეტერგ. აღმოსავლეთმცოდ.ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა ფონდი)

ლენინგ.M-21 §12

ლექსიკონის უნივ.ბიბლიოთეკა

p-126 §28

3. ისტორიული საბუთებისა

Ad

(ყოფილი საეკლესიო მუზეუმის, ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ისტორიული საბუთების ფონდი)

Ad 340 §19ა. Ad 721 § 26.

სამეცნიერო ლიტერატურა ასკეტიკა - მისტიკის შესახებ

აბულაძე ილია, ქართულის კვალი ძველი სომხური მწერლობის ერთ ძეგლში (სომხური პატერიკის წყაროს საკითხისათვის), ლიტერატურული ძიებანი, II, თბ., 1944, გვ. 30-38; შრომები, II, თბილისი, 1976, გვ. 228-237.

აბულაძე ილია, იოანე მოსხის „ლიმონარი“ (ტექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილ. აბულაძემ), თბილისი, 1960 (171 გვ.).

აბულაძე ილია, მამათა სწავლანი X-XI სს. ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილ. აბულაძემ, თბილისი, 1960.

აბულაძე ილია, ქართული „ბალავარიანის“ ერთი პერსონაჟის სახელის წარმომავლობისათვის, შრომები, II, თბილისი, 1976, გვ. 166-168.

ალექსიძე ლელა, ხორციტ აღდგომა, „სულელი სიბრძნე“ და შემეცნების საფეხურები, ხ. ი. მრავალთავე, XVIII, თბილისი, 1999, გვ. 265-273.

ასათიანი ქეთევანი, „ნისიმეს ცხოვრების“ XII ს. უცნობი ქართული ნუსხის შესახებ, ხ. ი. მრავალთავე, XXI, თბილისი, 2004.

აფციაური ჯემალი, იოანე მოსხის კრიტიკული ნოველა, თსუ ახალგაზრდა მეცნ. მუშაკთა შრომები, I, გვ. 277-289.

ბარამიძე მაია, ზოსიმეს „სწავლა“-ს ქართული თარგმანები. გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო მ. ბარამიძემ, ბათუმი, 1999 (98 გვ.).

ბეზარაშვილი ქეთევანი, იოანე სინელის „კლემაქსის“ უცნობი ქართული ვერსია, მაცნე, ელს, 4, 1987, გვ. 129-154.

ბეზარაშვილი ქეთევანი, იოანე სინელის „კლემაქსის“ ახლადგამოვლენილი ქართული ვერსია, საქ. მეცნ. აკად. მაცნე, 3, 1989, გვ. 142-163.

ბეზარაშვილი ქეთევანი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის კომენტარების ქართული ვერსიები (ეფთვიმე ათონელის „სწავლანი სულიერნი“), ხ. ი. მრავალთავე, XVI, თბ., 1991, გვ. 58-77.

ბეზარაშვილი ქეთევანი, დიდი კომპოზიციური ცვლილებების ახალი ნიმუშები გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილიათა ეფთვიმე ათონელის თარგმანებში, კრ. კორნელი კეკელიძე 125, თბილისი, 2004, გვ. 207-228.

ბერძენიშვილი ნიკო, ათონის კრებულის რედაქცია, საქ. მუზეუმის მოამბე XI B, 1941; საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, 1967.

გაბიძაშვილი ენრიკო, ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობის ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი (რეცენზია გ. ნინუას წიგნზე „ფსევდომაკარის“ თხზულებათა ქართული ვერსია, თბილისი, 1984, 413 გვ.), საქ. მეცნ. აკად. მაცნე, ელს, № 4, 1984, გვ. 185-191.

გაბიძაშვილი ოთარი, მისტიკა, ქართული ენციკლოპედია, 7, თბილისი, 1994, გვ. 17.

გამსახურდია სვიმონი, აღზრდის იდეები „სიბრძნე ბალავარის“-ს ქართული რედაქციის მიხედვით, სკოლა და ცხოვრება, 4, 1982, გვ. 22-27.

გამყრელიძე ალექსანდრე, ბელგიელი მეცნიერი (ჟ. გარიტი) „ბალავარიანის“ ერთი საკითხის შესახებ, ცისკარი, 12, 1959, გვ. 143-145.

გაფრინდაშვილი ნოდარი, შემოკლებები და ლიგატურები „ბალაეარიანის“ ბერძნულ ხელნაწერებში, თსუ-ს ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა შრომები, ტ. I, 1972, გვ. 305-316.

გაფრინდაშვილი ნოდარი, „ბალაეარიანის“ ბერძნული ხელნაწერების ტექსტოლოგიურ-პალეოგრაფიული ანალიზი (ორი ათონური და ერთი იერუსალიმური ხელნაწერის მიხედვით), თსუ-ს შრომები, 5, 1972, გვ. 187-200.

გაფრინდაშვილი ნოდარი, ქრისტიანული რომანის „ეარლაამის და იოდასაფის ცხოვრების“ ბერძნულ-ქართულ-არაბული ვერსიების ურთიერთმიმართების საკითხები, თბილისი, 1990 (220 გვ.).

გვარამია რუსუდანი, ქართული „სამოთხისა“ და არაბული „ალ-ბუსთანის“ ერთი სინური წყაროს მიმართებისათვის, ხ. ი. მოამბე, 4, თბილისი, 1962, გვ. 97-110.

გვარამია რუსუდანი, „ალ-ბუსთანი“ XI ს -ის სინური ხელნაწერის მიხედვით, თბილისი, 1985 (151 +66(არაბული ტექსტი).

გვახარია ალექსანდრე, „ბალაეარიანის“ ერთი ადგილის გაგებისათვის – „ბოროტი“ თუ „შურტანი“, ლიტერატურული საქართველო, 1984, 13, VII, გვ. 7. გვახარია ალექსანდრე, „ბალაეარიანის“ სპარსული ვერსიები, თბილისი, 1985.

დათაშვილი ლალი, ეგრემ ასურის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული „თარგმანება“, ფილოლოგიური ნარკვევები, თბილისი, 1981, გვ. 3-15.

დათაშვილი ლეილა, ზოგი რამ ეგრემ ასურის „ასკეტიკონის“ ეგრემ მცირისეულ თარგმანთან დაკავშირებით, ლიტერატურული ძიებანი, XXIII, თბილისი, 2002, გვ. 96-106.

დათაშვილი ლეილა, პალადი ჰელენეპოლელის „ლაესაიკონი“ და მისი ძველი ქართული თარგმანი, ლიტერატურული ძიებანი, XXII, თბილისი, 2001, გვ. 60-74.

ღვალი მანანა, ლიმონარის X ს-ის ერთი უცნობი ფრაგმენტი, საქ. მეცნ. აკად. მაცნე, ელს, 1, გვ. 167-172.

ღვალი მანანა, აპოთეგმების ორი ქართული თარგმანი (ეფთვიმე ათონელი და თეოფილე ხუცესმონაზონი), ხელნაწერთა ინსტიტუტის VII სამეცნ. სესიის თეზისები, 1965.

ღვალი მანანა, ქურციკიძე ციალა, ამბა დანიელის ავტორობით ცნობილი პატერიკული თხრობის კიდევ ერთი თარგმანისათვის, საქ. მეცნ. აკად. მაცნე, 1-4, 1997, გვ. 97-100.

ღვალი მანანა, შუა საუკუნეების ნოველების ძველი ქართული თარგმანები, I, (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მანანა ღვალმა), თბილისი, 1966 (172 გვ.).

ღვალი მანანა, შუა საუკუნეების ნოველების ძველი ქართული თარგმანები, II, (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მანანა ღვალმა, თბილისი, 1974 (342 გვ.).

ღვალი მანანა, Jer.51 ხელნაწერი და მისი მიმართება სისტემური პატერიკების თეოფილესეულ თარგმანთან (-1105), ხ. ი. მრავალთავე, XX, თბილისი, 2003, გვ. 68-74.

ღვალი მანანა, ზოსიმეს „სწავლათა“ თეოფილი ხუცესმონაზონისეული თარგმანისათვის, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 3, ქუთაისი, 2004, გვ. 51-56.

დვალი მანანა, ჯღამია ლალი, მეათე საუკუნის პატერიკის (შინ. 35) ერთი ფრაგმენტის შესახებ, ხ. ი. მრავალთავი, VI, თბილისი, 1978, გვ. 72-80.

ენუქაშვილი სამსონი, პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები (ტექსტები გამოსცა და ლექსიკონი დაურთო ს. ენუქაშვილმა), თბილისი, 1961 (0199+303 გვ.).

ზვიადაძე გიორგი, გრიგოლ ნოსელის „ქალწულებისათვის“, ავტორეფერატი ფილოლ.მეცნ. კანდ. ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2004.

ზვიადაძე გიორგი, ალექსანდრე ალექსანდრიელის სიტყვა სულის, სხეულის და უფლის ენების შესახებ (ბერძნულიდან თარგმნა გ. ზვიადაძემ), თბილისის სასულიერო აკადემიის სამეცნიერო-საღვთისმეტყველო შრომები, I, 1999, გვ. 9-13.

თაყაიშვილი ექვთიმე, „სიბრძნე ბალავარისი“, გამოსცა ე. თაყაიშვილმა, თბილისი, 1995 (167 გვ.).

თვარაძე რევაზი, „სიბრძნე ბალავარისი“ ორი რედაქცია, მნათობი, II, 1968, გვ. 141-152.

თვარაძე რევაზი, „Мудрость Балавара“ – две редакции, сравнение текстов. Автореф. канд. филол. наук, Тбилиси, 1969 (29 ст.).

იოანე სინელი, კლემაქსი, რომელ არს კიბე, ფოთი, 1902, გვ. 208-482.

კეკელიძე კორნელი, „სამიჯნურო ცდუნების“ პრობლემისათვის ქართულ ლიტერატურაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბილისი, 1945, გვ. 13-22.

კეკელიძე კორნელი, მეოთხე საუკუნის საზღვარგარეთელი ქართველი მოაზროვნე და მოღვაწე (ევაგრე პონტოელი), ეტიუდები..., VI, თბილისი, 1960, გვ. 5-17.

კეკელიძე კორნელი, Грузинская версия Лимонара Иоанна Мосха и её значение для славянской истории, ეტიუდები..., VIII, თბილისი, 1962, გვ. 238-243.

კეკელიძე კორნელი, ეფთვიმე ათონელის ორიგინალური ბერძნული შრომა (ტექსტი და გამოკვლევა. თხზულება ასკეტური ხასიათისა), ეტიუდები..., XIII, თბილისი, 1974, გვ. 18-25.

კეკელიძე კორნელი, მარტიერი ქართველი (VI-VII სს.) და მისი შრომა „სინანულისთვის და სიმდაბლისა“, ლიტერატურული ძიებანი, III, თბილისი, 1997, გვ. 261-314; ეტიუდები..., XII, 1979, გვ. 233-278.

კეკელიძე კორნელი, Эпизод из начальной истории египетского монашества, ეტიუდები..., VII, თბილისი, 1961, გვ. 76-101.

კეკელიძე კორნელი, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, კიმენი, I, ტფილისი, 1918 (წინასიტყვაობა და ტექსტი).

კეკელიძე კორნელი, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I (ასკეტიკა და მისტიკა), თბილისი, 1980, გვ. 544-550.

კეკელიძე კორნელი, უცხო ავტორები ძველ ქართულ ლიტერატურაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბილისი, 1957, გვ. 5-114.

კენტოშვილი ნიკოლოზი, „ბალავარიანის“ ზოგიერთი საკითხი, ჟურნ. „საუნჯე“, 4, თბილისი, 1992.

კენტოშვილი ნიკოლოზი, ინდოეთი ქართულ წყაროებში, თბილისი, 1999 (175 გვ.).

კიენაძე ზურაბი, სამსახეობა ასკეზისა, სჯანი, 2, 2001, გვ. 171-181.
კლდიაშვილი დარეჯანი, უცნობი სააღაპე წარწერა იერუსალიმის
ჯვრის მონასტრიდან, საქართველოს სიძველენი, II, თბილისი, 2007(2008),
გვ. 146-152.

კლდიაშვილი დარეჯანი, ქართული სამონასტრო სულთა მატრიანე-
ბი, I, წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართული ეკლესიის სულთა მატრიანე,
თბილისი, 200 (292 გვ.).

ლოლაშვილი ივანე, იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე (გამოსაცე-
მად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივ.
ლოლაშვილმა), თბილისი, 1968, 270 გვ.

ლოლაშვილი ივანე, ასკეტურ-მისტიკური მწერლობა, ქართული ენ-
ციკლოპედია, ტ. 1, თბილისი, 1975, გვ. 635.

ლოლაშვილი ივანე, პეტრე გელათელი, ქართული ენციკლოპედია,
ტ. 2, თბილისი, 1984, გვ. 45.

ლოლაშვილი ივანე, ცხოვრება პეტრე იბერიისა, ასურული რედაქცია,
გერმანულიდან თარგმნა, გამოკვლევა, კომენტარები და განმარტებითი
საძიებლები დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბილისი, 1988.

ლომინაძე ბაბილინა, არქიმანდრიტი, ქართული ენციკლოპედია, ტ.
I, თბილისი, 1975.

მამასახლისი ქეთევანი, პალადი პელენოპოლელის თხზულებები-
სათვის, თსუ ფილოლ. ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნ. შრომები, ტ.
3, გვ. 44-55.

მამასახლისი ქეთევანი, განდგილური ცხოვრების ასახვა პალადი
პელენოპოლელის „ლაესაიკონში“, გაზ. „თბილისის სასულიერო აკა-
დემია და სემინარია“, თბილისი, 1999, გვ. 9-10.

მარი ნიკო, „სიბრძნე ბალავარისა“, ივერია, 1, 1888, 22/VII, გვ. 1.

მახარაშვილი სოსო, იოვანე ოქროპირის „სწავლანის“ („ასკეტიკო-
ნის“) თეოფილე ხუცესმონაზონისეული თარგმანი (ხელნაწერი).

მახარაშვილი სოსო, ევაგრე პონტოელის ცხოვრება-მოღვაწეობა
და მის თხზულებათა ქართული თარგმანი, კრ. ძველი ქართული მწერ-
ლობის მატრიანე, 1, 1984, გვ. 3-39.

მახარაშვილი სოსო, ასკეტიკურ-მისტიკური მწერლობა (ზოგადი მი-
მოხილვა), ლიტერატურული ძიებანი, XXIV, თბილისი, 2003, გვ. 59-63.

მახარაშვილი სოსო, თეოფილეს ბიოგრაფიის ერთი უცნობი
ფურცელი, ლიტერატურული ძიებანი, XIX, თბილისი, 1998, გვ. 117-122.

მახარაშვილი სოსო, ბერძნული პატერიკის თეოფილესეული თარგ-
მანის ზოგიერთი თავის ურთიერთმიმართება ბერძნულ დედანთან
(წიგნში: თეოფილე ხუცესმონაზონი, თბილისი, 2001 წ.).

მენაბდე ლევანი, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ.
I, (393 გვ.); ნაკვ. II, (437 გვ.), თბილისი, 1962 (სამონასტრო კერები საქა-
რთველოში).

მენაბდე ლევანი, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. II, 1980
(978 გვ.) (ქართული სამონასტრო კერები საზღვარგარეთ).

მენაბდე ლევანი, „ბალავარიანის“ ქართული რედაქციების გამოცე-
მის გამო (რეცენზია), ახალგაზრდა სტალინელი, 7(219), 1958, (3, XII).

მენაბდე ლევანი, ძველი ქართული მწერლობის კერების ისტორიიდან (პალაერა), ორიონი, თბილისი, 1967, გვ. 251-259.

მენაბდე ლევანი, საბაწმინდა, სამშობლო, 12, თბილისი, 1970.

მენაბდე ლევანი, ქართული კულტურის კერები ათონზე, თბილისი, 1986 (44 გვ.).

მელიქიშვილი დამანა, იოანე პეტრიწის „სათნობათა კიბის“ გამოცემის გამო (რეცენზია), მნათობი, 6, 1970, თბილისი, გვ. 175-182.

მეტრეველი ელენე, ლ. ძოწენიძე, რუსული „აპოთეგმატას“ ქართული რედაქციები (რეცენზია), ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, თბილისი, 1951.

მეტრეველი ელენე, გ. ნინუა, ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია (წიგნის წინასიტყვაობა), თბილისი, 1982, გვ. 5-6.

მეტრეველი ელენე, ტერმინ „ხანბაშურის“ გაგებისათვის, წიგნში: ათონის ქართველთა მონასტრის საალაპე წიგნი, თბილისი, 1998, გვ. 431-438.

მეტრეველი ელენე, ათონის ქართველთა მონასტერში წინამძღვრის დადგინების წესი(X-XIIსს.), მრავალთავეი(ხ.ი.),XVI, 1991, გვ. 5-14.

მიმინოშვილი რომანი, „ვარლამისა და იოდასაფის“ ავტორის ენაობის საკითხისათვის, „ბიზანტიოლოგიური ეტიუდები“, თბილისი, 1978, გვ. 125-129.

მიმინოშვილი რომანი, ექვთიმე ივერი – ბერძნული რომანის ავტორი, მნათობი, 1979, გვ. 7-8.

მირაშვილი ნანა, ცოდვა და ქრისტიანული ლეგენდა („მარიამ მეგვიპტელის ცხოვრება“), თბილისი, 2002 (163 გვ.).

მირაშვილი ნანა, იოანე მოსხის „ლიმონარისა“ და სოფრონ იერუსალიმელის „მარიამ მეგვიპტელის ცხოვრების“ პარალელური მოტივები, საქ. მეცნ.აკად. მაცნე, ელს, 2, 1986, გვ. 83-89.

მჭედლიძე მაგდა, К вопросу о соотношении грузинской и латинской редакции „Лимонара“, თეზისები: Всесоюзная конференция проблемы реферации в языке и литературе, Тбилиси, 1987.

ნინუა გულნარა, ერთი ქართული ხელნაწერის ისტორიისათვის (მაკარი მეგვიპტელის თხზულებათა კრებული), საქ. მეცნ. აკად. მაცნე, ელს, 3, 1981, გვ. 90-100.

ნინუა გულნარა, ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო გ. ნინუამ, თბილისი, 1982 (413 გვ.).

ნინუა გულნარა, Грузинская версия произведений псевдо Макария, Автореф. доктора филолог. наук, тбилиси, 1984, (72 ст.).

ნინუა გულნარა, ერთი პატერიკული თხრობის ორი ქართული თარგმანი (გამოცხადება წმინდა მაკარისი, თხრობა საკვირველი და ბრწყინვალე), ხ. ი. მრავალთავეი, ისტ.-ფილ. ძიებანი, XVI, 1991, გვ. 42-48.

ნინუა გულნარა, სვიმეონ მესოპოტამიელის ერთი თხზულების ქართული თარგმანი, ხ.ი. მრავალთავეი (ისტ. -ფილ. ძიებანი), XVI,თბილისი,1991,გვ. 49-57.

ნუცუბიძე შალვა, იოანე საბაიტი თუ სინაიტი? (იოანე მოსხის შესახებ), დროშა, 5, 1958, გვ. 16-17.

ნუცუბიძე შალვა, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, თბილისი, 1983, გვ. 272-274.

ნუცუბიძე შალვა, К происхождению греческого романа „Варлаам и Иоасаф“, К Тбилиси, 1955 (VIII, 247 стр.).

ნუცუბიძე შალვა, К происхождению греческого романа „Варлаам и Иоасаф“ (Обзор критических замечаний), Византийский Временник, т. XVII, 1960, ст. 250- 257.

ჟორდანია თედო, ქრონიკები..., II, თბილისი, 1983, გვ. 38.

სირაძე რევაზი, გრიგოლ ნოსელის „ძიება სულისათვის...“ ქართულ მწერლობაშიდა მისი მნიშვნელობა, საქ. მეცნ. აკად. მაცნე, ელს 1, 1973, გვ. 34-42.

სოსხაძე ნათელა, გრიგოლ რომაელის „დილოგონი“ ქართული თარგმანის მიმართებისათვის ლათინურ და ბერძნულ რედაქციებთან, თსუ შრომები (ლიტ. მცოდ. სერია), ტ. 285, 1988, გვ. 53-70.

სოსხაძე ნათელა, გრიგოლ დიდის „დილოლონი“, თბილისი, 2002.

სოსხაძე ნათელა, რომაული საკუთარი სახელები და ლათინური ლექსიკა „დილოლონის“ ქართულ თარგმანში, მოხსენების თეზისები, რესპუბლიკური სამეცნ. კონფერენცია 14-16 VI. 1997, ლიტ. მცოდ. გვ. 51-52.

უტიე ბერნარი, აფორიზმების უძველესი ქართული თარგმანები, მათი შედგენილობა და წარმომავლობა, ხ. ი. მრავალთავეი, VII, 1980, გვ. 7-17.

ქაჯაია ნინო, „ითიკის“ შედგენილობისათვის, საქ. მეცნ. აკად. მაცნე, ელს, 1, 1974, გვ. 71-89.

ქაჯაია ნინო, ბასილი კაბადოკიელის „ითიკა“ (ნარკვევი ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან; მანქანაზე გადაბეჭდილი, 1974, 205 გვ.).

ქაჯაია ნინო, ბასილი დიდის ერთი თხზულების ქართული თარგმანი, საქ. მეცნ. აკად. მაცნე, ელს, 4, 1983, გვ. 92-95.

ქაჯაია ნინო, ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელის თარგმანი (რეცენზია ც. ქურციკიძის წიგნზე), ცისკარი, 5, თბილისი, 1985, გვ. 157-160.

ქაჯაია ნინო, ბასილი დიდის „ასკეტიკონის“ კიდევ ერთი რედაქციის შესახებ, საქ. მეცნ. აკად. მაცნე, ელს, 1, თბილისი, 1988, გვ. 91-96.

ქაჯაია ნინო, ბასილი კესარიელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები(ასკეტიკა), თბილისი, 1992, გვ. 58-74.

ქიქოძე გერონტი, „სიბრძნე ბალავარისა“, ლიტერატურული ძიებანი, II, თბილისი, 1944 (1945), გვ. 173-180.

ქურციკიძე ციალა, ბასილი კესარიელის სწავლათა ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი. გამოსაცემად მოამზადა ც. ქურციკიძემ, 1983 (280 გვ.).

ქურციკიძე ციალა, დევილი მანანა, ამბა დანიელის ავტორობით ცნობილი პატერიკული თხრობის კიდევ ერთი თარგმანისათვის, საქ. მეცნ. აკად. მაცნე, 1-4, 1997, გვ. 97-106.

ყაუხჩიშვილი სიმონი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1963, გვ. 238-247.

ყაუხჩიშვილი სიმონი, ახალი ვარიანტი ქართული რომანისა „სიბრძნე ბალავარისა“, მნათობი, 8, თბილისი, 1956.

ყაუხჩიშვილი სიმონი, მეშვიდე საუკუნის ნოველისტი იოანე მოსხი, ცისკარი, 1, 1958, გვ. 99-109.

ყაუხჩიშვილი სიმონი, Происхождение романа „Варлаам и Иоасаф“. Вопрос об авторе романа, сб. Античная древность и средние века, 10 свердловск, 1973, ст. 64-66.

შათირიშვილი ლელა, ბასილი ანკეირიელის თხზულება და მისი ქართული თარგმანი, ხ. ი. მრავალთავე, XIX, თბილისი, 2001, გვ. 186-200.

შანიძე აკაკი, ქართული მონასტერი ბულგარეთში, თბილისი, 1971.

შანიძე მზექალა, რეცენზია დ. ლანგის ნაშრომზე „ბალაგარიანის“ შესახებ, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, 4, 1982, გვ. 315-317.

შუშანია ონოფრე, Мистика Макария Египетского, киев, 1914.

ჩაჩიბაია მარიაში, ქართულ-სირიული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, თსუ შრომები, 221, თბილისი, 1981.

ჩაჩიბაია მარიაში, მარტვირი საბაიტელის „სინანულისათვის და სიმდაბლისა“ ქართულ-სირიული ვერსიები, სემიტური ფილოლოგია, თბილისი, 1987.

ჩაჩიბაია მარიაში, „Мартриий Савант“ и его сочинение „О покаянии и смирении“, Молодые востоковеды и африканисты, Москва, 1973.

ჩაჩიბაია მარიაში, К вопросу об изучении сирийско-грузинских версий сочинения „О покаянии и смирении“, объединенная научная сессия кафедр арабской филологии и семитологии МГУ, ЛГУ, ТГУ и ЕГУ, ереван, 1984.

ჩაჩიბაია მარიაში, მარტირიუს-საქდონას უცნობი არაბული და ქართული ფრაგმენტების შესწავლის საკითხისათვის, საქ. მეცნ. აკად. მაცნე, ელს, 4, 1987.

ჩაჩიბაია მარიაში, Из истории грузино-сирийских литературных взаимосвязей: Мартирий Саввант и его труд „О покаянии и смирении“, Автореф. диссерт. канд. филол. наук, тбилиси, 1988 (30 стр.).

ჩიტუნაშვილი დალი, სინის მთის ახალი კოლექციის №67 ხელნაწერი, ხ. ი. მრავალთავე, XVIII, თბილისი, 1999, გვ. 116-119.

ჩიტუნაშვილი დალი, ახალი ქართული სინური კოლექციის №67 ხელნაწერში დაცული კრებულის სტრუქტურისათვის, კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა, 4, 2001, გვ. 41-48.

ჩიტუნაშვილი დალი, აპოეთეგმურ კრებულთა ქართული თარგმანების (N/Sin 67, Ath.17) უცნობი ავტორები, მრავალთავე, XIX, თბილისი, 2002, გვ. 206-212.

ჩიტუნაშვილი დალი, „სინელ მამათა სწავლანის“ ქართული თარგმანისათვის, ენათმეცნიერების საკითხები, 1, 2003, გვ. 73-88.

ცერაძე თინა, სამონასტრო ცხოვრება და განსწავლა ქრისტიანულ ასკეზაში, ხ. ი. მრავალთავე, XIX, თბილისი, 2001, გვ. 139-161.

ცინცაძე მერი, იოანე სინელის „კიბის“ ექვთიმე ათონელის თარგმანი და მისი ენა (ტექსტი გამოკვლევიითა და ლექსიკონითურთ, ორ ტომად), ტ. I (301 გვ.) ტ. II (590 გვ.), ბათუმი, 1965 (საკანდ. დისერტაცია მანქანაზე გადაბეჭდილი).

ცინცაძე მერი, Язык „Лествицы“ Иоанна Синаита в грузинском переводе Ефимия Афонского, Автореферат на соискание ученой степени канд. филол. наук, тбилиси, 1966.

ცინცაძე მერი, იოანე სინელის „კლემაქსი“-ს მეორე ქართული პროზაული რედაქციის ხელნაწერთა (H-1669, Q-39) ურთიერთ-მიმართებისათვის, ბათუმის უნივერსიტეტი, შრომები, 1, 1995, გვ. 36-44.
ძოწენიძე ლალი, არჩილი და აპოკოფტები, სასულიერო აკადემიის შრომები, თბილისი, 1997.

ძოწენიძე ლალი, რუსული „აპოკოფტების“ ქართული რედაქციები, თბილისი, 1959 (99 გვ.).

ძოწენიძე ლალი, ვინ არის „აპოკოფტების“ მთარგმნელი?, საიუბილეო კრებული კ. კეკელიძეს (80 წლისთაგზე), თბილისი, 1959, გვ. 403-409.

ძოწენიძე ლალი, „აპოკოფტების“ ქართული რედაქციები, ასპირანტთა და ახალგ. მეცნ. მუშაკთა X სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, თბილისი, 1959, ტ. IV, გვ. 20-28, გვ. 37-38.

წაქაძე ნანი, Сирийская, арабская и грузинская версия „Жития св. нисиме“, Автореферат канд. филол. наук. тбилиси, 1975 (34 ст.).

წაქაძე ნანი, „ნისიმეს ცხორების“ სირიული, არაბული და ქართული ვერსიები, თბილისი, 1983.

წაქაძე ნანი, გიორგი, ქართული „ბალავარიანის“ უცნობი პოეტური ვერსია, თსუ შრომები, აღმოსავ. სერია, 108, 1967, გვ. 45-56.

ხახანაშვილი ალექსანდრე, „Балавар и Иодасаф“, грузинский текст по рукописям XI-XII вв. с переводом и предисловием издал А. Хаханов, Москва, 1902, (XVст. 32).

ხინთიბიძე ელგუჯა, ბასილი კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები, თბილისი, 1968 (215 გვ.).

ხინთიბიძე ელგუჯა, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიისათვის, თბილისი, 1982, გვ. 96-98; 207-262.

ხინთიბიძე ელგუჯა, „სიბრძნე ბალავარისა“ და აღზრდის საკითხები, სკოლა და ცხოვრება, 11, 1971, გვ. 31-40.

ხინთიბიძე ელგუჯა, Афонская гора как место появления и распространения „душеполезной“ повести о Варлааме и Иоасафе“, труды ТГУ т. 177, 1976, ст. 33-48.

ხინთიბიძე ელგუჯა, Новейшие труды... о „Варлааме и Иоасафе“ (новые подходы к старой теории), сб. Кавказ и Византия, вып. 2, ереван, 1980, ст. 91-96.

ჭელიძე ედიშერი, წმიდა გრიგოლ ნოსელი და მისი თხზულება „პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის“, საქ. ეკლესიის კალენდარი, 1989.

ჭელიძე ედიშერი, ტერმინი „ნერგული“ და იოანე სინელის „კლემაქსის“ პეტრე გელათისეული თარგმანის საკითხები, ხელნაწერთა ინსტიტუტის ისტორიულ-კოლიკოლოგიური კრებული, თბილისი, 1997, გვ. 66-68.

ჭელიძე ედიშერი, დიადოხი ეპისკოპოსისა ფოტიკელისა, ძუელი-სა იპირო სამნი თავნი ასკიტიკანი ასნი (ტექსტი), წიგნში: მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის შეერთებული კალენდარი, თბილისი, 2001, გვ. 394-435.

ჭელიძე ედიშერი, წმ. დიოდოქოსის ასკეტურ სწავლათა ძეგლი ქართული თარგმანების შესახებ, წიგნში: მსოფლიო მართლმ. ეკლესიის შეერთებული კალენდარი, თბილისი, 2001, გვ. 387-393.

ჭელიძე ედიშერი, სამეტყველო კოდირების ერთი ნიმუში მისტიკური სიმბოლოების ასპექტში, ქართველური მემკვიდრეობა, 3, თბილისი 1999, გვ. 235-240.

ჭყონია თორნიკე, ერთი ძეგლი გნომური ლიტერატურისა (ნილო სინელისა), ხ. ი. მოამბე, V, თბილისი, 1963, გვ. 103-116.

ჭუმბურიძე ანა, ქართულ-ბერძნული საღვთისმეტყველო განმარტებანი ანგელოზურ ძალთა შესახებ, თბილისი, 2001 (286 გვ.).

ჯავახიშვილი ივანე, „Мудрость Балавара“, Записки вост. отд. русского археол. общества, 11, СПб, 1899, ст. 1-8.

ჯავახიშვილი ივანე, „Мудрость Балавара“ (Перев. с грузинского И. Джавахова), Записки Вост. отд. русск. археол. общества, т. 11, 1899, ст. 8-48.

ჯიქია ეკა, მისტიკა და მისტიკური ღვთისმეტყველება (მართლმადიდებლურ-ქრისტიანული მისტიკის ზოგადი შტრიხები), რელიგია, 3-4, 1993, გვ. 19-33.

ჯოჯუა თემო, წმიდა მღვდელმწიფე გრიგოლ ფერაძე და 1160 წლის გარეჯაში გადაწერილი ერთი უცნობი ხელნაწერი, კრ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, V, თბილისი, 2002, გვ. 91-117.

ჯუღელი ვიქტორია, თეოდორიტე კვირელის ნაშრომთა ქართული თარგმანების სრული ნუსხის დადგენისათვის, მიძღვნ. ალექსანდრე ალექსიდის ხსოვნისადმი, თბილისი, ლოგოსი, 1999, გვ. 339-344.

ჯუღელი ვიქტორია, A-1545 ხელნაწერი A-689-ის ფრაგმენტი? (თეოდორიტე კვირელის ფილოთეონ ისტორიის ქართული თარგმანები), თსუ ფილ. ფაკ. ახალგაზრდა მეცნ. შრომები, ტ. 4, თბილისი, 2000, გვ. 42-42.

ჯუღელი ვიქტორია, თეოდორე კვირელის თხზულებათა ქართული თარგმანები. ავტორეფერატი ფილოლ. მეცნ. კანდ. ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2003 (40 გვ.).

ჯუღელი ვიქტორია, საბა ასურისა და იელიანეს ცხოვრებათა ურთიერთმიმართების ზოგიერთი ასპექტი (თეოდორიტე კვირელის „ფილოთეონ ისტორია“), თსუ ფილ. ფაკ. სამეცნიერო სესია, 1998, 13-15 V, თბილისი, 1998, გვ. 150-153.

ჯღამაია ლალი, დგალი მანანა, მეათე საუკუნის პატერიკის (Sin. 35) ერთი ფრაგმენტი, ხ. ი. მრავალთავი, VII, თბილისი, 1976;

Тройкий И. Обзорение источников начальной истории египетского монашества, Сергиев Посад, 1906.

Beck, G., Kircht und theologische Literatur im Byzantinische Reich, Munchen. 1959.

Garitte Gérard, Catalogue des manuscrits georgiens litteraires du mont Sinai, Louvain, 1856 (XIII, 322 p.), (გარიტი ჟერარი, სინის მთის ქართული ლიტერატურული ხელნაწერების კატალოგი).

Garitte Gérard, Halleux A., Le Sermon georgien du moine Martyrius et son modele syriaque, Le Museon, t. 68, 1956, p. 243-312 (გარიტი ჟერარ, ჰალო ა., ბერი მარტვირის ქადაგების ქართული რედაქცია და მისი სირიული მოდელი).

Garitte Gérard, Le Discours ascétique d' Etienne le Thébain en géorgien, Le Muséon, t. 83, fasc. 1-2, 1970, p. 73-93 (გარიტი ჟერარ, სტეფანე თებელის ასკეტიკური, ქადაგების ქართული რედაქცია).

Garitte Gérard, Une Lettre de St. Arsène en géorgien, Le Muséon, t. 68, 1955, p. 259-278 (გარიტი ჟერარ, წმ. არსენის წერილის ქართული რედაქცია).

Garitte Gérard, Lettre de st. Antoine, Version géorgienne et fragments coptes, CSCO vol. 149, Scriptires Iberici, t. 6. p. 37 (გარიტი ჟერარ, წმ. ანტონის წერილების ქართული ვერსია და კოპტური ფრაგმენტები; ქართული ტექსტების ლათინური თარგმანი).

Garitte Gérard, Lettre de s. Antoine, Vêrsion Géorgienne, Cscso vol. 148-1-46 (გარიტი ჟერარ, „წმ. ანტონი დიდის წერილების“ ქართული ვერსია – ქართული ტექსტები).

Garitte Gérard, La version géorgienne du “Pré Spirituel~, Mélanges Eugène Tisserant, vol. Vaticano, 1964, p. 171-185 (გარიტი ჟერარ, „სამოთხის“ ქართული ვერსია).

Gribomont H., Histoire du texte des Ascetiques de S. Basile, Louvain, 1953 (გრიბომონი ი., წმ. ბასილის „ასკეტიკონის“ ტექსტის ისტორია; ეხება ქართულ თარგმანსაც).

Esbroeck Michel van, Les apophtegmes dans les versions orientales, Anal. Boll. 93, 1975, p. 381-389 (ესბროკი მიშელ ვან, აპოფთეგმების აღმოსავლური ვერსიები).

Lang David, The Life of the Blessed Jodasaph. London, 1957, pp. 389-407 (ლანგი დევიდ, წმინდა იოდასაფის ცხოვრება).

Lang David, “The Wisdom of Balavar~ Christian Legend of Buddha. London, 1957 (ლანგი დევიდ, „ბალავარიანი“. ქრისტიანული ლეგენდა ბუდაზე).

Outtier bernar, La plus ancienne traduction géorgienne des Apophtegmes: son étude et son origine, მრავალთავი VII, თბილისი, 1980, გვ. 7-17) (უტიე ბერნარ, აპოფთეგმების უძველესი ქართული თარგმანი: მისი წარმომავლობის შესწავლა).

Outtier bernar, Le modèle grec de la traduction géorgienne des Apophtegmes par Euthyme, Anal. Boll. t-95, fax. 1-2, 1977, p. 119-131 (უტიე ბერნარ, ექვთიმეს მიერ ქართულად თარგმნილი აპოფთეგმების ბერძნული მოდელი).

Fedwick P. J., The Translations of the Works of Basil before 1400 (Basil of Caesarea: Christian, Humanist, Ascetic..., p. 440-512) (ფედვიკი პ., ბასილის შრომების თარგმანები 1400 წლამდე. წგ. ბასილი კესარიელი: ქრისტიანი, ჰუმანისტი, ასკეტი).

Fedwick P. J., A Chronology of the Life and Works of Basil of Caesarea: Basil of Caesarea Christian, Humanist, Ascetic~, I, Toronto, 1981 (ფედვიკი პ. ბასილი კესარიელის ცხოვრება და შრომების სია. წგ-ში: ბასილი კესარიელი: ქრისტიანი, ჰუმანისტი, ასკეტი).

၉၀၀၅၆၀၃၀၃၀

შ ი ნ ა ა რ ს ი

ლიტურგიკის ორიგინალური და
ნათარგმნი თხზულებები (ნარკვევი).....473

ორიგინალურ ლიტურგიკულ თხზულებათა ბიბლიოგრაფია.....545

საძიებლები: ა) ავტორთა; ბ) ხელნაწერთა.....562

სამეცნიერო ლიტერატურა ლიტურგიკული მწერლობის შესახებ...565

ლიტურგიკის ორიგინალური და ნათარბმნი თხზულებები

(ნარკვევი)

ქრისტიანული მართლმადიდებელი ეკლესიის ქართული ღვთისმსახურება ჩამოყალიბებისთანავე ემყარებოდა და დღესაც ემყარება ბიზანტიური მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმსახურების ტრადიციებს და აესებდა მას ადგილობრივი წმინდანების დღის განგებისათვის აუცილებელი ორიგინალური პაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული წყაროებით და საეკლესიო კალენდარული მონაცემებით.

ბიზანტიური საეკლესიო კანონმდებლობით იკრძალებოდა ყოველგვარი კერძო შემოქმედებითი ინიციატივა ქრისტიანული სწავლებისა და ღვთისმსახურების სფეროში, რაც გახდა მიზეზი ქართული საეკლესიო მწერლობის ზოგიერთი დარგის ნაკლებად განვითარებისა. მეექვსე მსოფლიო (ტრულის) საეკლესიო კრების მე-19 კანონი ადგენს: „ვითარმედ უკვს წინამძღუართა ეკლესიისათა ეპისკოპოსთა ყოველსა შინა დღესა, ხოლო უფროდსა კვრიაკეთა, ყოვლისავე სამღვდელმოსა მწყობრისა და ყოვლისა ერისა სწავლად სიტყუათა კეთილად მსახურებისათა საღმრთოსა წერილთაგან გამოხუშითა ჭეშმარიტებისა გულისკმის-ყოფითა და სამართალთაგან და არა გარდასლვითა ეგერა დასხმულთა საზღვართაგან, ანუ ღმერთშემოსილთა მამათა მოცემისათა. არამედ, უკუეთუ წერილობრივიცა აღიძრა სიტყუად, ნუმცა სხუებრ თარგმნიან (განმარტავენ), თუნიერ ვითარ-იგი მნათობთა ეკლესიისათა და მოძღუართა აღწერილთა თუსთა მიერ გარდამოსცეს... და უფროდსა ამათ შინა ანუენებდინ კეთილად გამოცდილებასა თუსსა, ვიდრედა თუსთა სიტყუათა შეწყობასა ზედა...“ (დიდი სჯულისკანონი, გვ. 380-381). ამავე კრების 64-ე კანონი, ეყრდნობა რა გრიგოლ ნაზიანზელის პაეღე მოციქულის I კორინ. 12,12 და 12,27 ადგილების განმარტებებს, ადგენს: „ვითარმედ არა უკვს ერისკაცსა საეროდ აღძრვად სიტყუსად ანუ სწავლად ერისად... ღმრთის მეტყუელი გრიგოლი განცხადებულად განმიმარტებს ჩუენ წესსა მათსა და იტყუს ამას: „განწესებასა შეუდგეთ, ძმანო, ესე წესიერებად დაეიცვათ, რომელნიმე ჩუენგანი ყაჲ ყურ, რომელნიმე ენა, სხუად ველ და სხუად სხუა რამეჲ ასო, რომელი ასწავებდინ, ხოლო რომელიმე ისწავებდინ... ნუ ყოველნი ვართ ენაგანმზადებულ, ნუ ყოველნი – მოციქულ, ნუ ყოველნი წინასწარმეტყუელ, ნუ ყოველნი გამოსთარგმანებთ... რად ჰყოფ თავსა შენსა მწყემს, ცხოვარი ეგე? რად იქმნები თაჲ, ფერკ განინებულ ეგე? რადსთუს კვლ-ჰყოფ მკედარომთაერობად, მკედართა შორის განწესებული ეგე?... ნუცა ეძიებ ბრძენთა უბრძენ ყოფასა...“ (დიდი სჯულისკანონი, გვ. 394-395).

მოტანილი კანონების შინაარსი ნათელია: თუ პირველი მათგანი (მე-19) უკრძალავს ეკლესიის მეთაურს – ეპისკოპოსსაც კი საეკლესიო

დასის წევრებისა და მრევლის დამოძღვრას საღვთო სიტყვის საკუთარი განმარტებებით და მხოლოდ „მნათობთა ეკლესიისათა და მოძღუართა“ განმარტებების განმეორებას სთხოვს, ხოლო მეორე კანონი (64-ე) საერთოდ უკრძალავს საერო პირს საეკლესიო საქმეებში ჩარევას და მხოლოდ მსმენელის („იყავ ყურ“) „სტატუსს“ განუსაზღვრავს, და ეს ხდება ბიზანტიაში, ეს კანონები კიდევ უფრო მკაცრად იქნებოდა დაცული ქრისტიანული სამყაროს პერიფერიებში, მათ შორის საქართველოშიც. საეკლესიო მწერლობის ისეთ დარგებში, როგორცაა ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, კომილექტიკა, დოგმატიკა და ლიტურგიკა, რომლებზედაც ძირითადად ვრცელდებოდა ეს აკრძალვები, ორიგინალურ თხზულებათა შედარებით სიმწირე განაპირობა.

ამასთანავე, ქართული ღვთისმსახურების პრაქტიკაში მოციქულთა (იაკობი, პეტრე) და წმიდა მამათა (ბასილი დიდი, იოანე ოქროპირი) მიერ დადგენილი ჟამისწირვის (ლიტურგიის) წესები იმდენად შეუსისხლხორცდა ქართულ ღვთისმსახურებას, რომ თითქმის ორიგინალური ლიტურგიის ნაწილად აღიქმებოდა.

ამიტომ ჩვენს მიმოხილვაში, რომელიც წამძღვარებული აქვს ქართულ ორიგინალურ ლიტურგიკულ თხზულებათა ბიბლიოგრაფიას, შევეხებით როგორც ორიგინალურ, ასევე მის პირველწყაროს – ნათარგმნ ლიტურგიკულ თხზულებათა ძირითად საკითხებსაც, მიუხედავად იმისა, რომ ნათარგმნი ლიტურგიკა (ღვთისმსახურება) უკვე განხილული გვაქვს წიგნში: ქართული ნათარგმნი ლიტურგიკა, ჰიმნოგრაფია, თბილისი, 2001. განმეორებით აქაც წარმოვადგენთ ლიტურგიკული კრებულებისა და ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულების მოკლე მიმოხილვას, რაც ქართული ღვთისმსახურების ორგანული ნაწილია, ხოლო ორიგინალურ ლიტურგიკულ თხზულებათა მიმოხილვაში კი შევეხებით ქართველ წმინდანთა და ქართულ საეკლესიო დღესასწაულთა დღეების განგების შემადგენელ ნაწილებს: ლიტურგიკულ პაგიოგრაფიას, ანუ სვინაქსარულ „ცხოვრებებსა“ და „წამებებს“ და ამ დღესასწაულებისადმი მიძღვნილ საგალობლებს – ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკულ კანონებს (9-ოდიან გალობებს), რომლებიც შექმნილია, მართალია, ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის მიბაძვით, მაგრამ ქართველი პაგიოგრაფებისა და ჰიმნოგრაფების მიერ. ორიგინალური ლიტურგიკის ნაწილში განვიხილავთ აგრეთვე ასკეტიკურ-სამონასტრო მწერლობასთან დაკავშირებულ საკითხებსაც: ქტიტორული მონასტრების ტიპიკონებს, რომლებიც ღვთისმსახურების (ლიტურგიის) ჩატარების წესებსა და მითითებებსაც შეიცავენ, „სულთა მატიანებს“, რომლებიც იქმნებოდა მონასტრებში და წარმოადგენდა შემწირველთა მიერ მითითებული პირების „სულთა“ სასუფეველში განსვენებისათვის ღვთისადმი ვედრებას, ხოლო მონასტრის ძმობას ავალებდა ამ პირთა მოხსენიებას მითითებულ დღეებში.

ასეთივე დანიშნულებისაა აღაპი, რომელიც იწერებოდა ძირითადად სააღაპე წიგნად გამოყოფილი რომელიმე „სვინაქსარის“ ხელნაწერის

აწივებზე იქ მითითებულ კალენდარულ დღესე და ავალდებულებდა მონასტრის ქმობას, ამ დღეს მოხსენიებასთან ერთად ამ პირის საპატივცემლოდ შეესრულებინათ საკმაოდ მრავალფეროვანი რიტუალი (წირვა, ტრაპეზი და სხვ.).

აქ ჩამოთვლილი ორიგინალური ლიტურგიკული მწერლობის საკითხებს უფრო ვრცლად ჩვენ ქვემოთაც შევეხებით, ნათარგმნი ლიტურგიკის მოკლე მიმოხილვის შემდეგ.

ქრისტიანული ღვთისმსახურება თავისი პირვანდელი სახით ქრისტიანობის წარმოშობის თანადროულია, რა თქმა უნდა, ძალზე მარტივი რიტუალით. უძველესი სასულიერო მწერლობის წყაროების მოწმობით, I საუკუნეების ღვთისმსახურება ქრისტიანულ ეკლესიებში დიდად იყო დაეალებული ებრაული სარწმუნოების ღვთისმსახურებისაგან, რადგან მოციქულები, რომლებსაც ღვთისმსახურების ჩატარების პირველი კანონები მიეწერებათ, ებრაელები იყვნენ, ხოლო ქრისტიანული სარწმუნოება ებრაელთა სარწმუნოების ერთ-ერთ ჯგუფში ჩაისახა. ამიტომ მისი ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე ძირითადად ებრაულ-იუდაური ღვთისმსახურების ელემენტები ჭარბობდა (მით უმეტეს, ებრაული ძველი აღთქმის წიგნები ახალი აღთქმის წიგნებთან ერთად, ე.ი. ბიბლია, შემდგომში „წმიდა წერილად“ იწოდებოდა).

ერთი სიტყვით, იმდროინდელ ქრისტიანულ ღვთისმსახურებას შეადგენდა: 1) მოციქულთა მიერ თხრობა ქრისტეს ცხოვრებისა და ღვაწლის შესახებ, რაც მოგვიანებით წერილობით ჩამოყალიბდა სახარებებში და მოციქულთა ეპისტოლეებში; 2) ლოცვები, რომლებიც, ალბათ ებრაელთა ღვთისმსახურების ლოცვები იქნებოდა; 3) საგალობლები მხოლოდ ფსალმუნური შეიძლება ყოფილიყო, რადგან ქრისტიანული ჰიმნოგრაფია მოგვიანებით აღმოცენდა. შეიძლება ითქვას, რომ ფსალმუნების ხვედრითი წონა ძალზე დიდი იყო და ქრისტიანული ღვთისმსახურების ძირითად ნაწილს მოიცავდა.¹³²

წლებისა და საუკუნეთა განმავლობაში ბიზანტიური ეკლესიის ღვთისმსახურება იცვებოდა ახალი სასულიერო დარგების აღმოცენების საფუძველზე (ჰაგიოგრაფია ანუ წმინდანთა კულტი ჩამოყალიბდა, პირველ ეტაპზე მოწამეების, ხოლო შემდეგ სასულიერო მოღვაწეების „წამება-ცხოვრებებით“; ჰომილეტიკა – მამათა ქადაგებებით საუფლო და საეკლესიო დღესასწაულებზე; ჰიმნოგრაფიული საგალობლები, ცოტა მოგვიანებით ჰიმნოგრაფიული კანონის შექმნით და ა.შ.), საიდნადა ღვთისმსახურება უხე მასალას იძენდა და მრავალფეროვანი ხდებოდა. ღვთისმსახურების ძირითადი ელემენტების საფუძველზე ჩამოყალიბდა ტიპიკონი, ქრისტიანული ეკლესიის ძირითადი სახელმძღვანელო, რომელიც VII-VIII საუკუნეებიდან თანდათანობით იხვეწებოდა და XVII ს. საბოლოოდ ფორმირებული სახე მიიღო.¹³³

132 იხ. И. Мансвѣтов, Церковный устав, его образование и судьба в греческой и русской церкви, Москва, 1885; М. Скабаланович, Талковый типикон, Киев, 1910.

133 И. Мансвѣтов, დასახ. ნაშრომი, გვ. 1

ქართულ სინამდვილეში იმის მიხედვით, თუ რომელი ეკლესიის ტრადიციებს მიჰყვებოდა, ქართული ეკლესია შესაბამის ტიპიკონს თარგმნიდა და ღვთისმსახურებას მის მიხედვით წარმართავდა.

პირველი ტიპიკონი, რომელიც ქართულად უთარგმნიათ, არის იერუსალიმის ქრისტეს საფლავის ეკლესიის სამრევლო ტიპიკონი სახელწოდებით: „განჩინებად და განწესებად მოძღუართა მიერ მართლმორწმუნეთა, რომელსა ჰყოფენ იერუსალიმს“,¹³⁴ რომლის ქართული თარგმანი VIII ს. უნდა იყოს შესრულებული. კ. კეკელიძის დაკვირვებით, ტიპიკონის ბერძნული დედნის „მთავარი ფუძე V საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს, როგორც ამაში გვარწმუნებს ჩვენ სომხური ლექციონარები... ამ ლექციონარებში იგივე დღესასწაულები და ხსენებანია, აგრეთვე იგივე სისტემა „საკითხავებისა“, რაც ჩვენს კანონში“.¹³⁵ ეს ტიპიკონი საქართველოში მოქმედებდა X ს. დამლევამდე.

როდესაც ქართულმა ეკლესიამ ორიენტაცია შეიცვალა და კონსტანტინეპოლის ეკლესიის ტრადიციებს დაუახლოვდა ათონის მთაზე (საბერძნეთში) X ს.-ში დაარსებული ქართველთა მონასტრის განთქმული მწიგნობრების - ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელების მოღვაწეობის მეშვეობით, მან სახელმძღვანელოდ აირჩია კონსტანტინეპოლის აიასოფიის საპატრიარქო ტაძრის ტიპიკონი. ამ ტიპიკონის ძალიან მოკლე თარგმანი X ს. ბოლოს შეასრულა ეფთვიმე მთაწმიდელმა „მცირე სუნაქსარის“ სახელით, ხოლო მოგვიანებით (1042წ.) იგივე ტიპიკონი სრულად თარგმნა გიორგი მთაწმიდელმა და უწოდა მას „დიდი სუნაქსარი“. გიორგიმ თავის თარგმანში შეიტანა სეინაქსარის პაგიოლოგიური ნაწილის (წმინდანთა ხსენებანი) უფრო ვრცელი ვარიანტი, ვიდრე ის დედანში იყო, სტუდიელთა სამონასტრო ტიპიკონის (წმინდანთა პაგიოლოგიური ცნობარი) და ათონის მთის ათანასეს ლავრის ტიპიკონის ელემენტები.¹³⁶ უფრო მეტიც, გიორგიმ თავის ნათარგმნ „დიდ სუნაქსარში“ ქართული მასალაც ჩართო: შეიტანა ეფთვიმე მთაწმიდელის საკმაოდ ვრცელი სეინაქსარული „ცხოვრება“ (13 მაისს) და ათონის ქართველთა მონასტრის დამაარსებლის, იოანე მთაწმიდელის ხსენება (14 ივნისს). „დიდი სუნაქსარის“ ერთ, XI ს. ხელნაწერში (A 193) შესულია ილარიონ ქართველის ხსენება, XI ს. დანარჩენ 5 ხელნაწერში კი ხსენება არ ჩანს, ე.ი. ან ეს ხსენება რომელიღაც გადამწერმა ჩაამატა, ან გიორგის თავიდან გამორჩა და შემდეგ თვითონ ჩაამატა ერთ-ერთ მის მიერ გადაწერილ ცალში.

საქართველოს ეკლესიებში გიორგის „დიდი სუნაქსარის“ ანუ აიასოფიის ეკლესიის ტიპიკონის მიხედვით ღვთისმსახურება სრულდებოდა XII საუკუნემდე, თუმცა საბოლოოდ მხოლოდ XIV-XV სს-ში განიდევნა.

დავით აღმაშენებლის ინიციატივით და არსენ იყალთოელის თარგმანით, ჯერ შიომღვიმის მონასტერში, ხოლო შემდეგ საქართველოს

134 К. Кекелидзе, „Иерусалимский Канонарь“ VII века. Грузинская версия, Тифлис, 1912.

135 კ. კეკელიძე, ქვ. ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1980, გვ. 575.

136 К. Кекелидзе, Грузинские литургические памятники... с. 228-366; 483-500.

დანარჩენ ეკლესია-მონასტრებში დამკვიდრდა საბა განწმედილის ლავრის (პალესტინაში) ტიპიკონის შავი მთის სვიმეონ მესევეტის (V ს.) მონასტრის რედაქცია (მისი გამოყენების ფაქტი დადასტურებულია თამარის მეფობის დროს - მისი კარის ეკლესია ამ ტიპიკონით ხელმძღვანელობდა. სხვათა შორის, საბას ლავრის ტიპიკონი საუწყებლად დადებია ჯერ კიდევ IX ს.-ში გრიგოლ ხანცოელის მიერ შემუშავებულ ტიპიკონს, რომელიც მას სახელმძღვანელოდ დაუწესებია მის მიერ დაარსებული მონასტრისათვის (ძეგლები, I, გვ. 265). საბა განწმედილის მონასტრის ეს ტიპიკონი (შავი მთის მონასტრის რედაქციით, მას შემდეგ დაემატა მთაწმიდის ათანასეს ლავრის ტიპიკონის ელემენტებიც) მართავდა ქართულ ღეთისმსახურებას XVIII ს. ნახევრამდე, როდესაც ის სლავური ტიპიკონის მიხედვით შეუსწორებია ანტონ I-ს.

ტიპიკონების შესახებ თხრობა სრული არ იქნება, თუ რამდენიმე სიტყვა არ ვთქვით სამონასტრო ტიპიკონებზე. სამრევლო ტიპიკონები ამა თუ იმ ქრისტიანული ერის ღეთისმსახურებაში მკაცრად განსაზღვრული სახელმძღვანელო იყო, რომელიც ყალიბდებოდა საუკუნეების განმავლობაში, როგორც სამრევლო ეკლესიისათვის, ასევე მონასტრებისთვისაც, მაგრამ იყო ერთი ფაქტორი, რომლის გამოც მონასტრის ტიპიკონი ჩამატება-დაზუსტების საგანი ხდებოდა და ეს დამატება-შესწორებები ერთპიროვნული იყო. ასეთ ტიპიკონებს „ქტიტორულ“ ტიპიკონებს უწოდებდნენ და მასში ცვლილებების შეტანის უფლება ამ მონასტრის მამულებელ ქტიტორს, დიდგვაროვან ერისუფალსა და მორწმუნეს, ან სასულიერო იერარქიის მაღალი თანამდებობის პირს ჰქონდა. ამ უფლების გამოყენების (ან არგამოყენების) საშუალებას მათ აძლევდათ ის დიდი ქონება, რომელსაც ეს პირები სწირავდნენ მონასტრის ასაშენებლად, კეთილმოსაწყობად და სახელმძღვანელოდ მათ მიერ შერჩეულ ტიპიკონს უდებდნენ, სურვილის შემთხვევაში შექონდათ მათთვის სასურველი ცვლილებები. ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ერისუფალნი ასეთ მონასტრებს აშენებდნენ, რომ იქ მონაზუნად ეღვაწათ. ქვევით, ტიპიკონებზე საუბრისას უფრო ვრცლად მოვიტანთ კონკრეტულ მაგალითებს.

ღეთისმსახურება, რომელსაც წეს-განგებას უდებს ტიპიკონი, სამი უმთავრესი ნაწილისაგან შედგება: საკითხავეები საღვთო წერილიდან, ლოცვები, რომელსაც წარმოთქვამს მღვდელმსახური, მკითხველი ან მორწმუნე, და საგალობელი ჰიმნები. ამის შესაბამისად წიგნები, რომლებშიც ეს მასალა არის შესული, სამ უმთავრეს დარგად იყოფა და თითოეულ დარგს რამდენიმე წიგნი ამოწურავს¹⁷: საკითხავეები ახალი აღთქმიდან შესულია „სახარება-სამოციქულო“-ში (ბერძ. „პარაკოსები“), ხოლო ძველი აღთქმიდან - „საწინასწარმეტყულო“-ში (ბერძ. „პროფიტოლოგონი“ ანუ „პარემიონი“) და „დავითნი“ (იგივე „ფსალმუნი“). ადრე „საკითხავეების“ ორივე წიგნს ერთი სახელწოდება ჰქონდა - „ლექციონარი“.

მეორე დარგს განეკუთვნება „ლოცვანის“ (ბერძ. ეუქოლოგიონი) ორი წიგნი: პირველში მოთავსებულია წირვის წესი, ხოლო მეორეში – ლოცვები სხვადასხვა შემთხვევისათვის (ნათლისღების, ჯვრისწერის, დასაფლავების და ა.შ.). ე.ი. პირველი კონდაკი ანუ ჟამისწირვა (ბერძ. „ლიტურგიარიონ“), რომელშიც შედის „ჟამისწირვები“ სხვადასხვა აეტორებისა და ლოცვები. მეორე წიგნი „კუროხევანია“, რომელშიც შეტანილია სხვადასხვა დღესასწაულის, მოელენის ან შემთხვევის, საეკლესიო ჭურჭლისა და საგნის კუროხევის წესი და განგება, აგრეთვე სხვადასხვა საეკლესიო საფეხურზე „კელდასხმის“ წესი და განგება ლოცვებითურთ.

მესამე დარგი წარმოდგენილია ლიტურგიკული ჰიმნოგრაფიის საგალობლების კრებულებით: „მარხვანი“, ზატიკი, პარაკლიტონი, ჟამნი, თვენი, იადგარი, სამსაგალობლები და „სავედრებელ გალობათა წიგნი“ ანუ პარაკლისები.

ღვთისმსახურების ყველა წიგნს უფრო ვრცლად განვიხილავთ ქვემოთ. ორიგინალური ლიტურგიკული მწერლობის ნიმუშებად ჩვენ წარმოვადგინეთ ის ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული თხზულებები, რომლებიც ჩართულია ეროვნული წმინდანებისა და საეკლესიო დღესასწაულთა დღის განგებებში, შექმნილი, რა თქმა უნდა, ქართველი ჰაგიოგრაფებისა და ჰიმნოგრაფების მიერ. ლიტურგიკული ჰაგიოგრაფიის ქვეშ იგულისხმება ჰაგიოგრაფიული „წამების“ და „ცხოვრების“ საფუძველზე შექმნილი წმინდანის მოკლე ბიოგრაფიული ცნობების შემცველი თხზულება, ე.წ. სინაქსარული „წამება“ და „ცხოვრება“, რომელსაც კითხულობენ წმინდანის ხსენების დღეს დღის განგებაში ჩართული ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკული კანონის (9-ოდიანი გალობის) მეექვსე გალობის შემდეგ. სინაქსარული თხზულება შესაბამისი ვრცელი „წამების“ და „ცხოვრების“ საფუძველზე დგებოდა პერიფრაზულად, ან გამოკრებით, თუმცა არის შემთხვევები, რომ სინაქსარული თხზულება იქმნებოდა მაშინაც კი, როდესაც ამ წმინდანის „ცხოვრება“ ან „წამება“ საერთოდ არ არსებობდა (წმ. პროხორე ქართველი, ჯვარის ქართული მონასტრის აღმაშენებელი იერუსალიმში (XI ს., ლუკა, იერუსალიმის ჯვარის ქართული მონასტრის წინამძღვარი (+1273წ.); ნიკოლოზ დვალის იერუსალიმში მოღვაწე წამებული (+1919წ.) და სხვ.). ან კიდევ იქმნებოდა სინაქსარული „ცხოვრება“, რომელიც ხდებოდა წყარო მოგვიანებით დაწერილი ვრცელი „ცხოვრებისათვის“ (ეფთვიმე მთაწმიდელი +1028წ.). ასე რომ, ჰაგიოგრაფიულ-ლიტურგიკული ორიგინალური თხზულებებიც, რომელთა ტექსტები ჩვენ გამოცემული გვაქვს (ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV (სინაქსარული ჰაგიოგრაფია), თბილისი 1968 (425 გვ.), შევიტანეთ წინამდებარე ორიგინალურ ლიტურგიკულ თხზულებათა ბიბლიოგრაფიაშიც, როგორც ლიტურგიკულ-ჰაგიოგრაფიული თხზულებები.

ქართული ჰიმნოგრაფია, როგორც ნათარგმნი, ასევე ორიგინალური, საკმაოდ მდიდრულად არის წარმოდგენილი ძველ ქართულ მწერ-

ლობაში და ეს არის, უპირველეს ყოვლისა, პიმნოგრაფიულ-ლიტურგიკული კანონის ფორმით დაწერილი და დასდებლების ნაირსახეობით წარმოდგენილი პიმნოგრაფია, ე.ი. ლიტურგიკული პიმნოგრაფია. ორიგინალური ლიტურგიკულ-პიმნოგრაფიული საგალობლები არის ბიზანტიური საეკლესიო მწერლობაში ჩამოყალიბებული პიმნოგრაფიული კანონის მიხედვით შედგენილი ლიტურგიკულ-პიმნოგრაფიული გალობანი ისევე, როგორც შემოგანხილული ლიტურგიკული ჰაგიოგრაფია, ოღონდ დაწერილი ქართველი პიმნოგრაფების მიერ ნაციონალური (და ზოგჯერ ზოგად ქრისტიანული წმინდანებისა და ქრისტიანული დღესასწაულების) წმინდანების დღის განგებისათვის (არალიტურგიკულ პიმნოგრაფიას ამჯერად არ ვეხებით).

უნდა ითქვას და ამას ხშირად ვიმეორებთ, რომ ორიგინალური საეკლესიო მწერლობის რამდენიმე დარგის და მათ შორის, ლიტურგიკული თხზულებების ნაკლებობა და ზოგჯერ საგრძნობი სიმწირე თვალში საცემია და რომ ამის მიზეზი კი ის არის, რომ ქრისტიანული ღვთისმსახურება და საეკლესიო მწერლობის სხვა დარგებიც ჩამოყალიბდა დიდი საეკლესიო მამების თხზულებათა საფუძველზე, რომლებიც თავის მხრივ ეყრდნობოდნენ ძველი და ახალი აღთქმის წიგნებსა და მოციქულთა ეპისტოლეებს, ხოლო მომდევნო საუკუნეების საეკლესიო მწერლებს და მღვდელმთავერებს, მათ შორის პერიფერიულ მართლმადიდებელ ეკლესიებს უნდა ეხელმძღვანელათ იმ თხზულებათა საკუთარ ენაზე თარგმანებში მოცემული ნორმებით, როგორც ამას ბიზანტიური საეკლესიო კანონმდებლობითი სამართალი განსაზღვრავდა და ყოველგვარ დამოუკიდებელ ინიციატივას გამორიცხავდა (იხ. VI მსოფლიო (ტრულის) საეკლესიო კრების მე-19 და 64-ე კანონები, დიდი სჯულისკანონი, გვ. 380-381; 394-395). ამ შეზღუდვების გაელენა კარგად ჩანს ქართულ ღვთისმსახურებაზე (მხოლოდ XVII-XVIII სს-ში იგრძნობა საეკლესიო მწერლობის დარგებში ორიგინალური შემოქმედების აღმავლობა).

ორიგინალურ ლიტურგიკულ მწერლობაში ჩვენ ჩაერთეთ ასევეტიკური შინაარსის ის თხზულებებიც, რომლებიც მონასტერთა შინაგანაწესს ადგენდა და ამასთანავე მონასტრებში ღვთისმსახურების ჩატარების წესსაც განსაზღვრავდა. ასეთი იყო სამონასტრო ქტიტორული ტიპიკონები. ამ ტიპიკონთა დამახასიათებელი ძირითადი ნიშანი იყო ის, რომ მონასტრის დამაარსებელი – ქტიტორი თვითონ წყევტდა, რომელი სახელგანთქმული მონასტრის ტიპიკონი აერჩია მას თავის მონასტრისათვის, ამასთანავე პირადი მოთხოვნებიც შეეტანა არჩეული ტიპიკონის დებულებებში.

„ეკლესიაში ცნობილია ამგვარი ტკპოსი ან წესი: სამრევლო ანუ მსოფლიო და სამონასტრო. თავის მხრივ, ცნობილია ორნაირი სამრევლო ტკპოსი: იერუსალიმისა ანუ ქრისტეს საფლავისა და კონსტანტინეპოლისა – აიასოფიის ანუ დიდი ეკლესიისა. სამონასტრო ტკპოსი სამი ვიცით: პალესტინაში – საბაწმიდისა, კონსტანტინეპოლში – სტო-

დიელთა მონასტრისა და ათონზე – მთაწმიდისა. ის წიგნი, რომელშიაც ჩაწერილი იყო ეს სასოგადო წესი ღვთისმსახურებისა ანუ ტიპოსი, ცნობილია ლიტურგიკულ მწერლობაში „ტიპიკონის სახელით“ (კ. კეკელიძე, ძვ. ქართული ლიტ-ის ისტორია, I, თბილისი, 1980, გვ. 974). საქართველოს ქრისტიანული ეკლესიები უძველესი დროიდან (VI-VII სს.) ხელმძღვანელობდნენ იერუსალიმური ღვთისმსახურების ტიპიკონით, რომელსაც ეწოდებოდა „განჩინება და განწესება მოძღვართა მიერ მართლმორწმუნეთა, რომელსა აყოფენ იერუსალიმს“. ეს „იერუსალიმის კანონი“ ხმარებაში იყო მეათე საუკუნის ბოლომდე. XII ს. დასაწყისიდან საქართველოში დამკვიდრდა აისოფიის ტიპიკონი, რომელსაც ქართულად „სუნაქსარს“ უწოდებდნენ („მცირე სუნაქსარი“, თარგმნილი ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ), ხოლო XIII ს. შუა წლებიდან – „დიდი სუნაქსარი“, თარგმნილი და შედგენილი გიორგი მთაწმიდელის მიერ აიასოფიის, კონსტანტინეპოლის სტოდიელთა მონასტრის და მთაწმიდის ათანასეს ღვთისმეტყველების ტიპიკონების საფუძველზე. ამ ტიპიკონით („დიდი სუნაქსარით“) ხელმძღვანელობდა ქართული ეკლესია XII ს-მდე, თუმცა მისი პრაქტიკის საბოლოო შეცვლა XIV-XV სს. მოხდა. XII ს. I მეოთხედში დაეთა აღმაშენებლის ინიციატივით და არსენ იყალთოელის თარგმანით შემოსულა ჩვენში პალესტინის საბა განწმენდილის (+536წ.) ღვთისმეტყველების ტიპიკონი, ოღონდ შავი მთის სვიმეონ საკვირველმოქმედი მონასტრის ტიპიკონის რედაქციით, „რომელშიაც შემდეგ ადგილი მოიპოვა ათონის მონასტერთა ლიტურგიკული პრაქტიკის ელემენტებმა, ასე რომ საბოლოოდ ჩვენში დამყარდა „მთაწმიდის“ რედაქცია აღნიშნული ტიპიკონისა. ეს რედაქცია პალესტინის ტიპიკონისა უცვლელად იყო ჩვენში მეთრამეტე საუკუნის ნახევრამდე, როდესაც ის შეუსწორებია სლავური ტიპიკონის მიხედვით ანტონ კათალიკოსს რუსეთში ყოფნისას“ (კ. კეკელიძე, I, გვ. 576).

მეტწილად სწორედ ზემოაღნიშნული ტიპიკონების წესის მიხედვით აარსებდნენ თავიანთ მონასტრებს ზემომოსხენიებული ქტიტორები. ისინი იყვნენ დიდგვარიანი და მდიდარი მორწმუნენი, რომლებიც მთელ თავის ქონებას ახმარდნენ მონასტრის აშენებას და ზოგი მათგანი თვითონაც ამ მონასტერში ასრულებდა ცხოვრებას. ჯერ კიდევ ილარიონ ქართველის „ცხოვრებაშია“ (IX ს.) აღწერილი რამდენიმე ასეთი ქტიტორული მონასტრის აშენების ამბავი (ეკესი წლის ილარიონს მამამ შეუქმნა მონასტერი და „შეკრიბეს მას შინა ძმანი რიცხვით ვითარ ათექუსმეტნი ოდენ“ – ძეგლები, II, გვ. 10-11, ხოლო ილარიონმა იერუსალიმიდან დაბრუნების შემდეგ დაქვრივებული დედისა და დისათვის „აღაშენა მონასტერი დედათათუს მოწესეთა... და განუწესა წესი და კანონი, ვითარცა ჯერ არს მონასტერსა შინა ყოფისა და ღოცვისა და მარხვისა... და კუალად აღაშენა სხუად მონასტერი მამათათუს და შეკრიბნა მას შინა ძმანი ვითარ სამოცდაექუსმეტნი...“ იქვე, გვ. 15-16. როგორც ვხედავთ, წმ. ილარიონისათვის და ილარიონის მიერ სამი ქტიტორული მონასტერი აშენებულა და „წესი და კანონი“, ე.ი.

ტიპიკონი განუწესებია ამშენებელს – ქტიტორს, სავარაუდოა, იერუსალიმში შექმნილი გამოცდილების გათვალისწინებით. სამწუხაროდ, ასეთი ძველი ქართული ქტიტორული მონასტრების „წესისა და განგებობის“ შემცველი ხელნაწერები აღარ შემოგვრჩენია, მაგრამ ეს ტრადიცია, როგორც ჩანს, გრძელდებოდა და ჩვენამდე მოაღწია ქტიტორული მონასტრის ტიპიკონის რამდენიმე ნიმუშმა.

ქტიტორული ტიპიკონის ნიმუშია „ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიო მღვიმის მონასტრისათვის“, რომელშიც გარკვეულია შინაური წეს-წყობილება მონასტრისა და მისი დამოკიდებულება მეფესა და კათალიკოსთან (ტექსტი იხ. ვ. სილოგავა, დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი, ჯვარი ვაჟისა (საქ. საპატრიარქოს ჟურნალი), თბილისი, 1989, გვ. 66-68).

აქვე ვიტყვი, რომ ქტიტორულია თვით შიომღვიმის მონასტრის ტიპიკონი, რომლის გადმოთარგმნა დავითს დაუვალვებია არსენ იყალთოელისა და თავისი სულიერი მოძღვრის – იოვანესათვის და მათი თხოვნით („რადთამცა წესსა ზედა სვიმეონწმიდისასა დაესხენ მონასტრისა მღვიმისა წესნი“) აურჩევით შავი მთის (სირია) სვიმეონ წმიდის მონასტრის ტიპიკონი (რომელიც თავად წარმოადგენდა საბა განწმედილის (პალესტინა) ლავრის ტიპიკონის რედაქციას) და დავითსაც ეს ტიპიკონი დაუდგენია შიომღვიმის მონასტრის ტიპიკონად, თუმცა როგორც ქტიტორს, მას ტიპიკონში ახლად დაარსებული მონასტრის საჭიროების შესაბამისად დამატებითი მითითებებიც შეუტანია (გამოც. ე. კოჭლამაზაშვილისა და გიუნაშვილისა, „ტიპიკონი შიომღვიმის მონასტრისა XIII ხელნაწერის მიხედვით, თბილისი, 2005).

დაახლ. 1204-1234წწ. ვინმე მხარგრძელს (თმოგველს) „თუსისა მონასტრისათუს“, სახელდობრ, „ვაჰანის“ (ვანის) ქვაბთა მონასტრისათვის დაუწესებია „განგება“, ე.ი. ტიპიკონი (საბუთი Ad 933, 1204-1234წწ., გამოც. ლ. მუსხელიაშვილისა, ვაჰანის ქვაბთა განგება, თბილისი, 1939).

საზღვარგარეთის სამონასტრო ქტიტორული ტიპიკონებიდან უმნიშვნელოვანესია 1084წ. გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ აშენებული პეტრიწონის მონასტრისათვის მიცემული ტიპიკონი. ტიპიკონი შეუდგენიან ქართულ და ბერძნულ ენებზე. ქართული ტექსტი (XIII ს.) გამოვლინდა უფრო გვიან, ვიდრე ბერძნული, კუნძულ ხიოსის (ქიოსის) ბიბლიოთეკაში. ტიპიკონი შედგენილი ყოფილა, როგორც ტექსტშია აღნიშნული, ვინმე „ყოვლადწმიდის“ მიერ აშენებულ მონასტრის (Μονή Πατριων) ტიპიკონის მიხედვით და გვაწვდის ცნობებს მონასტრის აშენების ისტორიის, მისი შინაგანი წესების, ბერ-მონაზონთა ყოფაცხოვრების შესახებ (ბერძ. ტექსტი გამოსცა Louis Petit, 'Византийский Временник', т. XI, 1904; ქართული და ბერძნული პარალელურად – მ. თარხნიშვილმა, Typikon Gregorii Pakuriani, Lovanii, 1954; ა. შანიძემ, ქართული მონასტერი ბულგარეთში, თბილისი, 1971; ი. დოლიძემ, პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი, ქართ. სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 35-104).

ქტიტორული ტიპიკონის ნიმუშად შეგვიძლია ჩათვალოთ გიორგი მთაწმიდელის „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთვიმესი“-ს ტექსტში ჩამოთვლილი მონასტრის შინაგანაწესის პარაგრაფები, რომელშიც ჩანს ეფთვიმეს მიერ დამკვიდრებული მონაზონთა ქცევისა და მოვალეობების შესრულების მოთხოვნილებები და დარღვევის შემთხვევაში „განკანონების“-ე.ი. კანონის მიხედვით დასჯის მკაცრი ფორმები (იხ. §§1-42; ძეგლები, II, თბ., გვ. 69-85), მსგავსი შინაარსის ათონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონის ცალკე ხელნაწერი არ არის გამოვლენილი.

ლიტურგიკის ორგინალური ნიმუშებია „მოსახსენებლები“, „სულთა მატიანეები“ და სააღაპე წიგნები, რომლებშიც შექტანილი იყო ძირითადად გარდაცვლილ პირთა სულის მოსახსენებელი დღეები, ამ დღეებთან დაკავშირებული რიტუალის (წირვა, პანაშვიდი, ქელები, მეცხრე დღე, ორმოცი, წლისთავი, გარდაცვალების დღე და სხვ.) შესასრულებლად, რომლებმაც მონასტერს შესწირეს მატერიალური შესაწირავი, ან გაუწიეს გარკვეული სამსახური, ხოლო მონასტრის ძმობა ვალდებულებას იღებდა ეზრუნა შემომწირველისა და ძმობის გარდაცვლილი წევრის სულის უკედავსაყოფად და მათი დამსახურების მიხედვით ჩაეტარებინათ სულის მოსახსენებელი რიტუალი.

ქართულ ეკლესია-მონასტრების შემომწირველთა ჩანაწერებში (დავთრებში) ორი ტიპი გამოიყოფოდა: მოსახსენებლებისა, ანუ სულთა მატიანეები და აღაპებისა. „მოსახსენებლების“ საუკეთესო ნიმუშია „მოსაცსენებელი და მატიანე პატიოსნისა წმიდისა მონასტრისა, ღმრთისა დამყარებულისა სინამსა, რომელი – ესე აღმოიკითხვის ყოველთა შაბათთა“ (გამოც. ივ. ჯავახიშვილისა, სინის მთის ქართ. ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1947, გვ. 241-251; დ. კლდიაშვილისა, სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანე, თბილისი, 2008, გვ. 161-182). „სულთა მატიანეში“ გამოიყოფა რვა ჯგუფი. თითოეულ მათგანს ეწოდება „მოცსენებისათვის და განსვენებისათვის“. პირველ და მეორე ნაკვეთში წარმოდგენილია ქართველ მეფეთა მოსახსენებლები; მესამეში – დედოფალთა მოსახსენებლები; მეოთხეში – ზედგენიძეთა; მეხუთეში – დადიანთა და ათაბაგთა; მეექვსეში – მოაქარეპისკოპოსთა და კათალიკოსთა; მეშვიდეში – მატიანის გადამწერის და მის ნათესავთა; მერვეში – იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტრის მამათა. ამის შემდეგ იწყება კერძო პირების მოსახსენებლები, რომელთა დალაგებაში რაიმე პრინციპის დადგენა არ ხერხდება. ქრონოლოგიურად მოსახსენებლები თავსდება XI-XVII სს. ფარგლებში, ე.ი. „სულთა მატიანე“ ივსებოდა ამ საუკუნეების მანძილზე.

„სულთა მატიანეებიდან“ დავასახელებთ კიდევ რამდენიმეს, შედარებით გვიანდელს: „ტბეთის ეკლესიის სულთა მატიანე“, XII-XVI სს.-ისა, რაც აჩვენებს რომ იგი ივსებოდა ამ საუკუნეების განმავლობაში (გამოც. თ. ენუქიძისა, ტბეთის სულთა მატიანე, თბილისი,

1977, რომელიც გამოცემულია ლენინგრადის (სანკტ-პეტერბურგის) აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის P-10/P-13, XII-XVII სს. ხელნაწერი-გრაზნილის (18 კეჟი) მიხედვით. ტბეთის სულთა მატიანეში შეტანილია ტბეთის ეკლესიისათვის შემომწირველთა სახელები, ძირითადად მაჭახელის ხეობის (სამხრეთ საქართველო) მრევლისაგან).

გერგეტის სამების „მატიანე მოსაჯსენებელი სულთა“ (გამოც. ქრ. შარაშიძისა, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.)), კრებულში: მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბილისი, 1954, გვ. 217-257; 263-288).

ნიკორწმინდის ტაძრის სულთა მატიანე შეიცავს მოსახსენებლებს უძველესი დროიდან XVII ს. ჩათვლით. წარმოადგენს ძირითადად ქართველ მეფეთა და კათალიკოსთა სულის მოსახსენებლებს (გამოც. ექთაყანიშვილისა, მეფეთა და კათალიკოსთა სულთა მატიანე ნიკორწმინდის ხელნაწერში, პარიზი, 1939, ცალკე ამონაბეჭდი ჟურნ. „კავკასიონიდან“).

აღის მონასტრის სულთა მატიანე (გამოც. ქრ. შარაშიძისა, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVII სს.)), ტექსტების პუბლიკაციები, გამოკვლევები და საძიებლები, თბილისი, 1961), რომლის ტექსტში აღნიშნულია, რომ საუკუნო სალოცავი დაწესებულია „სვინაქსარისა საკითხავსა ზედა“ (იხ. წიგნის გვ. 41), ე.ი. მოსახსენებლის დღისათვის გამოყენებულია სვინაქსარის კალენდარი და შესაბამისად მოსახსენებელი იწერებოდა ხელნაწერის აშიაზე, შესაბამის კალენდარულ დღეზე.

ასეთივე, ე.ი. სვინაქსარის (A-97, XII ს.) ხელნაწერი, რომელიც უამრავ მოსახსენებელს თუ ხსენებას შეიცავს, მათ შორის რამდენიმე ქართველი წმინდანის სვინაქსარულ ტექსტსაც კი.

არსებობდა კერძო მოსახსენებლები, დადებული ამა თუ იმ პირისათვის, ოჯახისათვის, ანდა ადამიანთა გარკვეული ჯგუფისათვის. ამგვარი მოსახსენებლები უმოაერესად ხელნაწერებში მინაწერების სახით გვეხვება. მათი რაოდენობა ძალზე დიდია და აქ ვეღარ შევხებით (იხ. ქართულ ხელნაწერთა სხვადასხვა ფონდის აღწერილობანი).

კანონიკურ ძეგლებში ჩართული ლიტურგიული დანიშნულების მოსახსენებლების ანუ სინოდიკონების მაგალითებია „მცირე სჯულისკანონისა“ და რუის-ურბნისის საეკლესიო კრების სინოდიკონები. პირველ მათგანში ეფთვიმე მთაწმიდელმა შეიტანა „ძეგლისწერაჲ სარწმუნოებისაჲ“, რომელიც წარმოადგენს ხატმებრძოლთა წინააღმდეგ მოწვეული მსოფლიო კრების დადგენილებებს და რომელიც იკითხებოდა სოფიაწმიდის ეკლესიაში „პირველსა კვირიაკესა წმიდათა მარხვათასა“. დასახელებული ძეგლის სინოდიკონი შეიცავს ბიზანტიის იმპერატორთა და საეკლესიო პირთა ხსენებებს. დასახელებულ ძეგლის ქართულ თარგმანში ეს მოსახსენებლები, რა თქმა უნდა, გადმოსულია, მაგრამ ქართული საეკლესიო მესვეურთ იგი შეუუსიათ ქართველი წმინდანების, მეფე-დედოფალთა და სასულიერო პირთა ხსენებებითაც

(გამოც. ე. გიუნაშვილისა, მცირე სჯულისკანონი, თბილისი, 1972, გვ. 124-133). „მცირე სჯულისკანონში“ შეტანილი „ძეგლისწერაჲ სარწმუნოებისაჲ“-ს მეორე ტექსტს, რომელიც შეტანილია მოქვის გულანში (A-743), ერთვის ისეე ბიზანტიელ მეფეთა და პატრიარქთა მოსახსენებლების შემდეგ 13 სირიელ მამათა ერთი ჯგუფის, აგრეთვე შავი მთისა და პალესტინის XI-XII საუკუნეების ქართველ სასულიერო მოღვაწეთა მოსახსენებლები (ე. მეტრეველი, ტერმინ „ხამბაშურის“ გაგებისათვის, წიგნში: ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, თბილისი, 1998, გვ. 435-437). ასეთივე მოსახსენებლები – „მრავალჯამიერი“ აქვს დართული რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლისწერასაც“, ოღონდ მხოლოდ ქართველ მეფე-დედოფალთა და საეკლესიო პირთა, რომლებმაც შეიმუშავეს ამ კრების „ძეგლისწერა“ და „საუკუნო ხსენება“ შეუთვალეს იმ ცნობილ, ოღონდ გარდაცვლილ წმინდანებს და საეკლესიო მოღვაწეებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ქართული ეკლესიის აღორძინებაში (გამოც. ე. გაბიძაშვილისა, რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერა“, თბილისი, 1978, გვ. 162-171).

კიდევ მეტი ცნობებია დაცული მოსახსენებელთა იმ ტექსტებში, რომელსაც აღაპები ეწოდებოდათ და რომლებიც თავმოყრილია ე.წ. სააღაპე წიგნებში.

აღაპი (ბერძ. ἀγαπῶ – სიყვარული), ანუ „სიყვარულის სერობა“ იმ უძველესი ქრისტიანული ტრადიციიდან მომდინარეობს, რომელიც ქრისტიანულ ეკლესიებში იმართებოდა, ტრაპეზზე ქრისტეს საიდუმლო სერობის მოსახსენებლად და მიზნად ისახავდა მდიდარ და ღარიბ მორწმუნეთა შორის კეთილი დამოკიდებულებისა და სიყვარულის განმტკიცებას. თავდაპირველად ასეთი სერობა ლიტურგიასთან ერთად ტარდებოდა, ოღონდ ზიარების დაწყებამდე (იმის აღსანიშნავად, რომ ქრისტემ ჯერ სერობა ჩაატარა თავის მოწაფეებთან, შემდეგ კი მოწაფეები აზიარა). მოგვიანებით, როდესაც დადგინდა ზიარების უზმოსე მიღების წესი, აღაპი ზიარების შემდეგ იწყებოდა.

ზოგიერთი უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით ზოგჯერ სერობას მართავენ ლიტურგიისაგან განცალკევებით ეკლესიის შიგნით, ან მის ეზოში საღამო ხანს. ეს ტრადიცია დროთა განმავლობაში გადაიზარდა ღრეობებში, ლოთობაში, მდიდართა მიერ ღარიბების დაცინვაში და დამცირებაში, რაც ცუდად მთავრდებოდა. ამის გამო ეს ტრადიცია აიკრძალა (ლაოდეკიის (343წ.) 28-ე კანონით).

მოგვიანებით აღაპი გახდა მიცვალებულის მოსახსენებლად დაწესებული წირვის, პანაშვიდის და „სიყვარულის“ ტრაპეზის აღმნიშვნელი რიტუალი. აღაპი წესდებოდა გარდაცვლილი პირისათვის (როგორც სასულიერო, ისე საერო), რომელსაც გარკვეული ან განსაკუთრებული დამსახურება მიუძღოდა მონასტრისადმი (უპირველეს ყოვლისა, მონასტრის დამაარსებელთა, აღმშენებელთა და შემწირველთათვის). მონასტრისადმი დამსახურების შესაბამისად განსხვავდებოდა „სულის მოსახსენებლის“ ფორმაც: წესდებოდა „კარგადღებული“ აღაპი, პან-

აშვიდი, „მოსაჯსენებელი“, შემომწირველის სახელის „სულთა მატია-
ნეში“ ჩაწერა – მონასტრის სპეციალურ დაფორმებში. აქვე იწერებოდა
მონასტრის კრებულის ვალდებულება – „პროგრამა“ აღაპდადებული
პირის მიმართ. ასევე სააღაპედ იყენებდნენ ისეთ ლიტურგიკულ ხელ-
ნაწერებსაც, რომელშიც ლიტურგიკული მასალა დალაგებული იქნე-
ბოდა წლის ყოველ დღეზე, მოცემული იქნებოდა საეკლესიო წლის
კალენდარი. ალაპი იდებოდა წლის ყოველ დღეზე. ამ თვალსაზრისით
ყველაზე მოსახერხებელი იყო სვინაქსარი, რომელიც შეიცავს მღ-
ვდელმსახურების განგებას, როგორც წლის ყოველ დღეზე, ასევე მოძ-
რავ დღესასწაულებზეც. ალაპები იწერებოდა არა გაბმული ტექსტების
სახით, როგორც „სულთა მატიანეების“ შემთხვევაში გვაქვს, არამედ
ცალ-ცალკე, სვინაქსარის ფურცლის კიდებზე, ალაპისათვის განკუთ-
ვნილი დღის გასწერიე (ელ. მეტრეველი, მასალები..., გვ. 11). ეს ხდე-
ბოდა წლებისა და საუქუნეების მანძილზე. ასეთია „დიდი სვინაქსა-
რის“ ხელნაწერები: იერუსალიმის დიდი სვინაქსარი (Ier. 24-25, XI ს.),
რომელიც იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტრის კრებულის
მიერ განწესებულ მოსახსენებლებს და ალაპებს შეიცავს და „გოლგო-
თას სვინაქსარი“ იმავე მონასტრის მოსახსენებლებით და ალაპებით,
აგრეთვე „დიდი სვინაქსარის“ კიდევ ორი ხელნაწერი – A-97, XI ს. და
A-193, XI ს., სამხრეთ საქართველოს მონასტრებიდან (A-97-ს სამეცნიერ-
ო ლიტერატურაში „კლარჯული სვინაქსარი“ უწოდეს). დაქველებუ-
ლი და უკვე თითქმის გადაღეული ალაპის ტექსტებს ზოგჯერ ცალკე
იწერდნენ, მათთვის განკუთვნილ დღეებზე ალაგებდნენ და ასე იქმნე-
ბოდა „სააღაპე წიგნები“ (მაგ., ათონის ივერთა მონასტრის სააღაპე
წიგნი (A-558)).

იერუსალიმის ჯვარის მონასტრის „სააღაპე წიგნი“, რომელიც
ანალოგიურ ძეგლთაგან გამოირჩევა სიძველით და ალაპთა სიუხ-
ვით, არის გიორგი მთაწმიდელის მიერ ბერძნული ენიდან ნათარგმნი
„დიდი სვინაქსარის“ ერთ-ერთი XI ს. ხელნაწერი (Ier-24-25), რომელიც,
როგორც ჩანს, სპეციალურად გადაიწერა, რათა მასში შეეტანათ ამ
მონასტრის აღმაშენებლის – პროხორე ქართველის სვინაქსარული
„ცხოვრება“ და ალაპი. ეს პირველი ალაპი გახდა მიზეზი ამ სვინაქსა-
რის „სააღაპე წიგნად“ ქცევისა.

ამ ხელნაწერის არშიებზე მიწერილი ალაპები 313 ერთეული, პირ-
ველმა გამოავლინა და მოგვიანებით გამოსცა ნ. მარმა (ალაპნი ჯვარ-
ის მონასტრისანი, პეტერბურგი, 1914წ.), ხოლო ამ ძეგლის მეორედ
გამომცემელმა – ელ. მეტრეველმა დამატებით კიდევ სამი ალაპის
ტექსტი ამოიკითხა (მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ის-
ტორიისათვის, თბილისი, 1962, გვ. 79-108).

ნ. მარისეული გამოცემა იმითაა საყურადღებო, რომ მასში გაერ-
თიანებულია ოთხი სხვადასხვა წყაროდან ამოკრებილი ალაპები და
მოსახსენებლები, რომლებიც ჯვარის მონასტერთან არის დაკავშირე-
ბული. მარის მოწმობით შემომწირველთა დიდი ნაწილი არის ქართ-

ველი მეფეები და დედოფლები, უმაღლესი იერარქიის საქართველოს და აფხაზეთის სამღვდელთა, მთავრები, ისტორიული საგვარეულოს წარმომადგენლები, სამეფო ოჯახებისა და სახელმწიფო მოღვაწეები და ა.შ., რომელთა ნაწილის ვინაობასაც ამ ალაპებისა და მოსახსენებელთა წყალობით ვეცნობით (Н. Мэрр, Предварительный отчет о работах в поездку на Синае... и в Иерусалиме).

ათონის მთის ივერთა მონასტრის „საალაპე წიგნი“ ბოლო ნაწილია ცნობილი „ათონის კრებულის“ (A-598), რომელიც შედგა 1074წ. მიქელ დაღლისონელის ღვაწლით. ეს კრებული და მისი მესამე რედაქციამ (როდესაც ალაპებმა ამ კრებულის ბოლოს გადაინაცვლა და კრებული მომდევნო წლებში ხანგრძლივმოქმედების „საალაპე წიგნად“ ჩამოყალიბდა) ამ მონასტრის მატთანეს სახე მიიღო. კრებულის ამ ნაწილში აისახა ათონის ქართველთა მონასტრის საკრებულოს წევრებისა და მონასტრებზე მსრუნველ-შემომწირველთა პერსონალია და მათი მოღვაწეობა (ელ. მეტრეველი, ... საალაპე წიგნი, გვ. 4).

166 ალაპი, რომელიც გამოსცა და თითოეულ მათგანს კომენტარები დაურთო ელ. მეტრეველმა (ათონის ქართველთა მონასტრის საალაპე წიგნი, თბილისი, 1988), საქართველოს ისტორიის ნაწილია და ფასდაუდებელი მატთანე ამ მონასტრისა და, საერთოდ, საზღვარგარეთის ქართული სამონასტრო კრების ისტორიის შესასწავლად.

ბოლოს, ამ მიმოხილვას ეურთავთ ლიტურგიკული წიგნების კომენტარებულ სიას და ლიტურგიკულ ტერმინთა ლექსიკონს, რაც საერთოა როგორც ნათარგმნი, ასევე ორიგინალური ლიტურგიკული თხზულებებისათვის.

ლიტურგიკული კრებულები

ტიპიკონი – საეკლესიო წეს-განგებათა კრებული, რომელიც მოიცავს სახელმძღვანელო მითითებებს ყოველგვარი მღვდელმსახურებისათვის საწელიწდო კალენდრის დღეებში, შეიდეულის დღეებში და ყოველდღიური ღვთისმსახურების ჩატარების წესისა და თანმიმდევრობის შესახებ. ტიპიკონი უჩვენებს, ესა თუ ის ეკლესია ან მონასტერი, რომელიც ამ ტიპიკონით ხელმძღვანელობს, რომელი საეკლესიო პრაქტიკის მიმდევარია. ტიპიკონი (ბერძ. ტიპოსიდან – სახე, მაგალითი) ორი ტიპისაა: სამრევლო და სამონასტრო, ე.ი. არსებობს ღვთისმსახურების შესრულების ორი წესი: სამრევლო ეკლესიის პირველი ტიპის ტიპიკონი ჩამოყალიბებულია იერუსალიმში, ქრისტეს საყვლავის ეკლესიის ღვთისმსახურების წესის საფუძველზე, ხოლო მეორე მოგვიანებით, კონსტანტინეპოლის აია-სოფიის დიდი ეკლესიის წესის მიხედვით. სამონასტრო ტიპიკონებიდან ყველაზე ცნობილია: პალესტინაში – საბაწმიდის ლავრის ტიპიკონი, კონსტანტინეპოლში – სტოდელთა მონასტრის ტიპიკონი, ხოლო ათონის მთაზე – ათანასე მთაწმიდელ-

ის ლაერის ტიპიკონი. საქართველოს ეკლესიას, რომელიც დაარსების დღიდან პალესტინურ ლიტურგიულ პრაქტიკას მიჰყვებოდა, სახელმძღვანელოდ იერუსალიმური ტიპიკონი უნდა ჰქონოდა. ეს მოსაზრება გაამართლა XIX-XX სს. მიჯნაზე მიკვლეულმა ძეგლმა „განჩინება და განწესება მოძღუართა მიერ მართლმორწმუნეთა, რომელსა ჰყოფენ იერუსალიმს“. ეს ვრცელი თხზულება წარმოადგენს იერუსალიმში ქრისტეს საფლავის (გოლგოთის) ეკლესიაში შემუშავებულ ტიპიკონს, რომელსაც „კანონი“ ეწოდება.¹³⁸ როგორც კ. კეკელიძემ გაარკვია, ამ კანონში შემონახულია VIII ს. რედაქციის ტიპიკონი, რომელიც ქართულად ნათარგმნია VIII-IX სს. მიჯნაზე. ამ ძეგლის ბერძნული დედნის ძველი ფენა V ს. უნდა შექმნილიყო. ამ ტიპიკონით, რომლის რამდენიმე ქართული ხელნაწერი X საუკუნისაა, საქართველოს ეკლესია X ს-მდე ხელმძღვანელობდა. ათონის მთაზე ქართველთა მონასტრის - „ივირონის“ დაარსება გახდა საფუძველი აია-სოფიის ანუ კონსტანტინეპოლის „დიდის ეკლესიის“ ტიპიკონის თარგმნისა, რომელსაც გიორგი მთაწმიდელის თარგმანში „დიდი სუნაქსარი“ ეწოდება, ხოლო ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანში - „მცირე სუნაქსარი“, რადგან ეფთვიმემ ძველი შემოკლებით გადმოიღო, ხოლო გიორგიმ - სრულად. კ. კეკელიძის დაკვირვებით, გიორგის თარგმანში შეტანილია ელემენტები სტოდიელთა მონასტრის სამონასტრო ტიპიკონიდან და ათონის მთის მონასტერთა ლიტურგიული პრაქტიკიდან.¹³⁹ ეს ტიპიკონი ანუ „დიდი სუნაქსარი“ XII ს-მდე იყო სახელმძღვანელო ქართული ეკლესიისა, თუმცა მაინც იყო ხმარებაში XIV-XV საუკუნეებამდე. XII ს. დასაწყისში დავით აღმაშენებელს დაუვალებია არსენ იყალთოელისათვის, რომ მეფის ბრძანებით და არსენის პრაქტიკული საქმიანობით შიომღვიმის მონასტრის ახლად აშენებული ღვთისმშობლის მიძინების მთავარი ტაძრის მშენებლობის დასრულებასთან დაკავშირებით შეერჩია მონასტრისათვის ტიპიკონი. არსენმა შეარჩია შავი მთის, სვიმეონ მესეციის მონასტრის ტიპიკონი, რომელიც იერუსალიმის საბა განწმედილის მონასტრის ტიპიკონის რამდენადმე შეცვლილი ტიპისა იყო, ალბათ იმიტომ, რომ არსენი კარგად იცნობდა მას, რადგან ამ მონასტერში მან რამდენიმე ხანს იმოღვაწა, და თარგმნა ეს ტიპიკონი. ამრიგად, XII ს. პირველი მეოთხედიდან საქართველოში რიგით მესამე ტიპიკონი ამოქმედდა - საბას ლაერის ტიპიკონი, რომელსაც შიომღვიმის ტიპიკონი ეწოდა (მისი ცნობილი ეგზემპლარია H-1349, XIII ს., თუმცა არსებობს უფრო ძველი ხელნაწერები - იერუსალიმის (Ier.) ქართული ხელნაწერების კოლექციიდან (Ier.146, XII ს.). აღსანიშნავია, რომ საბას ლაერის სამონასტრო ტიპიკონი საქართველოში, კერძოდ, კლარჯეთის ეკლესიებში ცნობილი უნდა ყოფილიყო ჯერ კიდევ IX ს-დან, რადგან ცნობილია, რომ გრიგოლ ხანცთელმა მის მიერ დაარსებულ მონას-

138 გამოც. კ. კეკელიძისა, „Иерусалимский Канонарь“ VII века. Грузинская версия, Тифлис, 1912.

139 მისივე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1980, გვ. 575.

ტრებს ეს ტიპიკონი დაუდგინა. მან საგანგებოდ ათარგმნინა იგი თავის მოწაფეს, რომელიც საბას ლავრაში მოღვაწეობდა და რომელმაც ეს ტიპიკონი გრიგოლს გამოუგზავნა (ძეგლები, I, გვ. 265-266).

შიომღვიმის ტიპიკონი საქართველოში, როგორც ჩანს, XVIII-მდე მოქმედებდა. მისი მოქმედების არეალი ძალიან ფართო იყო, თამარ მეფის დროს ამ ტიპიკონით ხელმძღვანელობდნენ არა მარტო სამრევლო ეკლესიები და მონასტრები, არამედ მეფის კარის ეკლესიაც კი. ეს ჩანს მემატინის სიტყვებიდან: „საეკლესიო ლოცვა და წესი ლოცვისად დაუკლებლად აღესრულებოდის, ვითარცა ტიპიკონი მოასწავებდა და განწესებდა პალესტინისა მონასტრისა მოგვითხრობს, ყოველი სრულად. დარბაზის კარს მყოფნი წირვად ვერვინ დააკლდებოდა: მწუხრი, დილეულ, სამხარი, ვითარცა თქუმულ არს“.¹⁴⁰ თავდაპირველად ჩვენში შემოვიდა საბაწმიდის ტიპიკონის „სვიმეონწმიდის“ რედაქცია, რომელშიც შემდგომ ადგილი მოიპოვა ათონის მონასტერთა ლიტურგიკული პრაქტიკის ელემენტებმა. ასე რომ, საბოლოოდ ჩვენში დამკვიდრდა „მთაწმიდის რედაქცია“ საბაწმიდის ტიპიკონისა.¹⁴¹ ეს რედაქცია პალესტინური ტიპიკონისა უცვლელად მოქმედებდა XVIII ს. ნახევრამდე, სანამ იგი ანტონ I-მა არ შეასწორა სლავური ტიპიკონის მიხედვით.

სამონასტრო ტიპიკონების სახელწოდებაში განჩნდა სიტყვა „ქტიტორული“ იმის აღსანიშნავად, რომ ზოგიერთი დიდგვაროვანი და შეძლებული მორწმუნე თავის ქონებას ახმარდა მონასტრის აშენებას, რომელსაც სამონასტრო წესს მისი დამაარსებელი - „ქტიტორი“ უწესებდა. ასეთ მოქმედებას ადგილი ჰქონდა საქართველოშიც. ილარიონ ქართველის ცხოვრებაში მოთხრობილია, როგორ აუშენა მონასტერი ექვსი წლის ილარიონს მამამ „და შეკრბეს მუნ ძმანი რიცხვით, ვითარ ათექსუმეტნი ოდენ“ (ძეგლები, II, გვ. 10-11). შემდეგ, იერუსალიმიდან დაბრუნებულმა ილარიონმა დაქვრივებული დედისა და დისათვის „ალაშენა მონასტერი დედათათუს მოწესეთა... და განუწესა წესი და კანონი...“ (იქვე, გვ. 16); „და კუალად ალაშენა სხუად მონასტერი მამათათუს... და განუწესა მათცა წესი და კანონი...“ (იქვე). ქტიტორები ამ წესს წერილობით სახეს აძლევდნენ და ასე იქმნებოდა მრავალი ქტიტორული ტიპიკონი. ასეთი ქტიტორული ტიპიკონიდან მხოლოდ ცალკეული ადგილებია მოტანილი „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“, გრიგოლის მიერ აშენებული მონასტრების წესებიდან (ძეგლები, I, გვ. 265-267). ქტიტორულია ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ მთაწმიდის ქართველთა მონასტრისათვის დადგენილი წესები, რომელთა დიდი ნაწილი წარმოდგენილია „იოანესა და ეფთვიმე მთაწმიდელის ცხოვრებაში“ (ძეგლები, II, გვ. 69-85 - წარმოდგენილია 42 პუნქტი). ქტიტორული ტიპიკონების რიცხვს განეკუთვნება ტიპიკონები: 1) დავით აღმაშენებლის „ანდერჰები“, მიცემული შიომღვიმის მონასტრისადმი (გამოც. ე. სილოგავასი, თბილისი, 2003, გვ. 114-142); 2) გრიგოლ ბაკურიანისძისა,

140 ქაროლის ცხოვრება, I, გვ. 81, 2-5.

141 კ. კაკელიძე, ძველი ქართული ლიტის ისტორია, II, გვ. 576.

პეტრიწონის ტიპიკონი 1084წ-ისა (გამოც. ა. შანიძისა, ქართული მონასტერი ბულგარეთში, თბილისი, 1971. აგრეთვე, ი. დოლიძისა, ქართ. სამართ. ძეგლები, III, გვ. 35-105); 3) მხარგრძელისა „განგებაჲ ვასანის ქუაბთა მონასტრისა“ (გამოც. ლ. მუსხელიშვილისა, თბილისი, 1939).

თანამედროვე საეკლესიო პრაქტიკაში ხმარებული ტიპიკონი შინაარსობრივად 3 ნაწილად იყოფა:

I ნაწილი (1-47 თავი) შეიცავს ზოგად მითითებებს: ა) მღვდელმსახურებათა თანმიმდევრობაზე საზოგადო მსახურების გარკვეულ დღეებში (თ. 1-26); ბ) როგორ უნდა განლაგდნენ მლოცველები ღვთისმსახურების დროს (თ. 26-32); გ) მონაზონთა ცხოვრების წესი (თ. 31-47).

II ნაწილი (თ. 47-52) გვაძლევს მითითებებს წლის თითოეული დღის მღვდელმსახურებაზე და მათ თანმიმდევრობაზე ღვთისმსახურების დროს.

III ნაწილი (თ. 52-დან) წარმოადგენს ტიპიკონის I და II ნაწილების დამატებას და შეიცავს: ა) ისეთ ზოგად მითითებებს საწელიწდო კალენდრისა და შეიდეულის დღეების მოკლე საგალობლებზე, რომლებიც არ არის შეტანილი ტიპიკონის I და II ნაწილებში; ბ) ისეთ საგალობლებს, რომლებზედაც მითითებანი ამ ნაწილშია წარმოდგენილი: კონდაკებს (საგალ.), სტიქარონებს, იბაკოებს და ა.შ.

„დიდი სვინაქსარი“ ეწოდება ბერძნული სვინაქსარის ანუ ტიპიკონის იმ სრულ ვარიანტს, რომელიც გიორგი მთაწმიდელმა თარგმნა ბერძნული ენიდან (ეს არის გიორგის პირველი თარგმანი მის მრავალრიცხოვან ნათარგმნ თხზულებათა შორის) XI ს. შუა წლებში, მისი ათონის მთის ქართულ მონასტერში დეკანოზად ყოფნის დროს (1044 წლამდე). ცნობილია, რომ სათარგმნელად გიორგიმ აირჩია კონსტანტინეპოლის დიდი ეკლესიის – აიასოფიას სამრევლო ეკლესიის ტიპიკონი, ხოლო მისი სვინაქსარული ნაწილი შეავსო კონსტანტინეპოლისეუ სტოდიერთა მონასტრის სამონასტრო ტიპიკონის მონაცემებით და გამოიყენა აგრეთვე ათონის მთის ათანასეს ლავრის ზოგი დეტალი. „სვინაქსარი“ თავდაპირველად ეწოდებოდა იმ „სარჩევს“ თუ კალენდარს, რომელიც ერთვოდა „სახარება-სამოციქულოს“ და უჩვენებდა „საკითხავების“ რომელი ადგილი იყო გათვალისწინებული კონკრეტულ დღესასწაულზე თუ წმინდანის ხსენების დღეს, რომელიც დადებულია კალენდარული თვის გარკვეულ დღეს. შემდეგ „სვინაქსარი“ იქცა ტიპიკონის მნიშვნელოვან ნაწილად, რომელშიც წარმოდგენილია წმინდანთა, მოწამეთა და დღესასწაულთა თორმეტივე თვის ყოველ დღეზე დალაგებული კალენდარი, გავრცობილი მათი ბიოგრაფიული თუ ისტორიული ცნობებით და ლიტურგიკული მითითებებით ტროპარებზე, კონდაკებზე, ლიტანიაზე და სხვ. (ასეთია მაგ., საბაწმიდური ტიპიკონის ქართული თარგმანი – შიომღვიმის ტიპიკონი).¹⁴²

ქართულ მწერლობაში სვინაქსარის სახელი მთელ ტიპიკონზე გავრცელდა და გიორგი მთაწმიდელის ნათარგმნს „დიდი სვინაქსარი“

142 გამოც. ე. კოჭლამაზიშვილისა და ე. გიუნაშვილის მიერ, თბილისი, 2005წ.

ეწოდა, ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილი „სუნაქსარი საწელიწდომ უმცროსი“-ს საპირისპიროდ, რადგან ეფთვიმეს თარგმნილი (რომელიც ჯერ კიდევ გამოუცემელია და შეუსწავლელი) კონსტანტინეპოლის აიასოფიის ტაძრის ტიპიკონი საგრძნობლად შემოკლებულია.

„დიდი სვინაქსარის“ მნიშვნელობა ქართული ეკლესიისათვის დახასიათებულია გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფის – გიორგი მცირის მხატვრული შეფასებით: „პირველ ყოვლისა სუნაქსარი თარგმნა, რამეთუ ესე არს საფუძველი ეკლესიისაჲ, რომლისა თვნიერ შეუძლებელ არს წარმართებაჲ ეკლესიისაჲ, რამეთუ რომელსა ეკლესიასა სუნაქსარი არა ჰქონდის, დაღაცათუ ყოველნი წიგნი ჰქონდინ, თაფლსა ჭამან, ხოლო სიტკობებასა სასაჲ ვერ სცნობს“ (ძეგლები, II, თბ., 1967, გვ. 128). გიორგიმ „დიდ სუნაქსარში“ ქართული მასალაც შეიტანა – ეფთვიმეს მოზრდილი სვინაქსარული „ცხოვრება“, იოანე მთაწმიდელის ხსენება 14. VII (შესაძლებელია, ილარიონ ქართველის ხსენებაც). ძეგლი თითქმის მზადაა გამოსაცემად მ. დოლაქიძის მრავალწლიანი მუშაობის შედეგად. „მცირე სუნაქსარი“, როგორც აღენიშნეთ, ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ შემოკლებულად გადმოღებულ კონსტანტინეპოლის აიასოფიის ტაძრის ტიპიკონს ეწოდება. ერთადერთი, 1030 წ. ხელნაწერი (A 648), რომელშიც ქართული მასალა არ არის, მრავალ შესანიშნავ მინიატურას შეიცავდა, რომელიც მთლიანად ამოუჭრია ვილაცას და ტექსტიც სანახევროდ დაკარგულია.¹⁴³ ძეგლი გამოუცემელია.¹⁴⁴

კურთხევანი – „კურთხევათა“ კრებული მღვდელმოქმედებისათვის, ხოლო „კურთხევა“ – ეს არის მღვდელმოქმედება, რომლის შესრულების დროს მღვდლის მეშვეობით ღვთიური მადლი გადაეცემა გარკვეულ პირებს ან საგნებს, როგორც გამაძლიერებელი, განმკურნებელი ან განმწმენდი ძალა. კურთხევის უფლება აქვთ მხოლოდ მღვდელმთაერებს (ეპისკოპოსებს, მთავარეპისკოპოსებს, მიტროპოლიტებს და პატრიარქს) და მღვდლებს. „კურთხევანებში“ თავმოყრილია სხვადასხვაგვარი კურთხევათა წესები და განგებანი, რომელიც სრულდება მრავალრიცხოვანი ლოცვების თანხლებით. „კურთხევანის“ მიხედვით ტარდება ნათელა, ქორწინება, მიცვალებულთა წესის აგება, საუფლო დღეების და, საერთოდ, დღესასწაულთა განგება, ეკლესიათა სატყურება, ყველა სასულიერო პირის ხელდასხმა (ქირიკონია და ქიროთესია – უმთავრესად კონდაკებში (ყამისწირვებში) წარმოდგენილი და აქედან მრავალ „კურთხევანთა“ კრებულში შეტანილი), მონაზვნად აღკვეცა, დიდი და მცირე მაზარით მონაზვნის შემოსვა, საეკლესიო წმინდა ჭურჭლის გაწმენდა და განახლება და სხვა საეკლესიო რიტუალი და ქმედება.

„კურთხევანთა“ ხელნაწერები ოთხ კატეგორიად უნდა დაეყოთ: 1) წინაათონური, რომელთა ნუსხები Xს-მდე არ გვხვდება და მათი რა-

143 ეს ძეგლი განხილული აქვს კ. კეკელიძეს თავის შრომაში „Иерусалимский Канонарь“ VII века. Грузинская версия, с. 297-310.

144 გამოსაცემად ამზადებს ლილი ხვესურიანი.

ოდენობაც მცირეა (Sin. 12, Xს., Sin. 66, Xს., Sin. 54, Xს., Sin. 34, Xს. და კიდევ რამდენიმე); 2) ათონური პერიოდისა; 3) პოსტათონური პერიოდისა, როდესაც ხდება გიორგის „კურთხევეანის“ შეესება ახალი ნათარგმნი მასალით XII-XVII საუკუნეებში; 4) კვიპრიანე სამთავნელის მიერ ახლად თარგმნილი „კურთხევეანი“ XVIIIს. დასაწყისში ბერძნული ენიდან, რომლის მოკლე და ვრცელი რედაქციებია ცნობილი.

უნდა აღინიშნოს, რომ „კურთხევეანთა“ ხელნაწერების უამრავი რაოდენობიდან, ალბათ, არ მოიძებნება ორი ხელნაწერიც კი, რომლებიც ზედმიწევნით იმეორებდნენ ერთმანეთს. განსაკუთრებით ეს ითქმის პოსტათონური ხელნაწერების შესახებ. თითოეული ხელნაწერის გადაწერა, რომლის ძირითადი ნაწილი დამყარებულია გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილ სტატიებზე (თვით გიორგის ნათარგმნი „კურთხევეანის“ სუსტი შედგენილობის ხელნაწერებიდან ერთიც კი არ არის შემონახული), როგორც ჩანს, ცდილა შეეესო და გაემდიდრებინა იგი ხელმისაწვდომი მასალით. ამიტომ არის, რომ არც მხოლოდ ეფთვიმეს ნათარგმნი „მცირე კურთხევეანისა“ და არც მხოლოდ გიორგი მთაწმიდელის „დიდი კურთხევეანის“ შემცველი ხელნაწერები არ არის ცნობილი, არ ვიცით ეფთვიმემ და გიორგიმ შეიტანეს თუ არა თავიანთ ნათარგმნ კრებულებში რაიმე წინათონური კრებულებიდან, როგორც ეს გააკეთეს პოსტათონური რედაქციის ხელნაწერთა გადაწერებმა და კვიპრიანე სამთავნელმა. მით უმეტეს, რომ წინათონური რედაქციის ხელნაწერებში „კურთხევეათა“ და ლოცვათა მდიდარი რეპერტუარია წარმოდგენილი, მაგ., Sin. 12, Xს. „კურთხევეანში“ 53 სტატიან (28 „კურთხევეა და განება“ და 25 „ლოცვა“). ამ ადრინდელ „კურთხევეანებში“ ერთად არის წარმოდგენილი „კურთხევეები“, „ჟამისწირვები“, „ხელდასხმები“. მოგვიანებით „კურთხევეანს“ გამოეყო ჟამისწირვის ჩატარებისა და ხელდასხმების წესები და ჩამოყალიბდა კონდაკი ანუ ჟამისწირვა.

კვერექსი არის მოკლე ლოცვათა ერთი წევა, რომელსაც საეკლესიო ღვთისმსახურების დროს წარმოთქვამს დიაკონი, ხოლო მის ყოველ მუხლზე მგალობლები მიუგებენ: „უფალო შეგვიწყალებნ“, ხან - „მოგებადლენ უფალო“, ბოლოს კი - „შენ, უფალო“. ყოველი კვერექსი ბოლოვდება მღვდლის „ასამაღლებელით“.

კვერექსები სხავდასხვა სახისაა: 1. დიდი კვერექსი („დიდი მშუდობიანი“); 2. მცირე კვერექსი („მცირე მშუდობიანი“); 3. თხივნითი კვერექსი („მოუგმადლენთაჲ“); 4. მრჩობლი კვერექსი („ზეგარდამოჲ“). დიდი და მცირე კვერექსები იწოდება „მშუდობიან კვერექსებად“, რადგან ორივე მათგანი იწყება მოწოდებით: „მშუდობით უყლისა მიმართ ვილოცოთ“.

არსებობს „კვერექსთა“ ჯგუფი „კურთხევეანის“ კრებულებში. მისი ცალკე ხელნაწერები გვხვდება, მაგ., Sin. 73, XII-XIIIსს. „დიდი კურთხევეანის“ ხელნაწერში შედის „კვერექსი შესუენებულთაჲ“ (89r-v). ხელნაწერს ცალკე თავად ერთვის „სხუად კვერექსი შესუენებულთაჲჲ“ (89v-90r). ესენი არ არის ცალკე შესასრულებელი წეს-განგებანი, არ-

ამედ ჩასართავები, განკუთვნილი მიცვალებულის სახსენებელი სხვადასხვა ღვთისმსახურებისათვის, ასეთი მინაწერიო მეორე „კვერეკის“ სათაურთან: „ხოლო იოქუმის შაბათსაცა, საშუალ „ნეტარ-არიანთა“, და შემდგომადცა, და პანაშუდსაცა“.

„შესწავებულთა კურეკის“ ცალკე თავებად გვხვდება „კუროხევანის“ მხოლოდ შემდეგ ხელნაწერებში: A 504, XV-XVI, 71r; A 1505, XVII, 209r-v; S 3942, XVII, 35v-36r; Q 106, XVIII, 91r-92r. ამასთანავე სამივე ხელნაწერი სხვაობს Sin. 73 ხელნაწერისაგან სათაურიო: „კურეკისი, რაჟამს მკუდარი სახლით გამოქჷნდეს“, ასევე ტექსტიოც – დამატებითი ლოცვით.

კონდაკი ანუ ჟამისწირვა შეესატყვისება ბერძნულ ლიტურგიარიონს და წარმოადგენს საღვთისმსახურო წიგნს, რომელშიც შეტანილია წირვის ჩატარების წესები და ხელდასხმის რიტუალი. კონდაკი გარეგნულად ეტრატის ვიწრო, ერთმანეთზე გადაკერებული ფურცლების გრაგნილია, დახვეული ჯოხზე, რომელსაც დამრგვალებული თავი ჰქონდა ღურსმნის მსგავსად, ამიტომ მიიღო მან „კონდაკის“ სახელწოდება (ამ ჯოხს ბერძნულად კონტოს ეძახდნენ, საიდანაც წარმოდგა სახელი კონდაკიონ). ე.ი. კონდაკი ბერძნული სიტყვაა და ქართულად „ჟამისწირვას“ შეესატყვისება. ეს ტერმინი აღნიშნავს წმინდა უსისხლო მსხვერპლის შეწირვას განსაზღვრულ ჟამს (ე.ი. დროს), რადგან ის მღვდელმოქმედება, რომელსაც წირვას ეძახიან, ძირითადად ექპარისტის შეწირვას წარმოადგენს, ამიტომ ეს სახელი ადვილი გასაგებია. „კონდაკის“ ქართულად თარგმნის ისტორია გვიჩვენებს, თუ რა რედაქციის წირვის წესი იყო ქართულად ხმარებაში. ცნობილია წირვის რამდენიმე წესი: 1) იერუსალიმური ანუ მოციქულთა ლიტურგია ანუ ჟამისწირვა, ძირითადად იაკობისა, აგრეთვე მარკოზისა და პეტრესი; 2) კონსტანტინეპოლური ლიტურგია ბასილი დიდისა, იოანე ოქროპირისა და 3) პირველ შეწირული (დიდმარხვისა) ანუ გრიგოლ დიალოლოსის ჟამისწირვები. დასაწყისიდან მეთორმეტე საუკუნემდე ჩვენში და, საერთოდ, აღმოსავლეთში მოციქულთა, განსაკუთრებით იაკობ მოციქულის ჟამისწირვა იყო გავრცელებული, ხოლო ბიზანტიაში და, კერძოდ, კონსტანტინეპოლში და მის რეგიონში – ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირისა. ეფთვიმე მთაწმიდელი თავის პასუხში იოანე ჭყონდიდელის მიმართ ამბობს: „წმიდისა იაკობის ჟამისწირვაჲ უეჭველად ჭეშმარიტი არს და პირველად იგი იყო ეკლესიათა საბერძნეთისათა და ჩუენთა. ხოლო ოდეს წმიდამან ბასილი და ნეტარმან ოქროპირმან ჟამისწირვანი გამოთქუნეს, სიმოკლისათუს ერმან იგი აღირჩია და იაკობისი მივიწყებასა მიეცა და ყოველნი ოქროპირისას სწირავენ და დიდთა მარხვათა ბასილისასა და ოდესცა ვინ უნდეს, ყოველადვე კეთილ არს იაკობისი და პეტრესიცა“.¹⁴⁵

145 ე. ჭელიძე, აპოკრიფულ წიგნთა ექვიმივე ათონელისეული ინდექსი, საღვთისმეტყველო კრებული, I, თბილისი, 1991, გვ. 214-230.

იაკობის ჟამისწირვა, როგორც ცნობილია, საუკუნეთა განმავლობაში თანდათან იცვლებოდა: შექონდათ ახალი ლოცვები, ძველი ლოცვებიდან სოჯიერთს იღებდნენ, რიგი და თანმიმდევრობა ლოცვებისა იცვლებოდა, ტექსტში შექონდათ სხვადასხვა „განგებანი“.¹⁴⁶ ეს პროცესი, როგორც ჩანს, ცნობილი იყო ქართველებისათვის, რადგან ქართულ ხელნაწერებში შემონახულია იაკობის ჟამისწირვის ოთხი განსხვავებული რედაქცია. ერთი, რომელიც იოანე ზოსიმეს დაუმზადებია 985წ., მოხვედრილია სინის მთიდან გრაცის (ავსტრია) უნივერსიტეტში და გამოსცა მ. თარხნიშვილმა; მეორე რედაქცია Xს-ისა სინის მთის ხელნაწერშია შესული (Sin. 53 მარის აღწერილობით); მესამე გამოსცა კ. კეკელიძემ XIს. ხელნაწერის მიხედვით;¹⁴⁷ მეოთხე რედაქცია ვატიკანის XIII–XIVსს. ქართული ხელნაწერის მიხედვით გამოსცა მ. თარხნიშვილმა.¹⁴⁸ ხელნაწერის დედანი IXს. უნდა იყოს.¹⁴⁹

პეტრე მოციქულის ჟამისწირვა ქართულად მაშინ ჩანს შესრულებული, როდესაც თარგმნეს იაკობის ჟამისწირვაც.¹⁵⁰ ეს ჟამისწირვა ერთი რედაქციის ორი ხელნაწერით არის შემორჩენილი, ერთი – ვატიკანის ბიბლიოთეკის XIII–XIVსს. ხელნაწერით (გამოსცა მ. თარხნიშვილმა, მითითებული გამოცემა), ხოლო მეორე რუსულად გამოსცა კ. კეკელიძემ (Лит. памятники, გვ. 201-206) XVIIIს. A 81 ხელნაწერის მიხედვით.¹⁵¹

„სიწმიდის განახლების“ ჟამისწირვა ორი რედაქციით არის წარმოდგენილი: 1 – სინის მთიდან გრაცში გატანილ ხელნაწერში, რომელიც იოანე-ზოსიმეს გადაუწერია 985წ., გამოსცა მ. თარხნიშვილმა (მითითებული გამოცემა). 2. უნიკალური რედაქცია შემოუნახავს გელათის მონასტრის XVIს. ეტრატის გრაგნილს (ილიტარიონი), რომლის რუსული თარგმანი შეასრულა კ. კეკელიძემ (Литург. памятники, 102-106. პირველი წარწერილია გრიგოლ დიალოლონის ავტორობით, ხოლო მეორე კი – ბასილი დიდის სახელით).

„სიწმიდის განახლების“ წესი და განგება, რომელსაც ხშირად გრიგოლ დიალოლონის ჟამისწირვასაც ეძახიან, „აღესრულების დღითა მარხვათა შინაჲ“ (A77, XVIIIს., 55r-58r).

ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის რედაქციის ჟამისწირვები ქართულმა ეკლესიამ, ალბათ, VIII–IXსს.-დან გაიცნო, მაგრამ Xს-მდე იგი კონკურენციას ვერ გაუწევდა იაკობის ჟამისწირვას. მას შემდეგ მათი კვალი ქართულ წყაროებში IXს-ში ჩანს (არსენ საყარელი, განყოფისათვის ზიარების ღვინის გაზავებაზე, ე.ი. ბასილის ჟამისწირვიდან მოტანილია მოწმობა), მაგრამ საბოლოოდ დამკვიდრდა გიორგი მთაწმიდელის თარგმანით XIს-დან.

146 А. Петровский, Апостольские литургии древней церкви, 1897, с. 72.

147 Древнегрузинский Архидиакон, Тиф., 1912. რუსული თარგმანი მისივე – Литург. памятники, с. 1-22, ინგლისური თარგმანი კონიაბერისა და უორდროპისა.

148 Liturgia Ibericae Antiquiores, Louvain, 1950, p. 35-63.

149 კ. კეკელიძე, I, გვ. 13-582.

150 იქვე.

151 იხ. აგრეთვე, H. Gousen, Die georgische Petrus liturgia, Orient. Cristianus, III, 5-6, 1918.

თავდაპირველად კონდაკის მასალა შედიოდა „კუროხევანში“. მათი გაყოფა მოვიწინებთ მოხდა (ალბათ XII ს.). კონდაკის ერთი, XI ს. ხელნაწერი (A 86) კ. კეკელიძის მოწმობით გვინვენებს, რომ „კონდაკს“ გამოეყო „სამღვდელოთავერო კონდაკი“, რომელშიც ჟამისწირვების გარდა შედის ქიროტონია – ქიროტესიის (ხელდასხმის) წესები, რაც მხოლოდ მღვდელმთავარს შეუძლია შეასრულოს. მას ადასტურებს ამ ხელნაწერის „მომგების“ ანდერძი: „მე, ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოსმან დავწერენ წმიდანი ესე ჟამისწირვანი სამღვდელოთავეროდ საწირაჲად“ (A 86, 30v).

როგორც ითქვა, ძირითადად იაკობ მოციქულის ჟამისწირვა იხმარებოდა. ამავე დროს შემოვიდა პეტრე მოციქულის ჟამისწირვაც, თუმცა რა დღეებში სრულდებოდა ეს წესი, არაა ცნობილი. ნამდვილად ცნობილია, რომ „სიწმიდის განახლების ლიტურგია“, „თქუმული წმიდისა გრიგოლი დიოლოლოსი, ესე საღმრთოდ წირვაჲ აღესრულების წმიდათა დიდთა მარხვათა შინა მხოლოდ, ოდესცა ტიბიკონი განუსენს (A 77, 59r). იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის ჟამისწირვებმა, შეიძლება ითქვას, ჩანაცვლეს იაკობის ჟამისწირვა და მათ შორის უწყკციები ასე განაწილდა: ბასილის ჟამისწირვის წესი „არა იწირვის ყოველთათვის, არამედ ჟამსა განწესებულსა, რომელ არს კურიაკესა წმიდათა მარხვათა, თუნირ ბზობისა კვირიაკისა და წმიდასა ხუთშაბათოსა და წმიდასა დიდსა შაბათსა მწუხრივ, ქრისტეს შობისა და ნაოლისდებისა“ (A. 10, გვ. 105). იოანე ოქროპირის ჟამისწირვა კი სრულდება დანარჩენ დღეებში, როდესაც არ სრულდება დიალოლონის და ბასილის ჟამისწირვები.

ლოცვანი (ბერძ. ექქოლოგიონი) არის ლიტურგიკული დანიშნულების კრებული, რომელშიც თავმოყრილია ყველა ლოცვა, რომელსაც მღვდელი ან მღვდელმთავარი წარმოთქვამს ღვთისმსახურების შესრულების დროს.

ლოცვები თავმოყრილია როგორც ცალკეულ კრებულებში, ასევე „კუროხევანში“, რადგან „კუროხევის“ წესის და განგების შესრულება შესაბამისი ლოცვების თანხლებით ხდება, ასევე კონდაკებში („ჟამისწირვა“). წმინდა მსხვერპლის ანუ ექქარისტის შეწირვის რიტუალისა და ყველა იერარქიის სასულიერო პირის ხელდასხმის (ქიროტონია-ქიროტესია) ჩატარების დროს წარმოითქმის მრავალი ლოცვა.

„ლოცვანი“ ეწოდება ქრისტიანის პირადი ლოცვების კრებულსაც. ლოცვა არის ადამიანის ღმერთთან გონებით შეერთება, მოკრძალებული თხოვნა-ვედრება და ქება-დიდება. ბასილი დიდის სიტყვებით: „ლოცვაჲ უბიწოებაჲ არს გონებისა ღმრთისა მიმართ“. სულხან-საბას სიტყვებით: „ლოცვა – გონებით ღმრთისა მიმართ აღსლვა, ანუ თხოვა ჯეროვანი ღმრთისაგან. ლოცვა არს ვედრება, არამედ ესენიცა განიყოფებიან, რამეთუ ლოცვა არს ლიტონთა სიტყვეთა ღმრთისა შემწედ მოწოდება, ხოლო – ვედრება – ცრემლიანითა თუალითა და სიტყვეთა“. ლოცვის გარეგნული ფორმები უმეტესწილად ნასესხებია იუდაისტური რელიგიიდან (ლოცვის დროს ფეხზე დგომა, მუხლმოდრეკა, ხელების აღჰყრობა და სხვ.).

ლოცვის დროს პირველის გადაწერის წესი მოციქულთა დროიდან მოდის.

ლოცვა სამი სახისაა: დიდების მეტყველებითი, მადლობითი და თხოვნითი. უმთავრესია საუფლო ლოცვა „მამაო ჩვენო“.

სასოგადო ღვთისმსახურებაზე (მწუხრი, ცისკარი, ჟამისწირვა) წარმოთქმული ლოცვები მრავალფეროვანია და შეტანილია სხვადასხვა საღვთისმსახურო წიგნებში – ჟამნი, კონდაკი, კუროხევეანი, საღვთსასწაულო, თენი, მარხვანი, სატიკი და სხვ.

საკითხავები//ლექციონარები (ბერძ. აპრაკოსები): საეკლესიო დღესასწაულებზე ეკლესიაში ტარდება ღვთისმსახურების რთული რიტუალი, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია დღესასწაულის შესაბამისი ადგილების კითხვა სახარებისა და სამოციქულოს გარკვეული ადგილებიდან, ე.ი. ახალი აღთქმის სხვადასხვა წიგნებიდან. ბერძნულად ამ საკითხავების კრებულს აპრაკოსები ჰქვია, რომელშიც ტექსტები დალაგებულია არა სახარებაში, მოციქულთა ეპისტოლეებში და „საქმე მოციქულთაში“ წარმოდგენილი ტექსტების თანმიმდევრობით, არამედ ახალი აღთქმის წიგნებიდან იმ შერჩეული თანმიმდევრობით, რომელიც თემატურად და შინაარსობრივად გამოხატავს დღესასწაულის არსს.

ცალკე კრებულის სახით აპრაკოსებს ვერ ვხვდებით X საუკუნემდე. ახალი და ძველი აღთქმის წიგნებიდან საკითხავები X საუკუნემდე ერთად იყო წარმოდგენილი კრებულებში, რომელსაც ბერძნულად „ლექციონარი“ ეწოდებოდა. ეს ტერმინი იხმარებოდა ქართულშიც. როდესაც „ლექციონარები“ ანუ საკითხავები ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან ორად გაიყო Xს. შემდეგ. ახალი აღთქმის წიგნებიდან, უმეტესად სახარებიდან, უფრო ნაკლებად „სამოციქულოდან“ ამოკრებილ საკითხავებს ბერძნულ ლიტურგიკაში „აპრაკოსები“ ეწოდა, ხოლო ძველი აღთქმის საკითხავებს – „პროფიტოლოგონები“ ანუ „პარემიონები“.

ქართულად ტერმინი „აპრაკოსი“ არ გეხედება (მისი ეტიმოლოგია ასეთია: $\pi\rho\acute{\alpha}\xi \rightarrow$ საქმე; $\pi\rho\acute{\alpha}\xi\alpha\rho\acute{\iota}\sigma\tau\omicron\lambda\omicron\varsigma =$ საქმე მოციქულთა. სიტყვა $\pi\rho\acute{\alpha}\xi$ -ს ნათესაობითს (გენეტივს) წინ დაერთვის უარყოფითი ნაწილაკი ა და მივიღებთ $\alpha\rho\alpha\kappa\omicron\varsigma$, ე.ი. ამ სახელწოდების წიგნი არ არის $\pi\rho\acute{\alpha}\xi$ -ი ანუ „საქმე მოციქულთა“, არამედ სხვა, კონკრეტულად - სახარება¹⁵⁷). „აპრაკოსები“ უფრო სახარებებს ეწოდება, რომლებშიც ტექსტები დალაგებულია საკითხავების თანმიმდევრობით, როგორც მათ ღვთისმსახურებაზე დღესასწაულის შესაბამისად კითხულობენ. ქართულად „აპრაკოსების“ ნაცვლად იხმარება „სახარება საწელიწდო გამოკრებული“ ან „სამოციქულო გამოკრებული“. ზოგიერთ სახარება-ოთხთავში (მაგ., ადიშის ანუ შატბერდის 897წ.), არშიებზე აღნიშნულია, თუ რომელ დღეს იკითხება მონიშნული ადგილი. უფრო ხშირად კი სახარებათა და „სამოციქულოს“ ხელნაწერებს ერთვის საკითხავების

„სარჩევი“ ანუ „საძიებელი“, რომელშიც ყოველ კვირიაკისა, დღისა თუ დღესასწაულისა და კერძო შემთხვევისათვის აღნიშნულია დასაწყისი ამა თუ იმ საკითხავისა. ამ „საძიებლების“ მიხედვით შესაძლებელია გაირკვეს, თუ რომელი ეკლესიის ტრადიციაა წარმოდგენილი საკითხავების შერჩევისას. საერთოდ ცნობილია საბაწმიდის, იერუსალიმის, სინის მთისა და სოფიაწმიდის სისტემები.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურით ცნობილია, საქართველოს ეკლესია თავდაპირველად (I პერიოდში) იყენებდა საბაწმიდისა და სინის მთის საკითხავთა სისტემას, თუმცა გექონია აგრეთვე იერუსალიმის ანუ „ქრისტეს საფლავის“ სისტემა (რომელიც წარმოდგენილია „იერუსალიმის განჩინებაში“). XV საუკუნეში ჩვენში უკვე აღარ ახსოვთ ამ სისტემის იერუსალიმური წარმომავლობა და მას უკვე „ქართულ კანონს“ უწოდებენ სხვა სისტემებისაგან გასარჩევად.¹⁵³ კ. კეკელიძეს ასეთი მაგალითი აქვს დასახელებული: 1048წ. გადაწერილ სახარებას ეროვის „საძიებელი“ საკითხავებისა, ხოლო ანდერძი გვამცნობს: „ესე წესი და განგებად საბაწმიდისა არს ბერძნული, ვის ქართული უნდეს, კანონსა მიუდგეს და მისგან ისწაოს“. კანონში იგულისხმება, რა თქმა უნდა, „იერუსალიმის კანონი“ ანუ „იერუსალიმის განჩინება“, რომელიც ნათარგმნია ქართულად ადრეულ (VIII ს.) ხანაში.¹⁵⁴

უძველეს „ლექციონარებში“ (ლაკურგის ანუ კალის, ლატალის, სინის მთის, პარიზისა და სხვ.) ძველი აღოქმის წიგნებიდან საკითხავების გვერდით ფართოდ არის წარმოდგენილი ახალი აღოქმის „საკითხავებიც“ ოთხივე სახარებიდან, კათოლიკე ეპისტოლეებიდან და პავლე მოციქულის ეპისტოლეებიდან.

„საკითხავების“ განსაკუთრებული სისტემა ჰქონდა „ფსალმუნებსაც“ ანუ „დავითნი“-საც. ფსალმუნთა კრებულში შედის 150 ფსალმუნი. მათ ყოფენ 20 ნაწილად და თითოეულს „კანონი“ ეწოდება. „კანონი“ იყოფა სამ ნაწილად და თითოეულს „დიდება“ ჰქვია. ფსალმუნთა კითხვის წესი, სხვა საკითხავების მსგავსად, შემუშავებული იყო ეკლესიაში და მათთვისაც დგებოდა „საძიებლები“, რომლებიც ზემოგანხილული „საძიებლების“ მსგავსად, იყო საბაწმიდური, ბერძნული, იერუსალიმური და „ქართული“ (904 წლის ფსალმუნთა კრებულში (A 38) ვკითხულობთ: „ხოლო განყოფად კანონთად სამ გალობასა შინა, სადა დიდებამ ითქუმის, ესრეთ ცან, ვითარ ქართველნი განაყოფენ, თუმცა „ქართული“ იგივე იერუსალიმურია.¹⁵⁵

განგება (ბერძ. აკოლოთია) გვიჩვენებს, თუ რა სისრულით ტარდება ღვთისმსახურება ამა თუ იმ დღესასწაულის აღნიშვნის დროს და რა თანმიმდევრობით სრულდება ეს რიტუალი. ხშირად „განგება“ უწყვილდება იმავე მნიშვნელობის ტერმინს „წესი“. მაგ.: „წესი და

153 კ. კეკელიძე, I, გვ. 579.

154 იქვე.

155 იქვე, გვ. 579-580.

განგება სქემის კუროხევისაჲ“, „წესი და განგება წინადლით განცხადებისა“. შეიძლება ეს ორი ტერმინი ცალ-ცალკე შეგვხვდეს: „განგებაჲ ბაიის კუროხევისაჲ“, „წესი, რომელი აღესრულების აღმსარებელსა ზედა თუსთა ცოდვასა“.

სამაგალითოდ მოვიტანო „განგებაჲ ძმობილებისაჲ“-ს სრულ ტექსტს (ლოცვათა მხოლოდ დასაწყისებით): „ესრეთ: მოიღოს მღვდელმან წმიდაჲ სახარებაჲ და დასდევას პირველმან ძმამან ჳელი თუსი წმიდასა სახარებასა ზედა და მეორემან ზედა ჳელსა მისსა და აღანთენ სანთელნი და დასწეროს მათ მღვდელმან სამგზის ჯუარი და მერმე თქუას კურექსი: „მშვდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ..., ზეცით გარდამო... (კურექსების შემდეგ) მღვდელმან ესე ლოცვაჲ წართქუას: (რამდენიმე ლოცვა) შემდეგ ისეჲ „მღვდელმან ლოცვაჲ ესე: (რამდ. ლოცვა) „და შემთხზენ წმიდასა სახარებასა და ამბორს-ჟუონ ურთიერთას და წარვიდენ“. დღესასწაულთა და წმინდანთა დღის განგება წარმოდგენილია: ტიპიკონ-სეინაქსარებში, კუროხევეანებში, საწელიწდო სადღესასწაულოებში, გამოკრებილ სადღესასწაულოებში და სხვ.

გულანი არის ღვთისმსახურების სხვადასხვა წიგნების კრებული, რომელიც მხოლოდ ქართულ ეკლესიას ჰქონდა ხმარებაში დაახ. XVII-დან. გულანში შედის: 1) სახარება; 2) საქმე მოციქულთა; 3) მოციქულთა ეპისტოლეები; 4) თენი (12-ვე თვის); 5) საგალობლები; 6) მარხვანი; 7) ზატიკი; 8) საწინასწარმეტყველო; 9) ფსალმუნი; 10) ჟამნი; 11) სეინაქსარი; 12) ტიპიკონი და სხვ. ნათელია, რომ გულანის ხელნაწერები დიდზე დიდი მოცულობისანი არიან.

ჩვენამდე მოაღწია: გელათის, დავითგარეჯის, მცხეთის, ალავერდის, კაცხის, მარტვილის, შემოქმედის, გურიანთის, ციხის, ერკეთის, წაიშის, ბედიის, ჭალის, ანჩისხატიისა და ხობის გულანებმა. საინტერესოა ანტიოქიის პატრიარქის, მაკარის (XVII ს.) შთაბეჭდილება, რომელსაც გულანის ხელნაწერი უნახავს: „თითოეულ ქართულ ეკლესიაში ინახება უზარმაზარი წიგნი, რომელიც ჯორის საპალნის ცალს მაინც უდრის. ეს წიგნი ძვეს კლიროსზე, ანალოიზე, და დაფარულია ტილოთი ან მაუდით. მასში თავმოყრილია ყველა საღვთისმსახურო წიგნი, რომელიც მორწმუნეთ სჭირდებათ და რომელთაც კითხულობენ წლის განმავლობაში“. სახელდობრ: (ჩამოთვლის ზემოთ დასახელებულ წიგნებს და უმატებს) „სიტყვანი და ცხოვრებანი, რომელთაც დიდ დღესასწაულებში კითხულობენ, წიგნი თეოდორე სტუდიელისა და სხვა ძვირფასი და მშვენიერი წიგნები“.¹⁵⁶ ზოგიერთი ასეთი წიგნის წონა რამდენიმე ათეული კილოგრამი იყო. ასეთი წიგნის შექმნა მხოლოდ მდიდარ და დიდ ეკლესია-მონასტერს შეეძლო, ამდენად ცოტა გადაჭარბებულია მაკარის სიტყვები, რომ გულანი ყველა ეკლესია-მონასტერში იდო. ყველა ზემოჩამოთვლილი გულანი ერთნაირი შედგენილობის არ არის, შემოკლებულ რედაქციას ეწოდება „ჟამ-გულანი“ და შეიცავს „ჟამნს“ და მოკლე სეინ-

აქსარულ ცნობებს. მათგან უფრო ცნობილია ყანხოეთისა და რუისის ეკლესიების „ჟამნ-გულანები“.¹⁵⁷

ავეგაროზი წარმოადგენს თილისმის დანიშნულების მედალიონის მსგავს გულზე დასაკიდებელს, რომელშიც ჩასმული იყო „ეპისტოლე ავეგაროზ მეფისა, რომელ მიუწერა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა“, თუ მოლიანად არა, მისი ნაწილი მაინც, რომელსაც ატარებენ მორწმუნეები, როგორც დამცველს ავადმყოფობის, ხიფათისა და ავი თვალისაგან. აქედან მიიღო გულსაკიდმა „ავეგაროზის“ სახელი, თუმცა შემდგომ „ავეგაროზში“ იღებოდა ნაწყვეტები „სახარებიდან“, უფრო ხშირად „იოანეს სახარების“ დასაწყისი, შელოცვები და ლოცვები – უმეტესად წმ. კეპრიანე მოწამისა, იოანე ოქროპირისა, ბასილი დიდისა და სხვ.

ლიტურგიკული ჰიმნოგრაფია. ამ სახელით მოიხსენიება ჰიმნოგრაფიის ის მთავარი ნაწილი, ის საგალობლები, რომელთა კითხვა და გალობა ქრისტიანული ღვთისმსახურების მნიშვნელოვანი კომპონენტია. საერთოდ, სასულიერო მწერლობის ეს დარგი ებრაული ღვთისმსახურების მნიშვნელოვანი ელემენტის – ფსალმუნის მემკვიდრეა ახალი აღთქმის ღვთისმსახურებაში და შედარებით გვიანაა ჩამოყალიბებული ფსალმუნზე დაყრდნობით და მისი ელემენტების გამოყენებით. აქ ჩვენ მოკლედ, დეფინიციის დონეზე ჩამოვთვლით რამდენიმე იმ ლიტურგიკულ წიგნს ანუ კრებულს, რომელშიც თავმოყრილია ასეთი საგალობლები, ხოლო უფრო ვრცლად მათ დაეახსიანთებთ ჰიმნოგრაფიის მიმოხილვაში: მარხვანი, ზატიკი, პარაკლიტონი, თვენი, იადგარი, ჟამნი, ხუედრნი, სამსაგალობელნი (ტრიოდონი), პარაკლისები.

1. მარხვანი არის საღვთისმსახურო წიგნი, რომელშიც თავმოყრილია საეკლესიო წელიწადის მოძრავი პერიოდის – დიდი მარხვის დღეებში დაწესებული საგალობლები, მეზეერისა და ფარისეელის კვირიდან დაწყებული აღდგომამდე. ამ ტიპის საგალობლებისა და მათი შემცველი კრებულის ჩამოყალიბება დაკავშირებულია კონსტანტინეპოლის სტოდიელთა (სტუდიელთა) მონასტრის ჰიმნოგრაფიულ სკოლასთან და მიეწერება თეოდორე სტუდიელს (IX ს.). „მარხვანი“ ცალკე კრებულის სახით საქართველოში XI ს.-დან გვხვდება. მანამდე დიდი მარხვის საგალობლები შედიოდა ჯერ ქართულ „ლექციონარებში“, შემდგომ კი – ძველი და ახალი რედაქციის „იადგარებში“.

„მარხვანის“, როგორც საგალობლების შემცველი კრებულის სპეციფიკა ის არის, რომ მარხვის სადა დღეების საგალობლები წარმოადგენენ „კანონს“, რომელიც 3 გალობისაგან შედგება (ჩვეულებრივი ჰიმნოგრაფიული კანონი 9 (ან 8) გალობისაგან შედგება), ამიტომ მას გამოკრებილ „ხუედრნი“-საც უწოდებენ (ე.ი. სამსაგალობელი ანუ ტრიოდონი).

2. ზატიკი აღნიშნავს ისეთ ლიტურგიკულ წიგნს, რომელშიც წარმოდგენილია უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულების – აღდგომის,

157 მისივე, Литургические грузинские памятники, стр. XIX.

ამაღლების და მარტილიის საგალობლები (ზატიკის მრავალ მნიშვნელობათაგან ჩვენ დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმე მთავარს: 1. ებრაელი ხალხის ეგვიპტის მონობიდან განთავისუფლების დღესასწაული – პასეჟი; 2) ქრისტიანული უდიდესი დღესასწაულის – აღდგომის სახელიცაა; 3) 50-დღიანი პერიოდი აღდგომის ორშაბათიდან „მარტილიის“ ორშაბათამდე და სხე.)

ზატიკის ციკლის საგალობელთა კრებული არის გაგრძელება დიდი მარხვის საგალობელთა კრებულისა - „მარხვანი“. ეს ორი წიგნი XIს-მდე გაერთიანებული იყო ერთ წიგნში, რომელსაც „ხუედრნი“ ეწოდებოდა. ზატიკის გამოყოფის შემდეგ „ხუედრნი“ დარჩა „მარხვანის“ ერთ-ერთი ჯგუფის საგალობლების (სამსაგალობელი) აღმნიშვნელ ტერმინად. თეოდორე სტუდიელის „სტოდიერში“, რომელიც გიორგი მთაწმიდელმა თარგმნა (XIს. შუა წლებში), ეს ორივე წიგნი დასახელებული თანმიმდევრობით არის წარმოდგენილი A 500, 1042წ. ხელნაწერში.

3. პარაკლიტონი (ბერძ. „ნუგეშისმცემელი“), ანუ ქართული სახელწოდებით „რეათა ხმათა წიგნი“, ეწოდება ლიტურგიკული ჰიმნოგრაფიის იმ წიგნს, ანუ კრებულს, რომელშიც შესულია სადაგი დღეების (ორშაბათ-შაბათის) საგალობლები, რომლებიც რვა ხმაზეა გაწყობილი. საგალობელთა მეორე წიგნი „ოქტიონოსიც“ (ბერძ. „რვა ხმათა“) რვა ხმაზე გაწყობილ საგალობლებს შეიცავს, ოღონდ საკეირაო ღვთისმსახურებაზე შესასრულებელს. XI საუკუნემდე ქართულში ამ ორი წიგნის რეპერტუარი ბერძნულისაგან განსხვავებული იყო: პირველ წიგნში შესული იყო ოთხი ძირითადი ხმის საგალობლები, როგორც სადაგი, ასევე საკეირაო დღეებისა, ხოლო მეორეში კი – დამხმარე (პლაგალური) ხმებისა. პირველ წიგნს ეწოდებოდა „კმანი“, მეორეს - „გუედრნი“/„გუედრთა“.

პარაკლიტონში ახლანდელ მე-5 ხმას შეესაბამება – ხმა I გვერდი, მეექვსეს – II გვერდი და ა.შ. ეს ორი წიგნი გაერთიანებული იყო და მას ერთი სახელი – პარაკლიტონი ერქვა.

4. თვენი არის აგრეთვე ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებული, რომელშიც კალენდარული თანმიმდევრობით არის დალაგებული მთელი წლის ყოველდღიურ ღვთისმსახურებაზე შესასრულებელი საგალობლები, უფრო ზუსტად, ჰიმნოგრაფიული კანონი, რომელიც 9 (8) გალობისაგან შედგება. ეს ტერმინი Xს-დან არის შემოსული ქართულში და მის წინამორბედ „იადგარისაგან“ (იხ.) განსხვავებით ერთ დღეზე 3 ან ორი წმინდანის მოხსენიება და მათდამი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონებია წარმოდგენილი. თვენს არა აქვს სამარხვო ნაწილი. ასეთ კრებულებს I რედაქციის თვენებს უწოდებენ ან „იადგარების“ ახალ რედაქციას. „თვენის“ საბოლოო რედაქცია ჩამოაყალიბა გიორგი მთაწმიდელმა, რომელმაც XIს. მეორე ნახევარში თარგმნა თორმეტივე თვის საგალობელთა კრებულები და თარგმნისას ერთ რომელიმე ბერძნულ დედანს არ დასჯერდა და სხვადასხვა რედაქციის ბერძნული საგალობელი კრებულებიდან ამოკრიბა რომელიმე წმინ-

დანზე დაწერილი ყველა ჰიმნოგრაფიული კანონი, თარგმანა ის და შეიტანა თავის „თუნში“. ამიტომ არის, რომ თითოეულ დღესე ამა თუ იმ წმინდანის ან დღესასწაულის პირველ ძირითად ჰიმნოგრაფიულ კანონს მოსდევს „სხუანი“ – იმავე წმინდანზე დაწერილი სხვა კანონებიც. მათი რიცხვი ზოგჯერ 4-5 ასეთ ჰიმნოგრაფიულ კანონამდე აღწევს (დაწერ. იხ. ჰიმნოგრაფიაში).

5. იადგარი არის ლიტურგიკული საგალობლების კრებული, რომელსაც ღვთისმსახურებაზე იყენებდნენ გიორგი მთაწმიდელის „თუნის“ თარგმანამდე. იგი იწყება ხარებით და შეიცავს მთელი წლის დღესასწაულთა საგალობლებს. კალენდარული თანმიმდევრობა დარღვეულია მარტსა და აპრილს შორის მასში დიდმარხვისა და ზატიკის მოძრავი დღესასწაულების საგალობლების ჩართვის გამო. მას საფუძვლად „ლექციონარი“ (V-VIII სს.) დაედო. იადგარის ნუსხები ძირითადად X ს. ხელნაწერებით არის მოღწეული. მათში წარმოდგენილია ნათარგმნი და ორიგინალური საგალობლების უმდიდრესი რეპერტუარი და უძველესი სანოტო ნიშნებით ჩაწერილი გალობათა მელოდიები. (ქართველ ჰიმნოგრაფთა შემოქმედება ყველაზე სრულყოფილად მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“ – 978-988 წწ., S 425 არის წარმოდგენილი). ბერძნული „იადგარების“ პირველსახე შემორჩენილი არ არის, ამიტომ ქართულ „იადგარებს“ მათ აღსადგენად უდიდესი მნიშვნელობა აქვთ (დაწერ. იხ. ჰიმნოგრაფიაში).

6. სამსაგალობელი // სამფსალმუნი (ბერძ. ტრიოდონი) ეწოდება ისეთ ჰიმნოგრაფიულ კანონს, რომელიც შედგება არა 9 (8) ოდისაგან, როგორც ეს ჩვეულებრივია ჰიმნოგრაფიულ კანონში, არამედ 3 ოდისაგან, ანუ გალობისაგან და შედის „მარხვანში“ და „ზატიკში“. სამიდან ორი გალობა - 8 და 9 სამსაგალობელის მუდმივი წევრებია, ხოლო მესამე – იმის მიხედვით, თუ კვირის რომელ დღეს არის ღვთისმსახურება: ორშაბათს – 1, 8 და 9; სამშაბათს – 2, 8 და 9; ოთხშაბათს – 3, 8 და 9 და ა.შ. (შაბათ-კვირის გარდა). საგულისხმოა, რომ ქართულ ღვთისმსახურებაში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ჰიმნოგრაფიულ კანონში არ გეხედება მე-2 გალობა (თავისი მჭმუნვარე ხასიათის გამო), მაგრამ ეს გალობა შედის სამსაგალობელში დიდმარხვის ყოველი სამშაბათის დღეს. არსებობს აგრეთვე ორსაგალობელი (ბერძ. დიოდონი), რომელიც შედგება ორი გალობისაგან – მე-8 და მე-9 და სრულდება მხოლოდ დიდ სამშაბათს ცისკრად; ოთხსაგალობელი (ბერძ. ტეტრადონი), რომელიც შედგება ოთხი გალობისაგან – 6, 7, 8 და 9 და იგალობება შაბათს.

7. პარაკლისების წიგნი – ასე ეწოდება „სავედრებელ გალობათა“ წიგნს, რომელიც შეიცავს სპეციალურ პარაკლისებს, რომლებიც ტარდება სხვადასხვა ღირსშესანიშნავ დღესასწაულებზე, ღირსსახსოვარ დღეებში, განსაკუთრებული მოვლენების აღსანიშნავად, სხვადასხვა სახის „კურთხევათა“ დროს და წმინდანთა მიმართ. პარაკლისის წესები და სხვადასხვა პარაკლისზე სათქმელი საგალობლები წერია სამღვდლო ლოცვანში და სავედრებელ გალობათა წიგნში. პარაკლისი

შეიძლება შესრულდეს კანონის გალობის დართვით, დაუჯდომელთან და მცირე აიაზმასთან ერთად, აგრეთვე ლიტანიობით. პარაკლისს სპეციალური წესები აქვს აღდგომის შეიდეულში და ქრისტესშობის დღეს.

8. ჟამნი – ასე იწოდება ყოველდღიური სასოგადო ღვთისმსახურების წიგნი, რომელშიც თავმოყრილია მწუხრის, სერობის, შუალამის, ცისკრისა და „ჟამების“-საათების (პირველი, მესამე, მეექვსე და მეცხრე) ლოცვები და საგალობლები, რომლებიც მუდმივად იკითხება და იგალობება დასახელებულ ღვთისმსახურებებზე. ჟამში წარმოდგენილია ფსალმუნები, რომელთაც კითხულობს წიგნის მკითხველი და საგალობლები, რომელსაც ასრულებენ მგალობელნი.

ჟამნი დამატებით შეიცავს: 1. დილის ლოცვებს, რადგან ისინი იკითხება „შუალამისანი“-ს შემდეგ; 2. პანაღის ამღლების განგებას, რადგან მონასტრებში სრულდება სადილის ჟამის შემდეგ; 3. ღვთისმშობლის კანონს, რადგან ის იკითხება ეკლესიაში დიდი სერობის შემდეგ; 4. ძილის წინა ლოცვებს, რადგან ისინი იკითხება „სერობის“ შემდეგ. ეს დამატებები ჟამში შეტანილია (და არა სხვა წიგნებში) იმიტომ, რომ ისინი იკითხება და იგალობება იმ მსახურებათა შემდეგ, რომლებიც წარმოდგენილია „ჟამში“.

„ჟამის“ დამატებებში შეტანილია აგრეთვე: ტროპარები, კონდაკები (პიმნოგრაფიული), ღვთისმშობლისანი, წარდგომანი, განიცადენი, რომლებიც შეიდეულის დღეებისა და საწელიწდო დღეების ღვთისმსახურებას ეკუთვნიან.

„ჟამს“ ერთვის აგრეთვე „თუთა მეტყულება“ (წლიური კალენდარი), რომელიც შეიცავს წმინდანთა მოკლე ცხოვრებებს, დღესასწაულებს, მათ ტროპარ-კონდაკებს და სხვ.

„ძეგლისწერა სარწმუნოებისა“ არის კონსტანტინეპოლის 843 წლის ადგილობრივი კრების დადგენილებები. კრება მოიწიეს ბიზანტიის იმპერატორმა მიქაელ III და დედამისმა თეოდორამ, რომელმაც ანათემა გამოუცხადა ხატთმბრძოლთა მწვალებლობას და აღნიშნა ხატთაყვანისმცემელთა საბოლოო ზემი. ამ კრების „ძეგლისწერა“ ორჯერ არის ქართულად ნათარგმნი: პირველად იგი თარგმნა ეფთვიმე მთაწმიდელმა და შესულია კანონიკურ კრებულში - „მცირე სჯულისკანონი“, მის IV ნაწილად. მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ თვით დადგენილებების სათაური მოგვითხრობს: „ძეგლისწერა სარწმუნოებისა, რომელი აღწერეს წმიდათა მამათა კონსტანტინეპოლეს შეკრებულთა წმიდათა ხატთა თაყუანისცემისათვის, რომელი-ესე წარიკითხვის სოფიაწმიდას, პირველსა კურიაკესა წმიდათა მარხვათასა“. ამ კანონიკურმა ძეგლმა ლიტურგიკული დანიშნულებაც მოიპოვა. როგორც ჩანს, ეს ძეგლი ქართული ეკლესიის ღვთისმსახურებაზეც იკითხებოდა, რადგან იგი შესულია შიომღვიმის ტიპიკონში, ოღონდ არსენ იყალთოელის თარგმანით.

ათენაგენა/ათენაგენობა – საეკლესიო დღესასწაული, რომელიც დაწესებულია წამებული (III-IV სს. მიჯნა) ბერძენი მღვდელმთავრის, ათენაგენე (ანთინოგენე) სებასტიელის მოსახსენებლად. იგი, როგორც სახალხო-საეკლესიო დღესასწაული, ყვაროდ იყო გავრცელებული საქართველოში (განსაკუთრებით ყშაფ-ხევსურეთში და მთიულეთში).

ათენაგენობის დღესასწაულზე მითითება დაცულია უძველეს ლიტურგიკულ კრებულებში – იადგარებსა და ლექციონარებში.

აიაზმა (ბერძ.) – ნაკურთხი წმიდა წყალი. საეკლესიო მოძღვრების თანახმად, წყალი კურთხევის გზით იქნს ძალას, რომელიც კურნავს ადამიანის სულსა და სხეულს უხილავი მტრის ბოროტი ზრახვებისაგან, განწმენს ეკლესიებს, შენობებს და სხე.

წყლის კურთხევა ორგავრია: დიდი აიაზმა და მცირე აიაზმა.

დიდი აიაზმა სრულდება მხოლოდ ნათლისღების დღესასწაულის წინა მწუხრზე და თვით ნათლისღების დღეს, როდესაც ეკლესია დღესასწაულობს იესო ქრისტეს ნათლისღებას.

მცირე აიაზმა სრულდება ჩვეულებისამებრ განსოგების დღეს იმის მოსახსენებლად, თუ როგორ მისცა იესო ქრისტემ ხალხს სამარადისო ცხოვრების წყალი (იოანე 4.10) სულთმოფენობის განსოგების დღეს, ასევე I აგვისტოს წყაროებზე და წყალსაცავებზე, როდესაც სრულდება ჯერის გამოსვენება. მცირე აიაზმა სრულდება ეკლესიებშიც ლიტურგიის წინ ეკლესიის სატფურების დღესასწაულზე, აგრეთვე მორწმუნეთა სურვილის მიხედვით – საცხოვრებელ სახლებშიც.

აკოლოთია (ბერძ.) – იხ. განგება.

აკრება – აკრძალვა. „შვიდეულსა მას ყველიერისასა ჳორცის ჳამად აკრებების, რამეთუ განმზადებაჲ არს მარხვათა შემოსლვისად და რეცა წინამსროლი“. (მცირე სჯულისკანონის (გამოცემა, გვ. 32).

ამაღლება უფლისა – საუფლო საეკლესიო დღესასწაული, ერთი „ათორმეტაგანი“, რომელიც დაწესებულია ქრისტეს ჴეცად ამაღლების მოსაგონებლად. ქრისტე მკვდრეთით აღდგომის მე-40 დღეს გამოცხადდა თავის მოწაფეებს – მოციქულებს ელეონის (ზეთისხილის) მთაზე. იგი ესაუბრა მათ ღვთის სასუფეველზე, დამოძღვრა ისინი და მათ თვალწინ ჴეცად ამაღლდა (დაწერ. იხ. სახარებები).

ამაღლების სახელზე უამრავი ეკლესია არის აშენებული ყველა ქრისტიანი ხალხის სახელმწიფოში. ასევე მრავალრიცხოვანია წმი-

158 ლიტურგიკული კრებულების სახელწოდებანი აქ აღარ შევიტანეთ – იხ. აქვე, წინა სტატია. ტერმინების განმარტებისას ძირითადად ეყრდნობით „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიურ ლექსიკონს“, შემდგენლები: ე. გაბიაძეშვილი, მ. მამაცაშვილი, ა. ღამბაშიძე, თბილისი, 2007. ვისარგებლეთ აგრეთვე ექ. კოჭლამაზაშვილის „ლიტურგიკული ლექსიკონის“ სიტყვანიო, რომელიც დაბეჭდილია: საქ. საეკლესიო კაენდარი, 2003 (გამოც. „ნათლისმცემელი“), რომელთა განმარტებები ჩვენი შედგენილია.

და მამათა მიერ ამ დღესასწაულის განსაზღვრულად შექმნილი საგა-
ლობლები.

დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ამაღლების დღის განსა-
კუთრებული ღვთისმსახურება, რომელშიც დიდი ადგილი უჭირავს
იოანე დამასკელის მიერ შეთხზულ საგალობელ კანონებს.

ამაღლება მოძრავი დღესასწაულია. იგი დამოკიდებულია აღდგომ-
აზე და იმართება მის მე-40 დღეს.

ამაღლება – ეს ტერმინი, გარდა უფლის ამაღლებისა, აღნიშნავს:

1. „მსაყლით ამაღლება პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა
ჯუარისა“ წარმოადგენს ერთ „ათორმეტ“ დღესასწაულთაგანს, ელენე
დელფელის მიერ იმ ჯუარის პოვნას და აღმართვას (326წ.), რომელზე-
დაც გააკრეს იესო ქრისტე. ეს დღესასწაული დაწესდა 14 სექტემბერს.

2. ამაღლება ყვფლადწმიდისა პანაღიისა – წესი ღვთისადმი მად-
ლობის შეწირვისა, რომელიც სრულდებოდა მონასტრებში ჟამისწირ-
ვისა და სადილობის შემდეგ, ყოველადმიწა ღვთისმშობლის ზეცად
ამაღლების მოსახსენებლად. სატრაპეზოში წარმოითქმოდა სამადლო-
ბელი ლოცვები, ორივე ხელის პირველი თითებით აღამაღლებდნენ
ღვთისმშობლის სეფისკეერის ნაწილს (იხ. პანაღია) და ყოველი მონა-
ზონი თითო ნაწილს მიიღებდა მისგან.

3. ამაღლება პურისა – პანაღიის ამაღლების წესი მომდინარეობს
პურის ამაღლების წესიდან, მოციქულთა დროიდან. სანამ ისინი „მი-
მოსლვას“ შეუდგებოდნენ, ერთად იყვნენ შეკრებილნი იერუსალიმში.
ლოცვის შემდეგ სატრაპეზოში მიდიოდნენ სასადილოდ. ერთ უპირატეს
ადგილს ცარიელს ტოვებდნენ, სადაც ერთ-ერთ ნაკვეთ პურს დებდნენ.
ამ პურს ეწოდებოდა ქრისტეს ნაწილი. სადილობის შემდეგ ადგებოდნენ,
ლოცულობდნენ (მადლობას შესწირავდნენ უფალს), აიღებდნენ ქრისტეს
ნაწილად წოდებულ პურს და აამაღლებდნენ (მალა ასწევდნენ) და
წარმოთქვამდნენ ლოცვებს. ამ წესს ასრულებდა თითოეული მოციქული
სამისიონერო მოგზაურობაში. ეს წესი სრულდებოდა ღვთისმშობლის
მიძინებამდე. მოციქულები პურის ამაღლებასთან ერთად ღვთისმშობლის
საპატივეცემულოდ პანაღიის ამაღლებასაც ასრულებდნენ.

პურის ამაღლება სრულდება ჟამისწირვის ბოლოს.

ამბიონი (ბერძ. - ალსვლა) – ამაღლებული ადგილი საკურთხეველის
წინ, სამეუფო კარის პირდაპირ, ამიტომ მას საკურთხეველის წინა
ამბიონს უწოდებენ. მას სადიაკენესაც ეძახიან, რადგან ამბიონიდან
სახარებას კითხულობენ და კვერექს წარმოთქვამენ დიაკენები.

ეკლესიაში მღვდელმთავრის ღვთისმსახურების დროს ტაძრის
შუაგულში ეწყობა ამბიონი, რომელსაც „სამღვდელმთავრო ამბიონი“
ეწოდება (ასევე „ადგილი, სადაც იმოსება მღვდელმთავარი“, „შესა-
მოსელი ადგილი“, „შემზადებული, მოწყობილი ადგილი“). ამ ამბიონს
უწოდებენ აგრეთვე „თაეტრონს“, რადგან მღვდელმთავრის ხელდასხ-
მის დროს იგი რამდენიმე საყუხურით მადლდება (ჩვეულებრივ ის
ორსაყუხურია), რომ ეს რიტუალი მრევლმა უკეთ დაინახოს. ამბი-

ონზე იდგმება სავარძელი მღვდელმთავერისათვის, რომელსაც „კათედრა“ ეწოდება.

ამბოინი სიმბოლურად განასახიერებს ღმრთობას, რომელიც ანგელოზ-მა გადააგორა ქრისტეს საფლავიდან, აგრეთვე იმ მოას, საიდანაც ქრისტე მოძღვრავდა ერს.

ამბორის-ყოფა/ამბორი – სიყვარულისა და მშვიდობის სიმბოლო ქრისტიანულ ეკლესიაში. პავლე მოციქული ქადაგებს, რომ ქრისტიანები უნდა ერთმანეთს მიესალმონ „ამბორისყოფითა წმიდითა“.

ღვთისმსახურებაში ამბორის-ყოფა სრულდება ნათლისღების, ლიტურგიის, ქორწინების, დაკრძალვისა და სხვა დროს.

მართლმადიდებლურ ეკლესიაში დამკვიდრებულია ჩვეულება მღვდელმთავერისა და მღვდელმსახურის ხელზე ამბორისა მის მიერ დალოცვისა, კურთხევის დროს, ასევე ურთიერთ ამბორისა მღვდელმსახურთა შორის ლიტურგიაზე, სამჯერადი ამბორისა აღდგომის დღესასწაულის მილოცვისას და ა.შ.

ამენ/ამინ (ბერძ. „ჭეშმარიტად“ „ნამდვილად“) – დამადასტურებელი, დასკენითი ფორმულა ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში. წარმოთქვამენ ღოცვის, საგალობლის, ქადაგების ბოლოს, სასულიერო ფიცის ან აღთქმის დადების დროს.

ანაგნოსტი (ბერძ.) – იხ. წიგნის მკითხველი.

ანათემა (ბერძ.) – იხ. შეწვენება.

ანალოგია (ბერძ.) – ეიწრო და მაღალი მაგიდა დახრილი ზედაპირით, რომელსაც სხვადასხვაგვარი სადგამი შეიძლება ჰქონდეს. ეკლესიაში რამდენიმე ასეთი მაგიდა იდგმება: სახარების საკითხავი დიაკონთათვის და მღვდელთათვის–ამბიონზე, ფსალმუნის საკითხავი მედავითნისათვის, წმიდა ხატების დასასვენებელი თაყვანის-საცემლად და სამთხვევად ტაძრის შუაში, არტოსის დასასვენებელი კანკელის წინ ბრწყინვალე შვიდეულის განმავლობაში და ა.შ.

ანალოგიაზე გადაფარებულია აბრეშუმის ან სხვა ძვირფასი ქსოვილის გადასაფარებელი. იხ. აგრეთვე საწიგნე.

ანაფორა (ბერძ. - „აღვლენა“) – 1. სამღვდელო ფართო სამოსელი, სინანულისა და მორჩილების სიმბოლური გამოსახულება. „ანაფორა“ მიუთითებს, რომ მისი მატარებელი ასრულებს უსისხლო მსხვერპლის აღვლენას.

2. უსისხლო მსხვერპლის (ე.ი. პურისა და ღვინის) მომზადება ჟამისწირვისათვის.

3. „ანაფორა“ ეწოდება ზოგჯერ „დიდ ცას“ (დიდი დაფარნა), რომლითაც იბურება ბარძიმი და ფეშხუმი სამსხვერპლოდან საკურთხეველში საუფლო ძღვენის გადატანისას.

4. საიდუმლო ღოცვა, რომელიც იკითხება ჟამისწირვის დროს. მაგ.: ბასილი დიდის ანაფორა (ე.ი. ღოცვა, რომლის ავტორია ბასილი), იოანე ოქროპირის ანაფორა და სხვ.

5. „მრწამის“ გალობის შემდეგ იწყება ექჰარისტული კანონი, რომელიც ლიტურგიის ძირითადი ნაწილია. 6. „ანაფორა“, წმ. ძღვენის ამ-

აღლება ტრაპეზიდან: „შეწირულ იქმნას... სამი სეყისკეერი უდიდროვა-
ნესი, რომელსა ანაყოზად ეწოდების“ (ქართ. სამარ. ძეგლები, III, გვ. 83).

ანგელოზი (ბერძ. „მაცნე“) – უსხეულო არსება, რომელიც ღმერთმა შექმნა ხილული სამყაროს შექმნამდე. ანგელოზები ამცნობენ ადამი-
ანებს ღვთის ნებას და ქვეყანაზე ანხორციელებენ უფლის ბრძანებას.
მათ ღვთისაგან მიმადლებული აქეთ ადამიანზე აღმატებული გონება,
ნება და ძლიერება (II სჯ. 32, 8;9),

ანგელოზთა გალობა – 1. გალობა, რომელსაც ასრულებენ სერ-
აფიმინი (ანგელოზთა უმაღლესი დასი – ექესფრთიანი, ღვთის წინაშე
მდგომელი): „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ,
საესე არიან ცანი და ქუეყანაჲ დიდებითა მისითა“ (ესაია, 6,2-3).

2. გალობა, რომელიც იგალობეს ანგელოზებმა ქრისტესშობის ღა-
მეს და მოისმინეს მწყემსებმა: „დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა და
ქუეყანათა ზეღა მშუდობაჲ და კაცთა შორის სათნოება“ (ლუკ. 2,14).

ანგელოზებრივი სახე – დიდი სქემა, მესამე უმაღლესი საფეხური
მონაზვნობისა, ე.ი. მონაზვნის ანგელოზებრივი ცხოვრება. დიდი სქე-
მა გულისხმობს მონაზვნის მიერ ნებაყოფლობით ხორციელი მოთხ-
ოვნილებების სრულ მოკედინებას, ანგელოზების მიმსგავსებას, რომ-
ლებიც უსხეულონი არიან.

ანტიდორონი (ბერძ. „ნაცვალი ძღვნისა“) – იხ. განატეხი.

„აპყრობაჲ კელთაჲ“ – ხელების თავსუვეით აღმართვა, რომელსაც მღ-
ვდელმსახური ასრულებს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ღოცვის
წარმოთქმისას (მაგ., ქერუბინთა გალობისას ლიტურგიის დროს).

აპრაკოსი (ბერძ.) – ასე იწოდება განსაკუთრებული რიგით შედგე-
ნილი სახარება და მოციქულთა ეპისტოლეების კრებული, რომლებ-
შიც ტექსტი ჩვეულებრივი თანმიმდევრობით, ავტორთა მიხედვით კი
არ არის დალაგებული, როგორც ეს ოთხთავებში და მოციქულთა
ეპისტოლეებშია, არამედ კვირეებისა და დღეების მიხედვით, როგორც
მათ კითხულობენ საზოგადო ღვთისმსახურების დროს, დაწყებული
აღთქმის პირველი დღით (იოანეს სახარება, I თავი) მთელი წლის
მანძილზე. ძველი ქართული ტერმინოლოგიით აპრაკოსს „საკითხავი“
შეესატყვისება.

არდაგი – ტილოს ქსოვილი, სუდარა. ებრაელთა ჩვეულებით,
მიცვალებულს თეთრი ტილოს ქსოვილში, არდაგში ახვეედნენ და
ისე ასაფლავებდნენ. სახარების მიხედვით, ჯვარცმული იესო ქრისტე
ჯერიდან ჩამოხსნის შემდეგ იოსებ არიმათიელმა „შეპკრაგნა არდაგსა
წმიდასა“ (მათე 27, 59).

არდაგის შესატყვისად ხშირად „არმენაკი“ და „სინდონი“ იხმარება.

არტოსი (ბერძ. „პური“) – აღდგომის დღესასწაულისათვის საგანგე-
ბო ღოცვით ნაკურთხი პური, რომელზედაც გამოსახულია ჯვარი,
ზოგჯერ კი – იესო ქრისტეს მკედრეთით აღდგომა, რომელიც გა-
მოხატავს ზეციდან მოვლენილ საუკუნო ცხოვრების პურს – იესო
ქრისტეს.

არტოსის კურთხევა სრულდება აღდგომის დღეს, ინახება მთელი ბრწყინვალე შვიდეულის განმავლობაში ეკლესიაში, საკურთხეველში ან ამბიონზე, სპეციალურად მოწყობილ ანალოგიაზე, ქრისტეს აღდგომის ხატთან ერთად. შაბათს, ლიტურგიის შემდეგ, განიტყვება და უნაწილდება მორწმუნეებს, როგორც სიწმინდე, ეელოვია.

არქიერატიკონი – იხ. სამღვდელმთავრო კონდაკი.

არქიერეი (ბერძ.) – იხ. მღვდელმთავარი.

ასამაღლებელი (შეძახილი) – გულისხმობს ხმამაღლა სათქმელ ფრაზას ან მცირე ლოცვას, რომელშიც უმეტესწილად სამების (მამის, ძის და სულიწმიდის) ქება-დიდებაა გამოთქმული. მღვდელმსახურის მიერ ლოცვის ბოლო ნაწილის ხმის ამალღებით წარმოთქმის გამო მას „ასამაღლებელი“ ეწოდა, განსხვავებით „ხმადაღლა“ სათქმელი ე.წ. საიდუმლო ლოცვებისაგან.

„აქჳმაჲ“ – ახალნათელდებულის აყვანა ნათლიის მიერ, ხოლო ამქუმელი ეწოდება ნათლიას. ნათლიის სახელად გვხვდება „მიმრქუმელიც“ (სეიმეონმა ჩეილი იესო „მიირქვა“, ჩაიხუტა). ამ უკატის აღმნიშვნელი საუფლო დღესასწაულია მდრქმა ანუ მიგებება.

აქსიოს (ბერძ. „ღირს არს“) – ასამაღლებელი, მღვდლობის სხვადასხვა ხარისხში (დიაკონის, ხუცესის, ეპისკოპოსის) ხელდასხმის დროს ხელთდამსხმელის მიერ ხმამაღლა წარმოთქმული შეძახილი ხელთდასხმადის თითოეული სამღვდლო სამოსით შემოსეისას, რასაც იმეორებს მგალობელთა ორივე დასი, რაც აღნიშნავს, რომ ხელთდამსხმელი ღირსი გახდა შეასრულოს მასზე დაკისრებული მღვდელმსახურება, რომელიც მან მიიღო სულიწმიდის მადლით.

აღაპი (ბერძ. „სიყვარული“) – 1. ქრისტეს საიდუმლო სერობის მოსაგონებელი „სიყვარულის სერობა“, რომელიც მიზნად ისახავდა მდიდარ და ღარიბ მორწმუნეთა შორის კეთილი დამოკიდებულებისა და სიყვარულის განმტკიცებას.

2. მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად დაწესებული წირვა, პანაშეიდი და ტრაპეზი, „საძმო პურობა“.

აღდგომა – ქრისტიანული ეკლესიის უდიდესი საუფლო დღესასწაული იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის აღსანიშნავად. აღდგომის დღე ხშირად ღვთისმსახურების წიგნებში იწოდება ტერმინით „აღვსება“ – მთვარის აღვსების აღსანიშნავად (აღდგომა ემთხვევა მთვარის სისავსეს; აღდგომის დღის შესახებ დაწერ. იხ. ოთხივე სახარებაში).

აღდგომა მოძრავი დღესასწაულია და აღინიშნება გასაფხულის ბუნიობის (დღისა და ღამის საათების გათანაბრება) შემდეგ, პირველი სავსე მთვარის მომდევნო კვირა დღეს (თავსდება ყოველთვის 21 III და 26 IV შორის). მას წინ უსწრებს დიდმარხვა, რომელიც მორწმუნეებს აღდგომისთვის ამზადებს. აღდგომის დღესასწაული გრძელდება ერთ კვირას (ამ მონაკეთს „ბრწყინვალე კვირას“ უწოდებენ) ახალკვირიაკემდე (კვირაცხოვლობამდე). აღდგომის დღესასწაულისათვის კვერცხის წითლად შეღებვა სიმბოლურად გამოხატავს ქრისტეს მიერ ხალხისათვის დაღვრილ სისხლს, კვერცხი კი - მარადიულ სიცოცხლეს.

აღდგომის საგალობლები, რომლებიც ეკლესიის უდიდესმა მამებმა შექმნეს, მათგან ყველაზე მეტი იოანე დამასკელმა, შესულია პარაკლიტონში და თარგმნილია IX-XI სს-ში.

აღკუეცა – თმის მოკვეცა ჯვარისებურად, რომელიც მიანიშნებს, რომ პირიქნება ეკლესია ღვთის მორჩილებას, რადგან თმის მოკვეცა უსკეველესი დროიდან მონობის, მორჩილების ნიშანი იყო.

თმის მოკვეცა სრულდება ასეთი თანმიმდევრობით: ჯერ მოკვეცენ თმას კეფაზე, შემდეგ – თავის წინა მხარეს, ბოლოს მარჯვენა და მარცხენა მხარეს, ე.ი. ჯვრისებურად.

თმის კვეცა სრულდება: 1. ნათლისღების დროს; 2. წიგნის მკითხველისა და მგალობლის კურთხევისას; 3. მონაზვნის მცირე სქემის კურთხევის დროს. ამ დროს წარმოითქმის მონაზვნის ახალი სახელი, რომელიც მან მონაზვნობაში უნდა ატაროს, რითაც მინიშნებულია, რომ მან უარყო ყველაფერი ამქვეყნიური და თავი მთლიანად მიუძღვნა ღვთისმსახურებას.

აღსარება – 1. სარწმუნოების აღიარება, რომელიც წარმოითქმის ნათლისღების დროს, სხვა რელიგიებიდან ქრისტიანობაზე გადასვლის დროს: მოსანათლავე აღიარებს თავის ცდომილებას, ქრისტიანული სარწმუნოების დოგმებს პუნქტობრივად და წარმოთქვამს სარწმუნოების სიმბოლოს, აღსარებას;

2. ეკლესიის ერთ-ერთი საიდუმლოთაგანი, სინანულის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მორწმუნის მიერ თავისი ცოდვების მონანიებას გამოხატავს და სთხოვს ქრისტეს შუამდგომლობას ცოდვების მისატყვევებლად. ამის შემდეგ მორწმუნე განწმენდილად ითვლება.

ბაზმაკი – ქრისტიანულ ეკლესიაში ყოველგვარი სანათის, ლამპრის საერთო სახელწოდება, რომლის საწვავად ზეთი იხმარება (ცვილისა და სანთლის სანათს კანდელი ეწოდება). ვიწრო მნიშვნელობით ბაზმაკი არის მცირე ლამპადა, რომელიც მუდმივად ანთია ხატის წინ.

თავდაპირველად ბაზმაკს (ლამპადას) აკეთებდნენ გამომწვარი თიხისაგან, უმეტესად წითელი თიხისაგან (ტერაკოტისაგან), ხოლო გვიან – ბრინჯაოსაგან. ბაზმაკს ხომალდის ფორმა ჰქონდა, რადგან წარმართობის ეპოქაში ხომალდი ქრისტიანობის სიმბოლო იყო. ქრისტიანობის აღიარების შემდეგ მას მდიდრულად აფორმებდნენ და სხვადასხვა ფორმას აძლევდნენ: პალმის, მტრედის, კრავის, გვირგვინის, ქრისტეს მონოგრამის, ხშირად ჯვრის ფორმაც ჰქონდა, ზოგჯერ „კეთილი მწყემსისა“, ე.ი. ქრისტესი, რომელიც ცხვრებით იყო გარშემორტყმული, ზოგჯერ წრის ფორმა, 12 მოციქულის გამოსახულებით.

ბაიაობა (ბზობა) – ქრისტიანული ეკლესიის ერთი „ათორმეტ“ საუფლო დღესასწაულთაგანი, რომელიც მოდის აღდგომის წინა კვირადღეს. დაწესებულია იმ დღის აღსანიშნავად, როდესაც იესო ქრისტე პასექის დღესასწაულზე იერუსალიმში ვირზე ამხედრებული შევიდა ჯვარცმამდე 5 დღით ადრე. მას იუდეველი ხალხი სეიმიით შეხედა და ვეხქვეშ პალმის რტოებს – ბაიას უყენდა (იოანე XII, 14). აქედან

წარმოდგება დღესასწაულის სახელწოდება - „ბაიაობა“. სადღესასწაულო ცისკარზე იკურთხება ბაიის - პალმის რტოები და ურიგდება მოწმუნებს.

საქართველოში ფინიკიური პალმა არ ხარობს და ამ დღესასწაულზე ბზის რტოებს იყენებენ. ამიტომ ამ დღესასწაულს ბზობა ეწოდება (რუსეთში არც ბაია და არც ბზა ხარობს, ამიტომ იყენებენ ტირიფს - ძეწანას, რომელსაც რუსულად *верба* ჰქვია და ამიტომ იყენებენ „ბზობის კვირას“ *Вербное воскресение*-ს უწოდებენ).

ბარტყულა - კუნკული (ბერძ. საბურველი), თავსაბურველი, ქული, რომელსაც მონაზვნები ატარებენ დიდი სქემის შემოსვის შემდეგ. მას ახურავენ ბარტყულას შემდეგი სიტყვებით: „იმოსება უბოროტობის ბარტყულით, მხსნელი სასოების ჩაფხუტით“.

ბარტყულას ატარებენ: მღვდელმონაზონი, არქიმანდრიტი, ეპისკოპოსი, პატრიარქი, რადგან თითოეულ მათგანს თავ-თავის დროს შემოსილი აქვთ დიდი სქემა.

ბარტყულა არის სიმბოლო სასოების ჩაფხუტისა.

ბარძიმი - საეკლესიო წმინდა ჭურჭელი, დამზადებულია უჟანგავი ან ძვირფასი ლითონისაგან, მაღალფეხიანი (ძველად უფეხო იყო) თასი, სასმისი, რომელიც სიმბოლურად აღნიშნავს იესო ქრისტეს ენებას, ენების თასს, რომელიც მან შესვა (მათე, 200, 22; 26, 39). ბარძიმი გამოხატავს იმ თასსაც, რომელიც იესომ მიაწოდა თავის მოწაფეებს საიდუმლო სერობაზე (ნათქვამია ლოცვაში ახალი ბარძიმის კურთხევის დროს.).

სევისკეერის კეთის დროს ბარძიმიში თავსდება პური და წყალშერეული ღვინო, რომლებიც ლიტურგიაზე სულიწმიდის მოხმობით გადაიქცევა ქრისტეს სისხლად და ხორცად, რომლითაც ეზიარება სამღვდელოება და მრეელი.

ბასილა - საახალწლო კეერი, კაცის სახის ფორმისა, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აცხობდნენ ბასილი დიდის პატივსაცემად (ხსენება 1 იანვარს).

ბემი/ბემონი - ამალღებული ადგილი საკურთხეველში სამღვდელო პირთა, მათ შორის ეპისკოპოსის დასაჯდომად და დასასვენებლად ლიტურგიის დროს. ბემი ამფითეატრივით შეკიბული ბაქანია აღმოსავლეთის კედელთან, ზოგიერთ ეკლესიაში კი მთელი საკურთხეველის გარშემო. ბემის სინონიმებია: ტეიქი, ტოგუნი, ზოგჯერ კი უბრალოდ „დასაჯდომელი“ ეწოდება.

ბისონი - სამღვდელმთავრო ზედა ტანსაცმელი, წამოსასხამი, რომელიც ცვლის ფილონს (იხ.) და აქვს იგივე სასულიერო მნიშვნელობა.

არსებობს მოსაზრება, რომ ქრისტიანმა იმპერატორებმა ბისონი, თავისი სამეფო შესამოსელი, უბოძეს კონსტანტინეპოლის პატრიარქებს, რაც გახდა მათი განმასხვავებელი ნიშანი სხვა პროვინციების მღვდელმთავრებისაგან. ბისონი ისეთი პატივისცემით სარგებლობდა, რომ პატრიარქები მას წელიწადში მხოლოდ სამჯერ იცვამდნენ: აღ-

დგომას, ქრისტეშობას და სულიწმიდის მოყენის დღესასწაულებზე. მეორე თვალსაზრისით, ბისონი აღნიშნავს ძაძას, ფლასს, ტომარას, უხეშ ტანსაცმელს – საკოსს (=ძაძას, ტომარას), რომელიც მორჩილებისა და სინანულის სიმბოლოს წარმოადგენდა, მას იცვამდნენ ქრისტიანი მეფეები მეფეთა მეფის – ქრისტეს წინაშე თავიანთი მორჩილების გამოსახატავად. ბალზამონის (XIII ს.) მიწმობით, ბისონი მხოლოდ პატრიარქის სამოსია. უფორმოების გამო მას ხშირად „საკოსსაც“ უწოდებდნენ (ეს სახელწოდება შემოინახა რუსულმა ეკლესიამ). ეპისკოპოსებს ბისონის ჩაცმის უფლება მხოლოდ XVIII-ში დართეს. აღდგომას იცვამენ თეთრ ბისონს, ხოლო ენების შეიდუელში – შავს. ბისონი აღნიშნავს სამგლოვიარო ძაძას და მოგვაგონებს იმ მეწამულ სამეფო მანტიას, რომლითაც დაცინვით შემოსეს ქრისტე და ეკლის გეოგინი დაადგეს ჯვარცმის წინ.

ბროსპორი/ბროსპორად (ბერძ.) – იხ. სეფისკერი.

ბრწყალი/ვარსკვლავი – საეკლესიო ჭურჭელი. შედგება ორი რკალისაგან, რომლებიც შეერთებული არიან ჭანჭიკით ისე, რომ შეიძლება მათი დაკეცვა და გაშლა ჯერისებურად. ბრწყალი იდგმება ფეშხუმზე იმისათვის, რომ ფეშხუმის პერექელის ანუ დაფარნით დაბურვის დროს იგი არ შეეხოს ტარიგს, რომელიც ფეშხუმზე არის დალაგებული, და არ აირიოს მისი ნაწილები.

ბრწყალზე გამოსახულია ქრისტე ან ჯვარი. ბრწყალს **ვარსკვლავსაც** უწოდებენ, რომელიც გამოხატავს იმ ვარსკვლავს, რომელმაც მოგვები მიიყვანა იესო ქრისტეს შობის ადგილას (მათე 2, 9-11).

ბრწყინვალე შეიდუელი – აღდგომის კვირიაკე. აღდგომის დღიდან ვიდრე შაბათამდე თითოეულ დღეს „ბრწყინვალე“ ეწოდება. „ბრწყინვალე ორშაბათი“, „ბრწყინვალე სამშაბათი“ და ა.შ. „ბრწყინვალე შაბათამდე“.

ბუნიობა – დღისა და ღამის ხანგრძლივობის ტოლობა წელიწადში ორჯერ: გაზაფხულზე (20-21 მარტი) და შემოდგომაზე (23 სექტემბერი). გაზაფხულის ბუნიობაზე არის დამოკიდებული აღდგომის დღესასწაულის გამოანგარიშება.

განატეხი – ნაკურთხი პურის – სეფისკერის ის ნაწილი, რომელიც მისგან შესაწირავი „კრავის“ – ოთხკუთხედი საუფლო ნაწილის ამოღების შემდეგ დარჩება. ტერმინი ჯერ კიდევ ძველი აღთქმის წიგნების ქართულ თარგმანებში არის დადასტურებული: „შეიწიროს იგი... მსხუერპლი განატეხთაჲ შესაწირავი სულად სულენელად ღმრთისა“ (ლევიტ. 6, 21). „განატეხი“ ხშირად იხმარება ჟამისწირვის შესრულების რიტუალში: „ძმთა მიიღონ განატეხი და ირღუნან ეკლესიასავე...“ („დღი სენაქსარი“ – H 2211, 125r); „და მიეცეს ერსა განატეხი“ (იქვე, 147r) და სხვ.

განატეხი ურიგდებათ მორწმუნეებს ჟამისწირვის დასრულებისას, რომელიც მათ უნდა მიიღონ მხოლოდ უზმოზე ეკლესიაშივე – მისი წაღება სახლში აკრძალულია. იგი არ ეძლევათ ურწმუნოებს და სასჯელდადებულ მორწმუნეებს.

განახლება – იხ. სატფურება, ეკლესიის კურთხევა.

განბანვა – ნათლისცემის დროს წასმული წმიდა მირონის ჩამობანვა. ძველად ახალმონათლული 7 დღის განმავლობაში ატარებდა თეთრ ტანსაცმელს, მარხულობდა, ლოცულობდა და არ იცილებდა წმიდა მირონს. მხოლოდ მერვე დღეს ჩამობანდა მღვდელი ლოცვის შემდეგ სხეულის იმ ნაწილს, რომელსაც მირონი წაეცხო.

ამჟამად განბანვა ხდება თბილი წყლით თოქმის მირონის წასმისთანავე, სახელდობრ, სახარების წაკითხვისა და კვერეკის შემდეგ.

განგება (ბერძ. აკოლუთია) – განგება ეწოდება ყოველგვარი საეკლესიო რიტუალის შესრულების წესსა და თანმიმდევრობას, მაგ.: „განგება იაიზმაისი“, „განგება ეკლესიის კურთხევისა“, „განგება წმიდა გიორგის დღესასწაულისა, „განგება კერამისა და საუფლოთა დღესასწაულთა“ (კურთ. Sin. 73, 94v). „სამხრად ყოველი განგება მოწამეთა“ („დღი სვინაქსარი“ Ath. 307r-v) და სხვ. განგებანი შეტანილია ტიპიკონებში, სვინაქსარებში, საღვთსაწაულოებში, კურთხევანში და სხვ.

განზავება – ექვარსტიული ღვინისათვის წყლის შერევა. „მღვდელმან მოიღოს წმიდა ბარძიმი, შთასხას დიაკონმან ზედაშე ღვინო და განზავის წყლითა“ (გერმანე კონსტანტინეპოლელი, სახისმეტყველებითი განმარტება საღმრთო ლიტურგიისა, თბ., 2002, გვ. 14). „განზავება იგი ღვინისა და წყლისა – სისხლი იგი არს და წყალი, რომელი გარდამოკდა გუერდისაგან მისისა, რაჟამს უგმირეს ლახური თა ჯუარსა ზედა“ (იქვე, გვ. 14).

„განმანათლებელი“ – ლიტურგიკული ტერმინი, იხ. „ხუედრნი“.

განტევება (ბერძ. „აპოლუსის“) – ღვთისმსახურების დამთავრების შემდეგ ხუცესის მიერ ლოცვის წარმოთქმა, რომელიც მორწმუნეებს აუწყებს, რომ შეუძლიათ ეკლესიიდან გასვლა. ლოცვას ეწოდება „ლოცვა ერის განტევებისა“ (მორწმუნეებს არა აქვთ უფლება გავიდნენ ეკლესიიდან თვითნებურად).

განტევება ხდება აგრეთვე ღვთისმსახურების ნაწილის დამთავრების დროსაც. მაგ., პროსკომიდის განტევება და სხვ.

განცხადება (ბერძ. ეპიფანია, თეოფანია) – იხ. ნათლისღება უფლისა.

„განკსნა“ – მარხვის გაუქმება, გახსნილება.

გარდამოხსნა – ჯვარცმული ქრისტეს ჯვრიდან ჩამოხსნის (ძვ. გარდამოკსნა) მომენტი, რომელიც ოთხივე სახარებაშია აღწერილი (იოანეს სახარების მიხედვით, მონაწილეობდნენ იოსებ არიმათიელი და ნიკოდემოსი, ხოლო დანარჩენი სამი სახარება მხოლოდ იოსებს ასახელებს). „გარდამოხსნის“ სიუჟეტი გამოსახულია ფერწერულ ტილოზე, არის მისი ჭედური გამოსახულებაც, ნაქარგობაც.

„გარდამოკსნა“ იგივე არდაგია, რომელიც წარმოადგენს თეთრ ტილოს, რომელშიც ქრისტე „შეგრაგნეს“, ოღონდ ყოველგვარი ნახატების გარეშე. არდაგზე „გარდამოხსნის“ გამოხატვა გვიანდელი მოვლენაა, ხოლო მისი გამოსვენების ცერემონიალი, რომელიც სრულ-

დებოდა ეკლესიის შუაგულში დიდი პარასკევიდან დიდი შაბათის შუალამის ჟამამდე მორწმუნეთა საამბორებლად, XVI-დან ჩნდება კონსტანტინეპოლის წმ. სოფიის ტაძარში და გადავიდა სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში.

გვირგვინი - საქორწინო თავსადგამი, რკალისებური ჯვრიანი ფორმებით, დასაქორწინებლებს ახურავდნენ ეკლესიაში. საქორწინო რიტუალს კი „გვრგუნთა კუროხევა“ ეწოდებოდა.

გინგილა - დიაკონის სამოსლის ნაწილი, საღიაკენე ოლარი, ბრტყელი სარტყლის ფორმის სამკაული, რომელიც წინ და უკან აქვს ჩამოშებული დიაკონს მთელი ტანის სიგრძეზე. ღვთისმსახურების დროს დიაკონი გინგილას იკეთებს მარცხენა მხარზე.

დაბეჭდვა - განტევების ლოცვა, ლოცვის დასრულება განტევებით, ჯვრის გარდასახვით და „ამენ“-ის თქმით. „შემდგომად განყოფისა ეგვეთარისა მის ეელოგიისა იქმნების სრულადი დაბეჭდვა“ (შიომღვ. ტიპიკონი, 13, Xს). „დაბეჭდვა მღვდელმთავრისა მიერ მოაწავებთ გულეებადასა მოსლვასა, გინათუ ორთა ბუნებათა (ღმრთეებისა და კაცებისასა) ცხადჰყოფს რიცხვ თითთა“ (გერმანე კონსტანტინეპოლელი).

დალმატიკი - გრძელსახელოებიანი სტიქარი, ბიზანტიელ იმპერატორთა ერთ-ერთი სამოსი, რომელიც ჰგავს სამღვდელმთავრო საკოსს ანუ ბისონს. მზადდებოდა მდიდრული ქსოვილისაგან და იმკობოდა ოქროთი და ძვირფასი თვლებით.

ხატების ფერწერაში ამ სამოსით ხშირად გამოსახულია იესო ქრისტე, როგორც მეფე და მღვდელმთავარი, აგრეთვე - ღვთისმშობელი - დედოფლის სახით.

დამხედვარი - ზედამხედველი ანუ ეპიტრიტი (ბერძ.) ეწოდებოდა მონასტერში მონაზონს, რომელსაც ევალებოდა თვალყური ედევნებინა წესრიგისათვის მონაზონთა შორის სატრაპეზოში პურობის დროს. „ეპიტრიტი, რომელ არს დამხედვარი, იარებოდის ტაბლათა ზედა და ამცნობდეს ძმათა დუმილსა“ (დიდი სეინაქსარი, H 2211).

„დაცადებად საქმისად“ - უქმობა, საქმიანობის შეჩერება. „ხოლო საქმესა დაეცადებთ ვიდრე სამხრამდე“ (დიდი სეინაქსარი, Ath. 30, 8v).

დედათდიაკონი - ეკლესიის დასის წვერი ქრისტიანობის მოციქულთა დროიდან, რომელიც დანიშნული იყო ეკლესიის მრევლში შემავალი მორწმუნე ქალების ზედამხედველად. მოციქული პავლე რომაელთა მიმართ ეპისტოლეში ახსენებს დედათდიაკონ ფიბას.

მოციქულთა დადგენილებით ამ თანამდებობაზე უნდა აერჩიათ უმანკო ქალწულები ან, უკიდურეს შემთხვევაში, კეთილმსახური ქვრივები, რომლებიც მხოლოდ ერთხელ იყვნენ გათხოვილნი და არ უნდა ყოფილიყვნენ 40 წელზე ახალგაზრდა. ისინი ამზადებდნენ ქალებს მოსანათლავად, როგორ უნდა ეპასუხნათ მღვდლის შეკითხვებზე, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ნათლისღების შემდეგ. ასევე ეხმარებოდნენ მღვდლებს ქალების ნათლობის დროს და მირონს აცხებდნენ მათ მღვ-

დღეების ნაცვლად, გარდა შუბლისა, ისინი ზრუნავდნენ ქალებისათვის საქველმოქმედო საქმეებზე და სხვ. ქრისტიანობის პირველ პერიოდში, როგორც საეკლესიო დასის წევრი, იკურობებოდა განსაკუთრებული ხელის დადების წესით. დედათადიკონის მსახურება აღმოსავლეთის ეკლესიებში შეწყდა XIII-ში, ხოლო დასავლეთში – IX-ში.

დეკანოზი (ბერძ. პროტოპრესვიტერი) – I. მთავარი მღვდელი ეკლესიაში, ეკლესიარხი.

ქართულ მონასტრებში – მღვდელმონაზონთა და მგალობელთა უფროსი, მეორე პირი მონასტრის წინამძღვრის შემდეგ, მისი თანაშემწე ღვთისმსახურების ჩატარების დროს.

სახელწოდება გვიჩვენებს, რომ უძველეს მონასტრებში დეკანოზი 10 მონაზვნის მეთაური უნდა ყოფილიყო (ბერძ. „დეკა“ = 10-ს).

დიაკონი (ბერძ.) – მღვდლის თანაშემწე ქიროთესიით (იხ.) ხელდასხმული სასულიერო პირი სასულიერო იერარქიის პირველ, ყველაზე დაბალ სამღვდლო ხარისხში.

უძველეს ქრისტიანულ ეკლესიაში ეს თანამდებობა მოციქულთა ინიციატივით წარმოიშვა. იერუსალიმის ტაძარში 7 დიაკონი იყო, რომელთაც თავიდან მორწმუნეთა და ეკლესიას შორის სამეურნეო საქმეების მოგვარება ევალებოდათ, ხოლო შემდეგ მათ ფუნქციებში შევიდა ღვთისმსახურების დროს მორწმუნეთა დგომა-ქცევისათვის თვალყურის დევნება და ეპისკოპოსისათვის მოხსენება. ისინი განაგებდნენ ეკლესიის ქონებას, ანაწილებდნენ მოწყალეობას, ზრუნავდნენ ობლებზე, ქვრივებზე და ა.შ.

დიაკვნები ასრულებდნენ შუამავლის როლს სამწყოსსა და ეპისკოპოსებს შორის, ამიტომ მათ ეპისკოპოსის მოციქულებს და ანგელოზებსაც ეძახდნენ. დღეს დიაკონი მღვდლის (ხუცესის) თანაშემწეა ღვთისმსახურების დროს. თვით დიაკონს ამ რიტუალის შესრულების უფლება არა აქვს, ხოლო მღვდელი ამ რიტუალს დიაკვნის გარეშეც ასრულებს, რამაც დიაკვნების რიცხვის შემცირება გამოიწვია.

დიაკონთა შორის უპირატესს მთავარდიაკონს ეწოდება. მისი შესატყვისია სამრევლო ეკლესიაში პროტოდიაკონი (ბერძ.), ხოლო მონასტერში – არქიდიაკონი და იეროდიაკონი (ბერძ.). ხშირად ორივეს შესატყვისად ქართულში მთავარდიაკონს ხმარობენ. დიაკონზე დაბალი საფეხურია კერძო-დიაკონი (ბერძ. პიპოდიაკონი), რომლის ძველი სახელწოდება იყო „კანანახი“ (კანონარქი – საგალობელი კანონის დამწყები). იგი ეკლესიაში მკითხველი იყო და მგალობლებს საგალობლის ხმას მიანიშნებდა (კანანახი - კარნახი).

„დიდებაზე ჩამოსვლა“ – იხ. კალმასობა.

დიდი აიაზმა – წყალი, რომელიც რჩება ემბაზში ყრმის ნათლისღების შემდეგ (Гр. Дьяченко, Полный Церковно-Славянский словарь, М., 1993).

დიდი დიდებისმეტყველება – იხ. ანგელოზთა გალობა.

„დიდი გამოსვლა“ (великий выход) – გადასვენება წმინდა ძღვენისა სამსხვერპლოდან ტრაპეზზე ლიტურგიის დროს.

დიდი მარხვა//დიდმარხვა - იხ. მარხვა.

დიდი ოთხშაბათი - იხ. ენების კვირა.

დიდი ორშაბათი - იხ. ენების კვირა.

დიდი პარასკევი - იხ. ენების შეიდეული, კვირა.

დიდი სამშაბათი - იხ. ენების კვირა.

დიდი სქემა - იხ. ანგელოზებრივი სახე („დიდისა ამის და ანგელოზებრივისა სქემისა...“ (Sin. 73, 64r - კურთხევაანი).

დიდი შაბათი - იხ. ენების შეიდეული, ენების კვირა.

დიდი შეიდეული - იხ. ენების შეიდეული, ენების კვირა.

დიდი ხუთშაბათი - იხ. ენების კვირა, საიდუმლო სერობა.

დიკირი (ბერძ.) - ორსანთლიანი შანდალი, რომელიც იხმარება ეკლესიაში სამღვდელმთავრო ღვთისმსახურების დროს.

დიპტიქონი (ბერძ.) - ორი დასაკეცი დაფა, შეერთებული თავით ან ზონრით, წიგნის მსგავსად აკინძული, გარედან გლეჯი ან სექტორით მებრთ შემკობილი, შიგნიდან კი სანთლის ფენით დაფარული და ირგვლივ ნაპირებზე წერილი ამობურცული კანკით შეწყობილი, რომელზედაც შეიძლება ფოლადის წვეტიანი ჩხირით წერა. დიპტიქონებს ამზადებდნენ ხისაგან, ძელისაგან ან ლითონისაგან.

დიპტიქონები საწერ წიგნებს წარმოადგენდა რომის წარმართულ იმპერიაში. არსებობდა ორდაფიანი (დიპტიქონი), სამკართიანი და მეტი (მათ ტრიპტიქონი, ტეტრაპტიქი და ა.შ. ეწოდებოდათ).

ქრისტიანობის გამარჯვების შემდეგ იგი საეკლესიო მონუმენტის სათვის გამოიყენებოდა. მას ხმარობდნენ სახარების გარეგანი სახარების, საკურთხეულის მოსართავად, მაგრამ ძირითადად კი - ხელთახანის ურო ლოცვების, მიცვალებულთა და ცოცხალთა მოხსენებების ჩასაწერად და საკითხავად (ე.ი. სინოდიკონები). იგი სამი სახისა იყო: 1. საეპისკოპოსო დიპტიქები ადგილობრივ იერარქთა მოხსენებების ჩასაწერად და საკითხავად (ე.ი. სინოდიკონები). იგი სამი სახისა იყო: 1. საეპისკოპოსო დიპტიქები ადგილობრივ იერარქთა მოხსენებების ჩასაწერად და საკითხავად (ე.ი. სინოდიკონები). იგი სამი სახისა იყო: 2. ცოცხალ პირთა (მეფეების, იერარქთა, შემომწირველთა) მოხსენებების ჩასაწერად და საკითხავად. 3. მიცვალებულ საეკლესიო მოღვაწეთა და ქველმოქმეთა მოხსენებების ჩასაწერად და საკითხავად. ისინი ხშირად მორწმუნეთა და მღვდელმსახურთათვის ხატების მაგიერობასაც ასრულებდნენ სალოცავად. ასეთ ფუნქციას ხელი შეუწყო ხატომებრძოლობამ. დიპტიქების ხმარება გაგრძელდა XVII ს-მდე ქართული წყაროებიდან იგი იხსენიება „იერუსალიმის განჩინების“ ქართულ თარგმანში (იხ. ამ ძეგლის გამოცემის გვ. 327) აგრეთვე კურთხევენებში (A72, 425r).

ფზარქოსი (ბერძ.) - მაღალი წოდების სახულიერო პირი, რომელიც მართავეს ადმინისტრაციულ-ეკონიკურად განსხვავებულ დიდ საეკლესიო ეპარქიას სახელმწიფოში.

საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, 1811 წელს დაარსდა საქართველოს საეპარქოსო და მმართველად დაინიშნა ფზარქოსი, რომელსაც მკონდა წოდება ქართლისა და კახეთის მიტროპოლიტისა შემდეგ არქიეპისკოპოსისა (მთავარეპისკოპოსისა).

საქართველოს პირველ ეგზარქოსად დაინიშნა ეროვნებით ქართველი – ვარლამ ერისთავი (1811-1817წწ.), ხოლო შემდეგ ინიშნებოდნენ მხოლოდ რუსი ეროვნების ეგზარქოსები (1817-1917წწ.).

ეელოგია (ბერძ. – კურთხევა, დალოცვა) – ეკლესიაში ნაკურთხი სუისიკვერი, წყალი და სხვ., რომლის ნაწილსაც აძლევდნენ მორწმუნეებს სახლში წასაღებად.

ეელოგია პირველად პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ მორეკომენდაციულად იხსენიება: „და დაამტკიცონ პირველ აღთქმული იგი ეელოგია, რათა ეს განმზადებულ იყოს, ვითარცა ეელოგია და არა ვითარცა ანგარება“ (9,5). ხშირად იხმარება იგი ქართულ ორიგინალურ მწერლობაში. მაგ.: „ოდეს მიჰყვანდა წმიდა აბიბუს, დაემთხვია მას მოციქული ნეტარისა სუმონ მესუეტისა... და მისცა წიგნი, ეელოგია და კურთხი“ (ძეგლები, I, 243).

ეეპარისტია (ბერძ. მადლობა) – იხ. ზიარება.

ეეპოლოგიონი (ბერძ.) – იხ. კონდაკი; I ლოცვანი.

ეეკედერი/ეეგუტერი – 1. მცირე სამლოცველო სახლი, ხატებით შემკული, რომელიც იგებოდა იმ ადგილებში, სადაც ეკლესია არ იყო და მღვდელს შეეძლო მწუხრის, ჟამნობის, პარაკლისის და სხვ. სახის ღვთისმსახურება შეესრულებინა. ლიტურგიის შესრულება არ არის ნებადართული.

2. ეკლესიაზე მიშენებული ან ცალკე მდგარი მცირე სამლოცველო, ეკლესია, რომლებსაც აგებდნენ დიდი ფოთლები კერძო სამლოცველოდ და საგვარეულო საქვალედ. მოგვიანებით (XVს-დან) საქართველოში მომრავლდა მთავარი ეკლესიისაგან დამოუკიდებელი ეეკედერები, სადაც სრულდებოდა პატრონის სახელზე ღვთისმსახურება ეეკედერის წინამძღვრის მიერ.

ეეკლესია (ბერძ.) – 1. ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებელ-მორწმუნეთა საზოგადოება, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს ყველა ქვეყნისა და ეროვნების ქრისტიანს. კათოლიკე (მსოფლიო) ქრისტიანული ეკლესია არის „ერთიანი, განუყოფელი და განუწყველებელი“ (კეპრიანე კართაგენელი, IIIს.); პავლე მოციქულის სიტყვებით, ეკლესია ქრისტეს სხეულად (გვამად) იწოდება: „...აღვასრულებ დაკლებულთა მათ ჳირთა ქრისტესთა ვორცითა ჩემითა გუამისათვს მისისა, რომელ არს ეკლესია“ (კოლას. I, 24).

2. საეკლესიო ნაგებობა, ტაძარი ღვთისა, „სახლი უფლისა“, რომელშიც იკრიბებიან მორწმუნენი საღვთო მადლის მისაღებად, ზიარებისა და სხვა საიდუმლოთა აღსასრულებლად, უფლისადმი ლოცვების აღსაქვლად.

ეემაზი (ბერძ.) – სანათლაევი საეკლესიო სათაესი ნათლისღების რიტუალის შესასრულებლად, ქვის, ლითონის ან ხის ჳურჭელი მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიებში.

მღვდელი მოსანათლავად ბავშვს სამჯერ ჩაუშვებს ეემაზში ისე, რომ წყალმა დაუფაროს ტანი. „ეემაზით აღმოშობილი“ ან „ეემაზის

შეილი“ ნიშნავს მონათლულს, ქრისტიანს, ხოლო „ემბაზით მშობელი“ – ნათლიას.

ენკენია (ბერძ. - „განახლება“) – იხ. სატფურება (კუროხევა ეკლესიისა)

ენკომია (ბერძ.) – იხ. შესხმა.

ენკრატისი (ბერძ.) – სქემოსანი მონაზონი ქალი. „რომელმან მონაზონებისა, გინა ენკრატისობისა აღოქუმადა უარყოს, ჟამი იგი მრუშობისა ცოდვისადა აღასრულოს“ (მცირე სჯულისკანონი, გვ. 80).

ერგასისი (= 50-ს) – სულიწმიდის მოფენის დღესასწაული, იხ. მარტვილია.

ეპიტრაქილიონი (ბერძ.) – მღვდლის შესამოსელი, ოლარი. „ეპიტრაქილიონი იგი – ოლარი მღვდლისადა – ფაკიოლისა მის სახე არს, რომელი მოსდვა მღვდელმოდურმან მან უფალსა და მიიზიდვიდეს წარდგინებად პილატესსა“ (გერმანე კონსტანტინეპოლელი, სახისმეტყველებითი განმარტება საღმრთო ლიტურგიისა, გვ. 13).

ეპიტირიტისი (ბერძ.) – იხ. დამხედვარი.

ეპიტროპოსი (ბერძ.) – იხ. იკონომოსი, მნე.

ერთშაბათი – კეირა დღე.

ფაინარი (ბერძ.) – მემარნე, ღვინის მწდუ.

ვედრებანი – კვერქისის მუხლები.

ვენების კვირიაკე, შეიდეული – ვენების შეიდეული ბზობის კვირიაკესა და ქრისტეს აღდგომას შორის, რომლის თითოეულ დღეს ეწოდება: დიდი, წმიდა:

1.დიდი ორშაბათი (ანუ წმიდა ორშაბათი) – ამ დღეს ეკლესია მოიხსენიებს იესო ქრისტეს სასწაულს ლელვის ხის გახმობასთან დაკავშირებით (მათე, XXI, 18-22).

2.დიდი სამშაბათი (ანუ წმიდა სამშაბათი) – ქრისტეს უკანასკნელი საუბრებისა მოწაფეებთან და უკანასკნელი იგავის (მათე, XXI, 1-13) მოხსენიება.

3.დიდი ოთხშაბათი (ანუ წმიდა ოთხშაბათი) – ქრისტეს ბეთანიაში, სვიმონ კეთროვანის სახლში ყოფნის მოხსენიება.

4.დიდი ხუთშაბათი (წმიდა ხუთშაბათი) – საიდუმლო სერობის მოხსენიება.

5.დიდი პარასკევი (წმიდა პარასკევი) – ქრისტეს ჯვარცმის, გარდამოხსნის და დასაფლავების მოხსენიება.

6.დიდი შაბათი (წმიდა შაბათი) – ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის წინა დღის მოხსენიება.

7.აღდგომა – იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის მოხსენიება და ზეიმი.

ზატიკი – 1. დღესასწაული, რომელიც უკავშირდება ეგვიპტელთა მონობისაგან ებრაელთა განთავისუფლების მოგონებას (პასექი).

2. აღდგომის დღესასწაული.

3. აღდგომა – ამბლლება – მარტვილიის დღესასწაულთა საგალობლების წიგნი, გაგრძელება მარხვანისა.

4. 50-დღიანი პერიოდი აღდგომის ორშაბათიდან მარტვილის ორშაბათამდე (ზატიკობა) და ამ პერიოდის მასალის შემცველი წიგნი.

5. ზატიკი, როგორც დამოუკიდებელი მნიშვნელობის ტერმინი, ღვთისმსახურებაში დამკვიდრდა XI-დან, მანამდე კი მარხვანი და ზატიკი გაერთიანებული იყო ერთ წიგნში, რომელსაც „ხუედრნი“ ეწოდებოდა. „ხუედრნი“ დარსა საგალობელთა ერთი ჯგუფის აღსანიშნავად.

ზედაში – ზიარების მოსამზადებლად საჭირო წმიდა ღვინო, მოხდილი ქვევრის ზედა ნაწილიდან.

ზეწარი/მეწარი (ბერძ. პილოლომა) – „საკურთხეველის ტრაპეზის შესამოსელი, რომელსაც აფარებენ ტრაპეზს ზემოდან და რომელიც უფრო „ინდიტის“ სახელით იყო ცნობილი“ (კ. კეკელიძე, „იერუს. განიხილება“, ლექსიკონი, გვ. 328).

ზეწარი დასახელებულია აგრეთვე სამღვდელო შესამოსელად: „შემოსად სამოსელი მღვდლობისა: კუართი, სარტყელი, ზეწარი“ („მცნება და განგება მსოფლიოთა ხუცესთათჳს“ (A 737, 134r-141v)). „შესამოსელი იგი მღვდლობისა – კუართი, სარტყელი და ზეწარი“ (მც. სჯ. კანონი, გვ. 76).

ზიარება – ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი შვიდ საიდუმლოთაგანი, დაწესებული თვით იესო ქრისტეს მიერ ენების წინ, საიდუმლო სერობის დროს (მათე 26,16-20; მარკოზ 14,22-24; ლუკა 22,19-20; იოანე 6,31 და სხვ.).

ჟამისწირვის (ეექარისტის) დროს პური და ღვინო ქრისტეს ხორცად და სისხლად გარდაიქმნება, რომლის მიღებით მორწმუნე ქრისტეს სიწმიდეს ეზიარება და თავისუფლდება ცოდვათაგან, რათა ცხოვდეს საიქიოში.

მართლმადიდებლურ ეექარისტიაში იხმარება აფუებული პური და წყალშერეული ღვინო. ზიარების საიდუმლო შეიძლება შესრულდეს მხოლოდ ეკლესიაში ლიტურგიის დროს, აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება სხვაგანაც, მაგრამ უსათუოდ ნაკურთხ თდუკუბ.

თაყვანისცემა (თაყვანის-ცემამ) – საეკლესიო რიტუალი, თავის დაკერით და წელში მოხრით მორჩილებისა და პატივისცემის გამოხატვა წმიდა საეკლესიო საგნისადმი (ჯვარი, ხატი და ა.შ.) ან იერარქიულად მაღლადგომი საეკლესიო პირისადმი.

იკონომოსი – მონასტრის სამეურნეო საქმეთა გამგებელი, მნე.

კათაკმეველი – პირი, რომელიც ემზადება ქრისტიანული სარწმუნოების მისაღებად, მოსანათლავად. კათაკმეველებს უფლება ეძლეოდათ, დასწრებოდნენ ზოგიერთ საზოგადო ღვთისმსახურებას თავიდან ბოლომდე (მწუხრი, ცისკარი, ჟამნობა), ხოლო ჟამისწირვას კი – განსაზღვრულ მომენტამდე. ჟამისწირვის იმ ნაწილს, რომელზედაც კათაკმეველები ესწრებიან, „კათაკმეველთა ლიტურგია“ ეწოდება. წირვის ამ ნაწილის დასასრულს დიაკონის სიტყვებისთანავე: „კათაკმეველნო, განვედით; რაოდენნი კათაკმეველნი ხართ, განვედით“, ისინი წირვას ტოვებენ. ჟამისწირვის მომდევნო ნაწილს „მორწმუნეთა ლიტურგია“ ეწოდება.

კათედრა (ბერძ. – სავარძელი, სკამი) – ეპისკოპოსის სავარძელი კათედრალურ ეკლესიაში, რომელიც დგას ეკლესიის ცენტრში ამჟღავნებულ ადგილზე (აგრეთვე საკურთხეელის უკან), სადაც მღვდელმთავარი ჯდება ღვთისმსახურების დროს. გადატანითი მნიშვნელობით საეპისკოპოსო ეპარქია (უწოდებენ აგრეთვე მენაკს, მენიაკს).

2. ადგილი ქრისტიანულ ეკლესიაში, საიდანაც ქადაგებენ.

კათედრალი – საეპისკოპოსოს მთავარი ეკლესია, საკათედრო ტაძარი, ეპარქიის სასულიერო ცენტრი (საეპისკოპოსოს ზოგჯერ ორი კათედრალიც აქვს).

„კათოლიკენი“ – მოციქულთა კათოლიკე (საყოველთაო) ეპისტოლეების (7 ეპისტოლე) საერთო სახელწოდება. .

კამიკლავა (ბერძ.) - 1. ცოლოსან სამღვდლო პირთა თავსაბურავი ქუდი, კუნკელი, რომელიც ეძლევა სამღვდლო პირს ხელდასხმის დროს (ადრე იგი ბიზანტიის იმპერატორთა თავსაბურავი იყო).

2. თავსაბურავი მონაზვნისა მცირე სქემის კურთხევის შემდეგ.

კანანახობა – ღვთისმსახურების დროს მგალობელთა და წიგნისმკითხველთა ხელმძღვანელობა, ლოტბარობა. იხ. კანონარქი.

კანდელაკი//კანდელაფტი – იხ. მნათე.

კანდელი (ბერძ.) – ზეთის სანათურის საერთო სახელწოდება, ჰერზე ჯაჭვით ჩამოკიდებული ლამპარი ეკლესიაში, რომელშიც ზეთი ანთია. ზოგ ეკლესიაში არის ქორაკანდელი – სასანთლეთა წრე, ერთ საკიდზე დაკიდებული რამდენიმე კანდელი.

აღაპებში ჩვეულებრივ უთითებდნენ, საკუთრივ რომელი ხატის წინ უნდა აენთოთ კანდელი და რამდენი ზეთი უნდა დაეხარჯათ.

კანკელი//იკონოსტასი – ხატებით შემკული ტიხარი, რომელიც საკურთხეველს გამოყოფს ეკლესიის ძირითადი ნაწილისაგან. მას სამი კარი აქვს: შუაში, რომელსაც „სამეუფონი კარნი“ ეწოდება, ჩრდილოეთისა – სამსხვერპლოში შესასვლელად და სამხრეთისა – საღიაკენეში შესასვლელად.

საქართველოში უფრო გავრცელებული იყო ქვის კანკელი, იშვიათად – ხისა. კანკელს ამკობენ ორნამენტებით.

კანონარი – იერუსალიმური ტიპიკონის, განჩინების ბერძნული სახელწოდება.

კანონარქი/კანანახი – საგალობელი კანონის დამწყები საეკლესიო პირი, რომელიც საგალობელთა პირველ მუხლს ამბობს, მგალობელთათვის ნიშნის მიმცემი, საგალობლის ხმის მანიშნებელი. იხ. კანანახობა.

კანონი (ბერძ.) – 1. საეკლესიო წესი და დოგმატი, დადგენილი საეკლესიო კრებისა და უმაღლესი იერარქის მიერ.

2. 150 ფსალმუნი, გაყოფილი 20 მონაკვეთად, თითოეულს ქართულად ეწოდება კანონი.

3. საეკლესიო ცხრაოდიანი გალობა, რომელსაც „ჰიმნოგრაფიული კანონი“ ეწოდება.

კატავასია (ბერძ. „ქვევით ჩასვლა“) – ირმოსი, რომელიც იგალობებდა არა მარტო ჰიმნოგრაფიული კანონის გალობის დასაწყისში, არამედ მეორდება კიდევ საეკლესიო ტიპიკონით მითითებულ შემთხვევებში კანონის გალობების ბოლოს.

სახელწოდება მიუთითებს, რომ სამონასტრო ტიპიკონით კლიროსიდან ორივე მხრიდან გუნდები ჩამოდიან და ერთდებიან აღსავლის კარის წინ და ერთად გალობენ.

კატავასია სრულდება ყოველი გალობის ბოლოს, ან მხოლოდ კანონის III, VI, VIII და IX გალობის შემდეგ.

კვეთა (ბერძ. პროსკომიდია) – ქრისტიანული ლიტურგიის პირველი ნაწილი, რომლის დროსაც მღვდელმსახურნი ამზადებენ ტარიგს (უსისხლო მსხვერპლს) ძღვენის შესაწირავად. სათანადო მომზადებისა და შემოსვის შემდეგ მღვდელი და დიაკონი მიდიან სამსხვერპლოსთან (სამკვეთლო, სადაც უკვე მომზადებულია წმ. ჭურჭელი. იხმარება 5 სეფისკვერი. ღვინო უნდა იყოს აუცილებლად ყურძნისა, წითელი). დასაწყისი ლოცვებისა და ასამაღლებლის შემდეგ მღვდელი იღებს სეფისკვერს მარცხენა ხელით, მარჯვენათი – ლახვარს და ჩამოაჭრის ნაწილებს ოთხი მხრიდან. ამ დროს იგი წარმოთქვამს სიტყვებს იესო ქრისტეს ენების შესახებ. შემდეგ მოჭრის ქვედა მხარეს და სეფისკვერიდან ამოიღებს ნაწილს, რომელსაც ეწოდება ტარიგი, დაასვენებს ფეშხუმზე (ბეჭდით ქვემოთ) და განკვეთს ჯვარედინად. ეს ჯვარცმას გამოხატავს. შემდეგ ბეჭედს ზემოდან მოაქცევს და ლახვრით „განაღებს“ მის გვერდს (იოანე, 19,34). დიაკონი ბარძიმში ჩაასხამს ღვინოსა და წყალს (ღვინოზე გაცილებით ნაკლებს). ტარიგის მომზადების შემდეგ მღვდელი „აღმოიღებს“ ნაწილებს დანარჩენი სეფისკვერებიდანაც (ღვთისმშობლისა, წმიდა ცხრა დასისა – ანგელოზთა, ცოცხალთა და მიცვალებულთა), აგრეთვე მრევლისაგან შემოწირული სეფისკვერებიდან. ნაწილები განლაგდება ფეშხუმზე ტარიგის ირგვლივ. მას მღვდელი დაფარავს ვარსკვლავით, შემდეგ ბარძიმ-ფეშხუმს ცალ-ცალკე გადაეფარება მცირე დაფარნები, ორთავეს კი – დიდი დაფარნა, ამ დროს მღვდელი წარმოთქვამს ლოცვას, ევედრება ღმერთს, რომ მან დაიფაროს მორწმუნენი თავისი საფარველის ქვეშ. ბოლოს მღვდელი აკმევს წმ. ძღვენს და წარმოთქვამს წინადაგების ლოცვას და სრულდება განტყევა.

გელარი (ბერძ.) – მეკუჭნავე (იხ.). ეს ტერმინი ამ ფორმით გეხედება ქართულ ორიგინალურ ძეგლებში (პეტრიწონის ტიპიკონი, შიომღვიმის ტიპიკონი, „იოანეს და ეფთჳმეს ცხ-ში“ და სხვ.).

კერძო დიაკონი – იხ. ნახევარდიაკონი.

კვართი – საეკლესიო იერარქიის ყველა სასულიერო პირის სამოსი მღვდელმსახურების დროს, იგივე სტიხარი (ბერძ.). კვართი არის ქრისტეს სამოსელის სიმბოლური სახე. „კვართი უფლისა“, რომელიც მცხეთელმა ებრაელებმა ჩამოიტანეს იერუსალიმიდან ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ (მათ იგი ერგოთ წილისყრით) დაფლულია სვეტიცხოვლის სვეტის ქვეშ მიწაში.

კვერეკსი - მოკლე ლოცვათა წყება, რომელსაც ღვთისმსახურების დროს წარმოთქვამს დიაკონი და მის ყოველ მუხლზე მგალობლები მიუგებენ, ხან - „უფალო შეგვიწყალებ“; ხან - „მოგემადლენ უფალო“, ბოლოს კი - „შენ უფალო“. ყოველი კვერეკსი ბოლოვდება მღვდლის „ასამაღლებელით“. კვერეკსები სხვადასხვა სახისაა: 1. დიდი კვერეკსი („დიდი მშუდობიანი“); 2. მცირე კვერეკსი („მცირე მშუდობიანი“); 3. თხინებითი კვერეკსი („მოგუმადლენთაჲ“); 4. მრჩობლი კვერეკსი („ზევარდამოჲ“).

დიდი და მცირე კვერეკსები იწოდება „მშუდობიანად“, რადგან ორივე მათგანი იწყება მოწოდებით: „მშუდობით უფლისა მიმართ ეილოცოთ“.

კვერთხი - უმაღლესი იერარქის რეგალია, სპეციალური ჯოხი, დამსაღებელი ძელის, ხის, ან ლითონისაგან, მღვდელმთავრის საკუთრება, რომელიც მას ეძლევა მისი კურთხევის დროს, ლიტურგიის დამთავრების შემდეგ.

კვერთხი წარმოადგენს სამწყსოზე მწყემსის ძალაუფლების სიმბოლოს. იგი ეძლევა აგრეთვე არქიმანდრიტსა და მონასტრის წინამძღვარს, იღუმენს.

კირიელეისონი (ბერძ. „უფალო, შეგვიწყალებ ან უფალო, წყალობა ყაჯ“) - მოკლე ლოცვა - „უფალო შეგვიწყალებ“, რომელიც ნასესხებია ძველი აღთქმის საღვთო წერილიდან.

კათამეველების ლოცვების შესრულების დროს დიაკონი წარმოთქვამს თხოვნა-ვედრების მთელ წყებას და ყოველი მათგანის შემდეგ გუნდი გალობს - „უფალო შეგვიწყალებ“-ს, ხოლო მრევლი იმეორებს.

„კირიელეისონი“ ითქმის ყველა სახის ღვთისმსახურების დროს. თავდაპირველად ამბობდნენ 3-ჯერ, შემდეგ - 12-ჯერ, ბოლოს კი 100-ს მიადწია.

კლირიკოსი (ბერძ. „მემხრე“) - იხ. მემხრე.

კლიროსი (ბერძ. „მხარე“) - იხ. მხარი.

კმევა - საკმეველის დაწვა და აკვამლება, რომელსაც სიმბოლური მნიშვნელობა აქვს: იგი გამოხატავს ღვთისადმი მოწოდებას, სულიწმიდის მადლის გადმოსვლას (მოფენას), ლოცვის დიდებას და სხე. კმევის ლოცვას მღვდელი წარმოთქვამს მსხვერპლის (სეფისკეერის) კვეთაზე. კმევას იწყებენ ან საკურთხევილიდან, ან ტაძრის შუაგულიდან; აკმევენ საკურთხეველს ან მთელ ტაძარს, ზოგჯერ ტაძრის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს. აკმევენ მღვდელი და დიაკონი ერთად, ან ორივე - ცალ-ცალკე. კმევის დროს გამოისახება ჯვარი.

კმევის წესი ქრისტიანულ ეკლესიაში გადმოსულია ძველი აღთქმის მსახურებიდან და არსებობს მოციქულთა დროიდან (გამოცხ. 8,3).

კრეტსაბმელი (ბერძ. კატაპეტასმა) - კანკელის სამეფუო კარზე ჩამოსაფარებელი ფარდა, რომელიც ჩვეულებრივ მზადდებოდა ფარჩის, აბრეშუმის ან სხვა ძვირფასი ქსოვილისაგან. ღვთისმსახურების დროს კრეტსაბმელის გადახსნა აუწყებდა ხსნის საიდუმლოს გამოცხადებას, ღვთის ძის განხორციელებით ცათა სასუფეველის გახსნას, ხოლო დახ-

შვა – ადამიანის ცოდვილ არსებობას, რომელიც უკარგავს მას ცათა სასუფეველის სამკვიდრებელს.

„კუბოსკენილი“ – იხ. სკენილი.

კუნკული/კუნკულა – მონაზონის თავსაბურავი დიდი სქემის კუროხევის შემდეგ (მცირე სქემის კუროხევის შემდეგ მონაზონის თავსაბურავს კამიკლავა (იხ.) ეწოდება).

კურთხევა – 1. მღვდელმოქმედება, რომლის მეშვეობითაც ღვთიური მადლი გადადის პირებზე ან საგნებზე, რომელთათვისაც ეს რიტუალი სრულდება, როგორც გამაძლიერებელი, განმკურნებელი ან განმწმენდი ძალა.

კუროხევის უფლება აქვთ მხოლოდ მღვდლებსა და მღვდელმოაერებს.

2. დალოცვა, სამღვდლო პირის მიერ ჯვარის გადასახვა დასალოც პირზე ან საგანზე.

3. ხელდასხმა სასულიერო იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე.

4. ნებართვა, შენდობა.

ლამპარი – 1. ხელში დასაჭერი დიდი სასანოლე, ჩირაღდანი, რომელიც მიუძღვის მღვდელსა და დიაკონს დიდსა და მცირე შესვლასზე ლიტურგიის დროს.

2. ასე ეწოდება კანდელსაც, რომელსაც ანთებენ ღვთისმსახურების დროს ხატების წინ.

ლამპართა სიუხვე ღვთისმსახურების დროს მოასწავებს სულიერ სიხარულს.

მელამპრე (ბერძ. პრიმიკრიოსი) ეწოდება ლამპართა მომსახურე პირს (H 1353, 66; 85).

ლამპრობა – 1. ხალხურ-რელიგიური დღესასწაული სვანეთში, რომელიც იმართებოდა წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში მეზვერისა და ფარისეველის კვირიაკეს (1 თებერვალს). ძველად გავრცელებული იყო მთელ საქართველოში, ახლა მხოლოდ სვანეთში აღნიშნავენ. დღესასწაულის მიზანი იყო მოსაელიანობის, საქონლის, ადამიანის გამრავლებისა და კარგი ამინდის გამოთხოვა ღვთისაგან. ამ დღეს ყველას მოჰქონდა არყის ხის აღმოკიდებული ტოტები და ეკლესიის ახლოს დიდ ცეცხლს აჩაღებდნენ.

2. ლამპრობას „სვიმონობასაც“ უწოდებდნენ, რადგან ამ დღეს იხსენიებოდა სვიმონ ღვთის მიმრქმელი. ლამპრობა მირქმის რიტუალურ თავისებურებას წარმოადგენდა და მის სინონიმად მოიხსენიება (იხ. H 95, Xს. ხელნაწერი). ზოგიერთ კუროხევეანში (A 72; A 450) დაცულია „კურთხევა ლამპართა მიგებებისათა“.

ლარნაკი/ლუსკუმა – საეკლესიო ჭურჭელი, ლუსკუმა, რომელიც განკუთვნილია წმინდანთა წმიდა ნაწილების შესანახავად. ლარნაკში ჩვეულებრივ ჩასვენებულია ქსოვილზე შესრულებული „გარდამოკსნის“ ხატი, ამიტომ ლარნაკს ანუ ლუსკუმას სიმბოლოურად „ქრისტეს კუბოსაც“ უწოდებენ.

ლახვარი – ჯვრის ფორმის დანა სამკუთხა თავით, გაღვსილი ორივე მხარეს. მისი დახმარებით ხდება სეფისკეერის (სამსხვერპლო ტარივის)

კეთა (იხ.), შესაწირავი ძღვენის მომზადება-ამოღება და გვერდის გაღება ტარიგისა, ნაწილთა ამოკვეთა ღეთისმშობლისა და ყოველთა წმინდანთა, აგრეთვე ცოცხალ და გარდაცვლილ მოყვასთა მოსახსენებლად.

სიმბოლურად იგი განასახიერებს იმ ლახვარს, რომლითაც „განაღეს“ მაცხოვრის გვერდი ენების დროს (იოანე 19,34).

არსებობს ლოცვა ლახვრით, სნეულთათვის წასაკითხავი: მღვდელი აიღებს ლახვარს, ჯვარს გამოსახავს იმ ადგილას, სადაც ავადმყოფს სტიკია და წაიკითხავს სათანადო ლოცვას კურთხევანიდან.

ლექციონარი – ქრისტიანული სამრევლო და სამონასტრო ღეთისმსახურებაში სხვადასხვა დღესასწაულისა და დღისათვის დაწესებული წეს-განგება საკითხაურობითურთ ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან. არსებობდა ლექციონარების შედგენის სხვადასხვა სისტემა და ტრადიცია: საბაწმიდის, იერუსალიმის, კონსტანტინეპოლისა და სხე.

ქართული ლექციონარების უძველესი რედაქციების ფრაგმენტები შემონახულია „ხანმეტ“ და „პემეტ“ პალიმფსესტებში (V-VIII სს.). ლექციონარების ის რედაქცია, რომელსაც „ქართულ ლექციონარსაც“ უწოდებდნენ, არის „იერუსალიმის კანონის ანუ განჩინების“ ბერძნულიდან თარგმნილი ძველი და ასახავს ღეთისმსახურების იერუსალიმურ წესს V-VIII სს. მანძილზე, ქართული თარგმანის მიხედვით წარმართავენ ღეთისმსახურებას საქართველოს ეკლესიებში X ს. დასასრულამდე, ვიდრე იგი კონსტანტინეპოლის ტიპიკონის ტრადიციებზე გადავიდოდა („დიდი სვინაქსარი“).

ლიტანია – საყოველთაო ლოცვა ჯვრებით, საეკლესიო დროშებით, სანთლებითა და ხატებით, საზეიმო გალობით ეკლესიის გარშემოვლა.

ლიტანია სრულდება აღდგომის ცისკრის უამისწირვის წინ, ტაძრის დღესასწაულზე და სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში.

ძველ ქართულ ლიტურგიულ ძეგლებში „ლიტანიისაჲ“ ეწოდება „განსატევებელ ტროპარს“, რომელიც იგალობებოდა მწუხრისა და ცისკრის ლოცვების ბოლოს. ამ განსატევებელ ტროპარს მოსდევდა ეკლესიის საზეიმო გარშემოვლა.

გარშემოვლისას განუწყვეტილი იგალობებოდა განტევებითი ტროპარი, ეკლესიაში დაბრუნების შემდეგ კი სრულდებოდა მწუხრის (ან ცისკრის) განტევება.

ლიტურგია//ლიტურდია (ბერძ. „საზოგადო მსახურება“) – ქრისტიანული ღეთისმსახურების უმთავრესი სახე, რომელიც ძირითადად გულისხმობს საღვთო ძღვენის კურთხევას და ზიარებას.

ლიტურგია, სახარების თანახმად, დაწესებულია თვით მაცხოვრის მიერ საიდუმლო სერობაზე (მათე 26,20-30 და სხე.).

ლიტურგიის საყოველთაო წესები საბოლოოდ ჩამოყალიბდა IV ს-ში. სხვადასხვა დროს გაერცვლებული იყო ლიტურგიის წესების სხვადასხვა რედაქცია: მოციქულთა – იაკობის, მარკოზის, პეტრესი; ეკლესიის მამათა - ბასილი დიდის (+379წ.), იოანე ოქროპირისა (+407წ.) და გრიგოლ რომის პაპისა (-604წ.). ლიტურგიის სახელმძღვანელო წიგნს კონდაკი ანუ უამისწირვა ეწოდებოდა. ლიტურგიას ასრულებს

მღვდელმთავარი ან მღვდელი. ლიტურგია 3 ნაწილისაგან შედგება: 1. პროსკომიდია (კეთა); 2. კათაკმეველთა ლიტურგია; 3. მორწმუნეთა ლიტურგია.

ლიტურგია სრულდება წლის ყველა დღეს, გარდა დიდი პარასკევისა, ყველიერის ოთხშაბათისა და პარასკევისა...

ქველ ქართულში ლიტურგიის აღმნიშვნელ ტერმინად იხმარებოდა „ჟამისწირვა“ ან მოკლედ „წირვა“ (იხ. ჟამისწირვები: ბასილი დიდისა, იოანე ოქროპირისა და ა.შ.).

ლიტურგია (ბერძ.) – ქრისტიანული სასულიერო მწერლობის დარგი, რომელიც შეისწავლის ქრისტიანულ ღვთისმსახურებას, იკვლევს მის თეორიულ საფუძვლებს, განვითარების ისტორიულ პროცესებს და ტრადიციებს, საეკლესიო დღესასწაულების ციკლებს, ღვთისმსახურების შესრულების წესსა და რიგს და ა.შ.

ლიტურგია, როგორც სამეცნიერო დარგი, ჩამოყალიბდა XVII-ის-ში სასულიერო მოღვაწეთა თხზულებებისა და მრავალყეროვანი ლიტურგიკული კრებულების საფუძველზე.

ქრისტიანული ღვთისმსახურების სამმა ძირითადმა ელემენტმა – საკითხავებმა, ლოცვებმა და საგალობლებმა – განაპირობა ლიტურგიკული წიგნების სპეციფიკა.

ლიტურგია, როგორც დისციპლინა, ორ ნაწილად იყოფა: საზოგადო და კერძო ლიტურგიად. პირველის საგანია ღვთისმსახურების საფუძვლები საზოგადოდ, წარმოშობის ისტორია, ღვთისმსახურების შემადგენელი ნაწილები – საეკლესიო საიდუმლოთა, ლოცვათა, საგალობელთა, საკითხაეთა სახეები, აგრეთვე ეკლესიის მსახურთა, მათი სამოსელის და წმ. ნივთებთან დაკავშირებული საკითხები. კერძო ლიტურგიის საგანია ცალკეული ღვთისმსახურების განება.

ლოცვა – გონებით შეერთება ადამიანისა ღმერთთან, მოკრძალებული თხოვნა-ეედრება და ქება-დიდება ღვთისა. ბასილი დიდის სიტყვებით „ლოცვაჲ უბნობა არს გონებისა ღმრთისა მიმართ“ (A 81). ლოცვა ქრისტიანულმა ეკლესიამ მემკვიდრეობით მიიღო ძველი აღთქმის წიგნებიდან. მანვე ჩამოაყალიბა ლოცვის შესრულების ზოგიერთი აუცილებელი წესი, განსაზღვრა მისი დაწყების დრო, პერიოდულობა და სახეები. ქრისტიანობის მთავარი ლოცვაა „მამაო ჩუენო“. ქრისტიანული ლოცვის ელემენტები ნასესხებია იუდაისტური კულტურისაგან (ლოცვისას ფეხზე დგომა, ხელების აპყრობა, მუხლმოდრეკა). პირჯერის წესი კი მომდინარეობს მოციქულთა დროიდან.

ლოცვა სამი სახისაა: დიდებისმეტყველებითი, მადლობითი და თხოვნითი. ქრისტიანის პირადი ლოცვების კრებულს ეწოდება „ლოცვაჲნი“, ხოლო საზოგადო ღვთისმსახურებაზე წარმოსათქმელი ლოცვები მრავალყეროვანია და შეტანილია: ჟამში, კონდაკში, კუროხეანში, სადღესასწაულო თვენში, მარხეანში, ზატიკში და სხვ.

ღვთისმსახურების ლოცვა – სრულდება ქრისტიანობის უარისმყოფელთა ისევე ქრისტიანობაზე დაბრუნებისას მიღების წესის შესრულების დროს („ღვთისმსახურება“ ნიშნავს „განწმენდას“).

მადლი – დაუსაბამო თვისება ღვთისა, რომელიც მუდამ ადამიანის ცხოვრებისა და ცოდვილთა შეწყალების სახით; ძალა ღვთისა, რომლითაც მას შეუძლია წყალობა მიანიჭოს ადამის მოდგმის ცოდვილ კაცობრიობას.

საღვთო მადლის გარდამოსვლა არის შვიდი საეკლესიო საიდუმლოს მთავარი შინაარსი.

მადლობა – „ესე არს, რაჟამს მოვიხსენიებდეთ მადლსა ღმრთისასა“ (საბა). ღვთისადმი მადლობის შეწირვა არის საღვთო მსახურების – წირვისა და ლოცვის – ერთ-ერთი უმთავრესი შინაარსი. საღვთო ლიტურგიის ცენტრალურ მომენტს, უსისხლო მსხვერპლის კურთხევას მადლობითი კანონი (ბერძ. ევქარისტია) ეწოდება, რომელიც იწყება სიტყვებით: „მადლობთ უფალსა“.

მაზარა/მანტია – მონაზონის შავი ფერის შესამოსელი, რომელიც ფარავს მთელ სხეულს, თავის გარდა. სიმბოლურად გამოხატავს ფრთოსან ანგელოსს. ტანის მთლიანად დაფარვა ნიშნავს მკაცრი მონაზვნური ცხოვრებისა, მოკრძალებისა და სიმდაბლისა, რომ მონაზონის არც ხელი, არც ფეხი და არც სხვა ნაწილი აღარ ცხოვრობენ ამქვეყნიური საქმიანობისათვის. მანტიის ტარება სამონასტრო იერარქიის ყველა პირისათვის აუცილებელია ღვთისმსახურების დროს. მაზარა არის სამონაზვნო შესამოსელი, მანტიას კი ატარებენ არქიმანდრიტები და მონასტრის წინამძღვრები (იღუმენი), რომელიც არის ფერადი, ზემო და ქვემო კიდეებში დაკერებული აქვს კვადრატული ნაჭრები, რომლებიც გამოხატავენ „სჯულის ფიცარს“, რომლითაც ხელმძღვანელობენ ისინი.

„მამაო ჩუენო“ – უმთავრესი საუფლო ლოცვის დასაწყისი სიტყვები, რომელიც იესო ქრისტემ ასწავლა თავის მოწაფეებს. ეს ლოცვა მაცხოვარმა წარმოთქვა მთაზე ქადაგების დროს (მათე 6,9-13).

„მამაო ჩუენო“ შედგება: 1. მოწოდებისაგან; 2. შვიდი ეედრებისაგან და 3. შესხმისაგან.

მოციქულთა კანონების მიხედვით ეს ლოცვა წარმოითქმის დღეში სამჯერ (ხოლო წმ. ტერტულიანეს მიხედვით – საზრდელის მიღების წინაც).

მამასახლისი/მამა – მონასტრის წინამძღვარი.

„მანდილი ღვთისმშობლისა“ – დიდი დღესასწაული, რომელიც დაწესდა წმ. ანდრია სალოსისა (+936წ.) და მისი მოწაფის, ეპიფანეს ხილვის მოსახსენებლად. ხილვაში ღვთისმშობელი ცრემლით ლოცულობდა სოფლისათვის და მანდილით იფარაედა ქრისტიანებს (დღესასწაული X – ეთხევეა სვეტიცხოვლობას).

მარიამობა – იხ. „მიძინება ღმრთისმშობელ მარიამისი“.

მარტივლია – ასე ეწოდება სულიწმიდის მოყენის დღესასწაულს – აღდგომიდან 50-ე დღეს (ბერძ. „პენტეკოსტე“), იმ მოვლენის აღსანიშნავად, როდესაც „დამოწმდა“ ქრისტეს ღვთაებრიობა, რაც მის მიერ მოციქულებზე სულიწმიდის მოვლინებით აღსრულდა (ბერძ. „მარტყრი“ მოწმეს ნიშნავს).

მარწუხი – იხ. საზიარებელი კოეზი.

მარხვა (=შენახვა) – განსაზღვრული დროით ყოველგვარი ან ცალკეული სახის საკვების (განსაკუთრებით ხორცის, რძის პროდუქტების, კვერცხის, თევზის) მიღების აკრძალვის რელიგიური წესი.

მარხვა, რომელსაც განწმენდის მნიშვნელობა ენიჭებოდა, ქრისტიანებმა აიღეს იესოს ორმოცდღიანი მარხულობიდან (მათე 4,1-2), თუმცა მარხულობის ჩვეულება იუდეველებსაც აქონდათ. ძველი ჩვეულებით მარხულობა უკავშირდება მწუხარებას (მათე 9,14-15). ებრაელები გლოვის ნიშნად თავზე ნაცარს იყრიდნენ და საქვეყნოდ აცხადებდნენ თავიანთ მარხვას (მათე 6,16), რაც მიუღებელი იყო იესოსათვის (მათე 6,17-18).

მართლმადიდებელ ეკლესიაში დაწესებულია 4 ხანგრძლივი მარხვა: დიდი მარხვა (7 კვირა), მოციქულთა (პეტრე-პავლობის) მარხვა (1-დან 5 კვირამდე, დამოკიდებულია აღდგომის დღესე), მიძინების მარხვა (2 კვირა), ქრისტეს შობის მარხვა (6 კვირა). არსებობს ერთდღიანი მარხვები – ოთხშაბათსა და პარასკევს და სხვ.

დიდი მარხვისათვის დაწესებულ საგალობლების კრებულს „მარხუანი“ ეწოდება.

მახარებელი – მახარობელი, ვინც გვახარა იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრება; სახარების ავტორთა ეპითეტი.

სახარება ქრისტეს რამდენიმე მოწაფეს დაუწერია, მაგრამ ქრისტიანულმა ეკლესიამ კანონიკურად სცნო მხოლოდ ოთხი: მათესი, მარკოზისა, ლუკასი და იოანესი (დანარჩენ სახარებებს აპოკრიფული ეწოდებათ). მხოლოდ ეს ოთხი მოწაფე იწოდება „მახარებლად“.

„მდულარება“ – მდულარე წყალი, რომელიც ტარიგის (იხ.) განტეხისა და ბარძიმში ჩასვენებისას ჩაისხმის ჯვრის სახით. მდულარებას მოამზადებს მნათე და მიართმევს დიაკონს. დიაკონი აკურთხებიანებს მღვდელს და ჩაასხამს ბარძიმში. ამ დროს ითქმის: „მდულარება სარწმუნოებისა აღვსებულ არს სულითა წმიდითა, ამინ“.

მდულარება ჩაისხმის ბარძიმში ზიარების მთლიანად მიღების შემდეგაც ღვინოსთან ერთად, ბარძიმის გარეცხვის მიზნით, რათა შიგ არ დარჩეს ზიარების უმცირესი ნაწილიც კი. ამ ღვინოსა და წყალსაც მწირველი მღვდელი ან მისი თანამწირველი დიაკონი მიიღებს. იგი მომასწავებელია მორწმუნეთა სულიერი მდულარებისა (რომაელთა მიმართ 12, 11).

მევაჟინე – მონასტრის მოწესე, რომელსაც ევალებოდა მარნის მომსახურება და ღვინის წდევა (პეტრიწ. ტიპიკ. 167).

მეთიმონი//ეთიმონი (ბერძ. „ჩვენთან“) – დიდი სერობის სახელწოდება დასაწყისი გალობის („ჩვენ თანა არს ღმერთი“) პირველი სიტყვის მიხედვით. იხ. დიდი სერობა, საიდუმლო სერობა.

მეკუჭნავე – საოსტიგნეს (სურსათ-სანოვავის შესანახი ოთახი მონასტერში) გამგე, მონასტრის მწე. მისი ბერძნული შესატყვისია „კმლარი“, რომელიც ამ ფორმით იხმარება ქართულ ძეგლებში.

მემწირე – მონასტრის მოწესეთაგანი, რომელსაც ევალება გლახაკთა და მოგზაურთა გამასპინძლება (პეტრიწ. ტიპიკ. 181).

მემხრე – კლიროსზე (მხარზე) მდგომელი წიგნისმკითხველი (მეფ-სალმუნე, მედავითნე) და მგალობელი.

ადრე ქრისტიანულ ეკლესიებში მემხრენი წილის ყრით ირჩეოდნენ (კლიროსი - წილი). ანტიოქიის ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე კლირიკოსის წოდება მკითხველ-მგალობელთა გარდა ვრცელდებოდა დიაკვნებზე, მღვდლებსა და თვით ეპისკოპოსებზე. ანტიოქიის კრებამ ეს წოდება მიაკუთვნა პიპოდიაკვნებს (ეერძო დიაკვნები), მკითხველ-მგალობლებს და სხვა დაბალი იერარქიის მსახურთ.

მეუბლურე – უძღურთა და სნეულთა მომვლელი მონასტერში (პეტრიწ. ტიპიკ. გვ. 82.)

მესტუმრე – მონასტრის მოწესთაგანი, რომელსაც ევალება საპატიო სტუმრების გამასპინძლება (შუად. მემწირე) (პეტრიწ. ტიპიკ. გვ. 182).

მეტანია (ბერძ.) – იხ. მუხლმოდრეკა.

მეტკვეთილება – იხ. წინდაცვეთა.

მეფსალმუნე – იხ. წიგნისმკითხველი.

მეტურჭლე (ბერძ. სკოფილაქსი) – მონასტრის მოწესთაგანი, საეკლესიო საჭურჭლის (მატერიალური ქონების, ფინანსური საქმეების, განძისა და სიწმიდის სამსახურებლებისა და სხვა ნივთების) განმგებელი, მის შენახვასა და დაცვაზე მზრუნველი (სვინ. 14 IX).

მთავარდიაკონი – იხ. დიაკონი.

მთავარმოწამე – იხ. მოწამე.

მიგებება – იხ. მირქმა, მიმრქმელი.

მირონი – ნაკურთხი წმინდა ზეთი, რომელიც იხმარება ქრისტიანულ ეკლესიაში მირონცხების საიდუმლოს შესრულების დროს, ტაძრისა და წმინდა ტრაპეზის კურთხევისას, აგრეთვე მეფის კურთხევის დროს.

მირონი მოასწავებს „სურნელებასა სულისა წმიდისასა“. მირონს ამზადებენ 30-ზე მეტი სურნელოვანი ნივთიერებისაგან (ზეითუნის ზეთი, თეთრი ღვინო, საკმეველი, სხედასხვა ყვავილი, ვარდის ზეთი და სხვ.).

მირონის კურთხევის უფლება მხოლოდ მღვდელმთავრებს ჰქონდათ (კართ. ადგ. კრ. მე-6 კანონი). ამჟამად მირონი მზადდება მხოლოდ ავტოკეფალურ ეკლესიებში და მისი კურთხევის უფლება აქვს მხოლოდ ეკლესიის მეთაურს. მირონის ხარშვა იწყება ადღგომის წინ, დიდ ორშაბათს და სამი დღე გრძელდება (იკითხება სახარება, მორიგეობით). პატრიარქი მას აკურთხებს დიდ ხუთშაბათს საპატრიარქო ტაძარში, ბასილი დიდის საზეიმო წირვის შესრულების დროს (საქართველოში მირონი ჩამოჰქონდათ იერუსალიმიდან. ეფრემ მაწყვერელის მცდელობით ქართულმა ეკლესიამ IX ს-ში მოიპოვა მირონის დამზადებისა და კურთხევის უფლება).

მირქმა – საუფლო დღესასწაული, ერთ-ერთი „ათორმეტთაგანი“, სვიმეონ მართალის მიერ ჩეილი იესოს მირქმის (მიგებების, მკერდზე მიხუტების) მოსახსენებლად.

იუდეველთა სჯულის მიხედვით, ყოველი პირველშობილი ეკუთვნოდა ღმერთს (გამოსლ. 13,12-13), ამიტომ ებრაელებს ევალებოდათ პირველშობილი მე-40 დღეს ტაძარში მიეყვანათ. იესოს ტაძარში მი-

ყვანა ეუწყა სულიწმიდის მიერ მოხუც სვიმეონს, რომელსაც უწინასწარმეტყველეს, რომ მანამდე არ მოკვდებოდა, ვიდრე ხელში არ აიყვანდა (მიირქუამდა) ჩველ უყალს. იგი მოვიდა ტაძარში, ადიდა ღმერთი, ხელში აიყვანა ყრმა და წარმოთქვა: „აწ განუტევე მონაჲ შენი, მეუფეო, რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარებამ შენი...“ (ლუკა 2,9-32). ე.ი. სვიმეონი მოწმე გახდა მაცხოვრის მოვლინებისა ამ ქვეყანად. ამიტომ სვიმეონს ერთ-ერთ ძველ თხზულებაში (რომელიც მხოლოდ ქართული თარგმანით არის შემორჩენილი) - „გამოცხადებამ იაკობისი, სუმეონისი და ზაქარიასი“ (კიმენი II, 731-738) ნათქვამია, რომ სვიმეონ მართალი არის „პირველმოწამე“ და არა სტეფანე, რადგან მან პირველმა იწამა იესოს ღმერთობა, ის პირველი მოწმე იყო ამ მოვლენის (უძველეს ქართულში „მოწამე“ მოწმეს ნიშნავდა და არა „წამებულს“).

მიტევების კვირა – შენდობის კვირა, ასე ეწოდება ყველიერის ბოლო კვირა დღეს (ყველიერის აღების დღეს), რადგან მეორე დღეს იწყება დიდი მარხვა. ამ დღეს დაწესებულია მორწმუნეთა შორის ცოდვათა ურთიერთშენდობა (მიტევება, პატიება), რათა მარხვა თითოეულმა მორწმუნემ გაწმენდილი გულით შეასრულოს.

მწუხრის ღოცვის შემდეგ, ტიპიკონის თანახმად, უნდა შესრულდეს შენდობის წესი: უპირატესმა მლოცველმა უნდა წარმოთქვას ქადაგება ცოდვათა მიტევების შესახებ და თვითონ პირველმა მუხლის მოდრეკით უნდა ითხოვოს პატიება ყველას წინაშე. ამის შემდეგ თითოეული საეკლესიო დასთაგანი და მორწმუნე შენდობას ითხოვს ერთმანეთისგან.

მიტრა (ბერძ. „თავზე წასაკრავი“) – ხატებითა და ძვირფასი თვლებით მოჭედილი სამღვდელმთავრო გვირგვინი, რომელსაც მღვდელმთავარი წირვა-ლოცვაზე იხურავს.

ძველად საბერძნეთში მიტრას უწოდებდნენ თავსაკრავს, თავზე წასაკერელ ფართო ბაფთას, რომელიც ინასკებოდა კეფაზე და გრძელი ბოლოებით ზურგზე ეშვებოდა. დროთა განმავლობაში მოსარტყმელმა ბაფთამ მიიღო ქუდის ფორმა, რომელიც ზემოდან ღია იყო, წინა მხარეს კი – ამოქარგული ხატებით შემკული. XIII-დან მიტრა იღებს გვირგვინის ფორმას და იქცევა ეპისკოპოსის შესამოსელ აუცილებელ ნაწილად.

აღმოსავლეთის ეკლესიაში ეპისკოპოსის მიტრა სიმბოლურად მეფის მიტრას გაუთანაბრდა, რადგან ეპისკოპოსი მღვდელმსახურების დროს წარმოადგენს ზეცათა მეუფეს – იესო ქრისტეს. გარდა ამისა, მიტრა მიანიშნებს ეკლის გვირგვინს, რომელიც ქრისტეს დაადგეს თავზე (მათე 27, 29), აგრეთვე სუდარას, რომელიც დამარხვისას თავზე შემოახვიეს (იოან. 20,7).

საქართველოში მიტრას მღვდელმთავართა გარდა ატარებენ არქიმანდრიტები და ზოგიერთი დეკანოზი (მათთვის ეს ჯილდოა – ეს წესი დააკანონა მოსკოვის 1667წ. საეკლესიო კრებამ. პატრიარქისა და მიტროპოლიტების მიტრაზე აღმართულია პატიოსანი ქვებით მოოჭვილი ჯვარი).

„მიცემა მშუდობისა“ – მღვდელმთავრის ან მღვდლის მიერ მრევლის დალოცვა სიტყვებით: „მშუდობა ყოველთა“, „ნათელი მხიარულსა“ ზედა შევიდეს მღვდელი საკურთხეულად და მისცეს მშუდობა“ (სენ. 26, IX).

„მიძინება ყოვლადმიწდა ღმრთისმშობლისა“ – მარიამობა, ერთი „თორმეტაგანი“ საუფლო დღესასწაული, რომელიც ღვთისმშობლის გარდაცვალების – მიძინების დღის მოსახსენებლად არის დაწესებული.

საეკლესიო გადმოცემით, მთავარანგელოზმა გაბრიელმა ახარა მარიამს მისი ამქვეყნიური ცხოვრების დასასრულის – მიძინების ქამი. იგი დაკრძალეს მშობლებისა და მართალი იოსების გვერდით, გეთსამანიის ბაღში. როცა თომა მოციქულმა, რომელიც არ ესწრებოდა დაკრძალვას, მოინდომა მესამე დღეს თაყვანი ეცა ღვთისმშობლისათვის და აკლდამა გახსნეს, ნახეს, რომ იქ მხოლოდ სამოსელი დარჩენილიყო, ხოლო მარიამი ზეცად აღუმაღლებია თავის ძეს. იმავე საღამოს მოციქულთა ტრაპეზობის დროს მათ გამოეცხადა ღვთისმშობელი და უთხრა: „გიხაროდენ, მე თქვენ თანა ვარ მარად“. გახარებულმა მოციქულებმა ადამაღლეს ღვთისმშობლის სეფისკეერის ნაწილი და წარმოთქეს: „ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო, გეაცხოვნენ ჩუენ“. ამით საფუძველი დაედო პანაგიის წესს – ღვთისმშობლის ნაწილის ამადლებას, რომელიც დღემდე შემორჩენილია მონასტრებში.

„მკვდართა აღდგომა“ – იხ. საშინელი სამსჯავრო.

მნათე/კანდელაკი (ბერძ. პარაეკლესიარხი, რუს. **звонарь**) – ქრისტიანული ეკლესიის მსახური, რომელსაც ვეალება მღვდლის მომსახურება: ზეთის კანდელების ანთება, ნახშირის გაღვივება საცეცხლურში, მღვდლის წინ სანთლით გაძლოლა, მისთვის სხვადასხვა საღვთისმსახურო ნივთის მირთმევა, ზარების რეკვა, სეფისკეერის დაჭრა და სხვა დამხმარე საქმიანობა.

მოციქულები – იესო ქრისტეს რჩეული მოწაფეები, მისი მუდმივი თანამგზავრები და ქრისტეს ზეცად ამაღლების შემდეგ სხვადასხვა ქრისტიანული ქვეყნების ავტოკეფალური ეკლესიების მეთაურები.

თავიდან მოციქულების რიცხვი ოთხი იყო, შემდეგ მათ კიდევ რვა დაემატა და გახდა 12: პეტრე (სეიმონი), ანდრია პირველწოდებული, იაკობი, იოანე, მათე, ფილიპე, ბართლომე, თომა, იაკობ ალფეს ძე, თადეოსი, სიმეონ კანანელი, იუდა ისკარიოტელი. როდესაც ამ უკანასკნელმა ქრისტე გასცა და შემდეგ კი თავი ჩამოიხრჩო, დანარჩენმა 11 მოციქულმა მის ნაცვლად კენჭისყრით აირჩია მატათა – ქრისტეს 70 მოწამეთაგანი (საქმე მოციქ. 1,15-26).

ქრისტეს მოწაფენი უბრალო ადამიანები იყვნენ, მაგრამ სწორედ ისინი აირჩია ქრისტემ და ჩათვალა მოციქულობის ღირსად. უბრალო ადამიანების გაბრძნობით ქრისტემ არცხვინა უღმერთო სწავლულნი და ცხადად გამოაჩინა, რომ ის, რაც შეუძლებელია კაცთათვის, შესაძლებელია ღვთისათვის. მათზე გადმოვიდა სული წმიდა (საქმე, 2,1-13). მათ იქადაგეს ქრისტეს მცნებანი ქრისტეს სახელით მთელ მსოფლიოში და გაავრცელეს იგი (დაწერ. აღწერილია წიგნში „საქმე მოციქულთა“).

მოწამე (ბერძ. მარტივი) – ქრისტიანობის დაცვისათვის წამებული, რომელმაც თავისი სისხლით, სიცოცხლის ფასად დაადასტურა თავისი ერთგულება იესო ქრისტესა და ქრისტიანობისადმი.

როგორც ჩანს, „მოწამის“, როგორც ტანჯვისა და წამების გაგება, მეორეულია.

ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა არის მოწმე, ხოლო მორწმუნე, რომელიც თავისი ქრისტიანული მრწამსის დაცვას შეეწირა, ან სისხლი დაღვარა, არის მოწმე (მოწამე) ქრისტეს ღვთაებრიობისა და ქრისტიანული სარწმუნოების ჭეშმარიტებისა. ამას ადასტურებს ერთი თხზულება - „გამოცხადება იოანესი, სუმეონისი და ზაქარიასი“, რომელიც მხოლოდ ქართული თარგმანით არის შემორჩენილი (გამოც. კიმენი, II, გვ. 731-738), სადაც არის მსჯელობა, რომ პირველმოწამე სტეფანე (რომელიც აწამეს - ჩაქოლეს) კი არ არის, არამედ სვიმეონ მართალი, რომელმაც „მიირქუა“ 40 დღის ჩვილი იესო და უმოწმა, რომ ის არის მაცხოვარი, უფალი (სვიმეონი არ უწამებიათ). ე.ი. აქ მოწამე მხოლოდ მოწმეს ნიშნავს, ხოლო სვიმეონი არის „პირველმოწამე“, რადგან ის პირველი მოწმე გახდა ჩვილი იესოს ღმერთობისა.

მოწამეებს სხვადასხვა რანგით იხსენიებენ: მთავარმოწამე, დიდმოწამე, მღვდელმოწამე, ქალწულმოწამე, ღირსი მოწამე, პირველმოწამე (სტეფანე, თეკლა). მოწამეთა საფულავს „სამარტივილოჲ“-ს უწოდებდნენ.

მრველი (მრემლი) – 1. ქრისტიანული ეკლესიის მორწმუნეთა კრებულები; 2. სამწყსო.

მრწამსი – იხ. სარწმუნოების სიმბოლო.

მსგეფსი – შვიდეული, შვიდი დღე. ტერმინი „მსგეფსი“ იხმარება განსაკუთრებით იმ შვიდეულთა მიმართ, რომლებიც მთლიანად ხსნილია (ე.ი. არც ოთხშაბათ-პარასკევია მარხვა). წელიწადში ხუთი ასეთი მსგეფსია: 1. ქრისტეს შობიდან ნათლისღებამდე; 2. მეზვერისა და ფარისეელის კვირას (მის სწორამდე); 3. ყველიერის კვირას (ამ დროს ყოველი დღე ხსნილია რძის ნაწარმით და კვერცხით); 4. ბრწყინვალე შვიდეულში (აღდგომის დღიდან მის სწორამდე); 5. სულთმოფენობის კვირას (მის სწორამდე).

მსხვერპლშეწირვა – შესაწირავი ღვთისადმი, მადლობის ნიშნად ან შეწვევის სათხოვნელად, ცოდვათა მისატყვევლად ან ღვთიური მადლის მისაღებად.

მსხვერპლშეწირვის წესი უძველესი დროიდან იყო გავრცელებული მსოფლიოს ყველა ხალხის რელიგიებში.

წარმართული მსხვერპლშეწირვა სრულდებოდა წარმართული ღმერთებისადმი შესაწირავი ადამიანის მოკედინების რიტუალით. იუდაისტურმა სარწმუნოებამ, რომელმაც წარმართული მრავალღმერთიანობა შეცვალა ერთღმერთიანობით, სისხლიანი მსხვერპლშეწირვა გააგრძელა, მაგრამ ადამიანის ნაცვლად სწირავდნენ ცხოველს და ფრინველს. იყო ტრადიცია მოსაველის პირველნაყოფის შეწირვისა, რაც გაგრძელდა ქრისტიანობის დროსაც. მაგრამ ქრისტიანობამ დაამ-

კვიდრა უსისხლო მსხვერპლის შეწირვა, საღვთო მსხვერპლის – პურისა და ღვინის შეწირვის წესი – წმიდა ლიტურგია, რაც სიმბოლურად განასახიერებს იესო ქრისტეს სისხლსა და ხორცს, ქრისტეს შეწირვას - ჯვარცმას ადამიანის ცოდვების გამოსასყიდად.

მუხლმოდრეკა – დიდი მეტანია (იხ.), ღვთის თაყვანისცემის ძველი ფორმა, რომელიც ქრისტიანობაში გავრცელდა ოუდეველთაგან მოციქულთა დროიდანვე, ნიშანი სიმდაბლისა და მორწილებისა.

ნეოკესარიის ადგილობრივმა კრებამ დაადგინა მოხლმოდრეკის წესი მონანულთათვის ეკლესიაში შესვლის დროს.

მუხლმოდრეკა სრულდება აგრეთვე ლიტურგიაზე სხვადასხვა ლოცვის დროს, სასულიერო პირთა ხელდასხმის დროს. იგი განსაკუთრებით ხშირად სრულდება დიდი მარხვის დღეებში (გარდა კვირა დღეებისა), ზოგიერთი ლოცვის წარმოთქმის დროს (მაგ., ეფრემ ასურის ლოცვა სამი ან თექვსმეტი მეტანიით). მუხლმოდრეკა აუცილებელია მათთვის, ეინც ითხოვს სულიწმიდის მადლის გადმოსვლას მათზე.

მღვდელი – ეკლესიის მსახური, ხელდასხმული ეპისკოპოსისაგან, რომელსაც უფლება აქვს, შეასრულოს ყველა სახის ღვთისმსახურება და საეკლესიო საიდუმლო, გარდა მღვდლის კურთხევისა. მღვდლის კურთხევის დროს მასზე უხილავად გადმოდის სულიწმიდის მადლი, რომელსაც იგი უნაწილებს მორწმუნეებს. მღვდელს უფლება აქვს იქორწინოს ერთხელ.

მღვდელმთავარი – ზოგადი სახელწოდებაა იერარქიული სასულიერო პირებისა: 1. ქორეპისკოპოსი (ეპისკოპოსის მოადგილე მცირე ქალაქებში); 2. ეპისკოპოსი (ეპარქიის ხელმძღვანელი); 3. მთავარეპისკოპოსი (დიდი ეპარქიის ხელმძღვანელი); 4. მიტროპოლიტი (მთავარი ქალაქის ეპისკოპოსი); 5. კათოლიკოს-პატრიარქი, პატრიარქი (ავტოკეფალური ეკლესიის მეთაური).

მღვდელობა – საეკლესიო საიდუმლო, ერთ-ერთი შვიდ საიდუმლოთაგანი, რომლის დროსაც მღვდელმთავრის ხელდასხმით (ბერძ. ქიროტონია) სულიწმიდის მადლი გადმოდის გამორჩეულ პირზე და და ხდება მისი დადგენა საეკლესიო საიდუმლოთა აღმასრულებლად და ქრისტიანთა მწყემსად – მღვდლად. ამ საიდუმლოს შესრულება ტარდება სამღვდელმთავრო წირვაზე, საკურთხეველში, ტრაპეზის წინ, რადგან აუცილებელია, რომ ახალნაკურთხმა მღვდელმა ან ეპისკოპოსმა მონაწილეობა მიიღოს საღვთო ძღვნის კურთხევაში. მათი ხელდასხმა სრულდება მხოლოდ იოანე ოქროპირის ან ბასილი დიდის უამისწირვაზე. პირველ შეწირულის (გრიგოლ რომაელის) წირვაზე კი დასაშვებია მხოლოდ დიაკენად, ნახევარდიაკენად, წიგნისმკითხველად, მგალობად და მნათედ ხელდასხმა (ბერძ. ქიროტესია), რომლის დროსაც არ წარმოითქმის სულიწმიდის მადლის მოწვევის საიდუმლო სიტყვები.

მღვიძარება – სამონაზვნო მოღვაწეობის ერთ-ერთი სახე, რომელიც ეფუძნება მაცხოვრის მოწოდებას: „იღვიძებდით უკუე, რამეთუ არა იცით, რომელსა ჟამსა უფალი თქუენი მოვიდეს“ (მათე 24,42). საუბარია ქრისტეს მეორედ მოსვლისა და საშინელი სამსჯავროს დღეზე.

ამიტომ ქრისტიანი ყოველთვის მზად უნდა შეხედეს მას, ყოველი დღე ისე გაატაროს კეთილი საქმეების კეთებაში და მოყვასისადმი სიყვარულში, თითქოს ეს დღე უკანასკნელი იყოს მის ცხოვრებაში. სიფხიზლე და ლოცვა, იესოს თქმით, განსაცდელისაგან იხსნის ადამიანს (მათე 26,41).

მწუხრი – მწუხრის ლოცვა, ერთ-ერთი მთავარი საზოგადო ღვთისმსახურება, რომელიც სრულდება მწუხრის ჟამს, შებინძურებისას. მწუხრი ისევე, როგორც სხვა საზოგადო ღვთისმსახურება, შედგება მრავალი ლოცვის, საგალობლის, კვერექსისა და ასამაღლებლისაგან. მათი რიგი, თანმიმდევრობა დადგენილია ტიპიკონით. მწუხრის ჩატარების განგება დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ დღეს სრულდება იგი. მწუხრი სხვადასხვანაირია მარხვაში, ზატიკსა და წლის დანარჩენ პერიოდში.

დიდი დღესასწაულებისა და კვირა დღეების წინა საღამოს სრულდება ე.წ. „დიდი მწუხრი“, სადა დღეებში – ყოველდღიური მწუხრი.

„დიდ მწუხრსა“ და მასთან შეერთებულ „დიდ ცისკარს“ ეწოდება დამისთევის ლოცვა. დამისთევის ლოცვის წინ სრულდება „მცირე მწუხრი“.

მხარი – 1. მხარე, ფრთა, კლიროსი. მგალობელთა და მედავითნეთა ადგილი ამბიონის ორივე მხარეს, ჩრდილოეთისა და სამხრეთის კარების პირდაპირ; 2. მკითხველთა და მგალობელთა დასი, გუნდი. მარჯვენა მხრის მგალობელნი დგანან სამხრეთის კარის, ხოლო მარცხენა მხრისა – ჩრდილოეთის კარის პირდაპირ.

„მხარი“ სიმბოლურად გამოხატავს უფლისადმი ლოცვის აღმელენელ ანგელოზთა დასს.

ნათლისღება – ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი შვიდ საიდუმლოთაგანი, რომელიც ნიშნავს: ადამიანი, რომელმაც მიიღო ნათლისღება, დაიბადა ახალი სულიერი ცხოვრებისათვის, ის გახდა საეკლესიო საზოგადოების წევრი.

ნათლისღება სრულდება წყალში განბანით (ემბაზში ან მდინარეში), წყალში სამგზის ჩაყვინთვით და მღვდლის მიერ სათანადო ლოცვების წარმოთქმით. ნათლისღება დადგინდა იოანე ნათლისმცემლის მიერ იესო ქრისტეს მონათელის დროიდან.

მონათლენები, რომლებიც ნათლისღებას განაწყვეტენ, კათაკმეულებად იწოდებიან და მონათელამდე 2-წლიან მოსამზადებელ პერიოდს გადიან (ეს ვადა ზოგჯერ იზრდებოდა, ზოგჯერ მცირდებოდა). საზეიმო ნათლისღებას ასრულებენ ეპისკოპოსები აღდგომისა და სულთმოფენობის წინა დღით მდინარეებში ან ნაკადულებში, ხოლო IVს-დან – საგანგებო აუზებში, რომლებიც ეკლესიასთან იყო სპეციალურად აგებული, უფრო გვიან კი ეკლესიაში – ემბაზში. ნათლიას მიმრქმელი ეწოდებოდა.

ნათლისღება იესო ქრისტესი – ერთ-ერთი უმთავრესი ქრისტიანული დღესასწაული, „ათორმეტთაგანი“, რომელიც აღინიშნება 6 იანვარს, რადგან სახარების მიხედვით იოანე ნათლისმცემელმა ამ დღეს მონათლა იესო ქრისტე მდინარე იორდანეში, როდესაც იესოს 30 წელი შეუსრულდა და ინება ნათლისღება იოანესგან (მათე 3,13-17). ამ დღეს

„განცხადებასაც“ უწოდებენ, რადგან, როდესაც იესო წყლიდან ამოვიდა და ლოცულობდა, მტრედის სახით სულიწმიდა მოვიდა და მის თავთან გაჩერდა, ხოლო სეციდან მოისმა ხმა: „ესე არს ძმ ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვყავ“ (მათე 3,13,17), ე.ი. გაცხადდა იესოს ღმერთობა და სამების ერთარსობა. უძველესი დროიდან ქრისტიანები იესოს დაბადებას და ნათლისღებას ერთად – 6 იანვარს დღესასწაულობდნენ, მხოლოდ V-VI სს. შემდეგ დაწესდა შობის დღესასწაულად 25 დეკემბერი. სხვათა შორის, ამ ორი დღესასწაულის განგება, რომელიც ტიპიკონშია წარმოდგენილი, ერთმანეთის მსგავსია.

„ნაწილნი წმიდანანი“ – წმინდანთა ნეშტი, მათი სასწაულმოქმედი წმიდა ნაწილები, დაცული უხრწნელად, რომელიც ეკლესიის დიდ სიწმიდეს წარმოადგენდა და უძველესი დროიდან თაყვანისცემის საგანი იყო. საღვთო წერილის თანახმად, წმინდანთა სხეული არის ტაძარი სულიწმიდისა და მათ შეუძლიათ სულიწმიდის მადლის გადმოცემა.

საეკლესიო კრებებზე დადგინდა, რომ არცერთი ეკლესია არ უნდა აშენდეს წმინდანთა და მოწამეთა წმინდა ნაწილების გარეშე და წირვა უნდა შესრულდეს წმინდა ნაწილებზე.

ამჟამად თითოეულ მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს წმინდა ნაწილები, რომელიც ჩაკერებულია ოდიკში (სიმბოლური საკურთხევის ტრაპეზში).

ნეტარი – 1. წმინდანთა ეპითეტი, ყოველივე სიკეთით და სათნობით შემკული, სრულქმნილი.

2. სალოსების („ქრისტესთუხს სულელი“) ეპითეტი: ბედნიერი, ნეტარების ქვეშ მყოფი.

3. მრავალი მღვდელმსახურის ეპითეტი – ნეტარი გრიგოლი ანტიოქელი, ნეტარი ავგუსტინე და სხვ. ნეტარია ადამიანი, რომელიც განსაცდელთა დათმობით ცხოვნების გეირგეინს მიიღებს (იაკ. I, 12).

იესო ქრისტეს მოძღვრება ნეტარების შესახებ (მათე 5,3-12) ახალი აღთქმის საფუძველია. მასში ჩამოყალიბებულია ქრისტიანის იდეალური სახე: თავმდაბლობა, სინანული ცოდვების გამო, სიმშვიდე, მოწყალება, გულის სიწმინდე, სიმართლისათვის ყველაფრის დათმენა, მშვიდობისმყოფელობა და სხვ.

ოდიკი (ბერძ. „მაგიდის ნაცვალი“) – აბრეშუმის ქსოვილის ნაჭერი, რომელშიც ჩაკერებულია წმ. ნაწილები და დასვენებულია საკურთხეველზე, ტრაპეზის მაგიერობის შემსრულებელი, როდესაც ამის საჭიროებაა ეკლესიის გარეთ.

წმ. ნაწილები ჩაკერებულია იმ ჩვეულების გამოსახატავად, როდესაც საღმრთო ლიტურგია ტარდებოდა მოწამეთა საფლავებზე.

ეკლესიის კურთხევა უნდა ჩაატაროს ეპისკოპოსმა. ზოგჯერ ეკლესიათა კურთხევა მისი სიშორის გამო ვერ ტარდებოდა ადგილზე, ამიტომ ეპისკოპოსი აკურთხებდა ოდიკს და გზავნიდა იქ, სადაც თვითონ ვერ ჩავიდოდა.

ოლარი – მღვდლისა და დიაკონის სამოსელი, ლოცვის დროს გამოსაყენებელი ხელსახოცი.

ომფორი - იხ. საბეჭური.

პანაგია/პანაღია (ბერძ. „ყოვლადწმიდა“) - 1. თავდაპირველად ეწოდებოდა სეფისკეერის ნაწილს, რომელიც პროსკომიდიის დროს ნაკვეთი (ამოღებული) იყო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მოსახსენებლად. ამ ნაწილს ინახავდნენ საგანგებო ყუთში, რომელსაც **პანაგია** ეწოდებოდა. წირვის ბოლოს ეს ყუთი სეფისკეერით გადაქონდათ სატრაპეზოში, რათა თითოეულ მონაზონს მიეღო მისი თითო ნაწილი სადილის დაწყებამდე და თითოც - სადილის დასასრულს. მოგვიანებით პანაგია ეწოდა თვით პანაგიარს. ბოლოს ამ ყუთს გაუკეთეს ერთ მხარეს ღვთისმშობლის, მეორე მხარეს მაცხოვრის ან წმ. სამების გამოსახულება და მკერდზე ატარებდნენ მღვდელმთაერები, როგორც განმასხვავებელ ნიშანს. ზოგჯერ პანაგიაში წმინდანთა ნაწილებსაც ინახავდნენ.

2. საწიადე ხატი (ენკოლპიონი), გულზე ჩამოსაკიდებელი მედალიონისებრი პატარა მოჭედილი ხატი ღვთისმშობლის, მაცხოვრის ან რომელიმე საუფლო დღესასწაულის გამოსახულებით. მისი ტარების უფლება მხოლოდ მღვდელმთაერებს აქვთ. წმ. ნაწილების მასში შენახვა სავალდებულო არ არის. პანაგიას ამზადებენ როგორც ლითონისაგან (ჩამოსხმული, გამოჭედილი, მინანქრით და სვეადით მორთული), ისე სპილოს ძელისაგან, ხისა და რბილი ქვისაგან.

3. გულზე ჩამოსაკიდი, მედალიონში ჩასმული ღვთისმშობლის იკონოგრაფიული სახე, ყრმა იესოს გამოსახულებით.

პანაგიის ამაღლების წესი - იხ. ამაღლება.

პარკელესიარხი (ბერძ.) - „რომელ არს სანთლის აღმთებელი“ (ტიკიკონი ანტონ I-ის რედაქციით). იხ. მნათე.

პასექი - იხ. აღდგომა.

პერეკელი - იხ. დაფარნა.

პირჯვარი - მორწმუნის მიერ ჯვარის გამოსახვა ხელით საკუთარ სხეულზე, რომელიც მომდინარეობს მოციქულთა დროიდან და სიმბოლურად გამოსახავს ჯვარცმულ იესო ქრისტეს (ჯვრის გამოსახვა იწყება შუბლიდან მკერდზე, შემდეგ მარჯვნივ და მარცხნივ).

ჯვარს გამოსახავენ აგრეთვე რომელიმე საგანზე მისი კურთხევის დროს.

პრიმიკრიოსი (ბერძ.) - „პრიმიკრიოსი, რომელ არს მელამპრე“ (H 1353, 66, 85). იხ. მელამპრე.

პროსკომიდია (ბერძ. - მიტანა, მირთმევა) - იხ. კვეთა.

ჟამი - დრო, საათი. ებრაელები დღისა და ღამის საათებად დაყოფისას (12-12 საათი) ღამეს, რომაელთა მსგავსად, ოთხ ნაწილად ჰყოფდნენ და თითოეულს „საკმილავს“ (ღამის სადარაჯო დრო) ეწოდებდნენ. თითოეული მათგანი 3 საათს გრძელდებოდა.

პირველი „საკმილავი“ იწყებოდა მზის ჩასვლიდან (საღამოს 7 საათი), გრძელდებოდა 3 საათს (7, 8, 9) და ეწოდებოდა „მწუხრი“ (მარკ. 11,19). მეორე იწყებოდა „მწუხრის“ დამთავრებიდან (ღამის 10სთ.) და გრძელდებოდა 3 საათს (10, 11, 12) შუალამემდე (ღამის 12სთ.) და ეწოდებოდა „შუალამე“ (მათე 25,66). მესამე „საკმილავი“ იწყებოდა

„შუალამის“ გასელიდან (ლამის 1 საათი), გრძელდებოდა 3 საათი (1, 2, 3) და ეწოდებოდა „ქათმისჯმობა“ (მარკ. 13,3,4). მეოთხე იწყებოდა „ქათმისჯმობის“ დამთავრებიდან (დილის 4 სთ.), გრძელდებოდა 3 საათს (4, 5, 6) და ეწოდებოდა „განთიადი“ (მარკ. 13,34) ან „ცისკარი“.

დღის საათებიც ლამის დაყოფის ანალოგიით 4 ნაწილად გაიყო, პირველს ეწოდებოდა „ჟამი პირველი“ (7, 8, 9 საათები), მეორეს - „ჟამი მესამე“ (10, 11, 12 საათი), მესამეს - „ჟამი მეექვსე“ (შუალდის 1, 2, 3); მეოთხეს - „ჟამი მეცხრე“ (ნაშუადღ. 4, 5, 6). ქრისტიანულმა ეკლესიამ შეითვისა ეს დაყოფა და თითოეულს თავისი მსახურება მიუსადაგა. ასე ჩამოყალიბდა ყოველდღიური საზოგადო ღვთისმსახურება, რომელმაც შეინარჩუნა სახელწოდებები: „მწუხრი“, „სერობა“, „შუალამის ჟამი“, „ცისკრის ჟამი“, „ჟამი პირველი“, „ჟამი მესამე“, „ჟამი მეექვსე“, „ჟამი სამხრისა“ (ლიტურგია ანუ ჟამისწირვა), „ჟამი მეცხრე“.

„ჟამი მეექვსე“ - ყოველდღიური საეკლესიო ღვთისმსახურება, რომელიც სრულდება „მეექვსე ჟამს“, ე.ი. 1-3 საათებში, ლიტურგიის წინ. „მეექვსე ჟამის“ მსახურება შემოღებულია სახარების იმ ეპიზოდის მოსახსენებლად, როდესაც იესო ქრისტე სამსჯავლებით (ღურსმნებით) მიატყდას ჯვარზე, რომელიც გოლგოთამდე თვით მან ზიდა („და იყო პარასკევი პასექისა და ჟამი იყო მეექვსე... სადა-იგი ჯუარს აცუეს“ (იოანე, 19,14-18). მსახურებაზე იგალობება „სამფსალმუნი“ - 53-ე, 54-ე და 90-ე ფსალმუნები, რომელშიც წინასწარმეტყველებით მითითებულია იუდას გამცემლობა, უფლის ენება, სიბნელე, რომელმაც დაფარა ქვეყანა „მეექვსე ჟამიდან“ „მეცხრე ჟამამდე“. ამ დღის მსახურებაში შეერთებულია მეექვსე ჟამის მსახურება მესამე და მეცხრე ჟამის მსახურებასთან, ხოლო საუფლო დღეებში ყველა ჟამის მსახურება ერთად სრულდება; პასექის დღეებში არ სრულდება „სამფსალმუნის“ ფსალმუნები (ამ დღის მასალა წარმოდგენილია „ჟამნში“ და „კონდაკში“, ხოლო განგება - „ტიპიკონში“).

„ჟამი მესამე“ - ყოველდღიური საეკლესიო ღვთისმსახურება, რომელიც სრულდება „მესამე ჟამს“, ე.ი. დილის 10-12 საათზე, ლიტურგიის წინ.

იგი შემოღებულია სახარების ორი ეპიზოდის მოსახსენებლად: 1. მესამე ჟამს ჯვარს აცუეს იესო ქრისტე („ხოლო იყო ჟამი მესამე და ჯუარს აცუეს იგი“ (მარკ. 15,24).

2. „ჟამსა მესამესა“ სულიწმიდა გადმოვიდა მოცუქულებზე.

ამ ფაქტების შესაბამისად ღვთისმსახურებაზე იგალობება „სამფსალმუნი“ - მე-16, 24-ე და 50-ე, რომლებშიც ვედრებასთან ერთად, რომ უფალმა გვესწავლოს სიარული მის ნაკვალეზე, გამოხატულია უფლის ამქვეყნიური ცხოვრების ვნების გზა მტრების გარემოცვაში, შეცოდებანი უფლის წინაშე, ცოდვების მონანიება და ვედრება სულიწმიდის მოფენაზე.

დიდმარხვის დღეებში მესამე, მეექვსე და მეცხრე ჟამის მსახურება სრულდება ერთად, ხოლო „სამეუფო ჟამის“ დღეებში სრულდება ერთად ყველა ჟამის (1, 3, 6, 9) მსახურება. პასექის დღეებში ყველა ჟამის, მათ შორის მესამე ჟამის მსახურება სრულდება „სამფსალმუნის“ გარეშე (დაწერ. იხ. „ჟამნში“, „კონდაკში“ და „ტიპიკონში“).

„ჟამი მეცხრე“ - ყოველდღიური საეკლესიო მსახურება, რომელიც სრულდება „მეცხრე ჟამს“, ე.ი. ნაშუადღევის 3-6 საათებში, მწუხრის ღვთისმსახურების წინ, იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების იმ ეპიზოდის მოსახსენებლად, როდესაც მან, ჯვარცმულმა, წამებისა და დამცირების შემდეგ სული განუტევა („...და მეცხრე ჟამსა ვმა-ყო იესუ ვმითა დიდითა... და განუტევა სული“ - მარკ. 15,32-35). ამ ეპიზოდის მოხსენიების შესაბამისად მსახურებაზე სრულდება „სამუსალმუნი“ - 83-ე, 84-ე და 85-ე, რომლებშიც გადმოცემულია წინასწარმეტყველება ადამიანთა ცოდვების უფლის მიერ გამოსყიდვისა, მაცხოვრის ჯოჯოხეთში ჩასვლისა ცოდვილთა სულების გამოსახსნელად (დაწერ. იხ. მასალა - „ჟამნი“, „კონდაკი“, ხოლო განგება - „ტიპიკონში“).

„ჟამი პირველი“ - ყოველდღიური ღვთისმსახურება, რომელიც სრულდება შპის ამოსვლის ჟამს (7 საათიდან), ამიტომ ხშირად მას „შპისაჲ“ ეწოდება. იგი დაწესებულია სახარების იმ ეპიზოდის მოსახსენებლად, როდესაც ბორკილდადებული იესო ებრაელთა მღვდელმთავარ კაიაფასგან წამოიყვანეს და იუდეველთა მეფისნაცვლის, პილატეს წინაშე წარადგინეს (იოან. 18,27-28).

დიდმარხვის ჟამის ღვთისმსახურება (ყველა ჟამისა) სრულდება: 1. ყველიერის ოთხშაბათს და პარასკევს, მაგრამ თუ ამ დღეებს საეკლესიო დღესასწაული დაემთხვა, შესრულდება ყველა ჟამის ჩვეულებრივი მსახურება. ასეთი დღესასწაულებია: მიგებება (2 თებერვალს) და ეკლესიის დღესასწაული. 2. დიდმარხვის 1, 2, 3, 4, 5 და 6 კვირიაკეების ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს. 3. ვნების კვირიაკის ორშაბათს, სამშაბათს და ოთხშაბათს. „სამეფო ჟამის“ პირველი ჟამის მსახურება შეერთებულია მესამე, მეექვსე და მეცხრე ჟამის ღვთისმსახურებასთან.

პასექის დღეების განმავლობაში, მთელ ბრწყინვალე შვიდეულში, შაბათის ჩათვლით, „პირველი ჟამის“ მსახურება სრულდება „სამუსალმუნის“ გარეშე (დაწერ. იხ. „ჟამნი“, „კონდაკი“ და „ტიპიკონი“).

ჟამისწირვა (ბერძ. „ლიტურგია“) - ღვთისმსახურების უმთავრესი ნაწილი მართლმადიდებლურ ეკლესიაში, წმინდა უსისხლო მსხვერპლის შეწირვისა და მორწმუნეთა ზიარების საიდუმლოს მსახურება. სადღეღამისო მსახურების დანარჩენი განგებანი (მწუხრი, სერობა, შუადამე, ცისკარი, ჟამები (1, 3, 6, 9) წარმოადგენს მორწმუნეთა მომსახურებას ჟამისწირვისათვის. რადგან ჟამისწირვა თვით უფლის მიერ არის დადგენილი საიდუმლო სერობაზე ადამიანებისადმი მისი სიყვარულისა და ღვაწლის მადლობით მოსახსენებლად, ამიტომ ჟამისწირვას ექპარისტიასაც (ბერძ. „მადლობა“) უწოდებენ. ჟამისწირვის შესრულების უფლება აქვს მხოლოდ ეპისკოპოსს ან მღვდელს (ხუცესს).

ჟამისწირვის წეს-განგება სხვადასხვა დროს შეადგინეს მოციქულებმა (პეტრე, იაკობ, მარკოზ და სხვ.), შემდეგ კი წმ. მამებმა (ბასილი დიდმა, იოანე ოქროპირმა, გრიგოლ რომაელმა - იხ. მათი ჟამისწირვები). ლოცვები და კვერექსები ჩაწერილია „კონდაკში“.

საბანელი - იხ. ემბაზი.

საბანი – შესამწრალებელი ტილო ნათლისდების შემდეგ: „შთაუხვას საბანთა აღმომქუმელსა“ (Sin. 73, 25v).

საბეჭური – ახლად აღკვეცილი მონაზენის სამოსელი, უსახელო, ბეჭებზე მოსასხამი და გულმკერდზე ლითონის შესაკრავით – პალეკარტი (ბერძ.).

ძველად საბეჭურს იცვამდნენ ჟამისწირვის დროს, ხოლო ფელონს (იხ.) – ცისკარზე და მწუხრზე. მას ზოგჯერ „სამდღელო ზეწარსაც“ უწოდებდნენ (ილარიონ ქართ. ცხოვ., ძეგლები II).

ათონის პერიოდამდე (Xს. II ნახ.) საბეჭური ეწოდებოდა სამდღელო სამოსელს, ხოლო უფრო გვიან იგი მხოლოდ სამონაზვნო სამოსელი გახდა.

გეხედება საბეჭურდის სინონიმად „სამჭარც“ (სამხარი): „აკურთხონ მონაზონად და შექმოსონ სამჭარც“ (სამ. ძეგლ., III, 11).

საბლარდნელი - „სპეტაკი იგი სამოსელი და ჯუარის-სახე საბლარდნელი მოასწაევებს ჯუარცუმასა და საგრაგნელთა ქრისტესთა ტილოთა მათ და სუდარასა“ (გერმანე კონსტანტინეპოლელი, სახისმეტყვე. განმარტება საღ. ლიტურგიისა, თბ., 2002, გვ. 23).

საბუხრები - „სამდღელო შესამოსელთაგანი, მაჯებზედ შესაცმელი“ (ნ. ჩუბინაშვილი, ლექსიკონი).

სადიაკენე/საჭურჭლე – იხ. საკურთხეველი.

საკმეველი – იხ. კმევა.

საკურთხეველი – მართლმადიდებელი ტაძრის ამალღებული დასაველეთი ნაწილი, რომელიც შუა ეკლესიისაგან გამოყოფილია მაღალი კანკელით და სადაც ტარდება ღვთისმსახურება. საკურთხეველის შუა ადგილას დგას ტრაპეზი, კვადრატული მაგიდა, რომელზედაც გადაფარებულია ჯერ არდაგი, რომელიც გამოხატავს იმ არდაგს, რომელშიც შეგრაგნეს იესო ქრისტეს გვაში დასაფლავების წინ, შემდეგ ინდიტი და ილიტონი, ხოლო ტრაპეზზე ძვეს ოდიკი, ჯვარი და სახარება. ოდიკის ქვეშ დადებულია წმინდანთა წმინდა ნაწილები, იმ დროის მოსაგონებლად, როდესაც ლიტურგია სრულდებოდა წმინდანთა საფლავებზე. ტრაპეზზე ტარდება უსისხლო მსხვერპლის შეწირვა, ე.ი. ჟამისწირვა. საკურთხეველის აღმოსავლეთ კედელთან ეწყობა წმ. ტახტი მღვდელმთავრისათვის, ხოლო ორივე მხარეს, დაბლა – მღვდელმთავრის. საკურთხეველის ჩრდილოეთ მხარეს არის სამკვეთლო, სადაც დგას მაგიდა, რომელზედაც წმ. მსხვერპლი იჭრება-იკვეთება და ტარდება პროსკომიდია. სამკვეთლოდან წმ. მსხვერპლი გადმოაქვთ ტრაპეზზე, სადაც ტარდება ჟამისწირვა (ლიტურგია). საკურთხეველში სამხრეთით მოთავსებულია სადიაკენე ანუ საჭურჭლე, სადაც ინახება წმ. ჭურჭელი, საეკლესიო სამოსელი, წიგნები და ღვთისმსახურებისათვის საჭირო სხვა ნივთები. აქ იმოსებიან ღვთისმსახურების დაწყების წინ მღვდელმსახურნი.

ერთ ტრაპეზზე ლიტურგიის ჩატარება შეიძლება მხოლოდ ერთხელ დღის განმავლობაში.

ძველ ძეგლებში საკურთხეველს ზოგჯერ „სამსხვერპლოსაც“ უწოდებენ.

სიმბოლურად საკუროთხვეელი არის უყლის საყლავეი, სადაც მან საკუთარი ხორცი შესწირა, ამასთანავე ტახტი, სადაც მეუფე ქრისტესის მოციქულებთან ერთად.

სამარტივლე - იხ. მოწამე.

სამეფო კარი - იხ. კანკელი.

სამკვეთლო - საკუროთხვეელში ჩრდილოეთის მხარეს გამზადებული ადგილი, ან ცალკე გამოყოფილი სათავსო, სადაც სრულდება სეფისკვერის, ანუ უსისხლო მსხვერპლის კეთა, პროსკომიდია. სამკვეთლოში დგას ოთხკუთხა მაგიდა, რომელიც საკუროთხვეელის ტრაპეზის (სამსხვერპლოს) მსგავსად არის შემოსილი: ქვედა საფარი გამოხატავს იმ არდაგს, რომელშიც შეახვიეს ქრისტეს გვამი დასაფლავების დროს, ხოლო ზედა საფარი - ინდიტი იმავე ქსოვილისა და ფერისაა, როგორც სამღვდლო სამოსელი.

სამკვეთლოს მაგიდაზე ინახება საეკლესიო წმინდა ჭურჭელი ლიტურგიისათვის. ძველ საეკლესიო წყაროებში სამკვეთლოს ხშირად „სამსხვერპლოსაც“ უწოდებდნენ.

სამრეკლო - ეკლესიაზე დაშენებული, ან ეკლესიის მახლობლად აღმართული მაღალი კოშკისებური ნაგებობა, რომელშიც ჩამოკიდებულია საეკლესიო ზარები.

სამრეკლო საქართველოში პირველად ჩნდება XIII-ში (გუდარეხის, 1278წ.), დასავლეთში - VIII-ში.

სამრეკლოს ორსართულიანი შენობის I სართული ხშირად ეკლესიის გალავანში შესასვლელ კარს წარმოადგენდა, მეორე - საკუთრივ სამრეკლოს.

სამსხვერპლო - იხ. სამკვეთლო.

სამწერობელი - გრძელტარიანი რიტუალური მარაო, რომლითაც დიაკვნები მღვდელმსახურების დროს ტრაპეზს უნიავებენ, რათა წმ. სამსხვერპლოზე ბუზი არ დაჯდეს. „სამწერობელნი მოასწავებენ ექუს-ფრთეთა სერაფიმთა და სიმრგუაღესა მრავალ თუაღთა ქერობითასა“ (გერმანე კონსტანტინეპოლელი, გვ. 45-46).

სანთელი - პატრუქზე ჩამოსხმული ცილინდრული ფორმის ცვილი, ღვთისმსახურების აუცილებელი ელემენტი, რომელიც ინთება მლოცველთა ანთებული გულების ღვთისადმი სიყვარულის გამოსახატავად. ღვთისმსახურების დროს ანთებულ სანთელთა სიმრავლე გამოსატავს სულიერ სიხარულს.

სანთელი იხმარება ქრისტიანთა პირველი დევისის დროიდან. ცნობილია, რომ კონსტანტინე დიდის დროს, აღდგომის დღესასწაულზე კონსტანტინეპოლი განათებული იყო ლამპრებით (ზეთის) და ცვილის სანთლებით.

„სანთლის მიცემაჲ კვლსა ნათელღებულსასა აჩუენებს, ვითარმედ: რომელნი-ესე ვიყვნით ბნელსა მას შინა ცოდვისასა, ვიხილეთ ნათელი იგი დიდი - ქრისტე ღმერთი ჩუენი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, რომელი მოვალს სოფლად“ (გერმანე კონსტანტინეპოლელი, 23-24).

„სარტყელი ღვთისმშობელისა“ - საეკლესიო დღესასწაული (31. VIII), „დიდებაჲ და თაყუანისცემაჲ პატიოსნისა სარტყელისა წმიდი-

სა ღმრთისმშობელისაჲ“, რომელიც „საქმე მოციქულთა“-ს მოწმობით დაწესებულია იმ ფაქტის აღსანიშნავად, რომ ღმრთისმშობელმა თავისი სარტყელი მიაბარა თომა მოციქულს. მიძინების შემდეგ იგი ინახებოდა იერუსალიმში, შემდეგ დაიდო კონსტანტინეპოლის ლაქერნის ტაძარში. ამ სარტყლის ნაწილები სხვა მონასტრებთან (ათონის, ვატიკანის, ტირის) ერთად საქართველოშიც ინახება.

სარტყელი წარმოადგენს აგრეთვე სამონაზვნო სამოსელსაც, რომელიც „მოასწავებს მოკუდინებასა კორციელთა ენებათასა, ვითარცა სარტყელი იგი არს ტყავისა მკუდრისა...“ (გერმანე კონსტანტინეპოლელი, გვ. 26).

„სარღუნელი“ – ზიარების შემდეგ დასაყოლებელი წყალ-ღვინო, რომელიც რჩება ბარძიმში „მღუღარების“ შემდეგ და რომელმაც უნდა წარეცხოს („წარღვნას“) ზიარების უმცირესი ნაწილაკებიც კი. ეს ტერმინი გეგედება ნათლობის პოსტ-ათონურ წეს-განგებაში („კურთხევანი“).

სასანთღვე – საეკლესიო შანდალი ერთი და მეტი სანთლისათვის. ორსანთლიან სასანთლეს ეწოდება დიკირი, სამსანთლიანს – ტრიკირი, 7-12 სანთლიანს – პოლიკანდელი, უფრო მეტი რაოდენობისას – პანიკანდელი და ა.შ.

სატრაპეზო – ქრისტიანული მონასტრის ერთ-ერთი ნაგებობა, რომელიც მოიცავს მონაზვნების ტრაპეზისათვის (პურობის) განკუთვნილ დარბაზსა და სამლოცველოს, აგრეთვე დამხმარე სათავსოებს (სამზარეულოს, საწყობს და სხვ.). ჩვენამდე მოღწეული სატრაპეზოების ნაწილი შემკულია მონუმენტური ფერწერის ნიმუშებით (ბერთუბანი და სხვ.).

სატფურება – იხ. განახლება ეკლესიისა.

საფსალმუნე – იხ. ამბიონი.

საშინელი სამსჯავრო – სამსჯავრო, რომელსაც მოაწყობს იესო ქრისტე მეორედ მოსელის დროს („არცადა მამად სჯის არავის, არამედ ყოველი სასჯელი მოსცა ძესა... და ჴელმწიფებაჲ მოსცა მას სასჯელისადაცა ყოფად, რამეთუ ძე კაცისაჲ არს“, იოანე 5,22). იესო ქრისტე განსჯის ცოცხალთა და მედართა (II ტიმ. 4,1). მართალთ მსაჯული ეტყვის: „მოვედით კურთხეულნი მამისა ჩემისანო, და დაიმკდრეთ განმზადებული თქუენთვის სასუფეველი...“ (მათე 25,34), ხოლო ცოდვილებს - „წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელ განმზადებულ არს ეშმაკათთვის და მსახურთა მისთა“ (მათე 25,41).

საყდარი//ტახტი – 1. ადგილი საკურთხეველში, ტრაპეზის უკან, სადაც ამადლებულ ადგილზე იდგმება მღვდელმთავრის კათედრა, ხოლო გვერდით – დასაჯდომი მღვდელთათვის.

2. საყდარს ხშირად ხმარობენ ეკლესიის მნიშვნელობითაც იმ გაგებით, რომ ყოველი ეკლესია, ანუ ტაძარი არის უფლის საბრძანებელი ტახტი. ამასთანავე „საყდარი“ ხშირად ეწოდება სამღვდელმთავრო კათედრალურ ტაძრებსაც.

საცეცხლური – იხ. კმევა.

საჭურჭლე – იხ. საკურთხეველი.

„საკვილაგი უამი“ – იხ. უამი.

სეფისკეური – საუფლო პური, ზიარების საიდუმლოს შესრულები-სათვის აუცილებელი ელემენტი ჟამისწირვის რიტუალის დროს.

უძველეს ქრისტიანულ რელიგიაში მორწმუნეების მიერ ეკლესიაში მოტანილ შესაწირავს – პურს, ღვინოს და ა.შ. „პროსფორა“ ეწოდებო-და, რაც გამოიყენებოდა ზიარების (ეპქარისტის) საიდუმლოს შესას-რულებლად, ხოლო ნარჩენები - „სიყვარულის სერობის“ (იხ. ალაპი) მოსაწყობად, რომელიც უშუალოდ ლიტურგიის შემდეგ ტარდებოდა.

მოგვიანებით „სიყვარულის სერობა“ ლიტურგიას გამოეყო და შე-მოღებული იქნა სპეციალური პური, რომელსაც მორწმუნეები იღებენ წმ. ზიარების დროს და მას სეფისკეური ეწოდა. IV ს-მდე სეფისკეურს გაბრტყელებული წრის ფორმა ჰქონდა, ზემოდან ამობურცული ფორმ-ის ჯერის გამოსახულებით. მოგვიანებით ჯვართან ერთად უკეთებდ-ნენ წარწერას კონსტანტინე დიდის დროშის ანალოგიით: IC XC NIKA. სეფისკეური, რომელიც მზადდება საფუარის დართვით, ორი ერთმანე-თზე დადებული ნაწილისაგან შედგება, ზედაზე გამოსახულია ბეჭდის ანაბეჭდი, დასახელებული ჯვარი და წარწერა.

სეფისკეურზე შეიძლება გამოსახული იყოს წმინდანი ან დღესას-წაული.

„სიმბოლო სარწმუნოებისა“ – ქრისტიანული სარწმუნოების ძირ-ითადი დოგმების შემცველი აღსარება, რომელსაც წარმოთქვამს მო-სანათლაეი ნათლისღების დროს - „მრწამსი“.

„სიმბოლოს“ საფუძველად დაედო მაცხოვრის სიტყვები, რომლითაც მან მიმართა ამაღლების წინ მოციქულებს: „წარვედით და მოიწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელსცემდით მათ სახელითა მამისაათა, ძისაათა და სულისა წმიდისაათა...“ (მათე, 28,19-20). ფიქრობენ, რომ სარწმუნოების სიმბოლოს ტექსტი შედგენილია მოციქულების მიერ იერუსალიმის (იხ.) კრებაზე.

სარწმუნოების სიმბოლოს შემუშავების დამაგვირგვინებელი აქტი იყო ნიკეა-კონსტანტინეპოლის სიმბოლო სარწმუნოებისა (პირველი ნაწილი 325წ. ნიკეის I კრებაზე, ხოლო მეორე ნაწილი ჩამოყალიბდა და ორივე ნაწილი გაერთიანდა ერთ სიმბოლოდ კონსტანტინეპოლის II მსოფლიო კრებაზე 381წ.).

„მრწამსი“ ხმამაღლა უნდა წარმოთქვას ზრდასრულმა მოსანათ-ლაემმა, ხოლო მცირეწლოვანის ნაცვლად მას ნათლია ანუ მიმრქმელი წარმოთქვამს, ან მისი სურვილით – ნათლისღების შემსრულებელი სა-სულიერო პირი.

აღმოსავლურ მართლმადიდებელ ეკლესიაში „სიმბოლოს“ (დასავლური ტერმინი) ნაცვლად ხშირად „აღსაარებაჲ სარწმუნოები-სა“, უფრო იშვიათად – „მცნებაჲ სარწმუნოებისა“ ან „გარდამოცემაჲ სარწმუნოებისა“ იხმარება.

სინდონი – იხ. არდაგი.

სიწმინდის განახლება - „პირველ შეწირულთა ლიტურგიის“ ძველი სახელწოდება, რომელიც მოციქულთა ეპოქას უკავშირდება. ლიტურგი-ის ეს წესი შემუშავებულია სპეციალურად მარხვისათვის და დაწესე-

ბულია დიდმარხვის ყოველ ოთხშაბათს და პარასკევს, აგრეთვე ენების კვირის პირველ სამ დღეს – ორშაბათს, სამშაბათს და ოთხშაბათს.

ქართული უძველესი იადგარის პირველი ოთხშაბათის განგებაში ჩართულია სიწმინდის განახლების ლიტურგიის მასალა, ხოლო პირველი პარასკევის განგებაში ჩართულ დასდებელს 104-ე ფსალმუნთან, რომელიც, ჩვეულებრივ, სიწმინდის განახლების ლიტურგიას უკავშირდება, ასეთი შენიშვნა აქვს: „ყოველთა ოთხშაბათ-პარასკევთა“ (უძ. საღვ., გვ. 107).

სიწმინდის განახლების ლიტურგია, რომელიც“ მწუხრის“ მომდევნოდ სრულდება, ზოგიერთ ხელნაწერში გრიგოლი პაპის სახელს ატარებს: „საღმრთოე სიწმიდის განახლებაჲ თქმული წმ. მ. ჩუენისა გრიგოლი დიოლოლოსი. ესე ჟამისწირვა აღესრულების წმ. დიდთა მარხეთა“ (A 82, 23r-29v) (იხ. პირველ შეწირულთა ლიტურგია).

სტიქარი (ბერძ.) – სამღვდლო (და საღიაკენო) გრძელი, ფართოსახელოებიანი კაბა (კვართი), ჩვეულებრივ, ძვირფასი ქსოვილისა.

სტიქარი გადმოტანილია ძველი აღთქმის კვართის ანუ პოდირის (მღვდელმთავართა შესამოსელი) მიბადებით. სტიქარი სახელოების ქვეშ გატრიალია იესო ქრისტეს დატრიალი გვერდის მოსახსენებლად, სამხრეები, რომლებიც სხვა ფერისაა, მოგვაგონებს იესოს გვემის კვალს. ხშირად გვერდებზე და სახელოებზე სტიქარს აკერებენ ბაბთებს – ქრისტეს ბორკილებს.

მღვდელთა და მღვდელმთავართა სტიქარი ფართო და განიერია – მას სამღვდლო სტიქარი ეწოდება.

სტოა/სტოვა (ბერძ.) – ტაძრის დასავლეთი ნაწილი, რომელიც, ჩვეულებრივ, ტაძრის შუა ნაწილიდან გამოყოფილია ყრუ კედლით. ქრისტიანული ეკლესიის სტოაში შესვლის უფლება ჰქონდათ არა მარტო კათაკმეველებს და მონაწილეთ, რომელთაც „მსმენელები“ ეწოდებოდათ, არამედ იუდეველებს, მწვალებლებს და წარმართებს, რათა მათ მოესმინათ საღვთო სიტყვა და მოძღვრება.

ამჟამად სტოაში ტარდება ლიტანიობა, ღამისთევის დროს სერობა, შუალამის ჟამი და მომზადება ქრისტიანობის მიღებისათვის.

სტოაში სრულდება ქალის ლოცვა მშობიარობიდან მე-40 დღეს. ზოგჯერ სტოაში (მონასტერში) ეწყობა ტრაპეზობა ლიტურგიის შემდეგ (ძველი „სიყვარულის სერობის“ მსგავსად). საერო პირებს ნება ეძლევათ აღდგომის დღეს აკურთხებიონ სააღდგომო პური, ყველი და კვერცხი. სტოა იხსენიება „საქმე მოციქულთაში“: „შეიკრიბებოდა მათდა ყოველი ერი სტოასა შინა...“ (3,11).

„სულიწმიდის მოფენა“ – ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი „ათორმეტთავანი“ საუფლო დღესასწაული, რომელიც დაწესებულია სახარებისეული თხრობის საფუძველზე, რომლის მიხედვით აღდგომის დღიდან 50-ე დღეს (ერგასისი) მოციქულებზე სული წმიდა გადმოვიდა და მიანიჭა მათ უნარი, ექადაგათ ქრისტეს მოძღვრება სხვადასხვა ენაზე, სხვადასხვა ხალხში, მოეხდინათ სასწაულები და სხვ. აქედან აღირიცხება საღვთისმსახურო შეიდეულები (კვირეები) მეზვერეთა და

ფარისევლოთა კვირამდე, დიდმარხვის წინ – სულ 32 კვირა, თავისი სახარებისა და სამოციქულოს საკითხავენის თანმიმდევრობით. ტრადიციით, ამ დღეს ხდება კათაკმეველოთა (მოსანათლაუთა) ნათლისღება, რაც ამ დღესასწაულს განსაკუთრებულ სასეიმო ელჟერს აძლევს.

სქემა – იხ. მასარა.

ტაბლა (ლათ. მაგიდა) – ფეხებიანი ფიცარი, მასზე დალაგებული სანოვაგიოთო, დადგმული მონასტრის სატრაპეზოში მონაზვნებისათვის საზრდელის მისაღებად.

ძველ ქართულ წყაროებში ტაბლა გვხვდება სამსხვერპლოს (ტრაპეზის) და ოდიკის მნიშვნელობითაც.

დღეს ამ ტერმინს ხშირად ხმარობენ მიცვალებულის სულის მოსახსენებლად ნაკურთხი სანოვაგიოთ გაშლილი მაგიდის მნიშვნელობით.

ტარიგი – თეთრი კრავი ერთ წლამდე, რომელსაც ძველი ებრაელები მსხვერპლად სწირავდნენ ღმერთს. ქრისტიანულ ეკლესიაში სიმბოლურად მიიღო ღვთისადმი შეწირული უსისხლო მსხვერპლის მნიშვნელობა, რადგან იესო ქრისტეს „ტარიგ ეწოდა, რამეთუ ჩუენთვის დაიკლა“ (აბოს წამება, ძეგლები, I, გვ. 53; აგრ., I კორინთელთა მიმართ 5,7).

ტარიგი ეწოდება საღეთო ჟამისწირვაზე სეფისკეერს, საიდანაც ამოჭრილი ნაწილები ეძლევა მორწმუნეებს საზიარებლად, ქრისტეს ხორცის სიმბოლური მნიშვნელობით.

წმ. ტარიგად მოიხსენიებიან აგრეთვე ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი და წმინდა მოწამენი, ქრისტესთვის წამებულნი.

ტაძარი – ეკლესია, ღვთის სადიდებლად აგებული შენობა, რომელშიც იკრიბებიან მორწმუნეები (I კორინ., 11,22) საღეთო მადლის მისაღებად, ზიარებისა და სხვა საეკლესიო საიდუმლოს შესასრულებლად, ღვთისადმი ღოცვების აღსაველენად (ლუკ. 19,45).

ტაძარი არის „სახლი უფლისა“, სადაც მისი საყდარი – ტახტი დგას.

თავდაპირველად აღნიშნავდა დიდებულ სასახლეს (მეფის, დიდებულის და სხვ.), შემდეგ, ქრისტიანული ეპოქიდან ეკლესიასაც უწოდებენ, ოღონდ დიდსა და მდიდრულად შეძკულს.

„ტაძრად მიყუანება ღმრთისმშობლისაჲ“ – ერთ-ერთი საუფლო საეკლესიო დღესასწაულთაგანი, ღვთისმშობლის ცხოვრების უადრესი – ბავშვობის ეპიზოდის მოსახსენებლად, როდესაც ალექსის თანახმად, მშობლებმა – იოაკიმემ და ანამ 3 წლის მარიაში ებრაულ ტაძარში მიიყვანეს, სადაც ის 14 წლამდე იზრდებოდა.

მარიაჲს ტაძრის კიბესთან გამოეგება პირველმღვდელმთავარი ზაქარია, იოანე ნათლისმცემელის მამა და შეიყვანა იგი „წმიდათა წმიდაში“ – ტაძრის საკურთხეველში, რაც მანამდე ტაძრის არცერთი შეწირულის მიმართ არ გაუკეთებიათ.

ამ დღესასწაულს ქრისტიანულ ეკლესია აღნიშნავს 21 ნოემბერს.

ტრაპეზი – იხ. საკურთხეველი.

უსუპი – ერთგვარი სურნელოვანი ბალახი, რომლის კონითაც ეკლესიაში მრევლს ნაკურთხ წყალს ასხურებენ.

ფაკელი//ფაკიალი – ტილო, რომლითაც თავს უბურავენ ახალმონათლულს – კუნკული: „... მოვადნეს, თუ ფაკიალითა დაებურენ“ (კურთხ. Sin. 73, 28v). „მოპკურონ მღვდელსა და დაბუროს თავსა ფაკიალი ჯუარისახედ და უკანა ზურგით შეუკრას“ (A 633, 11v).

ფელონი//ფილონი (ბერძ.) – თეთრი, გრძელი და განიერი სამღვდლო სამოსელი. ძველად ფელონი იყო სარის ფორმის მრგვალი ტანსაცმელი, რომელსაც მხოლოდ თავსე ჩამოსაცმელად პქონდა ჭრილი. თანამედროვე ფელონს წინ დიდი ჭრილი აქვს. ღეთისმსახურების დროს მღვდელი ხელების მაღლა აწევდაწევით ფრთების მსგავსად აღნიშნავს ანგელოზურ ხარისხს, ხოლო შესრულებული მოქმედება უჩვენებს ღეთისმსახურების ძალას, რომლის საშუალებითაც ღეთისმსახური ასრულებს საიდუმლოს.

ფელონის გარეშე მხოლოდ ეპიტრახილში ასრულებს მღვდელი შედარებით ნაკლებ საზეიმო მსახურებას (მცირე მწუხრი, სერობა დამისთევით, შუალამის მსახურება, ჟამნი, როცა სახარება არ იკითხება და სხვ.).

საზეიმო მსახურების დროს მღვდელი აუცილებლად ფილონით იმოსება (ნათლისღება, მირონცხება, ქორწინების კურთხევა, ზეთის კურთხევა და სხვ.). სიმბოლურად აღნიშნავს სამოსელს, რომელიც იესოს ეცვა ჯვარცმის დროს.

„ფერკთა ბანა“ – საეკლესიო საღეთისმსახურო რიტუალი იესო ქრისტეს ქვეყნიური ცხოვრების იმ ეპიზოდის მოსახსენებლად, როდესაც მან ხუთშაბათ დღეს, ჯვარცმის წინა დღით, საიდუმლო სერობის დროს ფეხები დაბანა თავის მოწაფეებს – მოციქულებს და აზიარა ისინი.

ამ რიტუალში, რომელიც სრულდებოდა ყველა ეკლესია-მონასტერში (ამჟამად – მხოლოდ საეპისკოპოსო ტაძრებში დიდ ხუთშაბათს ლიტურგიის შემდეგ ეკლესიის სტოაში), მონაწილეობდა 12 ძმა თორმეტი მოციქულის აღსანიშნავად. განსაბანი ძმები პირველ ადგილს უთმობდნენ მეკარეს, რომელიც გამოხატავდა იუდას, ხოლო უკანასკნელს – იკონომოსს, რომელიც პეტრე მოციქულს განასახიერებდა. რიტუალის დროს იკითხებოდა სახარების შესაბამისი ადგილი.

ფეშხევი/ფეშხუმი – წმიდა ჭურჭელი, ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული დაბალფეხიანი თეფში, რომელზედაც ჟამისწირვის დროს მხადდება, იკურთხება და „განიტეხება“ წმ. ტარიგი (კრავი), ე.ი. სეფისკეერის ნაწილი.

ფეშხუმი ქრისტიანულ ეკლესიაში იხმარება იაკობ მოციქულის ჟამისწირვიდან დაწყებული. იგი გამოხატავს ბაგას, რომელშიც იწვა ახლადშობილი იესო ქრისტე, ასევე კუბოს, რომლითაც ჩაასვენებს მაცხოვარი ჯვარიდან „გარდამოცნის“ შემდეგ:

„ფეშხუმი არს ნაცვალად კელთა იოსებისთა და ნიკოდიმოისტა, რომელთა დაჰმარხეს ქრისტე“ (გერმანე კონსტანტინეპოლელი, გვ. 42).

ფიალი/ფიალა (ბერძ.) – 1. საეკლესიო წმინდა დიდი ჭურჭელი, რომელშიც განცხადების (ნათლისღების) წინა დღეს ხდება წყლის კურთხევა: „განვიდენ ფიალსა“ (კურთ. Sin. 73, 117r); 2. მონასტრის

სატრაქეოსში ღვინის სასმისი: „კელარი ასმევს თითოეულსა თითოსა ფიალასა ღვინოსა“ (ანტონ I, ტიპიკ. 7).

ფსიათი – ჭილობი მოხლმოდრეკისათვის: „დაფუინონ ფსიათი ფერცთა ქუეშე“ (კურო. Sin. 73, 61r; A 504, 122v).

ქერობინი/ქერუბინი – უმაღლესი რანგის ანგელოზთა დასი ანგელოზთა ცხრა დასს შორის („სერაფიმებთან“ და „საყდარნის“-თან ერთად).

ძველი აღთქმის მიხედვით, ქერუბინები იყვნენ ღვთის მხლებელნი (იხსენიებიან „დაბადებაში“ და იესუკიელის წინასწარმეტყველებაში). ისინი გამოსახულნი იყვნენ სოლომონის ტაძრის თაღსე იერუსალიმში (იხ. ანგელოზი).

ქიროთესია (ბერძ.) – იხ. ხელდასხმა.

ქიროტონია (ბერძ.) – იხ. ხელდასხმა.

ქორეპისკოპოსი – იხ. მღვდელმთავარი.

ქორწინება – მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი შვიდ საიდუმლოთაგანი, რომლითაც მამაკაცსა და ქალს აუღლებს თავად უფალი. ღვთის წინაშე ისინი არიან ერთსულ და ერთხორც. განქორწინება სახარების სჯულით აკრძალულია (მათე 19,11), თუმცა უკიდურეს შემთხვევებში საეკლესიო კანონმდებლობა უშვებს მას. დაშვებულია მეორე და მესამე (იშვიათად) ქორწინება (ძირითადად მეუღლის გარდაცვალების გამო), თუმცა არა საზეიმოდ, პირიქით – სასჯელის აღსრულების (ეპიტიმია) შემდეგ.

რუის-ურბნისის კრებამ (1105წ.) სასტიკად აკრძალა „ჩვილთა ქალ-ვაჟთა ქორწინება“ და ქალის ქორწინების ასაკად 12 წელი დაადგინა (რუის-ურბნისის „ძეგლისწერა“, გვ. 122, 187).

„ღუედნი სტიხაროსანი“ – „არიან სახენი შთამომდინარისა სისხლისანი ქრისტეს გუერდისაგან“ (გერმ. კონსტანტინეპოლელი, გვ. 33). „არიან გამომაინებელნი საკრეელისა ქრისტეს ველთა“ (იქვე).

ყველიერი – დიდმარხვის წინა, მოსამზადებელი შვიდეული, რომლის განმავლობაში დაშვებულია რძის პროდუქტებისა და კვერცხის ჭამა (მას წინ უძღვის „ხორციელის აღება“).

„ყოვლად მსოფლიოდ ამადლებად ცხოველმყოფელისა და პატიოსნისა ჯუარისაჲ“ – ერთ-ერთი საეკლესიო „ათორმეტთაგანი“ საუფლო დღესასწაული, რომელიც ეძღვნება ელენე დედოფლის მიერ იმ ჯერის პოვნას და აღმართვას, რომელზედაც ეწოდა იესო ქრისტე.

ყურჭუმი – ჩაყვინთვა ნათლისღების დროს.

შერეუნება – ანათემა, განკვეთა, ეკლესიიდან სრული ჩამოშორება მძიმე დანაშაულის გამო (იხ. დიდი სჯულისკანონი, იურიდიული ტერმინები).

„შობადი უფლისა“ – ერთ-ერთი „ათორმეტთაგანი“ საუფლო დღესასწაული, რომელიც აღინიშნება იესო ქრისტეს „განხორციელების“ – შობის აღსანიშნავად, აღწერილია ოთხივე სახარებაში, ხოლო დღესასწაულის „განება“ – ტიპიკონში, სადღესასწაულოში.

„შობადი ღმრთისმშობელისაჲ“ – ერთ-ერთი „ათორმეტთაგანი“ საეკლესიო საუფლო დღესასწაული, რომელიც ღვთისმშობლის დაბადების დღის მოსაგონებლად არის დაწესებული.

მარიამის მშობლებმა, რომლებსაც შეილი არ უნდებოდათ მოხუცებულობამდე, ღვთის წინაშე აღთქმა დადეს, რომ თუ შეილი შეეძინებოდათ, ღვთის ტაძარს შესწირავენ მსახურად (ისედაც ებრაული ჩვეულებით მშობლებს პირველი შეილი ღვთისადმი უნდა შეეწირათ).

ღვთის ნებით დაიბადა მარიამი და 3 წლის ასაკიდან („ტაძრად მიყვანების“ საუფლო დღესასწაული) ის იზრდებოდა ტაძარში 14 წლამდე. ჩოხა – იხ. სქემა/სქიმა.

ცა – იხ. დაფარნა, პერეკელი.

ძელი – ხის სარეკელი.

„ძელი ცხორებისა“ – წმინდა ჯვარი (სამ. ძეგ. III, 19).

„ძმად“ (მონასტრისა) – მონასტრის კრებულის რიგითი წევრი.

ძმობა – მონასტრის კრებული.

„წარგზავნა დღესასწაულისა“ – მრავალღიანი დღესასწაულის ბოლო, დამამთავრებელი დღე, როდესაც ღვთისმსახურება სრულდება განსაკუთრებით საზეიმოდ. წარგზავნა მთავრდება ლიტურგიის ბოლოს. თითოეული დღის „წარგზავნის“ განგება მოცემულია ტიპიკონში.

წიგნისმკითხველი – მედავითნე, მეფსალმუნე.

„წინადაცუეთა იესუ ქრისტესი“ – დიდი საეკლესიო დღესასწაული, რომელიც დაწესდა უფლის წინადაცუეთის დღის აღსანიშნავად (ებრაული წესის მიხედვით, შობიდან მერვე დღეს ჩვილის სასქესო ასოს წინა კანს (ჩუნას) მოკვეთენ, უდრიდა დღევანდელ მონათვლას. ეს ტრადიცია ჩამოყალიბდა ისრაელი და იუდეველი ხალხის, როგორც უფლის რჩეული ხალხის, სხვა ხალხებისაგან განმასხვავებელი ნიშანი. ქრისტიანობამ ეს ჩვეულება აღკვეთა. ეს დღესასწაული აღინიშნება ქრისტეს შობიდან მერვე დღეს, ახალ წელს – 1 იანვარს.

„წმიდანი ნაწილნი“ – წმინდა მოწამეებისა და, საერთოდ, ქრისტიანული ეკლესიის წმინდანთა ნეშტი, საეკლესიო თაყვანისსაცემელი სიწმინდე, რომლის გარეშე არ შეიძლება ეკლესიის აშენება.

„ხადილი“ – 1. ხამამალა ლოცვა (კურთხ. Sin. 73, 188r). მაგ., დიდი სერობის ლოცვა.

2. „ხადილისა“ – ფსალმუნის I კანონის მეორე აღსავალი (შიომღვ. ტიპიკონი, 13v).

ხარება – ერთ-ერთი „ათორმეტთაგანი“ საუფლო საეკლესიო დღესასწაული, რომელიც დადგენილია მთავარანგელოზ გაბრიელის მიერ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების მოსახსენებლად, როცა მან აუწყა წმ. მარიამს, რომ სულიწმიდისაგან იგი შობდა იესო ქრისტეს.

ეს დღესასწაული, რომელიც მოძრავია, ხშირად ხდება დიდ მარხვაში. (დღის განგება – სადღესასწაულოში, ტიპიკონში და სხე).

ხატი – იესო ქრისტეს, ღვთისმშობლის, წმინდანთა, ძელი და ახალი აღთქმის ეპიზოდების ფერწერული გამოსახულება. ხატების დახატვის შემდეგ აუცილებელია მათი კურთხევა. კურთხევაში არის „წესი და განგება ხატის კურთხევისა“. კურთხევით ხატებზე გადმოდის ღვთის მადლი და ეს მადლი გადაეცემა ყველას, ვინც სარწმუნოებით ილოცებს მათ წინაშე.

ხატების პატივისცემა (კმევა, სანთლის ანთება, ვედრება, მუხღმორდრეკა) საეკლესიო მოძღვრებით საწინდარია თხოვნათა შესრულებისა. განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებენ იესო ქრისტეს და ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატები.

საეკლესიო ისტორიით ცნობილია ხატომბრძოლობის მწვალებლობა, რომელიც (ბიზანტიის რამდენიმე იმპერატორის მხარდაჭერით) საუკუნუნახევრის (VIII ს. I ნახ. IX ს. II ნახ.) განმავლობაში ქრისტიანებს უკრძალავდა ხატების თაყვანისცემას, რადგან მას კერპთმსახურებად მიიხედავდა. ხატთაყვანისმცემლობა აღადგინა ნიკეის VII მსოფლიო კრებამ. (იხ. „ძველისწერა სარწმუნოებისა“).

„ხელდასხმა“ – საეკლესიო პირის კურთხევა რომელიმე საეკლესიო საფეხურზე, რომელიც სრულდება საღვთო ლიტურგიაზე, თავზე ხელების დადებით და სათანადო ლოცვების წარმოთქმით სულიწმიდის მადლის მოსაწვევად.

დაბალი იერარქიის (წიგნისმკითხველის, მგალობლის, ნახევარდიაკონის, დიაკონის) კურთხევას ანუ ხელდასხმას შეესატყვისება ბერძნული „ქიროთესია“, ხოლო მაღალი იერარქიის მსახურის (მღვდლისა და მღვდელმთავრის) ხელდასხმას – ქიროტონია.

ხელდასხმის უფლება აქვს მხოლოდ მღვდელმთავარს (ეპისკოპოსს, მიტროპოლიტს, პატრიარქს).

„ხუედრნი“ – ლიტურგიკული ტერმინი, კვირიაკის საცისკრო საკითხავი. მეორენაირად ჰქვია „განმანათლებელი“. ერთ კვირადღეს იკითხება პირველი „განმანათლებელი“, მეორე კვირას – მეორე და ა. შ. მეთერთმეტე კვირის შემდეგ იწყება ისევ პირველიდან. თერთმეტია აგრეთვე საცისკრო სახარება. „განმანათლებელი“ იკითხება ცისკრის სახარების შესაბამისად, ამიტომ ეწოდება მას „ხუედრნი“.

„ჯვარი ქრისტესი“ – ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდე, ცხოველმყოფელი ჯვარი, რომელზედაც მიმსჯეალული იყო მაცხოვარი (მათე, 27,27-37).

ერთი აპოკრიფული თხრობის მიხედვით, ეს ჯვარი სასწაულგებრივად საროს, ფიჭვისა და ნაძვის შეზრდის შედეგად წარმოშობილი ხისგან იყო დამზადებული, ხოლო ამ ხის მოჭრის ადგილას აშენდა მოგვიანებით ჯვარის ქართული მონასტერი (იერუსალიმში) (იხ. აგრეთვე „ჯვარის ამალღება“).

ჯვარი ეწოდება აგრეთვე ჯვარცმის სახელზე აგებულ ეკლესიებსაც.

„ჯვარცმა იესუ ქრისტესი“ – ერთ-ერთი „ათორმეტთავანი“ საეკლესიო საუფლო დღესასწაული, რომელიც ქრისტეს ჯვარზე გაკერით წამება-მოკვდინების მოსახსენებლად არის დაწესებული.

ჯვარზე გაკერა რომის წარმართულ იმპერიაში ყველაზე სამარცხვინო სასჯელი იყო მძიმე დამნაშავეებისათვის. ასეთი სასჯელი გამოუტანეს ქრისტეს ფარისევლებმა და მწიგნობრებმა, რომლებსაც შური და ურწმუნოება ამოძრავებდათ.

ქრისტეს ჯვარცმა აღწერილია სახარებებში.

ჯვარცმა ეწოდება აგრეთვე ქრისტეს ჯვარცმის გამოსახულებასაც (ფრესკები, ხატები, ჯვრები).

ორიბინალურ ლიტურგიკულ თხზულებათა ბ ი ბ ლ ი ო ბ რ ა შ ი ა

1. აბიბოს ნეკრესელის წამება (სვინაქსარული)

ამასვე დღეს (13 / XI) წმიდისა მამისა ჩუენისა აბიბოსი, ნეკრეს ქალაქის ეპისკოპოსისა... “

ანონიმი

„ესე იყო ათორმეტთა მამათაგანი...“

A-220 (1726 წ.); A-425 (1718 წ.)

შენიშვნა: გამოც. ე. გაბიძაშვილისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV (სვინაქსარული რედაქციები), თბილისი, 1968, გვ. 392-393.

2. აბო ტფილელის წამება (სვინაქსარული I)

ამასვე დღესა (7 / I) წმიდისა მოწამისა აბოისი

ანონიმი

“რომელი იყო ბაღდადით და მოვიდა ქართლისა ქუეყანად... “

Jer. 80 (XII-XIII, აშიაზე XIV ს. ხელით).

შენიშვნა: გამოც. ე. გაბიძაშვილისა, დასახ. წიგნი, გვ. 376.

3. აბო ტფილელის წამება (სვინაქსარი II)

ამასვე დღესა (7 / I) წმიდისა მოწამისა აბოისი, რომელი იწამა ქალაქსა ტფილისსა

ანონიმი

“ესე მოწამე აბო იყო ბაბილონით ნათესავით წარჩინებული...“

A-187 (XVII), A-1474 (1740წ.); ც. არქ. 302 (1705წ.)

შენიშვნა: გამოც. ე. გაბიძაშვილისა, დასახ. წიგნი, გვ. 337.

4. ანტონ მარტომყოფელის ცხოვრება (სვინაქსარული, ვრცელი)

და მარტყოფის ხატის შესახებ

თუესა აგვსტოსა ი ე(16) სუნაქსარი ხატისა მარტომყოფელისა ლა წმიდისა მამისა ანტონი მარტომყოფელისა

ანონიმი

„ესე მამად ანტონი შუამდინარელი, რომელი იყო მოწაფე იოვანესი, იყო წმიდა ესე განშორებულთა შორის ფრიად სათნო“

A-220 (1726წ.); A-425 (1718წ.); A-649 (1785 წ.); A-1582 (XVII-XVIII); H-2735 (XIX); S-3269 (1720-ინი წლ.)

შენიშვნა: გამოც. ე. გაბიძაშვილისა, დასახ. წიგნი, გვ. 393-398.

5. ანტონი მარტომყოფელის ცხოვრება (სვინაქსარული, მოკლე)

იანუარსა ი ზ(17) წმიდისა და ნეტარისა მამასა ჩუენისა ანტონი მარტომყოფელისა

ანონიმი

„ესე იყო ქუეყანით ასურეთით, მოწაფეთაგანი იოვანე ზედაძნელისა“
H-1672 (1740წ.)

შენიშვნა: გამოც. ე. გაბიძაშვილისა, დასახ. წიგნი, გვ. 398-399

6. აღაპები ივერთა (ქართველთა) ათონის მონასტრისა

ესე არიან აღაპნი მონასტრისა ჩუენისანი, ვინაჲთგან აღშენებულ
არს ვიდრე აქამომდე

“თუესა დეკენბერსა იე(15), აღაპი არს იოანე სუნგელოზისა, მაშენ-
ებლისა ამის დიდებულისა ლაერისაჲ...”

A-558, 1074წ., შენიშვნა: გამოც. 1. მ.ჯანაშვილისა, ათონის ივერიის
მონასტრის

1074წ. ხელნაწერი აღაპებით, თბილისი, 1901. 2. ე.მეტრეველისა,
ათონის ქართველთა

მონასტრის სააღაპე წიგნი, თბილისი, 1998წ., გვ.134-191.

7. აღაპები ჯვარის მონასტრისა (ე. წ. ტიშენდორფისეული ნუსხა)

ჯვარის ქართველთა მონასტრის აღაპები

“ვორციელსა პარასკევსა მწუხრი, პანაშვიდი ძმათა...”

ხელნაწერი: ლეიპციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისა

შენიშვნა: გამოც. ე.მეტრეველისა, მასალები იერუსალიმის ქართუ-
ლი კოლონიის ისტორიისათვის, თბილისი, 1962, გვ. 72-78.

8. აღაპები ჯვარის ქართველთა მონასტრის სვინაქსარისა

ჯვარის ქართველთა მონასტრის სვინაქსარის აღაპები

“თთუესა სექტენბერსა ე(6) გაუჩინეთ ჩუენ ჯუარისა მამამან ნი-
კიფორე, ეპისკოპოსმან თეოდორე და სრულიად კრებულთა მეფეთ
მეფესა აღექსანდრეს და დედოფალს ნესტან-დარეჯანს აღაპი და მო-
საჯსენებელი...”

Jer.24-25, XI: H-886, XII; H-1661, 1156წ.

შენიშვნა: გამოც. I. ნ. მარისა, აღაპები ჯვარის მონასტრისანი, პეტერ-
ბურგი, 1914. 2. ელ. მეტრეველისა, მასალები იერუსალიმის ქართული
კოლონიის ისტორიისათვის, თბილისი, 1962, გვ. 72-78. H-1661—ცნობი-
ლი “გოლგოთის“ (ქრისტეს საფლავის) სვინაქსარია.

**9. ბიძინას, შალვას და ელიზბარის წამება (სვინაქსარული, ვრცე-
ლი)**

თუესა სექტენბერსა ი მ(18) წმიდათა და დიდებულთა ორთა ძმათა
მოწამეთა ქართულთა ელისბარ ქსნის ერისთავისაჲ და ძმისა მისისა
შალვასი და წმიდისა მოწამისა ბიძინა დაჭრილისა კახისაჲ (18/LX)

ანონიმი

„ესე დიდებული მოწამე ბიძინა იყო ნათესავით ქართველი ქუეყა-
ნისაგან კახეთისაჲ...“

H-2077 (1736წ.); H-2121 (1748წ.); S-535 (XVIII); S-3269 (1720წ.); ლენინ-გრ. საჯ. ბიბლიოთ.222 (XVIII); ლენინგრ. M-21 (1842წ.); ლენინგ. M-49 (1840წ.).

შენიშვნა: გამოც. ეგაბიძაშვილისა, დასახ. წიგნი, გვ. 437-440.

10. ბიძინას, შალვასა და ელიზბარის წამება (სვინაქსარული, მოკლე)

თუესა სეკდენბერსა ი მ(18) ბიძინა დაჭრილისა
ანონიმი

„ესე დიდებული მოწამე ბიძინა იყო ნათესავით ქართველი ქუყეა-ნისაგან კახეთისა“

ც. არქ.448 (XVIII); ც. არქ. 459 (1739წ.); ქუთ.111 (XVIII; აშიაზე)

შენიშვნა: გამოც. ეგაბიძაშვილისა, დასახ. წიგნი, გვ. 439-440.

11. გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება (სვინაქსარული)

ამასეე დლესა (30/VI)წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელი-სა(მოკლედ ნათქომი)

„შემდგომად ეფთჳმის მიცვალებისა იყო ქუყეანას, ადგილსა სამ-ცხისსა კაცი დიდებული...“

A-220 (1726წ.), 414v-418r

შენიშვნა: გამოც. ე. გაბიძაშვილისა, დასახ. წიგნი, გვ. 420-425.

12. გობრონის წამება (სვინაქსარული I)

ამასეე დლესა (17/ XI) წმიდისა დიდებულია მოწამისა გობრონისი, რომელსა პირველ ეწოდებოდა მიქელ და სიმენისა და ახოვანებისა მისისათჳს უწოდეს გობრონ, და მის თანა წამებულთა ასოცდაათცამ-მეტთა... “

ანონიმი

“ესე ნათესავით იყო ქართველი, დიდებული და სახელოვანი ჟამსა მას, ოდეს აბულ-კასიმ, მეფემან სპარსთამან, აღილაშქრა სომეხთა და ქართველთა ზედა... “

A-111 (1703წ.); A-985 (XVII); H-970 (1742წ.); ქუთ. 111 (XVIII)

შენიშვნა: გამოც. ე. გაბიძაშვილისა, დასახ. წიგნი, გვ. 419-420

13. გობრონის წამება (სვინაქსარი II)

ამასეე დლესა (17/XI) მიქელ ქართველისა, რომელსა ეწოდებოდა გობრონ, და მის თანა მყოფთა

ასოცდაათსამმეტთა რჩეულთა ძეთა აზნაურთასა

ანონიმი

„... რომელნი უწინარეს გობრონისა იწამნეს... „

A-220 (1726წ.); A-425 (1718წ.)

შენიშვნა: გამოც. ე. გაბიძაშვილისა, დასახ. წიგნი, გვ. 420.

14. დავით აღმაშენებლის ცხოვრება (სვინაქსარული)
თუესა იანვარსა კ ე(26) ვსენება კეთილმსახურისა მეუისა დავით
მესამისა ყოელისა საქართველომსა, სედწოდებულისა აღმაშენებელისა
ანონიმი

„ხოლო იყო წმიდა დავით ძირთაგან კეთილ-რტოვანისაგან დავე-
თიანისა, აღმოცენებული ძუელთაგან, მართლისა სარწმუნეობისა შო-
ბილი...“

H-274 (XVIII), 1r-5v

შენიშვნა: გამოც. ე. გაბიძაშვილისა, დასახ. წიგნი, გვ. 426-429.

15. დავით გარეჯელის ცხოვრება (სვინაქსარული)
ცხოვრება წმიდისა მამისა ჩუენისა დავით გარეჯელისა (მოკლედ
აღწერილი)
ანონიმი

„ესე წმიდა მამა ჩუენი დავით იყო ქუეყანასაგან შუამდინარით... „
A-220 (1726წ.), 530v-538v

შენიშვნა: გამოც. ე. გაბიძაშვილისა, დასახ. წიგნი, გვ. 407-415.

16. დავითსა და კოსტანტინეს წამება (სვინაქსარული I)
თუესა ოკტონბერსა ლ ა(31) წმიდათა და უძლეველთა მოწამეთა
დავით და კოსტანტინესი
ანონიმი

„ესე უძლეველნი მოწამენი იყვნეს ნათესავით ქართველნი, საზღ-
ვართაგან აფხაზეთისათა, სანახებთაგან არგუეთისა. აზნაურნი იყვნეს
ტომით და ნათესავნი ერთმანერთისანი... „

პარიზ. ნაც. ბიბლ. 4 (XIII-XIV), 13r-14r; ქუთ.161 (XVI-XVII); Q-105ა
(XVIII).

შენიშვნა: გამოც. 1 მ. ბროსესი, Elements de la langue géorgienne, Paris,
1... გვ. 268-283; 2.ე. გაბიძაშვილისა, დასახ. წიგნი, გვ. 359-361.

17. დავითისა და კოსტანტინეს წამება (სვინაქსარული II)
ამასვე დღესა(31/X) წმიდათა მოწამეთა დავით და კოსტანტინესი
ანონიმი

„რომელნი იწამნეს ქუეყანასა ჩრდილოეთისასა, სანახებსა არგუე-
თისსა უღმრთოთა მიერ...“

A-508(XVI), 32v

შენიშვნა :გამოც. ე. გაბიძაშვილისა, დასახ.წიგნი, გვ.361.

18. დავითისა და კოსტანტინეს წამება (სვინაქსარული III)
წმიდათა მოწამეთა დავით და კოსტანტინესი, რომელნი იწამნეს...
ანონიმი

„ხოლო იყვნენ წმიდანი ესე მოწამენი დავით და კოსტანტინე ქარ-
თველნი, დიდნი და დიდებულნი ტომებით... „

ც. არქ.-302 (1705წ.), 486r-491r

შენიშვნა: გამოც. ე. გაბიაშვილისა, დასახ.წიგნი, გვ. 361-365.

19. დავითისა და კოსტანტინეს წამება (სვინაქსარული-IV)

ამასვე დღესა (2/ X) დავით და კოსტანტინესი

ანონიმი

რომელნი იყვნეს ნათესავით ქართველნი, მთავარნი და დიდებულ-
თა შვილნი, ძმანი ერთმანერთისანი... „

A-111 (1703წ.), 49r; ც. არქ. 448 (XVIII); ქუთ.-111 (XVIII)

შენიშვნა: გამოც. ე. გაბიაშვილისა, დასახ.წიგნი, გვ. 365.

20. დავითისა და კოსტანტინეს წამება (სვინაქსარული-V)

წმიდათა მოწამეთა დავით და კოსტანტინესი (31/X)

ანონიმი

„ესენი იყვნეს ქართველნი, სანახებისაგან არგუეთისა, დიდნი და
დიდებულნი ტომებითა... „

A-220 (1726წ.); A-425 (1718), 123r

შენიშვნა: გამოც. ე. გაბიაშვილისა, დასახ. წიგნი, გვ. 165-166.

21. დოდო გარეჯელის ცხოვრება (სვინაქსარული)

აღვსებითგან ზ (7) კურიაკისა ოთხშაბათსა ღირსისა მამისა ჩუენი-
სა დოდო გარეჯელისა

რომანოზ მიტროპოლიტი (ერისთავი, XVIIIს.)

„ესე წმიდა და სანატრელი, კაცი ანგელოზთა სწორი მამა, დოდო
იყო მამეულად ძირთაგან აღმოცენებული და შობილი ქუეყანით კახე-
თით...“

A-220 (1726წ.), 548r-550r

შენიშვნა: გამოც. ე. გაბიაშვილისა, ძველი ქართული აგიოგრაფი-
ული ლიტერატურის ძეგლები, IV, თბილისი, 1968, გვ. 415-418.

22. ევსტათი მცხეთელის წამება (სვინაქსარული I)

ამასვე დღესა (29/VII) წმიდისა მოწამისა მცხეთელი ევსტათისი

ანონიმი

„წელსა მეათესა ხვასრო მეფისასა და არვანდ გუშნასპის მარზაპა-
ნობასა ქართლს მოვიდა კაცი ერთი სპარსეთით... “

A-220 (1726წ.); H-535 (XVIII)

შენიშვნა: გამოც. ე. გაბიაშვილისა, დასახ. წიგნი, გვ. 385-387.

23. ევსტათი მცხეთელის წამება (სვინაქსარული II)

თუესა ივლისსა კ თ (29/VII) წამება წმიდისა დიდისა მოწამისა
ევსტათისი

ანონიმი

„... რომელი იყო ნათესავით აგარიანი და ძე მოგუსა...“

A-1093 (1758წ.); A-152 (1742წ.)

შენიშვნა: გამოც. ე. გაბიძაშვილისა, დასახ.წიგნი, გვ. 386-387.

24. ეფთვიმე მთაწმიდელის (ათონელის) ცხოვრება(სვინაქსარული, I) ამასვე დღესა (13/V)წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ეფთუმესი ბასილი ბაგრატის ქე (X-Xსს.)

„ეკე სამგზის სანატრელი მამა ჩუენი ეფთუმე აღმოცენა ქუეყანასა ტაოხასას, მშობალთაგან მორწმუნეთა...“

A-97 (XI); A-193 (XI); A-222 (XII-XIII); A-569 (XII-XIII)4 A-635 (XII-XIII); A-839 (XI-XII); H-626 (XII); H-886 (XII); H-1661 (1156წ.); H-2211 (XI); Jer. 24 (XI); Jer. 45 (XI); Jer.77 (XI-XII); Jer. 80 (XII-XIII); Sin. 4 (XI); ლენინგ.საჯ. ბიბლიოთ.. 222, (XII).

შენიშვნა: ავტორის ვინაობა სავარაუდოა. გამოც. 1. მ. კახაძისა, გიორგი მთაწმიდელი „ცხოვრება“ იოვანესი და ეფთუმესი, გამოსც. იე. ჯავახიშვილმა (სვინაქსარ. ცხოვრება მოამზადა მ. კახაძემ), თბილისი, 1946, გვ. 56-61; 2. ე. გაბიძაშვილისა, ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, ექვთიმე მთაწმიდელის ცხოვრების სვინაქსარული რედაქცია, თბილისი, 1965, გვ. 58-68; მისივე: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, თბილისი, 1968, გვ. 331-345.

25. ეფთვიმე მთაწმიდელის (ათონელის)ცხოვრება(სვინაქსარულიII) ამასვე დღესა (13/ V) წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთუმე ქართველისა მთაწმიდელისა (ცხოვრება მოკლედ აღწერილი)

ანონიმი „მეფობასა ბერძენთა ზედა [რომანოსისსა] და ქართლს დავით კურაპალატისსა იყო კაცი დიდებული...“

A-220 (1726წ.), 374v-377r

შენიშვნა: გამოც. ე. გაბიძაშვილისა, დასახ. წიგნი, გვ. 340-345.

26. “ვაჰანის (ვაჰანის) ქვაბთა“ მონასტრის ტიპიკონი

ვაჰანის ქვაბთა განგება

მხარგრძელი [თმოგველი] (XIIIს., კტიტორი)

“[მონასტერსა ფრიად მცირესა]...აღვიშენე მონასტრად ვერცელი.]

Ad -933, 1204-1283წწ.

შენიშვნა: კლდეში ნაკვეთი მონასტრის უძველესი ფენა არის VII-IX. ეკლესია. IX-XIსს. მონასტერი გაუფართოვებიათ. 1204-1283წწ.მას ფლობდნენ თმოგვის ფეოდალები და ქტიტორებს განუწესებიათ განგება-ტიპიკონი. გამოც. I. ლ. მუსხელიშვილისა, ვაჰანის ქვაბთა განგება(XIIIს.), ტფილისი, 1939, გვ. 61-91; 2. თ. ჟორდანიასი, ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და “ძეგლი“ ვაჰანის ქვაბთა, თბილისი, 1896.3. ი. ტალახაძე, ვაჰანის ქვაბთა განგება, თბილისი, 2005.

27. თენი – ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკული კრებული

„თუენი ათორმეტთა თუეთანი“

გიორგი მთაწმიდელი (მთარგმნელი; XIს.)

„ თუესა...სეკდენბერსა ა(1) დაწყებამ ინდიკციონისა ახალი წლისაჲ... “
Jer.42(XI), 1-292; Jer.71(XI)

შენიშვნა : “თუენების ” უამრავი ხელნაწერებიდან მოტანილია მხოლოდ უძველესი და ამავედროულად სრულ-მთელი წლის საგალობლების შემცველი ხელნაწერები.

ამ ნათარგმნი ძეგლის ორიგინალურებში წართვა გამართლებულია იმიტომ, რომ გიორგიმ ამ კრებულში შეიტანა ქართველ წმინდანთა საკუთარი და სხვა ქართველ ავტორთა რამდენიმე საგალობელიც.

28. იადგარი (ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებული)

საგალობელნი იადგარნი, რომელსა შინა წერილ არიან დღესასწაულნი ყოველნი ახალნი და ძუელნი...”

იოანე-ზოსიმე (Xს.; შემდგენელი, რედაქტორი)

„ჟამი ია(11) მწუხრისა...”

Sin.34 (Xს.)

შენიშვნა: კ. კეკელიძე მას „თავისებურ ენციკლოპედიას“ უწოდებს (იხ. ძველი ქართული ლიტ, ისტორია, I, 1980, გვ. 166); ეტიუდები, V, თბილისი, 1957, გვ. 243)). „ლიტურგიკულ ენციკლოპედიას“ უწოდებენ მას ჟ. გარიტი, მ. ვან ესბროკი და სხ. ამ ძეგლში შეტანილია ორიგინალური თხზულება „ ქება და დიდება ქართულისა ენისაჲ “(იოვანე-ზოსიმესი ?). ამ ხელნაწერის აღწერილობა, ისტორია და ბიბლიოგრაფია იხ. ლ. ხევსურიანის ნაშრომში, ქება და დიდება ქართულისა ენისა, 2000, გვ. 21.

29. იადგარი (უძველესი)–ლიტურგიკულ საგალობელთა კრებული

საგალობელნი იადგარნი, რომელსა შინა წერილ არიან დღესასწაულნი ახალნი და ძუელნი

იოვანე-ზოსიმე (XIს.; შემდგენელი – რედაქტორი)

„ ჟამი ია(11) მწუხრისა.. “

შენიშვნა : გამოც. ემეტრეველისა, ც.ჭანკიევისა და ლ.ხევსურიანისა, უძველესი იადგარი, თბილისი, 1980 (942გვ.) გამოცემა მოიცავს, იადგარის “ ყველა ხელნაწერის მონაცემებს და ფუნდამენტურ გამოკვლევებს ამ ძეგლის შესახებ (სახელმწიფო არქივი).

ძეგლში შეტანილია რამდენიმე ქართველი წმინდანის საგალობელიც, რაც გახდა ამ ძეგლის ორიგინალურ ბიბლიოგრაფიაში შეტანის მიზეზი.

30. ილარიონ ქართველის ცხოვრება (სვინაქსარული, I)

ამასვე დღესა (19/ XI) წმიდისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისაჲ

ანონიმი

„ესე იყო ქუეყანით კახეთით, შეილი აზნაურთა მდიდართაჲ... “

A-222(XII); A-425(1718წ.); A- 426 (X VI); A-626 (XII); A-839 (XII-XIII); H-936 (XVI-XVII); ქუთ. 65 (XVI); Jer. 80 (XIVს. მინაწერი; ხელნ. XII-XIIIსს.)

შენიშვნა: გამოც.: 1. კ. კეკელიძისა, ეტიუდები ქველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV, თბილისი, 1957, გვ. 150-151; 2. ე. გაბიაშვილისა, დასახ. წიგნი, გვ. 356-357.

31. ილარიონ ქართველის ცხოვრება(სვინაქსარული II)

ამასვე დღესა(19/XI) წმიდისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისა საკურველთმოქმედისა

ანონიმი

„ესე იყო ქუეყანით კახეთით, შვილი აზნაურთა მდიდაროა...“

A-111(1703);A-220(1726წ.); A-515(1733წ.); A-986(XVII; მხ. დასაწ.); H-970(1742წ.);S-3269(1720წ.)

ქუთ.105(XVII-XVIII); ქუთ. 111(XVIII)

შენიშვნა : გამოც. ე. გაბიაშვილისა, დასახ. წიგნი, გვ.358.

32. იოვანე ზედაზნელის ცხოვრება (სვინაქსარული)

ამასვე დღესა (7/V) წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაძნელისა ანონიმი

„ესე ნეტარი იოვანე იყო ქუეყანით შუა მდინარით, არამედ რომლი-სა დაბისაგან, ანუ მშობელთა მისთა სახელი ჩუენგან უცნაურ არს“

A-220 (1726წ.), 262v-365v

შენიშვნა: გამოც. ე. გაბიაშვილისა, დასახ. წიგნი, გვ. 3.87-392.

33. იოსებ ალავერდელის ცხოვრება (სვინაქსარული)

თუესა სეკდებერსა ი ე (15) წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოსებ ამბა ალავერდელისა

მაკრინე მონაზონი (XVIII ს.)

„ესე წმიდა და ნეტარი მამა ჩუენი იყო მოწაფე ღირსისა და ღმერთ-შემოსილისა იოანე ზედაზნელისა... “ H-611 (XVIII); H-2077 (1736წ.); S-535 (XVIII); S-3269 (1720წ.), 286r-287v; ლენინგ. საჯ. ბიბლიოთ.. -222 (XVIII); ლენინგ. M -49 (1840წ.),

შენიშვნა: ავტორის ვინაობა სავარაუდოა. გამოც. ე. გაბიაშვილისა, დასახ. წიგნი, გვ. 403-406.

34. კალენდარი, შედგენილი იოანე-ზოსიმეს მიერ

„კრებად თთუეთა წელიწადისათა“

იოანე -ზოსიმე (X ს.)

„თთუესა იანვარსა აქუს დღჳ ლა(31)...“

Sin. 34 (X), 15r-33v

შენიშვნა: კალენდარში თვეთა დღეების მიხედვით შეტანილია წმინდანთა ხსენებები.გამოც. : 1. ივ. ჯაგუახიშვილისა, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1946, გვ. 200-226; 2 კ. კეკელიძისა, იოანე ქართველის კალენდარი, ეტიუდები, V, გვ. 258-281; 3. ე.

35. კოსტანტი კახის წამება (სვინაქსარული I)

ამასვე დღესა (10/XI ს.) წმიდისა მოწამისა კოსტანტისი, რომელსა ეწოდა კახი სახელად მამულისა მის ქუეყანისა ანონიმი

„და იყო ქუეყანასა ქართლისასა, სანახებსა ზენა სოფლისასა...“
A-220 (1726წ.); A-425 (1718წ.)

შენიშვნა: გამოც. ე. გაბიძაშვილისა, დასახ. წიგნი, გვ. 418-419.

36. კოსტანტი კახის წამება (სვინაქსარული II)

ამასვე დღესა (10/XI) წმიდისა მოწამისა კოსტანტი ქართველისა ანონიმი

„რომელი იყო მთავარი და სიმდიდრითა ფრიადითა გარდაცემული და უფროდსად მდიდარი ღმრთის მსახურებითა.. “

ქუთ. III (XVIII ს.)

შენიშვნა: გამოც. ე. გაბიძაშვილისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, თბილისი, 1968, გვ. 419.

38. ლოცვა ერეკლე მეორისა და მისი სახლეულობისათვის [ლოცვა]

გაიოზ რექტორი (XVIII-XIX წწ.)

„ვინათგან ნაცულად კეთილისა საქმისა ჩუენისა...“

H-70 (1782 წ.), 40v-42r; Q-168 (1780წ.), 36v-37r.

შენიშვნა : ერთვის გაიოზის მოხსენებას ერეკლე II-სადმი, სადაც ნათქვამია, რომ მან რუსული ენიდან თარგმნა და მეფეს მიართმევს აღაპიტ დიაკონის „ სამეფო ქარტას, ანუ ტომარს “, რომელიც აღაპიტმა მიართვა იუსტინიანე ბიზანტიის იმპერატორს და თხზულებების ბოლოს ლოცვა აღაეღინა იმპერატორისა და სამეფო კარის მიმართ, ასევე სურს მას, ილოცოს მეფისათვის, მისი სახლეულობისა და სამეფოს კეთილდღეობისათვის., მოხსენებისა“ და ლოცვის ტექსტები გამოცემულია: H-70 ხელნაწერის აღწერილობაში (ტ. I, თბილისი, 1946, გვ. 56-57—შენიშვნებში).

39. ლოცვა სულხან-საბა ორბელიანისა

ლოცვა უწინარეს ლოცვის დაწყებად

სულხან-საბა ორბელიანი (+1725წ.)

„ უფალო, აღახუნ პირი ჩემი კურთხევად წმიდისა სახელისა შენისათუს.. “

A-303(1713წ.)

შენიშვნა: ერთვის ს.ს.ორბელიანის „სამოთხის კარის“ ხელნაწერს (ავტოგრაფი).

40. ლუარსაბ მეფის წამება (სვინაქსარული)

„ხოლო წმიდა და ნეტარი ესე აღმოსცენდა ქუეყანით ქართლით, მშობელთაგან თუესა მარტსა კ (20) წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მეფისა ჩუენისა ლუარსაბისი

ანონიმი

ღმრთის- მსახურთა...“

A-170 (1733წ.), ფ. 82-83; A-379 (1714-1716წწ.); A-683 (XVIII); H-1672 (1740წ.), ფ. 425-428; H-2077 (1736წ.), ფ. 79-82; S-3269 (1720წ.), ფ. 433-437

შენიშვნა: გამოც.: 1. მ. საბინინისა, საქართველოს სამოთხე, ს.-პეტერბ., 1882, გვ. 580-582; 2. ე. გაბიძაშვილისა, დასახ. წიგნი, გვ. 433-437.

41. ლუკა იერუსალიმელის წამება (სვინაქსარული)

ამასვე დღესა (27/VI) წმიდისა მამისა ჩუენისა ლუკადისი

ანონიმი

„ესე ნეტარი ლუკა იყო ნათესავით ქართველი, ნათესავთაჲთ და მშობელთაჲთ პატიოსნი და წარჩინებული მუხაის ძე...“

Jer. 24-25 (XI; XIV ს. ჩაკინდ. ფურც.)

შენიშვნა: გამოც.: I. დ. ყიფშიძისა, Известия Кавказского Историко-Археологического Института. , II, 1917-1925, с. 60-62; 2. ს. ყუბანეიშვილისა, ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია. I, 1946, გვ. 253-245; 3. ე. გაბიძაშვილისა, დასახ. წიგნი, გვ. 346-348.

42. „მოსახსენებელი წიგნის “ შესახებ

იონა ხელაშვილის წერილი სიმონ ტაბიძის მისამართით „მოსახსენებელი წიგნის “ თაობაზე

იონა ხელაშვილი (XVIII-XIX სს.) „კეთილმსახურო სულიერო ძეო ჩემო, სვიმონ გიორგის ძეო, უფ[ალო] ტაბიძე მეფე ირაკლის ძის მირიანისაგან მოძიებულნი მიცვალებულთა სახელები... შთასწერე მოსახსენებელსა წიგნში...“

ლენინგ. აღმოს. ინსტიტ.-156, 122

შენიშვნა: პუბლიკაცია: ე. დონდუა, პეტერბურგის ქართული კოლონიის საისტორიო სამწიგნობრო მემკვიდრეობა, ქართული წყაროთმცოდნეობა, კრებ. I, თბილისი, 1965, გვ. 211-236

43. მღვდელმთავრის ლიტურგიის განმარტება

მღვდელმთავრისა ლიტურგიისა განმარტება სახის-მეტყუელებათი, ვითარმედ ყოველსავე მღვდელმოქმედებას მისსა საიდუმლოებითი ძალი უპყრიეს

გაბრიელ მცირე (+1802წ.)

„ღმერთ-მთავარო გონებაო, გამობრწყინებულო ღმერთ-მთავრისა სიტყვისაო და გამომავლინებელო ღმერთმთავრისა სულისაო...“

A-228 (1795წ.), 198r-221r

შენიშვნა: ეროვის გაბრიელ მცირის მიერ შედგენილ კრებულს "გურგუნი".

44. ნიკოლოზ დვალის წამება (სვინაქსარული)

ამასვე დღესა (19/X) წმიდისა ახლისა მოწამისა ნიკოლოზისი დვალისაჲ

ანონიმი

„ესე სანატრელი ქრისტეს მოწამე ნიკოლოზ იყო ნათესავად დვალი, სოფლისაგან, რომელსა ეწოდების წაჲ...“

-Jer. 24-25 (XI), 36r-37v

შენიშვნა: XI ს. ხელნაწერში სვინაქსარული ცხოვრება ჩაიკნძულია XIV ს. ხელით დაწერილ ფურცელზე. გამოც. I. დ. ყიფშიძისა, Известия Кавказского Историко-Археологического Института. , II, 1917-1925, с. 63-65; 2.ს. ყუბანეიშვილისა, ძველი ქართული ლიტერატურის კრეცტომათია, I, 1946, გვ. 254-255; 3.ე. გაბიაშვილისა, დასახ. წიგნი, გვ. 348-351.

45. ნინო განმანათლებელის ცხოვრება (სვინაქსარული, I)

ამასვე დღესა(14/I) მიცვალებაჲ წმიდისა ნინო მოციქულისაჲ და ქართველთაგანმანათლებელისაჲ

ანონიმი

„რომელმან ფრიადნი მოღუაწებანი და ურიცხუნი სასწაულნი აღასრულნა და მრავალგზის წამებანი [დაითმინა] მირიან უღმრთოჲსა ჳელმწიფისაგან...“

Sin. 4 (XI), 98r

შენიშვნა: გამოც. ე. გაბიაშვილისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, თბილისი, 1968, გვ. 351

46. ნინო განმანათლებელის ცხოვრება (სვინაქსარული, II,)

თუესა იანვარსა ი დ (14/I) მიცვალებაჲ წმიდისა ნინო მოციქულისაჲ ანონიმი

„რომელი მოველინა ქუეყანასა ქართლისასა და კერპთა მონები-საგენ დაბნელებული ერი განათაეისუფლა...“

H-600 (XIV), 41r-42v

შენიშვნა: გამოც. ე. გაბიაშვილისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, 1968, გვ. 351-353

47. ნინო განმანათლებელის ცხოვრება (სვინაქსარული, III,)

თუესა იანვარსა იდ (14/I) წმიდისა მოციქულთა სწორისა ნინოდისი, რომელმან ჰქადაგა ქართლს

ანონიმი

„ესე წმიდა იყო მამით კაბადუკიელი და დედით კოლასელი, მშობელთა ღმრთის-მოშიშთა...“

A-1582 (XVII-XVIII), 451v

შენიშვნა: გამოც. ე. გაბიძაშვილისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, 1968, გვ.353-354.

48. ნინო განმანათლებელის ცხოვრება (სვინაქსარული, IV)

ამასვე დღესა (14/1) წმიდისა მოციქულისა და ქალწულისა ნინოჲსი ანონიმი

„ესე განგებოთა ღმროისაჲთა მოიწია ქუეყანად ქაროლად, ქალაქად სამეფუოდ მცხეთად...“

A-220 (1726წ.); A-425 (1718წ.), 332v-334r

შენიშვნა: გამოც. ე. გაბიძაშვილისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, 1968, გვ.

50. პეტრე ქართველის ცხოვრება (სვინაქსარული, I)

თუესა დეკენბერსა ბ (2/XII) დაძინება წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა ჩუენისა

პეტრე ქართველისა, მაიამოს ქალაქისა ეპისკოპოსისა ანონიმი

„ესე იყო ნათესავით ქართველი, ძე ქართველთა მეფისა ვარაზ-ბაკურისა, რომელი იყო მეხუთე მირიანის მეფობიდან...“

A-111 (1703წ.), 135v-136v; ც. არქ. 459 (173წ.);

შენიშვნა: გამოც. ე. გაბიძაშვილისა, დასახ. წიგნი, გვ. 378-384.

51. პეტრე ქართველის ცხოვრება (სვინაქსარული, II)

ამასვე დღესა (2/XII) წმიდისა მამისა ჩუენისა პეტრე ქართველისა ანონიმი

„ესე იყო ძე ქართველთა მეფისა ვარაზ-ბაკურისი. იშვა ანგელოზისა ხარებითა, ვითარცა სამოელ. და იერემია...“

A-220 (1726წ.); A-425 (1718წ.), 185v;

შენიშვნა: გამოც. ე. გაბიძაშვილისა, დასახ. წიგნი, გვ. 384-385.

52. პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი

ტიპიკონი პეტრიწონის ქართველთა მონასტრისა

გრიგოლ ბაკურიანის ძე (+1086წ., კტიტორი)

„ დიდებაჲ მაცხოვარსა, მხოლოსა ღმერთსა ჩუენსა, მამასა დაუსაბამოსა და ძესა მისსა...და... წმიდასა სულსა მისსა... “

ხელნაწერი :კუნძულ ხიოსისა (საბერძნეთი)№ 1598, XIII, შეიცავს ბერძნულ (გვ.1-145) და ქართულ (გვ. 146-298) ტექსტებს(აქედან არის გადაწერილი ქსოფიის(ბულგარეთი)სახალხო ბიბლიოთეკაში დაცული პატარა ტანის ხელნაწერი(ქაღალდზე),დაახლ XIXს.70-80-იან წლებში.

შენიშვნა : გამოც. 1. მთარხნიშვილისა, Typicon Gregorii Pacuriani, ed. Michael Tarchnisvili (Textus, versio), Lowen, 1954; 2. ა. შანიძისა, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი(ტიპიკონის ქართული რედაქცია), თბილისი, 1971(390გვ); ბერძნული რედაქციის ტექსტი-ს.

ყაუხნიშვილისა); 3. ი. დოლიძისა, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბილისი, 1970, გვ. 35-104..

53. პროხორე ქართველის ცხოვრება (სენინაქსარული)

ამასვე დღესა (12 / XII) მიცვალებად ნეტარისა მამისა ჩუენისა პროხორესი

ანონიმი „ხოლო იყო ღმერთშემოსილი ესე მამად ჩუენი პროხორი ნათესავით ქართველი, ქუეყანით შაეშეთით...“ H-886 (XII); H-1661 (1156წ.); Q-75 (XVIII); Q-105ა (XVII); Jer. 24-25 (XI), 151v-152r

შენიშვნა: გამოც.:1. თ. ჟორდანიასი, ქრონიკები, II, გვ. 523-524; 2 დ. ყიფშიძისა, Известия Кавказского Историко-Археологического Института, II, 1917-1925, с. 58-68; 3.ს.ყუბანეიშვილისა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946, გვ. 215; 4.ე. გაბიძაშვილისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, 1968, გვ. 345-346

54. სადღესასწაულო (თვენი) ანტონ I-ისა

ანტონ I-ის სადღესასწაულო-თვენი

ანტონ I კათალიკოსი(+1786წ.)

A-386(XVIII), 397r-401v

შენიშვნა: ანტონის წინასიტყვაობა ზოგ ხელნაწერში უძღვის თხზულების ტექსტს (ქუთ.37), ხოლო ზოგშიც—ბოლოსიტყვაობაა(A-386).

55. „ სულთა მატიანე “ ალის მონასტრისა

ალის მონასტრის „ სულთა მატიანე “

სხვადასხვა დასაწყისით

H-1347 (XII-XIII), 1r-527v

შენიშვნა: მინაწერები H-1347 (XII-XIIIსს.) ხელნაწერის გვერდებზე.

56. „ სულთა მატიანე “ გერგეტის სამების ეკლესიისა

მატიანე მოსაკუნებელი სულთაჲ

„ ვინამთგან ინება სიბრძნემან ღმრთისამან არარადსგან არსებად მოყვანებაჲ... “

A-1085(XV-XVIIIსს.)

შენიშვნა :ხელნაწერში შესულია საქართველოს მეფეების, სამცხის ათაბაგების, ერისთავთა (არაგვის, ქსნის) და სხვათა XV-XVIIIსს. მოსახსენებლები. გამოც. ქრ. შარაშიძისა, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIIIსს.), კრ. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბილისი, 1954,გვ.263-288.

57. „სულთა მატიანე“ ნიკორწმიდის მონასტრისა

მეფეთა და კათალიკოსთა სულთა მატიანე ნიკორწმიდის ხელნაწერში(სათაური გამოცემისეულია)

ხელნაწერი იდენტიფიცირებული არ არის.

გამოც. ექ. თაყაიშვილისა, მეფეთა და კათალიკოსთა სულთა მატთანე ნიკორწმიდის ხელნაწერში, პარიზი, 1939 (16გვ. ამონაბეჭდი პარიზში გამომაველ ქურ. „კავკასიონიდან“).

58. „სულთა მატთანე“ სინის მთის ქართველთა მონასტრისა

მოსაჯსენებელი და მატთანე პატიოსნისა წმიდისა მონასტრისა, ღმრთის დამყარებულისა სინამსა, რომელი-ესე აღმოიკითხვის ყოველთა შაბათსა

Sin.77, XIII

შენიშვნა: მოსახსენებელთა სიები დაყოფილია ნაკეციობად, თითოეული ნაკეციის სათაურია : „მოჯსენებისათჳს და განსუენებისათჳს“. იწყება მეფეთა მოსახსენებელით (პირველი ორი ნაკეცი), მესამე – დედოფალთა, მეოთხე – ზედგენიძეების, მეხუთე – დადიანთა და ათაბაგთა, მეექვსე – მთავარეპისკოპოსთა და კათალიკოსთა, მეშვიდე – მატთანის გადამწერის (ელია ჩიდანის ძისა) და მის ნათესავთა, მერვე – ჯვარის მამათა და კერძო პირებისა. გამოც. I. ივ. ჯავახიშვილისა, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1947, გვ. 241-251; 2. დ. კლდიაშვილისა, სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატთანე, თბილისი, 2008, გვ. 161-182.

59. „სულთა მატთანე“ ტბეთის ეკლესიისა

ტბეთის ეკლესიის „სულთა მატთანე „

„...სულსა გორგაზით მახარებელისა და მისისა მეუღლისა მარია-მისა და მათისა ასულისა თამსის შუენდვენ ღმერთმან...“

P-10(P13), გრაგნილი, 18 კეფი(ლენინგრ. აღმოს. ინსტიტუტისა), XII-XVIII სს.

შენიშვნა : ხელნაწერი თაენაკლულია. დათარიღება აჩვენებს, რომ ხელნაწერი იესებოდა საუკუნეების მანძილზე.

60. ტიპიკონი

ტიპიკონი, რომელ არს ქცევა და წესი ეკლესიათა

აღექსი მესხიშვილი (XVIII ს.) „განგება წმიდისა იერუსალიმისა ლაერისა, ღირსისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა საბაძისი...“ A-399 (1756წ.), 7r-501r; A-459 (1759 წ.; თაე-ბოლო ნაკლული).

შენიშვნა: ტიპიკონი გადმოკეთებულია რუსულიდან ანტონ –ის მონაწილეობით, მოხსენიებულნი არიან ქართველი წმინდანები (27 ხსენება).

61. ქეთევან დედოფლის წამება (სვინაქსარული)

თუესა სეკდენბერსა ი გ(13) წმიდისა და ნეტარისა დედოფლისა და მოწამისა ქეთევანისი

გრიგოლ დოდორქელი (ვახეახიშვილი; XVII-XVIII)+ანონიმი.

„ესე წმიდა და სამგზის სანატრელი დედოფალი ქეთევან აღმოეცენა ქუეყანით ქართლით...“

ქუთ. 105 (XVII--XVIII)

შენიშვნა: მხოლოდ ამ ხელნაწერში, სვინაქსარული I რედაქციის ტექსტის გაგრძელებაში არის ქეთევანის წამების დეტალური აღწერა (შინაარსობრივად აღებული თეიმურაზ I-ის პოემიდან); გამოც. ე.გაბიძაშვილისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. IV, 1968, გვ. 429-432.

62. ქეთევან დედოფლის წამება (სვინაქსარული, I)

თუესა სეკენბერსა ი გ(13) წმიდისა და ნეტარისა დედოფლისა და მოწამისა ქათევანისი

გრიგოლ დოდორქელი (ვახვახიშვილი; XVIII ს.)

„ესე წმიდა და სამგზის სანატრელი დედოფალი ქეთევან აღმოეცენა ქუეყანით ქართლით...“

A-111 (1703-1715წწ.); A-130 (1713წ.); A-149 (XVIII); A-170 (1733წ.); A-366 (1714წ.); A-683 (XVII); H-611 (XVIII); H-1672 (1740წ.) H-2077 (1736წ.); H-2335 (XVIII); ქუთ. 42 (XVII- XVIII); ლენინგ.საჯ. ბიბლიოთ.-222 (XVIII)

შენიშვნა: ქეთევანის სვინაქსარული “წამების” ეს რედაქცია ხელნაწერებში მისივე ვრცელი (დოდორქელისეული) ცხოვრების გაგრძელებად არის წარმოდგენილი და შეიცავს შინაარსობრივ მითითებებს ვრცელზე, რაც იძლევა საფუძველს მის ავტორად ვრცელი „ცხოვრების“ ავტორი-გრიგოლ დოდორქელი მივიჩნიოთ. გამოც. ე. გაბიძაშვილისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, 1968, გვ. 429-432

63. ქეთევან დედოფლის წამება (სვინაქსარული, II)

ამასვე დღესა (13/LX)წმიდისა დიდისა მოწამისა დედოფლისა ქეთევანისა

ანონიმი

“ესე აღმოეცენა ქუეყანით ქართლით, მუხრანით, რამეთუ იყო ნათესავითგან ცხებულთა...”

A-220 (1726წ.); A-425 (1718წ.); A-515 (1733წ.); H-970 (1742წ.)

შენიშვნა: გამოც. ე. გაბიძაშვილისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, 1968, გვ. 432-433.

64. ქეთევან დედოფლის წამება (სვინაქსარული, III)

სვინაქსარი პირუელად სათუეთაგან და მერმე წმიდისა ქეთევანისა ანტონ I კათალიკოსი (ბაგრატიონი; +1788წ.)

„ამასვე დღესა (13/LX) წმიდისა დიდებულისა მოწამისა დედოფალისა ქეთევანისა, რომელი აღმოცდა ძირისაგან სამეფოფოსა...“

S-1464 (XVIII ს.), 51r-v

შენიშვნა: გამოც. ე. გაბიძაშვილისა და მ. ქავთარიასი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, VI („მარტირიკა“), თბილისი, 1980, გვ. 448-450.

65. შიო გარეჯელის წამება (სვინაქსარული)

თუესა იენისსა ა (1) წმიდისა მღვდელთ-მოწამისა შიოსი და მოყუ-
ასთა მისთა

ნიკოლოზ მაღალაშვილი (XVII-XVIII სს.)

„ესე წმიდა და მამა ჩუენი შიო აღმოსცენდა კეთილი ნაყოფი ქუეყ-
ანასა ქართლსა, სოფელსა ვეძისსა, თავსა დიღმისასა...“

A-1367 (XVII-XVIII), 4r-6r

შენიშვნა: გამოც.: 1. მ. საბინინისა, საქართველოს სამოთხე, ს. - პე-
ტერბ., 1882, გვ. 611-615. 2. ე.გაბიძაშვილისა, ძველი ქართული აგიოგრა-
ფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, 1968, გვ. 440-442.

66. შიო მღვიმელის ცხოვრება (სვინაქსარული)

ყველიერისა ხუთშაბათსა ჳსენებაჲ საკერეელო-მოქმედისა წმიდი-
სა მამისა შიოჲსი

ანონიმი

„ესე იყო [ნათესავით] ასური, ქალაქისაგან ანტიოქიადსა, რომელ
არს შუამდინარისაჲ, მშობელთა ღმრთის-მსახურთა და მდიდართა
შვილი...“ H-1349 (XIII), 2r-v

შენიშვნა: გამოც. 1. თ. ჟორდანიასი, ისტორიული საბუთები შიო
მღვიმის მონასტრისა, ტფილისი, 1896, გვ. 70-71; 2. ე.გაბიძაშვილისა,
დასახ. წიგნი, გვ. 366-368.

67. შიო მღვიმელის ცხოვრება (სვინაქსარული, II)

ყველიერისა ხუთშაბათსა ცხოვრება შიო მღვიმელისა (მოკლედ
„ნათქომი“)

ანონიმი

„ესე წმიდა და ღმერთშემოსილი შიო იყო ქუეყანით, ქალაქისაგან
ანტიოქიისა...“

A-220 (1726), 524r-529v

შენიშვნა: გამოც. ე. გაბიძაშვილისა, დასახ. წიგნი, გვ. 368-376.

68. შიომღვიმის მონასტრის ტიპიკონი

ტიფიკონი საეკლესიოჲსა წესისაჲ

არსენ იყალთოელი (XI-XII სს.)

“განგებაჲ ღამის თევისაჲ.—შემდგომად მზის დასლვისა, წარვიდეს
კანდელაკი და თაყვანი-სცეს წინამძღუარსა...“

H-1349, XIII, 13r-142v.

შენიშვნა: არსენმა თარგმნა, უფრო სწორად, გადმოაკეთა შავი მთის
სვიმეონ მესვეტე-უმცროსის მონასტრის ტიპიკონი, რომელიც ნათარგ-
მნი იყო საბა განწმედილის ლაერის ტიპიკონიდან. ამიტომ იწოდება
ქართული თარგმანი ამ უკანასკნელის სახელით. გამოც. ე.კოჭლამა-
საშვილისა და ე.გიუნაშვილისა, თბილისი, 2005.

69 წესი სამღვდელმთავრო ლიტურგიისა
წესი სამღვდელმთავრო ლიტურგიისა და სამღვდელთა კელის-
დასახმანი
„ოდეს ინებოს მღვდელმთავარმან შეწირვაჲ უსისხლოჲსა მსხუერ-
კლისა...“

A-317(1777წ.),26r-34v..

შენიშვნა :ამბროსი ნეკრესელის კრებულიდან.

70. წვიმისაგან “შემშთავარის“ საგალობელი

წვიმისაგან შემშთართათუს გალობანი

ნიკოლოზ ქართველთა მნათობი (XIVს.)

„უკუღვევლად ზღუა წიაღელო ისრაილმან...“

A-48 (XVIII), 416v-418v; A-450 (XVII), 557r-561r

შენიშვნა: გამოცემა: კუროხევეანი, მოსკოვი, 1826, გვ. ფნგ-ფნთ (553-559)

71. წირვის განმარტების წიგნი

წიგნი წირვის განმარტებისა

იონა ხელაშვილი (XVIII-XIXსს.)

“დაწყება პირველი.სამღვდელო შესამოსელთა განმარტებისათუს..“

S-333(1835წ.),გვ. 1-209.

შენიშვნა:შეტანილია ეგზეგეტიკაშიც.

72. წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე მოსმენის წიგნი

წირვის.მოსმენის წიგნი თუსსა ენასა ზედა საქმეებითურთ კეთილთა

იონა ხელაშვილი (XVIII-XIXსს.)

„აჰა, თვით დამბადებელმან ცისა და ქუყანისამან საესებითურთ
ყოველთა..“ Q-81 (XIX) 138r-15.

შენიშვნა: ქადაგება წაკითხულია ბატონიშვილთა კარის ეკლესია-
ში პეტერბურში.

საქივებლები

ა) ავტორთა

- ალექსი მესხიშვილი – § 60
ანონიმი – §§ 1, 2, 3, 4, 5, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 22, 23, 25, 30, 31, 32, 35, 36, 40, 41, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 55, 63, 66, 67.
ანტონ I კათალიკოსი – §§ 54, 64
ბასილი ბაგრატის ძე – § 24
გაბრიელ მცირე – § 43
გაიოზ რექტორი – § 38
გიორგი მთაწმიდელი – § 27
გრიგოლ ბაკურიანის ძე – § 52
გრიგოლ დოდორქელი (ვახვახიშვილი) – §§ 61, 62
იოანე ზოსიმე – §§ 28, 34
იონა ხელაშვილი – § 42
მაკრინე მონაზონი (ბაგრატიონი) – § 33
მხარგრძელი [თმოგველი] – § 26
ნიკოლოზ მაღალაშვილი – § 65
რომანოზ მიტროპოლიტი (ერისთავი) – § 21
სულხან-საბა ორბელიანი – § 39

ბ) ხელნაწერთა

A

(ყოფილი საეკლესიო მუზეუმის, ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდი)

- A-97 §§24; A-111 §§12, 19, 31, 50, 62; A-130 §62; A-149 §62; A-152 §23; A-159 § 60; A-170 §§40, 62; A-187 §3; A-193 §24; A-220 §§1, 4, 11, 13, 15, 20, 21, 22, 25, 31, 32, 35, 48, 63, 67; A-222 §§24, 30; A-228 §§43; A-303 §39; A-366 §62; A-379 §40; A-399 §60; A-425 §§4, 13, 20, 35, 48, 63; A-426 §30; A-508 §17; A-515 §§31, 63; A-558 §6; A-569 §24; A-626 §30; A-635 §24; A-649 §4; A-683 §§40, 62; A-839 §§24, 30; A-985 §12; A-986 §31; A-1093 §23; A-1367 §65; A-1474 §3; A-1582 §§4, 47.

H

(ყოფილი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდი)

- H-70 §38; H-274 §14; H-535 §22; H-600 §46; H-611 §§33, 62; H-626 §24; H-886 §§ 8, 24; H-936 §30; H-970 §§12, 31; H-1369 §66; H-1661 §§ 8,24;

H-1672 §§5, 40, 62; H-2077 §§9, 33, 40, 62; H-2121 §§9, 24; H-2335 §62; H-2735 §4.

S

(ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდი)
S-535 §§3, 9; S-1464 §64; S-3269 §§4, 33, 40.

Q

(საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ახალი კოლექციის, ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდი)
Q-105^ა §16; Q-168 §38;

ც. არქ. (ცენტრალური არქივი)

(ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ხელნაწერთა ფონდი)

ც.არქ. 302 §§3, 18; ც.არქ. 448 §19; ც.არქ. 459 §50.

ქუთ.

(ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი)

ქუთ. 42 §62; ქუთ. 65 §30; ქუთ. 105 §§31, 61; ქუთ. 111 §§12, 16, 19, 36;

ლენინგრადი

(სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის და საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდები)

ლენ. აღმ. ინსტ. M 21 §9; ლენ. აღმ. ინსტ. M 49 §33; ლენ. აღმ. ინსტ. P 10 (P 13) ლენ. აღმ. ინსტ. 156, 122; ლენ. საჯ. ბიბლ. 222 §§33, 62.

პარიზი (Paris)

(პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდი)

პარიზ. ნაც. ბიბლ. 4 §16;

ლექსიკონის უნივ. ბიბლიოთეკის ხელნაწერი

ლექსიკ. უნივ. ბიბლ. §7

Ier.

(იერუსალიმის საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდი)

Ier. 24-25 §§8, 24, 41, 44; Ier. 42 §27; Ier. 45 §24; Ier. 71 §27; Ier. 77 §24; Ier. 80 §§2, 24, 30;

Sin.

(სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდი)

Sin. 4 §§24, 45; Sin. 34 §§28, 34; Sin. 77 (75) §58;

ნიკორწმიდის სულთა მატიანე § 57
გ) ისტ. საბუთებისა

Ad (ხელნაწ. ეროვნ. ცენტრის ისტ. საბუთების ფონდი)
Ad 933 §26

სამეცნიერო ლიტერატურა ლიტურგიკული მწერლობის შესახებ

გრიგორაშვილი ლაურა, “ეკლესია გაენათისა იხარებს დღეს ჩუენ თანა“ (აკოლოთია დავით აღმაშენებელისა, შედგენილი ანტონ I-ისა კათალიკოსის მიერ), გელათის მეც. აკად. ჟურნალი, 2, 2007, გვ. 10-22.

დანელია კორნელი, ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი (ძველი და ახალი აღთქმის საკითხები), ტექსტის გამოცემა სტ. ჩხენკელთან და ბ. შავიშვილთან ერთად, გამოკლევა და ლექსიკონი კ. დანელიასი, თბილისი, 1987 (565 გვ.).

დოლაქიძე მანანა, სინაქსარული ცხოვრება-წამებანის ტექსტები „დიდრ სინაქსარიდან“. კრიტიკული ტექსტი XI ს. ექესი ხელნაწერის მიხედვით მოამზადა მ. დოლაქიძემ, საქართ. საეკლესიო კალენდარი, თბილისი, 2002, გვ. 9-279 (გამომც. „ნათლისმცემელი“).

დოლაქიძე მანანა, ხევსურთაიანი ლილი, კალის ლექციონარის და-თარიღებისათვის, ფილოლოგიური ძიებანი, II, 1995, გვ. 64-80.

ენუქიძე თინა, ტბეთის სულთა მატთანე, გამოსცა თ. ენუქიძემ, თბილისი, 1977.

თარხნიშვილი მიხეილი, იაკობის ჟამისწირვის კიდევ ერთი ქართული ნუსხა, კრ-ში: მიხეილ თარხნიშვილი, წერილები, (თარგ. გერმანულიდან თ. ჭუმბურიძისა), თბილისი, 1994, გვ. 195-203.

თარხნიშვილი მიხეილი, სიწმიდის განახლების წესი და მისი დღესასწაული ვნების პარასკევს ქართული წყაროების მიხედვით, კრ-ში: მიხეილ თარხნიშვილი, წერილები, (თარგ. გერმანულიდან თ. ჭუმბურიძისა), თბილისი, 1994, გვ. 265-272.

თარხნიშვილი მიხეილი, ქართული ლექციონარის ორი ფრაგმენტი V და VIII საუკუნეებისა, კრ-ში: მიხეილ თარხნიშვილი, წერილები, (თარგ. გერმანულიდან თ. ჭუმბურიძისა), თბილისი, 1994, გვ. 151-173.

თაყაიშვილი ექვთიმე, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები... პარიზი, 1933.

თაყაიშვილი ექვთიმე, მეფეთა და კათალიკოზთა სულთა მატთანე ნიკორწმიდის ხელნაწერში, პარიზი, 1939 (16გვ.; ამონაბეჭდი პარიზში გამომავალ ჟურნალ “კაეკასიონში“).

კეკელიძე კორნელი, ძველი ქართული ლიტურჯურის ისტორია, I, თბილისი, 1980 (ლიტურჯიკა, გვ. 373-386).

კეკელიძე კორნელი, ანტონი კათალიკოზის სალიტურჯიკო მოღვაწეობიდან. ეტიუდები..., IV, 1957, გვ. 175-186.

კეკელიძე კორნელი, ძველი ქართული წელიწადი. ეტიუდები..., I, 1956, გვ. 99-124.

კეკელიძე კორნელი, ძველი ქართული ეორტალოგიური წელიწადი. ეტიუდები..., ტ. I, 1956, გვ. 125-132.

კეკელიძე კორნელი, „მცირე კანონი“ იოანე ზოსიმესი. ეტიუდები..., III, თბილისი, 127-139. (მცირე კანონი ვნების კვირიაკისა და სამი დღე-სასწაულისა: შობის, ნათლისღებისა და ბზობის. იხ. ი. ჯავახიშვილი, სინის მოის ხელ. აღწ. (Sin. 37), გვ. 83-101).

კეკელიძე კორნელი, იოანე ქართველის კალენდარი (Xს.), შესწორებული ტექსტი და გამოკვლევა, ეტიუდები ძვ. ქარო. ლიტ-ის ისტორიდან, V, თბილისი, 1957, გვ. 242-294.

კვიპრიანე არქიმანდრიტი (კერნი), ლიტურგიკა, თარგმნა და შენიშვნები დაურთო ელ. კალანდარიშვილმა, თბილისი, 2002.

კოჭლამაზაშვილი ექვთიმე, წესი მოძღვრობისა, კრ. „რელიგია და საზოგადოება“, III, თბილისი, 2004, გვ. 20-28.

კოჭლამაზაშვილი ექვთიმე, კათაკმეველობისა და ნათლისღების წეს-განგებათა სისტემა უძველეს ქართულ „კურთხევანთა“ კრებულებში, „ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი“, II, 2008.

კოჭლამაზაშვილი ექვთიმე, წინდობისა და ქორწილის საეკლესიო რიტუალი უძველეს ქართულ „კურთხევანთა“ კრებულებში, „ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი“, I, 2008, გვ. 349-369.

კოჭლამაზაშვილი ექვთიმე, „მამაო ჩუენოსა“ ასამაღლებელისათვის“, თბილისი, 2000.

კოჭლამაზაშვილი ექვთიმე, გულანი, „ლიტერატურული ძიებანი“, XXII, თბილისი, 2001, გვ. 92-101.

კოჭლამაზაშვილი ექვთიმე, ეფრემ მცირის ერთი ლიტურგიკული კომენტარი, კრ. „კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა“, №3, თბილისი, 2000, გვ. 8-13.

კოჭლამაზაშვილი ექვთიმე, დიდი სინური კურთხევანის რედაქციული თავისებურებანი, თბილისი, 2002.

კოჭლამაზაშვილი ექვთიმე, ტაძრობა, უფრ. „სავანე“ (ჭიათურის ეპარქია), №1, 2001, გვ. 12-14.

კოჭლამაზაშვილი ექვთიმე, შემურვის ღოცვა, მცირე საეკლესიო კალენდარი 1999 წლისათვის, თბილისი, 1998, გვ. 20-31.

კოჭლამაზაშვილი ექვთიმე, „რომლითა ენითა არს მარტყლიაჲ?“, საქ. საეკლესიო კალენდარი (გამომც. „ნათლისმცემელი“), 2004, გვ. 398-406.

კოჭლამაზაშვილი ექვთიმე, გიუნაშვილი ელგუჯა, „ტიპიკონი შიომღვიმის მონასტრისა“ XIIIს. ხელნაწერის მიხედვით (ტექსტი), თბილისი, 2005წ.

კოჭლამაზაშვილი ექვთიმე, წმიდა გერმანე კონსტანტინეოპოლელი, სახისმეტყველებითი განმარტება საღმრთო ლიტურგიისა (ტექსტი, შესავალი, ლექსიკონი) საქ. ეკლესიის კალენდარი 2004 წლისათვის (გამომც. „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2003, გვ. 111-179.

კოჭლამაზაშვილი ექვთიმე, ლიტურგიკული ლექსიკონი (მასალე-ბი), საქ. საეკლესიო კალენდარი, 2003, გვ. 280-340.

კოჭლამაზაშვილი ექვთიმე, საღმრთო მსახურება ვნების შეიდუელში, თბილისი, 2000.

კოჭლამაზაშვილი ექვთიმე, მცირე კუროხევეანი, ბოლოსიტყვაობა, თბილისი, 1998.

კოჭლამაზაშვილი ექვთიმე, რა დღესასწაულია ოცობა? ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, №4, 1992, გვ. 59-63.

კოჭლამაზაშვილი ექვთიმე, მიცვალებულთა მოხსენების დღეების შესახებ, ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, №2, 1991, გვ. 14-29.

კოჭლამაზაშვილი ექვთიმე, ლამპრობის სულიერი შინაარსისათვის, ჟურნ. „რელიგია“, №11-12, 1998, 12-24.

კოჭლამაზაშვილი ექვთიმე, სულთმოფენობა თუ სამებობა?, „ჯვარი ვაზისა“, №1, 1991, გვ. 22-28.

კოჭლამაზაშვილი ექვთიმე, მარტივი დღესასწაულისათვის, ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, №2, 1992, გვ. 47-54.

კოჭლამაზაშვილი ექვთიმე, რა დღესასწაულია გარეგნობა? ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, №4, 1992, გვ. 59-63.

მარი ნიკო, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა (გამოსცა ე. მეტრეველმა), თბილისი, 1955.

მეტრეველი ელენე, ახალი ნაშრომი ქართულ მრავალთაეზე, მაცნე, ელს, №4, 1976, გვ. 67-68.

მეტრეველი ელენე, ათონის ერთი ალაპის გაგებისათვის, ლიტერატურული ძიებანი, კრებული ეძღვნება აღ. ბარამიძის დაბადების 80-ე წლისთავს, თბილისი, 1983 გვ. 189-191.

მეტრეველი ელენე, ათონის ქართველთა მონასტრის საალაპე წიგნი, თბილისი, 1998 (გამოკვლევა და ტექსტი).

მეტრეველი ელენე, Сведения афонского синодикона об игуменах Бачковского монастыря и о Бакурианах, Византиноведческие этюды, Тбилиси, 1991, стрю21-32.

პერონე ლორენცო, „ძაღლების განდევნა ლოცვის უამს“ მლოცველის სახე დემონებსა და ანგელოზებს შორის: ორიგენედან ევაგრე პონტოელამდე, კრ. „ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი“, II, თბილისი, 2009, გვ. 9-53 (თარგმანი ფრანგულიდან).

რაფაელა მაია, ჩიკვატია ნანა, სვიმონ ახალი ღვთისმეტყველი „სინანულის მიმართ“ (ტექსტი, ლექსიკონი), „ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი“, II, თბილისი, 2009, გვ. 236-294.

სურგულაძე მზია, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბილისი, 1978, (156 გვ.).

ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლეა, ელ. მეტრეველის გამოც., თბილისი, 1956.

უტიე ბერნარ, კ. კეკელიძე და ქართული ლექციონარის საკითხები, მრავალთაეი, X, თბილისი, 1983, გვ. 27-33.

უძველესი იადგარი, გამოსცეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანიკიემა და ლ. ხევსურიანმა, თბილისი, 1980 (942 გვ.).

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, ნაკ. I, (ელ. მეტრეველი, ც. ჭანიკიევი, ლ. ხევსურიანი, ლ. ჯღამაია) თბილისი,

1978; ნაკ. II (ლ. ჯღამაია და ც. ჭანკიევი), თბილისი, 1980; ნაკ. III, (რ. გვარამია, ელ. მეტრეველი, ც. ჭანკიევი, ლ. ხევსურიანი და ლ. ჯღამაია), თბილისი, 1987.

ქაჯაია ნინო, ბასილი კესარიელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები, თბილისი, 1992, გვ. 109-145; 260-317.

ქაჯაია ნინო, ზიარების საგალობელი იოანე ოქროპირის საღმრთო ლიტურგიაში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1998, 149-151.

ქაჯაია ნინო, გელათური კონდაკისა და „კათალიკოსთა სამართლის“ დათარიღებისათვის, მრავალთავე, XVIII, 1999, გვ. 336-343.

ქაჯაია ნინო, ქერუბიკონის ლოცვა ძველ ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში, ლოგოსი, „მეტანოია“, 2001, 213-233.

ქაჯაია ნინო, „დიდი შესვლის“ საგალობელი „სიწმიდისაჲ“ ძველ ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 2000, გვ. 145-160.

ქაჯაია ნინო, ხელთბანის რიტუალი და საგალობელი ძველ ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში, მრავალთავე, XIX, 2002, 21-29.

ქაჯაია ნინო, „დილოგი“ დიდ შესვლაში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 2003.

ქაჯაია ნინო, ხელნაწერ გრაფი 5-ის ხელახალი დათარიღებისათვის, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 2004.

ქაჯაია ნინო, ლიტანია და პროსკომიდის (ჟამისწირვის) ლოცვა „დიდ შესვლაში“, „წელიწადეული“, 2003.

ქაჯაია ნინო, კმევა იოანე ოქროპირის საღმრთო ლიტურგიაში, მრავალთავე, XX, 2003, გვ. 162-169.

ქაჯაია ნინო, „დიდი შესვლის“ მეორეული ფორმულები იოანე ოქროპირის ჟამისწირვის ვახტანგისეულ რედაქციაში, მრავალთავე, XXI, თბილისი, 2005, გვ. 161-168.

ქაჯაია ნინო, ბიზანტიური ლიტურგიის ქართული თარგმანის ისტორიიდან, კრ. ბიზანტინოლოგია საქართველოში, თბილისი, 2007, გვ. 421-430.

შანიძე აკაკი, ხანმეტი ლექციონარი (ფოტოტიპირი რეპროდუქცია), გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ, თბილისი, 1944.

შანიძე აკაკი, ქართული მონასტერი ბულგარეთში, თბილისი, 1971.

შანიძე აკაკი, ჰამეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, 1923, გვ. 354-388.

ჭელიძე ედიშერი, დიდნი კუროხევეანი (გამოკვლევა, ტექსტი, სქოლიოები, 460 გვ.).

ჭილი-ეტრატის იადგარი, გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს ა. შანიძემ, ა. მარტიროსოემა და ა. ჯიშიაშვილმა, თბილისი, 1977 (296 გვ.).

ხანმეტი ლექციონარი (ფოტოტიპირი რეპროდუქცია), გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ, თბილისი, 1944 (064, 54 გვ.).

ხაუშია თამარი, „ათონის კრებულის“ ალაპათა ზოგიერთი ადგილის დაზუსტებისათვის, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 34, 1962.

ხაჩიძე ლელა, კვლავ „მარხვანის“ ახალი რედაქციის შესახებ, ლიტ-რა და ხელოვნება №1, 1994.

ხაჩიძე ლელა, გიორგი მოაწმიდელის რედაქციის მარხვანის პარიზული ნუსხა, კრ-ში: ივირონი-1000, თბილისი, 1983, გვ. 264-267.

ხაჩიძე ლელა, ეყრემ მცირე და ქართული „მარხვანი“, ლიტ. და ხელოვნება, №3-4, 1993, გვ. 156-172.

ხაჩიძე ლელა, ეყრემ მცირის რედაქციის „მარხვანის“ სპეციფიკა. ს.-ს. ორბელიანის სახ. სახელმწ. პედ. ინსტიტუტის მე-60 კონფერენციის მოხს. თეზისები, თბილისი, 1994.

ხევსურიანი ლილი, უძველესი იადგარის სტრუქტურა, საკ. დისერტ. ხელნაწერი, თბილისი, 1984.

ხევსურიანი ლილი, ახალი შრომა ქართული ლექციონარის საგალობლებზე, მაცნე, ელს, №2, 1973, გვ. 183-191.

ხევსურიანი ლილი, Sin. 34-ის შედგენილობის საკითხისათვის, მრავალთავი, VI, თბილისი, 1978, გვ. 88-122.

ხევსურიანი ლილი, „ზატიკის“ ორი ძველი ქართული რედაქცია, კრ. „ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი“, I, თბილისი, 2008, გვ. 223-348.

ხევსურიანი ლილი, ჭილ-ეტრატის იადგარის შედგენილობა, ხელნაწ. ინსტ. XV სამეც. სესიის თეზისები, თბილისი, 1973, გვ. 8-10.

ჯავახიშვილი ივანე, სინის მთის ქართ. ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1947 (320 გვ.).

Арранц М., История Типикона (опыт.). Ленинградская Духовная Академия, 1978 (112 стр.).

Дмитриевский А., Древний Святогробский Иерусалимский Устав. По поводу книги К. Кекелидзе: „Иерусалимский Канонарь“ VIIв., (груз. версия), Тифлис, 1912. Сообщения Имп.-православного палестинского общества, т. XXIV, выпуск I, с. 34-48.

Дмитриевский А., Древнейшие патриаршие типиконы - Святогробский - Иерусалимский и Великой Константинопольской церковью, Критико-библиографическое исследование, Киев, 1907, (352 стр.).

Дмитриевский А., Богослужение страстной и пасхальной седмиц во Иерусалиме IX-Хвв., Казань, 1884 (XVI, 426 стр.).

Жордания Ф., Описание рукописей Тифлиского церковного музея, кн. II, Тифлис, 1902, кн. I,...

Каджаян Н., Литургия, Православная Энциклопедия, XIII, Москва, 2009.

Карабинов И., Постная Триодь, Исторический обзор её плана, состава, редакций и славянских переводов, СПб (IX+294 стр.).

Карабинов И. - К.С. Кекелидзе, „Иерусалимский Канонарь“ VIIв., (груз. версия), Христианские чтения, 1912г. С. 646-651. (Рецензия)

Карабинов И., Студийский типикон в связи с вопросом о реформе нашего богослужебного устава. Петроград, 1915, (12 с.).

Кекелидзе К., Фрагменты „Краткого синаксаря св. Евфимия Афонского“, в кн-е: „Иерусалимский Канонарь“ VIIв., Тифлис, 1912.

Кекелидзе К., Древнегрузинский Архиератикон, Грузинский текст издан под редакцией и предисловием К.С. Кекелидзе, Тифлис, 1912 (XXX, 142 стр.).

Кекелидзе К., „Иерусалимский Канонарь“ VIIв., (груз. версия), Тифлис, 1912, VII (346 стр.).

Кекелидзе К., К вопросу о времени празднования Рождества Христова в древней церкви, Труды Киевской Духовной Академии, 1905, №1, с. 1-10.

Кекелидзе К., Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, Тифлис, 1908, XXXI (XII +515стр.).

Кекелидзе К., К вопросу об иерусалимском происхождении грузинской церкви, ეტიუდები... IV, 1957, გვ. 358-363.

Кекелидзе К., Константинопольской курс истории древнегрузинской литературы, ეტიუდები... IX, 1963, გვ. 123.

Лебедев П., Наука о богослужении православной греко-русской церкви, I, Москва, 1881.

Марр Н., Предварительный отчёт о работах на Синае, веденных в сотрудничестве с И.А. Джаваховым, и в Иерусалиме, в поездку 1902г., СПб, 1903 (51 стр.).

Марр Н., Описание груз. рукописей Синайского Монастыря, Моск.-Ленингр., 1940 (XII, 276стр.).

Помяловский И., Паломничество по Святым местам конца IV века, Православный Палестинский сборник, т. VII, вып. 2, СПб, 1889 (312 стр.).

Скабаланович М., Толковый типикон, I, Киев, 1910 (XIV, 494 стр.).

Сергий (Архимандрит), Полный месяцеслов Востока, т. I-II, Владимир, 1901, т. I (XXII, 732 стр.), т. II (XXX, 700 стр.).

Успенский Н.Д., Чин всеношного бдения на православном Востоке и в русской церкви, Богословские труды, 18, 1978.

Цагарели А., Сведения о памятниках груз. письменности, вып. II, СПб, 1883 (XXXII, 119 стр.).

Цагарели А., Памятники грузинской старины в святой земле и на Синае, СПб, 1888.

Хевсуриани Л., Ленинградские фрагменты грузинских синайских рукописей, тезисы докладов конференции по истории средневековой письменности и книги, Ереван, 1977.

Abel F., რეცენზია კ. ეკელიძის წიგნზე იერუსალიმის კანონარი VIIв.-ისა Revue biblique, vol. XXIII, Paris, 1914, p. 453-462.

Amphoux C., Outtier B., Les lecons des versions géorgiennes de l'épître de Jacques Biblica, 65, 1984, p.365-376.

Baumstark A., Ausstrahlungen des vorbyzantinischen Heiligenkalenders von Jerusalem. Orientalia Christiana Periodica, 2, 1936.

Capelle b., La fête de la Vierge à Jérusalem au V Siècle, Le Muséon, vol. LVI, fasc. 1-4, 1943, p.1-33.

Conybeare F.C., Wardrop Ol., The Georgian Version of the Liturgy of st. James, Revue de l'Orient Chrétien, 18, 1913, s.396-420; 19, 1914, s.155-173.

Garitte G., Les feuillets géorgiens de la collection Mingana à Selly Oak: (Birmingham), Le Muséon, t. 73, fasc. 3-4, 196, pp. 239-259.

Garitte G., Le Calendrier palestino-géorgien du Sinaïticus 34 (X-e siècle). Edité, traduit et commenté par G. Garitte, Bruxelles, 1958 (887p.).

Garitte G., Un index géorgien des lectures évangéliques Selon l'ancien rite de Jérusalem, Le Muséon, t. 83, fasc. 3-4, 1972, 348-353.

Goussen H., Über Georgische Drucke und Hsdschriften, die Festordnung und den Heiligenkalender des altchristlichen Jerusalemes betreffend, Analecta Bollandiana, t. 42, 1924.

Goussen H., Die georgische Petrusliturgie, In: Lateinische Zurückübersetzt und mit vorläufigen Bemerkungen begleitet von H. Coussen, Oriens Christianus, (Neue Serie); 3Bd., 1913, s.1-15.

Engherding H., Das Verzeichnis von Lesungen und Psalmversen im Sin. Georg. 39 (129r-132r), Oriens Christianus, Bd., 53, 1969, 89-107.

Esbroeck M. van., Le manuscrit géorgien sinaïtique 34 et les publications récentes de liturgie palestinienne, Orientalia Christiana Periodica, t. 40, 1980, pp. 125-141.

Esbroeck M. van., Le manuscrit de Jean-Zosimé Sin. 34 et Tsagareli 81, Bedi Kartlisa, (Revue de Kartvélogie), vol. XXXIX, 1981, p. 63-75.

Iedliska J., Das Prager Fragment der altgeorgischen Jakobusliturgie, Argchiv orientalni, 29,1961, 183-196.

Jeffery P., The Earliest Ghristian Chant Repertory Recovered: The Georgian Witnesses to Jerusalem Chant. Journal of the American Musicalogical Society, 47, 1994, 1-38.

Jeffery P., The Sunday Office of Seventh-Century Jerusalem in the Georgian Chantbook (Iadgari): A Preliminary Report Studia Liturgica 21, 1991, 52-75.

Leeb H., Die Gesänge im Gemeindegottesdienst von Jerusalem vom 5. bis 8. Jahrhundert. Wien. 1970 (312s.).

Metreveli H., Les manuscrits liturgiques géorgiens des IX^e-X^e siècles et leur importance pour l'étude de l'hymnographie Byzantine: Actes du XV^e Congrès... Athènes, 1976.

Outtier B., La lecture liturgique des Épîtres catholiques dans l'Eglise ancienne. Chapitre 3. Les lectionnaires géorgiens (Histoire du texte biblique, 1), თბ., 1997, 75-85.

Outtier B., Un Feuille du lectionnaire géorgien hanmeti á Paris. Le Muséon, 85, 1972, 399-402. ქართ. თარგ. მაცნე, ელს, №1, გვ. 173-175.

Outtier B., Fragments onciaux du Lectionnaire Géorgien, Bedi Kartlisa (Revue de Kartvélogie), t. 33, Paris, 1975; t. 34, 1976.

Outtier B., Le Jadgari sur papyrus et parchemin, édition et études par A. Chanidzé, A. Martirosov et A.Djichiachvili, Bedi Kartlisa, Revue de Kartvélogie, vol. XXXVII, Paris, 1979, p. 336-341.

Outtier B., Un fragment d'évangélaire liturgique de Saint-Sabas (Doc. Sinā Géo 63) Bedi Kartlisa, 36, 1978, 53-55.

Outtier B., K. Kekelidzé et le lectionnaire géorgien, Bedi Kartlisa, Revue de Kartvélogie, vol. 38, Paris, 1980, p.23-25.

Outtier B., Un témoin partiel du Lectionnaire géorgien ancien (Sinaï géo 54), Brdi kartlisa, Revue de Kartvélogie, vol. XXXIX, Paris, 1981, p.76-88.

Outtier B., Un nouveau témoin partiel du Lectionnaire Géorgien ancien (Sinaï Geo 12), Bedi Kartlisa, vol. XVI, Paris, 1983, 162-174.

Outtier B., Verhelst S., La kéryxie catholique de la Liturgie de Jérusalem en géorgien (Sin. 12 et 54). Archiv für litugiewissenschaft, Jahrgang 42, Hefft 1/2, 2000, s. 41-63.

Παπαδόπουλος-Κεραμύς, Α., Τυπικὸν τῆς ἐν Ἱεροσολύμοις ἐκκλησίας. Ανάλекτα ιεροσαλμιτικῆς σταχυολογίας, II, Πετρούπολι, 1894 (540s.).

Pecters P., Rezension zu H. Goussen: Über georgische Drucke und Handschriften... Analicta Bollandiana, t. XLII, 1924, s. 138-139.

Peradze G., Les monuments liturgiques prébyzantins en lanque géorgienne, Le Muséon, t. 45, 1932, 255-272.

Peradze G., Zur vorbyzantischen Liturgie Georgiens, Le Muséon, t. XLII, 1929, s. 90-99.

Renoux Ch., Le Jadgari géorgien et le Šaracnoé arménien, Revue des études arméniennes, 24, 1993, p. 89-112.

Renoux Ch., Les Hymnes de la Résurrection 1. Himnographie liturgique géorgienne (Textes du Sinaï 18), Introduction, traduction et annotation par Charles Renoux, Paris, 2000.

Tarnischvili M., Eine neue georgische Jakobs-liturgie. Ephemerides liturgicae, 62, 1948, 49-82. (დართული აქვს უამისწირვის ტექსტის გერმანული თარგმანი).

Tarnichvili M., Liturgiae ibericae antiquiores. Luvanii, 1950, vol. 122-123.

Tarnischvili M., Zwei georgische Lectionarfragmente aus dem 5. und 8. Jahrhundert, Le Muséon, t. LXXIII, fasc. 3-4, s. 261-285.

Tarnischvili M., Sources Arméno-Géorgiennes de l'histoire ancienne de l'Eglise de Géorgie, Le Muséon, t. 60, 1947, 29-50.

Tarnischvili M., Le grand lectionnaire de l'Église de Jérusalem (V-e - VIII-e siècle), édité par M. Tarnischvili, t. I-II, Louvain, 1959/1960 (CSCO, vol. 188-204 ქართ. ტექსტი, vol. 189-205 ლათინური თარგმანი, Scriptores iberici, t. 9, 13, 10, 14).p

Wade A., The Oldest Iadgari The Jerusalem Tropologion, V-VIc. Orientalia Christiana periodica, 50, 1984, 451-456.

ᄆ ᄇᄀ ᄆ ᄇ ᄆ ᄈ ᄉ ᄊ ᄋ

შ ი ნ ა ა რ ს ი

ქართული ორიგინალური და ნათარგმნი ეგზეგეტიკური მწერლობა.....	575
ორიგინალურ ეგზეგეტიკურ თხზულებათა ბიბლიოგრაფია.....	595
საძიებლები; 1. ავტორთა; 2. ხელნაწერთა	603
სამეცნიერო ლიტერატურა ნათარგმნი ეგზეგეტიკის შესახებ	605

ქართული ორიბინალური და ნათარბმნი ეგზეგეტიკური მწერლობა

ქრისტიანული ეგზეგეტიკური მწერლობა თეოლოგიური და ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური მეცნიერების ნაწილია, რომელიც იკვლევას ძველი და ახალი აღთქმის კანონიკური ბიბლიური წიგნების ღვთისმეტყველებისა და ისტორიულ-ფილოლოგიურ საკითხებს. მისი მიზანია ბიბლიური წიგნების კონკრეტული ადგილების, ან მთელი წიგნის თანმიმდევრული „თარგმანება“, ე.ი. განმარტება, კომენტირება. ახლად ჩამოყალიბებული ქრისტიანული საზოგადოება განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ბიბლიური ლიტერატურისადმი, მაგრამ ყველას არ შეეძლო ჩაწვდომოდა ბიბლიური წიგნების რთულ მისტიკურ და სიმბოლურ-აღვგორიულ სამყაროს. შეიქმნა ქრისტიანული ეგზეგეტიკური მწერლობის ჩამოყალიბების საჭიროება.

ქრისტიანული ეგზეგეტიკა უშუალოდ ებრაული ეგზეგეტიკის მემკვიდრეა. აკად. კ. კეკელიძე წერს: „თარგმანება ჯერ კიდევ ძველმა ებრაელებმა შემოიღეს; როდესაც მათ დაივიწყეს დედაენა და ქალდეურ-არამეულზე დაიწყეს ლაპარაკი, საჭირო შეიქნა მათთვის ბიბლიის ტექსტის ქალდეურად თარგმანება. ეს თარგმანება თავდაპირველად ზეპირი იყო, შემდეგ ჩაიწერა და აქედან წარმოდგა არამეული „თარგუმები“, რომელიც უფრო პერიფრაზულია, ვიდრე ნამდვილი თარგმანი ტექსტისა...“¹⁵⁹

ქრისტიანული ეგზეგეტიკის ჩამოყალიბებაში გამოყენებული იყო აგრეთვე ბერძნული წარმართული ეგზეგეტიკის გამოცდილებაც: ანტიკური ეპოქის რელიგიური შინაარსის ტექსტებს, აგრეთვე პოეტურ ძეგლებს ხშირად ურთავდნენ ტექსტოლოგიური ხასიათის ახსნა-განმარტებებს, ალგორიული ადგილების კომენტარებს (მაგ., ჰომეროსის პოემების ტექსტის კომენტარები). ქრისტიანული ეგზეგეტიკა თავისი წინამორბედებისაგან თვისობრივად და შინაარსობრივად ღიდად განსხვავდებოდა, იგი წინ უძღოდა (ბერძ. εἰρηωσις - გაძლოდა) ქრისტიანული ეკლესიის მრევლს ბიბლიური ჭეშმარიტების შეცნობაში.

ქართული ტერმინი „თარგმანება“ შინაარსობრივად გულისხმობს: 1. ტექსტის შინაარსის მარტივად გადმოცემას – თხრობას; 2. ტექსტის რთული ადგილების ახსნა-განმარტებას კომენტირების გზით; 3. ერთი ენიდან მეორე ენაზე გადმოდებას – თარგმნას. შესაბამისად, ძველი ქართული „თარგმანი“ ნიშნავს შინაარსსაც, კომენტარსაც და თარგმანსაც. მეტიც, „თარგმანი“ ძველ ქართულ ენაში აღნიშნავს პიროვნებასაც, ვინც თარგმნის („მოივსენენ, უფალო, ... თარგმანი“ – იაკობ

159 კ. კეკელიძე, „თარგმანებაი ეკლესიასტისაი მითროფანე მწერნელი ეპისკოპოსისაი“, თბილისი, 1920. მხოლოდ გამოკვლევა, მისივე: ეტიუდეტი ძველი ქართული ლიტის ისტორიიდან, XI, თბილისი, 1972.

მსოცქელის ქამისწირვიდან). მართალია, ჩვენ ნათარგმნი ეგზეგეტიკის მოკლე მიმოხილვა და ამ დარგის თხზულებათა ბიბლიოგრაფია უკვე წარმოვადგინეთ,¹⁶⁰ მაგრამ მას აქაც გავიმეორებთ (თხზულებათა ბიბლიოგრაფიის გარეშე) ორიგინალური ეგზეგეტიკური მწერლობის ძეგლებთან კავშირში, მით უმეტეს, რომ ორიგინალური ეგზეგეტიკური მწერლობა ძალიან მწირია. საქმე ისაა, რომ ბიბლიური წიგნების „თარგმანება“ საეკლესიო მამების მხოლოდ გამორჩეული ნაწილის კომპეტენციას წარმოადგენდა, რაც საეკლესიო კანონმდებლობით იყო დადასტურებული: VI მსოფლიო კრების (ტრულის) მე-19 კანონი ადგენს: „ვითარმედ... ნუშეცა სხუებრ თარგმნიან მას, თუნიერ, ვითარცა-იგი მნათობთა ეკლესიისათა და მოძღუართა აღწერით თუსთა მიერ გარდამოსცეს“.

ასეთმა კატეგორიულმა მოთხოვნამ ორიგინალური ეგზეგეტიკური მწერლობა ფრიად დააზარალა, რადგან მსოფლიო კრების ამ დადგენილებამ, როგორც ჩანს, ძალიან შეზღუდა პერიფერიულ ქრისტიანულ ეკლესიათა შემოქმედებითი პოტენციალი და თითო-ორიოლა ჩვენამდე შემონახული ქართულ ეგზეგეტიკოსთა მიერ შექმნილი „თარგმანება“ მხოლოდ კომპილაციური ხასიათისაა. ამასთანავე, ჩვენ „გავაფართოვეთ“ ეგზეგეტიკური მწერლობის არეალი ორიგინალური თხზულებებისათვის და ბიბლიოგრაფიაში ჩაერთეთ ყოველგვარი „განმარტებები“.

თავიდანვე ვიტყვით, რომ ორიგინალური ეგზეგეტიკის თხზულებათა ბიბლიოგრაფიაში ჩვენ არ შევიტანეთ ბიბლიური წიგნების შინაარსის შემცველი და პერიფრაზული ქართული ტექსტები, რომლის ნიმუშები მრავლადაა წარმოდგენილი გვიანდელი (XVIII-XIX სს.) ხელნაწერებში და რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს ეგზეგეტიკური მწერლობის ნიმუშებად, თუკი მათ ფართო გაგებით „თარგმანების“, ე.ი. განმარტების შინაარსით განვიხილავთ, ხოლო ეგზეგეტიკას თუ უპირველესი ქრისტიანული მნიშვნელობით ვიხმართ, იგი ძველი და ახალი აღთქმის მხოლოდ კანონიკურად მიჩნეული წიგნებისა და მისი ცალკეული ადგილების თეოლოგიურ-ტექსტოლოგიური „თარგმანებას“, ე.ი. „განმარტება-კომენტარს“ ნიშნავს. მოკლედ წარმოვადგინთ ქართული

ორიგინალური ეგზეგეტიკური მწერლობის ძირითად პირველწყაროს ბიზანტიური ქრისტიანული საეკლესიო მწერლობის უმდიდრესი და უმნიშვნელოვანესი დარგის – ეგზეგეტიკის მწერლობის უმთავრეს ავტორებს და მათ ძეგლებს, რომლებიც თარგმნილია ქართულად..

ქ. კეკელიძის თვალსაზრისით, ქრისტიანული ბიზანტიური ეგზეგეტიკა სამ პერიოდს მოიცავს: დასაწყისი – პირველი სამი საუკუნე, კლასიკური – IV და V საუკუნეები და ბიზანტიური, რომელიც VII-დან იწყება და თითქმის კონსტანტინეპოლის დაცემამდე (1453წ.) გრძელდება.

160 ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, აპოკრიფები, თბილისი, 2009, გვ. 219-362.

პირველი სამი საუკუნის განმავლობაში ეგზეგეტიკური მეცნიერება სუსტად იყო განვითარებული. ამის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ქრისტიანთა დევნა. ამ დროს ძირითადი აქცენტი სააპოლოგეტიკო მწერლობაზე კეთდებოდა. ამ პერიოდიდან სულ ოთხი მწერალი შეიძლება დავასახელოთ, რომელთაც ეგზეგეტიკური თხზულებები შექმნეს: იპოლიტე პრომაელი (+236წ.), ორიგენე (+254წ.), დიონისე ალექსანდრიელი (+264წ.) და მეთოდი ოლიმპიელი (+310წ.).

მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა ნებადართულ რელიგიად გამოცხადდა და ქრისტიანული ეკლესია – ლეგალურ ორგანიზაციად, ქრისტიანულმა მწერლობამ და, კერძოდ, ეგზეგეტიკურმა მწერლობამ ფართო ასპარეზი მოიპოვა. შეიქმნა პირობები, რომ ქრისტიანული ეკლესიის მამებს მორწმუნეთა შეგნებაში გაედრმავებინათ ქრისტიანული ცოდნა, წამოეყალიბებინათ ძირითადი ქრისტიანული დოგმები და ყოველმხრივ განემართათ ქრისტიანული მოძღვრების უმთავრესი წყარო – საღმრთო წერილი. ამ საუკუნეებში შეიქმნა ისეთი აღიარებული ეგზეგეტიკური შედეგები, რომლებიც სამაგალითო გახდა მომავალი საუკუნეების ქრისტიანული მწერლობისათვის. IV-V სს., საერთოდ, ქრისტიანული მწერლობის კლასიკურ, ოქროს ხანად არის აღიარებული. ამ პერიოდის საეკლესიო მწერლობის ცენტრად ორი სკოლა – ალექსანდრიული და ანტიოქიური იყო აღიარებული, საეგზეგეტიკო მეთოდით ეს ორი სკოლა განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან: ალექსანდრიის სკოლისათვის დამახასიათებელი იყო ეგზეგეტიკური მწერლობის ალეგორიული, ანუ ძველი ქართული ტერმინოლოგიით – სახისმეტყველებითი მეთოდი, რომელიც საღმრთო ტექსტებში ეძებდა უაღრესად საიდუმლო, მისტიკურ აზრს. ანტიოქიური სკოლა უფრო რეალისტური მეთოდით ხელმძღვანელობდა, რომელიც ალეგორიას უარყოფდა და საღმრთო წერილში იმას ხედავდა, რისი დანახვაც ადამიანის გონებას შეეძლო. ამ პერიოდის ყველაზე ცნობილი ეგზეგეტები იყვნენ: ეფრემ ასური (+373წ.), ათანასე ალექსანდრიელი (+373წ.), ბასილი დიდი (+379წ.), დიოდორე ტარსელი (IV ს. II ნახ.), აპოლინარი ლაოდიკიელი (+390წ.), გრიგოლ ნოსელი (+394წ.), ეპიფანე კვიპრელი (+401წ.), იოანე ოქროპირი (+407წ.), ევსუქი იერუსალიმელი (V ს.), კირილე ალექსანდრიელი (+444წ.), თეოდორიტე კვირელი (+466წ.).

ბიზანტიური პერიოდის ეგზეგეტიკური მწერლობის დონის საგრძნობი დაქვეითება ძირითადად გარკვეულმა კულტურულ-ისტორიულმა პირობებმა განსაზღვრეს: დაიწია საგანმანათლებლო დონემ, იგრძნობა ტალანტების ნაკლებობა, საღვთისმეტყველო ინტერესები შესუსტდა, სასულიერო მწერლობას საშუალო დონის ადამიანები ქმნიდნენ და იგი კიდევ განაგრძობდა არსებობას. ეს მონასტრებში ხდებოდა. ეგზეგეტიკაშიც, ისევე როგორც სასულიერო მწერლობის დანარჩენ დარგებში, თავი იჩინა IV-V სს-ის ეგზეგეტთა ავტორიტეტმა, მათი ნაშრომების დებულებათა ზუსტად განმეორებამ, როგორც ეს VI კრების მე-19 კანონშია გადმოცემული: „ვითარმედ უკმს წინამძღუართა ეკლესიისათა – ეპისკოპოსთა, ყოველსა შინა დღეთა, ხოლო ყოველსავე

სამღვდლომსა მწყობრისა და ყოველისა ერისა სწავლად სიტყუათა კოილად-მსახურებისათა, საღმრომსა წერილისაგან გამოხუშითა ჭეშმარიტებისა, გულის-ხმის ყოფითა და სამართალთადათა და არა გარდასლეთითა ეგერა დასხმულთა სასლვართადათა ანუ ღმერთშემოსილთა მამათა მოცემისადათა, არამედ უკუეთუ წერილებრივიცა აღძრას სიტყუად, ნუმცა სხუებრ თარგმნიან მას, თვნიერ, ვითარ-იგი მნათობთა ეკლესიისათა და მოძღუართა აღწერილთა თუსთა მიერ გარდამოსცეს და უფრომსლა ამათ შინა ანუენებდინ კეთილ-გამოცდილებასა თუსსა, ვიდრე თუსთა სიტყუათა შეწყობასა თუსსა“.¹⁶¹ ასეთმა კატეგორიულმა საკანონმდებლო დადგენილებებმა თანდათანობით ჩამოაყალიბა ეგზეგეტიკის ისეთი კატეგორია, რომელსაც ახასიათებდა რაც შეიძლება მეტი ციტატების მოტანა მამათა და მოძღვართა ეგზეგეტიკური თხზულებებიდან ამა თუ იმ ტექსტის განსამარტავად და არა რაიმე სიახლის ძიება. აღნიშნული ეპოქის გამორჩეულ ეგზეგეტებს შორის უნდა დავასახელოთ: პროკოპი ღაზელი (VI ს.), ოლიმპიოდორე ალექსანდრიელი (VI ს.), მაქსიმე აღმსარებელი (+662 წ.), ანდრია კესარიელ-კაბადუკიელი (+820 წ.), ფოტი პატრიარქი (+891 წ.), მიქაელ ფსელოსი (+1078 წ.), თეოფილაქტე ბულღარელი (XIV), ექეთიმე ზიდაბენი (XII ს.). „ამ ეგზეგეტთა თხზულებანი წარმოადგენენ, უმეტეს შემთხვევაში, კომპილაციას და კლასიკური ეპოქის ეგზეგეტთა ასრების განმეორებას.“¹⁶² ეგზეგეტიკური მწერლობისადმი ასეთი მიდგომის შედეგად განხდა საეგზეგეტიკო კატენები, ანუ კრებულები, რომელთა წყალობით მკითხველს შეუძლია ადვილად გაითვალისწინოს, თუ როგორ ესმოდათ ესა თუ ის ადგილი წინადროინდელ საეკლესიო მამებს.

კატენები ასე იწერებოდა: საწერი ფურცლის შუაგულში წერდნენ ბიბლიურ ტექსტს, რომელსაც „კიმენი“ ეწოდება, ხოლო აშიებზე – ამ ტექსტის განმარტებას, ან სქოლიოს, ამოღებულს რომელიმე მწერლის ეგზეგეტიკური თხზულებიდან, ავტორის სახელის მოხსენიებით. თუ ამ ადგილის განმარტება სხვა ავტორსაც ჰქონდა, ეს ტექსტიც იწერებოდა ავტორის დასახელებით. იმ შემთხვევაში, თუ განმარტების ტექსტი ვრცელი იყო, კიმენური (განსამარტავე) ტექსტის დაწერის შემდეგ განმარტების ტექსტი, ან სხვადასხვა ავტორის ტექსტები იწერებოდა მიყოლებით და არა არშიებზე. კატენების სოგიერთი ავტორი პირველწყაროებით სარგებლობდა, სოგი კი – მზამზარეული კატენების კრებულთ.

საეგზეგეტიკო კატენების მამამთავრად პროკოპი ღაზელი (VI ს.) ითვლება. ცნობილია აგრეთვე: ანდრია ხუცესი (VIII ს.), იოანე დრუნდარი (XI ს.), ნიკიტა სერონელი (XI ს.), ნიკოლოზ მუხალონი (XII ს.), ნეოფიტე ეკლესტი (XII ს.), მარკოზ ქრიზოკეფალი და სხვ. ბევრია უავტორო, ანონიმური კატენები, რომლებიც ჯერ შესწავლილი არ არის.¹⁶³

161 დიდი სჯულისკანონი, თბილისი, 1975, გვ. 380-381.

162 კ. ეკელიძე, თარგმანებაი ეკლესიასტისა... ეტიუდები, XI, გვ. 181.

163 იქვე, უითოებს Krumbacher, Geschichte der byzantinisch Literatur, s. 210-216. (მეორე გამოცემა)

სანამ ძველ ქართულ მწერლობაში ნათარგმნ ეგზეგეტიკას შეეხებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ ორიგინალურ ქართულ ძეგლში – „ეესტათი მცხეთელის წამება“ გადმოცემული ძველი და ახალი აღოქმის წიგნების შინაარსი, რომელიც ზოგჯერ არ ემთხვევა ამ წიგნების კანონიკურ ტექსტს. კ. კეკელიძის აზრით, აქ ჩვენ საქმე გვაქვს უემოთ მოხსენებული „თარგუმების“ ადრე არსებული თარგმანის გამოყენებასთან, ან ბიბლიის წიგნების შინაარსის ავტორისეულ თავისუფალ გადმოცემასთან, ე.ი. ორიგინალურ „თარგუმებთან“.

ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ხელნაწერებში წარმოდგენილი ეგზეგეტიკური თხზულებები ბიბლიოგრაფიაშია შეტანილი. მათი ავტორები ძირითადად ცნობილი წმ. მამები არიან, მაგრამ საკმაოდ ისეთი სახელებიც, რომლებიც ქართველი მკითხველისათვის მხოლოდ ორი ეგზეგეტიკური ძეგლის განმარტებებით, ანუ ძველქართულად „თარგმანებით“ გახდნენ ცნობილი - „გელათის კატენებიანი ბიბლია“ და ეყრემ მცირის მიერ ნათარგმნი და გადმოკეთებული „თარგმანებად ფსალმუნთა“. ამიტომ ქვემოთ მოტანილ ეგზეგეტიკოსთა და არაბიბლიურ წიგნთა სქოლიოებისა და კომენტატორთა ჩამონათვალი შემოიფარგლება მხოლოდ მათი მითითებით ეგზეგეტიკურ თხზულებებზე და ავტორები ანბანურ რიგზეა წარმოდგენილი. ამასთანავე თხზულების გამოცემებს აქ აღარ მოვიტანთ, რადგან ეს მონაცემები მითითებულია თითოეული თხზულების ბიბლიოგრაფიული პარაგრაფის „შენიშვნაში“, ან ბოლოს დართულ „სამეცნიერო შრომების ბიბლიოგრაფიაში“.

1) ათანასე აღექსანდრიელის (+373წ.). ეგზეგეტიკურ შრომათაგან ქართულად თარგმნილია: 1) „თქუმული ნეტარისა ათანასის მთავარეპისკოპოსისა აღექსანდრიელისაჲ, ვითარ იგი ღიღითა წადიერებითა გულისმოდგინე ყოფილ არს გამოკულებად ძალსა წმიდისაჲთა და უპოვნია ვინმე მოხუცებული ერთი მარტოდ მყოფი, საესემ მადლითა სულისა წმიდისაჲთა და მისგან ზედამოწვენულ არს ძალსა ფსალმუნთასა დავეითისთა გულის-ხმის ყოფად“. ეს თხზულება შემოგვინახა 974 წლის ქართულმა ხელნაწერმა (A-38). ამ თხზულებაში ჩვენ გვაქვს ათანასეს ცნობილი ეპისტოლე მარკელინესადმი ფსალმუნთათვის, რომელშიც საუბარია ფსალმუნთა ღირსებასა და მათი დაყოფის შესახებ, აგრეთვე დადგენილია, რომელი ფსალმუნი ადამიანის რომელ სულისკვეთებას შეესაბამება. ბოლოს ათანასე იძლევა რჩევას, თუ როგორ უნდა ვგალობდეთ ფსალმუნებს.

ათანასეს მიეწერება აგრეთვე „ფსალმუნთა განმარტება“, რომელიც სინამდვილეში ეკუთვნის ევსუქი იერუსალიმელს.¹⁶⁴

2) აკაკი კესარიელის სახელი ქართულად ნათარგმნი თხზულებებიდან მხოლოდ გელათის ბიბლიის კატენებშია შემონახული. მას მიეწერება ერთი განმარტება – „რიცხვთა“ წიგნისა (XIV, 22).¹⁶⁵

164 P. Battifol, La Litterature grecque, 3ed, p.275, შგნ. 1. (ე. ჯუღელის დასახ. წიგნიდან)

165 ე. ჯუღელი, ნეტარი თეოდორიტე კვირელი... თბილისი, 2008, გვ. 180, სქ. 7.

3) ანდრია კესარიელის ანუ კრიტიელის (826წ.) მხოლოდ ერთი ეგზეგეტიკური თხზულებაა თარგმნილი: „წმიდისა მამისა ჩუენისა ანდრიაჲსი მთავარეპისკოპოსისაჲ კესარია-კაბადუკიელისაჲ თარგმანებაჲ გამოცხადებისაჲ წმიდისა იოანე მახარებლისაჲ, რომელი სთხოვა სხუამან ეპისკოპოსმან და ამან მიუწერა ესე მისა“, რამდენიმე ხელნაწერით არის ცნობილი, რომელთაგან უძველესია X-XI სს. ხელნაწერი A-397, 43r-10v, ხოლო უთარგმნია იგი ევთვიმე მოაწმიდელს.

4) აპოლინარი ლაოდიკიელის (+390წ.) ეგზეგეტიკური განმარტებები მრავლად შემოუნახავს გელათის კატენებიან ბიბლიას. მიუხედავად იმისა, რომ გელათის ბიბლიას მრავალი წიგნი აკლია (ხელნაწერის დაზიანების გამო), შემორჩენილ ნაწილში (ლევიტელთაით დაწყებული რუთამდე და წინასწარმეტყველები) აპოლინარის 233 კომენტარი გამოვლინდა¹⁶⁶. (აპოლინარი ცნობილი ერეტიკული მოძღვრების – აპოლინარიზმის – დამმარსებელი და მამამთავარია). სოგიერთი მისი სახელით წარწერილი განმარტება სხვა ავტორს ეკუთვნის, მაგრამ საპირისპირო მაგალითებიც არის – აპოლინარის კომენტარი სხვა ავტორისათვისაა მიკუთვნებული.

5) იპოლიტე რომაელი (+236წ.). თხზულებები თარგმნილია სომხური ენიდან, როგორც ეს ნ. მარმა გამოიკვლია. ეს თხზულებები შეტანილია X ს. ცნობილი შატბერდის კრებულში (S-1141) ასეთი თანმიმდევრობით: 1) „განმარტებაჲ კურთხევათა მათოჲს მოსესთა ათორმეტთა მიმართ ნათესავთა“, რომელშიც იგულისხმება „მეორე სჯულის“ 23-ე თავის „თარგმანება“, რომლის ბერძნული დედანი დაკარგულია, შემონახულია მხოლოდ სომხური თარგმანი, საიდანაც ითარგმნა ქართულად. 2) „თქმული კურთხევათა მათოჲს იაკობისთა, ვითარ იგი ათორმეტნი ნახაპეტნი აკურთხნა“. აქ იგულისხმება „შესაქმეთა“ წიგნის 49-ე თავის განმარტება (ხელ. S-1141, X, 140v-155v); 3) „დავითისათჲს და გოლიადისათჲს განმარტებაჲ“ (S-1141, X, 155v-162r). თხზულება, სადაც განმარტებულია „მეფეთა“ პირველი წიგნის მე-17 თავი, გარდა ქართულისა, სხვა ენაზე არ შემონახულა. 4) თარგმანებაჲ ქებაჲ ქებათაჲსაჲ (S-1141, X, 162-177r); ეს თხზულება ცნობილია, როგორც ბერძნულ, ისე სხვა ქრისტიან ერთა ენებზე, მათ შორის – სომხურზეც, საიდანაც ითარგმნა ქართულად, მაგრამ ქართული თარგმანი სხვა ვერსიებთან შედარებით ვრცელია. 5) აქ დასახელებული პირველი თხზულების დასაწყისიდან ცნობილი ხდება, რომ იპოლიტეს დაუწერია „ნეტარისა ისაკისა კურთხევაი მეთა მიმართ თჲსთა“, რომელშიც უნდა იგულისხმებოდეს „შესაქმეთა“ წიგნის 27-ე თავის განმარტება, რომლის არც დედანი შემონახულა და არც თარგმანი. იპოლიტეს ერთი განმარტება რუთის ბიბლიურ წიგნზე შეტანილია გელათის კატენებიან ბიბლიაში (A-1108, XII).

6) ბასილი დიდის (+379წ.) ეგზეგეტიკურ თხზულებათაგან ქართულად თარგმნილია: 1) „ექუსთა დღეთათჲს“, რომელიც ქართულად

ორჯერ უთარგმნიათ: პირველად IX-Xსს-ში არაბული ენიდან, როგორც ილ. აბულაქემ გამოიკვლია (ხელნაწერები Ier. 44, XII-XIII ს. Ier. 77, XIII-XIV სს), ხოლო მეორედ თარგმნა გიორგი მთაწმიდელმა (ხელნაწ. A-55, XI-XII, 166r-208r, A-73, XI, 1r-124r და სხვ.). სხვათა შორის, გიორგის ძველი თარგმანი გამოუყენებია, როგორც ამას თვითონ აღნიშნავს: „ღმერთმან იგი პირველნიცა თარგმანნი აკუროხენ, დიდად ჳელი აღმიპყრეს“. 2) „თარგმანებად ფსალმუნთა“ (სახელდობრ: 1,7,14,15,28,29,32,33,37,44,45,48,59,61,114,115), რომელიც ეფთვიმე მთაწმიდელს უთარგმნია, როგორც ეს აღნიშნულია „იოანესა და ეფთვიმე მთაწმიდელების „ცხოვრებაში“, ეფთვიმეს ნათარგმნ წიგნთა ჩამონათვალში: „თარგმნა სწავლანი წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისანი, მისიე თარგმანებად ფსალმუნთა...“. ამასვე იმეორებს ეფრემ მცირეც და ეთონის თარგმანების წინასიტყვაობაში (ეფთვიმეს თარგმანი ძირითადად ჩართულია ბასილი დიდის „ითიკის“ შემცველ ხელნაწერებში).

7) ბასილი მინიმუსს (Xს.) კომენტარები დაურთავს გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკული სიტყვებისათვის. ეს კომენტარები შეეხება გრიგოლის „სიტყვებში“ ბერძნულ მითოლოგიურ სახელთა განმარტებებს. 16 კომენტარიდან მხოლოდ ორია გამოქვეყნებული.¹⁶⁷

8) ბიქტორ (ვიქტორ) ანტიოქიელის სახელიც ქართულ სასულიერო მწერლობაში გელათის ბიბლიის კატენებთან დაკავშირებით ჩნდება. მართალია, იქ მისი სახელი ნახსენებიც კი არ არის, მაგრამ ე. ჯუღელიმა გელათის ბიბლიის კატენების ბერძნულ წყაროსთან (ნიკიფორე თეოტიკოსის Catena Lipsiensis) შედარებით გაარკვია, რომ ვიქტორ ანტიოქიელს უნდა ეკუთვნოდეს 3 განმარტება „მეორე სჯულისა“ და ერთი განმარტება „მსაჯულთა წიგნზე“.¹⁶⁸

9) გენადი კონსტანტინეპოლელის (+571წ.) სახელი კარგად არის ცნობილი მისი ქართულად თარგმნილი თხზულებების მიხედვით (“დიდ სჯულისკანონში“ შესულია მისი ცნობილი „მრგულიემოსაეღელი“-საყოველთაო ეპისტოლე), მაგრამ ეგზეგეტიკურ მწერლობაში იგი ერთხელ იხსენიება გელათის ბიბლიის „მსაჯულთა“ წიგნის განმარტებაში.¹⁶⁹

10) გრიგოლ ნოსელის (394წ.) ეგზეგეტიკურ თხზულებათაგან ქართულად თარგმნილია: 1) „კაცისა შესაქმისათუს, რომელი მიუწერა ძმასა თუსსა პეტრეს ეპისკოპოსსა სებასტიელსა“, რომელიც შეტანილია შატბერდის კრებულში და რომელიც ილ აბულაქის გამოკვლევით, თარგმნილია არა სომხური ენიდან (კ. კეკელიძე), არამედ – არაბულიდან.

167 თ. ოთხმეზური, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტარები ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში: აღვსების საკითხაიის ბასილი მინიმუსის განმარტება, მრავალთაი (ხელნ. ინს.), XXII, 2007, გვ. 244-257. თ. ოთხმეზური, ნათელათათუს საკითხაიის ბასილი მინიმუსის განმარტება, ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, II, 2009.

168 ე. ჯუღელი, დასახელ. წიგნი, გვ. 178, სქ9

169 იქვე, გვ. 42.

საინტერესოა, რომ პირველი თარგმანი ფიგურირებს არტანუჯის კრებაზე, სადაც სომეხთა მოძღვარს, სოსთენს თავისი დებულების ერთ-ერთი პუნქტის საფუძვლად მოუტანია გრიგოლ ნოსელის ამ თხზულების მეცხრამეტე თავი (სულ 30 თავია). ქართველებს ეს გაუპროტესტებიათ და სომეხური ენიდან ნათარგმნი ეს თხზულება ეყთვიმე გრძელს განუკეთია, ე.ი. ყალბად მიუხსნევია. ეს ცნობა დაცულია არსენ იყალთოელთან, რომელიც „დოგმატიკონში“ შეტანილ იოანე დამასკელის „გამოკრებანი წამებათანის“ „შეისწავენში“ აღნიშნავს ზემომოტანილ ფაქტს და აღშფოთებულია, რომ გიორგი მთაწმიდელის ეს თარგმანი ნაყალბევად მიიხსნის. არსენს, როგორც ჩანს, არტანუჯის კრებაზე განხილული გრიგოლ ნოსელის თხზულება შეცდომით გიორგის ნათარგმნად მიუხსნევია.¹⁷⁰ 2) „თარგმანებად ქებად-ქებათადად“-ს ქართული თარგმანი თავდება VI თავის 8 მუხლით.

ამ თხზულების მეორე თარგმანი გიორგი მთაწმიდელს შეუსრულებია ბერძნული ენიდან.

11) გრიგოლ ღვთისმეტყველის (+390წ.) შრომების ძირითადი ნაწილი ქართულად ნათარგმნია ქართული სასულიერო მწერლობის ადრეულ პერიოდში, მაგრამ ეგზეგეტიკური ნაშრომებიდან გელათის კატენებიან ბიბლიაში დასახელებულია მხოლოდ ერთი – განმარტება „რიცხვთა“ წიგნზე.

12) დიოდორე ტარსელის (IV ს. II ნახ.) ეგზეგეტიკური თხზულებები ქართულ თარგმანებში არცთუ მრავლადაა წარმოდგენილი. გელათის კატენებიან ბიბლიაში სულ შვიდი განმარტებაა შეტანილი, აქედან ორი ვრცელი კომენტარი „დიოდორეს“ ნაცვლად „თეოდორეს“ სახელით არის წარწერილი. ერთი კომენტარი ერთვის „ლევიტელთა“ წიგნს, სამი – „მეორე სჯულს“, ერთი – „ისუ ნავეს“, ორიც – „მსაჯულთა“ წიგნს. საინტერესოა ამ ავტორთან დაკავშირებული ერთი ეპისოდ: იგი იყო ნესტორიანელობის ერთ-ერთი წინამორბედი, ანათემირებული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ. იგი არის ბასილი დიდის ერთ-ერთი ეპისტოლის ადრესატი: „დიოდორეს მიმართ ტარსელისა მათთვის, რომელთა ორნი დანი შეირთნენ, ანუ რომელნი ორთა ძმათა ცოლ იყვნენ“ (დიდი სჯულისკანონი, გვ. 498, ლაპარაკია შემთხვევებზე, თუ კაცმა სხვადასხვა დროს ცოლად ორი და მოიყვანა, ან პირიქით, დები სხვადასხვა დროს ერთი და იგივე მამაკაცზე გათხოვდნენ). საინტერესოა ბასილის უკმეხი პასუხი: შენი სახელით ალბათ ვიღაც სხვა უმეტარი მწერს, თორემ როგორ შეიძლება ასეთი კითხვის დასმა-ო.

13) დიონისე ალექსანდრიელის (+264წ.) ეგზეგეტიკურ თხზულებათა ქართული თარგმანები სულ ორი განმარტებით შემოიფარგლება, რომელიც გელათის კატენებიან ბიბლიაშია დაცული და ორივე „მეორე სჯულის“ წიგნის კომენტარს წარმოადგენს.¹⁷¹ დიონისე ალექსანდრიელი

170 S-1463, 161v და დოგმატიკონის სხვა ხელნაწერებში.

171 ე. ჯუღელი, დასახ. წიგნი, გვ. 178 (ცხრილი).

– ორიგენეს მოწაფე, რომელსაც ჯერ კიდევ IV-ში „დიდი“ უწოდეს, ხოლო ათანასე ალექსანდრიელმა მას „სამყაროს მოძღვარი“ შეარქვა, ქართულ მწერლობაში ცნობილია მხოლოდ „ეასილიდის მიმართ“ გაგზავნილი კანონიკური ეპისტოლით, რომელიც დიდ სჯულისკანონშია შეტანილი (გვ. 448-452).

14) ეგსები ემესელის კომენტარები, შეიძლება ითქვას, რომ მრავლადაა წარმოდგენილი გელათის ბიბლიის კატენებში – 43, აქედან, როგორც ჩანს, ეგსების ინტერესი უფრო „რიცხვთა“ წიგნს დაუმსახურებია – 18 კომენტარი, “მეორე სჯულის” – 13 კომენტარი, ლევიტელთა – 10, ისუ ნავეს წიგნისა – 2 კომენტარი.

15) ეგსუქი იერუსალიმელის (პესიხოსი), (Vს.) ქადაგებების თარგმანები მოღწეულია მრავალი ხელნაწერით. მისი ეგზეგეტიკური შრომები კი უკავშირდება გელათის ბიბლიის წინასწარმეტყველთა წიგნების განმარტებებს („თანნი“): იოეელის (A-1008, 281v), ამოსის (284v), იონას (289r), მიქეას (290v), ამბაკომს (294v), სოფონიას (296r) და ანგიას (298v) წიგნებს.¹⁷²

16) ეპიფანე კვიპრელის (+403წ.) ეგზეგეტიკურ თხზულებათაგან ქართულად თარგმნილია: 1) „თარგმანებად დავითის ფსალმუნებისად“, რომელიც შესულია შატბერდის კრებულში (S-1141, Xს. 256v-286v; გვ. 364-424). თხზულება სომხური ენიდან უთარგმნია დანიის და მიუძღვნია სტეფანე მტბეჟარისათვის (IX-Xსს.). 150 ფსალმუნის განმარტებიდან დანიის მხოლოდ შვიდი (1-6,9) უთარგმნია, ხელნაწერში კი კიდევ 7 ფსალმუნია განმარტებული (17, 44-46, 48-50). ვინ თარგმნა ისინი – უცნობია (იმავე დანიმ, თუ სტეფანემ, რომელსაც სთხოვა დანიმ – თუ მოგეწონოს ჩემი თარგმანები, შენ განასრულო), ბოლოდროინდელი გამოკვლევებით ფსალმუნთა განმარტებების ავტორია არა ეპიფანე კვიპრელი, არამედ თეოდორიტე კვირელი (ბ. უტიე). 2) „ათორმეტთა თუალთათვს“. ეს თხზულებაც „შატბერდის კრებულმა შემოგვინახა. აქ ახსნილია იმ თორმეტ ძვირფას ქვათა თვისებები, რომლითაც ამკობდნენ ებრაელთა მღვდელმთავრების სამოსლის გულისპირს. ქართული თარგმანი წარმოადგენს ამ თხზულების ერცელ რედაქციას (არსებობს მოკლე რედაქციაც, შემონახულია ლათინური თარგმანით). თხზულების ბერძნული დედანი დაკარგულია. ქართული ვერსია თარგმნილია სომხური ენიდან. 3) „საზომთათვს და საწყაულთა“-ს ბერძნული დედანი შემორჩენილია ნაკლები სახით. ქართული თარგმანი წარმოადგენს განსაკუთრებულ ვერსიას. დასადგენია ის ბერძნული ენიდანაა თარგმნილი თუ სომხურიდან; 4) „სახისმეტყუელი“ ძველსაველესიო მწერლობის ერთ-ერთი პოპულარული თხზულებაა. მისი ქართული თარგმანი ხელნაწერთა უფრო ხშირი ჩვენებით მიეკუთვნება ეპიფანე კვიპრელს, რაც უფრო მართებული უნდა იყოს (სოგერ მიაწერენ პეტრე ალექსანდრიელს, ბასილი დიდს), რადგან ეს თხზულება „შატბერდის კრებულში“ შეტანილია ეპიფანეს თხზულებათა შორის,

ხოლო ბასილის არც ერთი თხზულება არ არის მასში შეტანილი. თხზულება შეიცავს ბიბლიურ მხეცთა და ცხოველთა თვისებების კომენტარებას, მისტიკური და ზნეობრივი ხასიათის შენიშვნათა თანდაართვით.

17) ეფრემ ასურის (+373წ.) მდიდარი ასკეტიკურ-ჰომილეტიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის ყონზე, რომელიც ქართული თარგმანების უამრავ ხელნაწერებშია წარმოდგენილი, ეგზეგეტიკური განმარტება მხოლოდ ერთხელ დასტურდება გელათის ბიბლიის „რიცხვთა“ წიგნზე (1108,77v) და თანაც, მისი სახელის მოუხსენიებლად. ეფრემის ავტორობა დგინდება ბერძნულ წყაროსთან მიმართებით.¹⁷³ როგორც ჩანს, ეფრემის „განმარტება“ ბერძნული კატენების შემდგენელმა (ნიკიფორე თეოტიკოსმა) ეფრემ ასურის რომელიღაც ნაშრომიდან ფრაგმენტულად ამოიღო, ისევე როგორც ეს სხვა ავტორთა მიმართაც არის გაკეთებული.

18) თეოდორე მოფსევეტელის სახელს ჩვენ მხოლოდ გელათის ბიბლიის (A-1108, XII) კატენებში ეხვდებით. თეოდორე მწვალებელი იყო და, ბუნებრივია, მისი შრომები ქართულად არ უთარგმნიათ. გამონაკლისია გელათის ბიბლია, რომლის განმარტებებში თეოდორე მოფსევეტელის გარდა რამდენიმე მწვალებლად შერაცხილი სახელია მოხსენებული (ორიგენე, აპოლინარი ლაოდიკიელი, სევეროს ანტიოქიელი და სხვ.), მაშინ, როდესაც ეფრემ მცირე მის მიერ ნათარგმნ „თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲს“ შესავალში აღნიშნავს, რომ მან გვერდი აუარა თეოდორიტე კვირელის კომენტარების თარგმნას იმ მიზეზით, რომ მას უთანხმოება ჰქონდა კირილეს ალექსანდრიელთან ღვთისმეტყველების საკითხებში. თეოდორე მოფსევეტელის ხუთი კომენტარი არის შეტანილი გელათის ბიბლიის კატენებში: ერთი – „ლევიტელთა“ წიგნზე, ერთი – „მეორე სჯულის“ წიგნზე, ერთი - „ისუ ნავეს“ წიგნზე და ორი - „მსაჯულთა“ წიგნზე.

19) თეოდორიტე კვირელი (+446წ.) ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნ ძეგლებში სასულიერო მწერლობის მრავალდარგოვანი თხზულებებით არის წარმოდგენილი, რომელთაგან ძირითადი მაინც ეკლესიის ისტორია, ასკეტიკა და ეგზეგეტიკაა. თეოდორიტეს თხზულებათა დამატებით გამოვლინება ამ მწერლის მოღვაწეობის მონოგრაფიული შესწავლის შედეგად მოხდა, რომელიც შეასრულა ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის მეკლევარმა ვიქტორია ჯუღელმა შესანიშნავ წიგნში: ნეტარი თეოდორიტე კვირელი: ცხოვრება, მოღვაწეობა, მრწამსი, თხზულებები და მათი ქართული თარგმანები, თბილისი, 2008 (700გვ.), რომლის II ტომიც, ალბათ, მალე გამოვა.

ჩვენ ამჯერად თეოდორიტეს ეგზეგეტიკურ შრომებს შევეხებით და მათ მხოლოდ ჩამოეთვლით დასახელებული წიგნის მიხედვით: ¹⁷⁴

173 იქვე, გვ. 178, სქ.8.

174 ესარგებლობო ვ. ჯუღელის მიერ შედგენილი ცხრილით, დასახ. ნაშრომი, გვ. 178 და 203.

1) ბიბლიურ წიგნთა განმარტებანი გელათის კატენებიან ბიბლია-ში („ლევიტელთა“-დან „რუთის“ ჩათვლით): ა) ლევიტელთა“ წიგნის მრავალრიცხოვანი კომენტარებიდან თეოდორიტეს ეკუთვნის 38 კომენტარი. მასზე მეტი კომენტარი მხოლოდ აპოლინარს დაუწერია – 43. ბ) „რიცხვთა“ წიგნის არშიებზე მისი 51 კომენტარია წარმოდგენილი. აქაც იგი მხოლოდ აპოლინარ ლაოდიკიელს ჩამორჩება (173). გ) „მეორე სჯულის“ წიგნის კომენტარების რაოდენობით თეოდორიტე პირველია – 46. დ) „ისუ ნავეს“ წიგნის კომენტარები მას სხვებზე მეტი აქვს – 20. ე) „მსაჯულთა“ წიგნზე მისი 28 კომენტარია წარმოდგენილი, რაც აჭარბებს დანარჩენ ავტორთა კომენტარებს ერთად აღებულს. ე) „რუთის“ წიგნზე სულ 6 კომენტარია წარმოდგენილი, რომელთაგან 2 თეოდორიტეს ეკუთვნის (ხოლო 4 სხვა ავტორებს – თითო-თითო); სულ გელათის ბიბლიის კატენებში თეოდორიტე კვირელს 185 კომენტარი ეკუთვნის. მასზე მეტი კომენტარი მხოლოდ კირილე ალექსანდრიელს (254) და აპოლინარ ლაოდიკიელს (233) დაუწერია. ს) წინასწარმეტყველთა წიგნებიდან თეოდორიტეს კომენტარები ახლავს: იერემიას – 2; ეზეკიელს – 2; ამოსს – 3; იონას – 3; მიქეას – 2; ნაუმის – 1; ამბაკუმს – 2; სოფონიას – 2. თეოდორიტეს განმარტებათა ტექსტები გამოცემულია¹⁷⁵.

2) ფსალმუნთა განმარტებები: ა) „თარგმანებად დავითის ფსალმუნებისა“, ვინმე დაჩის მიერ სომხურიდან თარგმნილი – 1-6,9 (აკლია 9.15-ის ბოლო რამდენიმე სტრიქონი) და 9.16-9.21), 44-50, 67 ფსალმუნზე დართულ განმარტებათა ქართული თარგმანები. 3) სინამდვილეში დაჩიმ პირველი 7 ფსალმუნის განმარტება თარგმნა, ხოლო დანარჩენი 8, სტეფანე მტბევარს უნდა ეკუთვნოდეს, რომელსაც დაჩიმ სოხოვა გაეგრძელებინა თარგმნა. ქართულ ხელნაწერებში და, შესაბამისად, მეცნიერულ ლიტერატურაში განმარტებათა დედნისეული ტექსტის ავტორად მიჩნეულია ეპიფანე კვიპრელი, ხოლო ბოლო გამოკვლევებით (ბ. უტიე) ავტორია თეოფილაქტე კვირელი. ბ) „თარგმანებად ფსალმუნთა წიგნისა“ არის ქართული თარგმანი ფსალმუნთა კატენური კრებულისა, რომელიც თარგმნილია ევრემ მცირის მიერ დაახ. 1080წ. (Q-37, 1091წ., 373v-324r) ლენ. აღმ. მც. ინსტიტუტის H-18, XI-XII; Ier. 1, XII) ასეთი სათაურით: წმიდათა და ნეტართა მამათა ჩუენთა ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსთა და ათანასესი და კვირელესი და სხუათა შემდგომთა მათთა თარგმანებად ფსალმუნთა წიგნისა, რომელ არიან ასორმეოცდაათნი ფსალმუნნი დავითისნი, ხოლო ბერძნულისაგან ქართულად ითარგმნა ნეტარისა მამისა ევრემის მიერ“. ხელნაწერებში დაცულია ფსალმუნთა განმარტებების განსხვავებული რაოდენობა: Q-37 და ლენინგრადულ ნუსხებში – 1-76 ფსალმუნთა განმარტებული, ე.ი. ფსალმუნთა ნახევარი, ხოლო მეორე ხელნაწერში – Ier. 1 კი 1-60 ფსალმუნი. სამეცნიერო გამოკვლევებში (მ. შანიძე, ნ. დობოროჯინიძე)

აღნიშნულია, რომ ეყრემს ნათარგმნი უნდა ჰქონოდა ფსალმუნთა მეორე ნაწილის „თარგმანებაც“, ე.ი. 76-150 ფსალმუნი.

ეყრემ მცირის ნათარგმნ ფსალმუნთა სოგიერთი „თარგმანების“ ავტორები კატენებში არასწორად არიან დასახელებული. სწორედ ამ ავტორების სახელების ნაცვლად თეოდორიტე კვირელი უნდა იყოს: კირილე ალექსანდრიელის ნაცვლად 67-ე ფსალმუნის 28-ე მუხლის განმარტებაში, ათანასე ალექსანდრიელის ნაცვლად 64,5-6 – განმარტებაში. ასევე ვ. ჯუღელი თეოდორიტეს განმარტებებად მიიჩნევს ათანასეს სახელით ცნობილ კიდევ ცხრა კომენტარს, კირილე ალექსანდრიელის სახელით ცნობილ 15 კომენტარს. ვ. ჯუღელის დახასიათებით „თეოდორიტეს განმარტებათა თარგმანი არაერთგვაროვანია. ზოგი მათგანი ზუსტად არის გადმოცემული, ზოგი შემოკლებული, ნაწყვეტებად თარგმნილი, ან გავრცელებულია სხვადასხვაგვარი ჩანართებით, გეხვდება გადამუშავებები, რომლებიც უფრო განმარტების შინაარსის გადმოცემას ჰგავს და ა.შ.“¹⁷⁶ საერთოდ, ეყრემის თარგმანში განმარტებათა ტექსტები საგრძნობლად არის შეცვლილი და თვით ეყრემის ჩამატებებსაც შეიცავს. ეს დებულება ვ. ჯუღელს ფსალმუნის განმარტების ქართული თარგმანის ნიკიფორე თეოტოკისის ბერძნულ კატენურ კრებულთან ტექსტის შეჯერების შედეგად აქვს გამოცანილი.

ფსალმუნთა განმარტებების თეოდორიტე კვირელისეული ტექსტები გამოცემულია ვ. ჯუღელის მიერ.¹⁷⁷ „სიტყუანი ფსალმუნთანი შემოკლებით თარგმანთაგან გამოკრებულნი მრავალთა წიგნთაგან“ წარმოადგენს XII-XIII სს-ში შედგენილ 150-ეე ფსალმუნის განმარტებებს, ეფუძნება ეყრემის მიერ თარგმნილ ფსალმუნთა განმარტებების კრებულს - „თარგმანებაჲ ფსალმუნთა წიგნისაჲ“ და შეესებულია სხვა ავტორთა განმარტებებით, რომელიც ამოკრებილია ქართულ ენაზე უკვე თარგმნილი ტექსტებიდან, აგრეთვე ბერძნულენოვანი ეგზეგეტიკური თხზულებებიდან.¹⁷⁸ კრებულის შემდგენელს შეიძლება ბერძნულიდანაც ეთარგმნა და ტექსტში ჩაერთო რომელიმე ბერძნული წყაროც, რასაც შეიძლება ადასტურებდეს თეოდორიტეს არაერთი კომენტარი, რომელიც ეყრემის თარგმანისაგან განსხვავდება და უფრო ზუსტია და სრული, ვიდრე ეყრემის თარგმნილი. ფსალმუნთა განმარტებების „გამოკრებულ“ რედაქციაში დაცულია ისეთი განმარტებები, რომლებიც ეყრემთან საერთოდ არ არის. მართალია, თეოდორიტეს სახელით წარწერილი განმარტებები „გამოკრებულში“ იშვიათობაა, მაგრამ სინამდვილეში სხვა ავტორის სახელით წარწერილი განმარტებებიდან ბევრი თეოდორიტეს ეკუთვნის: მაგალითად, კირილე ალექსანდრიელის სახელით დაცული 8 განმარტება სინამდ-

176 ვ. ჯუღელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 256.

177 იქვე, გვ. 524-554.

178 გამოსცა ნ. დობოროჯინიძემ: I და II ნაწილი, 1996 (1-36 და 37-69 ფსალ. განმარტება), III ნაწილი, თბილისი, 2007 (70-108 ფს. განმარტება). მზადდება IV ნაწილიც. ხელნაწერები: ქუთ. 29, XIII-XIV სს.; S-1472, 1786წ. და კიდევ 6 ხელნაწერი XIX სს-ისა.

ვილემში თეოდორიტესია, ევსუქი იერუსალიმელისადმი მიკუთვნიებული 6 განმარტების ავტორი სინამდვილეში თეოდორიტეა და ა.შ. სულ კი თეოდორიტეს უნდა აღუდგეს „გამოკრებული“ რედაქციის რამდენიმე განმარტების (სოგი მათგანი შეიძლება დაეთთ ტბელის თარგმნილი იყოს), ავტორობა. მათი ტექსტი გამოცემულია ვ. ჯუღელის მიერ.¹⁷⁹ 4) „ქებათა ქების“ განმარტებანის თეოდორიტესეული თხზულება ძველ ხელნაწერებში არ დასტურდება. მისი თანამედროვე ქართული თარგმანი შესრულებულია ლ. კვირიკაშვილის მიერ (ბიზანტიური მწერლობის ქრესტომათია, თბილისი, 1994, გვ. 176-182; თარგმნილი Patr. Greka-s t. 81-დან), განმარტებულია პირველი თავის 4-5,8,13,14 მუხლები. 5) პავლეს ეპისტოლეთა განმარტებანი, მისი კატენური კრებული ეფთვიმე მთაწმიდელს ორჯერ უთარგმნია. თავდაპირველად მან თარგმნა თავისი წყაროს „გამოკრებული“ ვარიანტი სათაურით „თარგმანი ძნიად გულისხმისსაყოფელთა მოციქულისა პავლეს სიტყუათაჲ, გამოკრებული თარგმანებათაგან წმიდისა იოანე ოქროპირისა თქუმულთაგან“.¹⁸⁰ ამის შემდეგ ეფთვიმეს დაუწვია კრებულის სრული ვარიანტის თარგმნა, მაგრამ მხოლოდ რომაელთა და კორინთელთა 8,1-3-მდე თარგმნა, რომლის სათაურია „წმიდისა მ.ი. კვირილე ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსისა... მოკლე თარგმანებაჲ წმ. მოციქულისა პავლეს ეპისტოლეთაჲ“.¹⁸¹ ვ. ჯუღელის გამოკვლევით, კრებულში კირილეს სახელით დაცული განმარტებები – რომაელთა I, 9,11,24 მუხლები, აგრეთვე IV, 16-17, V, 9; VI, 6; VII, 5; VIII, 39. კორნთ. I, 17; VIII, 8 სინამდვილეში თეოდორიტე კვირელს ეკუთვნის.¹⁸²

იგივე შეიძლება ითქვას ეფთვიმეს მიერ თარგმნილი „გამოკრებული“ ვარიანტის შესახებ: მართალია, აქ ავტორად იოანე ოქროპირი ფიგურირებს, მაგრამ, როგორც ვ. ჯუღელმა გაარკვია, ამ ეგზეგეტიკური თხზულებების შემცველ ხელნაწერებში (A-445, XI; S-4579, 1814წ., ქუთ. 234, XVIII-XIX) განმარტებების ავტორი თეოდორიტე კვირელიცაა (სხვებთან ერთად). მას შემდეგი განმარტებები დაუწვია: რომაელთა I, 9, 24,25; VI, 6; XI, 16. I კორინთელთა XV, 23-24; II კორინთელთა (IV, 4; ვ. 1. გალატელთა II, 19; IV, 20), ეფესელთა (II, 17; III, 10; VI, 14), ფილიპელთა (II, 10; III, 2), კოლასელთა (I, 18,19, II, 17-18, 20), I თესალონიკელთა (IV, 15), II თესალონიკელთა (II, 3) და ებრაელთა (II, 16; VI, 4-6; IX, 11, X, 1).¹⁸³

20) თეოდულეს სახელი მხოლოდ ბიბლიის „მსაჯულთა“ წიგნზე დართულ კატენებში იხსენიება..

179 ვ. ჯუღელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 524-554.

180 პავლეს ეპისტოლეთა განმარტება, გამოც. ვ. კოჭლამაზაშვილისა, თბილისი, 2003, გვ. 216-265.

181 მითითებული გამოცემა, გვ. 8-153.

182 ვ. ჯუღელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 278-279.

183 ორივე თხზულებაში შემავალი თეოდორიტეს განმარტების ტექსტები გამოკვეთილია: ვ. ჯუღელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 555-557.

21) თოფილაკტე ბულდარელის (XIIს) ეგზეგეტიკურ ოხსულებათაგან ქართულად თარგმნილია 3 მნიშვნელოვანი ძეგლი: 1) თარგმანებად მარკოსის სახარებისა (ხელნაწერები: A-102 (XVIII), S-404 (XVII-XVIII; ბერძნ. დედანი – Pat. Greek, 123, p. 92-681)). 2) განმარტებად ჯლუკას სახარებისა (A-113, XVIII); A-284, XVIII); S-3625, XIX). Pat. Gr. 123, 692-1126). 3) განმარტებად იოანეს სახარებისა (A-52, XII-XIII; Patr. Gr. 123, pp. 1133-1143). ამათგან ჯერჯერობით გამოცემულია “განმარტებად იოანეს სახარებისა”, თ. ცქიტიშვილის მიერ, თბილისი, 2006.

22) იოანე ოქროპირის (+407წ.) ეგზეგეტიკურ ოხსულებათაგან ქართულად თარგმნილია: 1) „თარგმანებად იოანეს თავის სახარებისა“, რომელიც ბერძნულიდან გადმოთარგმნა ეფთვიმე მთაწმიდელმა (+1028წ.) თავისი მოღვაწეობის დასაწყისში. 2) „თარგმანებად წმიდისა მათეს თავისა სახარებისა“, ასევე ბერძნულიდან ნათარგმნი ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ, დაახლ. 998 წლამდე. 3) „თარგმანებად მოციქულთა (პავლეს და კათოლიკე) ეპისტოლეთა“, რომელშიც თავებისა და მუხლების შერჩევით განმარტებულია პავლე მოციქულისა და კათოლიკე ეპისტოლეთა „თარგმანებად“. ოქროპირის განმარტებებთან ერთად ეფთვიმეს აქ ზოგჯერ ბასილი დიდის „თარგმანებანიც“ შემოაქვს. 4) „ექუსთა დღეთათჳს, ადამის დაბადებისათჳს, აბელისათჳს, სეთისათჳს, ნოესათჳს და შეიღთა მისთა, წყლით რღუნისათჳს და მერმე განმრავლებისათჳს კაცთა და ცთომილებისა მის გოდლის შენებისა უბადრუკთა მათგან და ენისა შერეუნისათჳს“, – ესე იგი „დაბადებისა“ თარგმანი. ოქროპირის ეს ოხსულება შემოუნახავს ათონის ქართველთა მონასტრის ერთ ხელნაწერს – Ath. 29, XII, 1r-32v, რომელიც, როგორც „ცხორებად გიორგი მთაწმიდელისა“ – შია აღნიშნული, გიორგის უთარგმნია: „...თარგმანი დაბადებისა, რომელ არს ცხორებად აბრაჰამისი...“¹⁸⁴ 5) „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა... განვრცელებითთა თარგმანთაგან შემოკლებული თარგმანებად საქმისა მოციქულთაჲსა, რომელსა შინა იშუთ დაერთვის სხუათაცა წმიდათა თარგმანებულისაგან მოკლე ძალი სიტყუსაჲ“, რომელიც „სამოციქულოს“ თარგმანების პირველი ნაწილია და მთელ სამოციქულოსთან ერთად უთარგმნია ეფრემ მცირეს. 6) „თარგმანებად კათოლიკეთა ეპისტოლეთა“, განმარტებულია 7 კათოლიკე ეპისტოლე: იაკობ მოციქულის ერთი ეპისტოლე, პეტრე მოციქულის ორი ეპისტოლე, იოანე მოციქულის (მახარებლის) სამი ეპისტოლე და იუდა მოციქულის (იაკობის ძმის) ერთი ეპისტოლე. 7) „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა განვრცელებითთა თარგმანთაგან შემოკლებით გამოკრებული და მრავალწიგნობისაგან ერთ წიგნ ყოყად შემოკრებული თარგმანებად ეპისტოლეთა წმიდისა პავლე მო-

184 ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I. შედგ. ს. ყუბანიევიშვილისა, თბილისი, 1946, გვ. 195. თუმცა ამ ხელნაწ. აღწერილობაში მთარგმნელად თოფილდე ხუცესმონაზონია დასახელებული.

ციქულისათაჲ“, ქართულად თარგმნა ეფრემ მცირემ. მის მიერ ამ თხზულების თარგმნის შესახებ ვრცელი ანდერძია წარმოდგენილი ხელნაწერებში (მაგ. A-390), საიდანაც ჩანს ის როული კელევა, რომელიც მას ჩაუტარებია „სამოციქულოს“ რამდენიმე „თარგმანების“ შერჩევაში, და უპირატესობა ოქროპირის თხზულებისათვის მიუნიჭებია, თუმცა ოქროპირის ასრისა და იდეების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი „თარგმანების“ ეერსია შეუქმნია. ოქროპირის სახელით 15 განმარტებაა შეტანილი გელათის კატენებიან ბიბლიაში (რიცხვთა - 4; მეორე სჯული - 6; ისუ ნავე - 1; მსაჯულთა - 3; რუთი - 1).

23) ირინეოს ლიონელის (+202წ.) სახელი ძველ ქართულ ნათარგმნ ლიტერატურაში ისევე მხოლოდ გელათის ბიბლიის განმარტებებით არის ცნობილი. მისი 16 განმარტება ასეა განაწილებული: 11 განმარტება ერთვის „რიცხვთა“ წიგნს, 4 - „მსაჯულთა“ წიგნს და ერთიც - „მეორე სჯულის“ წიგნს.

24) ისიდორე პელუსიელის ოთხი კომენტარია შესული გელათის ბიბლიის შემორჩენილ კატენებში: ორი - ლევიტელთა წიგნზე, ერთი - მეორე სჯულის წიგნზე და ერთიც - მსაჯულთა წიგნზე.

25) იუსტინე მოწამე (+166წ.), II საუკუნის ქრისტიანი მოაზროვნე - ფილოსოფოსი, რომელიც ცდილობდა გონებისა და რწმენის საკითხების მორიგებას, გელათის კატენებიან ბიბლიაში 3 კომენტარით არის წარმოდგენილი და სამივე ლევიტელთა წიგნს ეკუთვნის. სხვათა შორის, იუსტინე მოწამის მეტაფრასული „წამება“ ქართულ ენაზეც არის თარგმნილი: „ღუაწლი წმიდისა იუსტინე ფილოსოფოსისაჲ“ (ქუთ. 3, XVI ს.).

26) კირილე ალექსანდრიელის (+444წ.) ეგზეგეტიკური შინაარსის თხზულებათაგან ქართულად თარგმნილია: 1) „მათეს თავისა სახარებისა ძნელოანთა სიტყუათა განმარტებაჲ-ლექსიკონი“ (ხელნ. A-65, 340-349; S-312), რომელშიც ანბანურ რიგზეა დალაგებული და განმარტებულია საკუთარ სახელთა მნიშვნელობა (მაგ. ბესაიდა - სახლი საიფქლე და სხვ.). 2) „განმარტებაჲ LX ფსალმუნისაჲ (Ier. 146). 3) „გელათის კატენებიან ბიბლიაში (A-1108, XII ს.) გამოვლენილია კირილე ალექსანდრიელის 254-მდე განმარტება ძველი აღთქმის ამ ხელნაწერში (A-1108, XII) შემორჩენილ წიგნებში (იწყება „ლევიტელთა“).¹⁸⁵ 4) „პაეღე მოციქულის ეპისტოლეთა შემოკლებული თარგმანება, რომელიც სრულად ასე იკითხება: „წმიდისა მამისა ჩუენისა კირილე ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსისა, რომელმან თარგმნა ყოველნიე საწინასწარმეტყუელთანი წიგნნი და აღწერა სხუანი წიგნნი მრავალნი, ეპისტოლე სხუსა ვისმე ეპისკოპოსისა მიმართ, რომელი ვედრებულ იყო მისთა, რადთამცა აღეწერა მოკლე თარგმანებაჲ წმიდისა მოციქულისა პაეღეს ეპისტოლეთაჲ“. ამ შრომის შესახებ დამკვეთისადმი გაგზავნილ ეპისტოლეში კირილე წერს, რომ მან „თარგმანებისათვის“ გამოიყენა ადრინდელი შრომები შემდეგი მამებისა: ოქროპირი, ბასილი დიდი, გრიგოლ ნაზიანზელი და ათანასე

აღექსანდრიელი... „ამისთვის აღარა კელ-ყავე ყოველისავე თავით ჩემით თარგმანებად, არამედ მათ წმიდათა მიერ აღწერილთაგან გამოკერიბე და რომელნიმე ჩემ მიერცა შეესძინე...“. ამ მეოროდით კირილეს დაუწერია: „თარგმანებაჲ პრომაველთა ეპისტოლისაჲ“, საყოფელთა მოციქულისა პავლეს სიტყუათაჲ, გამოკრებული თარგმანებათაგან წმიდისა იოანე ოქროპირისა თქუმულთაგან“. ეს თხზულებები უთარგმნია ეფთვიმე მთაწმიდელს (შემონახულია A-445, XI, Ath. 39).¹⁸⁶

27) მაქსიმე აღმსარებელის (+662წ.) მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, რომლის ნაწილიც ქართულად არის თარგმნილი, საკმაოდ სოლიდურია მისი ეგზეგეტიკური, ე.წ. „განმარტებითი“ თხზულებებიც: 1) „ნეტარისა თალაღეს მიმართ ხუცისა და მამასახლისისა მრავალთა მონასტერთაჲსა სიტყუათათუს, რომელთა განმარტებაჲ ეთხოვა ნეტარისა მაქსიმესაგან. 2) იმავე ადრესატისათვის მიწერილი „თალაღეს მიმართ ყოვლად ღირსისა და ხუცისა და წინამძღუარისა თუთოსახეთა უღონოებისათუს წმიდისა წერილისათა— სიტყუს დაწყებაჲ. პატივსა შინა გვერდით მდებარეთა სქოლიოსათუს“. წარმოდგენილია 65 „კითხვა-მიგება“ ბიბლიურ თემებზე. თხზულება უთარგმნია ნიკოლოზ გულაბერიძეს. 3) „ლოცვისათვის „მამაო ჩუენოჲსა“ ქრისტეს მოყუარისა ვისმე მიმართ თარგმანებაჲ შემოკლებული“, რომელიც აგრეთვე ნიკოლოზ გულაბერიძეს უთარგმნია. 4) „თარგმანებაჲ ძნიად გულისხმისყოფელთა სიტყუათა ქრისტეს შობის საკითხავთა [გრიგოლ დეთისმეტყუელის თხზულებისა]. 5) „სიტყუანი სახარებისანი, გამოკრებული წმიდათა მამათა მიერ წმიდისა მაქსიმეს თქუმულთაგან“, კითხვა-მიგებანი სახარების თემებზე. 6) სქოლიოები, დართული დიონისე არეოპაგელის თხზულებებზე, თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ.

28) მიქაელ ფსელოსის (XII.) ეგზეგეტიკური შრომებიდან ქართულად თარგმნილია მხოლოდ ერთი: „ეითარცა იქმნა პირმშო მრავალთა ძმათა შორის, აგრეთვე პირმშო მკუდართაგან ღირს-ინინა ყოფად“, რომელიც არის რომაელთა მიმართ პავლეს ეპისტოლის VII თავის 29-ე მუხლის განმარტება. იგი თარგმნილია იოანე პეტრიწის მიერ, ან მისი სკოლიდან გამოსული სხვა მთარგმნელის მიერ.

29) ნილოს სინელ მონაზონს (VI ს.), ცნობილი ასკეტიკურ-მისტიკური და პაგიოგრაფიული შრომების ავტორს, რომელთა ქართული თარგმანების ხელნაწერები საკმაო რაოდენობით არის ჩვენამდე შემონახული, ეგზეგეტიკური თხზულებებიც დაუწერია, ან მისი შრომებიდან ამოკრებილი ფრაგმენტებით ძველი აღთქმის წიგნებზე დართული კატენებიც შეუდგენია, როგორც ეს ჩანს ამ ტექსტების ქართული თარგმანიდან – გელათის ბიბლიის განმარტებებიდან. კერძოდ, მისი ოთხი განმარტება „მეორე სჯულის“ წიგნს ეართვის. მათგან მხოლოდ ერთს აწერია „ნილოს მონაზონი“, ერთი ანონიმურია, ხოლო ორს კი აწერია „ორიგენე“ და „სხესად“. ე. წუდეღმა ამ ოთხი განმარტების

186 პავლეს ეპისტოლეთა განმარტება, ტექსტები გამოსცა: ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, თბილისი, 2003, გვ. 8-266.

ავტორის ვინაობა დაადგინა ქართული ტექსტების ბერძნულ წყაროსთან (ნიკიფორე თეოტიკოსის კრებული) შეჯერების გზით.¹⁸⁷

30) ნონეს (ფსევდონონე VIII), ბერძენ ანონიმ ავტორს წარმართულ სახელთა კომენტარები დაურთავს გრიგოლ ღვთისმეტყველის პომილიებზე: „ნათლისღებისათვის“ (39-ე პომილია), „ეპიტაფიად დიდისა ბასილისთვის“ (43-ე პომილია), „იელიანეს განსაკიქებელი პირველი“ (მე-4 პომილია) და „იელიანეს განსაკიქებელი მეორე“ (მე-5 პომილია). ქართული წყაროებით, თითოეულ კომენტარს „თხრობა“ ეწოდება და წარმოადგენს ანტიკური სამყაროს მითოლოგიურ პირთა და მოვლენათა შესახებ ცალკეული, დამოუკიდებელი მცირე მოთხრობის ნიმუშებს.¹⁸⁸

31) ოლიმპიადორე ალექსანდრიელის (VI.) სახელი ეგზეგეტიკური ლიტერატურის ქართულ თარგმანებში ორჯერ არის მოხსენიებული. პირველად A-61, XIIIს. ხელნაწერში, სადაც მას „ეკლესიასტეს „თარგმანებად“ მიეწერება მიტროფანე ზმვირნელ მიტროპოლიტთან ერთად: „ღირსისა მამისა მიტროფანე ზმურნელ მიტროპოლიტისა და ულუმპიდორე დიაკონისა მიერ აღწერილი თარგმანებად ეკლესიასტისა“,¹⁸⁹ ხოლო მეორედ – გელათის კატენებიან ბიბლიაში იერემიას წინასწარმეტყველების წიგნის არშიაზე (A-1108, 228), როგორც წიგნის ერთი ადგილის კომენტატორი.

32) ორიგენეს (+254წ.) ეგზეგეტიკური შრომები წარმოდგენილია ძველი აღთქმის იმ წიგნების ქართულ თარგმანებში, რომლებიც თავნაკლული და დაზიანებული სახითაა მოღწეული გელათის კატენებიან ბიბლიაში (A-1108, XII). შემორჩენილია ორიგენეს კომენტარები: ლეეიტელთა წიგნზე – 28; რიცხვთა წიგნზე – 46; “მეორე სჯულის” წიგნზე – 58; ისუ ნაეეს წიგნზე – 19; მსაჯულთა წიგნზე – 11; რუთის წიგნზე და ეზეკიელის წინასწარმეტყველების წიგნზე – 1, ე.ი. სულ – 164. ეჭვი არ არის, რომ ორიგენეს კომენტარების რიცხვი გაცილებით დიდი იქნებოდა, გელათის ბიბლიის ხელნაწერს სრული სახით რომ მოეღწია ჩვენამდე, რადგან ცნობილია, რომ ორიგენეს კომენტარები დაურთავს ბიბლიის თითქმის ყველა წიგნზე (მაგ. მისი განმარტებები „ეკლესიასტეს“ წიგნზე), რომელიც გელათის ბიბლიას აკლია. მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებელმა ეკლესიამ ორიგენე მწვალებლად გამოაცხადა მისი მოძღვრების გამო – სამების პირთა ძაღლების განსხეავების შესახებ, ქრისტიანული ეკლესია მის გავლენას განიცდიდა საუკუნეების მანძილზე (მაგ. ისეთი მოაზროვნეები, როგორიც იყვნენ: გრიგოლ ღვთისმეტყველი, ბასილი დიდი, გრიგოლ ნოსელი და სხვ.). ორიგენეს მწვალებლობაზე კამათი განსაკუთრებით გაძლიერდა VIს-ში, რაც კონსტანტინეპოლის V მსოფლიო კრებაზე (543წ.) მისი

187 ე. ჯუღელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 179, სქ. 17.

188 ქართული თარგმანები, გამოსცეს ალ. გამყრელიძემ და თ. ოთხმეზურმა, გამოკლევა, ლექსიკონი და საძიებლები თ. ოთხმეზურისა, თბილისი, 1989 (229გვ.).

189 „თარგმანებად ეკლესიასტისა მიტროფანე ზმურნელ მიტროპოლიტისა“, გამომსცა და გამოკლევა დაუროთ კ. კეკელიძემ, თბილისი, 1920. გამოკლევა ცალკე დაიბეჭდა, ეტიუდები... XI, თბილისი, 1972, გვ. 178-239.

განკვეთით დასრულდა. ქართულ ნათარგმნ ლიტერატურაში მრავლადაა ნათარგმნი თხზულებები ანტიორიგენისტული სულისკვეთებით. ერთიგვარად მთავრადი წერს: „ორიგენე მწვალებელსა მრავალნი წიგნი აღუწერინა და არა შესაწყნარებელ არს“.

33) პოლიხრონიოს ანტიოქიელის სახელი გელათის ბიბლიაში საერთოდ არ არის, მაგრამ ირკვევა, რომ მისი ერთადერთი განმარტება „რიცხვთა“ წიგნზე დაფიქსირებულია ბერძნულ კატენებში (ნიკიფორეს კრებულში), რომლის ქართულ თარგმანს გელათის ბიბლიაში იოანე ოქროპირის სახელი აწერია, სინამდვილეში კი პოლიხრონიოსს ეკუთვნის.¹⁹⁰

34) პროკოპი დაზელი (VI ს.) ცნობილია ბიბლიურ წიგნთა ბერძნულენოვანი კომენტარიანი კატენებით. გელათის ბიბლიის არშიებზე ამ კატენებიდან თარგმნილი ტექსტი 70-ჯერ ფიქსირდება: 25 – ლევიტელთა წიგნის არშიებზე, 21 – რიცხვთასი; 22 – „მეორე სჯულისა“ და 2 – ისუ ნავესი, თუმცა პროკოპის სახელი ნახსენები არ არის. ქართული ნათარგმნი ტექსტის იდენტიფიკაცია ნიკიფორე თეოტიკოსის კატენების კრებულთან ეკუთვნის ვ. ჯუღელს.¹⁹¹

35) სევერინე (სევერინე) გაბალოვნელის (+408წ.) თხზულებათაგან ქართულად თარგმნილია მისი ჰომილეტიკური „საკითხაეების“ რამდენიმე ძეგლი და ცნობილი ეგზეგეტიკური თხზულება: „ექუსთა დღეთათუს“ (ხელნაწერები Ier. 44, XII-XIII, Ier. 74, XIII-XIV). ასევე, სევერინეს სახელით წარწერილია გელათის ბიბლიის რამდენიმე განმარტება: „ლევიტელთა“ – 1, „რიცხვთა“ – 2, „მეორე სჯული“ – 3 და „ისუ ნავე – 3. აქედან გელათურ ბიბლიაში მისი სახელი მიწერილია მხოლოდ „ისუ ნავეს“ სამ განმარტებაზე. დანარჩენების ავტორობა დადგენილია ბერძნული წყაროების მიხედვით.¹⁹²

36) სევეროს ანტიოქიელის (+518წ.) თხზულებები ქართულად არ არის თარგმნილი იმ მიზეზით, რომ ის მწვალებლად შერაცხეს ქალკედონის კრების (450წ.) მიერ შეჩვენების გამო, ანტიოქიის საეპისკოპოსო კათედრიდან გადააყენეს და გადაასახლეს, სადაც აღესრულა კიდევ. მაგრამ მისი შრომების ზოგიერთი ფრაგმენტი, ბერძნულიდან ნათარგმნი, გელათის ბიბლიის კატენების სახით მაინც შემორჩა. სევეროსის განმარტებების რაოდენობა არცთუ მცირეა, სულ – 47 ერთეული, რომლებიც შემდეგ ბიბლიურ წიგნებს ერთვის: 22 განმარტება ერთვის „რიცხვთა“ წიგნს, 17 – „მეორე სჯულის“ წიგნს, 5 – „ლევიტელთა“ წიგნს, 2 – „ისუ ნავეს“ წიგნს და ერთიც – „მსაჯულთა“ წიგნს.¹⁹³

37) ფილონ ებრაელი (II ს.), ალექსანდრიელი ფილოსოფოსი, ავტორი „მოსეს ცხოვრებისა“ გელათის ბიბლიის კატენებში ერთხელ არის ნახსენები. მისი ზემოაღნიშნული თხზულებებიდან ამოღებული ფრაგ-

190 ვ. ჯუღელი, დასახ. წიგნი, გვ. 179 (ცხრილი).

191 იქვე, გვ. 179 (ცხრილი).

192 იქვე, გვ. 179, საქ. 22.

193 ვ. ჯუღელი, დასახ. წიგნი, გვ. 179 (ცხრილი).

მენტები დართული აქვს „რიცხვთა“ წიგნს სამი განმარტების სახით, რომელთაგან ორი დადგენილია ბერძნულ წყაროსთან მიმართებით,¹⁹⁴ ხოლო ერთი მისი სახელით არის წარწერილი.

როგორც ზემოთ ითქვა, ორიგინალური ეგზეგეტიკური მწერლობა სულ რამდენიმე ავტორით არის წარმოდგენილი. მათგან უძველესია იოანე ბოლნელის სახელით ცნობილი XI-ის ავტორი, რომლის ქადაგებების უმეტესობა ეგზეგეტიკური შინაარსისაა:

1. მეექუსესა კურიაკესა წმიდათა მარხვათასა თარგმანებად სახარებისად ლუკადს თავისად მისთვის, რომელი იგი შევარდა კელთა ავაზაკისათა და იწყლა იგი.

2. მესამესა კურიაკესა წმიდათა მარხვათასა საკითხაეი, თარგმანებად წმიდისა სახარებისად ლუკადს თავისა „ასთა მათ ცხოვართა“ (იგაეი).

3. კურიაკესა ზ(7) სახარებად იოვანესი, თარგმანებად სახარებისად.

4. ე(5) კურიაკესა სახარებად ლუკადსი, თარგმანებად წმ. სახარებისად

5. ზ(6) კურიაკესა სახარებად ლუკადსი, თარგმანებად წმიდისა სახარებისად... „ფარისეელისა მისთვის და მესუერისა“.

6. ზ კურიაკესა სახარებად ლუკადსი, თარგმანებად სახარებისად, იგაეი „კაცი ვინმე გარდამოვიდოდა...“

7. მეოთხესა კურიაკესა წმიდათა მარხვათასა... თარგმანებად სახარებისად ლუკადს თავისად „უძღები ძისათუს“...

8. „კურიაკე დღესა ყველითა აღებასა, სახარებად, თარგმანებად სახარებისა „ეკრძალენით ქველის საქმესა...“

9. „დღესა ვორცითა აღებისა, სახარებად მათესი, თარგმანებად სახარებისა „ეკრძალენით...“

10. ზ(7) კურიაკესა, სახარებად ლუკადსი, „კაცი ვინმე მდიდარი...“ თარგმანებად სახარებისად.

11. „დ(4) კურიაკესა წმიდათა მარხვათასა, სახარებად ლუკადსი „ორთა მათ ძეთათუს, თარგმანებად სახარებისა...“

როგორც ვხედავთ, იოანე ბოლნელის „თარგმანებანი“ ძირითადად ლუკასა და მათეს სახარებათა მარხვის დღეების საკითხაეების განმარტებებს წარმოადგენს. XI-ში ჰომილეტიკა-ეგზეგეტიკაში ქართული ორიგინალური თხზულებების არსებობა თითქოს მოულოდნელია, რადგან VI ს. მსოფლიო საეკლესიო კრების (ტრულის) დადგენილებები (მე-19 და 64-ე კანონები) კრძალავენ ეკრძო შემოქმედებას ღვთისმეტყველებაში და რეკომენდაციას იძლევიან ისარგებლონ მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის ავტორიტეტული მამების ნაშრომებით. ამიტომ ზოგიერთი მეცნიერის აზრით, იოანე ბოლნელი, რომლის ვინაობაც ჯერ კიდევ არ არის დადგენილი, იოანე ოქროპირის ქადაგებების კომპილატორი იყო და არა ორიგინალური ქადაგებების ავტორი. საკითხი საბოლოოდ შესწავლილი არ არის (ბოლნელის ქადაგებების ტექსტოლოგიური კვლევა არავის ჩაუტარებია). ამიტომ შევიტანეთ ჰომილეტიკურ და ეგზეგეტიკურ მწერლობათა ორიგინალური თხზულებები

ბების ბიბლიოგრაფიებში იოანე ბოლნელის ქადაგებები და ეგზეგეტიკური შინაარსის შრომები ორიგინალურ თხზულებათა რიცხვში.

ორიგინალურ ეგზეგეტიკურ თხზულებათა რიცხში ბიბლიოგრაფიაში შეტანილი გვაქვს ეუფრემ მცირის მიერ ნათარგმნ ეგზეგეტიკურ ძეგლებზე (პაველ მოციქულის ეპისტოლეთა იოანე ოქროპირის „თარგმანება“, სამოციქულოს ოქროპირისა და სხვა მამათა „თარგმანება“, ფსალმუნთა „თარგმანებანი“) დართული ეყრემის „წინასიტყვაობები“, საკუთარი კომენტარები...

ასევე, ორიგინალურ ეგზეგეტიკურ თხზულებათა ბიბლიოგრაფიაში შეეიტანეთ Xს. მთარგმნელის— დანის ორი ეპისტოლე, მიწერილი ანტონ მროველისა და სტეფანე მტბევეარისადმი, რადგან იქ საუბარია მის მიერ სომხური ენიდან თარგმნილ ფსალმუნთა ერთი ნაწილის „თარგმანებანი“-ს საკითხებზე.

ორიგინალურ ეგზეგეტიკურ თხზულებათა რიცხვი ჩვენ „გაცამრავლეთ“ ორიგინალურ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათაში — იოვანე საბანისძის „ჰაბო ტფილელის წამება“, ჩართული იესო ქრისტეს სიმბოლური სახელების კომენტარებით („კარ ეწოდა, რამეთუ თქუა — მე ვარ კარი ცხოვართად“..., გზა ეწოდა, რამეთუ თქუა: მე ვარ გზად და ჭეშმარიტებად..., ტარიგ ეწოდა“ და ა.შ. — სულ 16 სახელი), თუმცა ეს განმარტებები არ არის იოვანე საბანისძის ორიგინალური შემოქმედება, როგორც თვითონ აღნიშნავს: „ხოლო ესე არათუ რამე თავით თუსით განვიმარტე თქუენ... არამედ წამებითა წიგნთაგან... ნეტართა მამათა მოძღუართა მიერ განსაზღვრებული სარწმუნოებად...“ კერძოდ, მას კონკრეტულად უსარგებლია ეპიფანე კეპრელის ერთი ქადაგებით (იხ. უდაბნოს მრავალთაეი, ა. შანიძის და ზ. ჭუმბურიძის რედაქციით, თბილისი, 1994, გვ. 261-265). კიდევ უფრო ძველ ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში — ევსტათი მცხეთელის მარტიელობაში გვაქვს ვრცელი განმარტებანი ძველი და ახალი აღთქმის მოვლენებისა, რომელსაც „თარგუმები“ ეწოდება (კ. კეკელიძე). შეიძლება ითქვას, რომ ეგზეგეტიკური მწერლობის ზემოთ მოტანილი ნიმუშები VI-XIსს განეკუთვნება და აქედან დაწყებული XVIIIს-მდე სრული „სიცარიელეა“. ანტონ კათალიკოსს რუსეთში ექსორიობის დროს დაუწერია „განმარტებად მიწყალესი“, ანუ ორმოცდამეათე „მპერგასისე“ ფსალმუნის განმარტება, ხოლო ამბროსი ნეკრესელს „მამაო ჩუენოს“ განმარტება დაუწერია. ყველაზე მეტი ეგზეგეტიკური თხზულება იონა ხელაშვილს დაუწერია სანკტ-პეტერბურგში მოღვაწეობის დროს. იონა ხელაშვილის ეგზეგეტიკური შრომების თემატიკაში უდიდესი ნაწილი ძველი აღთქმის წიგნების განმარტებებს უჭირავს (სოლომონის იგავთა, ეკლესიასტე, ისო ზირაქი, იობის წიგნი, წიგნი ისო ნავესი, მეღქისედეკის მღვდელობის წიგნი, მოსეს ხუთთა წიგნთა, ნეშტთა წიგნი, ფსალმუნთა, წინასწარმეტყველთა) და არცერთი გამოცემული არ არის, შეუსწავლელია და ძნელია თქმა, რაა ავტორისეული და რა— კომპილაციური. ბიბლიოგრაფიაში აღნუსხულია იონას აქ ჩამოთვლილი და სხვა ეგზეგეტიკური თხზულებები, ისევე როგორც ზემოთ დასახელებული ეგზეგეტიკის შინაარსის თხზულებები.

ორბინალურ ეგზეგეტიკურ თხზულებათა ბ ი ბ ლ ი ო ბ რ ა შ ი ა

1. ათი მცნების და ცხრა ნეტარების წიგნი

“სულიერი სჯულდილება“

იონა ხელაშვილი (XVIII-XIXსს.) „პირველი მცნება: მე ვარ უფალი ღმერთი შენი...“

S-277 (1830წ.), გვ. 1-185

შენიშვნა: თხზულება არ არის გამოცემული.

2. ავაზაკთაგან მოწყლულისათვის

მეექუსესა კურიაკესა წმიდათა მარხვათასა თარგმანებად სახარებისად ლუკადს თავისად მისთვის, რომელი-იგი შევარდა ჭველთა ავაზაკთასა და იწყლა იგი – საკითხავი, თქუმული იოვანე ბოლნელ ეპისკოპოსისად

იოანე ბოლნელი(XIIს.)

“სიმართლჳ მართლისა მის ზედა იყოს..“

A-95(XI),264v-267r; A-144(X),14v-18r; Sin. 44.(X),106v-124r.

შენიშვნა: გამოც. მ. ჯანაშვილისა, იოვანე ბოლნელი, ქადაგებები, ტფილისი,1911, გვ. 57-66; 2.თ.მგალობლიშვილისა, კლარჯული მრავალთავი, თბილისი, 1991, გვ. 214-218/. სათაური A-144-ის მიხედვით: A-95-ში მცირედ განსხვავებულია.

3. ამაოების წიგნი

“სიტყვანი იონა მონაზონ-ხუცისა მოხუცებულისა ამაოთა ზედა, რომელ არიან ყოველნი ხილულნი“ (2 კორინთ., 4, 18)

იონა ხელაშვილი (XVIII-XIXსს.)

“ესერა კეთილმსახურთა მამრთა და მდედრთა და სულიერთა მოწაფეთა ჩემთა...“

Q-81 (XIX), 161r-193v

შენიშვნა :თხზულება არ არის გამოცემული.

4. ანბანის განმარტება

ალფა-ვიტა, ანბანზედ ასხმული წიგნი

იონა ხელაშვილი(XVIII-XIXსს.)

„ იხილეთ ანბანი დანიშნულისა შესასწავლებელი ცნობა... “

A-986(1830წ.), 5r-53v; A-1004(1828წ.),5r-57r.

შენიშვნა : თხზულება არ არის გამოცემული.

5. ასთა ცხოვართა იგავისათვის

მესამესა კურიაკესა წმიდათა მარხვათასა საკითხავი, თარგმანებად წმიდისა სახარებისად ლუკადს თავისა „ ასთა მათ ცხოვართათუს “, იგავი თქმული იოვანე ბოლნელ ეპისკოპოსისად

იოანე ბოლნელი(Xს.)

„ მარხვად მიაწიეთ ქადაგებით კურნებასა... “

A-95(XI), 254v-257v; A-144(X), 3r-6v; Sin.44(X), 53v-70v; Ath.11(X), 220-222.

შენიშვნა : გამოც. 1. მ.ჯანაშვილისა, იოვანე ბოლნელი, ქადაგებები, ტფილისი, 1999, გვ. 207-211;

3. თ. მგალობლიშვილისა, კლარჯული მრავალთავი, თბილისი, 1991, გვ. 204-207.

6. ბიბლიურ წიგნთა განმარტებანი „ ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში “

„ თარგუმები “

ანონიმი(VI ს.)

H-341(XI), 845v.

შენიშვნა : თხრობაში გადმოცემულია ძველი და ახალი აღთქმის წიგნების მოკლე შინაარსი (ტრადიციულისაგან ადგილ-ადგილ განსხვავებული). გამოც. “ევსტათი მცხეთელის მარტვლების “ ტექსტის შემადგენლობაში-ძეგლები, I, გვ. 36-42.

7. დაჩის ეპისტოლე ანტონ მროველისადმი ფსალმუნის თარგმანებასთან დაკავშირებით

მიწერილი დაჩისი მროველ ეპისკოპოსისა ანტონისი

დაჩი (X ს.)

„ჯერ თუ იყო, ანუ არა ნიშნდებოდა ამით გონებითა ჩემითა ესე ფერებ-გყავ და შენდა შევწიოე...“ S-1141 (X), 285r

შენიშვნა: გამოც. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S ფონდი), II, გვ. 40.

8. დაჩის ეპისტოლე სტეფანე მტბევეარისადმი ფსალმუნის თარგმანების შესახებ

პირველი სიტყუად მიწერილი დაჩისი სტეფანესა ნეტარისა მტბევეარელ ეპისკოპოსის თანა

დაჩი (X ს.)

„ღირსო მამაო, წმიდაო ეპისკოპო(!) სტეფანე, ქრისტეს გამორჩეულო მამფალო“

S-1141 (X ს.), 256r-v

შენიშვნა: გამოც.: 1. ბ. გიგინეიშვილისა და ელ. გიუნაშვილისა, შატბერდის კრებული, თბილისი, 1978, გვ. 364-379; 2. ე. თაყაიშვილისა, Описание рукописей общества распространения грамотности..., II, გვ. 640-641; 4. ილ. აბულაძისა, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთიერთობა IX-X სს., თბილისი, 1944, გვ. 197.

9. ივავთა განმატრება ივავთა განმარტება

იონა ხელაშვილი (XVIII-XIX სს.)

„დასაწყისი ივავთა სოლომონისთა, თავი პირუელი (ესე წიგნი გასაღებია შიგ მოხსენებულთა წიგნებთა საღმრთოთა... რომელთა შინა შეცუელ არიან სამნი უმთავრესი საცნობნი... “

S-392 (XIX), 288გვ.

შენიშვნა : ხელნაწერში შესულია სამი ბიბლიური წიგნის განმარტება : 1.იგავნი სოლომონისნი(გვ.1-102), ეკლესიასტე(გვ. 102-185) და ისო ზირაქი(გვ.185-281). თხზულება არ არის გამოცემული.

10. იესო ქრისტეს ეპითეტთა განმარტებანი “ჰაბო ტფილელის წამებაში”

...ვერ შემძლებელ ვართ ჩუენ მიწლომად სიმდიდრესა მას სახელსა მისისასა

იოვანე საბანის ძე (VIII ს.)

“კარ ეწოდა, რამეთუ თქუა: მე ვარ კარი ცხოვართაჲ...ვითარცა კარსა მას სასუფეველისასა, შევალთ...”

A-19(X), 202v-203r.

შენიშვნა: განმარტებულია ქრისტეს ოცამდე ეპითეტი. გამოც. ძეგლები, I, გვ. 52-55.

11. იოანეს სახარების “ლაზარესათვის” და “იერუსალიმში შესვლისათვის” განმარტება

“კრიაკესა ზ(7) სახარებაჲ იოვანესი, თარგმანებაჲ სახარებისაჲ, თქუმული იოვანე ბოლნელისაჲ”

იოანე ბოლნელი (X ს.)

“აწ მოვედით, საყუარელნო, ყოველნი, რომელნი ხართ მოყუარენი ქრისტესნი...”

Ath. 11 (X), 320v-232v; A-95 (XI), 270v-271v; Jer.44 (X), 42v-163v;

შენიშვნა: გამოც. : 1.მ. ჯანაშვილისა, იოანე ბოლნელი, ქადაგებები, ტფილისი, 1911, გვ. 75-78; 2. ავტორთა კოლექტივისა, ათონის მრავალთაჲი, თბილისი, 1999, გვ. 232-243.

12. იობის წიგნის განმარტება

„გასაღები იობის წიგნისა“

იონა ხელაშვილი (XVIII-XIX სს.)

„თავი პირველი. იობ ისააკის ძის ესაეის ძეო. ძე ცხოვნდებოდა სიმართლითა სულიერად...“

S-301 (XIX), გვ. 7-70

შენიშვნა: თხზულება არ არის გამოცემული.

13. ისო ზირაქის წიგნის განმარტება

„წიგნი ისო ზირაქისა“

იონა ხელაშვილი (XVIII-XIX სს.)

“იხილე სლავენურ, რომელსა აქეს წინასიტყუაობა...”

S-392 (XIX), გვ. 185-281

შენიშვნა: თხზულება არ არის გამოცემული.

14. ისუ ნავესა და მეფეთა განმარტება

“წიგნი ისო ნავესა“

იონა ხელაშვილი (XVIII-XIX სს.)

„ესე იესუ ნავე ზეგარდამო ბრძანებითრე კელდასხმულ-ჰყო მოსე ისრაილისა ათორთა ტომთა წინარე მძლომელად...“

S-416 (1830წ.), 118r-191v

შენიშვნა: არ არის გამოცემული.

15. ლუკას სახარების განმარტება

“ე(5) კურიაკესა სახარებად ლუკადსი. თარგმანებად წმიდისა სახარებისად, თქუმული წმიდისა... იოვანე ბოლნელისად: „ფარისეველისა მისთვის დამეზუერისა“

იოანე ბოლნელი (X ს.)

“მოიქეცით ჩემდა ყოვლითა გულითა თქუნითა, იტყვის უფალი, ... მარხვითა სიწმიდისადთა დაიპენით გულნი თქუენნი...“

Ath.11 (X), 224v-226v

შენიშვნა: გამოც.: 1.თ.მგალობლიშვილისა, კლარჯული მრავალთავე, თბილისი, 1991, გვ.211-214 2.აეტორთა კოლექტივისა, ათონის მრავალთავე, თბილისი. 1999, გვ. 217-221

16. ლუკას სახარების ერთი იგავის განმარტება

(6) კურიაკესა სახარებად ლუკადსი. თარგმანებად სახარებისად, თქუმული წმიდისა იოვანე ბოლნელისა, იგავი: “კაცი ვინმე გარდამოვიდოდა...” და საკითხავი ესე“

იოანე ბოლნელი (X ს.)

“სიმართლე მართლისა მას ზედა იყოს და უსჯულოებად უსჯულოდსა

მის ზედა იყოს “ .

Ath.11 (X), 226v-228v

შენიშვნა: გამოცემა: ათონის მრავალთავე, თბილისი, 1999, 221-226.იგივე ტექსტი კლარჯულ მრავალთავეში (A-144,X ს., 18r-21v) დასათაურებულია: „მეექუსესა კურიაკესა წმიდათა მარხვათასა, თარგმანებად სახარებისად ლუკადს თავისად: „მისთვის, რომელი-იგი შევარდა კელთა ავაზაკთასა “, თქუმულის იოვანე ბოლნელ ეპისკოპოსისად“. გამოც. თ. მგალობლიშვილისა, კლარჯული მრავალთავე, თბილისი, 1991, გვ. 214-218.

17. ლუკას სახარების ერთი იგავის განმარტება

მეთხესა კურიაკესა წმიდათა მარხვათასა საკითხავი, თქუმული იოანე ბოლნელ ეპისკოპოსისად, თარგმანებად სახარებისად ლუკადს თავისად „უძღებისა ძისათვის“, მწუხრისა ჟამსა საკითხავი...

იოანე ბოლნელი (X ს.)

„ყოვლადვე ვქადაგებთ ღმრთისა კაცთმოყუარებასა, რადთა ღირს ვიქმნენით მისგან ცხორებად...“

A-95(XI, 257r-261v; A-144(X), 6v-12r)

შენიშვნა : A-95 ხელნაწერში განსხვავებაა : „მარხვათა მეოთხესა კურიაკესა სახარებად ლუკადს თავისად, იგავი იგი ორთა მათ ქეთათვს, თარგმანებად სახარებისად, თქუმული წმიდისა იოანე ოქროპირისად უძღვებისა მისოვს შვილისა...“ ტექსტი ერთი და იგივეა.

გამოც. 1. მ. ჯანაშვილისა, იოანე ბოლნელი, ქადაგებანი, ტფილისი, 1911, გვ. 32-47; 2. თ. მგალობლიშვილისა, კლარჯული მრავალთავი, თბილისი, 1991, გვ. 208-211. გამომცემელთა აზრით, ამ ჰომილიის ავტორია არა იოანე ოქროპირი, არამედ იოანე ბოლნელი, ე.ი. ორიგინალურია.

18. „ მამათ ჩუენო,-ს განმარტება

განმარტებად „ მამათ ჩუენოსი “
ამბროსი ნეკრესელი(1728-1815წწ.)

„აწ უკუე ამათ თანა ამისიცა ვინებუ კადრებად, ვითარმედ თუმცა სხუათაცა წმიდათა მამათა და აღწერეს... “

H-974(1794-1796წწ), 68v-72v.

შენიშვნა : გამოც. მ. ჭაბაშვილისა, ამბროსი ნეკრესელი, ქადაგებანი, თბილისი, 2003- გვ.119-125.

19. მათეს სახარების ერთი ადგილის განმარტება

„კურიაკე დღესა ყველთა აღებასა. სახარება მათესი. თარგმანება სახარებისა: ეკრძალენით ქუელის საქმესა,.... თქუმული წმიდისა იოვანე ბოლნელისა“

იოანე ბოლნელი (Xს.) .

„რომელი-იგი გარდამოკდა წიადთაგან მამისათა...“

A-95 (XI), 252v-254v; A-144 (X), 1r-3r; Jer. 4 (X), 32v-53v; Ath.11 (X), 218r-220r;

შენიშვნა: გამოცემები: 1)მ. ჯანაშვილისა, იოანე ბოლნელი, ქადაგებები, ტფილისი, 1911, გვ. 16-24; 2)თ. მგალობლიშვილისა, კლარჯული მრავალთავი, თბილისი, 1991, გვ. 202-207; 3.ავტორთა კოლექტივისა, ათონის მრავალთავი, თბილისი, 1999, გვ. 203-204

20.. მარხვის სახარების განმარტება

დღესა ჳორცითა აღებასა სახარებად მათესი, თარგმანებად სახარებისა : ეკრძალენით ქუელის საქმესა, თქუმული წმიდისა იოვანე ბოლნელისად

იოანე ბოლნელი(Xს.) „ რომელი-იგი გარდამოვიდა წიადთაგან მამისათა...“ A-95(XI), 252-254; A-144(X),1r-3r;Jer.4(X),32v-53v; Ath.11(XI),218-220; შენიშვნა : გამოც. 1. მ. ჯანაშვილისა , იოანე ბოლნელი, ქადაგებანი, ტფილისი, 1911, გვ.6-16; 2. რ. ბარამიძისა, იოანე ბოლნელი, თბილისი, 1962, გვ. 94-100; 3. ავტორთა კოლექტივისა, ათონის მრავალთავი, თბილისი, 1999,გვ. 195-201.

21. მდიდრისათვის და ლაზარესთვის იგავის განმარტება
„ზ კვირიაკესა, სახარებამ ლუკასნი:“ კაცი ვინმე იყო მდიდარი...
„თარგმანებამ სახარებისა, თქუმილი წმიდისა იოანე ბოლნელ
ებისკოპოსისა“

იოანე ბოლნელი (X)

„ძირი ყოვლისა სასოებისა კეთილისა ესე არს-სარწმუნოებამ...“

A-95 (XI), 267v-270r; A-144 (X), 18r-21v; Jer. 44 (X), 124v-142v; Ath. 11
(X), 228v-230v.

შენიშვნა: გამოც.: 1. მ. ჯანაშვილისა, იოანე ბოლნელი, ქადაგებე-
ბი, ტფილისი, 1911, გვ. 66-75; 2. თ. მგალობლიშვილისა, კლარჯული
მრავალთავი, თბილისი, 1991, გვ. 218-221; 3. ავტორთა კოლექტივისა,
ათონის მრავალთავი, თბილისი, 1999, გვ. 222-231.

22. მელქისედეკის მღვდლობის წიგნი

მღვდლობის წიგნი მელქისედეკისა

იონა ხელაშვილი (XVIII-XIX სს.)

„მელქისედეკ მეფე სალიმისა, ესერა ძუელსა აღთქმასა წინა ორთა
ადგილთა წინა მოიხსენეს წმიდათა წინასწარმეტყუელთა...“

S-388 (XIX), გვ. 215-229

შენიშვნა: თხზულება არ არის გამოცემული.

23. მოსეს ხუთი წიგნის განმარტება

„განმარტება მოსეს ხუთთა წიგნთა“

იონა ხელაშვილი (XVIII-XIX სს.)

„ძუელისა და ახლისა აღთქმისა შემოკლებითი აღმოჩენა...“

S-416 (1830 წ.), 2r-117r

შენიშვნა: თხზულება არ არის გამოცემული.

24. ნეშტთა წიგნის განმარტება

„წიგნი პარალიპომენონი“

იონა ხელაშვილი (XVIII-XIX სს.)

„ესე წიგნი გასაღებია შიგ მოხსენიებულთა წიგნებთა საღვთოთა...“

S-359 (XIX), 17r-136r

შენიშვნა: თხზულება არ არის გამოცემული.

25. ორი ძის (უძღები შვილის) იგავის განმარტება

„დ კრიაკესა წმიდათა მარხვათასა. სახარება ლუკასი, ორთა მათ
ძეთათუს. თარგმანება სახარებისა, თქუმილი წმიდისა იოანე ბოლნელ
ებისკოპოსისა საკითხავი ესე“

იოანე ბოლნელი (X ს.)

„მოვედით, საყუარელნო, და ისმინეთ სიტყუად ჩემთა, რომელი მეგ-
ულების მე თხრობად თქუნდა...“

Jer. 44 (X), 70r-89v; Ath. 11 (X), 222r-224v

შენიშვნა: გამოც. ავტორთა კოლექტივისა, ათონის მრავალთაეი, თბილისი, 1999, გვ. 211-216. გამომცემელთა აზრით. ამ პომილიის ავტორია არა იოანე ოქროპირი, არამედ იოანე ბოლნელი ე.ი. ის ნათარგმნი კი არ არის, არამედ ორიგინალურია(იხ. § 17).

26. პავლე მოციქულის ეპისტოლეთა თარგმანების წინასიტყვაობა
უწყებად მიზეზსა წიგნსა ამის მრავალთა წიგნთა ერთად შემოკრებულისასა

ეფრემ მცირე (XI ს.)

„ვითარმედ წმიდად იოვანე ოქროპირი არს თარგმანი ეპისტოლეთა პავლე მოციქულისა...“

Ath. 18 (XV-XVI), გვ. 235-238.

შენიშვნა: გამოც. 1. დ. თვალთვაძისა, ეფრემ მცირის ერთი უცნობი ანდერძი, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 27, 1988, გვ. 210-221; 2. მისივე, ეფრემ მცირის კოლოფონები, 2009, გვ. 210-212. 3. ე. კოჭლამაზაშვილისა, პავლეს ეპისტოლეთა განმარტება, თბილისი, 2003, გვ. 300-302.

27. პავლე მოციქულის ეპისტოლეთა განმარტება

ეფრემ მცირე (XI ს.)

„...ებელსა სიტყუასა, ეგრეთვე მესამე ესე მოსლვად ჩემი...“

A-390 (X-XII), 1r-136v(თავნაკლ.)

შენიშვნა: ოქროპირის თხზულების ეფრემ მცირისეული ვარიანტი.

28. სამოციქულოს თარგმანების წინასიტყვაობა

სამოციქულოს თარგმანების ანდერძ-წინასიტყვაობა

ეფრემ მცირე (XI ს.)

„ესე საცნაურ ყაენ ყოველთა, რომელნი მიემთხუნეთ წმიდასა ამას წიგნსა...“

A-677 (XIII-XIV), 244v-245v; Q-1158 (XI), 102r-v; Jer. 16 (XII), 2r-3v.

შენიშვნა: გამოც. 1. რ. ბლეიკისა, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Jer. ფონდი (ინგლისურ ენაზე), 1926, გვ. 160-166; 2. ილ. აბულაძისა, საქმე მოციქულთა, თბილისი, 1950, გვ. 029-031; 3. ნ. მარისა, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, (ე. მეტრეველის გამოც.), თბილისი, 1955, გვ. 55-62; 4. ე. კოჭლამაზაშვილისა, პავლეს ეპისტოლეთა განმარტება, თბილისი, 2003, გვ. 327-331; 5. დ. თვალთვაძისა, ეფრემ მცირის კოლოფონები, თბილისი, 2009, გვ. 20

30. ფსალმუნთა თარგმანების ქართული თარგმანის შესავალი

უწყებად მიზეზსა ვითარებასა და თხრობად წესსა და საჭმარებასა წინა-მდებარისა ამის წიგნისა, რომელ არს თარგმანებად ფსალმუნთად ეფრემ მცირე (XI ს.)

„დაღაცათუ კადნიერ არს ელ-ყოფად ესე, არამედ შესანდობელ იყაენ...“

შენიშვნა: გამოც. 1. მ. შანიძისა, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 11, 1968, გვ. 77-122; 2. დ. თვალთვაძისა, ევრემ მცირის კოლოფონები, თბილისი, 2009, გვ. 173-198.

31. ფსალმუნთა განმარტება

სიტყუანი ფსალმუნთანი, შემოკლებით თარგმანთაგან გამოკრებულ-ნი მრავალთა წიგნთაგან

ევრემ მცირე (XI ს.)

ფსალმუნი, ალილუია-ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა განზრახვასა უღმრთოთასა...“

A-14 (1816წ.); ქუთ. 29 (XII-XVI), (თავბოლონაკლ.)

შენიშვნა: დაწერილია დიდი საეკლესიო მამების განმარტებათა საფუძველზე. ამ თხზულების ავტორისეული წინასიტყვაობა-ძველი საქართველო, III, განყ. 1. გვ. 243-269

32. ფსალმუნთა განმარტება

„ფსალმუნთათს დაეთისა“

იონა ხელაშვილი (XVIII-XIX სს.)

„მეფემან დაეთით, შემდგომ ცხებულებისა თვისისა დასწერა წინასწარმეტყუელებით ფსალმუნნი ასორმოცდაათი...“

S-416 (1830 წ.), 192r-307v; Q-424 (1830 წ.)

შენიშვნა: თხზულება არ არის გამოცემული.

33. ძველი და ახალი აღთქმის განმარტება

„განმარტებანი ძველი და ახალი აღთქმისანი“

იონა ხელაშვილი (XVIII-XIX სს.)

„ესე წიგნი გასაღებია შიგ მოხსენიებულთა წიგნებთა“

Q-557 (XIX), 3r-157v

შენიშვნა: თხზულება არ არის გამოცემული.

34. წინასწარმეტყუელთა წიგნების განმარტებანი

ათთექვსმეტთა წინასწარმეტყუელთა განმარტება

იონა ხელაშვილი (XVIII-XIX სს.)

„წინასწარმეტყუელთა ისაიასი, თაეი პირველი. წმიდა ისაია აღმოსცენდა ტომისაგან სამეფოსა...“

Q-81 (XIX), 5r-136r

შენიშვნა: თხზულება არ არის გამოცემული.

35. წირვის განმარტება

წიგნი წირვის განმარტებისა

იონა ხელაშვილი (XVIII-XIX სს.)

„დაწყება პირველი, სამღვდლო შესამოსელის განმარტებისათს“

S-333 (1835 წ.), გვ. 1-209.

შენიშვნა: თხზულება გამოუცემელია.

ს ა კ ი ე ბ ლ ე ბ ი

1. ა ე ტ ო რ თ ა

ამბროსი ნეკრესელი – §18.

ანონიმი – §6.

დაჩი – §§7, 8.

ეფრემ მცირე – §§26, 27, 28, 30 31.

იოანე ბოლნელი – §§2, 5, 11, 15, 16, 17, 19, 21, 25.

იოვანე საბანის ძე – §10.

იონა ხელაშვილი – §§1, 3, 4, 9, 12, 13, 14, 22, 23, 24, 29, 32, 33, 34, 36.

რომანოზ მიტროპოლიტი – §35.

2. ხ ე ლ ნ ა წ ე რ თ ა

(ფონდების აღმავალი ნომრების მიხედვით)

A

(ყოფილი საეკლესიო მუზეუმის, ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერთა ფონდი)

A-14 §31. A-19 §10. A-95 §§2, 5, 11, 17, 19, 20, 21. A-144 §§2, 5, 17, 19, 20, 21. A-390 §27. A-677 §28. A-986 § 4; A-1004 §4.

H

(ყოფილი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერთა ფონდი)

H-341, §6. H-974, §18.

S

(ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერთა ფონდი)

S-277, §1. S-301, §12. S-333, §35. S-359, §24. S-388, §22. S-392, §§9, 13. S-416, §§14, 23, 32. S-1141, §§7, 8.

Q

(ყოფილი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ახალი კოლექციის, ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერთა ფონდი)

Q-81, §§3, 34. Q-424, §32. Q-557, §33. Q-1158, §28.

ქუთ.

(ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი)

ქუთ. 29, §31.

Ier.

(იერუსალიმის საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდი)

Ier. 4, §§19, 20, 21. Ier. 16, §28. Ier. 44, §§5, 11.

Sin.

(სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდი)

Sin. 44, §§2, 5.

Ath.

(ათონის მთის ივერთა მონასტრის ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდი)

Ath. 11, §§5, 11, 15, 16, 19, 20, 21, 25. Ath. 18, §26.

სამეცნიერო ლიტერატურა ნათარგმნი ეგზეგეტიკის შესახებ

აბულაძე ილია, უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუს-თა დღეთასა“ და გრიგოლ ნოსელის „კაცისა აგებულებისათვის“ თარგმანებისა X-XIII სს. ხელნაწერთა მიხედვით. გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. აბულაძემ, თბილისი, 1964 (273გვ.).

ათანელიშვილი ლილი, ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა, თბილისი, 1982.

ალიბეგაშვილი გიორგი, ქრისტიანული ეგზეგეტიკის ტრადიციები და აპოკრიფი „ადამის ცხოვრება“, ცისკარი, 8, თბილისი, 1998, გვ.104-112.

ალიბეგაშვილი გიორგი, ეპიფანე კვიპრელის „თვალთა“ და ქრისტიანული ეგზეგეტიკის ტრადიციები. თბილისი, 1999 (234გვ.).

ბარამიძე რევაზი, იოანე ბოლნელი, თბილისი, 1962.

ბერდზოლი ნ., „გამოცხადების“ ანდრიასეული კომენტარების ექვთიმე ათონელის თარგმანი, თსუ შრომები, 261, 1986, გვ. 60-66.

ბლექი რობერტი, ეფრემ მცირის ლიტ. მოღვაწეობიდან, „მომომხილველი“, ტფილისი, 1926, გვ. 157-172.

ბრეგაძე თამარი, ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნი ძეგლები (ბიბლიო-ოგრაფია), მრავალთავი, I, 1971, გვ. 429-463.

ბურდული გ., „აპოკალიპსის“ ანდრეას კომენტარების ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, მრავალთავი, 14, თბილისი, 1987.გიგინეიშვილი ბაქარი, „სახისმეტყელის“ ქართული თარგმანის ერთი ადგილის გაგებისათვის (ბასილი კესარიელის თხზულება), ხელნაწ. ინსტიტუტის მრავალთავი, ტ.7, 1980, გვ. 123-126.

გამყრელიძე ალექსანდრე, ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა ქართული თარგმანები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ალექსანდრე გამყრელიძემ და თამარ ოთხმეზურმა, გამოკვლევა თბილისი, 1980., ლექსიკონი და საძიებლები დაურთო თ. ოთხმეზურმა,

გიგინეიშვილი ბაქარი, „სახისმეტყველის“ ქართული თარგმანის ერთი ადგილის გაგებისათვის (ბასილი კესარიელის თხზულება), ხელნაწ. ინსტიტუტის მრავალთავი, ტ.7, 1980, გვ. 123-126

გიგინეიშვილი ბაქარი, გიუნაშვილი ელგუჯა, შატბერდის კრებულის X-ისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბილისი, 1979.

გიგინეიშვილი მანანა, იპოლიტე რომაელის „დავითისთვის განმარტება“, თსუ, სტუდ. XVIII სამეცნ. კონფერ. მოხსენ. თეზისები, 1956.

გიორგაძე ბეჟანი, შატბერდის კრებული, გამოსცეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა (რეცენზია), თბილისი, 1979 (427გვ.).

დანელია კორნელი, ახალი მასალები ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდისა და მისი რედაქციის სამოციქულოს ისტორიის შესწავლისათვის, მაცნე, ელს, №4, 1974, გვ. 27-47.

დანელია კორნელი, ევთალეს სტიქომეტრიის ძველი ქართული რედაქციები, ძვ. ქართ. ენის კათედრის შრომები, 20, 1977, 53-149.

დანელია კორნელი, იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები და მათი მომდინარეობის საკითხი, თსუ ძველი ქართ. ენის კათედრის შრომების კრებული.

დობორჯგინიძე ნინო, მთარგნელობით პრობლემებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი ძველ ქართულ ეგზეგეტიკურ მწერლობაში, კრ. „ზურაბ ჭუმბურიძე“, თბილისი, 1997.

დობორჯგინიძე ნინო, სიტყუანი ფსალმუნთანი, შემოკლებითი თარგმანთაგან გამოკრებულნი მრავალთა წიგნთაგან“, უძვ. ხელნაწ. მიხედვით, გამოსაცემად მოამზადა ნინო დობორჯგინიძემ, I-II, თბილისი, 1996.

თაყაიშვილი ექვთიმე, სახისმეტყველი“ ანუ “ფიზიოლოგი“, ქართული ტექსტი შატბერდის კრებულიდან (X ს.), გამოც. ვ. თაყაიშვილისა თვალთვაპე დარეჯანი, ეფრემ მცირის ლექსიკოგრაფიული ხასიათის სქოლიოებისა და სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიმართებისათვის, მაცნე (ელს.), №3, 1989, 68-76.

თვალთვაპე დარეჯანი, პავლეს ეპისტოლეთა კომენტარების ეფრემ მცირისეული ქართული თარგმანის ერთი ბერძნული წყაროს შესახებ, ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკური კონფერენციის მასალები, თბილისი, 1989, გვ. 32-34.

თვალთვაპე დარეჯანი, პავლეს ეპისტოლეთა კომენტარების ქართული თარგმანები, ფილოლოგიური ძიებანი, II, 1995, გვ. 345-362.

თვალთვაპე დარეჯანი, ეფრემ მცირე – ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის კომენტატორი (სადისერტ. ნაშრ.), თბილისი, 1996..

თვალთვაპე დარეჯანი, პავლეს ეპისტოლეთა თარგმანებზე დართული ეფრემ მცირის ანდერძი და მისი მნიშვნელობა ქართ. და ბიზანტ. ლიტერატურის ისტორიისათვის. ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბ. კონფერენცია, მიძღვნილი თბილისის უნივერსიტეტის დაარსების 70 წლისადმი, 1988, გვ. 21.

იმნაიშვილი ივანე, იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება ძველი ქართ. ვერსია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, VII, თბილისი, 1961 (279 გვ.).

კახაპე მიხეილი, ბასილი დიდი, “ექუსთა დღეთა“, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაპემ, თბილისი, 1947 (196 გვ.).

კეკელიძე კორნელი, თარგმანება ეკლესიასტისა მიტროფანე ზმირნელ მიტროპოლიტისა)წინასიტყვაობა, გამოკვლევა და ტექსტი), ტფილისი, 1920, გამოკვლევა განმეორებით დაიბეჭდა: ეტიუდები, XI, თბ. 1972, გვ. 178-239.

კეკელიძე კორნელი, ესქატოლოგიური მოტივები ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში, თბილისი, 1957, გვ. 105-109.

კეკელიძე კორნელი, ეგზეგეტიკა, წიგნში: ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1980, გვ. 457-466.

კიკნაძე გულნაზი, გიორგი მთაწმინდელის ერთი თარგმანის კიმენი და ლექსიკა („ქება ქებაათასა“-ს განმარტება) წიგნში: ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, თბილისი, 1965, გვ. 126-169.

კიკნაძე გულნაზი, გრიგოლ ნოსელის ნააზრვეის ფილოლოგიური ასპექტისათვის („თარგმანება ქება-ქებათასა“-ს გიორგი მთაწმინდელისეული თარგმანის მიხედვით).ხ.ი. ისტორიულ ფილოლოგიური კრებული, თბილისი, 1997, გვ. 40-44.

კოჭლამაზაშვილი თამაზი, ეყრემ მცირის რამდენიმე უცნობი კომენტარი, სამეცნ. სესია XXVI (ლიტ. ისტ. ინსტიტუტი), 1996, გვ. 16-17.

კოჭლამაზაშვილი თამაზი, სამოციქულოს განმარტების ექვთიმე მთაწმინდელისეული თარგმანის წყაროები,პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნ. სესია (თეზისები), 62, თბ., 1997, გვ. 85-86.

კოჭლამაზაშვილი თამაზი, სამოციქულოს განმარტების ქართულ ენაზე თარგმანის ისტორიიდან, რელიგია (ჟურნალი), №10-11-12, 1995, გვ. 12-28.

კოჭლამაზაშვილი თამაზი, სამოციქულოს თარგმანების შესწავლის სიახლენი (ეყრემ მცირის ორი უცნობი ანდერძი).გაზ. ჩემი სკოლა, №1, (3), თბილისი, 1996.

კოჭლამაზაშვილი თამაზი, პავლეს ეპისტოლეთა ექვთიმე მთაწმინდელისეული რედაქცია.ი.ე. ჯავახიშვილის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო სესიის თეზისები, თბილისის კონსერვატორია, თბილისი, 1996.

კოჭლამაზაშვილი ექვთიმე, სამოციქულოს განმარტება (თარგმანი ეყრემ მცირისა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, I, თბილისი, 2000 (475 გვ.), II, თბილისი, 2006 (686 გვ.).

კოჭლამაზაშვილი ექვთიმე, პავლეს ეპისტოლეთა განმარტება (ეფთვიმე მთაწმინდელის თარგმანი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, თბილისი, 2003 (578 გვ.).

ლოლაშვილი ივანე, მიქაელ-ფსელოსის ფილოსოფიურ-ეგზეგეტიკური ტრაქტატი „პირმშოდსათუს“ (გამოკვლევა და ტექსტი), კრ. ძველი ქართული მწერლობის საკითხები, II, თბილისი, 1964, გვ. 71-91.

ლოლაშვილი ივანე, იოანე პეტრიწი და ბიბლიური წიგნების მთარგმნელები,შოთა რუსთ. სახ. ქართ. ლიტ-ის ინ-ტისა და ლიტ-ერატურათმცოდნეობის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს I სამეცნ. სესია, 1966, გვ. 38-41.

მაჭავარიანი მაია, ქრისტეს სიმბოლური სახელების განმარტება გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართულ თარგმანებში, საქ. მეცნ. აკად. მაცნე (ელს), №1-4, 1996, გვ. 80-96.

მელიქიშვილი დამანა, იოანე პეტრიწის ტრაქტატი „სამობით ხელისათუს საღმრთოდა ბუნებისა“, როგორც ფსალმუნთა განმარტება,

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი სიმ. ყაუხჩიშვილის დაბ. 100 წლისთავისადმი, თბილისი, 1995, გვ. 79-80.

მელიქიშვილი დამანა, მაქსიმე აღმსარებლის დოგმატურ თხზულებათა და გელათის კატენებიანი ბიბლიის რედაქტორ-მთარგმნელთა მიმართებისათვის, ფილოლოგიური ფაკულტეტის სამეცნიერო სესია, თბილისი, 1996, გვ. 52.

მელიქიშვილი ნინო, რამდენიმე დაკვირვება ეფთვიმე ათონელისა და ეფრემ მცირის მთარგმნელობით მეთოდზე, მაცნე (ელს), №4, 1987, გვ. 119-128.

მიმინოშვილი რომანი, „კაცისა შესაქმისათუს“ – თარგმანი გიორგი მთაწმინდელისა (გრიგოლ ნოსელის თხზულების თარგმანი), კრ. ლიტერატურული ურთიერთობანი, 3, 1972, გვ. 40-57.

მიმინოშვილი რომანი, ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი ხერხები, ძვ. ქართ. მწერლობის საკითხები, II, თბილისი, 1963.

მრეველიშვილი ნანა, ეკლესიასტეს განმარტების გელათური თარგმანი, გელათის მეცნ. აკადემიის ჟურნალი, 5, 2005, გვ. 3-12.

მურღულია გია, „შესაქმნის“ წიგნის ერთი მუხლის (1, 27) ძველქართული თარგმანის გაგებისათვის, თეზისები, თბილისი, 1981.

ნარსიძე გურამი, „94 წელი უმეტეს...“ („ქება და დიდება ქართულისა ენისაჲს“ გამო). განთიადი, 6, 1984, გვ. 167-173.

ნიჟარაძე მადონა, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ორი ხელნაწერი წიგნის ანდერძ-მინაწერების შესახებ (ქუთ.23-დოგმატიკონი; ქუთ.29-დავითის ფსალმუნების თარგმანება), თეზისები, 1977.

ოთხმეზური თამარი, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტარების ისტორიიდან „მრავალთაჲ“, XV, თბილისი, 1989, გვ. 18-31.

ოთხმეზური თამარი, კომენტართა გაგლება გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართულ თარგმანზე, ფილოლოგიური ძიებანი, II, 1995, გვ. 150-162.

პატარიძე რამაზი, ქება ქართული ენისა (ძველი ქართული თხზულება „ქება და დიდება ქართულისა ენისაჲს“), წერილი V, მნათობი, 1987, I, გვ. 146-159.

რაფაგა მაია, „თარგმანთაგანისა“ და „ზედადართულის“ გაგებისათვის გრიგოლ ნაზიანზელის პომილიათა ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანის მიხედვით, მრავალთაჲ (ხელ. ინსტ.), XVII, თბილისი, 1992, 85-92.

სარჯველაძე ზურაბი, იოანე ოქროპირის „განმარტება იოანეს სახარების“ ტ. I, II. (აგტორთა კოლექტივთან ერთად, თანარედაქტორი). თბილისი, 1993.

სარჯველაძე ზურაბი, მათეს სახარების განმარტება (ტექსტი), I, II, III (აგტორთა კოლექტივთან ერთად, თანარედაქტორი), თბილისი, 1993.

ჭურციკიძე ციალა, ისევ ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ. მრავალთაჲ (ხელ. ინსტ.), VI, 1978, გვ. 24-34.

ყაუხჩიშვილი სიმონი, შატბერდის კრებულის სასწავლო წიგნი, თბილ. უნივერსიტეტის მოამბე, 3, 1923, გვ. 178-185.

ყაუხნიშვილი სიმონი, მიქაელ ფსელოსის ერთი „განმარტება“, საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე, II, №1-2, თბილისი, 1941, გვ. 177-179.

ყაუხნიშვილი სიმონი, გეორგიკა, I, რედ. აღ. გამყრელიძე, ს. ყაუხნიშვილი, თბილისი, 1961, გვ. 221-222.

შალამბერიძე ნინო, შენგელა მიხეილი, მნიშვნელოვანი ძეგლი, რეცენზია წიგნზე: „უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცთა აგებულებისათჳს“... გამოსცა ილ. აბულაძემ, გაზ. თბილისი, 22. VII, 1965.

შალამბერიძე ნინო, „დაბადებისათჳს კაცისა“ გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანის ენობრივი თავისებურებანი, საქ. მეცნ. აკად. მაცნე, 2, 1969, გვ. 187-200.

შანიძე აკაკი, თარგმანებაი ქებისა ქებათაისაჲ, (პალეოგრაფიული რეეული), გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1924, (35 გვ.).

შანიძე მზექალა, ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანების ტექსტისათვის, კრებ. „ქართ. წყაროთმცოდნეობა“, 3, თბილისი, 1971.

შანიძე მზექალა, რედაქციული თავისებურებანი ბასილი კესარიელის ფსალმუნთა თარგმანების ტექსტისა, თბილისი, 1961.

შანიძე მზექალა, ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანების ტექსტისათვის, ქართ. წყაროთმც., 3, თბილისი, 1971.

შანიძე მზექალა, ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X-XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით (ტექსტი გამოსცა მ. შანიძემ), წიგნი I, თბილისი, 1960, (485 გვ.).

შანიძე მზექალა, რედაქციული თავისებურებანი ბასილი კესარიელის „ფსალმუნთა თარგმანების“ კიმენური ტექსტისა, ხელ. ინს-ტის III სამეც. სესია, მოხსენებათა თეზისები, 1961.

შანიძე მზექალა, ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, თბილისი, 1979, (230 გვ.).

შანიძე მზექალა, იაონე ოქროპირი მათეს სახარების განმარტება (ტექსტი), I, II, III (ავტორთა კოლექტივთან ერთად, თანარედაქტორი), თბილისი, 1998.

შანიძე მზექალა, იაონე ოქროპირის „განმარტება იოანეს სახარებისა“ (ტექსტი), ტ. I, II, (ავტორთა კოლექტივთან ერთად, თანარედაქტორი), თბილისი, 1993.

შენგელა მიხეილი, შალამბერიძე ნინო, მნიშვნელოვანი წიგნი: რეცენზია წიგნზე „უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის „კაცთა აგებულებისათჳს“ თარგმანებისა, გამოსცა ილ. აბულაძემ, გაზ. თბილისი, 22. VII, 1965.

ჩიჭოვანი ნინო, ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკისათვის „იოანეს გამოცხადებისა და მისი თარგმანების“ მიხედვით. თბილისი, 1978 (26 გვ.).

ძიძიგური შოთა, რეცენზია: ბასილი დიდი. „ექუსთა დღეთა“ (მ. კახაძის გამოცემა). მნათობი, №10, 1947, გვ. 181-185.

ჭელიძე ედიშერი, გრიგოლ ნოსელის თხზულების „პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს“ გამოძახილი ძველ ქართულ ლიტერატურაში, საქ. მეცნ. აკად. მაცნე, თბილისი, 1984, გვ. 52-65.

ჭელიძე ედიშერი, ბიბლია და ქრისტიანობა, ჟურნ. სკოლა და ცხოვრება, №9, 1990, გვ. 57-66.

ჭელიძე ედიშერი, დრო გრიგოლ ნოსელთან. სემინარი ახალგაზრ. ფილოლოგ., თბილისი, 1984, 53.

ჭელიძე ედიშერი, წმინდა გრიგოლ ნოსელი, „პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს“. საქ. ეკლესიის კალენდარი, თბილისი, 1989, გვ. 194-414.

ჭელიძე ედიშერი, წმ. მაქსიმე აღმსარებელი, სქოლიოები წმ. დიონისე არეოპაგელის შრომაზე „საღეთო სახელთა შესახებ, გზა სამეფუო, I, თბილისი, 1995, გვ. 17-38.

ჭელიძე ედიშერი, ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, I, თბილისი, 1996 (692 გვ.).

ჭელიძე ედიშერი, წმ. კირილე ალექსანდრიელი, იოანეს სახარების განმარტება, ბერძ. ენიდან თარგმნა და სქოლიოები დაურთო ე. ჭელიძემ, თბილისი, 2003 (52 გვ.).

ხარნაული ანა, მიქაელ ფსელოსი. „ქებათა ქებას“ განმარტება, თარგმნა და შესავალი დაურთო ა. ხარნაულმა, ბიზანტიური ლიტერატურის ქრესტომათია, 3, 100-108, თბილისი, 1996.

ხინთიბიძე ელგუჯა, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის, თბილისი, 1982 (ესაიას განმარტების შესახებ, გვ. 2).

ჯუღელი ვიქტორია, თეოდორიტე კვირელის განმარტებითი ქართული თარგმანება გელათის ბიბლიასა და გელათის ხელნაწერებში, თსუ ფილოლოგიური ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, 2, 1998, გვ. 178-196.

ჯუღელი ვიქტორია, ნეტარი თეოდორიტე კვირელი, ცხოვრება, მოღვაწეობა, მრწამსი, თხზულებები და მათი ქართული თარგმანები, I, თბილისი, 2008 (700 გვ.).

Март Николай, Иполит Римский. Толкование Песни-песней, грузинский текст по рукописи XI в., издал Н. Март (с русским переводом).СПБ, 1901 (67 стр.).

Март Николай, Физеолог, армяно-грузинский извод (грузинский и армярские тексты издал Н. Март с переводом на русский язык),Тексты и разыскания... IIIБ СПб, 1904 (130 стр; ქართული ტექსტი – ასომთავრულით).

Bonwetsch G. N., Drei georgisch erhaltene Schriften von Hippolytus – Der Sagen Yakobs, Der Segen Moses, Erzählung von David und Goliath, Hsg, von G.N. Bonwetsch, In: texte und Untersuchungen zur Geschichte der altchristlichen literature, XXVI, Leipzig, 1904 (98s.).

Brière M., Hippolyte de Rome, Sur les bénédictions d'Ysaak, d'yakob et a Moisse, Patrologia Orientalis, t. XXVII, fasc. let. 2, 1971.

Charanouli Anna, Exegetische Reffexion und Übepsetzungsprinzip-Yur Neuübersetzung der Georgischer Bibel im XI Yhr. Georgica, 19(1996), 71-77.

Garitte G., Hippolyté. Traite Hippolyte sur David et Goliathi, sur cantque des cantiques et Sur l'antechrist, version georgienne, Lauvain, 1968.

శ్రీ ఆంధ్ర విశ్వ కళా కళా-
పాఠశాల ప్రెస్

შ ი ნ ა ა რ ს ი

ქართული ორიგინალური და
ნათარგმნი დოგმატიკა-პოლემიკა (ნარკვევი).....613

ორიგინალურ დოგმატიკურ-პოლემიკურ
თხზულებათა ბიბლიოგრაფია.....643

საძიებლები: 1. ავტორთა; 2. ხელნაწერთა658

სამეცნიერო ლიტერატურა
დოგმატიკურ-პოლემიკური მწერლობის შესახებ.....661

ქართული ორიგინალური და ნათარგმნი დოგმატიკა-პოლემიკა

(ნარკვევი)

ქრისტიანული დოგმატიკა და პოლემიკა სასულიერო მწერლობის ორი დამოუკიდებელი დარგია: დოგმატიკა არის მართლმადიდებელი ღვთისმეტყველების (თეოლოგიის) ძირითადი და უმთავრესი დარგი – ქრისტიანული დოგმატის ჩამოყალიბებისა და ისტორიის შემსწავლელი მეცნიერება, ხოლო პოლემიკა კი – არაქრისტიანულ რელიგიებთან და მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში სხვადასხვა დროს წარმოშობილ მწვალებლობებთან პაექრობაში ქრისტიანული მართლმადიდებლური დოგმების ჭეშმარიტების წარმოჩენისა და განსხვავებულ აზრთა მცდარობის დამტკიცების მეცნიერება. დოგმატიკაში ყოველთვის არის პოლემიკის ელემენტები, ხოლო პოლემიკა არ არსებობს დოგმატიკის გარეშე – პოლემიკის ძირითადი არსია ქრისტიანული დოგმატიკური საფუძვლების ჭეშმარიტების დაცვა. ამიტომ არის ნარკვევის სათაურში ეს ორი დარგი ერთ მთლიანობაში წარმოდგენილი. ამასთანავე თავიდან ავიცილეთ თხზულებათა ბიბლიოგრაფიებში ერთი და იგივე თხზულების ორჯერ წარმოდგენა – ცალკე დოგმატიკაში და ცალკე პოლემიკაში.

დოგმატიკის ძირითადი წყაროა ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, ე.ი. ბიბლია, მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის საიდუმლოებები, მსოფლიო საეკლესიო კრებებზე დამტკიცებული რწმენის სიმბოლოები და ქრისტიანული ეკლესიის დიდი მამების ქრისტიანული სარწმუნოების აღსარებები.

დოგმატიკა და პოლემიკა ძველ ქართულ სასულიერო მწერლობაში წარმოდგენილია ამ დარგის ფუძემდებლური თხზულებებით, ძირითადად ბიზანტიელი საეკლესიო მამების შრომების ქართული თარგმანებით. ქართულად თარგმნილია ქრისტიანული საეკლესიო მწერლობის დოგმატიკური და პოლემიკური თხზულებების ძირითადი ფონდი ჩვენი გამოჩენილი საეკლესიო მამებისა და მწერლების, აგრეთვე უძველესი პერიოდის ჯერ კიდევ გამოუვლენელი ანონიმი მთარგმნელების ძალისხმევით, რომელთა თარგმანების საფუძველზე საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა ორიგინალური დოგმატიკური და პოლემიკური მწერლობა. ამიტომ წინამდებარე ნარკვევში ჯერ წარმოვადგენთ ნათარგმნი ძეგლების ძირითად არსენალს, უფრო სწორად, გავიმეორებთ ჩვენ წიგნში „ქართული ნათარგმნი... დოგმატიკა-პოლემიკა“ (თბილისი, 2012, გვ. 156-186) წარმოდგენილი ნარკვევის ძირითად დებულებებს, ხოლო შემდეგ ვისაუბრებთ ორიგინალური მწერლობის დოგმატიკური და პოლემიკური დარგების შესახებ.

ქრისტიანული დოგმატიკა არის მართლმადიდებელი ღვთისმეტყველების მთავარი და ძირითადი დარგი, ქრისტიანული დოგმების

შემსწავლელი მეცნიერება. თავის თანამიმდევრულ განვითარებაში დოგმატიკა სამ პერიოდს ითვლის: 1. პირველდაწყებობის, მსოფლიო საეკლესიო კრებებამდე. 2. მსოფლიო კრებებისა და 3. მსოფლიო კრებებიდან XI საუკუნემდე.

ქრისტიანული დოგმების ირგვლივ შექმნილი საეკლესიო ხასიათის თხზულებები ქმნიან სასულიერო მწერლობის დარგს – დოგმატიკას, რომელიც მოიცავს მოძღვრებას საღვთისმეტყველო დოგმებისა და მისი ისტორიის შესახებ. დოგმატიკაში გადმოცემულია ქრისტიანობის თეოლოგიურ-ფილოსოფიური არსი, მისი განვითარების გზა და ასახულია წარმართობის, იუდაიზმისა და მაჰმადიანობის წინააღმდეგ ბრძოლა, განსაკუთრებით კი ნაჩვენებია პოლემიკა ქრისტიანობის წინააღმდეგ წარმოშობილ მრავალრიცხოვან მწვალებლობებთან და მათგან ქრისტიანული სარწმუნოების ფუძემდებლური დოგმების დაცვა. ქრისტიანული დოგმატიკური საფუძვლების დაცვისათვის ბრძოლა პირველად ქრისტიანობის აპოლოგეტ მორწმუნეთა წრეში დაიწყო (II ს. ცნობილი აპოლოგეტები: იუსტინე ფილოსოფოსი, ეგნატე ანტიოქიელი და სხვ.), რომელთაც პირველებმა გამონახეს კავშირი სარწმუნოებასა და ცოდნას შორის. კლიმენტი ალექსანდრიელი (+217წ.) შეეცადა ჭეშმარიტი სარწმუნოება წარმოედგინა მეცნიერული ცოდნის ფორმით. მისი მოძღვრებით, არ არსებობს სარწმუნოება ცოდნის გარეშე ისევე, როგორც ცოდნა სარწმუნოების გარეშე. ალექსანდრიელი თეოლოგის – ორიგენეს (II-III სს.) შრომამ „დასაბამის შესახებ“ ხელი შეუწყო დოგმატიკის მეცნიერულ განვითარებას. ეს თხზულება იყო დოგმატიკის სრული სისტემატიზაციის ცდა.

მსოფლიო საეკლესიო კრებათა პერიოდში ეკლესია უკვე საჭიროდ თვლის ქრისტიანული სარწმუნოების დოგმატიკის გადმოცემაში მეცნიერული მეთოდის აუცილებლობას.

კირილე ალექსანდრიელის (+444წ.) ეპისტოლეებში ჩამოყალიბებულია ცოდნისა და სარწმუნოების ურთიერთდამოკიდებულების ფორმულა: სარწმუნოება წინ უსწრებს ცოდნას, ცოდნა მოდის რწმენის შემდეგ.

ბასილი დიდი (+379წ.) დიალექტიკას (მეცნიერებას ბუნების, ადამიანთა საზოგადოებისა და აზროვნების ცვალებადობის, მოძრაობისა და განვითარების ზოგადი კანონების შესახებ) დოგმატიკის ზღუდეს უწოდებს, ნეტარი ავგუსტინე რწმენას თვლის აუცილებელ პირობად საღვთო წერილის ბუნდოვანი ადგილების კომენტირების დროს.

დოგმათა სისტემატიზაციის ცდად ამ პერიოდში შეიძლება ჩათვალოს გრიგოლ ნოსელის (+394წ.) დიდი კატექეტიკური (მოძღვრებითი) ქადაგება (A55, XI-XII, 209r-241r), კირილე ალექსანდრიელის (+444წ.) „სწავლანი“, თეოდორიტე კვირელის (+458წ.) წიგნი ერესების წინააღმდეგ (A205), იოანე დამასკელის „გარდამოცემაჲ უცილობელი მართლმადიდებელისა სარწმუნოებისა“ და სხვა.

მსოფლიო კრებების შემდეგდროინდელი პერიოდიდან უნდა დაეასახელოთ ექვთიმე ზიდაბენის (XIII ს.) „დოგმატიკური აღჭურვილო-

ბა მართლმადიდებლური სარწმუნოებისა“, სვიმეონ თესალონიკელის (XV ს.) „სარწმუნოების შესახებ“.

დოგმატიკური თხზულებების თარგმნა ქართულად განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა ყვთვიმე მთაწმიდელის, გიორგი მთაწმიდელის, ევრემ მცირის, არსენ იყალთოელის, თეოფილე ხუცეს-მონაზონის მიერ. აქედან გამოსარჩევია არსენ იყალთოელის მიერ ბერძნული ენიდან ნათარგმნი უსარმაზარი დოგმატიკურ-პოლემიკური კრებული – „დოგმატიკონი“.

კანონიკური მწერლობაც დოგმატიკური მწერლობის შემადგენელი ნაწილია, რადგან ყოველგვარი პოლემიკა, იქნება ეს არაქრისტიანულ რელიგიებთან (წარმართობა, იუდაიზმი, მაჰმადიანობა) თუ ქრისტიანობის წიაღში წარმოშობილ მწვალებლობებთან (არიანელობა, მონოფიზიტობა, მონოთელიტობა, ხატმებრძოლეობა და ა.შ.) დაკავშირებით, ყოველთვის დოგმატიკის საკითხებზე მიმდინარეობდა. ყველა პოლემიკური თხზულების მიზანია გამოავლინოს, თუ რომელი ქრისტიანული დოგმის დამრღვევ მწვალებელ-ოპონენტთან აქვს საქმე და დაუმტკიცოს მას ამ დოგმის (სამების, ქრისტეს ორბუნებიანობის ან ორი ნების შესახებ და სხვა) დარღვევის ბრალდება.

ქართულ ნათარგმნ დოგმატიკურ-პოლემიკური ლიტერატურიდან ყველაზე მეტი პოლემიკური თხზულება შეკრებილია არსენ იყალთოელის მიერ ნათარგმნ „დოგმატიკონში“. ცალკეული ავტორებიდან აღსანიშნავია ბასილი დიდის (+379წ.), გრიგოლ ნაზიანზელის (+389წ.), გრიგოლ ნოსელის (+394წ.), იოანე ოქროპირის (+407წ.), მაქსიმე აღმსარებლის (+662წ.), იოანე დამასკელის (+749წ.), თეოდორე აბუკურას (+820წ.), კირილე ალექსანდრიელის (+444წ.), ეესტრატ ნიკიელის (+1117წ.), ათანასე ალექსანდრიელის (+373წ.), კელესტინე პაპის (422-432წწ.), ტიმოთე კონსტანტინეპოლელის (460-482წწ.), ანასტასი სინელის (+666წ.), ნიკიტა სტუდიელთა მონასტრის მონაზონის (XI ს.) და სხვათა თხზულებები, რომლებიც ფიქსირებულია წინამდებარე ბიბლიოგრაფიაში.

ქრისტიანული სარწმუნოების ძირითადი დოგმების დახასიათებას, მსოფლიო კრებებს შესაბამის მწვალებლობებთან დაკავშირებით, დოგმატიკური და პოლემიკური ნათარგმნი მწერლობის მთავარ ძეგლებს მათი ავტორებისა და მთარგმნელების ვინაობათა აღნიშვნით ქვემოთ წარმოვადგენთ.

1. ქრისტიანული სარწმუნოების მთავარი და ძირითადი დოგმები

დოგმა / დოგმატი ბერძნული სიტყვაა და მოძღვრებას, დადგენილებას ნიშნავს. დოგმატი არის ქრისტიანულ რელიგიაში რწმენის საფუძველზე მიღებული და ყველა დროისათვის ურყევე ჭეშმარიტებად აღიარებული დებულება, რომელიც დამტკიცებულია უმაღლესი

საეკლესიო საკანონმდებლო ინსტანციის მიერ და კრიტიკას არ ექვემდებარება.

საეკლესიო დოგმატოა რაოდენობა მრავალია, თუ დოგმატებად ჩათვლით ყოველგვარ საეკლესიო დადგენილებას. ესენია: კანონიკური დოგმატები, რომლებიც მსოფლიო საეკლესიო კრებებზე არის მიღებული და დადგენილი, ლიტურგიკული კანონები ღვთისმსახურების განხორციელების შესასრულებლად, ასევე ყველა საეკლესიო საიდუმლო, საუფლო და წმინდანთა დღესასწაულების აღნიშვნა და ა.შ., მაგრამ მთავარი დოგმები დოგმატიკური ღვთისმეტყველების საგანია, რომელთაგან უმთავრესია სამების დოგმატი და მისგან გამომდინარე დოგმატები. მათ ჩამოთვლას სწორედ „სამების“ დოგმატით დაეიწყებო.

მართლმადიდებელი ეკლესიის ძირითადი დოგმები მსოფლიო საეკლესიო კრებებზე ჩამოყალიბდა (IV-VIII სს.) და დამთავრდა ნიკეის მეორე მსოფლიო კრებაზე 787 წელს.

„დოგმა“ (δογμα/δογματα) ტერმინის ისტორია და მისი პირველი მნიშვნელობა სათავეს იღებს ანტიკურ ბერძნულ მწერლობაში და იგი ისეთ დოქტრინას აღნიშნავდა, რომელიც საყოველთაოდ ცნობილი იყო და უდავო ჭეშმარიტების შინაარსი ჰქონდა (ქსენოფონტე დოგმატებს უწოდებდა სახელმძღვანელო განკარგულებებს, რომელსაც არმიის ხელმძღვანელობა და მებრძოლები უსიტყვოდ ასრულებდნენ). დოგმას უწოდებდნენ სენატის დადგენილებებს, რომელსაც უყოყმანოდ ემორჩილებოდა მთელი რომაელი ხალხი. ძველი აღოქმის წიგნებში (დანიელის, ესთერის, მაკაბელთა და სხვა) დოგმა ეწოდება მეფეთა ბრძანებებს, რომლებიც დაუყოვნებლივ შესრულებას ითვალისწინებს.

ახალ აღთქმაში – ღუკას სახარებაში დოგმა ეწოდება კეისრის ბრძანებას ხალხის აღწერასთან დაკავშირებით რომის იმპერიაში, „საქმე მოციქულთა“-ში – მეფეთა კანონებს, „კოლასელთა მიმართ“ და „ეფესელთა მიმართ“ პავლე მოციქულის ეპისტოლეებში – მოსეს კანონებს, რომელთაც „სადმართო“ ავტორიტეტი აქვთ.

„დოგმა//დოგმატი“ საეკლესიო დადგენილებების მნიშვნელობით, რომელსაც აქვს უცილობელი ავტორიტეტი ეკლესიის ყველა წევრისათვის, ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში II საუკუნიდან მკვიდრდება (ეგნატე ღვთისმეტყველი და სხვა) და ჩამოყალიბებულ სახეს იძენს IV ს-ში ეკლესიის მამებთან (ბასილი დიდი, გრიგოლ ნოსელი, იოანე ოქროპირი, კირილე იერუსალიმელი და სხვ.).

1. დოგმატი არის უცილობელი საღვთო გამოცხადებითი ჭეშმარიტება და ამ აზრით, რწმენის დოგმატი იწოდება ღვთიურ ჭეშმარიტებად, საპირისპიროდ ადამიანური აზროვნებისა; 2. დოგმატი არის ჭეშმარიტება, რომელიც გამომდინარეობს ქრისტიანული რელიგიის შინაგანი არსიდან, რწმენის სწავლებიდან, რითაც ის განსხვავდება ქრისტიანი ადამიანის ცხოვრების პრაქტიკული მოღვაწეობისგან; 3. დოგმატი, არის რა საღვთო წარმოშობის, იწოდება საეკლესიო დოგმატად, რადგან ეს არის ჭეშმარიტება, ჩამოყალიბებული და განსაზღვრული ეკლესიის მიერ; 4. დოგმატი არის ჭეშმარიტება, რომლის

აღიარება აუცილებელია ქრისტიანისათვის, რათა ის გახდეს ეკლესიის წევრი.

სამება – ქრისტიანული ღვთისმეტყველების მთავარი დოგმატი, რომლის მიხედვით ღმერთი არსებითა და ბუნებით ერთია და სამგვამოვანი (სამპიროვანი): მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმიდა, რომლებიც თანასწორნი და თანაარსნი არიან. ქრისტიანულ ლიტურატურაში ტერმინი “სამება“ პირველად ჩნდება II ს. მიწურულს (თოფილე ანტიოქიელი, ტერტულიანე). სახარებაში ტერმინი არ დასტურდება, თუმცა იგულისხმება ნათლისღების ფორმულაში (მათე 28,19 – მტრედი სულიწმიდას განასახიერებს).

მოძღვრება სამების შესახებ განვითარდა III-IV სს. საეკლესიო მამების შრომებში. ღმერთის სამპიროვნების ცნებამ ქრისტიანულ სამყაროში გამოიწვია ხანგრძლივი პოლემიკა და წინააღმდეგობა სხვადასხვა ერეტიკული მიმდინარეობების მხრიდან. სამების დოგმატი ოფიციალურად დადგინდა ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (325წ.) ნიკეის კრების რწმენის სიმბოლოს სახით და შეივსო კონსტანტინეპოლის მეორე მსოფლიო კრებაზე (381წ.). ნიკეა-კონსტანტინეპოლის რწმენის სიმბოლო მტკიცდებოდა ყოველ მომდევნო მსოფლიო კრებაზე ყოველგვარი ცვლილებების გარეშე. სამების დოგმატიდან გამომდინარეობს სარწმუნოების ყველა ძირითადი დოგმატი.

ნიკეის კრებაზე დადგინდა „სიმბოლო სარწმუნოებისა“: „გურჯამს ერთი ღმერთი, მამამ ყოვლისა მპყრობელი, ხილულთა და უხილავთა შემოქმედი, და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისაჲ, შობილი მამისაგან, მხოლოდ შობილი, ესე იგი არს არსებისაგან მამისა, ღმერთი ღმერთისაგან, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა შობილი, არა ქმნული, თანაარსი მამისაჲ, რომლის მიერ ყოველნი შეუქმნეს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, რომელი ჩუენ კაცთათჳს და ჩუენისა ცხორებისათჳს გარდამოცდა და განკორციელდა და განკაცნა, ენო და აღდგა მესამესა დღესა და ამაღლდა ზეცად და დაჯდა მარჯუენით მამისა და კუალად მოვალს განკითხვად ცხოველთა და მკუდართა, და ერთი სულიწმიდაჲ. ხოლო რომელნი იტყჳან, ვითარმედ: იყო, ოდეს არა იყო და პირველ შობისა არა იყო და ვითარმედ არა არსობისაგან იქმნა, ანუ რომელნი სხჳსა არსებისად იტყჳან ქცევადისა ანუ ცვალებადისა ძესა ღმრთისასა, ამათ შეაჩუენებს კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიაჲ“.

კონსტანტინეპოლის II მსოფლიო კრებამ მცირეოდენი დამატებები შეიტანა ნიკეის კრების სიმბოლოს პირველ ნაწილში, განავრცო ფორმულირება სულიწმიდის შესახებ და დაუმატა რამდენიმე დოგმატური საკითხი, ამასთანავე მთლიანად ამოიღო არიანული მწვადლებლობის შეჩვენება. კონსტანტინეპოლის კრების მიერ ჩამოყალიბებული „აღსარებაჲ სარწმუნოებისაჲ“ უცვლელად არის მიღებული დღევანდელი „მრწამსის“ ფორმულაში: „მრწამს ერთი ღმერთი, მამამ ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა, და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა, მხოლოდშობი-

ლი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, თანაარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა, რომელი ჩუენოვს, კაცთათვის და ჩუენისა ცხოვრებისათვის გარდამოვდა ზეცით და ჳორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა და განკაცდა და ჯუარს-ეცუა ჩუენოვს პონტოელისა პილატესზე, და ენო და დაეყვლა და აღდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა და ამალდა ზეცად და მჯდომარე არს მარჯუენით მამისა და კუალად მომავალ არს დიდებით, განსჯად ცხოველთა და მკუდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრული, და სული წმიდაჲ, უფალი და ცხოველისმყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყუანის-იციემის და იდიდების, რომელი იტყოდა წინამსწარმეტყუელთა მიერ: ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიაჲ; აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატეველებლად ცოდვათა; მოველით აღდგომასა მკუდრებით და ცხორებასა მერმისა მის საუკუნოსასა“.

ტერმინი „სიმბოლო“ დასავლური წარმოშობისაა: მის ნაცვლად აღმოსავლურ მართლმადიდებლურ ეკლესიაში იხმარებოდა „აღსარებაჲ სარწმუნოებისა“.

„მრწამსის“ ტექსტი, როგორც სარწმუნოებამ აღიარა, წარმოითქმის ნათლობის დროს, აგრეთვე მწვალებლობიდან მოქცეულთათვის წესის შესრულებისას. „მრწამსი“ იგალობება ჟამისწირვასზეც. იგი უშუალოდ წინ უძღვის კურთხევის წესს, ექპარისტისა. „მრწამსი“ იკითხება დიდი და მცირე სერობის, აგრეთვე პირადი ლოცვების დროს. სამების დოგმატიდან გამომდინარეობს ქრისტიანული სარწმუნოების სხვა ძირითადი დოგმატები.

განკაცება ანუ ქრისტეს შობა ქრისტეს განკაცების ანუ განხორციელების საუფლო დღესასწაულთაგანია, რომელიც სამების დოგმატში ასეა დადგენილი: „მრწამს ერთი ღმერთი მამა... და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა, მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, თანაარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა, რომელი ჩუენთვს, კაცთათვის და ჩუენისა ცხოვრებისათვის გარდამოვდა ზეცით და ჳორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა და განკაცდა“¹⁹⁵.

ქრისტეს ორი ბუნების შესახებ მართლმადიდებლური მოძღვრების თანახმად, იესო ქრისტე თავის თავში აერთიანებს ორ ბუნებას – საღმრთოს და კაცობრივს. ამიტომაც სახარებაში იგი „ძე ღმრთისად“–აც მოიხსენიება და „ძე კაცისა“–დაც. ქრისტეს ორბუნებრიობას ანუ დიოფიზიტობას უპირისპირდება მწვალებლური მოძღვრება ქრისტეს ერთბუნებიანობის შესახებ – მონოფიზიტობა, რომელიც აღიარებს მხოლოდ მის ღვთაებრივ ბუნებას.

195 შობის საკითხაუბი იხ. ნაქელიქიშვილი, ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ, ქართული ნოთარგმნი კომილექტიური ძეგლები, I, თბილისი, 2010.

დიოფიზიტობა, როგორც დოგმატი, საბოლოოდ ჩამოყალიბდა ქალკედონის IV მსოფლიო კრებაზე 451წ. (ამიტომ დიოფიზიტებს ქალკედონიტთა სახელითაც მოიხსენიებენ), მას შემდეგ, რაც ნიკეის I (325წ.) და კონსტანტინეპოლის II მსოფლიო კრებებზე შემუშავებულმა რწმენის სიმბოლოამ სედმიწევნითი ქრისტოლოგიური განსაზღვრება მიიღო. ქრისტეში მოცემულია ერთმანეთისაგან განსხვავებული შეურეველი და განუყოფელი ორი ბუნება – ღვთაებრივი და ადამიანური. ადამიანური ბუნებით იესო ქრისტე ადამიანთა თანაარსია, ცოდვათა გარეშე. დიოფიზიტობა ძირითადად გამოიკეთა ეგტიქიანელობასთან ბრძოლაში, რომლის მიმდევრებს ქალკედონელებმა ანუ დიოფიზიტებმა მონოფიზიტები („ერთბუნებიანები“) უწოდეს.

დიოფიზიტური მოძღვრების დაცვას და მონოფიზიტებთან პოლემიკას მიეძღვნა ეკლესიის მამების მრავალი „სწავლა“, მათგან მაგალითისათვის დავასახელებთ იაონე დამასკელის (+749წ.) თხზულებას „თქმული სარწმუნოებისათვის, სიტყვსებამ უთაოთა მიმართ მწვალებელთა, რომელნი ორთა მათ ბუნებათა ქრისტესთა უარყოფენ“, რომელსაც ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანში „წინამძღუარი“ ეწოდება, გამოც. ნ. წიკვატიას მიერ, თბილისი, 2007; მისივე „ორისა ბუნებისათვის ქრისტესისა“, რომელსაც ხელნაწერში უფრო ვრცელი სათაური აქვს: „ქრისტეს შორის ორთა ნებათათვის და მოქმედებათა და სხუათა ბუნებითითთა თვსებათა, გარნა შემოკლებული, და ორთა ბუნებათათვის და ერთისა გუამისა“ (თარგმ. ეფთვიმესი, A 205, A 267).

ქრისტეს ორთა ნებათა და ორთა მოქმედებათათვის.ეს არის ქრისტიანული სარწმუნოების ერთ-ერთი ძირითადი დოგმატი, რომელშიც დადგენილია, რომ ქრისტეს ორი ბუნებიდან გამომდინარე, ქრისტეს აქვს ასევე ორი ნება და ორგვარი მოქმედების უნარი. ეს დოგმატი ჩამოყალიბდა მას შემდეგ, რაც ბიზანტიის იმპერატორმა ირაკლიმ ალექსანდრიის მონოფიზიტ პატრიარქთან – კვიროსთან (ყოფილი ფაზისის მიტროპოლიტი კირიონი) შეთანხმებას მიაღწია, რომ დიოფიზიტთა და მონოფიზიტთა დოქტრინები მოერიგებინა, რასაც დიდი პოლიტიკური მისია დაეკისრა, რადგან მათი დაპირისპირება იმპერიაში პოლიტიკურ-სარწმუნოებრივ კრიზისს ქმნიდა. მორიგების (უნია) დეტალები ასეთი იყო: მონოფიზიტებს უნდა ელიარებინათ ქრისტეში ორი ბუნების არსებობა, ხოლო დიოფიზიტებს – ქრისტეში ერთი ნება და ერთი მოქმედება, ოღონდ მხოლოდ ღვთაებრივი. ამ მწვალებლობას „მონოთელიტობა“ („ერთი ნება“) ეწოდა. მონოფიზიტობამ ეს დოგმატიკური დოქტრინა თავის გამარჯვებად ჩათვალა, ხოლო დიოფიზიტებმა ამ დოქტრინას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს სოფრონ პალესტინელის მეთაურობით. რადგან მონოთელიტობას სამთაურობო მხარდაჭერა ჰქონდა, დაიწყო მონოთელიტობის მოწინააღმდეგე საეკლესიო მოღვაწეთა დევნა და დასჯა (მაქსიმე აღმსარებელი). სამეფო კარმა და კონტროლირებადმა ეკლესიამ ნაშ წელს გამოაქვეყნა „სარწმუნოების გარდამოცემა“, რომელმაც აკრძალა კამათი ქრისტეს „მოქმედე-

ბათა“ შესახებ, ხოლო ძალაში დარჩა დოგმატი ქრისტეს ერთი ნების შესახებ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლემიკურ-დოგმატიკური თხზულება მონოთელიტიზმის წინააღმდეგ არის მაქსიმე აღმსარებელის (+662წ.) „სიტყვებზე, რომელი იქმნა შორის წმიდისა მაქსიმესა და პიროს კოსტანტინეპოლელი პატრიარქისა მწვალებლისა“ და რომელიც ეყოფიმიე მოაწმიდელს უთარგმნია (A 636, 33-41). აქვე დავასახელებთ იოანე დამასკელის შემოთ მოტანილ თხზულებას „ქრისტეს შორის ორთა ნებათათვის...“.

მარიამი არის წმინდა ქალწული და ღმრთისმშობელი. ეს დოგმატი, ისევე როგორც ქრისტიანობის ძირითადი დოგმატები ქრისტეს ორი ბუნებისა და ქრისტეში ორი ნებისა და მოქმედების არსებობის შესახებ, გამომდინარეობს სამების მთავარი დოგმატიდან. იქ ნათქვამია, რომ „...და ერთი უფალი იესო ქრისტე... და ჳორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცნა“.

ამ საკითხზე კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ნესტორმა (428-431წწ.) თავისი მწვალებლური დებულება ჩამოაყალიბა: იესო ქრისტე არის მხოლოდ კაცი, რომელშიც სულიწმიდის საშუალებით ჩასახლდა სიტყვა ღვთისა (ლოგოს). ამიტომ ღვთისმშობელს („თეოტოკოს“) უნდა ეწოდოს კაცისმშობელი („ანთროპოტოკოს“) ან ქრისტესმშობელი („ქრისტეტოკოს“). კაცი იესო, დაბადებული მარიამისაგან, იყო მხოლოდ ღვთაების საყუდარი და იარაღი ჩვენი ცხოვრებისა. ეს კაცი სულიწმიდის მადლით გადაიქცა ქრისტედ, ე.ი. ცხებულად, და სიტყვა ღმერთი იყო მასთან. ნესტორის მწვალებლობა – ნესტორიანობა დაგმო ეფესოს III მსოფლიო კრებამ (431წ.), ხოლო წმიდა მამებმა, განსაკუთრებით კი კირილე ალექსანდრიელმა, მრავალი „სიტყუად“ დაწერეს ამ მწვალებლობის წინააღმდეგ.

სულიწმიდის მამისაგან გამომავლობის შესახებ. ეს დოგმატი „სამების“ დოგმატიდან გამომდინარეობს, რომელშიც ნათქვამია „... სული წმიდა, უფალი და ცხოველისმყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყუნის-იცემის და იღიდების“.

მართლმადიდებელი ეკლესიის ამ დოგმატიკურ დებულებას დასაველეთის კათოლიკურმა ეკლესიამ დაუმატა, რომ სულიწმიდა გამოდის არა მარტო მამა-ღმერთიდან, არამედ ძე-ღმერთიდანაც. ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი ძირითადი დოგმატის ეს ფორმულირება მართლმადიდებლობამ არ გაიზიარა. დასაველეთისა და აღმოსაველეთის ეკლესიებს შორის გაყოფა (სქიზმა) ამ დოგმატის რომის ეკლესიისეულმა განსაზღვრებამაც, რომელსაც „ფილოქუეს“ უწოდებენ, დააჩქარა.

მოძღვრება სულიწმიდის შესახებ მოცემულია სახარებაში, მოციქულთა ეპისტოლეებში, ხოლო განმარტებები – დიდი საეკლესიო მამების შრომებში, ძირითადად ათანასე დიდის, ბასილი დიდის, გრიგოლ ნაზიანზელის, გრიგოლ ნოსელის, იოანე ოქროპირის, ნეტარი აგუსტინესა და სხვათა.

ნათლისღება მხოლოდ ერთხელ შეიძლება. ნათლისღება ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი შვიდ საიდუმლოთაგანია, რომლის დროსაც ადამიანი საიდუმლოდ იბადება ახალი სულიერი ცხოვრებისათვის, ხდება საეკლესიო სასოგადოების სრულუწყლებიანი წევრი.

ქრისტიანული ნათლისღება პირველად იოანე ნათლისმცემლის მიერ შესრულდა იესოს ნათლისღების დროს. ნათლისღების საიდუმლო დაადგინა იესო ქრისტემ ზეცად ამაღლების წინ, როდესაც თავის მოწაფეებს უთხრა: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელს-სცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“ (მათე 28, 19).

ნათლისღების დოგმატის შინაარსი ასეთია: ნათლისღება სრულდება სამების დოგმატის სრული აღიარებით, ამიტომ მწვალებლების, რომლებიც მოინათლნენ, როგორც მართლმადიდებლები, ხოლო შემდეგ ჩაუარდნენ წვალებაში, მართლმადიდებლობაში დაბრუნების შემთხვევაში ხელახლა მონათვლა დაუშვებელია, რადგან მართლმადიდებლად მონათვლა მხოლოდ ერთხელ შეიძლება (წარმართობიდან ან სხვა არაქრისტიანული რელიგიიდან მართლმადიდებელ ქრისტიანად გახდომის მსურველთათვის). ამიტომ არის ჩაწერილი „სარწმუნოების სიმბოლოში, რომ „მრწამს ერთი ღმერთი... აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებლად ცოდვათა“¹⁹⁶...“

იესო ქრისტეს ჯვარცმა. სახარებაში და „სამების“ დოგმატში მოთხრობილია, რომ იესო ქრისტე „განაკცნა და ჯუარს-ეცუა ჩუენთვის პონტოელისა პილატეს ზე და ეენო და დაეფულა და აღდგა...“

ზიარება – ქრისტიანული ეკლესიის ერთი შვიდ საიდუმლოთაგანი, რომელიც სახარების მიხედვით, თვით იესო ქრისტეს მიერ არის დადგენილი და გულისხმობს ჟამისწირვაზე პურისა და ღვინის მიღებას, რაც სიმბოლურად იესო ქრისტეს სისხლად და ხორცად გარდაიქმნება, რომლის მიღებითაც მორწმუნე ქრისტეს სიწმინდეს ეზიარება და თავისუფლდება აღიარებული ცოდვებისაგან, რათა ცხონდეს საიქიოში.

ქრისტეს მკედრეთით აღდგომა – ქრისტიანული ეკლესიის უდიდესი საუფლო დღესასწაული ქრისტეს ჯვარცმიდან მესამე დღეს მისი მკედრეთით აღდგომის აღსანიშნავად. სახარებაში და „სამების“ დოგმატში მოთხრობილია, რომ „... და ეენო და დაეფულა და აღდგა მესამესა დღესა, მსგავსად წერილისა და ამაღლდა ზეცად და მჯდომარე არს მარჯუენით მამისა...“

იესო ქრისტეს ზეცად ამაღლება. სახარებაში და „სამების“ დოგმატში ნათქვამია, რომ „იესუ ქრისტე... აღდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა და ამაღლდა ზეცად და მჯდომარე არს მარჯუენით მამისა...“

ქრისტეს მეორედ მოსვლა. სახარებაში და „სამების“ დოგმატში ნათქვამია, რომ „... იესუ ქრისტე ამაღლდა ზეცად და მჯდომარე არს

196 ნათლისღების, ჯვარცმის, აღდგომის, ამაღლების საკითხავები იხ. გაბიძაშვილი ენრიკო, ქართული ნათარგმნი პოპილეტეიკა, თბილისი, 2009.

მარჯუენით მამისა, და კუალად მომავალ არს დიდებით, განსჯად ცხოველთა და მკუდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრული...”

მღვდელობა – ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი შვიდ საიდუმლოთაგანი – მღვდელმსახურება, საღვთო მსახურება, წირვა-ლოცვათა და საეკლესიო წესების შესრულება, რომელიც ასახაეს მოციქულთაგან გადმოცემული მადლით შემოსილი სამღვდელოების მიერ ღმერთსა და მრევლს (მორწმუნეებს) შორის კავშირის დამყარებას, რაც ასეა გამოხატული წმინდა წერილში „... უსასყიდლოდ მიგიღებებს [სადმართო მადლი], უსასყიდლოდცა მისცემდით“ (მათე 10,8). გენადი კონსტანტინეპოლელის (+571წ.) „მრგვლიემოსავლელ“ ეპისტოლეში ნათქვამია: „რამთა ჭეშმარიტად განუეჭრებელისა და წმიდისა მღვდელმთავართა მიერ ჳელდასხმადთა ზედა ქმნილისა მის წოდებისა თანა სულისა წმიდისა მადლი გარდამოცდეს ზეგარდამო...“ ანდა: „რამთა მადლი იყოს მადლი და არასადა შუამდგომელობდეს მის ძლით ვეცხლი.“ (დიდი სჯულისკანონი, გვ. 536).

ქორწინება. ქორწინება მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი საიდუმლოთაგანია, რომლითაც მამაკაცსა და ქალს აუღლებს თვით უფალი. ღვთის წინაშე ისინი არიან ერთსულ და ერთხორც. ქორწინების საკითხებს ეხება პავლე მოციქული თავის ეპისტოლეში „კორინთელთა მიმართ“: „ვითარცა – იგი დედაკაცი ქმრისაგან არს, ეგრეთცა ქმარი – ცოლისათუს: ხოლო ყოველივე ღმრთისაგან არს“ (1, 11, 12).

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ მართლმადიდებელი ღვთისმეტყველების მხოლოდ უმთავრესი – სამების დოგმატი და მისგან გამომდინარე დოგმატები წარმოვადგინეთ, ამასთანავე მოვიტანეთ მღვდელმოქმედების რამდენიმე საიდუმლო (მღვდელობა, ზიარება, ქორწინება), მაგრამ დოგმატების რიცხვი ამით არ შემოიფარგლება და, შესაძლოა, ასეულსაც აჭარბებდეს, თუკი მართლმადიდებელი ღვთისმეტყველების ყველა წესს და საკანონმდებლო ყველა საეკლესიო დადგენილებას დოგმატთა რიცხვში ჩავთვლით.

2. მსოფლიო საეკლესიო კრებების დოგმატური საქმიანობა და ბრძოლა მწვალებლობათა წინააღმდეგ

მწვალებლობა (სიტყვისაგან „წვალება“, „განწვალება“ – „გაყოფა“, „დანაწილება“), ერესის აღმნიშვნელი ქართული სიტყვაა, რომელიც აღნიშნავს დაკანონებული ქრისტიანული დოგმების ჭეშმარიტების დარღვევის მცდელობას და მის რეეზიას, ქრისტიანული მოძღვრების გაუკუღმართებას. ზოგიერთი მწვალებლობა სახელისუფლებო ძალების მხარდაჭერით სარგებლობდა და ამიტომ დაუბრკოლებლად ვრცელდებოდა, რაც საშიშროებას უქმნიდა მართლმადიდებლურ ეკლესიას. სწორედ სხვადასხვა დროს რომელიმე ასეთი მწვალებლობის

გავრცელება ქმნიდა მსოფლიო კრების გადაუდებელი მოწვევის საფუძველს. თითოეული მსოფლიო საეკლესიო კრება რომელიმე ასეთი მწვალებლობის აღმოსაფხვრელად იყო მოწვეული.

ნიკეის I მსოფლო საეკლესიო კრების (325წ.) ძირითადი საქმიანობა IVს. I ნახევარში წარმოშობილი და გავრცელებული მწვალებლობის – არიანელობის დასაგმობად იყო მოწვეული. ალექსანდრიელმა ხუცესმა არიოსმა დაახლ. 318 წელს, წინააღმდეგ ქრისტიანული დოგმისა, რომლის მიხედვით ძე-ღმერთი მამა-ღმერთის თანაარსია, განაუთარა მოძღვრება, რომ ქრისტე დასაბამიდან არ არსებობდა მამა-ღმერთთან ერთად და იგი შემდეგ არის შექმნილი ადამიანის მსგავსად. ქრისტეში, რომელიც ქრისტიანული დოგმატიც ერთსა და იმავე დროს ღმერთიც არის და კაციც, არიოსის მოძღვრების თანახმად, ჭარბობს ადამიანურობა (ე.ი. ნახევარღმერთია). 320 წლის ალექსანდრიის ადგილობრივმა კრებამ დაგმო არიანელობა, მაგრამ მას მხარი დაუჭირა აღმოსავლეთის ეკლესიის ეპისკოპოსთა ნაწილმა. კონსტანტინე დიდის ინიციატივით მოწვეულმა ნიკეის I მსოფლიო კრებამ არიანელობა მწვალებლობად გამოაცხადა და პირველად ჩამოაყალიბა „სარწმუნოების აღსარება“, ანუ რწმუნის სიმბოლო, რომელმაც ძე-ღმერთისას მამა-ღმერთთან ერთიანობის აღიარებასთან ერთად შეაჩვენა და დაგმო არიანული მწვალებლობა. კრებამ ეკლესიიდან განკვეთა არიოსი და მისი მომხრეები. სამწუხაროდ, არიანული ერესი ძალზე სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და VIს-მდე იარსება, რადგან კონსტანტინე დიდის მემკვიდრემ კონსტანტიმ დიდი სიმპათიები გამოამყვანა ამ მოძღვრების მიმართ, მისი მხარე დაიჭირა და არიოსის მოწინააღმდეგეების დევნა გააჩაღა. არიანელობის დაუძინებელი მტერი, ალექსანდრიის პატრიარქი ათანასე დიდი (+373წ.) ხუთჯერ იყო განდევნილი საეპისკოპოსო კათედრიდან. კონსტანტინეპოლის II მსოფლიო კრებამ (381წ.) საბოლოოდ დაგმო და დაამარცხა არიანული მწვალებლობა, თუმცა მისი ნარჩენები ბიზანტიის სახელმწიფოს პერიფერიებში VIს-მდე შემორჩა, მაგრამ უკვე არაერთარ ძალას აღარ წარმოადგენდა.

კონსტანტინეპოლის II მსოფლიო საეკლესიო კრება მოწვეული იყო 381 წელს, მაკედონიზმის მწვალებლობის წინააღმდეგ. ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტის (კონსტანტინე დიდის (+387წ.) მემკვიდრე) მხარდაჭერით არიანობა, რომელიც დაგმო ნიკეის I მსოფლიო კრებამ, ახერხებდა არსებობას. მის საფუძველზე რამდენიმე ახალი მწვალებლობაც ჩამოყალიბდა, რომელთა შორის ყველაზე ძლიერი და საშიში მაკედონიზმი იყო, რომელიც ამ წვალების დამაარსებლის, კონსტანტინეპოლის პატრიარქის, მაკედონიოს I-ის (341-360წწ.) ავტორიტეტის შემწეობით გავრცელდა და მართლმადიდებლობისათვის საშიშ საეკლესიო ძალად იქცა.

მაკედონიზმი, რომელიც ნახევრად არიანული მწვალებლური მოძღვრება იყო, უარყოფდა სულიწმიდის ღვთაებრიობას, ქადაგებდა, რომ ძე-ღმერთი მსგავსია მამა-ღმერთისა და სულიწმიდა მათი თანასწორი არ არის.

სწორედ ამ მოძღვრების მწვალებლური აზრების დასაგმობად იყო მოწვეული II მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელმაც ეკლესიიდან განკვეთა მაკედონიოსი და მისი მოძღვრების მიმდევრები და დაგმო აგრეთვე არიანობის წიაღიდან აღმოცენებული სხვა მწვალებლობები: საბელიანიზმი, მარკელიანიზმი, ენუმიანიზმი, აპოლინარიზმი, ფოტიანიზმი და სხვ., რომლებიც გაერცყელდა აღმოსავლეთის სხვადასხვა ეკლესიებში. კონსტანტინეპოლის ეკლესიამ აგრეთვე დაადგინა, რომელ მოთხოვნათა შესრულების შემდეგ შეუძლიათ ამ მწვალებლობათა მიმდევრებს, დაუბრუნდნენ მართლმადიდებლობას. მაგალითად, მაკედონიანელების მართლმადიდებლობაში დაბრუნების ფორმულია ასეა ჩამოყალიბებული ამ კრების მე-7 კანონში: „...მაკედონიანოსთა და სავატანიანოსთა და ნავატანიანოსთა... შევიწყნარებთ ესრეთ... შეჩუქებთ უბრძანებთ ყოველსა წვალებასა არა აღმსარებელსა ესრეთ. ვითარ აღიარებს წმიდაჲ კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიად ღმრთისად და ესრეთ დავპბუჯდაეთ, ესე იგი არს ცხცხებთ წმიდასა მიჰრონსა შუბლსა და თვალთა და ცხურთა და პირსა და ყურთა და დავპბუჯდაეთ რად მათ, ვიტყუთ: საბუჯდავი ნიჭთა სულისა წმიდისათა...“ (ისინი ხომ სულიწმიდის ღვთაებრიობას არ აღიარებენ – დიდი სჯულისკანონი, გვ. 263).

ეფესოს III მსოფლიო საეკლესიო კრება მოიწვიეს 431წ. ნესტორიანული მწვალებლობის წინააღმდეგ, რომლის მამამთავარი ნესტორი, ანტიოქიის ერთ-ერთი მონასტრის ბერი, იმპერატორმა თეოდოსი II-მ კონსტანტინეპოლის პატრიარქად აღაზევა. ნესტორმა ისარგებლა თავისი შეუზღუდავი უფლებებით და მანამდე ფარული მწვალებლური აზრები საჯაროდ გამოთქვა. მისი მოძღვრებით, იესო ქრისტე არის მხოლოდ კაცი, რომელშიც სულიწმიდის მეშვეობით ჩასახლდა „სიტყუად ღმრთისა“ (ლოგოსი). ამიტომ ღვთისმშობელს კაცისმშობელი უნდა ეწოდოს, ან ქრისტესმშობელი. კაცი იესო, დაბადებული მარიამისაგან, იყო მხოლოდ ღმერთის სამკვიდრო და იარაღი ჩვენი ცხოვრებისა. კაცი და ღმერთი იესოში ერთ არსებად არ ქცეულა. ეს კაცი სულიწმიდის მადლით გადაიქცა ქრისტედ, ე.ი. ცხცხულად და სიტყვა – ღმერთი იყო მასთან. ნესტორის ასეთმა განცხადებებმა მართლმადიდებელი ეკლესიის მამების აღშფოთება გამოიწვია, მაგრამ მათმა მცდელობამ – განეკვეთათ იგი ეკლესიიდან – ნაყოფი ვერ გამოიღო მანამ, სანამ მას იმპერატორი მფარველობდა. კირილე ალექსანდრიელის (+444წ.) მცდელობით იმპერატორმა კრების მოწვევა ბრძანა, კრებამ კი ნესტორი და მისი მიმდევრები ეკლესიიდან განდევნა. ნესტორიანელებთან ბრძოლაში ჩამოყალიბდა ახალი მწვალებლური სექტა, რომელსაც მონოფიზიტობა ეწოდებოდა. ნესტორიანელებთან ბრძოლა დამთავრდა იმით, რომ ანტიოქიაში თავშეფარებულმა მწვალებლებმა დატოვეს ბიზანტიის იმპერიის ფარგლები და ირანში დამკვიდრდნენ, რომლის მესვეურები მფარველობდნენ ანტიბიზანტიურ იდეოლოგიურ ძალებს. 499 წელს სელევკიის კრებაზე ნესტორიანელებმა შექმნეს თავიანთი

ეკლესია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა კათალიკოსი. ირანიდან ნესტორიანელობა გავრცელდა შუა აზიაში, ინდოეთსა და ჩინეთში.

ქართულად ნათარგმნია რამდენიმე ანტინესტორიანული თხზულება. მათგან უძველესია X (A19) და XI (A95) საუკუნეების ხელნაწერებში დაცული, დაახლ. VIII-IX სს-ში თარგმნილი „სიტყვა“: „ვითარ კაც იქმნა უყალი ჩუენი იესუ ქრისტე და რამეთუ ღმრთისმშობელი არს წმიდაა ქალწული მარიამ და რომელი იგი იშვა მისგან – ღმერთი და იგივე კაც“. მისი ავტორობა მიეწერება აპოლინარი ლაოდიკელს (+390წ.). უფრო გვიან არსენ იყალთოელს შეუტანია თავის „დოგმატიკონში“: 1. იოანე დამასკელის ორი ტრაქტატი „სიტყუაჲ სარწმუნეობისათჳს, დასამხოვებლად ნესტორიანთა“ და „სიტყუაჲ დასამხოვებელი ნესტორიანთა“. 2. თეოდორე ფილოსოფოსის „ნესტორიანთა მიმართ სიტყჳსგებაჲ“. 3. თეოდორე აბუქურას „ნესტორიანთა მიმართ ოთხი სიტყჳსგებაჲ“, რომელიც შედის „სიტყჳსგებაჲში მთავრისა მიმართ ედესისა შეიგანთაჲსა“, აგრეთვე „მათოჳს, რომელნი კაცსა თჳსაგან იტყჳან ჯუარცუჲმულად, ვითარცა ნესტორ იტყოდა“ და სხვ. 4. თეოდორიტე კვირელის „ერისა მიმართ კონსტანტინეპოლისა, რომელნი ბოროტთა იჭჳთა შედგომილ იყუნეს“ და სხვა. 5. „კირილე ალექსანდრიელის თქუჲმული ქალაქსა შინა ეფესოს ჟამსა ლოცვისასა შემდგომად ნესტორის განკუეთისა“ და სხვა მრავალი; 6. თეოდოტი ანკვირელისა „სიტყუაჲ თქუჲმული ეფესოს შინა, წინააღმდეგომად ნესტორიოსისა დღესა იოანე მახარებლისასა“. ნესტორიანელობის წინააღმდეგ „თქუჲმული სიტყუანი“ ძირითადად თავმოყრილია „დოგმატიკონში“ (მაგ. S1463, XII-XIII) და ეფესოს კრების აქტებში (A266, XVIII), რომელიც სომხურიდან უთარგმნიათ XVII-ს-ში (ანტონ I და ფილიპე ყაითმაზაშვილი).

ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრება შედგა 451 წელს ქალკედონში იმპერატორ მარკიანეს ინიციატივით იმ მწვალებლობის დაგმობის მიზნით, რომელსაც მონოფიზიტობა ეწოდებოდა და ქრისტეში მხოლოდ ერთ ღვთაებრივ ბუნებას სცნობდა. ამ მწვალებლობის ფუძემდებელი იყო კონსტანტინეპოლის ახლოს მდებარე მონასტრის არქიმანდრიტი ევტიქი. კრებამ, რომელსაც 640-მდე მღვდელმთავარი და რომის პაპის ლეგატები ესწრებოდნენ, განიხილა ევტიქის მოძღვრება, დაგმო ის, როგორც მწვალებლობა და ევტიქი და მისი მიმდევრები ეკლესიიდან განკვეთა. კრებამ მკაცრად განსაზღვრა მართლმადიდებელი ეკლესიის სარწმუნოების სიმბოლოს შესატყვისი დოგმატი – ქრისტეში ორი ბუნების – ღვთაებრივი და ადამიანური ბუნების თანაბრად არსებობის შესახებ, რომელსაც დიოფიზიტობა ეწოდა მონოფიზიტობის საწინააღმდეგოდ, მეორეგვარად – ქალკედონიტობა, გამომდინარე კრების სახელიდან. იოანე დამასკელის (+749წ.) თხზულებებში დიოფიზიტობამ საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე მიიღო, განსაკუთრებით კი მის „გარდამოცემაში“.

კონსტანტინეპოლის V მსოფლიო საეკლესიო კრება შედგა 553 წელს ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქში, იმპერატორ იუსტინიანე I-ის ბრძანებით. კრებამ, რომელსაც 164 ეპისკოპოსი ესწრებოდა, საბოლოო

განაჩენი გამოუტანა ნესტორიანული მწვალებლობის ჯერ კიდევ შემორჩენილ ნაშთებს და ეკლესიიდან განკეოთის განაჩენი გამოუტანა კარგა ხნის წინათ გარდაცვლილ ამ მწვალებლობის ეკლესიარხებს: თეოდორე მომფსევეტელს, თეოდორიტე კეირელს და ივა ედესელს („სამ თავს“) და დაგმო მათი თხზულებები. ამასთანავე კრებამ შეაჯამა რწმენის აღმსარებლობის საკითხი, გამოთქვა თანხმობა წინა მსოფლიო კრებების დადგენილებების თაობაზე და ერთხელ კიდევ შეაჩვენა არიოსი, მაკედონიოსი, ევტიქი, ნესტორი და ორიგენე (პირველად). კრების დადგენილებამ „სამი თავის“ შესახებ ბოლო მოუღო აღმოსავლეთის ეკლესიაში დიდი ხნის უთანხმოებას.

კონსტანტინეპოლის მეხუთე მსოფლიო კრება პირველი კრება იყო, რომელსაც საეკლესიო დისციპლინარული კანონები არ დაუდგენია (მეორე კი იყო VI მსოფლიო კრება. ამ ორი კრების ეს ხარვეზი შეაეხსო ე.წ. ტრულის 691 წლის კრებამ, რომელმაც 102 დისციპლინარული კანონი დაადგინა).

კონსტანტინეპოლის VI მსოფლიო საეკლესიო კრება ჩატარდა ქ. კონსტანტინეპოლში 680 წელს იმპერატორ კონსტანტინე პოგონატის ბრძანებით, ამ პერიოდში ბიზანტიის ეკლესიაში გავრცელებული მონოთელიტური (ბერძ. „ერთი ნება“) მწვალებლობის დასაგმობად. კრებას ესწრებოდნენ 135 ეპისკოპოსი და რომის პაპის ლეგატები. კრებამ დაგმო VII ს. აღმოსავლეთის ქრისტიანულ ეკლესიაში გაბატონებული მწვალებლური მოძღვრება ქრისტეში ერთი ნების – ღვთაებრივი ნების შესახებ. ეს მოძღვრება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოადგენდა ცდას, მოერიგებინათ მონოფიზიტები და დიოფიზიტები, გამომდინარე სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან. მონოფიზიტებს უნდა დაეთმობთ და ელიარებინათ ქრისტეში ორი ბუნების არსებობა, ხოლო დიოფიზიტებს – ქრისტეში ერთი ნებისა და ერთი მოქმედების არსებობა, რასაც მონოთელიტობა ეწოდებოდა. ასეთი შეთანხმება ვერ მოხერხდა და მონოფიზიტობა ინარჩუნებდა სახელისუფლებო წრეების მხარდაჭერას, ხოლო დიოფიზიტები განაგრძობდნენ ბრძოლას მათ წინააღმდეგ სოფრონ პალესტინელის მეთაურობით მანამ, სანამ კონსტანტინე პოგონატის მიერ 680 წელს მოწვეულმა კონსტანტინეპოლის VI მსოფლიო კრებამ არ დაგმო ეს მწვალებლობა – მაკარი ანტიოქიელის მონოთელიტური მტკიცებულებანი. მას ჩამოართვეს კათედრა და გააძევეს კონსტანტინეპოლიდან. კრების საბოლოო გადაწყვეტილება ასეთი იყო: ქრისტეში არის ორი ბუნება, ორი ნება, ოღონდ ადამიანური ნება უთმობს, მაგრამ არ ეწინააღმდეგება, არ ებრძვის ღვთაებრივს, არამედ ექვემდებარება უფლის ყოველისშემძლე ნებას.

ნიკეის VII მსოფლიო საეკლესიო კრება მოიწვიეს 787 წელს ქ. ნიკეაში, ბიზანტიის დედოფლის, ირინას და კონსტანტინეპოლის პატრიარქის, ტარასის ინიციატივით. კრების მიზანი იყო, დაეგმობთ იმპერიაში იმპერატორთა მიერ საუკუნეების განმავლობაში მხარდაჭერილი და გაბატონებული მწვალებლობა – ხატთმებრძოლეობა და აღედგინათ ხატთაყვანისმცემლობა. კრების კონსტანტინეპოლში ჩატარებას 786წ.

ხელი შეუშალა ხატუმებრძოლთა მომხრე მხედრობამ, ამიტომ მომდევნო წელს კრება ნიკეაში მოიწვიეს, რომელსაც 307 ეპისკოპოსი ესწრებოდა. კრებამ დაგმო მწვალებლობა და დაადგინა, რომ ქრისტიანებს მართებთ ხატთა თაყვანისცემა და მოკრძალებით მოხვევა. თაყვანისცემა არ ნიშნავს მსახურებას – მსახურება შეეფერება მხოლოდ ღმერთს, ხოლო თაყვანისცემა არის პატივისცემის გამოხატულება.

3. ნათარგმნი ქრისტიანული პოლემიკური მწერლობა

პოლემიკის, ანუ კამათის ხელოვნება უძველესი წარმოშობისაა. ბერძნულ წარმართულ მწერლობაში ის ძალზე პოპულარული იყო წარმართული ფილოსოფიის სხვადასხვა მიმდინარეობებში ჭეშმარიტების ძიებისას პაექრობების დროს.

ქრისტიანული პოლემიკური მწერლობა ქრისტიანული დოგმატიკური მწერლობის შემადგენელი ნაწილია იმ ფარგლებში, რასაც მოიცავს პოლემიკა მწვალებელთა წინააღმდეგ, რადგან მისი საგანია ქრისტიანული დოგმატიკის საფუძვლების წინააღმდეგ მებრძოლ მწვალებელთა ცრუ მოძღვრებების გაბათილება და მათი სწავლების სიყალბის გამოაშკარაება.

პოლემიკური მწერლობის საგნად უნდა მივიჩნიოთ და პოლემიკის ადრეულ ფორმად ჩაეთვალოთ II-III სს. აპოლოგეტ ეკლესიის მამათა (არისტიდე, იუსტინე, ტატიანე, ათენაგორა, ტერტულიანე და სხვ.) შრომები არაქრისტიანული რელიგიების – წარმართობა, იუდაიზმი, ხოლო მოგვიანებით ეკლესიის მამათა თხზულებები მაჰმადიანობის დებულებათა სიყალბის გამოსაშკარაებლად და ქრისტიანული რწმენის დასაცავად.

ქრისტიანული პოლემიკის ძირითადი მიზანი ქრისტიანობის წიაღში წარმოშობილ მწვალებლობათა ანუ ერეტიკულ ცრურწმენათა გამოვლინება და დაგმობაა, რადგან ეს საშიში ანტიქრისტიანული ცრუ სწავლებები, რომლებიც სხვადასხვა დროს, დაწყებული IV ს. დასაწყისიდან (არიანელობა), ვიდრე VIII ს. ბოლომდე (ხატუმებრძოლეობა), ჩნდებოდა და რომელთა მიზანი იყო ქრისტიანული ეკლესიის დოგმატიკური საფუძვლების შერყევა და შეცვლა.

ქრისტიანული პოლემიკა მიმართულია აგრეთვე იმ სექტების წინააღმდეგ, რომლებიც არ ეხებიან ქრისტიანობის დოგმატიკურ საფუძვლებს, მაგრამ ცდილობენ ცვლილებები შეიტანონ მართლმადიდებელი ღვთისმსახურების მნიშვნელოვან წეს-განგებებში, ე.ი. წარმოადგენენ არა „მწვალებლობას“, არამედ „განხეთქილებას“ (კათოლიციზმი და მისი სექტები).

ქვემოთ ჩვენ ჩამოვთვლით იმ არაქრისტიანულ რელიგიებს და ძირითად ქრისტიანულ მწვალებლობებს და განხეთქილებებს, რომელთა წინააღმდეგაც იყო მიმართული ქრისტიანული მართლმადიდებლური პოლემიკური მწერლობა:

წარმართობა. წარმართობა კრებითი სახელია მრავალღმერთიანი რელიგიებისა (ეკრპთაყვანისმცემლობა, ეგვიპტური რელიგია, ასტრალური კულტი, მანდიზმი ანუ ცეცხლთაყვანისმცემლობა და სხვ.), რომლებთანაც ბრძოლა მოუხდა ახლად ფეხადგმულ ქრისტიანობას, განსაკუთრებით კი – ეკრპთაყვანისმცემლობასთან, რადგან ის ბიზანტიის იმპერიის ოფიციალური სარწმუნოება იყო IV ს. დასაწყისამდე.

წარმართობა ებრძოდა ქრისტიანობას როგორც ფიზიკურად, ასევე ლიტერატურულადაც.

წარმართობის ერთ-ერთი სახე – ეკრპთაყვანისმცემლობა ანუ ბერძნული წარმართული პანთეონი ბიზანტიის იმპერიის სხვადასხვა მხარეში სასტიკად ებრძოდა ახლად ფეხადგმულ ქრისტიანობას. ამ ბრძოლის ლიტერატურული მხარე, მართალია, საკმაოდ ფართოდ აისახა აპოლოგეტ-ფილოსოფოს ქრისტიან ავტორებთან, მაგრამ ქართული თარგმანებით ეს შრომები ცნობილი არ არის, თუმცა ამ შრომების ანარეკლი ჩანს ქართულ ორიგინალურ თხზულებებში, განსაკუთრებით ასტრალური და ცეცხლთაყვანისმცემლობის სარწმუნოების შესახებ (ევსტათი მცხეთელის მარტვილობა, აბიოს ნეკრესელის წამება და სხვ.). რაც შეეხება ეკრპთაყვანისმცემლობას, მის წინააღმდეგ ბრძოლის კვალი კარგად ჩანს ბიზანტიურ პაგიოგრაფიულ მწერლობაში, კერძოდ, ქრისტიან პირველმოწამე წმინდანთა უამრავ მარტვილობებში, რომელთა დიდი ნაწილი თარგმნილია ქართულად. ძირითადი დებულება, რომელიც პოლემიკის საგანია, ასეთია: ღმერთების კერპები, მზე და სხვა ციური სხეულები, ცეცხლი და ა.შ. არ შეიძლება იყვნენ ღმერთები, რადგან ყველა მათგანი შექმნილია იმ ღმერთის მიერ, რომელსაც ქრისტიანები აღიარებენ, ზოგი მათგანი (კერპები და ბომონები) კი სულაც ადამიანის ნახელავია.

ქართულად თარგმნილია გრიგოლ ნაზიანზელის ის სწავლანიც, რომლებშიც განკიქებულია ელინისტური წარმართული მითოლოგია, აგრეთვე თეოდორე აბუქურას რამდენიმე სწავლა წარმართული სარწმუნოების წინააღმდეგ.

იუდაიზმი. ნაკლები დაძაბულობით უპირისპირდებოდა ქრისტიანობა ებრაელთა სარწმუნოებას, რადგან ძველი აღთქმის ლიტერატურა ქრისტიანობის „წმინდა წერილის“ ნაწილი იყო. თუმცა მათ შორის პოლემიკის ძირითადი საგანი ის იყო, რომ ებრაელობის უმეტესმა ნაწილმა იესო ქრისტეს მესიაობა არ აღიარა.

ანტიებრაული სარწმუნოებრივი პოლემიკური თხზულებები, თარგმნილი არსენ იყალთოელის მიერ, შეტანილია მის მიერ შედგენილ კრებულში „დოგმატიკონი“ (S1463, XII-XIII სს): 1) „წინაგანსაწყობელად პურიათა წამებანი წერილებრნი, ვითარმედ სამებასა შინა ღმრთეებად საღმრთოთა წერილთა მიერ საიდუმლოდ იქადაგების“ (გვ. 179-181); 2) „სიტყუსგებად პურიათა მიმართ“ (გვ. 226-246); 3) „სიტყუსგებისაგან ქრისტეანისა და პურიისა, წამებანი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთჳს წმიდათა წერილთაგან“ (გვ. 246-251 – კითხვა-მიგება); 4. „თუ

ვითარ ჯერ-არს შეწყნარებად, რომელნი პურიათაგან სარწმუნოებასა ქრისტიანეთასა მოუკლებოდის“ (გვ. 304-305).

„დოგმატიკონში“ არსენის შემდეგაა შეტანილი „სიტყვსგებაჲ პური-ისა მიმართ თეოდორესი, მიწერილი მთავრისა მიმართ ედესისა შეი-განთაჲსა“ (გვ. 289-294).

ყველაზე გვიან, 1786წ. რუსული ენიდან ქართულად ითარგმნა სამ-უელ რაბინის (XV ს.) „ოქროს აღნაქუსი“, რომელიც ამტკიცებს, რომ იესო ქრისტე არის ჭეშმარიტი ღმერთი, ძე ღვთისა, მოსული ქვეყნად.

მაჰმადიანობა. აქტუალური იყო ქრისტიანული ეკლესიის (და მათ შორის ქართული ეკლესიისათვის) ბრძოლა მაჰმადიანობის წინააღმ-დეგ, რადგან ეს ძალზე აგრესიული რელიგია ცდილობდა მაჰმადი-ანური სახელმწიფოსაგან დაპყრობილ ტერიტორიებზე ქრისტიანული სარწმუნოების აღმოფხვრას და თავიანთი სარწმუნოების დამკვიდრე-ბას.

ამიტომ მთელი ქრისტიანული სამყარო, ვისაც მათთან ურთიერთო-ბა ჰქონდა, მათ შორის ქართველებიც, გარდა ფიზიკური წინააღმდე-გობისა, მკაცრ ლიტერატურულ-პოლემიკურ პაექრობასაც აწარმოებდ-ნენ მაჰმადიანური სარწმუნოების სიყალბის გამოსააშკარაებლად. ქართულად შემონახულია ასეთი პოლემიკური მწერლობის როგორც ორიგინალური, ასევე ნათარგმნი თხზულებები.

ნათარგმნი სასულიერო პოლემიკური ლიტერატურიდან, რომელ-იც ჩვენი განხილვის საგანია, თხზულებები ძირითადად თავმოყრილ-ია არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილი ძეგლებისაგან მის მიერვე შედგენილ კრებულში-„დოგმატიკონი“. ამ კრებულში შეტანილი 72 თხზულებიდან (2 ორიგინალურია) 31 სწორედ პოლემიკურია. აქედან დავასახელებთ რამდენიმეს:

I. თეოდორე აბუქურას „სარკინოზთა მიმართისა სიტყვსგებისაგან“, რომელიც რვა სტატიისაგან შედგება: 1. ჟამად-ჟამად შემთხუეული ეკლესიისადა კუეთებანი მწუალებელთანი; 2. სხუად ქადაგებაჲ, ვი-თარმედ მუჰამედ არა არს ღმრთისაგან; 3. გამოჩინებაჲ ჭეშმარიტი მაგალითისა მიერ, ვითარმედ მტერი იყო ღმრთისაჲ მუჰამედ და ვი-თარმედ ეშმაკისა მიერ იგუმებოდა; 4. აღსარებაჲ და დამტკიცებაჲ ქრისტიანობისაჲ უკანონესთაგან ქადაგებისათა; 5. სხუად სიტყვსგებაჲ გამომაჩინებელი, ვითარმედ ჳორცი ქრისტესი არს შეწირული იგი და კურთხეული პური; 6. სხუად სიტყვსგებაჲ ერთგვის ქორწინებისათჳს; 7. არცა ვნებასა მისსა დაიჭნა გუამი ქრისტესი; 8. გამოჩინებაჲ, ვი-თარმედ აქუს ღმერთსა ძე თანაარსი, თანადაუსაბამო და თანასამა-რადისოჲ.

II. მისივე, „მთავრისა მიმართ ედესისა შეიგანთაჲსა“, რომელიც კითხვა-მიგების ფორმით არის დაწერილი.

III. „წესი, რომელ იქმნების მოქცეულსა ზედა სარკინოზთაგან წმი-დისა მიმართ ქრისტიანეთაჲსა“. ეს თხზულება ლიტურგიკული ხასი-ათისაჲც არის და შეტანილია „კურთხევეანში“, თარგმნილი უნდა იყოს „დოგმატიკონის“ შედგენაზე ადრე.

აქვე დავასახელებთ ერთ ორიგინალურ თხზულებას „დოგმატიკონიდან“: „კსენებად სიტყვსებებისა და სასჯელისა და სჯულისათვის ქრისტიანეთაჲსა და სარკინოსთა“, რომელიც ქალაქ „ტფილისში“ გამართულ მაქერობაზე მოგვიოხრობს (სოვის აზრით, ქრისტიანი ბერი არსენ იყალთოელი შეიძლება იყოს). აგრეთვე, ბაგრატ ბატონიშვილის „მოთხრობა და სჯულთა ისმანილიტთა“, რომელიც მას XVII ს. დაუწერია მაჰმადიანთა წინააღმდეგ. პოლემიკური შრომა მაჰმადიანობის წინააღმდეგ დაუწერია ტიმოთე მიტროპოლიტსაც (გაბაშვილს), რომელიც ვრცელი პოლემიკური ნაშრომის IX თავია (S 3244, გვ. 258-414). რამდენიმე ქართულ პაგიოგრაფიულ „წამებაში“ (აბოს წამება, გობრონის წამება, კონსტანტინე კახის წამება – IX-XII სს. და უფრო გვიანდელი, XII-XVIII სს. „წამებები“) მაჰმადიანობასთან პოლემიკა ვრცლად არის წარმოდგენილი.

„მწვალებლობანი“. არიანობის, მაკედონიზმის, ნესტორიანობის, მონოფიზიტობის (ეგვიქის, აგრეთვე თეოდორე მომფსვეტელის, თეოდორიტე კვირელის, ივა ედესელის – ე.წ. „სამი თავი“), მონოთელიტობის და ხატმებრძოლეობის შესახებ ჩვენ ზემოთ, მსოფლიო კრებებთან დაკავშირებით ვისაუბრეთ და აქ სიტყვას აღარ გავარგძელებთ. შევეხებით მხოლოდ იმ მწვალებლობებს, რომელთა წინააღმდეგ მიმართული პოლემიკური მწერლობის თხზულებები თარგმნილია ქართულად.

1. ორიგენიზმი. II-III საუკუნეების გამოჩენილი ალექსანდრიელი თეოლოგი და ფილოსოფოსი ორიგენე (დაახლ. 185-254წწ.) ქრისტიანული ღვთისმეტყველების პირველი დოგმატიკური სისტემის შემქმნელია. მისი მოძღვრება ადამიანის სულის ხორცზე ადრე არსებობის შესახებ თავიდანვე საკამათო საგნად იქცა, ხოლო VI საუკუნიდან ორიგენეს მოძღვრების მწვალებლობად მიჩნევის მიზეზი გახდა.

ქართულად თარგმნილია ორიგენიზმის საწინააღმდეგო თხზულებები: ათანასე ალექსანდრიელის „სულისათვის ეპისტოლისაგან დასაჯსნელისა ორიგენის შჯულთაჲსა“ (S1463, XII-XIII სს., 303v). „დოგმატიკონში“ შეტანილია ანონიმი ავტორის „მეტყუელთა მიმართ, ვითარმედ სულნი კაცთანი პირველვე იყვნეს ჳორცთასა“ (S1463, 301r-305v), რომელშიც დარღვეულია ორიგენის აზრი სულის წინასწარ არსებობის შესახებ. იქვე შეტანილია თეოდორე აბუკურას (+820წ.) თხზულებები: „სიტყვსებება ორიგენიანისა მიმართ“ (S312, 1511წ., 20r-24v); „მისთავე [ორიგენეს] მიმართ“ (A1132, XVIII, 4r); აგრეთვე ანონიმი ავტორისა: „მოთხრობა და საწყალობელისა ორიგენესი“.

2. ავეუსტინიზმი. ნეტარი ავეუსტინეს მოძღვრება ნების წინასწარვე განსაზღვრულობის შესახებ, რომელიც უარყოფილია ვრცელ ტრაქტატში „თქუმული ბადებულისათვის და წინათვე განჩინებულისა კაცსა ზედა ღმრთისა მიერ კეთილისა და ბოროტისა, ვითარმედ არარაჲ არს“ (Sin. 36/14, Xs), რომელიც იოანე ოქროპირს მიეწერება (ბერძ. დედანი დაკარგულია) და რომელშიც გადმოცემულია საწინააღმდეგო დებულებები ნების თავისუფლების შესახებ.

3. კათოლიციზმი. მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის დაპირისპირება კათოლიკობასთან ემყარებოდა ამ უკანასკნელში ღვთისმსახურების დისციპლინარულ და რიტუალურ გადახრებს და არა დოგმატიკურ ცთომილებებს (როგორც მწვალებლური სექტები), ამიტომ იგი განხეთქილებად (სქიზმა) არის მონათლული და არა მწვალებლობად, რაც გახდა ამ ორი ეკლესიის გაყოფის მიზეზი. თუმცა კათოლიკობაც მწვალებლობად უნდა ჩაითვალოს, რადგან მან დაარღვია ქრისტიანული დოგმატი სულიწმიდის მამისაგან გამომავლობის შესახებ (ისინი აღიარებენ სულიწმიდის გამომავლობას როგორც მამამერთისაგან, ასევე ძისაგან – იესო ქრისტესაგანაც).

კათოლიციზმის წინააღმდეგ ქართული თარგმანით მოღწეულია მხოლოდ ერთი თხზულება ევსტრატე ნიკიელისა (+1117წ.): „მოსაჯენებელი შემოკლებული, თუ ოდეს ჰრომნი და ეკლესია მათი და რადსათუს საღმრთოთა აღმოსავლისა ეკლესიათაგან განიჭრნეს“, რომელიც კრებულ „დოგმატიკონში“ შეტანილია მოგვიანებით (და არ არის არსენ იყალთოელის თარგმანების თანადროული S1463, XII-XIII.). გაცილებით მეტი თხზულება, რომელიც კათოლიკობის წინააღმდეგ არის მიმართული, დაიწერა XVIII ს. ქართველი ავტორების მიერ: ბესარიონ ორბელიშვილის „გრდემლი“, ანტონ I-ის „მზამეტყველების“ ნაწილი – მესამე წიგნის XVII თავი, რუსულიდან XVIII ს. ბოლოს თარგმნილი თეოფანე პროკოპოვიჩის თხზულება „ისტორია თუს დაწყებისა განხეთქილებისა შორის ბერძენთა და რომაელთა თუს გამოსლებისა სულისა წმიდისა“ (დაწერილია ლათინურად, ითარგმნა რუსულად, აქედან – ქართულად ანტონ I-ის ბრძანებით).

4. ძირითადი დოგმატიკურ-პოლემიკური ნათარგმნი კრებულები და თხზულებანი

„დოგმატიკონი“ არის ნათარგმნი დოგმატიკურ-პოლემიკური ლიტურატურის ყველაზე მნიშვნელოვანი კრებული, რომელიც შეუდგენია არსენ იყალთოელს მის მიერვე ბერძნული ენიდან თარგმნილი თხზულებებისაგან, თუმცა ჩვენამდე მოღწეული „დოგმატიკონის“ ხელნაწერები უფრო გვიან დამატებულ თხზულებებსაც შეიცავენ. „დოგმატიკონის“ ყველაზე სრულ და ძველ ხელნაწერში (S 1463, XII-XIII სს.) არის 16 თხზულება დოგმატიკურ-ფილოსოფიური შინაარსისა, 5 – მორალურისა, ხოლო 31 – პოლემიკურისა. ეს არის სახელმძღვანელო წიგნი ქრისტიანულ დოგმატიკაში, რომელიც შეიცავს შემდეგ ფუძემდებლურ ნათარგმნ ძეგლებს:

I. ანასტასი სინელის „წინამძღუარი“, რომელსაც კრებულში პირველი ადგილი უჭირავს და მიმართულია მონოფიზიტობისა და სხვა მის მონათესავე მწვალებლობათა წინააღმდეგ, დახასიათებულია ასე: ეს წიგნი „ნამდვილი წინამძღუარი არს წმიდისა კათოლიკე და სამო-

ციქულო ეკლესიისა და თუალი, რომლითა ჰხედავს, და პირი, რომლითა ზრახავს, და სასმენელი, რომლითა ესმინან ღმერთშემოსილთა მამათა უცთომელნი მოძღურებანი, და საყნოსელი, რომლითა იყნოსს სულნელებასა ღმრთივსულიერთა წერილთა ყვაეილისასა, და მარჯუენე მკლავი, რომლითა ესერის და სდეენის სამწვალეებლოთა მკეცთა გესლიანსა სიბოროტესაო“. ეს შეფასება არსენს ეკუთვნის და უკეთესად ამ ძეგლს, მგონი, ვერაინ შეაფასებს.

II. იოანე დამასკელის „დიალექტიკა“ და „გარდამოცემა უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისა“ ასევე არსენ იყალთოელის თარგმანია (S1463, XII-XIII, 41r-52v; 54r-102v). „გარდამოცემა“ არის ქრისტიანულ-თეოლოგიური მოძღვრების ძირითადი ქრისტიანული დოქტრინების შეჯამება. მასში გადმოცემულია მართლმადიდებელი მამების ვრცელი მოძღვრება სამების, ქრისტოლოგიის, შესაქმის, ანთროპოლოგიის, ხატების, ეკლესიის საიდუმლოთა, ანგელოზთა დასებისა და სხვათა შესახებ. იოანე დამასკელის თხზულება „წყარო ცოდნისა“, რომელიც 3 ნაწილისაგან შედგება – დიალექტიკა, წვალებისათვის და გარდამოცემა, ჯერ ეფრემს უთარგმნია, ოღონდ მისი პირველი და მესამე ნაწილები, ხოლო შემდეგ – არსენ იყალთოელს, იმავე მოცულობით, ორივე თარგმანში სათაური იდენტურია.

აქვე დავასახელებთ იოანე დამასკელის ერთ თხზულებას: „ქრისტეს შორის ორთა ნებათათჳს და მოქმედებათა და სხუათა ბუნება-თუთნებათა, გარნა შემოკლებული და ორთა ბუნებათათჳს და ერთი გუამისა“, რომლის არსენ იყალთოელისეული თარგმანი „დოგმატიკონში“ (S-1463, 128r-138v და სხვ.) არის შეტანილი.

III. კირილე ალექსანდრიელის: 1. „თარგმანებად ათორმეტთა თავთა“ (12 თავი ანათემებისა), რომელიც წარმოადგენს ნესტორიანთა მწველებლობის დაგმობას და ანათემას, ჩამოყალიბებულს 12 თავად და თითოეული მათგანის დასაბუთებას.

2. „განკაცებისათჳს მხოლოდშობილისა“, რომელიც ნაწყევტია მისი ცნობილი შრომის – „საუნჯისა“ (ქართული თარგმანით „განძი“) და შეტანილია „დოგმატიკონში“.

3. „ვითარმედ იესუ ქრისტედ სახელ-იდების განკაცებული სიტყუად“.

4. „თუ ვითარმედ უსხეულოესა ღმრთეებისა სხეულ იქმნეს კორცნი“.

5. „თუ ვითარ ღმრთისმშობელად გულისცემა-იყოფების წმიდად ქალწული“.

6. მრავალრიცხოვანი ეპისტოლეები დოგმატურ თემებზე, რომლებიც შეტანილია „დოგმატიკონში“, ხოლო დიდი ნაწილი – ეფესოს მსოფლიო კრების აქტებში, რომელთა თარგმანები სომხური ენიდან დაცულია, XVIII ს. ხელნაწერში A-266.

IV. თეოდორე აბუკურას (+820წ.), ხარანელი ეპისკოპოსის და იოანე დამასკელის (+749წ.) მოწაფის, რამდენიმე დოგმატიკურ-პოლემიკური თხზულებაა შეტანილი „დოგმატიკონში“:

1. „მოძღურებად შემოკლებული საღმრთოთა სახელთათჳს საზოგადოთა სამებისა“.

2., თუ ვითარ სათანადო არს გულისწმის-ყოფად საღმრთოდასა და გარეშისა ფილოსოფოსობისა სიტყუათად“.

3., თითოსახეთა თავთა, ესე იგი არს გამოძიებით კითხულთა აღვსნად“.

4., არცა ვნებასა მისსა დაივსნა გუამი ქრისტესი“.

5., აღსარებად, დამამტიციებელი ქრისტიანობისა“.

6., გამოწინებად, ვითარმედ აქეს ღმერთსა ქე თანაარსი...“

7., მეტყუელთა მიმართ, ვითარმედ სულნი კაცთანი პირველვე იყვნეს ჳორცთასა“.

თეოდორე აბუკურას რამდენიმე პოლემიკური თხზულებაც არის შეტანილი „დოგმატიკონში“: 1. „ნესტორიანისა მიმართ სიტყვსგებად“; 2. „სიტყვსგებად მწვალებლისა და მართლმადიდებელისა“; 3. „სიტყვსგებად მთავრისა მიმართ ედესისა შეიგანთადასა“; 4. „სარკინოზთა მიმართისა სიტყვსგებისაგან“; 5. „სიტყვსგებად, ვითარმედ ჳორცნი ქრისტესი არს შეწირული პური“; 6. „სიტყვსგებად ერთგვის ქორწინებისათუს“; 7. „სიტყვსგებად ჳურიათა მიმართ“; 8. „სომეხთა მიმართ“.

V. ნიკიტა სტითატის (XII) ცხრა თხზულებიდან, რომელიც „დოგმატიკონში“ არის შეტანილი, დავასახელებთ რამდენიმეს: 1. „სათნობითა აღსაველთათუს“; 2. „სიტყუად სულისათუს კაცობრივისა“ (15 „სიტყუად“); 3. „სამოთხისათუს“; აგრეთვე ხუთი პოლემიკური თხზულება („სიტყუად პირველი განსაქიქებელი წვალებისა სომეხთადასად“ და სხვ.) და 5 ეპისტოლე სხვადასხვა პირთა მისამართით.

VI. იოანე დამასკელის (+749წ.) „გარდამოცემის“ გარდა „დოგმატიკონში“ შეტანილია: „ქრისტეს შორის ორთა ნებათათუს და მოქმედებათა“; 2. „გამოკრებანი წამებათანი“; 3. „შეკრებად სჯულისად“ და 2 პოლემიკური სიტყვა „დასამჯობელად ნესტორიანთა“ და „დასამჯობელად იაკობიტთა“.

VII. ათანასე ალექსანდრიელის (+373წ.) მხოლოდ სამი ეპისტოლეა შეტანილი „დოგმატიკონში“: 1. „სულისათუს, ეპისტოლისაგან დასაჯსნელისა ორიგენის შჯულისადასა“; 2. „ნეტარისად ათანასესი ფილოსოფოსისად მაქსიმეს მიმართისაგან სიტყუსა“; 3. „ცხოვრებისაგან წმიდისა ანტონისა“.

VIII. „დოგმატიკონში“ შეტანილია ძალიან ცნობილი საეკლესიო ავტორების თითო-ოროლა დოგმატიკური და პოლემიკური თხზულება: თომა იერუსალიმელის (2), იუსტინიანე ფილოსოფოსის (2), დიონისე ალექსანდრიელის (1), პეტრე ალექსანდრიელის (1), იპოლიტე რომაელის (1), დიოდორე ტარსელი ეპისკოპოსის (2), ეესტათი ანტიოქიელის, მეთოდი პატარელის (1), კლიმენტი ალექსანდრიელის (3), მიქაელ ფსელოსის (1) და ლეონ რომაელის (1), ყველაზე გვიან შეტანილი და ამ თემაზე ერთადერთი თხზულება, თარგმნილი ქართულად, ეესტრატი ნიკიელისა (+1117წ.) „მოსაჯსენებელი შემოკლებული, თუ ოდეს პრომნი და ეკლესიად მათი და რადასათუს საღმრთოთა აღმოსავლისა ეკლესიათაგან განიჭრენს“.

რამდენიმე სიტყვით წარმოვადგენთ სოგიერო მნიშვნელოვან დოგმატიკური და პოლემიკური შინაარსის თხზულებას, რომლებიც „დოგმატიკონში“ არ არის შესული:

1. „წინამძღუარი“ იოანე დამასკელისა. მან ეს სახელწოდება ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანში მიიღო, რომელმაც თავისი მთარგმნელობითი პრინციპებით ქართულად გადმოიღო დამასკელის „გარდამოცემა“, უფრო ზუსტად: „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისა თქუმული სარწმუნოებისათჳს, სიტყვსებჳდ უთაოთა მიმართ მწვალებელთა, რომელნი ორთა მათ ბუნებათა ქრისტესთა უარჰყოფენ“, ხოლო მოკლე შესავლის შემდეგ ეკითხულობთ: „დაწყებაჲ წიგნისა ამის, რომელსა ეწოდების წინამძღუარი, თქუმული იოანე დამასკელისაჲ“. ეფთვიმეს თარგმანი 24 სტატიისაგან შედგება და წარმოადგენს დამასკელის „გარდამოცემის“ და სხვა ავტორთა დოგმატიკურ-პოლემიკური თხზულებების გამოკრება-გადამუშავებას, ამიტომ მას ნახევრად ორიგინალური ძეგლი შეიძლება ეუწოდოთ.

2. იოანე დამასკელის „გარდამოცემა“, ეფრემ მცირის (XII ს.) თარგმანი. „დოგმატიკონში“ შესული „გარდამოცემის“ არსენ იყალთოელისეულ თარგმანამდე არსებობდა ამ თხზულების ეფრემ მცირის თარგმანი და მის თარგმანში, როგორც ეფრემი აღნიშნავს, თვით არსენ იყალთოელსაც მიუღია მონაწილეობა. იოანე დამასკელის შრომის სრული სახელწოდებაა „წყარო ცოდნისა“, რომელიც 3 ნაწილისაგან შედგება: 1. „დიალექტიკა“, 2. წვალებათათჳს“, 3. „გარდამოცემაჲ უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაჲ“. ეფრემ მცირემ თარგმნა პირველი და მესამე ნაწილები, ისევე როგორც შემდგომში არსენ იყალთოელმა. „დიალექტიკა“ ეფრემის თარგმანში შეიცავს 50 თავს, ხოლო „გარდამოცემა“ – 100 თავს. საინტერესოა ეფრემის წინასიტყვაობა თავისი თარგმანისათვის, სადაც იგი განმარტავს ფილოსოფიის ნაწილის – დიალექტიკის მნიშვნელობას, „გარეშეთა“ ფილოსოფიის მნიშვნელობის ცოდნას მათთან პოლემიკისათვის. ეფრემი ეხება ამ თხზულების ეფთვიმესეულ თარგმანსაც.

3. გრიგოლ ღვთისმეტყველის „ღმრთისმეტყველებისათჳს“ მიმართულია ენომიანოსთა და ნევატიანელთა მწვალებლობის წინააღმდეგ (თარგმნილი დავით ტბელის მიერ X-XII ს.) ეს ვრცელი „თქუმული“ გრიგოლ ნაზიანზელისა, მოიცავს მის სწავლას „ძისათჳს პირველ საუკუნეთა მამისაგან შობილისა“ (თავი I და II), „სულისა წმიდისათჳს სიტყვსებჳდ ბოროტთა მათ მწვალებელთა მიმართ“ (A87, XI, 139v-87v). იხ. აგრეთვე ე. გაბიძაშვილის ნათარგმნი ჰომილეტიკის ბიბლიოგრაფია, თბილისი, 2009, გვ. 434.

4. იოანე დამასკელის ორი შრომა, მიმართული ხატმებრძოლეობის წინააღმდეგ და ხატთაყვანისმცემლობის დასაცავად: 1. „სიტყუაჲ წმიდათა ხატთათჳს“ (A162, 138-142) და „სიტყუაჲ სიტყვსსაგებელი მათი, რომელნი ჰგმობენ წმიდათა ხატთა“ (ქუთ. 8, XVI, 156r-174v).

5. კირილე ალექსანდრიელის (+444წ.) „საუნჯე“ მინიწერილია ერთ-ერთ სახელმძღვანელო წიგნად ქრისტიანულ დოქტრინულ მემკვიდრეობაში, განსაკუთრებით დოგმატის საკითხებში. ეს თხზულება „განძის“ სახელით იხსენიება გრიგოლ ხანცოელის (+861წ.) „ცხოვრებაშიც“, თუმცა დღეს ამ ძეგლის შემცველი ხელნაწერი დაკარგულია. კირილეს ეს თხზულება სომხური ენიდან ათარგმნინა ანტონ I-მა ფილიპე ყაიომასაშვილს (XVIII ს. II ნახ. A3, 1820წ. გვ. 16-386). თხზულება შედგება 35 თავისაგან. (უნდა არსებულიყო „საუნჯის“ 981 წლის ხელნაწერი, რომელიც იოანე – თორნიკეს დაეალებით გადაუწერია მიქაელს – კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ., I, გვ. 379). „განძის“ ანდერძი დაცულია მოსკოვის ისტორიული მუზეუმის სინოდალური კოლექციის ბერძნულ ხელნაწერში №62 (იხ. ე. მეტრეველი, ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბილისი, 1996, გვ. 24-26).

6. მაქსიმე აღმსარებლის (+662წ.) დოგმატიკურ-პოლემიკურ თხზულებათა დიდი ნაწილი თავმოყრილია XVIII ს. ხელნაწერში ქუთ. 14 (60-მდე ვრცელი და მოკლე სტატი), რომელთა მთარგმნელად ვარაუდობენ ნიკოლოზ გულაბერისძეს (XII ს.).

დოგმატიკისა და პოლემიკის ზემოთ მიმოხილული ძეგლები ასახავენ მწერლობის ამ დარგების დამოუკიდებელ ლიტერატურას, მაგრამ ჩვენ თუ გაეითვალისწინებთ, რომ დასახელებული დარგები (განსაკუთრებით დოგმატიკა) ბიბლიოლოგიასთან ერთად წარმოადგენენ ქრისტიანული დოქტრინულ მემკვიდრეობის უძირითადეს ფონდს, აღარ გაგვიკვირდება, რომ საეკლესიო მწერლობის ყოველი დარგის თხზულება მეტ-ნაკლებად გაჯერებულია დოგმატიკური და პოლემიკური ლიტერატურის ელემენტებით.

ჰომილეთიკური მწერლობის ყველა „თქუმულისა“ თუ „სწავლის“ საფუძველია ქრისტიანული დოგმების თემატიკა და პოლემიკის გზით მათი ჭეშმარიტების ცხადყოფა; ეგზეგეტიკური მწერლობის ძირითადი თემა ბიბლიური წიგნების განმარტება-კომენტირება, ხოლო კომენტირების ძირითადი საგანია დოგმატიკის რთული დებულებების განმარტება მრევლისათვის; ასკეტიკურ-მისტიკური მწერლობა თავის „სწავლანს“ აგებს ქრისტიანული დოგმების გაგებისა და დაცვის აუცილებლობაზე. კანონიკური მწერლობის ძირითადი მიზანია ქრისტიანული დოგმების დაცვით; ჰომოლოგიკური მწერლობა ემსახურება თითოეული ქრისტიანული დოგმის „შესხმას“ და ქებას; ლიტურგიკული მწერლობის თითოეული წიგნის დოგმატიკური შინაარსი გათვალისწინებულია საზეიმო მსახურების ჩატარებისათვის; ჰაგიოგრაფიის მარტივოლოგიური და „ცხოვრება – მოქალაქეობის“ ყველა თხზულების ძირითადი თემა პოლემიკა არაქრისტიანული სარწმუნოების იდეოლოგიებთან და ქრისტიანული დოგმების დაცვისათვის თავგანწირვა.

ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის ეს ტრადიციები მისი ძირითადი ძეგლების ქართულად თარგმნის გზით დამკვიდრდა ქართულ საეკლესიო მწერლობაშიც და საფუძველი ჩაუყარა ორიგინალურ დოგმატიკურ და პოლემიკურ მწერლობას.

ქართული საეკლესიო მწერლობის ადრეულ პერიოდში ორიგინალური დოგმატიკური მწერლობის არსებობა, უფრო სუსტად, ორიგინალური დოგმატიკის სპეციფიკური თხზულებების არსებობა, არც არის მოსალოდნელი, რადგან საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საწყისი დროისათვის, ე. ი. IV ს. I ნახევრისათვის ქრისტიანული დოგმატიკის ჩამოყალიბება ბიზანტიაში თითქმის დასრულებული იყო. ხოლო რაც შეეხება მომდევნო საუკუნეებს, თითქმის XVIII-მდე პერიოდს, ქრისტიანული საფუძვლების სწავლება შეზღუდული იყო მსოფლიო VI (ტრულის) საეკლესიო კრების 64-ე კანონის საფუძველზე, რომელიც კრძალავდა კერძო შემოქმედებით საქმიანობას და ადგენდა, რომ მხოლოდ დიდი საეკლესიო მამების შრომებით ესარგებლათ. ეს აკრძალავს, ალბათ, განსაკუთრებული სიმკაცრით შეეხებოდა ქრისტიანული დოგმატიკის სწავლებას. საქართველოში XVIII-ში შექმნილი დოგმატიკური შინაარსის დამოუკიდებელი თხზულებებიც ბიზანტიური სასულიერო მწერლობის ძეგლების კომპილაციას წარმოადგენდა. თუმცა დოგმატიკური საფუძვლების ცოდნა და ანალიზი ფართოდ არის წარმოდგენილი ქართული საეკლესიო მწერლობის თითქმის ყველა დარგის თხზულებაში, დაწყებული „შუშანიკის წამებით“ (V ს.) და გაგრძელებული თითქმის ყველა დროის ჰაგიოგრაფიული ძეგლით, აგრეთვე პომილეტიკური, კანონიკური, პოლემიკური, ჰიმნოგრაფიული და ა.შ. დარგების თხზულებებში.¹⁹⁷

გაცილებით ძველია დამოუკიდებელი ორიგინალური პოლემიკური თხზულებები, რაც შედეგია უახლოეს მესობელ ქვეყანაში – სომხეთში გავრცელებულ მწვალებლობათა საქართველოში გავრცელების მცდელობისა. პირველ თხზულებად შეიძლება ჩაითვალოს არსენი საფარელის (XI ს.) „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“, რომელშიც აისახა სომხური მონოფიზიტური ეკლესიისა და ქართული ქალკედონიტური (დიოფიზიტური) ეკლესიის ურთიერთობის პროცესები, რასაც VIII-ში ამ ეკლესიათა გათიშვა მოჰყვა.

პოლემიკური ორიგინალური თხზულებაა „სიტყვსგებაჲ ბერისა ეფთჳმე გრძელის სოსთენის მიმართ სომეხთა მოძღურისა“. პაექრობა შემდგარა 1046 წელს, ბაგრატ IV-ის დროს მოწვეული ღრტილას საეკლესიო კრებაზე, თუმცა ამ ძეგლის მიმოხილვაში (მ. რაფაეა) ვკითხულობთ: „თხზულება დაწერილია გელათის მიტერატურული სკოლის ანონიმ ქართველი მოღვაწის მიერ XII ს-ში.¹⁹⁸

სხვა მისამართი აქვს XVI-ის პოლემიკურ ძეგლს „მოთხრობაჲ სჯულთა უღმრთთა ისმაილიტელთაჲ“, რომელიც ბაგრატ ბატონიშვილს მაჰმადიანური სარწმუნოების განსაკიქებლად დაუწერია (ხელნაწერები (10) მითითებულია ბიბლიოგრაფიაში). ეს თხზულება XVI-ის-ში გაულებსავს მიტროპოლიტ იაკობ დუმბაძეს (შემოქმედელს).

197 პასაუკები ორიგინალური მწერლობის ყველა დარგის თხზულებებიდან მოტანილი აქვს მია რაფაეას წიგნში: ნარკვევები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან, დოგმატიკა და პოლემიკა, თბილისი 2014, გვ. 357-493.

198 იქვე, გვ. 417.

დაახლოებით ამავე პერიოდს მიეკუთვნება მაჰმადიანობის წინააღმდეგ მიმართული თხზულება: „ამბაეი მაჰმადისი, თარგმანთა შინა ფსალმუნთასა, შემოხმული და წიგნთაგან მაჰმადიანთასა გამოღებული და ნათესაობა მათი“, რომლის ავტორია ვინმე „მოძღვარი იოსებ ხუცესი“, თხზულება წარმოადგენს 82-ე ფსალმუნის მუხლობრივ განხილვას და განმარტებას ანტიმაჰმადიანური თვალსაზრისით და მაჰმადიანთა სარწმუნოების დოგმატიკის, ზნეობისა და წეს-წყევულებების კრიტიკას. თხზულების ავტორი წყაროს ჩვენებით თითქოს ბაგრატ IV-ის თანამედროვედ არის დასახელებული, მაგრამ სინამდვილეში იგი გაცილებით გვიანდელი მოღვაწე უნდა იყოს (კ. კეკელიძე).

გავაგრძელოთ საუბარი ქრისტიანული პოლემიკური მწერლობის, მის მოგვიანებით შექმნილ ორიგინალურ თხზულებათა შესახებ, რითაც დავასრულებთ ორიგინალური პოლემიკური მწერლობის დამოუკიდებელ თხზულებათა მიმოხილვას:

ბესარიონ კათალიკოსის (ორბელაშვილის +1798წ.) „გრდემლი“ პირველი ორიგინალური პოლემიკური თხზულებაა ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიაში, რომელიც დაიწერა კათოლიკური ქრისტიანობისა და რომის ეკლესიის წინააღმდეგ. თხზულების სრული სახელწოდებაა „სიტყვსკებაჲ ლათინთა მიმართ... ხოლო წიგნსა ამას ეწოდების გრდემლი“. თხზულება ბესარიონს დაუწერია გარეჯის მრავალმთის იონანე ნათლისმცემლის მონასტერში მონაზვნობის პერიოდში.

თხზულება შედგება 38 თავისაგან, რომლებშიც საუბარია მწვალებლობათა შესახებ, დასაეღეთისა და აღმოსაეღეთის ეკლესიებს შორის განსხვავებებზე, როგორც დოგმატიკის, ასევე საეკლესიო წეს-განგების საკითხებში. თხზულების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს რომის ეკლესიის მიერ აღიარებული დოგმატების კრიტიკასა და უარყოფას. კატეგორიულად არის დაგმობილი სულიწმიდის ძისაგან გამომავლობის კათოლიკური გაგება (Filioque) და პაპის პრიმატობის საკითხი. თემის აქტუალობა დასტურდება „გრდემლის“ ხელნაწერების სიმრავლითაც (იხ. ბიბლიოგრაფია).

ტიმოთე მიტროპოლიტის (გაბაშვილის) დოგმატიკურ-პოლემიკური ხასიათის სიმბოლიკური სახელწოდების თხზულება - „მარწუხი“ გულისხმობს მართლმადიდებლობიდან განდგომილთა, ყოველგვარი მწვალებლობის მარწუხებში მოქცევას. თავისი თხზულების წყაროდ ტიმოთე ასახელებს „საღმრთოთა წერილთაგან, რომელნი თვთ მაშინვე ერებასა ნათქვამნი და ზოგი შემდგომად ერებისა აღწერილნი წმიდათა მამათაგან, არა თუ ჩემით შემიწყვეს რამე წმიდისა ამის ერებასა, არამედ თვთ ღირსთა პირისათა ნაბიჭვენი აღმომივსიეს და ეუწოდე წიგნსა ამას „მარწუხი“. ნაწარმოებში მოყვანილია დებულებები მწვალებელთა მოძღვრებებიდან და მათი დამარღვეველი ექსცერპტები საღმრთო წერილისა და წმიდა მამათა თხზულებებიდან (ხელნაწერები იხ. ბიბლიოგრაფიაში).

ტიმოთე გაბაშვილის მეორე კაპიტალური დოგმატიკურ-პოლემიკური შრომის სახელწოდებაა: „გარდამოცემული ერთობისათუს და

სიუჟარულისა წმიდათა ეკლესიათასა...“ შედგება 15 თავისაგან, რომელთაგან I თავი წარმოადგენს შესავალს – ტრაქტატს „საღმრთოთა სჯულთათვის“, ხოლო დანარჩენი თავები ძველი და ახალი აღთქმის ცალკეულ დღეებს (განურდომისათვის... პურიათა; წარმართთა წოდებისათვის და ახლად ისრაელად სახელდებისათვის მათისა და ა.შ. აგრეთვე: განჭორციელებისათვის მაცხოვრისა; ჯუარცმისათვის უფლისა; დაფლვისა და ჯოჯოხეთად შთასლვისა; აღდგომისათვის და ა.შ.).

რაც შეეხება დამოუკიდებელ ორიგინალურ დოგმატიკურ თხზულებებს, მათი აღრიცხვა XVIII ს. პირველივე წლით უნდა დაეიწყოთ, კერძოდ კი სულხან-საბა ორბელიანის „საქრისტიანო მოძღვრებით“, ანუ „სამოთხის კარიო“, რომელიც 1701 წელს არის დაწერილი და წარმოადგენს მოკლე კატეხიზმოს, რომელშიც მოძღვარი დიალოგის ფორმით განუმარტავს მოწაფეებს ქრისტიანული ეკლესიის ძირითად დოგმებს. გამოვლენილია სულხან-საბას თხზულების ოთხი რედაქცია. პირველი რედაქცია უკვე მოვიხსენიეთ. მეორე რედაქცია წარმოადგენს პირველი რედაქციის გადამუშავებას ავტორის ევროპაში დიპლომატიურ საკითხებთან დაკავშირებით გამგზავრების წინ და, როგორც ფიქრობენ, კათოლიკეთა გულის მოსაგებად გადაუმუშავებია კათოლიკური მოძღვრების შესაბამისად (საბა პირდაპირ აცხადებს „რომანული ეკლესიისა სარწმუნოება მართალი და ჭეშმარიტი არს და ვისაც არა სწამს, არა ცხონდება“). „სამოთხის კარის“ ამ რედაქციაში აშკარად არის დაფიქსირება კათოლიკეთა ორი ძირითადი დოგმატისა: სული წმიდისაგან გამომავლობა (Filioque) და რომის პაპის პრიმატობა: „ჯერ არს მორჩილება რომის პაპისა, რომელი [ქრისტემან] დაადგინა გამგედ ეკლესიისა და შემდგომად ქრისტესა ქვეყანასა ზედა მჯდომარე არს“.

თხზულების დანარჩენი ორი რედაქცია შექმნილია საბას გარდაცვალების (+1725წ.) შემდეგ, ეს თხზულება კვლავ გადაუმუშავებიათ კათოლიკური კვალის ამოსარეცხად: პირველად ეს გაუკეთებია საბას ძმას – ნიკოლოზს, ხოლო მეორედ – ვახუშტი ბატონიშვილს (ორივეს ეს გაუკეთებია ქ. მოსკოვში). ეს ორი რედაქცია დიდად სასარგებლო გახდა მართლმადიდებლობის სარწმუნოების განმტკიცების საქმეში (ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილია ამ თხზულების ოთხივე რედაქცია შესაბამისი ხელნაწერებისა და სხვა მონაცემების ჩვენებით).

ორიგინალურ დოგმატიკურ მწერლობაში ყველაზე ნაყოფიერად უმოღვაწია ანტონ I-ს. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მისი კაპიტალური შრომა „ღვთისმეტყველება“ სამ ნაწილად. როგორც სახელწოდებაც გვიჩვენებს, ეს უსარმაზარი შრომა სამი ნაწილისაგან შედგება, ხოლო ხელნაწერი ოთხ წიგნად არის აკინძული: I წიგნი შეიცავს სამი ნაწილისაგან შედგენილ დოგმატურ ღვთისმეტყველებას: 1) ერთობითი ღვთისმეტყველება, სადაც ლაპარაკია ღვთაების, წმინდა სამების ერთობაზე და მის არსებით თვისებებზე; 2) სამწმიდაობითი ღვთისმეტყველება, რომელიც ეხება ერთარსება ღმერთის სამ პიროვნებას; 3) ზედდადგინებანი საქმეთა ღვთისათა. აქ განხი-

ლულია შესაქმნისა და ღმერთის შემოქმედებითობის არსი: შესაქმნე, განგება, მაროლმსაჯულება, მადლი, განწმენდა და ა.შ. II წიგნი შეიცავს საიდუმლო ღვთისმეტყველებას და შედგება სამი ნაწილისაგან: 1) უხილავი არსებანი; 2) ეკლესია და მისი საიდუმლონი; 3) მართლმადიდებელ ლიტურგიკასთან დაკავშირებული საკითხები, საეკლესიო იერარქია, მარხვა, დღესასწაულები, წმიდა ნაწილების პატივისცემა, სიწმინდეები და სხვა, III და IV წიგნები მოიცავენ ყოფაქცევით ღვთისმეტყველებას ანუ ეთიკურ-ზნეობრივ სწავლებას, რომელიც ორ ნაწილად არის წარმოდგენილი: 1) სათნოებითი ღვთისმეტყველება და 2) არასათნოებითი ღვთისმეტყველება.

იმ უამრავ წყაროთაგან, რომლითაც ანტონს უსარგებლია, იგი გამორჩეულად ასახელებს ფრანგულ ენაზე არსებულ საღვთისმეტყველო ენციკლოპედიას, რომლიდანაც მას „ამოუგდია ყველა ის ადგილი, რომელნიც მართლმადიდებლობასა და კათოლიკობას განასხვავებენ ერთიმეორისაგან“.¹⁹⁹

ანტონ I-ს დაუწერია ასევე დიდტანიანი დოგმატიკურ-პოლემიკური შრომა „მზამეტყველება“, რომელიც მიმართულია მონოფიზიტთა, კერძოდ, სომეხ მწვალებელთა წინააღმდეგ და მიზნად ისახავს მონოფიზიტური იდეოლოგიის განქიქებას. თხზულება სამ წიგნად იყოფა: I წიგნი წარმოაჩენს ნესტორიანული ერესის მონოფიზიტური არსის ისტორიულ და იდეოლოგიურ საფუძვლებს; II წიგნი მოგვითხრობს ეფესოსა და ქალკედონის კრებების, მონოფიზიტობის წარმოშობისა და მისი სომხეთში გავრცელების ისტორიას; III წიგნში მუხლობრივად არის განხილული მონოფიზიტთა დოგმატიკა, სომხური ეკლესიის წესები, ჩვეულებები და მისი სიყალბე.

ანტონ I-ის ეს შრომა იყო პასუხი ჩვენში სომეხთა სარწმუნოების გავრცელების პროპაგანდაზე, როგორც ამას ანტონი წერს: „ვიხილე წიგნები სომეხთა მოძღვრებისა (ჩამოთვლის ცამეტ სომეხ მწერალს), ყველა თხზულება საესე იყო [ჩვენი სარწმუნოების] გმობითა და უკეთურებით, ამიტომ მე ვიწყე წინაგანწყობად ზემოთქმულთა ამათ მწვალებელთა“-ო. ანტონს უხვად უსარგებლია ანასტასი სინელის, იოანე დამასკელის, კირილე ალექსანდრიელის, ლეონ დიდის და სხვა საეკლესიო მამათა შრომებით, რომელიც კი წარმოდგენილია არსენ იყალთოელის ნათარგმნი თხზულებებით შედგენილ კრებულში „დოგმატიკონი“. კ. კეკელიძის სიტყვებით: „როგორც გარეგანი, ისე შინაგანი ღირსებით, ეს თხზულება შეგვიძლია ერთ დონეზე დავაყენოთ ბიზანტიის დოგმატიკურ-პოლემიკური მწერლობის საუკეთესო ნაშრომებთან“.²⁰⁰

აღსანიშნავია ანტონ I-ის კიდევ ერთი ორიგინალური ნაშრომი დოგმატიკაში - „კატეხიზმი“, რომელიც ანტონისავე სიტყვებით, წარმოადგენს თეორიული და პრაქტიკული ღვთისმეტყველების სახელმძღვანე-

199 კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1980, გვ. 378.

200 დასახ. ნაშრომი, გვ. 379.

ლოს სასულიერო სკოლების მოსწავლეთათვის. კატეხიზმო შეიცავს 123 კითხვა-მიგებას და შედგენილი ჩანს რუსეთის ეკლესიის გეგმის მიხედვით. აქვე დავასახელებთ ანტონის „აღსარების წიგნს“, დაწერილს თავის მართლებს მიზნით, როდესაც მას კათოლიკობა დასწამეს და რუსეთის სინოდის წინაშე მოუხდა „აღსარების“ წარმოთქმა.

ანტონ I-ის „წყობილსიტყვაობის“ I-IV თავებში ჩამოყალიბებული მოძღვრება ქრისტოლოგიური სამების არსის შესახებ, ყოველდწმინდა ღმრთისმშობელის ფენომენზე, სასწაულთა შესახებ. თხრობაში ანგელოზთა შესახებ განხილულია ანგელოზთა არსი და მათი განფენილობა, ანგელოზთა სახელწოდებანი, ანგელოზთა დასების საიდუმლო, ანგელოზთა დასების იერარქია, ზეციური სამყაროს ჰარმონია და სხვ.

„წყობილსიტყვაობის“ ეს თავები ჰიმნოგრაფიის იამბიკური ფორმით არის დაწერილი, ისევე როგორც მთლიანად ძეგლი (შვიდივე ნაწილი).

რადგან სასულიერო მწერლობის სხვადასხვა დარგების თხზულებათა ბიბლიოგრაფიების რიგში ჩვენ ცალკე დარგად არ გვაქვს განხილული ფილოსოფია, ფილოსოფიური ლიტერატურის თხზულებები განხილული გვაქვს დოგმატიკის ნაწილში, როგორც დოგმატიკურ-ფილოსოფიური თხზულებები (კეტრიწი და სხვ.), ამიტომ ანტონ I-ის ფილოსოფიური ხასიათის შრომებს „სპეკალი“ და „კატელორია სიმენტანე“ დოგმატიკაში განვიხილავთ (ანტონის აზრით, ღვთისმეტყველება ფილოსოფიის ნაწილია).

„სპეკალი“ სამი ნაწილისაგან შედგება: 1. მოძღვრება კატელორიათა ანუ ცნებათა შესახებ; 2. მსჯელობა ჭეშმარიტების შესახებ ანუ „ადგილნი დიალექტიკისანი“; 3. სულისათვის. I ნაწილი 90 თავისაგან შედგება, II – 128 თავისაგან, ხოლო III – 24 თავისაგან. თხზულების შინაარსი ეხება ფილოსოფიის განსაზღვრებებს, ფილოსოფიის დაყოფას თეორიულ და პრაქტიკულ ფილოსოფიად და ფილოსოფიასა და მეცნიერების კერძო დარგებს შორის არსებულ ერთიანობას. აქ შემოკლებული სახით მეორდება ამონიოს ერმისის თხზულებაში არსებული განსაზღვრებები.²⁰¹

„კატელორია სიმენტანე“ არისტოტელეს ახლებური წაკითხვისა და მისი ლოგიკური მოძღვრების ფილოსოფიური გააზრების ცდაა. თხზულების წყაროებიდან არისტოტელეს ლოგიკის გარდა ჩანს ბაუმაისტერის, ვოლფის და სომეხ ფილოსოფოსთა თხზულებების კვალიც.

XVIII-XIX სს. ავტორთაგან დავასახელებთ რამდენიმეს, რომლებსაც დოგმატიკის საკითხებზე თხზულები აქვთ დაწერილი:

ამბროსი ნეკრესელი (+1815წ.), რომელსაც დაუწერია „მრწამსი“ (შემოკლებული; ხელნაწ. H-974), ხოლო მის მიერვე შედგენილ კრებულში (H- 974) მრავალი მისი ქადაგებაა შეტანილი, რომელთა თემა დოგმატიკის სხვადასხვა საკითხია.

201 ნ. ჩიკავტია, ნარკვევები ძვ. ქართ. სასულიერო მწერლობის ისტორიიდან, II, ფილოსოფია, თბილისი, 2014, გვ. 589.

დოსითეოზ ნეკრესელს (XVIII ს. შუა წლ.) დოგმატიკური შინაარსის ანდრძი დაურთავს მის მიერ სომხურიდან თარგმნილ დაეით უძლეველის თხზულებაზე „წიგნი საზღვართა“.

ვახუშტი ბატონიშვილს (+1757წ.) დოგმატიკური შინაარსის წინასიტყვაობა დაურთავს რუსულიდან თავისივე თარგმნილ იაორსკის „კლდე სარწმუნოებისა“.

გაიოზ რექტორს (+1821წ.) დაუწერია „ქრისტიანობრივი სწავლა ანუ ჭეშმარიტი სიტყვა“, რომელშიც ავტორის სიტყვებით: „ცხად იქმნების რა არს სარწმუნოება ანუ სადათ ჯერ არს აღმოვსება ცნობისა მისისა...“ (S-29, 1788-1790წწ., გვ. 1-298). მასვე ეპისტოლით მიუმართავს ერეკლე II-სათვის, რომელიც ერთვის გაიოზის მიერ რუსულიდან თარგმნილ ადაპიტ დიაკონის „სამეფო ქარტა“-ს, ანუ „ტომარს“, სადაც გაანალიზებულია თხზულების დოგმატიკური შინაარსი და სთხოვს მეფეს ეს თარგმანი გაითვალისწინოს მოსწავლეთათვის სასწავლებლად.

დაეით ბატონიშვილს (+1819წ.) ეპისტოლე გაუგზავნია დაეით რექტორისათვის, რომელიც დართული აქვს მის მიერ ფრანგულიდან თარგმნილ ანსილიონის „ესტეტიკებრ განსჯანს“ და ურჩევს მას თელაეის სასულიერო სემინარიაში მოსწავლეთა სახელმძღვანელოდ გამოიყენოს იგი.

დაეით ბატონიშვილი მის მიერ რუსულიდან თარგმნილ (რუსული ლათინურად არის თარგმნილი) აბატ. ონლაკის „ლოლიკას“ ურთავს ეპისტოლეს დაეით რექტორისადმი, რომლითაც რეკომენდაციას უწევს ამ წიგნს მოსწავლეთათვის სახელმძღვანელოდ. მასვე დაუწერია „აღსარება სარწმუნოებისა“ (S-2884).

დაეით რექტორს (+1824წ.) დაუწერია „ოთხნაწილედანი სწავლანი“, რომლის I ნაწილი ასეა დასათაურებული: „ცნობისათეს ღმრთისა და მისთავე საქმეთათეს“, ე.ი. „სწავლანი“ დოგმატიკური შინაარსისაა.

გერმანე ხუცესმონაზონს (XVIII ს.) შეუდგენია კატეხიზმო: სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა („მოწაფე: ვინ არს ღმერთი, ან რა შეუძლია. მოძღვარი: ღმერთი ძლიერ არს და ხელმწიფე“).

იოანე ბატონიშვილის (+1821წ.) კალმასობა ანუ ხუმართსწავლა, როგორც მას აკად. კ. კეკელიძე უწოდებს, „მეცნიერული ცოდნის ენციკლოპედიაა“, რომელშიც ბევრგან დასტურდება საღეთისმეტყველო – დოგმატიკურ საკითხებზე მსჯელობა: სარწმუნოების რაობა (გვ. 52-79), ანგელოზები (109-117); სოფლის შესაქმე (20-23); ადამიანი (35-37) და სხვა.

ანტონ ცაგარელ-ჭყონდიდელს (+1815წ.) სომხურიდან გადმოუკეთებია „წიგნი ჭეშმარიტისა ღმრთისმეტყუელებისა“, დაურთავს მისთვის ერეკლე წინასიტყვაობა, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ გაეცნო იგი თელაეის სასულიერო სემინარიის დოგმატიკურ საქმიანობას და როგორ აღასრულა მან თავისი მოძღვრის (დისითეოზ ნეკრესელის)

დიდი სურვილი, რომ ეს მნიშვნელოვანი დოგმატიკური თხზულება თარგმნილიყო ქართულად, რაც მან აღასრულა მისი გადმოკეთებით.

გერონტი სოლოდაშვილს (XVIII-XIXსს.) დაუწერია „ნაცვალსიტყვაობა“ ანუ უფრო ვრცლად, „წარმოთქმა მართლისა სარწმუნოებისა... კიოხვა-მიგებით განკარგულნი, ეწოდების ნაცვალსიტყვაობა“, რომელიც ასე იწყება: „რომელი გვისწავიეს წმიდათა მცოცხლოთაგან ერთი ღმერთი სამგვამოვნად და ერთარსებად...“, უძღვის წინასიტყვაობა, რომელიც მიმართულია მოძღვრისადმი (არქიმანდრიტ ეფთვიმისადმი) და რომელშიც საუბარია სოფლის მღვდელთა დოგმატურ განათლებაზე.

იონა ხელაშვილის (+1837წ.) მდიდარი სამწერლო შემოქმედება, რომელიც პეტერბურგის ქართველ ბატონიშვილთა კარის ეკლესიაში მიმდინარეობდა, უამრავ ქადაგებებთან ერთად მრავალ დოგმატურ თხზულებასაც წარმოგვდგენს, რომელთა დიდი ნაწილი რუსულად არსებული (მათ შორის ნათარგმნიც) ლიტერატურის გავლენით არის დაწერილი, როგორცაა „ღვთისმეტყველება სამნაწილედ“, დაწერილი 1815 წელს, რომელიც შედგენილია ალექსანდრე ნეველის აკადემიის პროფესორთა ლექციებისა და, საერთოდ, იმდროინდელი რუს ღვთისმეტყველთა ძლიერი გავლენით. კატეხიზმოები (დიდი, ვრცელი და შემოკლებული), მეფის ძის იაონეს 24 შეკითხვის წიგნი და სხვა დოგმატიკური ხასიათის შრომები შეტანილია ორიგინალური დოგმატიკის ბიბლიოგრაფიაში.

ბოლოს, დავასახელებთ უმნიშვნელოვანეს დოგმატიკურ-პოლემიკური მრავალი თხზულების შემცველ კრებულს, რომელშიც შეტანილია ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის მრავალი ფუნდამენტური თხზულება და არც ერთი ორიგინალური თხზულება, მაგრამ ორიგინალურია ის, რომ ასეთი შედგენილობის კრებული არსებობს მხოლოდ ქართულად და შეადგინა იგი მის შემადგენელ თხზულებათა ქართულად მთარგმნელმა, არსენ იყალთოელმა (XI-XIIIსს.) და მას ეწოდება კრებული „დოგმატიკონი“.

ორიბინალურ დოკუმატიკურ-პოლემიკურ თხზულებათა ბიბლიოგრაფია

1. ანდერძი, დართული „წიგნი საზღვართა“-ს ქართულ თარგმანზე ანდერძი დოსითეოს ნეკრესელისა სომხურიდან თარგმნილი დავით უძლეველის თხზულებაზე

დოსითეოს ნეკრესელი (+1815წ.)

„მყოფთა ყოველთაო, თვთ იღძრვით ჰსურისთ უუკეთილებისადმი აღტრფობად იტყუს ამმონიოს ერმისელი...“

H-69, XVIII, 137r-140v

შენიშვნა: ერცლად არის დახასიათებული ფილიპე ყაითმაზაშვილის მიერ სომხურიდან თარგმნილი თხზულება და ქართულ-სომხური ლიტ. ურთიერთობა.

2. ანტონ I-ის აღსარება

აღსარება ანტონ I-ისა

ანტონ I კათალიკოსი(+1788წ.)

„ესე მტკიცედ შეურყეველი და შეუცვალებელი წიგნი დიდის ფიცითა და აღთქმის დადებით მოგართვი მე, ყოვლად უღირსმან ანტონი...“

H-1334, 1756წ., 201r-v.

შენიშვნა: ხელნაწერი ამბროსი ნეკრესელის კრებულია, გადაწერილი თვით ამბროსის მიერ. მითითებული ადგილი წარმოადგენს 1756წ. კრების „განჩინებას“, რომელშიც წარმოდგენილია ანტონის მიერ დაშვებული დოგმატური ცდომილების აღიარება.

3. „გარდამოცემის“ ქართული თარგმანის შესავალი

ზანდუკი და შესავალი წიგნისა ამის, რომელსა ეწოდების „გარდამოცემადა“, თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე დამასკელისა ეფრემ მცირე (XI ს.)

„ესე ერგასისნი თავნი რიცხუენდი მათ თანა ნართაულით თავებითურთ გარეშეთა წიგნთა...“

A-24(XI), 1r-4v; A-406 (1757წ..)1v-7v; S-1358 (XVII-XV VIII), 8r-11r.

შენიშვნა: გამოც.: 1.თ. ჟორდანიასი, ქრონიკები, I, ტფილისი, 1892 გვ. 215-219; 2 ექ.თაყაიშვილისა, S-ფონდის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (რუსულ ენაზე), I, 1902, გვ.710-717; 3.ს.გორგაძისა, ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართ. მწერლობისა, „ჩუენი მეცნიერება“, 2-3, 4-5, 1923 გვ. 182-192; 4. ქართ. ხელნაწ. აღწერილობა, A-ფონდი, თბილისი, 1973, გვ.83-85; 5.მ.რაფაეასი, იოანე დამასკელის დიალექტიკა, თბილისი, 2000, გვ. 23-25; 6. დ. თვალთვაძისა, ეფრემ მცირის კოლოფონები, თბილისი, 2009, გვ. 200-204.

4. „გრდემლი“

სიტყვსება ლათინთა მიმართ... წიგნსა ამას ეწოდების გურდემლი
ბესარიონ ორბელიშვილი (კათალიკოსი +1737წ.)

„მრავლით უამითგან მენება დუმილი მრავალთა მიზესთათს და
არა აღებად პირისა...“

A-119 (XVIII), 1r-188v; A-156 (XVIII), 1r-182v; A-298 (1773წ.), A-1191
(XVIII); A-1395 (XVIII); A-1591 (1844წ.); S-3269 (1720-იანი წლ.), 24r-168v

შენიშვნა: ბესარიონს თხზულება დაუწერია ხუცესმონასტონობისას
გარეჯის მრავალმთის იოანე ნათლისმცემლის მონასტერში მოღვაწე-
ობის პერიოდში. თხზულება წარმოადგენს რომის ეკლესიის მიერ აღ-
